

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## მეცნიერების დეპარტამენტი

2021 წ. ჩატარებული სამეცნიერო სამუშაოების მოკლე  
ანგარიში

### II ნაწილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტის უფროსი  
პროფ. დ. თავხელიძე

თბილისი  
2022

განსხვავებით პირველი ნაწილისა, რომელიც მიძღვნილია სტუ-ის სამეცნიერო ინსტიტუტებში წარმოებულ სამეცნიერო სამუშაოებს, აქ მოცემულია იმ სამეცნიერო შემოქმედების ანგარიში, რომელიც წარმოებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე უმთავრესად აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების მიერ.

# ს ა რ ჩ ე ვ ი

## ფაკულტეტები

სამშენებლო ფაკულტეტი .....	4
ენერგეტიკის ფაკულტეტი .....	137
სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი .....	195
ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი .....	245
სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი	386
არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი .....	453
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი .....	483
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი .....	497
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი .....	597
აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი .....	879
დიზაინის საერთაშორისო სკოლა .....	976
საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი .....	992

## სამშენებლო ფაკულტეტი

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

სამშენებლო ფაკულტეტი საინჟინრო მექანიკისა და მშენებლობის ტექნიკური  
ექსპერტიზის №101 დეპარტამენტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

კვიციანი ტარიელ	პროფესორი (დეპარტ. ხელმძღვანელი)
გორგიძე დავით	პროფესორი
ციციშვილი ზურაბ	ასოცირებული პროფესორი
ჯიქიძე ლევან	ასოცირებული პროფესორი
ლოსაბერიძე მარინე	ასოცირებული პროფესორი
ქვარცხავა ლიანა	ასისტენტი
მუსერიძე რამაზ	ასისტენტი
შალიტაური გიორგი	ასისტენტი
ბუქსიანიძე ამირან	პროფესორი
ბაციკაძე თამაზ	პროფესორი
მურღულია ნუგზარ	პროფესორი
ნიჟარაძე ჯუმბერ	პროფესორი
გიორგობიანი რუსუდან	ასოცირებული პროფესორი
სოხაძე ვასილ	ასისტენტ - პროფესორი
ტაბატაძე დემურ	პროფესორი
კაკუტაშვილი იოსებ	პროფესორი
ჯანყარაშვილი დავით	ასოცირებული პროფესორი
ნაცვლიშვილი ალექსანდრე	ასოცირებული პროფესორი
ყორღანაშვილი ლალი	ასოცირებული პროფესორი
ტაბატაძე ანა	ასოცირებული პროფესორი
წიქარიშვილი მალხაზ	პროფესორი
ზამბახიძე ლერი	პროფესორი
ჭურჭელაური ბადრი	ასოცირებული პროფესორი
მეტრეველი გელა	ასოცირებული პროფესორი
ბერიძე ლია	ასისტენტ - პროფესორი
პეტრიაშვილი მაია	პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი

## 5.2. სახელმძღვანელოები

### 1) ავტორი/ავტორები

1. თ.ბაციკაძე, ჯ.ნიჟარაძე
2. თ.ბაციკაძე, ჯ.ნიჟარაძე
- 3.ტ. კვიციანი
4. მ.წიქარიშვილი
5. მ.წიქარიშვილი
6. ლ. ჯიქიძე

### 2)სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

- 1.Соппротивление материалов. Часть I . ISBN 978-9941-20-379-4
2. Соппротивление материалов. Часть II
3. ფერდოს მდგრადობა და გამაგრებითი საინჟინრო ღონისძიებები
4. ხარისხის კონტროლი მშენებლობაში,ISBN978-9941-28-671-1
5. საინჟინრო და სამეცნიერო კვლევის საფუძვლები,ISBN 978-9941-28-675-9
6. თეორიული მექანიკა (სტატიკა, კინემატიკა), ISBN 978-9941-28-780-0

### 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”. თბილისი. 2021წ.
2. საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”. თბილისი. 2021წ.
3. სამშენებლო ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტებისათვის განკუთნილი სახელმძღვანელო მომზადების პროცესშია და განზრახულია მისი გამოცემა მომავალ წელს „ტექნიკური უნივერსიტეტის“ გამომცემლობაში.
4. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“
5. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“
- 6.თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“

### 4) გვერდების რაოდენობა

1. 128 გვერდი
2. 132 გვერდი
3. სავარაუდოდ 250-300გვერდი.
4. 128 გვერდი
5. 152 გვერდი
- 6.. 461 გვერდი

### ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

- 1.Соппротивление материалов. Часть I  
თ.ბაციკაძე, ჯ.ნიჟარაძე

**ანოტაცია:** რუსული სახელმძღვანელო - მასალათა გამძლეობა, **I ნაწილი** - შედგენილია სილაბუსის მიხედვით, რომელიც შეიცავს ამ საგნის პირველი ნაწილის ძირითად საკითხებს. სახელმძღვანელო უხვად არის დაილუსტრირებული, რაც მკითხველს აძლევს შესაძლებლობას უფრო ნათლად წარმოიდგინოს შესასწავლი საკითხები. სახელმძღვანელოში შესაბამისი თემების შეუცდომლად აღქმის მიზნით და მასალის სწორად შეცნობისათვის ყოველი თავის ბოლოს დართულია კითხვა-პასუხები.

სახელმძღვანელო შედგება შვიდი თავისაგან: შესავალი, გაჭიმვა-კუმშვა, დამაბული მდგომარეობის ანალიზი, სუფთა ძვრა, გრეხა და ღუნვა

სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის რუსულენოვანისტუდენტებისათვის და აგრეთვე სპეციალისტებისათვის მათ პრაქტიკულ საქმიანობაში გამოსაყენებლად.

## **2. Сопротивление материалов. Часть II**

### **თ.ბაციკაძე, ჯ.ნაჭარაძე**

**ანოტაცია:** რუსული სახელმძღვანელო - მასალათა გამძლეობა, **II ნაწილი** - შედგენილია სილაბუსის მიხედვით, რომელიც შეიცავს ამ საგნის მეორე ნაწილის ძირითად საკითხებს. მასში ბლომადაა მოყვანილი მაგალითები და ილუსტრაციები. ესმკითხველს აძლევს შესაძლებლობას წარმოიდგინოს საკითხები უფრო ნათლად. სახელმძღვანელოში ყოველი თავის ბოლოს დართულია კითხვა-პასუხები იმისათვის, რომ შესაბამისი თემები მის მიერ აღქმული იქნას უტყუარად და მასალათვისებული იქნას შეუცდომლად.

სახელმძღვანელო შედგება შვიდი თავისაგან: გადაადგილებათა განსაზღვრა ღუნვისას, გადაადგილებათა განსაზღვრის ენერგეტიკული მეთოდები, სტატიკურად ურკვევი სისტემების გაანგარიშება, რთული წინაღობა, კონსტრუქციული ელემენტების გაანგარიშების პრინციპები დრეკადობის ზღვრის მიღმა, დეფორმირებადი სისტემების წონასწორობის მდგრადობა, გაანგარიშება დინამიკურ დატვირთვებზე.

სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის რუსულენოვანი სტუდენტებისათვის და აგრეთვე ინჟინრებისათვის მათ პრაქტიკულ საქმიანობაში გამოსაყენებლად.

## **3. ფერდოს მდგრადობა და გამაგრებითი საინჟინრო ღონისძიებები**

### **ტ. კვიციანი**

**ანოტაცია:** სახელმძღვანელოში განხილულია მყარ სხეულზე მოქმედი განაწილებული დატვირთვების (ქარის ძალა, ჰიდროსტატიკური წნევა, სეისმური ბიძგების და სხვ.) დაყვანა

ტოლქმედ ძალამდე და მისი მოდების წერტილის კოორდინატების განსაზღვრა. **მყარხეულზე მოდებული ნებისმიერი ძალთა სისტემის წონასწორობის** ვექტორული და სკალარული განტოლებები; წონასწორობისკერძო შემთხვევები: ბერკეტი; მყარი სეულის მდგრადობა გადაყირავებაზე. **მყარი სხეულის სხვადასხვა სახის მოძრაობების განტოლებები**; სხეულის ნებისმიერი წერტილების სიჩქარეებისა და აჩქარებების განაწილების კანონები, როგა სხული მოძრაობს გადატანითად; ბრუნვს უძრავი ღერძის გარშემო; ასრულებს ბრტყელ-პარალელურ მოძრაობას; ასრულებს რთული მოძრაობას. კონსერვატიული ძალის მუშაობის გამოთვლა პოტენციურ ძალთა ველში; მექანიკური სისტემის მდგრადი წონასწორობის მდებარეობის განსაზღვრის აუცილებელი პირობები ლაგრანჟ-დირიხლეს თეორემისა და სილვესტრის კრიტერიუმების მიხედვით.

განხილულია მექანიკური სისტემების მარტივი რხევები. კერძოდ, ერთი და ორი თავისუფლების ხარისხის მქონე სისტემის მცირე რხევები მდგრადი წონასწორობის მდებარეობის მახლობლობაში. მცირე რხევების გამოყენების საფუძველზე კონსერვატიული ძალთა ველში საიუსტრაციოდ ამოხსნილია ამოცანები სამშენებლო კონსტრუქციების მდგრადი წონასწორობის მდებარეობის განსაზღვრაზე.

სამოქალაქო, სამრეწველო, ჰიდროტექნიკური, სატრანსპორტო მაგისტრალების და სხვა მრავალი ობიექტის მშენებლობის განხორციელებისას ხშირად საქმე გვაქვს ხელოვნური და ბუნებრივი ფერდობების სტატიკური მდგრადობა-არამდგრადობის ამოცანებთან. ამ მიზნით სახელმძღვანელოში ფართოდაა გაშუქებული არსებული ბუნებრივი პირობების მაქსიმალური გათვალისწინებით სხვადასხვა პროფილის მქონე, ერთგვაროვანი და არაერთგვაროვანი მთის ქანების ფერდობების ძვრაზე მდგრადობის მარაგის კოეფიციენტის განსაზღვრის მეთოდები, ფერდობის სტატიკური მდგრადობის და მეწყერის სტაბილიზაციის უზრუნველყოფის, ოპტიმალური საინჟინრო ღონისძიების განხორციელების შესახებ ამოცანები.

#### **4. ხარისხის კონტროლი მშენებლობაში**

##### **მ. წიქარიშვილი**

**ანოტაცია:** მშენებლობა წარმოადგენს რთულ და ხანგრძლივ ღონისძიებას. მასში მონაწილეობენ სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციები. ისინი ასრულებენ ბევრ ურთიერთდაკავშირებულ სამუშაოებს. სამშენებლო ორგანიზაციების ერთობლივი საქმიანობა უზრუნველყოფს პროდუქციის მიღებას (დასრულებულ სამშენებლო ობიექტს). იმისათვის, რომ სამშენებლო პროდუქტებს ჰქონდეთ აუცილებელი მახასიათებლები და აკმაყოფილებდეს მითითებულ მოთხოვნებს, მშენებლობისას გამოიყენება ხარისხის კონტროლი. იგი აუცილებელია სამშენებლო პროდუქციის რაოდენობრივი და (ან) თვისებრივი მახასიათებლების დასადგენად.

მშენებლობაში ხარისხის კონტროლი მოიცავს ფაქტობრივი მონაცემების მოპოვებას და ამ მონაცემების შედარებას წინასწარ განსაზღვრულ მახასიათებლებთან. კონტროლის ობიექტს წარმოადგენს არამხოლოდ თავად სამშენებლო პროდუქცია, არამედ მისი შექმნის, ექსპლუატაციის, ტრანსპორტირების, შენახვის, ტექნიკური მომსახურებისა და შეკეთების პროცესები, აგრეთვე შესაბამისი დოკუმენტაცია. ეს

იწვევს სხვადასხვა კონტროლის სახეობების გამოყენებას სამშენებლო პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე.

მშენებლობაში ხარისხის კონტროლი წარმოადგენს საქმიანობას კონტროლის ობიექტების ფაქტობრივი მახასიათებლების (პროდუქციის, მასალების, პროცესების, მომსახურების) მოსაპოვებლად და დადგენილი მოთხოვნებისადმი მათი შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ხარისხის კონტროლის მიზნები, ეტაპები და მიმართულებები მშენებლობაში, მისი როლი ხარისხიანი პროდუქტის მიღების საქმეში. იგი განკუთვნილია პროგრამა „მშენებლობა“-ს ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისთვის და შედგენილია სილაბუსის მიხედვით.

## 5. საინჟინრო და სამეცნიერო კვლევის საფუძვლები

### მ.წიქარიშვილი

**ანოტაცია:** თანამედროვე პირობებში, როდესაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ვითარდება, ინტენსიურად იზრდება მეცნიერული და მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის მოცულობა. სწრაფი ცოდნის განახლებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უმაღლესი სასწავლებლების მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, რომლებსაც აქვთ ზოგადი მეცნიერული და პროფესიული მომზადება. მზად არიან, დამოუკიდებლად იმუშაონ, და წარმოების პროცესში დანერგონ უახლესი და პროგრესული მიღწევები.

ამ მიზნით ბევრ სასწავლო დაწესებულებაში ჩართულია დისციპლინა „მეცნიერული კვლევის საფუძვლები“. ფართოდ იწერება მეცნიერული კვლევის ელემენტები სასწავლო პროცესში. სწავლისაგან თავისუფალ დროს სტუდენტები მონაწილეობენ მეცნიერულ-კვლევით სამუშაოში, რომლებიც ტარდება სასწავლო დეპარტამენტებში, სასწავლო ლაბორატორიებში, უმაღლეს სამეცნიერო დაწესებულებებში, სტუდენტურ გაერთიანებებში.

ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში აღინიშნება გაზრდილი ინტერესი მეცნიერული კვლევებისადმი და სწრაფვა მეცნიერული მუშაობისკენ. სტუდენტები ნაკლებად ფლობენ მეთოდური სისტემის ცოდნას. ეს საგრძნობლად აფერხებს სტუდენტების მიერ სამეცნიერო სამუშაოების ჩატარების ხარისხს, არ აძლევს საშუალებას, მათ სრულად მოახდინონ თავიანთი შესაძლებლობების რეალიზაცია. ამასთან დაკავშირებით ამ ლექციების კურსში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა: მეთოდურ და თეორიულ ანალიზს სამეცნიერო კვლევებში, პრობლემის არსის განხილვას, თავისებურებებისა და სამეცნიერო კვლევების ლოგიკურ პროცესს, კვლევის მეთოდის ჩანაფიქრის გახსნასა და მის მთავარ ეტაპებს.

სტუდენტები იჩვენებენ მეცნიერულ მუშაობას, იძენენ უნარჩვევებს ჩაატარონ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი მიმართულებაა სტუდენტების თეორი-ული და პრაქტიკული მომზადების სრულყოფა, რათა მათ შეასრულონ სხვადასხვა მეცნიერული სამუშაო, რაც იძლევა შემდეგ შედეგებს:



- აღრმავებს და განამტკიცებს სტუდენტების თეორიულ ცოდნას შესწავლილი მეცნიერებისა და დისციპლინების განხრით;
- ავითარებს სტუდენტების პრაქტიკულ უნარს,გააკეთონ მეცნიერული მუშაობისას მიღებული შედეგების ანალიზი და რეკომენდაცია გაუწიონ ამა თუ იმ რიგის საქმიანობის სრულყოფას;
- სრულყოფილსხდის ინფორმაციის წყაროსთან და შესატყვის პროგრამულ-ტექნიკურ საშუალებებთანსტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის უნარჩვევებს;
- სტუდენტებს უქმნის ფართო შესაძლებლობას, დამატებით აითვისონ თეორიული მასალა და დააგროვონ პრაქტიკული ცოდნა მათთვის საინტერესო საქმიანობის მიმართულებით;
- ხელს უწყობს სტუდენტების პროფესიულ მომზადებას, შემდგომში შეასრულონ თავისი მოვალეობები და დაეუფლონ კვლევის მეთოდებს.

სალექციო კურსში გაერთიანებულია და სისტემატიზებულია აუცილებელი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია

სამეცნიერო კვლევებთანთემის არჩევიდან მის დაცვამდე.

ამ სალექციო კურსში მოცემულია არსებული ძირითადი მდგომარეობა ორგანიზაციასთან და სამეცნიერო კვლევებთან მიმართებაში, რომელიც გამოდგება ნებისმიერი სპეციალობის მქონეთათვის. განკუთვნილია სამგისტრო პროგრამა „მშენებლობა“-ს და სხვადასხვა საინჟინრო სპეციალობის სტუდენტებისთვის.

ეს სალექციო კურსი განკუთვნილია სპეციალისტთა ფართო წრისათვის, არ გვაწვდის დეტალურ მასალას ცალკეული სპეციალობებისათვის. ამიტომ ლექტორებს,რომლებსაც მიჰყავთ ეს კურსი, შეუძლიათ მასალები დამატებით შეავსონ იმ პროფილის მიხედვით, რომელიც მათ მიჰყავთ.

## 6. თეორიული მექანიკა (სტატიკა, კინემატიკა)

### ლ. ჯიქიძე

**ანოტაცია:** უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროგრამების თანამედროვე სწავლებასთან შესაბამისობაში მოყვანამ გამოიწვია მასში შემავალი ფუნდამენტური ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების საათების რაოდენობის შემცირება. ასეთ დისციპლინათა რიცხვში მოხვდა თეორიული მექანიკაც.

ამ საგანში სწავლების ახალ სისტემაზე გადასვლის გამო საკონტაქტო საათები ლექტორთან მნიშვნელოვნად შემცირებულია. აქედან გამომდინარე, წინამდებარე სახელმძღვანელოს გამოცემა მიზნად ისახავს, სტუდენტებს გამოუმუშაოს დამოუკიდებელი მუშაობისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.

სახელმძღვანელო მოიცავს თეორიული მექანიკის ორი ნაწილის - სტატიკისა და კინემატიკის თეორიულ მასალას, რომელიც შედგენილია უმაღლესი სასწავლებლების ტექნიკური სპეციალობებისათვის ამ საგნის სრული კურსის შესაბამისად. თეორიული მასალის გარდა, სახელმძღვანელოში მოცემულია ამოხსნილი ამოცანები, რომელთა დამუშავება და შესწავლა სტუდენტს საშუალებას მისცემს, თავისუფლად ამოხსნას დამოუკიდებლად შესასრულებელი ყველა დავალება.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა უმაღლესი სასწავლებლის ბაკალავრიატის ტექნიკური სპეციალობის სტუდენტებისათვის, ის ასევე დიდ დახმარებას გაუწევს მაგისტრანტებსა და ინჟინერ-მკვლევარებს.

## 5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

### 1)ავტორი/ავტორები

1. თ. ბაციკაძე
2. თ. ბაციკაძე
3. ვ. სოხაძე, რ. გიორგობიანი
4. ვ. სოხაძე, რ. გიორგობიანი
5. ნ. მურღულია, კ. იაშვილი, ლ. ყორღანაშვილი, ლ. ზამბახიძე
6. ტ. კვიციანი, ლ. ქვარცხავა
7. ლ. ყორღანაშვილი, ზ. მჭედლიშვილი
8. ზ. მჭედლიშვილი ლ. ყორღანაშვილი
9. მ. წიქარიშვილი, მ. ჯავახიშვილი, მ. მადრაძე
10. ს. ბლიაძე, მ. წიქარიშვილი
11. შ. ბაქანიძე, ლ. ზამბახიძე, თ. არუნაშვილი, გ. შალიტაური
12. ზ. მამალუა, დ. ტაბატაძე, დ. ჯანყარაშვილი
13. Sh. Bakanidze, A. Tabatadze, D. Tabatadze
14. ლ. ჯიქიძე, ვ. ცუცქირიძე, ე. ელერდაშვილი
15. ლ. ჯაფარიძე, თ. გობეჯიშვილი, მ. ლოსაბერიძე, ს. დემეტრაშვილი
16. Цицкишвили З. А., Гулуа Н. Г., Горгидзе Д. А
17. Горгидзе Д. А., Цицкишвили З. А., Мухашаврия С. Э
18. Гургенидзе Д. Р., Горгидзе Д. А., Цицкишвили З. А., Цицкишвили Р. А.
19. ა. ტაბატაძე, ლ. ავალიშვილი, თ. ჭანტურია
20. ტ. კვიციანი, ლ. ქვარცხავა
21. **G. Kipiani, B. Churchelauri**

### 2) სტატიის სათაური, ISSN

1. გამოხმაურება აკადემიკოს გ. კვესიტაძის მონოგრაფიაზე „თანამედროვე ეკოლოგია: გარემოს მდგომარეობა, დისბალანსის გამომწვევი მიზნები და რემედიაციული ტექნოლოგიები
2. რაც ყველამ უნდა იცოდეს
3. წრიული ფირფიტის განივი ღუნვის ერთი მაგალითი
4. წრიული თხელი ფილის (ფირფიტის) რხევა დარტყმითი იმპულსის ზემოქმედებით
5. დრეკად ფუძეზე მდებარე ფირფიტის დინამიკური გაანგარიშება
6. გრუნტის წყლების გავლენა ფერდოს სტატიკურ მდგრადობაზე. დეპრესიის მრუდის განტოლება
7. ტემპერატურული ზემოქმედების ქვეშ მყოფი თანაბრადგახურებული მრუდწირული თადის დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის ანალიზი

8. თხელკედლიანი კონუსური გარსის ტოლსიმტკიცის ამოცანა
9. შენობების კონტროლის და მართვის ავტომატიზირებული სისტემები, ISSN1512-3936
10. პერფორირებული ფირფიტის მოდელირება პლასტიკური დეფორმაციის გათვალისწინებით, ISSN1512-3936
11. გრუნტული ანკერების გაანგარიშება ევროპული სტანდარტის მეთოდით
12. ხიდურინაგებობის გამძლიერებასაექსპლუატაციო დატვირთვის გაზრდის საჭიროების გამო
13. Rational Design of a New Type of Two- and Three-Connector Molding Shields
14. ორ პარალელურ მბრუნავ ფოროვან დისკოს შორის დაწნეხილი გამტარი სითხის არასტაციონარული დინება სუსტი მაგნიტური ველისა და სითბოგადაცემის გათვალისწინებით ცვლადი გაჟონვის სიჩქარის შემთხვევაში. ISSN 1512-3936
15. კონსეკვენტური ტიპის მეწყერსაშიში ბლოკების მდგრადობის კოეფიციენტის დადგენა გრავიტაციული და სეისმური ძალების ერთობლივი ზემოქმედების პირობებში. ISSN 1521-407X
16. РЕШЕНИЕ ДВУМЕРНОЙ ГРАНИЧНОЙ ЗАДАЧИ ТЕОРИИ ТЕРМОУПРУГОСТИ ДЛЯ ПОЛОГО ЦИЛИНДРА КОНЕЧНОЙ ДЛИНЫ. ISBN 978-966-8219-84-9
17. ПРИМЕР ВИРТУАЛЬНОГО МОДЕЛИРОВАНИЯ И ИСПОЛЬЗОВАНИЕ ЦИФРОВЫХ ТЕХНОЛОГИЙ В ТЕОРЕТИЧЕСКОЙ МЕХАНИКЕ. ISBN 978-92-9472-197-6
18. ВЕРОЯТНОСТНЫЙ ПОДХОД ОЦЕНКИ СОСТОЯНИЯ ВОДОЕМА ПРИ ЗАГРЯЗНЕНИЙ СТОЧНЫМИ ВОДАМИ. ISBN 978-92-9472-197-6
19. საქართველოს მოქმედი ეროვნული სეისმური ნორმების „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პ.5.01.01-09) ზოგადი პრინციპები.
20. მთის ქანების ფერდოს პოტენციურად საშიში დაცურების ზედაპირის აღწერა ანალიზური ხერხით
21. STABILITY OF SANDWICH PLATES WITH CUTS AND HOLES

### 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. “ბიზნეს-ინჟინერინგი“.
- რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი N1-2.
2. “ბიზნეს-ინჟინერინგი“.
- რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი N1-2.
3. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“, №2 (58)
4. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“, №2 (58)
5. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“, №3 (59)
6. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომების კრებული (გამოსაცემად უკვე გადაცემულია)
7. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“. №1(57), 2021 წ.
8. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ №2(58), 2021წ.
9. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“, №58, 2021წ.
10. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“, №58, 2021წ.

11. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ №2(58), 2021წ.
12. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ №2(58), ISSN 1512-3936
13. ЕВРОПЕЙСКИЕ ИННОВАЦИОННЫЕ ТЕХНОЛОГИИ В ИНЖЕНЕРИИ ОКРУЖАЮЩЕЙ СРЕДЫ  
Монография Под общей редакцией З. Гвишиани и А. Гуриновича
14. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“, №2(58), 2021.
15. სამეცნიერო საინჟინრო საინფორმაციო ანალიზური რეფერირებადი“ სამთო ჟურნალი“ 1(44) 2021 წ.
16. Abstracts of V International Scientific and Practical Conference
17. Proceedings of IX International Scientific and Practical Conference
18. Proceedings of IX International Scientific and Practical Conference
19. სამეცნიერო -ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“, №2(58), თბილისი 2021
20. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომების კრებული (გამოსაცემად უკვე გადაცემულია)
21. INTERNATIONAL SCIENTIFIC JOURNAL "Problems of Mechanics"  
№ 3(84), 2021

#### **4)გამომცემისადგილი, გამომცემლობა**

1. საქართველოს საინჟინრო აკადემია“თბილისი, 2021წ.
2. საქართველოს საინჟინრო აკადემია“თბილისი, 2021წ.
3. საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”. თბილისი. 2021წ.
4. საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”. თბილისი. 2021წ.
5. საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”. თბილისი. 2021წ.
6. საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”. თბილისი. 2021წ.
7. საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”. თბილისი. 2021წ.
8. საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”. თბილისი. 2021წ.
9. საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”. თბილისი. 2021წ.
10. საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”. თბილისი. 2021წ.
11. საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”. თბილისი. 2021წ.
12. საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”. თბილისი. 2021წ.
13. Тбилиси 2021
14. საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”. თბილისი. 2021წ.
15. საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”. თბილისი. 2021წ.
16. Kyiv, Ukraine ©2021 Scientific Publishing Center —Sci-conf.com.ua ®
17. London, United Kingdom ©2021 Cognum Publishing House ® ©2021 Scientific Publishing Center “Sci-conf.com.ua” ®
18. London, United Kingdom ©2021 Cognum Publishing House ® ©2021 Scientific Publishing Center “Sci-conf.com.ua”
19. საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”. თბილისი. 2021წ.
20. საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”. თბილისი. 2021წ.
21. თბილისი. 2021წ.

## 5) გვერდებისრაოდენობა

- 1.3 გვერდი
- 2.5 გვერდი
- 3.3 გვერდი
- 4.5 გვერდი
- 5.4 გვერდი
- 6. 14 გვერდი
- 7.2 გვერდი
- 8. 2 გვერდი
- 9. 7 გვერდი
- 10. 6 გვერდი
- 11. 5 გვერდი
- 12. 4 გვერდი
- 13. 11 გვერდი
- 14. 5 გვერდი
- 15. 5 გვერდი
- 16. 4 გვერდი
- 17. 6 გვერდი
- 18. 9 გვერდი
- 19. 5 გვერდი
- 20. 14 გვერდი
- 21. 7 გვერდი

### ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

**1. გამოხმაურება აკადემიკოს გ. კვესიტაძის მონოგრაფიაზე „თანამედროვე ეკოლოგია: გარემოს მდგომარეობა, დისბალანსის გამომწვევი მიზნები და რემედიაციული ტექნოლოგიები**

**თ. ბაციკაძე**

**ანოტაცია:** აკადემიკოს გ. კვესიტაძის მიერ შემოთავაზებული ეკოლოგიური ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს წინასწარ სელექციურად შერჩეული მცენარეების და მიკროორგანიზმების ეთობლივ ტოქსიკური ბუნების მქონე ნივთიერების გარდაქმნაში ინოვაციურია და ანალოგია არგააჩნია. ეს ტექნოლოგია „მწვანე ქიმიის“ მიმართულებასაც ეთანადება მასში გათვალისწინებულია თითქმის ყველა მოთხოვნა და რეკომენდაცია. შემოთავაზებული რემედიაციული ტექნოლოგიების გამოყენება გარდაუვალია თანამედროვე ეკოლოგიური მდგომარეობის მზარდი პრობლემებიდან გამომდინარე. ნაშრომში განხილული ეკოლოგიური კონცეფციის შექმნას ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიების ინსტიტუტმა აკადემიკოს გიორგი კვესიტაძის ხელმძღვანელობით უდიდესი ძალისხმევა მოახმარა. გამოქვეყნდა 100-ზე მეტი ნაშრომი. მოხსენებები გაკეთდა 40-ზე

მეტ საერთაშორისო კონფერენციასა და სინკოზიუმზე. დაცულია 30-ზე მეტი საკანდიდატო და დისერტაცია. მიეძღვნა 14 მონოგრაფია სხვადასხვა ენებზე.

## **2. რაც ყველამ უნდა იცოდეს თ.ბაციკაძე**

**ანოტაცია:**სტატიაში თანამედროვე მონაცემებზე დაყრდნობით განვითარებულია თვალსაზრისი, რომლისმიხედვითაც ნათლად ჩანს, კავშირი და განსხვავება ადამიანის ჯანმრთელობისთვის ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს შორის როგორცაა ჰიპერტონია და ჰიპერტენზია. ნაჩვენებია მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მათ შორის. ახსნილია მათი წარმოშობის ძირითადი რეკომენდაციები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ორგანიზმის ჯანმრთელი მდგომარეობის შენარჩუნება და პათოლოგიების პროფილაქტიკა CO<sub>2</sub> - ის რეგულაციისა და სხვა ნორმების დაცვის საშუალებით.

## **3.წრიული ფირფიტის განივი ღუნვის ერთი მაგალითი ვ.სოხაძე, რ. გიორგობიანი**

**რეზიუმე:**განხილულია წრიული ფირფიტის განივი ღუნვა, როცა თანაბრად განაწილებული დატვირთვის მოქმედების ზონა ემთხვევა წრეწირის ერთ-ერთ რადიუსს. გამოთვლილია ჩაღუნვის გამოსახულება ფილის ცენტრისათვის.

**დასკვნა:** ფირფიტის ცენტრის ჩაღუნვის მიღებული გამოსახულება გვიჩვენებს, რომ ჩაღუნვა პირდაპირპროპორციულია განაწილებული დატვირთვის, ხოლო რადიუსის კუბურ ფუნქციას წარმოადგენს.

## **4.წრიულითხელიფილის (ფირფიტის) რხევადარტყმითი იმპულსის ზემოქმედებით ვ.სოხაძე, რ. გიორგობიანი**

**რეზიუმე:**განხილულია ფირფიტის რხევაცენტრის  $\epsilon$ -მიდამოში დარტყმითი იმპულსის ზემოქმედებით. ჩაღუნვის ფუნქციის მწკრივებად გაშლა ხდება ფურიე-ბესსელის მეთოდის გამოყენებით.

**დასკვნა:**წრიული ფირფიტისათვის ნაპოვნია ჩაღუნვის გამოსახულება ფურიე-ბესსელის მწკრივის სახით. როგორც შედეგიდან ჩანს, ჩაღუნვის სიდიდე პროპორციულია მოდებული იმპულსის და უკუპროპორციულია მოდების ზონის რადიუსის.

## **5. დრეკად ფუძეზე მდებარე ფირფიტის დინამიკური გაანგარიშება ნ.მურღულია,კ.იაშვილი,ლ.ყორღანაშვილი,ლ.ზამბახიძე**

**რეზიუმე:** ნაშრომში განხილულია დრეკად ფუძეზე მდებარე მართკუთხა ფირფიტის საკუთარი რხევის სიხშირეთა სპექტრის განსაზღვრის ამოცანა. დრეკადი ფუძის

მოდული პასუხობს გლასოვ-ლეონტიევის ფუძეს საგების ორი კოეფიციენტით. ფირფიტის ორი მოპირდაპირე გვერდი სახსრულად არის დაყრდნობილი, ერთი ხისტადაა ჩამოღებული, ერთიც თავისუფალია. პრობლემის გადასაწყვეტად გამოყენებულია რელიე-რიტცის ვარიაციული მეთოდი.

## **6. გრუნტის წყლების გავლენა ფერდოს სტატიკურ მდგრადობაზე. დეპრესიის მრუდის განტოლება**

### **ტ. კვიციანი, ლ. ქვარცხავა**

**ანოტაცია:** აღწერილია, როგორც ზედაპირული ისე გრუნტის წყლების გავლენა ფერდოს მასივის დეფორმაციულობაზე. მათი მოქმედების შედეგად იზრდება ჰიდროსტატიკურ და ჰიდროდინამიკურ ძალები, რაც იწვევს გრუნტის მასივის სიმტკიცის დაკარგვას და მეწყერ-ჩამონაქცევების წარმოიქმნას. ამიტომ ფერდოს მდგრადობაზე გაანგარიშებისას მნიშვნელოვან როლს ასრულებს გრუნტის წყლების დონეების მერყეობისა და დეპრესიული მრუდის მდებარეობის განსაზღვრა. განხილულია ფილტრაციული წყლის ნაკადის მოძრაობა ერთგვაროვანი გრუნტისაგან შემდგარი ფერდოში, რომელიც ეყრდნობა ჰორიზონტისადმი  $\alpha$  კუთხით დახრილ წყალშეუღწევ კლდოვან ფუძეს. შედგენილია და ამოხსნილი ფილტრაციული წყლის ნაკადის მოძრაობის დიფერენციალური განტოლება, რომელსაც აკმაყოფილებს დეპრესიული მრუდის განტოლება. დიფერენციალური განტოლების ამონახსნის მეშვეობით დეპრესიის თეორიული მრუდის ასაგებად შერჩეულია მახასიათებელი წერტილები. ფერდოს გეომეტრიული პარამეტრებისა და გრუნტის მახასიათებელთა სხვადასხვა მნიშვნელობების საშუალებით განსაზღვრულია მახასიათებელი წერტილების კოორდინატები.

დეპრესიის მრუდის ფერდოს ზედაპირზე გამოსვლის და შუა წერტილის კოორდინატების გასასაზღვრავად რიცხვითი მეთოდით მიღებული შედეგებით აგებულია დამხმარე გრაფიკები. საილუსტრაციოდ მოყვანილია ტესტური მაგალითის ამოხსნა.

დასაბუთებულია წყლის ფილტრაციული ძალების ანუ ჰიდროდინამიკური წნევის მოქმედების გავლენა გრუნტის ფერდოს მდგრადობის გაუარესებაზე. მიღებულია ფერდოს ზედაპირზე მდებარე ერთეული მოცულობის გრუნტის ნაწილაკის ძვრაზე მდგრადობის კოეფიციენტის გამოსათვლელი ფორმულა.

## **7. ტემპერატურული ზემოქმედების ქვეშ მყოფი თანაბრადგახურებული მრუდწირული თალის დამახულ-დეფორმირებული მდგომარეობის ანალიზი**

### **ლ. ყორღანაშვილი, ზ. მჭედლიშვილი**

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია სამშენებლო კონსტრუქციებსა და სხვადასხვა მანქანების აგრეგატებში გამოყენებადი ტემპერატურული ზემოქმედების ქვეშ მყოფი თალების სიმტკიცეზე და გადაადგილებაზე ანგარიშის ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც

წარმოადგენს მანქანებისა და კონსტრუქციების სამშენებლო მექანიკის ფუნდამენტალურ ამოცანას.

**8. თხელკედლიანი კონუსური გარსის ტოლსიმტკიცის ამოცანა**

ლ.ყორდანიანი, ზ. მჭედლიანი

რეზიუმე: სტატიაში განხილულია ზოგიერთ ქიმიურ დანადგარში ან ზოგიერთ სამშენებლო კონსტრუქციაში, წყლის მიმწოდებელ კომპლექსში გამოყენებული კონუსური ტიპის თხელი გარსის თანაბარგამძლეობაზე ანგარიში, როდესაც მისი ანგარიში დრეკადობის და მდგრადობის თეორიის ღერძულ-სიმეტრიული ამოცანების ამოხსნის პრინციპებზეა აგებული.

**9. შენობების კონტროლის და მართვის ავტომატიზირებული სისტემები**

მ.წიქარიანი, მ.ჯავახიანი, მ.მალაია

ანოტაცია: სტატიაში განხილულია შენობის კონტროლის და მართვის ავტომატიზირებული სისტემები, როგორც ჭკვიანი შენობების კონცეფცია. ჭკვიანი სახლის კონცეფცია გულისხმობს სხვადასხვა კონტროლის და მართვის ავტომატიზირებული სისტემების გამართულ მუშაობას. ეს იძლევა საშუალებას არა მხოლოდ თავიდან ავიცილოთ კონფლიქტები მათი ფუნქციონირებისას, არამედ უზრუნველყოთ ჰარმონიული ურთიერთქმედება. კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს: კონდიციონერი არ გააგრძელებს სათავსოს იმ დროს, როდესაც იგი თბება თბილი იატაკის მეშვეობით. ინტეგრაცია უზრუნველყოფს კომფორტს საცხოვრებელში. მთლიანი კომპლექსის მართვას ჭკვიანი სისტემა იღებს თავის თავზე. თქვენი ნებისმიერი სურვილის მიხედვით, როგორც დირიჟორი მართავს ორკესტრს, ჭკვიანი სახლი მართავს ყველა პროცესს, ხოლო თქვენ სარგებლობთ კომფორტით. ეს უკვე აღარ წარმოადგენს ფუფუნებას სან ეგზოტიკის საგანს. გონივრული სახლების სისტემები სწრაფად იჭრება ნიჟერს ცხოვრებაში. ასეთი სისტემების შექმნა შეუძლიათ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ ნორმალური სტაბილური შემოსავლები.

**10. პერფორირებული ფირფიტის მოდელირება პლასტიკური დეფორმაციის გათვალისწინებით**

ს.ბლიაძე, მ.წიქარიანი

ანოტაცია: რღვევის თეორიის შესწავლისას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს ძაბვათა ველის შესწავლა, განსაკუთრებით კონცენტრატორების მიდამოში. პრაქტიკულად ძაბვათა თავმოყრა ძირითადად გვხვდება არა მხოლოდ სიხისტეთა მკვეთრი ცვლილებების არეში, არამედ არამედ ნახვრეტების მიდამოშიც. კონცენტრაციის ამოცანის გადაწყვეტას ართულებს დატვირთვებიდან გამომდინარე მასალის ფიზიკური არაწრფივობა. სტატიაში განხილულია ღერძული დატვირთვის ქვეშე მყოფი უსასრულო ფირფიტა ცენტრალური ნახვრეტით. ეს ამოცანა პირველად



დრეკადობის კლასიკური თეორიის ფარგლებში ამოხსნილი იყო კირშის მიერ, ხოლო ცოტა მოგვიანებით ნ. მუსხელიშვილმა შემოგვთავაზა ამოხსნის სხვა ვარიანტი. სტატიის მიზანს წარმოადგენს პროგრამულ კომპლექს „nastran“-ში შევქმნათ საანგარიშო მოდელი, რომლის ამონახსენი მაღალი სიზუსტით მიუახლოვდება ანალიზურ ამონახსნს და ვიზუალურად გვექნება შესაძლებლობა შევაფასოთ მასალის ქცევა პლასტიკური დეფორმაციის შემთხვევაში.

## 11. გრუნტული ანკერების გაანგარიშება ევროპული სტანდარტის მეთოდით

**შ.ბაქანიძე, ლ.ზამბახიძე, თ.არუნაშვილი, გ.შალიტაური**

**რეზიუმე:** მოცემულია ბუნებრივი კალთების და მიწის ნაგებობების ფერდობის მდგრადობის ამამდლებელი კონსტრუქციების გრუნტული ანკერების ევროპული სტანდარტის მეთოდით გაანგარიშების კონკრეტული მაგალითი.

## 12. ხიდურინაგებობის გაძლიერება საექსპლუატაციო დატვირთვის გაზრდის საჭიროების გამო

**ზ. მამალუა, დ. ტაბატაძე, დ. ჯანყარაშვილი**

**ანოტაცია:** ხიდისებური ნაგებობები (ხიდები, აკვედუკები, ვიადუკები, გზაგამტარები) წარმოადგენენ ღეროვანი ელემენტების შეერთებით მიღებულ სისტემებს. უმარტივესი სისტემაა შუალედური ბურჯების გარეშე განხორციელებული ერთმალისანი კოჭი, რომელიც წარმოადგენს სტატიკურად რკვევად კონსტრუქციას სტატიაში წარმოდგენილია ხიდური ნაგებობის გაძლიერების ერთ-ერთი წესი, როდესაც მისი საექსპლუატაციო დატვირთვა რაიმე მიზეზით უნდა გაიზარდოს. ეს წესი მდგომარეობს შუალედური ბურჯის გარეშე განხორციელებულ ხიდურ ნაგებობაზე ამ უკანასკნელის მოწყობა და ამგვარად სტატიკურად რკვევადი სისტემის გადაქცევა სტატიკურად ურკვევადად, რომლის გაანგარიშებაც ხდება ცნობილი ძალთა მეთოდის კანონიკური განტოლებების გამოყენებით.

ხიდისებური ნაგებობები (ხიდები, აკვედუკები, ვიადუკები, გზაგამტარები) წარმოადგენენ ღეროვანი ელემენტების შეერთებით მიღებულ სისტემებს. უმარტივესი სისტემაა შუალედური ბურჯების გარეშე განხორციელებული ერთმალისანი კოჭი, რომელიც წარმოადგენს სტატიკურად რკვევად კონსტრუქციას უმარტივესის სტემაა შუალედური ბურჯების გარეშე განხორციელებული ერთმალისანი კოჭი, საექსპლუატაციო თანაბრად განაწილებული დატვირთვის ინტენსიურობით, დატვირთვით გამოწვეული მღუნავი მომენტები წარმოადგენს ამ კონსტრუქციისათვის დასაშვები საანგარიშო დატვირთვის ინტენსიურობის ზედა ზღვარს. არისშემთხვევები, როდესაც აუცილებელია საექსპლუატაციო დატვირთვის გაზრდა. ამისათვისარსებობსორიგზა: კოჭის დემონტაჟი და შეცვლა უფრო ძლიერი თანშუალედური ბურჯის მოწყობა და სტატიკურად რკვევადი სისტემის გადაქცევა

სტატიკურად ურკვევ სისტემად. ბურჯის აგება შესაძლებელია განხორციელდეს ისე, რომ არსებული ნაგებობის ექსპლუატაცია არ შეფერხდეს თანაბრად განაწილებული დატვირთვის მოქმედებისას. ბურჯის აგება დამთავრებულია მაშინ, როდესაც იგი შეეხება კოჭს. თუ დატვირთვის არ გავზრდით, მაშინ კოჭი არ აწვება ბურჯს და სქემა უცვლელია. დატვირთვაზე თანაბრად განაწილებული დატვირთვის დამატებით კოჭი დააწვება ბურჯს და მივიღებთ კოჭისა და ბურჯის შეხების წერტილში ურთიერთქმედების ძალას და ბურჯის საანგარიშო სქემა შეიცვლება. ამ ძალისგან საზღვრისათვის ვიყენებთ ცნობილ ძალთა მეთოდს

### **13. Rational Design of a New Type of Two- and Three-Connector Molding Shields**

**Sh. Bakanidze, A. Tabatadze, D. Tabatadze**

**ანოტაცია:** დღეს საქართველოში, მონოლითურ მშენებლობაში, ძირითადად იყენებენ უცხოური ფირმების („პერი“, „ოზლერი“, „პასალი“, „კრამოს“ და სხვა) ბრტყელ ყალიბებს. რაც შეეხება რთულპროფილურ ზედაპირებიან ყალიბებს, მათი გამოყენება ჩვენს მშენებლობებზე ჯერჯერობით არ ხდება.

შენობა ნაგებობათა შემომფარგლავ კედლებს აგებენ მრავალშრიანს. მონოლითური მშენებლობის შემთხვევაში სასურველია კონსტრუქციული შრე შესრულდეს მძიმე ბეტონით (ან რკინაბეტონით), ხოლო თბოსაიზოლაციო შრე-მსუბუქი ბეტონით. შრეების ერთობლივი მუშაობისათვის სხვა ღონისძიებების გარდა, მიზანშეწონილია მათი ურთიერთშეხების ზედაპირის ფართობის გაზრდა, რასაც ახორციელებენ შრეების ურთიერთმიერთებით რთულპროფილური ზედაპირით. შემოთავაზებულია მრავალშრიანი შემომფარგლავი კედლების მოწყობის ხერხი ახალი ტიპის რთულ პროფილურ ზედაპირიანი საყალიბე ფარის გამოყენებით რომელიც შედგება ერთმანეთთან მიერთებული ბრტყელი და რთულ პროფილური ელემენტებისაგან. ნაშრომში მოცემულია შემომფარგლავი კედლების დასაბეტონებელი საყალიბე ფარების კონსტრუქციული გადაწყვეტის მაერთებელი საყალიბე ფარები.

**14.ორ პარალელურ მბრუნავ ფოროვან დისკოს შორის დაწნეხილი გამტარი სითხის არასტაციონარული დინება სუსტი მაგნიტური ველისა და სითბოგადაცემის გათვალისწინებით ცვლადი გაჟონვის სიჩქარის შემთხვევაში.**

**ლ. ჯიქიძე, ვ. ცუცქირიძე, ე. ელერდაშვილი**

**ანოტაცია:** მიმდევრობითი მიახლოების მეთოდით (გრინის ფუნქციისა და მცირე პარამეტრის მეთოდი) შესწავლილია ორ პარალელურ მბრუნავ ფოროვან დისკოს შორის ელექტროგამტარი სითხის და წნეხვის არასტაციონარული ამოცანას უსტიერთგვაროვანი მაგნიტური ველისა და სითბოგადაცემის გათვალისწინებით, როცა გაჟონვის სიჩქარე წარმოადგენს სითხის ტემპერატურაზე დამოკიდებულ

$v_w(z, t) = v_0 T(z, t)$  სახის ფუნქციას.

ამოცანის ამოსახსნელად გამოყენებულია მაგნიტურ ველში ელექტროგამტარი სითხის არასტაციონარული მოძრაობის ნავიე-სტოქსის განტოლებათა სისტემა და ენერჯის განტოლება. ავტო მოდელური გარდაქმნებით სითხის მოძრაობისა და ენერჯის კერძო წარმოებულებიანი არაწრფივი დიფერენციალური განტოლებათა სისტემა ჩაწერილია ჩვეულებრივი არაწრფივი დიფერენციალური განტოლებათა სისტემის სახით, რომლის ამოხსნა გრინის ფუნქციის საშუალებით მიყვანილია შესაბამისი ინტეგრალურ-დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის ამოხსნაზე.

ამოცანის ამოხსნები იძებნება უსასრულო მწკრივების სახით რეინოლდსის რიცხვის მცირე მნიშვნელობებისათვის. სითხის მოძრაობის კინემატიკური, ჰიდროდინამიკური და სითბური მახასიათებლების განსასაზღვრავად აგებულია შესაბამისი ამოცანის გრინის ფუნქცია და ჩაწერილია რეკურენტული ფორმულები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს გამოვთვალოთ ამოცანის ამოხსნები ნებისმიერი მიახლოებით. ცხადი სახით ნაპოვნია პირველი ორი მიახლოება.გამოთვლილია სითხის დინების ყველა მახასიათებელი და მიღებულია გამოსახულებები დისკოებს შორის სითბოგადაცემისა და წნევის განაწილებისათვის. ორივე დისკოსათვის გამოთვლილია დისკოების ბრუნვის წინააღობის მომენტი და სითბოგადაცემის კოეფიციენტი.

### **15.კონსეკვენტური ტიპის მეწყერსაშიში ბლოკების მდგრადობის კოეფიციენტის დადგენა გრავიტაციული და სეისმური ძალების ერთობლივი ზემოქმედების პირობებში.**

**ლ. ჯაფარიძე, თ. გობეჯიშვილი, მ. ლოსაბერიძე, ს. დემეტრაშვილი**

**ანოტაცია:** განხილულია სეისმური ზეგავლენის ქვეშ მყოფი ბლოკური ტიპის კონსეკვენტური მეწყრულიტანის მდგრადობის გაანგარიშების არსებული მეთოდები. K კონკრეტული სამთო-გეოლოგიური პირობებისთვის გამოთვლილია მდგრადობის კოეფიციენტები. გაკეთებულია მათი მნიშვნელობების შედარებითი ანალიზი სეისმური ძალების ზემოქმედების გარეშე და ზემოქმედებით. შემოთავაზებულია რიცხვით-ანალიზური მეთოდი ასეთი ტანების მდგრადობის დასადგენად და იგივე სამთო გეოლოგიური პირობებისთვის დათვლილია მდგრადობის კოეფიციენტი.

### **16.„თერმოდრეკადობის თეორიის ორგანოზომილებიანი სასაზღვრო ამოცანის ამოხსნა სასრული სიგრძის ღრუიანი ცილინდრისათვის“**

**ზ.ციციშვილი, ნ. გულუა, დ. გორგიძე**

**ანოტაცია:** ნაშრომში განხილულია თერმოდრეკადობის თეორიის ორგანოზომილებიანი სასაზღვრო ამოცანა სასარული სიგრძის ღრუიანი ცილინდრისათვის, რომელზეც მოქმედებს სტაციონარული ტემპერატურული ველი და გარე დატვირთვა.

დასმული ამოცანის ამოხსნას გათვალისწინებული იქნა ნ.გ. ხომასურიძის შრომებში მიღებული შედეგები და ტრანსვერსალურად იზოტროპული სხეულისათვის ამოხსნილია თერმოდრეკადობის ორგანოზომილებიანი სასაზღვრო ამოცანა

ცილინდრულ-ელიფსურ კოორდინატებში. მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნას ელიფსური მრუდებით შემოსაზღვრული არეებისათვის. მიღებული შედეგების განზოგადება საშუალებას იძლევა სამშენებლო კონსტრუქციის ელემენტებში მსგავსი ამოცანების და მასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტისას მათი გამოყენების შესახებ.

## 17. „ვირტუალური მოდელირებისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მაგალითი თეორიულ მექანიკაში“

**დ.გორგიძე, ს. მუხაშავრია, ზ. ციციშვილი**

**ანოტაცია:** უკანასკნელ წლებში განათლება და მეცნიერება თანდათანობით ხდება უფრო ვირტუალური და ციფრული ლაბორატორიები ხდება სწავლების ერთ-ერთი ინსტრუმენტი. ვირტუალური მოდელის გამოყენებისას სტუდენტი ეუფლება ცოდნას, რომელიც ეფუძნება ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგების შეგროვებას და ანალიზს, ობიექტის ფიზიკური მახასიათებლების შესწავლას და ამ პროცესში ექსპერიმენტის შედეგების უტყუარობას ან მათ უკუგდებას. თანამედროვე საზოგადოების განვითარების სწრაფი ტემპი განათლების სფეროსაც შეეხო და ამის გამო ვირტუალური და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება 21-ე საუკუნის გამოწვევაა.

ამ მიზნით ნაშრომში განხილულია თეორიულ მექანიკაში ლაბორატორიული სამუშაოს „მყარი სხეულის ნებისმიერი ღერძის მიმართ ინერციის მომენტის განსაზღვრა გრებიითი ქანქარას საშუალებით“ ვირტუალური მოდელის შექმნისას გამოყენებული კომპიუტერული მოდელები, მიკროკონტროლიორები, პროგრამირების ენები და AdobeFlash პლათფორმა. ეს პლათფორმა საშუალებას იძლევა მიმდინარე პროცესების შესახებ მონაცემები გადავცეთ დანადგარს (FPM-05) ვირტუალური მოდელის გამოყენებით. ცდის შედეგების დიდი სიზუსტით ანალიზისათვის გამოყენებულია პოგრამა Mathcad.

## 18. „ალბათური მდგომა წყალსაცავის მდგომარეობის შესაფასებლად ჩამდინარე წყლებით დაბინძურების შემთხვევაში“

**ციციშვილი დ. გურგენიძე, დ. გორგიძე, ზ. ციციშვილი, რ.ციციშვილი**

**ანოტაცია:** ნაშრომში განხილულია მეცნიერულად დასაბუთებული დიაგნოსტიკის მეთოდი წყალსატევის სანიტარული მდგომარეობის და ეკონომიურ ფაქტორებზე დაყრდნობით დაბინძურების ხარისხის შეფასებისათვის. გამოყენებული სტატისტიკური ამოხსნის მეთოდი ფართოდ გამოიყენება ტექნიკური დიაგნოსტიკის სხვადასხვა მიმართულებით. იმის გამო, რომ წყალსატევის სანიტარული მდგომარეობის გაუარესება დაკავშირებულია საკმარისად დიდ მატერიალურ ხარჯებთან, ამიტომ რეკომენდირებული მეთოდის გამოყენება საშუალებას მოგვცემს გარკვეული ეკონომიური ეფექტი მივიღოთ.

სისტემის დასალაგებლად გაწეული ხარჯები და ზარალი, გამოწვეული წყალსატევის სანიტარული მდგომარეობის გაუარესებით დიდია, ამიტომ გამოყენებული მეთოდი იძლევა საშუალებას ავირჩიოთ მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგია ალბათურ-სტატისტიკურ მიდგომებზე დაყრდნობით, რომელიც წინასწარი რისკის პირობებში ეკონომიური ფაქტორების გათვალისწინებით განვსაზღვრავს იმ მომენტს, როდესაც საჭიროა სისტემის დალაგება. მაგალითისათვის განხილულია БПК<sub>5</sub>-ის (ჟანგბადის ბიოლოგიური მოთხოვნილება) როგორც წყლის ხარისხის შეფასების ერთ-ერთი ძირითადი პარამეტრის შემთხვევაში რისკების შეფასება წყლის ხარისხის გათვალისწინებით.

## 19. საქართველოს მოქმედი ეროვნული სეისმური ნორმების „სეისმომედეგი მშენებლობა“

### ა. ტაბატაძე, ლ. ავალიშვილი, თ. ჭანტურია

**ანოტაცია:** ადამიანთა მსხვერპლისა და ეკონომიკური ზარალის თავალსაზისით მიწისძვრები ყველაზე დიდ რისკს წარმოადგენს ბუნებრივ კატასტროფათა შორის მსოფლიო მასშტაბით. მიწისძვრისაგან მსოფლიოში ყოველწლიურად იღუპება საშუალოდ 140000 ადამიანი. ამალღებული სეისმური საშიშროების ზონაში ცხოვრობს პლანეტის მოსახლეობის დაახლოებით ერთი მესამედი, 2 მილიარდზე მეტი ადამიანი, მათ შორის საქართველოც. საქართველოს თითქმის მთელი ტერიტორია, იშვიათი გამონაკლისის გარეშე სეისმურად აქტიურია, ამიტომ პრობლემა საქართველოსთვის აქტუალურია. მიწისძვრის თავიდან აშორება შეუძლებელია, მაგრამ მისი კატასტროფული შედეგების მინიმუმამდე დაყვანა შესალებელია ანტისეისმურ ღონისძიებათა კომპლექსის გამოყენებით. ამ კომპლექსში წამყვანია მიწისძვრის შედეგების საინჟინრო ანალიზი, რომლის კონკრეტული გამოხატულება ამა თუ იმ სახელმწიფოს ნორმატიული დოკუმენტი. ნორმები შესაბამისობაშია მსოფლიო მეცნიერების გარკვეულ დონესთან. ნორმატიული დოკუმენტი რეგიონული ხასიათისაა, თუმცა სახელმწიფოთა უმეტესობას საერთო კონცეპტუალური დებულებანი აქვს. კერძოდ „სეისმომედეგი კონსტრუქციების დაპროექტების ზოგადი პრინციპი განისაზღვრება, ერთმხრის, საიმედობის ფაქტორით და მეორე მხრივ კი ეკონომიური ფაქტორით. ანუ ეს ნიშნავს ადამიანთა საკმაოდ მაღალი უსაფრთხოების უზრუნველყოფას მინიმალურად შესაძლო დანახარჯებით

## 20. მთის ქანების ფერდოს პოტენციურად საშიში დაცურების ზედაპირის აღწერა ანალიზური ხერხით

### ტ. კვიციანი, ლ. ქვარცხავა

**ანოტაცია.** აღწერილია, როგორც ზედაპირული ისე გრუნტის წყლების გავლენა ფერდოს მასივის დეფორმაციულობაზე. მათი მოქმედების შედეგად იზრდება

ჰიდროსტატიკურ და ჰიდროდინამიკურ ძალები, რაც იწვევს გრუნტის მასივის სიმტკიცის დაკარგვას და მეწყერ-ჩამონაქცევების წარმოქმნას. ამიტომ ფერდოს მდგრადობაზე გაანგარიშებისას მნიშვნელოვან როლს ასრულებს გრუნტის წყლების დონეების მერყეობისა და დეპრესიული მრუდის მდებარეობის განსაზღვრა. განხილულია ფილტრაციული წყლის ნაკადის მოძრაობა ერთგვაროვანი გრუნტისაგან შემდგარი ფერდოში, რომელიც ეყრდნობა ჰორიზონტისადმი  $\alpha$  კუთხით დახრილ წყალშეუღწევ კლდოვან ფუძეს. შედგენილია და ამოხსნილი ფილტრაციული წყლის ნაკადის მოძრაობის დიფერენციალური განტოლება, რომელსაც აკმაყოფილებს დეპრესიული მრუდის განტოლება. დიფერენციალური განტოლების ამონახსნის მეშვეობით დეპრესიის თეორიული მრუდის ასაგებად შერჩეულია მახასიათებელი წერტილები. ფერდოს გეომეტრიული პარამეტრებისა და გრუნტის მახასიათებელთა სხვადასხვა მნიშვნელობების საშუალებით განსაზღვრულია მახასიათებელი წერტილების კოორდინატები.

დეპრესიის მრუდის ფერდოს ზედაპირზე გამოსვლის და შუა წერტილის კოორდინატების გასასაზღვრავად რიცხვითი მეთოდით მიღებული შედეგებით აგებულია დამხმარე გრაფიკები. საილუსტრაციოდ მოყვანილია ტესტური მაგალითის ამოხსნა.

დასაბუთებულია წყლის ფილტრაციული ძალების ანუ ჰიდროდინამიკური წნევის მოქმედების გავლენა გრუნტის ფერდოს მდგრადობის გაუარესებაზე. მიღებულია ფერდოს ზედაპირზე მდებარე ერთეული მოცულობის გრუნტის ნაწილაკის ძვრაზე მდგრადობის კოეფიციენტის გამოსათვლელი ფორმულა.

## 21. STABILITY OF SANDWICH PLATES WITH CUTS AND HOLES

გ.ყიფიანი, ბ. ჭურჭელაური

**რეზიუმე:** თხელი ფირფიტების თეორიის საფუძველზე და განზოგადებული ფუნქციების თეორიის ელემენტების გამოყენებით მოგვარებულია კრიტიკული კომპრესიული დატვირთვის განსაზღვრის პრობლემა სენდვიჩის მართკუთხა ფირფიტაზე, რომელსაც აქვს ჭრილი. ერთი ჭრის აღრიცხვის მეთოდი, შეზღუდული სიგრძით, მართკუთხა გეგმის ერთ-ერთი მხარის პარალელურად, ვრცელდება მართკუთხა ჭრილის ან ხვრელის აღრიცხვაზე, რადგან ოთხ ჭრილს შეუძლია შექმნას დახურული ოთხკუთხა კონტური და, შესაბამისად, სიმულაცია მოახდინოს. ხვრელი. მიახლოებითი ფუნქციების განსხვავებული შერჩევით, ასევე შემოთავაზებულია სხვადასხვა ტიპის სასაზღვრო პირობების გათვალისწინება.

## 7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

### 7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ლ. ჯიქიძე, ვ. ცუცქირიძე, ე. ელერდაშვილი

2. ლ.ჯიქიძე, ვ. ცუცქირიძე, ე. ელერდაშვილი

2) მოხსენების სათაური

1. მაგნიტოჰიდროდინამიკის ერთი ამოცანის ზუსტი ამონახსნი
2. გამტარი სითხის დინება ფოროვან კედლებს შორის სითბოგადაცემით

3) ფორუმისჩატარებისდროდაადგილი

1. ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXXV საერთაშორისოგაფართოებულისხდომები.21-23 აპრილი, 2021, ქ. თბილისი.
- 2.საქართველოს მექანიკოსთა კავშირის XIIყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია (ეძღვნება აკადემიკოს ნ.მუსხელიშვილის დაბადებიდან 130 წლისთავს). 9.09.2021 – 11.09, 2021, ქ. ქუთაისი.

**მოხსენების ანოტაცია :**

1.შესწავლილია გამტარი ბლანტი არა კუმშვადი სითხის არასტაციონარული დინება ორ პარალელულ პლასტიკატს შორის, როდესაც დინების მართობულად მოქმედებს გარეგანი ერთგვაროვანი მაგნიტური ველი. სითხის დინება გამოწვეულია წნევის მუდმივი დაცემით. ლაპლასის ინტეგრალული გარდაქმნის მეშვეობით მიღებულია სითხის სიჩქარისა და მაგნიტური ველის ზუსტი ამონახსნები.

2.შესწავლილია ელექტროგამტარი ბლანტი არაკუმშვადი სითხისპულსაციური დინება ფოროვან კედლებს შორის სითბოგადაცემით,როდესაც მოქმედებს გარეგანი ერთგვაროვანი მაგნიტური ველი.მიღებულია ნავიე-სტოქსის და სითბოგადაცემის განტოლოებების ზუსტი ამონახსნები ელექტროგამტარი ბლანტი არაკუმშვადი სითხის არასტაციონარული მოძრაობის შემთხვევაში. მოძრაობის დასითბოგადაცემის ფიზიკური მახასიათებლები შესწავლილია მათეკარტმანის, პრანდტლის, რეინოლდსის რიცხვებისა და პულსაციურიდინების მსგავსების კრიტერიუმების მოქმედების ცვლილების გათვალისწინებით. სითბოგადაცემის განტოლოების ზუსტი ამონახსნებიმიღებულია სამ შემთხვევაში:

I. როდესაც სითბოგამტარებლობის განტოლებაში გათვალისწინებულია როგორც ხახუნის სითბო- $\eta \left( \frac{\partial V}{\partial x} \right)^2$ , ასევე ჯოულის სითბო- $\nu \left( \frac{\partial H}{\partial x} \right)^2$ ;

II. როდესაც სითბოგამტარებლობისგანტოლებაში გათვალისწინებულია მხოლოდ ხახუნის სითბო;

III.როდესაც სითბოგამტარებლობის განტოლებაში გათვალისწინებულია მხოლოდ ჯოულის სითბო.

## 7.2. უცხოეთში

### 1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. Цицкишвили З. А., Гулуа Н. Г., Горгидзе Д. А
2. Горгидзе Д. А., Цицкишвили З. А., Мухашаврия С. Э.
3. Гургенидзе Д. Р., Горгидзе Д. А., Цицкишвили З. А., Цицкишвили Р. А.

### 2) მოხსენების სათაური

1. РЕШЕНИЕ ДВУМЕРНОЙ ГРАНИЧНОЙ ЗАДАЧИ ТЕОРИИ ТЕРМОУПРУГОСТИ ДЛЯ ПОЛОГО ЦИЛИНДРА КОНЕЧНОЙ ДЛИНЫ.
2. ПРИМЕР ВИРТУАЛЬНОГО МОДЕЛИРОВАНИЯ И ИСПОЛЬЗОВАНИЕ ЦИФРОВЫХ ТЕХНОЛОГИЙ В ТЕОРЕТИЧЕСКОЙ МЕХАНИКЕ.
3. ВЕРОЯТНОСТНЫЙ ПОДХОД ОЦЕНКИ СОСТОЯНИЯ ВОДОЕМА ПРИ ЗАГРЯЗНЕНИИ СТОЧНЫМИ ВОДАМИ.

### 3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Abstracts of V International Scientific and Practical Conference Kyiv, Ukraine 24-26 January 2021
2. Proceedings of IX International Scientific and Practical Conference London, United Kingdom 7-9 April 2021
3. Proceedings of IX International Scientific and Practical Conference London, United Kingdom 7-9 April 2021



სამშენებლო ფაკულტეტის, ა. სოხაძის სახელობის, სამოქალაქო და სამრეწველო  
შენებლობის დეპარტამენტი №102

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის  
მითითებით

კახიანი ლია	პროფესორი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი
მემმარიაშვილი ელგუჯა	პროფესორი
ჭანტურია მათა	პროფესორი
ბალანჩივაძე ლია	პროფესორი
ესაძე სერგო	პროფესორი
სურგულაძე ბექა	პროფესორი
გურეშიძე გინა	პროფესორი
ლებანიძე ალექსანდრე	პროფესორი
ბიჭიაშვილი გიორგი	პროფესორი
ჭოხონელიძე გუგა	პროფესორი
ვერულაშვილი ფატიმა	ასოცირებული პროფესორი
მაისურაძე გიორგი	ასოცირებული პროფესორი
იაშვილი კონსტანტინე	ასოცირებული პროფესორი
მშვიდლობაძე ეია	ასოცირებული პროფესორი
ლუტიძე გიორგი	ასოცირებული პროფესორი
ვარდიაშვილი დავით	ასოცირებული პროფესორი
მელქაძე თეიმურაზ	ასოცირებული პროფესორი
სანიკიძე მამუკა	ასოცირებული პროფესორი
ავალიშვილი ლამარა	ასოცირებული პროფესორი
ნაკვეთაური ნინო	ასოცირებული პროფესორი
არეშიძე ნინა	ასისტენტ-პროფესორი
ბახტაძე ნინო	ასისტენტ-პროფესორი
მახაროვლიძე კახა	ასისტენტ-პროფესორი
ცაკიაშვილი ალექსი	ასისტენტ-პროფესორი
მუხიგულიშვილი მიხეილ	ასისტენტ-პროფესორი

## 5.2. სახელმძღვანელოები

### 1. სახელმძღვანელო

#### 1) ავტორი/ავტორები

1. ლ.კახიანი
2. გ.გურეშიძე
3. ფ.ვერულაშვილი
4. ა.ცაკიაშვილი

#### 2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. „სამშენებლო კონსტრუქციების რღვევის მექანიკა“ ISBN 624.012(02)

#### 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი
- 4) გვერდების რაოდენობა

1. 129 გვერდი

#### *ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)*

განხილულია სამშენებლო მასალების რღვევის მექანიკის საკითხები, შემოთავაზებულია მაგალითები და საგამოცდო კითხვები სტუდენტებისათვის.

### 2. სახელმძღვანელო

#### 1) ავტორი/ავტორები

1. დ.გურგენიძე
2. ლ.კახიანი
3. მ.სულაძე

#### 2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. „სამშენებლო კონსტრუქციების გაანგარიშება რკინაბეტონის რღვევის მექანიკის მეთოდების გამოყენებით“

#### 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი
- 4) გვერდების რაოდენობა

1. 80 გვერდი

#### *ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)*

სახელმძღვანელო გათვალისწინებულია სტუდენტებისათვის, შემოთავაზებულია სამშენებლო კონსტრუქციების გაანგარიშების თეორია, რიცხვითი მაგალითები და ელემენტების კონსტრუირება

განხილულია სამშენებლო მასალების რღვევის მექანიკის საკითხები, შემოთავაზებულია მაგალითები და საგამოცდო კითხვები სტუდენტებისათვის.

### 3. სახელმძღვანელო

#### 1) ავტორი/ავტორები

1. ლ.ავალიშვილი

2. რ.ომანაძე

2)სახელმძღვანელოსსახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი; ის, რაც უნდა აღინიშნოს

3) გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ თბილი 2021

4) გვერდებისრაოდენობა

1. 80 გვერდი

**ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)**

პირველი წართული კოსმოსური ობიექტის გენერალურ კონსტრუქტორს აკადემიკოს, გენერალ - მაიორ ელგუჯა მეძმარიაშვილს შეუსრულდა 75 წელი. მისმა წარმატებამ აღიარება მოუტანა თავად ავტორს და მთელ ტექნიკურ მეცნიერებას! კოსმოსურ ორბიტაზე გაიყვანა სრულიად საქართველო, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

ელგუჯა მეძმარიაშვილი - პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორი (1999); ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი( 1994). სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი (2005); მეცნიერი კოსმოსური ტექნიკისა და სამხედრო საინჟინრო დარგში, საქართველოს ემცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი,აკადემიკოსი (2001); გენერალ-მაიორი (1999წ) პროფესორი (1995); სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1996); გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატი (2007); ვახტანგ გორგასალის პირველი ხარისხის ორდენის კავალერი (1999) და ა.შ. საოცრებაა, მაგრამ ფაქტია ამდენი რეგალიები ერთ ადამიანს - ბატონ ელგუჯა მეძმარიაშვილს!

ჩვენ ამ დიდ წარმატებას ვერასოდეს ვიხილავდით, რომ არა აკადემიკოს, გენერალ-მაიორ ბატონ ელგუჯა მეძმარიაშვილის მასშტაბური სამეცნიერო და საინჟინრო პოტენციალი, მისი გასაოცარი შემოქმედებითი და ფიზიკური ენერგია, სიახლისაკენ დაუოკებელი სწრაფვა, გამომგონებლური ნიჭი, მაღალი სულიერება, პროგრესულ ფასეულობათა სისტემა და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი მისი განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭი.

#### **4.სახელმძღვანელო**

1) ავტორი/ავტორები

1. ფ.ვერულაშვილი;

2.თ.ხმელიძე;

3. გ.ყიფიანი;

2)სახელმძღვანელოსსახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. „კომპოზიტური კონსტრუქციები მშენებლობაში“

3) გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,თბილისი 2021წ.

4) გვერდებისრაოდენობა

1. 327 გვერდი

**ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)**

საღეჭციო კურსში განხილულია კომპოზიტური მასალების შექმნის, წარმოებაში დანერგვისა და განვითარების ტენდენციის საკითხები, მათი მშენებლობაში გამოყენების აქტუალობა, თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები. გადმოცემულია კომპოზიტური სამშენებლო კონსტრუქციების ძირითადი სახეობები, დეტალების, შეერთებების კონსტრუირებისა და გაანგარიშების მეთოდები, ექსპლუატაცია, ეკონომიკური ასპექტები. გაშუქებულია რკინაბეტონის ღუნვადი და კუმშვადი ელემენტების გარე დაარმატურების სისტემები.

ნაშრომი განკუთვნილია სამშენებლო ფაკულტეტის „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის“ სპეციალობის სტუდენტების, აგრეთვე დამპროექტებლების, ინჟინრების, მეცნიერი თანამშრომლებისა და ამ საქმით დაინტერესებული ყველა პირისათვის.

#### 5.4. სტატიებიციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

##### 1.სტატია

1) ავტორი/ავტორები

1. ლ.კახიანი

2.მ.მუხიგულიშვილი

3. კ.მახარობლიძე

4. კ.იაშვილი

2) სტატიისსათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1. „თანამედროვე ულამაზესი ცათამბრჯენები“.

3)ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ # 2(58) 2021წ.

4)გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

5) გვერდებისრაოდენობა

1. 3 გვერდი

##### *ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)*

მსოფლიოში მოსახლეობის მკვეთრმა მატებამ, ტექნიკის და ახალი ტექნოლოგიების განვითარებამ გამოიწვია დიდი ქალაქების მოსახლეობის სწრაფი ზრდა.

ტერიტორიის სიმცირის გამო, აუცილებელი გახდა მცირე ფართობზე დიდი რაოდენობის საცხოვრებელი ბინების შექმნა, რომელიც მხოლოდ მაღლივი და ზემადლივი შენობების მშენებლობისას არის შესაძლებელი.

##### 2.სტატია

1) ავტორი/ავტორები

1. ლ.კახიანი

2. ლ.ბალანჩივაძე

3. ნ.ნაკვეთაური

4. ფ.ვერულაშვილი

2) სტატისსათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1. „ცათამბრჯენების გავრცელებული კონსტრუქციული სქემები და კონსტრუირების ზოგადი მოთხოვნები“.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ #1 (57) 2021წ.

4) გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

5) გვერდებისრაოდენობა

1. 4 გვერდი

**ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)**

წინამდებარე სტატიაში განხილულია მაღალი და ზემალაღი(ცათამბრჯენები)

შენობების კონსტრუქციული სქემები, მათი გამოყენება, კონსტრუირების და

უსფრთხო ექსპლუატაციის პირობები; ცათამბრჯენების გაანგარიშებისას

აუცილებელია დაცული იყოს ნორმატიულ მასალებში „დატვირთვები და თანწყობა“

- ის მოცემული მოთხოვნები, ასევე გაანგარიშების სერტიფიცირებული პროგრამული კომპიუტერული სისტემები და სხვა.

### 3.სტატია

1) ავტორი/ავტორები

1. ლ.კახიანი

2. მ.სულაძე

3. კ.იაშვილი

4. ე.ქორქია

2) სტატისსათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1. „ მცირე ჰესების მშენებლობა საქართველოში“.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ #1 (57) 2021წ.

1. ჰიდროინჟინერია. N1-2 (29-30), 2021
2. ჰიდროინჟინერია. N1-2 (29-30), 2021
3. „მშენებლობა“ N 2(58), 2021 წ.
4. საქართველოს საინჟინრო სიახლენი, სსს 1'21 #1, vol. 92, 2021 ISSN 1512-02 87
5. საქართველოს საინჟინრო სიახლენი, სსს 1'21 #1, vol. 92, 2021 ISSN 1512-02 87

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი.
2. თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი.
3. თბილისი, სტუ
4. ტექინფორმი
5. ტექინფორმი

5) გვერდების რაოდენობა

1. 11გვერდი
2. 4
3. 6
4. 5
- 5.4

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1. ანოტაცია: ნაშრომში განიხილება მალლივი კაშხლებიდან ვარდნილი ნაკადებით

კლდოვანი ფუძის გარეცხვის ორმოს გაანგარიშების მეთოდი, რომელიც არსებული მეთოდებისგან განსხვავებით ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა კლდის ბზარიანობა, ვარდნილი ნაკადის

ფილტრაცია დაბზარულ კლდოვან ფუძეში, ფილტრაციული უკუწნევით ბუდიდან კლდოვანი ელემენტის ამომგდები ძალა და ა.შ. გამოყვანილია კლდოვანი ფუძის გარეცხვის სიღრმის საანგარიშო ფორმულა, რომელიც მაღალი სიზუსტით შეესაბამება არსებულ ნატურულ დაკვირვებებსა და

ლაბორატორიული კვლევების შედეგებს.

2) ნაშრომში განხილულია დასაწვიმი დანადგარის გვერდითი მდგრადობის საკითხი ფერდობზე მუშაობის დროს. დანადგარზე მოქმედ ძალთა მომენტების ბალანსირების განტოლების საფუძველზე მიღებულია დამოკიდებულება, რომელიც განსაზღვრავს რეაქტიული ძალების (წარმოქმნილი დასაწვიმი აპარატის მაღალწნევიანი ჭავლით) მოდების წერტილების კოორდინატებს დანადგარის შესაძლო გადაყირავების ღერძის მიმართ.

3) სტატიაში შესწავლილია ბაზალტფიბრობეტონის ცოცვადობის საკითხები გრეხისას. ნაჩვენებია,

რომ გრეხისას ბაზალტფიბრობეტონის ცოცვადობა კლებულობს, მასალის ასაკის ზრდის უკუპროპორციულად. დადგენილია მასალის ცოცვადობის გრეხისას და მათი ბაზალტფიბრობეტონის ასაკზე დამოკიდებულების კანონი.

შექმნილია ბაზალტფიბრობეტონის ძვრის ცოცვადობის ბირთვის უნივერსალური მოდელი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ასაკის გავლენას ცოცვადობაზე. შემუშავებულია ბაზალტფიბრობეტონის გრეხისას ცოცვადობის ბირთვების ამსახველ გამოსახულებებში შემავალი კონსტანტების მნიშვნელობები, მათი განსაზღვრის ფორმულები და კონსტანტების დამოკიდებულება მასალის ინტენსივობაზე, მასალის სტრუქტურაზე, ასაკზე და დროზე. მოცემულია კონსტანტების განსაზღვრის მეთოდიკა

## 6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

### 6.1. მონოგრაფიები/წიგნები

#### 1) ავტორი/ავტორები

- 1.
- 2.

#### 2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

- 1.
- 2.

#### 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

- 1.
- 2.

#### 4) გვერდების რაოდენობა

- 1.
- 2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

### 6.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

- 1.
- 2.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

- 1.
- 2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

- 1.
- 2.

4) გვერდების რაოდენობა

- 1.
- 2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

6.3. კრებულები

1) ავტორები

1. ვ. ნანიტაშვილი
2. მ. ყალაბეგიშვილი, მ. სანიკიძე. წყალსაცემი აუზის ფილის მდგრადობის საკითხი. Issue of Stilling Basin Slab Stability
3. მ. ყალაბეგიშვილი, მ. სანიკიძე. ცაგერის ბეტონის კაშხლის მდგრადობის ანალიზი Tsageri Concrete Dam Stability Analysis

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. 13th International Scientific and Practical Internet Conference «**MODERN MOVEMENT OF SCIENCE**», **18-19.10. 2021**.
2. 16th INTERNATIONAL SILK ROAD VIRTUAL CONFERENCE. October 14-15, 2021, Tbilisi, Georgia. (pp.115-121).
3. 16th INTERNATIONAL SILK ROAD VIRTUAL CONFERENCE. October 14-15, 2021 Tbilisi, Georgia (pp.183-188).

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. **Dnipro, Ukraine.**
2. Tbilisi, Georgia
3. Tbilisi, Georgia

#### 4) გვერდების რაოდენობა

1. 175-177.

2. 115-121

3. 183-188

#### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. ნაშრომში წარმოდგენილია ენგურჰესის სადაწნეო გვირაბის ექსპლუატაციის პრობლემები, რაც ძირითადად დაკავშირებულია გვირაბის მოკეთებიდან ფილტრაციულ დანაკარგებთან.

2021 წელს მოხდა გვირაბის დაცლა, რომლის დროს გამოვლენილი იქნა  $\approx 40$  მ-იანი სიგრძის მონაკვეთი, რომელშიც გახსნილი იყო სამშენებლო ნაკერი და ასევე გაჩენილი იყო ბზარები.

ხსენებული პროცესების ასახსნელად დამუშავებული იქნა გვირაბისა და მასივის ერთიანი სისტემის სასრულ-ელემენტული მოდელი, რომელშიც გათვალისწინებული იქნა ხეობის ტოპოგრაფიული და გეოლოგიური, ასევე სეისმოლოგიური მახასიათებლები.

წრფივი გაანგარიშების შედეგებით გამოვლენილი იქნა გვირაბის მოკეთებაში რადიალური და ტანგენციური ძაბვების არასიმეტრიულობა, რაც გამოწვეულია გარემომცველი მასივის (კირქვების) ანიზოტროპულობით და ხეობის ფორმის გავლენით. დამაბული მდგომარეობის საერთო სურათი მთლიანობაში კარგ შესაბამისობაშია გვირაბის რეალურ მდგომარეობასთან და შესაბამისად, კარგ საფუძველს იძლევა მოკეთებაში გაჩენილი ბზარების ახსნისათვის.

2. ნაშრომში განხილულია კაშხლის ქვემო ბიეფში ენერჯის ჩამქრობი ჭის წყალსაცემი ფილის მდგრადობის საკითხი წყალდიდობის ხარჯების გატარების დროს. წყალსაცემის მუშაობისას განდევნილი ნახტომის გავლენით წყალსაცემ ფილაზე ვითარდება ენერჯის დეფიციტი და არსებული ტურბულენტური რეჟიმის თანმხლები პულსაციური დატვირთვა. აღნიშნული დატვირთვები, ცალკეულ შემთხვევებში, აღწევს საკმაოდ მაღალ მნიშვნელობას. ამდენად, წყალსაცემი ფილის სიმტკიცისა და მდგრადობის (ცალკეულ შემთხვევაში ფილის ანკერირების) შეფასებისას საექსპლუატაციო დატვირთვებს შორის საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ნაკადის ჰიდროდინამიკური და ფილტრაციული წნევების ზემოქმედება.

ჰიდრავლიკური და სტატიკური გაანგარიშებების საფუძველზე ნაშრომში მოცემულია ცაგერის ჰიდროკვანძის სარეაბილიტაციო წყალსაცემი ფილის მდგრადობის რიცხვითი ანალიზის შედეგები, რაც გათვალისწინებულ იქნა პროექტირების სხვადასხვა სტადიაზე.

3. ცაგერის ბეტონის კაშხლი ( $h=23$ მ) განთავსებულია მსხილფრაქციული ხრემოვან გრუნტზე. ბატიმეტრული კვლევებისა და, ასევე წყალქვეშა დათვალისწინების შედეგად გამოვლენილი იქნა, რომ ენერჯის ჩამქრობი ჭის ფილა დანგრეული იყო და ფუძეში განვითარდა 5მ-იანი გამორეცხილი ორმო, რომელმაც შეაღწია კიდეც ნაგებობის ძირში. საჭიროა აღინიშნოს, რომ სწორედ კაშხლის უდაწნეო წახნგის მხარეს არსებობს მაღალი მკუმშავი ძაბვები.

ყოველივე რეალურ საშიშროებას ქმნიდა მდგრადობის დაკარგვის თვალსაზრისით.

წყალსაცემი ფილის დანგრევის შედეგად ფილტრაციული სიგრძე დამოკლდა, რამაც შესაბამისად გაზარდა დაწნევის გრადიენტები კაშხლის ფუძის გამორეცხვის ზონაში. აღნიშნულის შედეგად შემცირდა მარაგები სუფოზიისადმი.

„კაშხალი-ფუძე“ სისტემის სტატიკური გაანგარიშებები ჩატარებული იქნა საექსპლუატაციო დატვირთვების (მათ შორის ფილტრაციული დაწნევებისა) და ფუძის მასალის არაწრფივი 3 ღერძა დეფორმაციის გათვალისწინებით.

საჭიროა აღინიშნოს, რომ საზოგადოდ, გრუნტები კლდოვან ფუძესთან შედარებით ხასიათდებიან უფრო მაღალი მნიშვნელობის არაწრფივობით, რომლის გავლენაც ხსენებულ პირობებში კიდევ უფრო იზრდება.

„ძაბვა-დეფორმაციის“ აპროქსიმაციისათვის გამოიყენება ანალიტიკური დამოკიდებულება, რომელიც ემყარება მსხილფრაქციული გრუნტების ექსპერიმენტულ კვლევების შედეგებს. გრუნტების დეფორმაციის ანალიზისათვის გამოიყენება დატვირთვის დევიატორული უბანი მარსელასა და გუპტას ექსპერიმენტული კვლევების გათვალისწინებით.

„კაშხალი-ფუძე“ სისტემის არაწრფივი გაანგარიშებები ჩატარებული იქნა სასრული ელემენტების მეთოდის გამოყენებით ორ განზომილებიანი ამოცანის ფარგლებში. სისტემის არაწრფივი სიხისტის მატრიცის ფორმირება ჩატარებული იქნა იტერაციული გაანგარიშებების გზით.

მიღებული იქნა, რომ კაშხლისა და ფუძის საკონტაქტო ზონაში (ფუძეში არსებული გამორეცხვის უბანთან) მკუმშავი ძაბვების კონცენტრაციის გავლენით პლასტიკური დეფორმაციები გაზრდილია. აღნიშნულის შედეგად ადგილი აქვს ძაბვების გადანაწილებას. კერძოდ, მაღალი კონცენტრაციის ზონაში ადგილი აქვს დამაბული მდგომარეობის განტვირთვას ხოლო საკონტაქტო ზონის უფრო სიღრმისეულ კვეთებში კი დატვირთვას.

მდგრადობის ანალიზისათვის გამოყენებული იქნა გრუნტის სიმტკიცის შეფასება მორი-კულონის პირობის გამოყენებით.

ნაშრომში მოცემულია ცაგერის ბეტონის კაშხლისა და ფუძის არაწრფივი მუშაობის რიცხვითი ანალიზის ცალკეული შედეგები.

4. ბეტონის კაშხლების დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანია ტემპერატურული რეჟიმის გავლენა. ხშირ შემთხვევაში ტემპერატურული ძაბვები იწვევს ნაკერების გახსნას და ბზარების განვითარებას.

ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის მაგალითზე განხილულია არასტაციონალური ტემპერატურული რეჟიმის კვლევა. ნაშრომში მოცემულია თეორიული გაანგარიშებების შედეგები (მრავალწლიანი ციკლის) და ინსტრუმენტული (მათ შორის კლინომეტრები, ტილტმეტრები და თერმომეტრების) გაზომვების მიხედვით.

წარმოდგენილ ნაშრომში კაშხლის ტანში არასტაციონალური ტემპერატურული ვეილს სასრულ-ელემენტული მოდელის კვლევის საფუძველზე შეფასებული იქნება:

- კაშხლის ტემპერატურული რეჟიმები, რომელიც მოიცავს:
  - ზაფხულის თბილი პერიოდიდან ზამთრის ცივი პერიოდში გადასვლისას კაშხლის ტანის წახნაგებთან ტემპერატურული ვეილის ასიმპტოტური განაწილებას;
  - კრიტიკული გრადიენტები, რომლის დროს ირღვევა ბეტონის სიმტკიცის პირობა;
- კაშხლის სადაწნეო და უდაწნეო წახნაგებზე ბზარგანვითარება (რღვევის მექანიკის კრიტერიუმების გამოყენებით);
- თაღოვანი კაშხლის ტემპერატურულ-დეფორმირებული მდგომარეობა 2006 წელს წყალსაცავის რეჟიმულ და არარეჟიმულ შევსებასთან დაკავშირებით. მიღებული იქნა, რომ ტემპერატურის სეზონური ცვლილების შედეგად, როდესაც კაშხლის ზედაპირთან წარმოიშობა ზაფხულისა და ზამთრის პერიოდის ტემპერატურული ვარდნა ვითარდება გამჭიმავი ძაბვები, რომელთა მნიშვნელობა აღწევს ბეტონის წინაარმდეგობას გაჭიმვაზე. გაბურღვით მიღებული შედეგებით ბზარის ამჟამინდელი სიღრმე არ აღემატება 3-4 სმ-ს. გაანგარიშების შედეგებით მიღებული იქნა, რომ ბზარის შემდგომი განვითარება მოხდება თუკი კაშხლის ზედაპირთან განვითარებული ტემპერატურული ვარდნა 9 გრადუსით გაიზრდება.

#### 6.4. სტატიები

##### 1) ავტორი/ავტორები

1. Diakonidze R., Gvishiani Z., Lochoshvili T., Mchedlishvili K.
2. J. Phanchulidze, R. Diakonidze, G. Chakhaia, L. Tsulukidze

##### 2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. "Ecological Problems of Environment Mudflows and Their Prediction: Experience of Georgia". (is printed)
2. Flood prediction for designing innovative mudslide preventing constructions. Construction of (is printed).

##### 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. International Journal Environmental Monitoring and Assessment, 2021, , IF 2.8.Q2
2. optimized energy potential. The Publishing Office of Czestochowa Unuversity of Technology, Czestochowa 2021.

##### 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა



- 1.
- 2.

5) გვერდების რაოდენობა

1. 13 გვ
2. 6 გვ

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1. სტატიაში წარმოდგენილია ემპირიული დამოკიდებულებები და რეგრესიის განტოლებები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მყარი ნატანისა და ღვარცოფული ხარჯების საანგარიშოდ საქართველოს შეუსწავლელ მდინარეთა წყალშემკრები აუზებისათვის.

2. ანოტაცია: ნაშრომში მოცემულია წყლის მაქიმალური ხარჯების საანგარიშო გენეტიკური პრინციპის, განსხვავებული ინტერპეტაციის ემპირიული ფორმულა, რომელიც შემუშავებულია ჩამონადენის წარმოქმნელ ძირითად ფაქტორებზე ნატურული დაკვირვებების მასალების სათანადო დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე.

შესაბამისად, შემოთავაზებულია ინოვაციური წინადადება ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობების საიმედოობის გაზრდის მიზნით, ეს ნაგებობები უნდა დამონტაჟდეს უშუალოდ ლოკალური კერების - მცირე წყალშემკრები აუზის ფართობის მქონე მდინარეების, ან მათი შენაკადების ბოლო ჰიდროკვეთებში და, თავისთავად, შესაბამისი ჰიდროლოგიურ სიდიდეთა დაზუსტებული გაანგარიშებანი ჩატარდეს ჰიდროლოგიური დაკვირვებების არმქონე ამ მცირე ხეობისა და შენაკადებისათვის, რის საშუალებასაც იძლევა შემოთავაზებული მეთოდოლოგია.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. შ. კუპრეიშვილი, პ. სიჭინავა, თ. სუპატაშვილი
2. შ. კუპრეიშვილი, პ. სიჭინავა, თ. სუპატაშვილი
3. თ. სუპატაშვილი, შ. კუპრეიშვილი, პ. სიჭინავა
4. მ. ყალაბეგიშვილი, მ. სანიკიძე

2.

2) მოხსენების სათაური

1. კლიმატის ცვლილების ფონზე კოლხეთის დაბლობის მდინარეებში კალაპოტურ პროცესებზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა
2. წყალდიდობისა და წყალმოვარდნების საფრთხის შეფასება
3. მადანმომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმოების როლი გარემოს მძიმე მეტალებით დაბინძურებაში
4. წყალსაცემი აუზის ფილის მდგრადობის საკითხი

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 27 მაისი, 2021 წ. ქ. თბილისი I ონლაინ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერდისციპლინური კონფერენცია, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი;

2. 6 დეკემბერი, 2021 წ. ქ. თბილისი, I I ონლაინ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერდისციპლინური კონფერენცია, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი;

3. 6 დეკემბერი, 2021 წ. ქ. თბილისი , I I ონლაინ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერდისციპლინური კონფერენცია, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

4. 16th INTERNATIONAL SILK ROAD VIRTUAL CONFERENCE. October 14-15, 2021, Tbilisi, Georgia

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. Giorgi Dalakishvili, Konstantine Khazalia, Giorgi Turmanidze, Otar Sajaia.

2. M.Kalabegishvili, J.Chania,

2) მოხსენების სათაური

1. The effect of cement composition on the cracking resistance

2. Thermal regime and cracking Enguri arch dam

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. The 5th International Conference on Materials Engineering and nanotechnology 4th-5th Dec 2021 (online).

2. European Innovative Technologies in Construction and Environmental Engineering. II International Scientific-Practical Seminar. 2021

*4) მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*

1. წარმოდგენილია 6 სხვადასხვა სახის ცემენტისგან მომზადებული გამაგრებული ცემენტ-ქვიშის ხსნარის გახეხვის წინააღმდეგობის შესწავლის შედეგები. კრეკინგი შესწავლილია ჰოლოგრაფიული ინტერფერომეტრიის მეთოდის გამოყენებით, რომელიც საშუალებას იძლევა აღმოაჩინოს ბზარები უფრო ადრეულ ეტაპებზე, ვიდრე ეს შეიძლება გაკეთდეს სხვა მეთოდებით. აღწერილია მოწყობილობები, რომლებიც გამოიყენება შეკუმშვის წინააღმდეგობის შესაფასებლად შეკუმშვისა და მექანიკური დატვირთვის კომბინირებული მოქმედების შემთხვევაში. ბეტონის ტესტირების ლაბორატორიული პირობები ნაჩვენებია რეალურ სტრუქტურასთან ახლოს. თუ ვივარაუდებთ, რომ დრო გადის ნიმუშზე დაკვირვების დაწყებიდან ბზარის გამოვლენის მომენტამდე, როგორც ბზარის წინააღმდეგობის საზომი, შედარებულია სხვადასხვა მინერალური შემადგენლობის ცემენტები და გამომცხვარი კომპონენტების განსხვავებული შემცველობა. ავტორები გვთავაზობენ ჰოლოგრაფიული ინტერფერომეტრიის მეთოდის გამოყენებას ცემენტის ქვის და ბეტონის საბოლოო გაფართოების შესაფასებლად.

**წყალმომარაგების, წყალარინების, თბოაირმომარაგებისა და შენობების საინჟინრო  
აღჭურვის დეპარტამენტი №105**

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით:

1. დეპარტამენტის უფროსი - ალექსანდრე ბაგრატიონ- დავითაშვილი- პროფესორი
2. დავით გურგენიძე - პროფესორი
3. ლევან კლიმიაშვილი - პროფესორი
4. ზურაბ გვიშიანი - პროფესორი
5. ირმა ინაშვილი - პროფესორი
6. მარინა ნაცვლიშვილი - პროფესორი
7. მამული გრძელიშვილი - პროფესორი
8. ოთარ გიორგობიანი - პროფესორი
9. შოთა მესტვირიშვილი - პროფესორი
10. ნანი მეფარიშვილი - პროფესორი
11. ირაკლი შეყრილაძე - პროფესორი
12. კონსტანტინე ბზიავა - ასოც.პროფესორი
13. ირინა კლიმიაშვილი - ასოც.პროფესორი
14. ზაალ ცინაძე ასოც.პროფესორი
15. დიმიტრი კუჭუხიძე - ასოც.პროფესორი
16. ალექსი კოპალიანი - ასოც.პროფესორი
17. ხათუნა ხატიური - ასოც.პროფესორი
18. გიორგი ჩიტიაშვილი - ასისტ.პროფესორი
19. ირინა დენისოვა - ასისტ.პროფესორი
20. ქეთევან გორდეზიანი - ასისტ.პროფესორი
21. ხათუნა სოსელია - ასისტენტი
22. ეთერ სურამელაშვილი - ასისტენტი
23. ვლადიმერ ბოკერია - მოწვ. ასოც.პროფესორი
24. ლია სოსელია - პირველი კატეგორიის უმცრ.სპეციალისტი

**1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული  
სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

1.1.

1)

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

სამეცნიერო მიმართულება: თბოაირმომარაგება და ვენტილაცია

1. შემომზღვედი კონსტრუქციების თბური დაცვა დაფენილი ჭავლებით
2. დაბალი ენერგომოთხოვნილების სახლები და განახლებადი ენერგია

## 2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2018 – 2022
2. 2018 -2023

## 3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. გრძელიშვილი მამული - ხელმძღვანელი 2. კოპალიანი ალექსი - შემსრულებელი3. გიორგობიანი ოთარი - შემსრულებელი4. გოდერძიშვილი სოლომონი - შემსრულებელი
2. . გრძელიშვილი მამული - ხელმძღვანელი 2. კოპალიანი ალექსი - შემსრულებელი3. გიორგობიანი ოთარი - შემსრულებელი4. გოდერძიშვილი სოლომონი - შემსრულებელი

### *გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)*

1. შემომზღვედი კონსტრუქციების თბური დაცვა დაფენილი ჭავლებით. სასაზღვრო შრის თეორიის საფუძველზე შედგენილია დაფენილი იძულებითი და გრავიტაციული ჭავლების ენერჯის და მოძრაობის რაოდენობის განტოლებები შემომზღვედი კონსტრუქციის ზედაპირის გასწვრივ. კარმან-პოლჰაუზენის მეთოდით მათი ამოხსნის შედეგად მიღებულია ჰიდროდინამიური და თერმიული სასაზღვრო შრეების სისქეები ჭავლის საწყის და ძირითად უბნებზე ტურბულენტური მოძრაობის რეჟიმისათვის. სასაზღვრო შრეების სისქეების მიხედვით მიღებულია თბოგაცემის უგანზომილებო კოეფიციენტების საანგარიშო კრიტერიული განტოლებები, რომლებიც გამოიყენება სათბობ-სავენტილაციო ჭავლების პარამეტრების დასადგენად და თბური დატვირთვების საანგარიშოდ. გამოკვლეულია კონსტრუქციის ეფექტის გამოყენების შესაძლებლობები შემომზღვედი კონსტრუქციების ჭავლური თბური დაცვის მიზნით და დამუშავებულია სავენტილაციო ჭავლების შემომზღვედი კონსტრუქციებთან გავრცელების ფიზიკური მოდელები და მათი გათვლის საანგარიშო მეთოდები.

2. დაბალი ენერგომოთხოვნილების სახლები და განახლებადი ენერგია. ევროპარლამენტის დირექტივების თანხმად ევროკავშირის ტერიტორიაზე თითქმის ნახევარი საუკუნეა ხორციელდება ღონისძიებები შენობათა ენერგომოთხოვნილების შესამცირებლად და მიღებულია გაწყვეტილება, რომ 2050 წლისათვის ევროკავშირის ტერიტორიაზე ყველა შენობა იყოს ნულოვანი ენერგომოთხოვნილების ანუ დაცულ იქნას ZERO სტანდარტი, რაც გამორიცხავს

შენობებში წიაღისეული სათბობის მოხიკროკლიმატისმარებას.აქედან გამომდინარე საჭიროა დამუშავდეს ღონისძიებები შენობათა თბური დაცვის გაუმჯობესების და განახლებადი ენერჯის ფართოდ გამოყენების მიზნით. პროექტში განხილულია საქართველოს ტერიტორიულ კლიმატოლოგიური მონაცემების შესაბამისად შენობათა შემომზღუდი კონსტრუქციების თბოტექნიკური მახასიათებლების ევროპულ ნორმებთან შესაბამისობა და შენობათა მიკროკლიმატის უზრუნველყოფის მიზნით განახლებადი ენერჯის გამოყენების შესაძლებლობა.

დადგენილია შენობათა შემომზღუდი კონსტრუქციების ძირითადი თბოტექნიკური მახასიათებლები და შესწავლილია შენობათა მიკროკლიმატის უძრუნველყოფის სისტემებში განახლებადი ენერჯოტექნოლოგიების გამოყენება.

### **3.2.დასრულებული პროექტი**

**1)დასრულებული(მრავალწლიანი)პროექტისდასახელებამეცნიერებისდარგისადასამ ეცნიერომიმართულებისმიითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა**

1. NAWA (პოლონეთი)
2. აკადემიური თანამშრომლობა შესაძლებლობათა გაზრდისათვის გარემოს სწავლებაში (ACCES-156);საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, უაკ 502, 504; დამფინანსებელიავსტრიის თანამშრომლობის განვითარების სააგენტო (ADC), ქ.ვენა

**2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები**

1. 2019-2021
2. 2017-2021 წ.წ.

**3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)**

- 1.გვიშიანი ზ. – (კოორდინატორი);ვალერი მ. – (კოორდინატორი პოლონეთის მხრიდან)
- 2.პროფ. ირმა ინაშვილი (პროექტის პასუხისმგებელი კოორდინატორი, ადმინისტრირება და მართვა / ინჟინერ-ეკოლოგი)ასოც. პროფ. კონსტანტინე ბზიავა (პროექტის ძირითადი შემსრულებელი, სასოფლო-სამეურნეო ინჟინერია, აკრედიტაციის სპეციალისტი) პროფ. ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილი (მონაცემთა შეგროვება / სტატისტიკური ანალიზი, სასწავლო გეგმების და სილაბუსების შემუშავება) ასოც. პროფ. ირინა კლიმიაშვილი (ტრენინგების, სემინარების, სავლეუ გასვლებისა და ვიდეოკონფერენციების მხარდაჭერა)

ასისტ. პროფ. ირინა დენისოვა (პროექტის ფარგლებში დამუშავებული ორი სახელმძღვანელოს თანაავტორი).

**დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის  
ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია  
(ქართულენაზე)**

1. 2021 წლის აგვისტო-სექტემბერი - განხორციელდა ბელოსტოკის ტექნიკური უნივერსიტეტის (პოლონეთი) გარემოს ინჟინერიისა და მშენებლობის ფაკულტეტის დელეგაციის ვიზიტი სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტზე, 2021 წლის ნოემბერი - სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის დელეგაციის ვიზიტი ბელოსტოკის ტექნიკური უნივერსიტეტის (პოლონეთი) გარემოს ინჟინერიისა და მშენებლობის ფაკულტეტზე.

2. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და ქ. ვენის ბუნებრივი რესურსებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდებოდა ერთობლივი საქმიანი შეხვედრები, სემინარები, მრგვალი მაგიდა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და შესაძლო დამსაქმებლებთან (მწვანე კომპანიებთან) პროექტის მიზნებთან დაკავშირებით საჭიროებების, შეზღუდვებისა და ინტერესების დასადგენად და მიღებული ეტაპობრივი შედეგების გასაზიარებლად.

ლიტერატურული წყაროების მიმოხილვის საფუძველზე განხორციელდა საქართველოს გარემოსდაცვითი პირობების და მათთან დაკავშირებული რისკების ანალიზი და შეფასება.

განახლდა არსებული ინგლისურენოვანი სამაგისტრო სასწავლო პროგრამა „წყლის ინჟინერია“, რომელიც დამტკიცდა ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე. პროექტის ფარგლებში განახლებული პროგრამა დახვეწილი სტრუქტურით და შინაარსობრივი მრავალფეროვნებით უკვე იზიდავს უცხოეთის აბიტურიენტების ინტერესს. კერძოდ, ამჟამად აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის სრულ ორწლიან კურსს გადის სამხრეთ კორეის, ლიბანის და რუსეთის სტუდენტები, ხოლო 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრში, „ერაზმუს+“ პროგრამის ფარგლებში მოვლენილ იყო საფრანგეთის მონპელიეს უნივერსიტეტის ქალბატონი მაგისტრი.

დამუშავდა ახალი ინგლისურენოვანი სამაგისტრო სასწავლო პროგრამის „გარემოს ინჟინერია“ სტრუქტურული პაკეტი, რომელიც გამყარებულია უახლესი კვლევების შედეგებით, სასწავლო მეთოდებითა და ხერხებით და ახლო მომავალში ორმაგი ხარისხის მინიჭების შესაძლებლობას შექმნის.

ახალი მოსაზრებებისა და პერსპექტივების მიღწევის მიზნით პროფესიონალური, კულტურული და პირადი ცოდნის და გამოცდილების გაზიარება თსუ-ისა და ბოკუ-ს შორის, რაც ხორციელდება საერთაშორისო მივლინებებით.

2017 წლის 27 ნოემბრიდან 1 დეკემბრის ჩათვლით, ქ. ვენის ბუნებრივი რესურსებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების უნივერსიტეტში, BOKU- ში ჩატარდა საერთაშორისო ტრენინგი: ”დიდაქტიკური და ელექტრონული სწავლების

ინოვაციური სწავლების მეთოდები და ინსტრუმენტები უმაღლეს განათლებაში” ტრენინგს უჭერდა მხარს BOKU-ს ელექტრონული და დიდაქტიკური სწავლების ცენტრი. ტრენინგში მონაწილეობდნენ ახალგაზრდა და გამოცდილი პედაგოგების წარმომადგენლები და სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის ხელმძღვანელობა (7/29% ქალი).

პროექტის სამეცნიერო კომპონენტის ფარგლებში სტუ-ისა და ბოკუ-ს უნივერსიტეტების პროექტის სამეცნიერო გუნდის მიერ ერთობლივად დამუშავდა სამეცნიერო სტატია „ღვარცოფსადინარებში ღვარცოფული პროცესები და გვერდითი კუმშვის კოეფიციენტის განსაზღვრა“ (ინგლისურ ენაზე), რომელიც წარმოდგენილ იქნა 2018 წლის ოქტომბერს მე-5 საერთაშორისო კონფერენციაზე „ღვარცოფები: კატასტროფები, რისკი, პროგნოზი და დაცვა“ და გამოცემულ იქნა საერთაშორისო კონფერენციის მასალების სახით: <http://www.debrisflow.ru/en/df18/>

პროექტის ფარგლებში შეიქმნა ორი საერთაშორისო საინფორმაციო-საკომუნიკაციო პლატფორმა:

<https://appear.at/en/completed-project-websites/project135-access>

<https://iinashvili.wixsite.com/project135>

პროექტის ფარგლებში შეიქმნა და ამჟამად ჩაშვებულია ბეჭდვაში ორი სასწავლო ქართულენოვანი სახელმძღვანელო, რომელიც გათვალისწინებულია სწავლების სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის და დარგის სპეციალისტებისთვის, კერძოდ:

1. „წყლის რესურსების მონიტორინგი“
2. „გარემოს ინჟინერია“.

ასევე პროექტის ფარგლებში შემუშავდა და უცხოეთში გამოიცა ინგლისურენოვანი მონოგრაფია სახელწოდებით „წყლის რესურსების რეგულირება სოფლის მეურნეობაში - გარემოს პრობლემები“, რომელიც შემდგომ ითარგმნა და გამოიცა 7 (გერმანულ, ესპანურ, ფრანგულ, იტალიურ, პორტუგალიურ და რუსულ) უცხოურ ენაზე.

<https://www.amazon.com/Water-resources-regulation-agriculture-Environmental/dp/6203306258>

[https://www.morebooks.shop/gb/translation\\_bundle\\_3444628fd40](https://www.morebooks.shop/gb/translation_bundle_3444628fd40)

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ე. ვენისბუნებრივი რესურსებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ხუთწლიანი თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების და აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამას.

## 5.2. სახელმძღვანელოები

### 1) ავტორი/ავტორები

1. დ. გურგენიძე, ლ. კლიმიაშვილი, ა. ჩიქოვანი

2. პროფ. ირმა ინაშვილი (Professor Irma Inashvili); ასისტ. პროფ. ირინა დენისოვა (Assistant Professor Irina Denisova) ასოც. პროფ. კონსტანტინე ბზიავა (Associate



Professor Konstantine Bziava; ასოც. პროფ. ირინა კლიმიაშვილი (Associated Professor Irina Klimiashvili) ; პროფ. ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილი (Professor Alexander Bagration-Davitashvili)

3. პროფ. ირმა ინაშვილი (Professor Irma Inashvili) ; პროფ. ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილი (Professor Alexander Bagration-Davitashvili) ; ასოც. პროფ. კონსტანტინე ბზიავა (Associated Professor Konstantine Bziava; ასისტ. პროფ. ირინა დენისოვა (Assistant Professor Irina Denisova); ასოც. პროფ. ირინა კლიმიაშვილი (Associated Professor Irina Klimiashvili)

4. პროფ. შოთა მესტვირიშვილი ; ასისტ. პროფ. ირინა დენისოვა

## **2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN**

1. ბეტონმცოდნეობა  
ISBN 978-9941-28-725-1

2. წყლის რესურსების მონიტორინგი (Water Resources Monitoring), ISBN 978-9941-28-783-1

3. გარემოს ინჟინერია (Environmental Engineering), ISBN 978-9941-28-784-8

4. გაზომვარაგება, ISBN 978-9941-28-793-0

## **3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2021 წ.

2. ჩაშვებულა ბეჭდვაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“

3. ჩაშვებულა ბეჭდვაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“

4. ჩაშვებულა ბეჭდვაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“

## **4) გვერდების რაოდენობა**

1. 276 გვ.
2. 577 გვ.
- 3.237 გვ.
- 4.200 გვ.

### **ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)**

1.სახელმძღვანელოს მიზანია გავეცნოთ ბეტონთმცოდნეობის თანამედროვე თეორიას და პრაქტიკას, შევისწავლოთ სხვადასხვა შედგენილობისა და სახეობის ბეტონის დაპროექტება, სწორად შევარჩიოთ და გამოვიყენოთ ბეტონის სხვადასხვა სახეობა. ნაშრომი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სამშენებლო სპეციალობის მაგისტრანტებისათვის, ის ასევე დაეხმარება სამშენებლო სფეროში დასაქმებულ ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს.

2.ბუნებრივი წყლების ხარისხის შესახებ ინფორმაცია მნიშვნელოვანია როგორც ეკოლოგიური თვალსაზრისით, ისე საჭიროა ყველა სახის წყალმომხმარებელთათვის. ინფორმაციის მიღება ბუნებრივი წყლების ხარისხის შესახებ ხორციელდება მონიტორინგის სისტემების საშუალებით.

ტერმინი მონიტორინგი გულისხმობს გარემოზე დაკვირვებას, მისი მდგომარეობისა და ანთროპოგენული ზემოქმედებით გამოწვეული ცვლილებების ანალიზს, შეფასებასა და პროგნოზირებას.

- მონიტორინგი მოიცავს რამდენიმე ძირითად პროცესს:დაკვირვების ობიექტის გამოყოფა-განსაზღვრას;განსაზღვრული ობიექტის გამოკვლევას;დაკვირვების ობიექტის ინფორმაციული მოდელის შედგენას;ობიექტის მდგომარეობის შეფასებასა და ინფორმაციულ მოდელთან იდენტიფიცირებას;დაკვირვების ობიექტის ცვალებადობის პროგნოზირებას;მომხმარებლისთვის ინფორმაციის წარდგენას.

ზედაპირული და გრუნტის წყლების მონიტორინგის მეშვეობით შესაძლებელია დადგინდეს წყლის ობიექტების ეკოლოგიური სტატუსი. უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის სისტემა არ მოიცავს გარემოს ხარისხის მართვას, იგი იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას ეკოლოგიური კუთხით გადაწყვეტილების მისაღებად.

მონიტორინგის სისტემა არის წყლის ხარისხის მართვის პროგრამების განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი საინფორმაციო წყარო. იგი აგროვებს და ახდენს ისეთი ინფორმაციის სისტემატიზებასა და ანალიზს, როგორიცაა: გარემოს მდგომარეობა; მდგომარეობის მიმდინარე და მოსალოდნელი ცვლილებების მიზეზები (წყაროები და ზემოქმედების ფაქტორები); გარემოს ცვლილებების და დატვირთვების ზღვრები; ბიოსფეროს არსებული რეზერვები.

წყლის ხარისხის მართვის პროგრამების შემუშავებისთვის, მონიტორინგის სისტემები ახდენს ისეთი სახის ინფორმაციის მიწოდებას, როგორიცაა:

- ნიადაგსა და ბუნებრივ წყლებში დამაბინძურებელი ნივთიერებების მოხვედრის წყარო - წარმოება, ენერგეტიკა, ტრანსპორტი და სხვა ობიექტები; ჩამდინარე წყლები; დაბინძურებული და ბიოგენური ზედაპირული ჩამონადენი; ნიადაგში

შეტანილი სასუქები და შხამქიმიკატები; საწარმოო და კომუნალური ნარჩენების სამარხები; ტექნოგენური ავარიები, რომელთა შედეგად ნიადაგსა და წყალში ხვდება საშიში ნივთიერებები და ა.შ.

- დამაბინძურებელი ნივთიერებების წყალში გადატანის და მიგრაციის პროცესები;
- დამაბინძურებელი ნივთიერებების ლანდშაფტურ-გეოქიმიური გადანაწილების პროცესები - დამაბინძურებელი ნივთიერებების მიგრაცია ნიადაგის პროფილში გრუნტის წყლების დონემდე; დამაბინძურებელი ნივთიერებების მიგრაცია ლანდშაფტურ-გეოქიმიური შეუღლებით გეოქიმიური ბარიერებისა და ბიოქიმიური ბრუნვის გათვალისწინებით; ბიოქიმიური ბრუნვა და ა.შ.;
- ემისიის ანთროპოგენული წყაროების მდგომარეობის მონაცემები - ემისიის წყაროს სიმძლავრე და ადგილმდებარეობა, გარემოში ემისიის მოდინების ჰიდროდინამიკური პირობები.

მნიშვნელოვნად განსხვავებულია წერტილოვანი და დიფუზური დაბინძურების წყაროების მონიტორინგის და მართვის სტრატეგია. ვინაიდან დიფუზური დაბინძურება მწელად ექვემდებარება რეგულირებას, იგი მოითხოვს მთელი რიგი ანთროპოგენული ტრანსფორმირებული ობიექტების მართვის განხორციელებას. დიფუზური წყაროების გაბნევის ხასიათი (მაგ. სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, ურბანული ტერიტორიები) და დამაბინძურებელი ნივთიერებების მრავალფეროვნება ქმნის სირთულეებს მათი კონტროლის განხორციელებისას. მიუხედავად იმისა, რომ წყლის ხარისხის მართვის საკითხებში მიღწეულ იქნა გარკვეული პროგრესი, მაინც ჩასატარებელია დიდი სამუშაოები დიფუზური წყაროების ისეთი მართვის სტრატეგიის განსაზღვრისთვის, რომელიც იქნება როგორც ეკონომიკურად განხორციელებადი, ისე ეფექტური სხვადასხვა გარემო პირობებში. ამ მიზნის მიღწევაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მონიტორინგს.

დიფუზური დაბინძურების წყაროების ზემოქმედების ზონაში ხორციელდება შემდეგი პარამეტრებსა და ობიექტების მონიტორინგი: მყარი და თხევადი ნალექები (თოვლი, წვიმა);

ზედაპირული წყლები (მდინარეები, ტბები, წყალსაცავები და ა.შ.), გრუნტის წყლები, ბუნებრივი წყალსადინარების და წყალსაცავების შეწონილი და ფსკერული ნატანი; ნიადაგის აქტიური შრე; სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, მცენარეული საფარი, ნიადაგური ზოოცენოზი, შინაური და გარეული ცხოველების, ფრინველების, მწერების, წყლის ფლორის და ფაუნის დაბინძურება; დასახლებული პუნქტების ქიმიური და რადიაციული ფონი; სასმელი წყლის, საკვების და ა.შ. დაბინძურება; მოსახლეობის რაოდენობა და სიხშირე, შობადობა და სიკვდილიანობა, დაავადებები, თანდაყოლილი ანომალიები და სხვ.

მონიტორინგის შედეგად ხდება დიდი მოცულობის, სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის დაგროვება. მონაცემების ქვეშ იგულისხმება რაოდენობრივი ან თვისებრივი მახასიათებლების დაკვირვებული მნიშვნელობების ერთობლიობა. იგი შეიძლება იყოს ფიზიკური გაზომვების, ან რაიმე ნიშნის მიხედვით კლასიფიკაციის შედეგი. მონაცემების დამუშავებისთვის იყენებენ მათემატიკური სტატისტიკის მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს იმ ფაქტორების რაოდენობრივი

პარამეტრები, რომლებიც გავლენას ახდენს წყალში მიმდინარე პროცესების განმსაზღვრელი მაჩვენებლების ცვლილებაზე, დადგინდეს სხვადასხვა მოვლენების დროში განვითარების კანონზომიერებები, გამოვლინდეს ძირითადი ტენდენციები (ტრენდები), ობიექტურად გაიზომოს და შეფასდეს ურთიერთკავშირების ხასიათი, მოხდეს მოსალოდნელი ცვლილებების პროგნოზირება და სხვა.

ამგვარად, წყლის რესურსების მონიტორინგის ძირითადი მიზანია წყლის ხარისხის მდგომარეობის შეფასება, მასზე ნეგატიური გავლენის მქონე პროცესების დროული აღმოჩენა და ხარისხის ცვლილებების პროგნოზირება; წყლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ეფექტურობის შეფასება და წყლის ხარისხის მართვის სამსახურების ინფორმაციული უზრუნველყოფა.

სახელმძღვანელოში განხილულია მონიტორინგის პროგრამების შემუშავების ხერხები, რომლებიც მიმართულია დიფუზური წყაროების ზემოქმედებით გამოწვეული წყლის დაბინძურების შეფასებისა და წყლის ხარისხის მართვისა და კონტროლის მეთოდების ეფექტურობის დასადგენად. ვინაიდან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოთხოვნები მონიტორინგის მიმართ შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, სახელმძღვანელოში მოცემულია მონიტორინგის პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი თეორიული მასალა და ინფორმაცია, რომელიც მიესადაგება ისეთ კონკრეტულ გარემო პირობებს როგორცაა სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, ურბანული ტერიტორიები და სხვა.

სახელმძღვანელო განკუთვნილია სამშენებლო სპეციალობების სტუდენტებისათვის, როგორც ბაკალავრიატის საფეხურზე, ასევე მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის და მომიჯნავე სფეროში მომუშავე სპეციალისტებისა და მეცნიერებისათვის.

სახელმძღვანელო გამოცემულია ავსტრიის თანამშრომლობის განვითარების სააგენტოს (ADC) მიერ დაფინანსებული საერთაშორისო საგრანტო პროექტის #135 „აკადემიური თანამშრომლობა შესაძლებლობების გაზრდისთვის გარემოს დაცვის სწავლებაში - ACCES“ უმაღლესი განათლების და კვლევის განვითარების ავსტრიის პარტნიორობის პროგრამის (APPEAR) ფარგლებში, რომელშიც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად მონაწილეობას ღებულობდა ავსტრიის ქ. ვენის ბუნებრივი რესურსებისა და გამოყენებითი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების უნივერსიტეტი (BOKU).

3. გარემოს ინჟინერია, ფუნდამენტურ სამეცნიერო და საინჟინრო პრინციპებზე დაყრდნობით, ემსახურება ისეთი პრობლემების გადაჭრას, რომლებიც დაკავშირებულია გარემოს დაცვასა და ადამიანის კეთილდღეობასთან. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისეთ სფეროებში, სადაც ადამიანის საქმიანობა გავლენას ახდენს გარემო პირობებზე, ჰაერის, წყლისა და ნიადაგის სისუფთავის ხარისხზე.

გარემოს ინჟინრებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება პრობლემების გასაანალიზებლად, მათი აღმოფხვრის მიზნით რეკომენდაციების შესამუშავებლად და განხორციელებული ღონისძიებების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.

სახელმძღვანელოში „გარემოს ინჟინერია“ მოცემული ინფორმაცია განკუთვნილია სტუდენტებისა და პრაქტიკოსებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან როგორც გარემოს ინჟინერიის პრობლემებით, ასევე მათი გადაჭრის გზებით.

სახელმძღვანელოში ნათლად და ლაკონურად მოყვანილია გარემოს ინჟინერიის ძირითადი თემები. აღწერილია თითოეული თემის თეორიული ასპექტები, რასაც მოჰყვება პრაქტიკული მაგალითები, რომელებიც ასახავს მიმდინარე პროცესების გადაჭრის გზებს.

სახელმძღვანელო დაყოფილია ექვს თავად.

პირველ თავში განხილულია ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებული საკითხები, ჰაერის ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები, ჰაერის ხარისხის სტანდარტები, დაბინძურების ზემოქმედება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, ჰაერის გაწმენდის ტექნოლოგიები და ხერხები, დაბინძურების გავლენა კლიმატის ცვლილებაზე.

მეორე თავში განხილულია მყარი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხები, ნარჩენების წარმოქმნის წყაროები, კლასიფიკაცია, მახასიათებლები და მავნე ზემოქმედება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, მყარი ნარჩენების განთავსების ნორმები და დამუშავების ტექნოლოგიები, ნაგავსაყრელების მოწყობის დაპროექტების სტანდარტები და თანმდევი ტექნიკური აღჭურვილობა.

მესამე თავში განხილულია სახიფათო ნარჩენების მართვა, მათი განმარტება და კლასიფიკაცია, სახიფათო ნარჩენების ტოქსიკურობა, დამაბინძურებლების ზღვრული კონცენტრაციები, აუდიტის ჩატარების წესები, სახიფათო ნარჩენების გადამუშავების, სტაბილიზაცია/გამყარების და გაუვნებლობის ტექნოლოგიები, სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობის დაპროექტება და მშენებლობა.

მეოთხე თავში განხილულია წყალი და მისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, წყალში გახსნილი იონები, შეტივტივებული ნივთიერებები და მინარევები, წყლის ხარისხის ქიმიური მაჩვენებლები და განზომილების ერთეულები.

მეხუთე თავში განხილულია წყლის წრებრუნვა ბუნებაში, წყლის ბალანსი, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დამაბინძურებლები და დაბინძურების წყაროები, წყალში მოხვედრილი სასუქები, ფარმაცევტული და პირადი ჰიგიენის პროდუქტები, პესტიციდები და პათოგენური ორგანიზმები, სასმელი წყლის ხარისხის სტანდარტები და ჩამდინარ წყლებში დამაბინძურებელი ნივთიერებების ზღვრული კონცენტრაციები, ასევე, წყალსატევების სტრატეგიებისა და ეუტროფიკაციის გამომწვევი მიზეზები.

მექვსე თავში განხილულია წყლის გაწმენდასთან დაკავშირებული საკითხები, როგორცაა: წყლის ფიზიკურ-ქიმიური, მიკრობიოლოგიური და რადიოლოგიური მახასიათებლები, სასმელი და ჩამდინარი წყლების გაწმენდის ეტაპები, გამწმენდი სისტემები და ტექნოლოგიები, სადებიონფექციო ხსნარები და თანმხლები პროდუქტები, სასმელი და ჩამდინარი წყლების დამუშავების ნორმები და რეგულაციები, ასევე წყლის გამწმენდი სადგურების ნარჩენების მართვა.

სახელმძღვანელოში ფართოდ არის წარმოდგენილი ვიზუალური მასალა და გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრის პრაქტიკული მაგალითები.

სახელმძღვანელო განკუთვნილია სამშენებლო სპეციალობების სტუდენტებისათვის, როგორც ბაკალავრიატის საფეხურზე, ასევე მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის და მომიჯნავე სფეროში მომუშავე სპეციალისტებისა და მეცნიერებისათვის.

სახელმძღვანელო გამოცემულია ავსტრიის თანამშრომლობის განვითარების სააგენტოს (ADC) მიერ დაფინანსებული საერთაშორისო საგრანტო პროექტის # 135 „აკადემიური თანამშრომლობა შესამღებლობების გაზრდისთვის გარემოს დაცვის სწავლებაში - ACCES“ უმაღლესი განათლების და კვლევის განვითარების ავსტრიის პარტნიორობის პროგრამის (APPEAR) ფარგლებში, რომელშიც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად მონაწილეობას ღებულობდა ავსტრიის ქ. ვენის ბუნებრივი რესურსებისა და გამოყენებითი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების უნივერსიტეტი (BOKU).

4. გაზომმარაგება ენერგომომარაგების მნიშვნელოვანი დარგია, ეს განპირობებული აგაზის მრავალიდადებითი თვისებით: დიდი ენერგომეცველობით, გამოყენების სიადვილით, დაბალი ღირებულებით, ეკოლოგიური სისუფთავითა და სხვ. აღნიშნულის გამოგაზომმარაგება მთელ მსოფლიოში პრიორიტეტულია. მრავალ ქვეყანაში ბუნებრივი გაზის მოპოვების მასშტაბებმა არნახულ დონეს მიაღწია დაყოველწლიურად ტრილიონობით კუბურ მეტრ გაზს მოიპოვებენ: რუსეთი, აშშ, ირანი, არაბეთის ქვეყნები, ნორვეგია და სხვ. ათეულათასობით კილომეტრებზეა გადაჭიმული მაღალი წნევის (მაგისტრალური) გაზსადენები, რომელთა დიამეტრი ზოგჯერ 1 მეტრზე მეტია, მათში წნევაკი 50 ატმოსფეროს აღემატება და ხშირად 90-საც აღწევს.

მაგისტრალური გაზსადენების სიმჭიდროვე საქართველოში საგრძნობლად მაღალია, ის ბუნებრივი გაზით ამარაგებს: საქართველოს, სომხეთს და უახლოეს მომავალში, ბაქო-თბილისი-ერზერუმის მშენებარე გაზსადენის დასრულების შემდეგ მიეწოდება თურქეთსაც. აღნიშნული გაზსადენები ყველა ტრანზიტულია, რადგან ჯერჯერობით საქართველოს თავისი გაზი არ გააჩნია, უახლოეს მომავალში კი მოსალოდნელია ბუნებრივი გაზის პერსპექტიული საბადოების ექსპლოატაცია, კახეთსა და საქართველოს შავი ზღვის შეღფში.

საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი გაზით მომარაგება 1959 წლიდან დაიწყო და დასახლებული პუნქტების გაზიფიცირების სიმჭიდროვის მიხედვით, დღეს მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. მარტო თბილისში, გაზგამანაწილებელი ქსელის სიგრძე 2000 კილომეტრამდეა. საქართველოს გაზომმარაგების ინფრასტრუქტურის სიმჭიდროვის მაღალი დონე გაზის გამოყენების მასშტაბების გაზრდის საშუალებას იძლევა, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკის განვითარების საწინდარია და ხელს უწყობს ეკოლოგიური მდგომარეობი სგაჯანსაღებას.

გაზომმარაგების განვითარების პერსპექტივა დიდია არა მარტო გაფართოების თვალსაზრისით, არამედ ახალი ტექნოლოგიების დანერგვითაც. ბოლო წლებში, მთელმსოფლიოში ფართოდ გავრცელდა გაზომმარაგების ქსელებში არამეტალური მილების გამოყენება, რომელიც გაცილებით კოროზიამდგრადია, ასევე უფრო იაფია

და მისი ექსპლოატაციაც ადვილია. მოსახლეობას გაზი მიეწოდება საშუალო წნევით, ინდივიდუალური მარეგულირებელი მოწყობილობის გამოყენებით.

გაზმომარაგები სისტემებისა და ხელსაწყოების უსაფრთხო ექსპლოატაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეს აისახება ახალ ტექნოლოგიებში, რის შედეგადაც გაიზარდა თანამედროვე გაზმომარაგების სისტემების საიმედოობა.

### 5.3. კრებულები

#### 1)ავტორი/ავტორები

1. ნ. ნაცვლიშვილი; მ. ნაცვლიშვილი

2.

#### 2)კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. . წყალსადენისა და წყალარინების სისტემების ექსპლუატაცია (ლექციების კურსი) (უკ 628.1/628.2) (ISBN 978 9941-.....)

2.

#### 3) გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ ( ჩამვებულიუა დასაბეჭდად)

2.

#### 4) გვერდებისრაოდენობა

1. 72 გვ.

2.

#### *ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)*

ლექციების კურსი შედგენილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სამშენებლო ფაკულტეტის წყალმომარაგებისა და წყალარინების მიმართულების სტუდენტებისათვის, სასწავლო პროგრამისა და სილაბუსების შესაბამისად. იგი შეიცავს ინფორმაციას წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების, როგორც ქსელების აგრეთვე გამწმენდი ნაგებობების ექსპლუატაციის მუშათა რიცხვის და საფინანსო-ეკონომიური მაჩვენებლების შესახებ. იგი გამოადგებათ ამ სფეროში დაკავებულ დაინტერესებულ პირებსა და სპეციალისტებსაც. განხილულია წყალსადენისა და წყალარინების სისტემების ექსპლუატაციის საერთო დებულებები და ამოცანები; წყალსადენ-წყალარინების ობიექტების ექსპლუატაციის ორგანიზაციის საკითხები; პროგრამების გამოყენება სისტემის მონაცემების მოდელირებისას; სისტემების საიმედოობის, მართვისა და ლოგისტიკის საკითხები და სხვ.

### 5.4. სტატიებიციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

## 1) ავტორი/ავტორები

1. პროფ. შოთა მესტვირიშვილი ; ასისტ. პროფ. ირინა დენისოვა ; დოქტორანტი ალექსანდრე ბაბუნაშვილი
2. პროფ. შოთა მესტვირიშვილი ასისტ. პროფ. ირინა დენისოვა; დოქტორანტი გიორგი ჭალაშვილი
3. ზ. ცინაძე; ა. ბაგრატიონ-დავითაშვილი
4. ზ. ცინაძე; ე. სურამელაშვილი; გ. ებანოიძე
5. მ. ნაცვლიშვილი; ნ. ნაცვლიშვილი

## 2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1. გაზის ამოფრქვევები ზღვებსა და ოკეანეებში  
<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-2-194-201>
2. მაღლივი კორპუსების გაზმომარაგება  
<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-2-188-193>
3. Загрязнение реки Куры фармацевтическими препаратами группы антителипрепантов в акватории г. Тбилиси.
4. Загрязнение сточных вод фармацевтическими препаратами в условиях пандемии covid-19
5. საქართველოს დასახლებულ ადგილებში სასმელი წყლის მოხმარების შესახებ (628.1)

## 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული №2 (520), 2021. გვ. 194-201. ISSN 1512-0996  
DOI: <https://doi.org/10.36073/1512-0996>
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული No2 (520), 2021. გვ. 188-193. ISSN 1512-0996, DOI: <https://doi.org/10.36073/1512-0996>
3. WayScience. 2<sup>nd</sup> International Scientific and practical Internet Conference. 2021. T.2. 405-406



4. WayScience. 13th International Scientific and practical Internet Conference. 2021. 405-406

5. „ჰიდროინჟინერია“, (N1-2(29-30) 2021

#### 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. საქართველო, თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“
2. საქართველო, თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“
3. Дніпро, Україна
4. Дніпро, Україна
5. თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი

#### 5) გვერდების რაოდენობა

1. 8 გვ.
2. 6 გვ.
3. 2 გვ.
4. 3 გვ.
5. 3 გვ.

#### *ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)*

1. მსოფლიოში, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ინტენსიურად მიმდინარეობს ზღვებსა და ოკეანეებში არსებული გაზისა და ნავთობის საბადოების კვლევა. 1993-94 წლებში, უკრაინის სამეცნიერო-კვლევითი გემის „პროფესორი ვოდიანიცკი“-ს ექსპედიციის ფარგლებში, განხორციელდა საქართველოს შავი ზღვის შელფში ზღვის ფსკერიდან გაზშემოდინების წერტილების შესწავლა. მოცემულ ნაშრომში, ჩვენს მიერ განხორციელდა ექსპედიციის დროს მიღებული შედეგების ეკოლოგიური კუთხით შესწავლა. ანალიზმა გამოავლინა ის საშიშროებები, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს რეგიონში აღმოჩენილმა გაზის ამოფრქვევებმა. სტატიაში მოცემულია: აჭარის სანაპირო შელფის რუკა მასზე დატანილი გაზგამოვლინების წერტილებით; განხილულია მსგავსი გაზშემოდინების ადგილები შავი ზღვის ყირიმის სანაპიროზე; მოყვანილია კასპიის ზღვაში გაზის ამოფრქვევის შედეგები; გაანალიზებულია გაზის ამოფრქვევის შემთხვევაში ზღვის სიღრმეში არსებული გოგირდწყალბადის ფენის ზღვის ზედა ფენებში ამოტანის შედეგად გამოწვეული ეკოლოგიური ცვლილებების ხასიათი.

2. ნაშრომში განხილულია ბუნებრივი გაზის წნევის სიდიდის ცვლილება გაზგამანაწილებელი პუნქტისა და მომხმარებლის განთავსების ადგილებს შორის დონეთა მნიშვნელოვანი სხვაობის დროს. ამ შემთხვევაში წნევის სიდიდე შეიძლება უსაფრთხოების ნორმების ფარგლებიდან გამოვიდეს. შენობაში, სანთურის წინ ნომინალური წნევისგან განსხვავებული სიდიდით გაზის მიწოდება იწვევს გაზის არასრულ წვას და მხუთავი გაზის წარმოქმნას. ბუნებრივი გაზის გაჟონვა ნომინალურზე მაღალი წნევის პირობებში, იწვევს სათავსის ჰაერში გაზის

პროცენტული შემადგენლობის სწრაფ მატებას აფეთქების ქვედა ზღვარზე მაღალა, რაც ნარევის აფეთქებად საშიშს ხდის. აღნიშნულის გამო, რიგ ქვეყნებში, სამშენებლო ნორმების მიხედვით დაუშვებელია 10 სართულიანზე მაღალი შენობების გაზიფიცირება. საქართველოში მსგავსი აკრძალვის არარსებობის გამო აღნიშნული პრობლემა იძენს დიდ აქტუალურობას, ვინაიდან ქვეყანაში აშენებულია და შენდება მრავალი მაღლივი კორპუსი და მათი თითქმის 100% გაზიფიცირებულია.

3. ფარმაცევტული პროდუქტების არსებობა ნიადაგსა და ზედაპირულ წყლებში საგანგაშოა ბევრქვეყანაში. ფარმაცევტული პროდუქტები ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებია და შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ცოცხალ ორგანიზმებზე. ჩამდინარე წყლებში ნაპოვნი ფარმაცევტული საშუალებების სხვადასხვა კლასი. სხვა ფარმაცევტული საშუალებების მსგავსად, ანტიდეპრესანტები გარემოში ხვდებიან ადამიანის ექსპოზიციით ან გამოუყენებელი ან ვადაგასული წამლების პირდაპირ გადაყრით ტუალეტებში და საყოფაცხოვრებო ნარჩენებში, რომლებიც სათანადოდ არ არის დამუშავებული ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობებში და აბინძურებენ წყალს.

კვლევამაჩვენა, რომ კარბამაზეპინის კონცენტრაცია მტკვრის ათ წერტილში მერყეობდა 100-200 ნგ/ლ, რაც საკმაოდ სერიოზული დაბინძურებაა.

ეს აიხსნება ქალაქ თბილისის მოსახლეობის ცხოვრების წესით პანდემიის პირობებში - თვითიზოლაცია იწვევს გარკვეულ ფსიქიკურ აშლილობას და ფობიებს. შესაბამისად, იზრდება ანტიდეპრესანტების, მათ შორის კარბამაზეპინის მოხმარება, რაც იწვევს მისი კონცენტრაციის ზრდას მდინარე მტკვრის თბილისის აკვატორიაში.

4. ნაშრომში შესწავლილია ზედაპირულ წყლებში არსებული ფარმაცევტული საშუალებების შესწავლას COVID-19 პანდემიის პირობებში.

პანდემიის დროს საგრძნობლად გაიზარდა ფარმაცევტული პროდუქტების მოხმარება. ეს გამოწვეულია მოსახლეობის მიერ ეგრეთ წოდებული „პრევენციული მედიკამენტების“ მოხმარებით, რომლებიც, სავარაუდოდ, იცავს მათ COVID-19-ით ინფექციისგან. ეს ძირითადად ეხება ანტიბიოტიკებს, სიცხის დამწვევ და ტკივილგამაყუჩებელ საშუალებებს.

ვინაიდან ჩამდინარე წყლებში ფარმაცევტული პროდუქტების არსებობის პრობლემა დადგა ჩვენს წინაშე, შესწავლილია ამ ნივთიერებების მოცილების მეთოდები. მიუხედავად იმისა, რომ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები შექმნილია ბიოლოგიურ ნაერთებთან და ორგანულ ნივთიერებებთან მუშაობისთვის, ხელოვნური ქიმიკატების მოცილება გართულებულია, რადგან ისინი უფრო სტაბილურია და არა ბიოდეგრადირებადი.

ამიტომ, განხილულია მათი მოცილების თანამედროვე მეთოდები.

5. განხილულია საქართველოს დასახლებული ადგილების წყალმომარაგების სისტემების დაპორექტებისათვის სასმელი წყლის ხვედრითი ხარჯის ნორმატიული სიდიდის მიღების საკითხი, რომლის მნიშვნელობაზეა დამოკიდებული მთლიანი სისტემის გაანგარიშების სისწორე. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით საქართველოში

სასმელი წყლის მოხმარება გამოირჩევა ჩვევებით, ტრადიციებით, გეოგრაფიული მდებარეობით, კლიმატური პირობებითა და სხვა. ამიტომ, საჭიროა ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევების შედეგების მიხედვით შეირჩეს დასაბუთებული სიდიდეები

### 5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

#### 1)ავტორი/ავტორები

1. . D.Gurgenidze, A.Bagratiou-Davitashvili, I. Inashvili, K. Bziava, M.Soselia

ISSN1512-0287

2. დ.გურგენიძე, ზ.გვიშანი, ა. ბაგრატიონ-დავითაშვილი,

ზ.ცინაძე, ე.სურამელაშვილი, გ.ეხანოძე

ISSN1512-0287

3. დ.გურგენიძე, ა. ბაგრატიონ-დავითაშვილი, ზ. ცინაძე, ე. სურამელაშვილი, გ.

ეხანოძე. 4.პროფ. თამაზ ოდილაძე (Associate Professor Tamaz Odilavadze) ;პროფ.

ვილიბალდ ლოისქანდლი, ავსტრია (Professor Willibald Loiskandl, Austria); ასოც.

პროფ. კონსტანტინე ბზიავა (Associate Professor Konstantine Bziava; ასოცირებული

პროფესორი ინგა ირემაშვილი (Associate Professor Inga Iremashvili; ასისტ. პროფ. ირინა

დენისოვა (Assistant Professor Irina Denisova); პროფ. მარგარიტა ჰიმელბაუერი,

ავსტრია (Professor Margarita Himmelbauer

5. პროფ. შოთა მესტვირიშვილი; ასისტ. პროფ. ირინა დენისოვა; დოქტორანტი

გიორგი ჭალაიშვილი

#### 2)სტატიის სათაური, ISSN

1. . Frequency of Unpleasant Odour in Drinking Water in Some Districts of Tbilisi (ქ.

თბილისის ზოგიერთ რაიონში სასმელ წყალში არასასიამოვნო სუნის სიხშირე),

ISSN1512-0287

2. მდინარე მტკვრის დაბინძურება ფარმაცევტული პრეპარატებით ქ.თბილისის

მიმდებარე ტერიტორიებში ISSN1512-0287

3. ფარმაცევტული პრეპარატების გავრცელება სასმელ წყალში

ISSN1512-028

4. Some Features of the Joint Movement of Water and Vapor Mass in the Soil

(წიადაგმი წყლისა და აორთქლის მასის ერთობლივი გადაადგილების ზოგიერთი თავისებ

ურებანი), ISSN 1512-2344

5. მაღლივი საცხოვრებელი კორპუსების გაზომმარაგების ზოგიერთი საკითხი. ISSN 1512-0120

### **3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი**

1. საქართველოს საინჟინრო სიახლენი, #1, ტ. 92, 2021, გვ. 140-144 (Georgian Engineering News, N1, Vol. 92, 2021, p. 140-144)

2. საქართველოს საინჟინრო სიახლენი N1, 92, 2021წ.

3. საქართველოს საინჟინრო სიახლენი N2, 93, 2021წ.

4. Proceedings of the X International Scientific and Technical Conference „Modern Problems of Water Management, Environmental Protection, Architecture and Construction“, 25 – 27 JULY, 2021, (X-ე საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის „წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ მოხსენებების კრებული, 2021 წლის 25-27 ივლისი

5.. საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ „ენერჯია“-ს თემატურ გამოცემაში „ენერგეტიკის თანამედროვე პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები“, თბილისი, სტუ, ნაწილი II, N 2 (98)/2021, გვ. 84-86.

### **4) გამოცემის სადგილი, გამომცემლობა**

1.. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, GEN LTD, Georgian Engineering News

2. თბილისი-2021, საქართველოს საინჟინრო აკადემია

3. თბილისი-2021, საქართველოს საინჟინრო აკადემია

4. Ts. Mirtskhulava Water Management Institute of Georgian Technical University, p. 167-173 (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, ქ. თბილისი, გვ. 167-173), მომზადებულია გამოსაცემად

5. საქართველო, თბილისი, საქართველოს ენერგეტიკის აკადემია

### **5) გვერდების რაოდენობა**

1. 5 გვ.

2. 5 გვ.

3. 5 გვ.

4. 7 გვ.

5. 3 გვ.

## *ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)*

1.ნაშრომში განხილულია საყოფაცხოვრებო კომუნალური წყალმომხმარების წილი საერთო წყალმომარაგებაში და მისი უზრუნველყოფა. საერთოდ დასახლებული ადგილების წყალმომარაგებით უზრუნველყოფა ნებისმიერი ქვეყნის ძირითადი ამოცანაა.

თბილისის ზღვა ქ.თბილისის წყალმომარაგების სისტემის ნაწილია. ზოგიერთ უბნებში დაფიქსირდა ამ წყალსაცავიდან მიწოდებულ სასმელ წყალში თევზის სუნი. უნდა აღინიშნოს, რომ საყოფაცხოვრებო- კომუნალურ მეურნეობას როგორც წყალმომხმარებელს, გააჩნია მთელი რიგი მოთხოვნები წყლის ხარისხისადმი როგორც მისი ფიზიკური მაჩვენებლების (ტემპერატურა, გამჭვირვალობა, ფერი, სუნი, გემო) ასევე ქიმიური პარამეტრების მიმართ პათოგენური მიკრობების არსებობის შემთხვევაში.

2.ფარმაცევტული პროდუქტების არსებობა წყალსატევებში ბევრ ქვეყანაში საგანგაშოა. ფარმაცევტული პროდუქტები ბიოაქტიური ნაერთებია და მათ შეუძლიათ ცოცხალორგანიზმებზე უარყოფითი ზემოქმედება მოახდინონ. ჩამდინარე წყლებშიფარმაცევტული საშუალებების სხვადასხვა კლასია აღმოჩენილი. ავსტრიაში, ბრაზილიაში, კანადაში, ხორვატიაში, ინგლისში, გერმანიაში, საბერძნეთში, იტალიაში, ესპანეთში,შვეიცარიაში, ნიდერლანდებსა და აშშ-ში ჩატარებულმა ჩამდინარე წყლებისანალიზმა გამოავლენა 80-ზე მეტი ფარმაცევტული პრეპარატი და მათი მეტაბოლიტი.მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ფარმაცევტული პრეპარატების ძალიან დაბალიდოზაც კი შეიძლება სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდეს წყალში მცხოვრებორგანიზმებისათვის [4]

ბოლო წლებში მრეწველობაში და მომსახურების სფეროში მნიშვნელოვანმა დანახარჯებმა განვითარება მისცა ბიზნესის სფეროში სამეცნიერო საქმიანობის ახალ მიმართულებას - ლოგისტიკას. საქართველოში ეს ხარჯები მნიშვნელოვნად აღემატება სხვა ქვეყნების მაჩვენებელს. დანახარჯები გამოწვეულია რიგი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებით როგორცა: მომსახურების სექტორის განვითარება და შედეგად, ლოგისტიკური მომსახურების ბაზრის მოცულობის ზრდა. ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის და სპეციალისტების პროფესიული მომზადების არასაკმარისი დონე, ლოგისტიკური ხარჯების შეფასების და აღრიცხვის სწორი მეთოდების არარსებობა, არსებულ ვითარების სწორი ანალიზი და პროცესების ავტომატიზირება. ლოგისტიკური დანახარჯების ოპტიმიზაცია. მიწოდების ჯაჭვის მართვა არის უნარი, თუ როგორ მართავს კომპანია ინფორმაციისა და საქონლის ტრანსპორტირებას ნედლეულის მდგომარეობიდან საბოლოო მომხმარებელამდე. ამდენად, მიწოდების ჯაჭვის მართვა მოიცავს ყველა ეტაპს, რომელიც სჭირდება კომპანიას პროდუქციის / მომსახურების საწარმოებლად, სანამ მომხმარებელი შეიძენს მას. ამგვარად მიწოდების ჯაჭვი მოიცავს მომწოდებლების, მწარმოებლების, სადისტრიბუციო ცენტრების, საცალო ქსელისა და მომხმარებლების მთელ ქსელს. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მომარაგების სფეროს მიწოდების ჯაჭვებისთვის მხოლოდ არსებული თეორიული დებულებების გამოყენება არ იძლევა ოპტიმალურ ეფექტს. ეს განპირობებულია მომსახურების სპეციფიკიდან, რომელიც გამოირჩევა სხვადასხვა სერვისით და განსხვავებული მიწოდების პირობებით, სადაც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მომსახურების სისწრაფე. ეს განაპირობებს მომსახურების სფეროს მიწოდების ჯაჭვის მართვის მოდელების შემუშავების აუცილებლობას. ლოგისტიკისა და მიწოდების ჯაჭვის ეფექტური მართვა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მომსახურების ღირებულებაზე, სერვისის მიღების დროზე მომსახურების სფეროს ლოგისტიკისა და მიწოდების ჯაჭვის ეფექტური მართვის მიღწეული მნიშვნელოვანი შედეგების მიუხედავად, ზოგიერთი ფუნდამენტური საკითხი ცუდად არის შესწავლილი, კერძოდ: მეთოდებისა და მოდელების უმეტესობა არ ასახავს მომსახურების სფეროს მიწოდების ჯაჭვებში არსებულ რთულ მრავალფაქტორულ პროცესებს; მენეჯმენტის გადაწყვეტილებების ოპტიმიზაციის მიზნით არსებული მოდელების მოდერნიზაციისა და განვითარების გზით საჭიროა ახალი მიდგომის შემუშავება. მონაწილეთა დიდი რაოდენობის გამო არსებობს კოორდინაციის პრობლემა, რაც მართვის ეფექტურობისათვის საჭიროებს ახალი მოდელების შემუშავებას. განსაკუთრებით აქტუალური რჩება ლოგისტიკური ოპერაციების ხარჯების ფორმირებისა და სწორად აღრიცხვის საკითხები. აღნიშნული საკითხების შესწავლის საფუძველზე მოხდება არსებული ანალიტიკური აპარატის შესაძლო ადაპტაცია მომსახურების სფეროს მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტთან, მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების სფეროს საზღვრების დადგენა მომსახურების სფეროს მიწოდების ჯაჭვების სპეციფიკის გათვალისწინებით, ნაკადის მართვის მოდელის შემუშავება, საინფორმაციო სისტემის საცნობარო ავტომატური მოდელის შექმნა, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს მრავალრიცხოვანი მონაწილეების კოორდინაცია. მომსახურების სფეროს ეფექტურობის გაზრდის ალგორითმის ჩამოყალიბება, დროებითი შეზღუდვებისა და რეალურ დროში რეგულირების შესაძლებლობის გათვალისწინებით, გაანგარიშების მოდელების სისტემატიზაცია და დახვეწა, რაც საშუალებას მოგვცემს სწორად იქნას გათვალისწინებული და ოპტიმიზირებული დანახარჯები.

### 1.2.3.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით:

„ბიზნესპროცესების სტრატეგიული მენეჯმენტის მოდელირებაში იტერაციული მიდგომების გამოყენება“. მეცნიერების დარგი: მენეჯმენტი. სამეცნიერო მიმართულება: სტრატეგიული მენეჯმენტი.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები  
2020-2024 წწ.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით).

- პროფესორი თეიმურაზ ბერძენიშვილი-კვლევის ხელმძღვანელობა,

- მეთოდური მიდგომების განსაზღვრა;
- ასოცირებული პროფესორი ნატო ბებიაშვილი - კვლევების მეთოდოლოგიური და ანალიტიკურ- შეფასებითი საკითხების დამუშავება;
- დოქტორანტი თეიმურაზ თუთბერიძე - კვლევების მათემატიკური ნაწილის ანალიტიკური შეფასება და შედეგების გაფორმება.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

ბიზნესპროცესების მოდელებით აღწერა გამოიყენება კომპანიის საქმიანობის ოპტიმიზაციის, გაუმჯობესების, სუსტი ადგილებისა და ფუნქციების დუბლირების აღმოფხვრისთვის. ბიზნესპროცესების იმიტაციური მოდელები საშუალებას იძლევა შეფასებული იქნას მათი შესრულების ეფექტიანობა პროცესის ისეთი საწყისი ან კორექტირებული მონაცემების შეყვანით, რომლებიც ჯერ არ ყოფილა გამოყენებული საწარმოს რეალურ მუშაობაში. ბიზნესპროცესის იმიტაციური მოდელების ფარგლებში, ჩვენს მიერ განხილულ იქნა ბიზნესპროცესების სტრატეგიული მენეჯმენტის მოდელების შესწავლა/შეფასების პროცესში მიახლოებითი, რიცხვითი (იტერაციული) მეთოდების გამოყენების საკითხები. სტრატეგიული მენეჯმენტი არ არის დისკრეტული, წერტილოვანი მოვლენა, ის მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც შესაძლებლობების (უნარიანობის) იტერაციული პროცესი, რომელიც ვითარდება ბიზნესმოთხოვნების შესაბამისად. ბიზნესპროცესების სტრატეგიული მენეჯმენტის მოდელებისას სასურველი შედეგი მიიღწევა მხოლოდ ბიზნესპროცესების მიმდინარეობის სრული ჯაჭვის ყოველი ცალკეული ელემენტის ზუსტი აღწერის, შეფასებისა და შესაძლო კორექტივების გათვალისწინებით, რისი განხორციელება პირდაპირი ან რიცხვითი მეთოდებით თითქმის შეუძლებელია. ჩვენი მიდგომით, დასაწყისში, ბიზნესპროცესების მიმდინარეობის ამსახველ, წარმოსახვით წრფეს, ვყოფთ სასრულ მონაკვეთებად, ე.წ. იტერაციულ ეტაპებად, კვეთის წერტილებში, მიღებულ შედეგებს ვადარებთ დაგეგმილს და კომპიუტერული პროგრამის საშუალებით, მახასიათებლების კორექციის მეშვეობით, ვახდენთ, განმეორებადი ციკლით, ცდომილების მინიმიზაციას. შემდეგ, გადავდივართ მომდევნო იტერაციულ ეტაპზე და ა.შ. ბოლო ეტაპის ჩათვლით. იტერაციულ ეტაპებზე აუცილებელია გამოვავლინოთ არსებული სიტუაციის ყველა ნეგატიური მხარე და არსებული პრობლემების მიზეზშედეგობრივი კავშირები, ამისთვის ვიყენებთ SWOT და PEST ანალიზის ელემენტებს, ვაფასებთ ორგანიზაციის ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებსა და სავარაუდო რისკებს, პროექტის გარე გარემოს, სიცოცხლისუნარიანობას, მიზნებსა და საქმიანობის გაგრძელების პერსპექტივებს. ჩვენს მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტის შედეგად, მივიღებთ ბიზნესპროცესების სტრატეგიული მენეჯმენტის იმიტაციური მოდელის ავტომატიზირებული მართვის მრავალფუნქციურ სისტემას, ხოლო შესაბამისი მხარდაჭერის ან დაფინანსების შემთხვევაში, შესაძლებელია მოდულური ტიპის პროგრამული პაკეტის შემუშავება, რომელშიც სხვა პროგრამულ მოდულებთან ერთად, გათვალისწინებული იქნება კონკრეტული ორგანიზაციის ბიზნესმოთხოვნების განსაზღვრელი პროგრამული მოდულების ჩაშენების შესაძლებლობები.

**1.2.4.**

- 1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით:
  - „თანამედროვე პორტფოლიო თეორია და ელექტროგენერაცია საქართველოში. მეცნიერების დარგი: მენეჯმენტი. სამეცნიერო მიმართულება: საინჟინრო მენეჯმენტი და მარკეტინგი.
- 2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები  
2017-2021 წწ.
- 3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით1.
  - პროფესორი კონსტანტინე ხმაღაძე-კვლევის ხელმძღვანელობა, მეთოდური მიდგომების განსაზღვრა
  - პროფესორი გია არაბიძე -კვლევის თანახელმძღვანელობა, მეთოდური მიდგომების განსაზღვრა

- **ასისტენტი ლევან ვეფხვაძე** - კვლევის მეთოდოლოგიური და ანალიტიკურ- შეფასებითი საკითხების დამუშავება; კვლევის შედეგების გაფორმება.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

წარმოდგენილი ნაშრომი შეეხება ენერგეტიკული პოლიტიკის დაგეგმვის იმ თანამედროვე მეთოდების ჩვენს რეალობაში შესაძლო გამოყენებას, რომელმაც უნდა მოგვცეს ენერგეტიკის პოლიტიკის მიზნების შესაბამისად არსებული ელექტროგენერაციის პორტფელის შეფასება და გრძელვადიანი დაგეგმვისთვის აუცილებელი წინაპირობის შექმნა. შესაბამისად, ნაშრომი ცხადად ეხმიანება იმ დისკუსიასაც, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო ჩვენს ქვეყანაში და 40 წელზე მეტია მიმდინარეობს აქტიური დისკუსია ელექტროგენერაციის ობიექტების მშენებლობებთან დაკავშირებით. ნაშრომის მომზადების პერიოდში, აღნიშნული დისკუსია ახალი ძალით განახლდა, რაც ნამოხვანკისის მშენებლობის დაწყებამ გამოიწვია. სწორედ ამ პერიოდში, პროექტის კრიტიკოსების მხრიდან არაერთგზის დაისვა კითხვა იმის შესახებ, არსებობს თუ არა ენერგეტიკული განვითარების სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავდა ინდუსტრიის გრძელვადიანი განვითარების პრიორიტეტებს და დადგენდა გენერაციის იმ პორტფელს, რომელიც ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის აუცილებელი და მყარი საფუძველი გახდებოდა. ამ კონტექსტში აღსანიშნავია ის გამოხმაურებაც, რომელიც გაჟღერებულია ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს მიერ 2020 წელს მომზადებულ დოკუმენტში „საქართველო 2020, ენერგეტიკის პოლიტიკის მიმოხილვა“, სადაც ენერგეტიკული სექტორის ყველაზე ავტორიტეტული საერთაშორისო გაერთიანების ექსპერტები აღნიშნავენ, რომ „ენერგეტიკული სექტორის ყოვლისმომცველი სტრატეგიის არქონა გავლენას ახდენს მთელ სექტორზე და აფერხებს მის განვითარებას. „ამავე დოკუმენტში, ავტორები იძლევიან რეკომენდაციას, რომ პოლიტიკის მიზნებისთვის აუცილებელია განახლებადი ელექტროგენერაციის სხვადასხვა ტექნოლოგიების გამომუშავების სამიზნე მაჩვენებლების მიღება, რაც უნდა ეფუძნებოდეს ისეთ გამჭვირვალე მეთოდოლოგიას, რომელშიც ასახულია განვითარების სტრატეგიული ხედვა. საზოგადოდ, ენერგეტიკის სექტორის დაგეგმვის სფეროში, როგორც წესი, მინიმალური დანახარჯის მიდგომა სიმარტივის გამო ყველაზე ხშირად გამოიყენება, ამიტომაც ენერგეტიკულ ინდუსტრიაში ელექტროენერგიის წარმოების აქტივების შერჩევა, ისტორიულად, ერთი კრიტერიუმის გათვალისწინებით ხდებოდა. კერძოდ, აღნიშნული მიდგომის თანახმად, თითოეული ალტერნატიული ტექნოლოგია ფასდება ელექტროენერგიის დანახარჯის მიმდინარე ღირებულების (Levelized Cost of Electricity) საფუძველზე. ფართო გამოყენების მიუხედავად, ხსენებული მეთოდოლოგიის გარშემო არაერთი კრიტიკული შეფასება გამოითქვა, რომელიც ძირითადად იმ ფაქტს ეფუძნება, რომ წარმოდგენილი მიდგომა ვერ ასახავს სხვა გარე ფაქტორებს (Externalities), მათ შორის, სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ დანახარჯებს, რაც ყველა მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტს თან სდევს, რადგანაც ტექნოლოგიის შერჩევა მხოლოდ ერთ, უმცირესი დანახარჯის კრიტერიუმზეა კონცენტრირებული. შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება მოდელმა ვერ გაითვალისწინოს სხვა ნეგატიური ფაქტორები, გარდა ღირებულებისა და, მაგალითად, გარემოს დამაბინძურებელი გენერაციის ტექნოლოგიებზე მომუშავე სადგურის პროექტს მიენიჭოს უპირატესობა. საქართველოს რეალობაში კი პრობლემა კიდევ უფრო გართულებულია, რადგან დაგეგმვისას წარმოდგენილი მინიმალური დანახარჯის მეთოდი არა ტექნოლოგიების შეფასებისთვის, არამედ ცალკეული პროექტზე გადაწყვეტილების მიღებისთვის გამოიყენება თანაც ისე, რომ სხვადასხვა პროექტს შორის ურთიერთმიმართება (პორტფელურად პროექტების განხილვა) უგულებელყოფილია. კერძოდ, ელექტროგენერაციის სექტორში ელექტროსადგურის კონკრეტულ ადგილას მშენებლობის მოთხოვნაზე გარანტირებული შესყიდვის შეთანხმებები გაიცემოდა „პირველად შემოსული – პირველადვე მომსახურდება“ (First come, first served) პრინციპით, ამიტომაც ყოველთვის არსებობდა კითხვები კონტრაქტების გამჭვირვალობაზე, მშენებლობების ქაოსურობაზე და სახელმწიფოს მხრიდან აღებული ვალდებულებების შესრულების უნარზე. ამასთან, პორტფელურის ნაცვლად ინდივიდუალურად პროექტების შესწავლა და ნებართვის გაცემა მხოლოდ დანახარჯზე (ელექტროენერგიის დაყვანილ ღირებულებაზე) დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება ამჟამად ქმნის და მომავალშიც შექმნის შემდეგი სახის პრობლემებს: ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრეების ზრდის დაგეგმვისას (განსაკუთრებით კი მოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურების) არ ექცევა ყურადღება იმ ფაქტს, რომ მდინარეების დიდი ნაწილის ელექტროგენერაციის გამომუშავების თითქმის 50%

წყალუხვობის პერიოდს (მაის-ივნისს) ემთხვევა და, შესაბამისად, ელექტროენერგიის ვაჭრობის ახალ მოდელზე გადასვლისას, ერთის მხრივ, მოსალოდნელია აღნიშნულ პერიოდში ელექტროენერგეტიკულ ბირჟაზე ნულთან მიახლოებული ფასების დაფიქსირება ხოლო მეორეს, მხრივ, სიჭარბე გამოიწვევს წყლის დაღვრასა და ინვესტორებისა და დეველოპერების შემოსავლების მიუღებლობას;

### 1.2.5.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით:

„განახლებადი ენერჯის დანერგვის მენეჯმენტი საავტომობილო ინდუსტრიაში“

მეცნიერების დარგი: მენეჯმენტი. სამეცნიერო მიმართულება: სტრატეგიული მენეჯმენტი

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2020-2023 წწ.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით).

- ასოც. პროფ. გიორგი ნაჭყეპია-კვლევის ხელმძღვანელობა, მეთოდური მიდგომების განსაზღვრა
- დოქტორანტი გიორგი ჩანკსელიანი - კვლევის ანალიტიკური შეფასება და შედეგების გაფორმება.

#### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

თანამედროვე მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დგას, რომელთა შორისაც აღსანიშნავია მზის ენერჯის ელექტროენერგეტიკული მოხმარება, როგორც რესურსების დაზოგვის, ასევე გაიაფების მიზნით. მზის ენერჯის გამოყენება საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევაა. მათ შორის აქტუალურია მისი გამოყენება ელექტროავტომობილების ინდუსტრიაში მათი ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით. აღსანიშნავია, რომ ეს დარგი განვითარებადი სფეროა და ის სწრაფი ტემპით მოიცავს მსოფლიოს, ამ სფეროში ლიდერობენ ჰოლანდია და ჩინეთი. ჰოლანდიაში აქტუალურად მიმდინარეობს პროექტი - მისია ზერო, რომლის მიზანია ნულამდე შეამციროს გამონახობა და მთელი ქვეყნის მასშტაბით მოახდინოს ელექტროსიფიკაცია. ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად საქართველოშიც აქტუალურია ეს საკითხი და ქვეყანა მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუწყოს მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლებას და წახალისებას, რათა მეტი ადამიანი ჩაერთოს ჩვენი ქვეყნის ეკოლოგიის სწორი მიმართულებით განვითარებაში. ერთ-ერთი მაგალითია ელექტროავტომობილების მფლობელების წახალისება ელექტრო დამტენების დამონტაჟების გზით. აქედან გამომდინარე ყოველდღიურად მატულობს ელექტროავტომობილების რაოდენობა და აქტუალური ხდება მათი ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხი. მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, რომ ელექტრო ავტომობილების პოპულარობისთვის აუცილებელი პირობა ინფრასტრუქტურის არსებობაა. იმისთვის რომ ქვეყანაში გაიზარდოს ელექტროავტომობილების რაოდენობა, აუცილებელია სწორი ინფრასტრუქტურის შექმნა, რათა მომხმარებლებს შეეძლოს მთელი ქვეყნის მასშტაბით გადაადგილდნენ შეუფერხებლად. ისეთი კომპანიები, როგორებიცაა Esarj-ი გვაჩვენებენ სურათს თუ რა სახის ინფრასტრუქტურის მოწყობა არის საჭირო, რომ გაიზარდოს ელექტრომობილებით სარგებლობა. მზის ენერჯის გამოყენებით და სწორი მენეჯმენტით შეგვიძლია ხელი შევუწყოთ მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლებას და წახალისებას, რათა მეტი ადამიანი ჩაერთოს ჩვენი ქვეყნის ეკოლოგიის სწორი მიმართულებით განვითარებაში. მზის ელემენტები, რომლებსაც მზის პანელებსაც

უწოდებენ, მრავალი თვალსაზრისით განახლებადი ენერჯის იდეალს განასახიერებენ, რადგან მზის სინათლე უხვი რესურსია და ამასთანავე მზის ელემენტების დამზადების შემდეგ, რთული საწარმოო დანადგარები არ არის საჭირო მათი მუშაობისთვის. ისინი უბრალოდ მზის სინათლეს ელექტროენერჯად აქცევენ. მისი ეს თვისება უმნიშვნელოვანესია, რადგან მასზე ერთჯერადად დახარჯული თანხებით ძალიან დიდი დანაზოგის გაკეთება შეიძლება. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები დაინტერესებულნი არიან აღნიშნული საკითხებით, განვითარებად ქვეყნებს კი საჭირო რესურსები არ აქვთ. ამიტომ მნიშვნელოვანია რომ საპენსიო ფონდები განხილულ იქნეს მსგავსი პროექტების ინვესტორად.

## 2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

### 2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

**დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

## 3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

### 3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

### 3.2. დასრულებული პროექტი

#### 3.2.1.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა:

„შემის გაუმჯობესებული ენერგოეფექტური ღუმელების გამოცდა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლებში“ (ორწლიანი); მეცნიერების დარგი: ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია; სამეცნიერო მიმართულება: ენერგოეფექტურობა-გარემოსდაცვითი პროგრამა ECOServe; პროექტის ნომერი 83359105; ხელშეკრულების ნომერი 18.2062.0-004.00; დამფინანსებელი ორგანიზაცია: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), ეშბორნი, გერმანია.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები  
22.07.2020-30.06.2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

- **პროფ. ნინო ლაზაშვილი:** მოსამზადებელი სამუშაოები და ექსპერტების ვიზიტი ახმეტაში გათბობის ტექნოლოგიების და სახლების ენერგოეფექტურობის წინასწარი შესწავლისათვის; საქართველოში შემის ღუმელების საექსპერტო კვლევა, მწარმოებლების/მომწოდებლების იდენტიფიცირება, რეკომენდაციების მომზადება;
- **პროფ. თენგიზ ჯიშკარიანი:** საცხოვრებელი სახლების თბური კონვერტი და საქართველოს ბაზარზე არსებული თბოსაიზოლაციო მასალები. ენერგო აუდიტი სახლებში, სადაც ღუმელები დაიდგმება .საბოლოო ანგარიში;
- **პროფ. ნოდარ ქეციშვილი:** საქართველოში შემის ღუმელების საექსპერტო კვლევა, მწარმოებლების/მომწოდებლების იდენტიფიცირება, რეკომენდაციების მომზადება. ზოგადი ტრენინგი ენერგოეფექტურობაზე და ღუმელებზე, ასევე ოჯახებში ტესტის პირობების შესახებ მუნიციპალიტეტის, ახმეტის სატყეოს, ახმეტაში დაცული ტერიტორიების და ARDA-ს წარმომადგენლებისთვის. შედეგების ანალიზი, მოკლე ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი, მასალების მომზადება კომუნიკაციისთვის;
- **პროფ. ომარ კილურაძე:** ტესტირების მეთოდოლოგიის შემუშავება და გაუმჯობესებული ღუმელის ტესტირება. ღუმელების რეგულარული მონიტორინგი ARDA-ს საშუალებით. საბოლოო ანგარიში;
- **პროფ. თენგიზ ჩხიკვაძე:** მოსამზადებელი სამუშაოები და ექსპერტების ვიზიტი ახმეტაში გათბობის ტექნოლოგიების და სახლების ენერგოეფექტურობის წინასწარი შესწავლისათვის. საბოლოო ანგარიში.

**დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით საქართველოში მიმდინარეობს პროგრამა „ბუნებრივი რესურსების მართვა და ეკოსისტემური მომსახურებების უზრუნველყოფა სოფლად მდგრადი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში“ (ECOserve), რომლის ერთ-ერთ კომპონენტში მოიაზრება ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლებში შემის ენერგოეფექტური საყოფაცხოვრებო ღუმელების საპილოტე გამოცდა და მარკეტინგული პროდუქტის შექმნა, რომლის ფართომასშტაბიანი დანერგვა მნიშვნელოვნად შეამცირებს ხე-ტყის უსისტემო და უკონტროლო ჭრის ტემპებს, ხე-ტყის მოხმარების დღევანდელი დონეს და მოთხოვნილებებს ხე-ტყის რესურსზე. პროექტი განხორციელდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ ტყის რესურსები მიეკუთვნება განახლებად ბუნებრივ წყაროებს, ისინი მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს ამოუწურვად და მათი შენარჩუნება მხოლოდ ადამიანების გონივრულ ქმედებაზეა დამოკიდებული, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც საქართველოს რეგიონებში მოსახლეობის მიერ მოხმარებული საშემე მერქნის მოცულობა მრავალჯერ აღემატება სანიტარიული ნორმებით დასაშვებს. საშემე მერქნის ფართომასშტაბიანი მოხმარების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, დღემდე არსებული საყოფაცხოვრებო შემის ღუმელების დაბალ ენერგოეფექტურობასთან ერთად, საცხოვრებელი შენობების სითბური დაუცველობა, ანუ შენობის შემომზღუდი კონსტრუქციების (კედლები, ფანჯრები, კარები, სახურავი, იატაკი) არასახარბიელო ტექნიკური მდგომარეობაა. ამ მხრივ ახმეტის რეგიონი გამონაკლისს არ წარმოადგენს. ამიტომ, შენობების თბური დიაგნოსტიკისა და ენერგომოხმარების არსებული სიტუაციის შესაფასებლად, ქ.ახმეტისა და ახმეტის მუნიციპალიტეტის 15 სოფლის წინასწარ შერჩეულ 46 ოჯახში, სადაც გათვალისწინებული იყო არსებული შემის ღუმელების ჩანაცვლება ახალი მადალეფექტური შემის ღუმელებით, ჩატარდა ენერგოაუდიტები. ოჯახებში ვიზიტის დროს ბინის მფლობელებს და ოჯახის სხვა წევრებს, ცნობიერების ამაღლების მიზნით, მიეწოდათ ინფორმაცია თუ როგორ და რატომ იკარგება სითბო ფანჯრებიდან, გარე კარებიდან, ჭერიდან, კედლებიდან და მიეცათ რეკომენდაციები იმ ღონისძიებების შესახებ, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ენერგიის მოხმარებისა და შესაბამისად საშემე მერქნის ხარჯის შემცირება. ენერგოაუდიტით დადგინდა, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უმეტესობა ცხოვრობს ერთ ან ორსართულიან შენობებში. მაგრამ,



ორსართულიან შენობებში მცხოვრები ოჯახების კი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, გათბობის სეზონს ძირითადად პირველ სართულზე ატარებენ და შესაბამისად ათბობს პირველი სართულის ოთახებს ან მხოლოდ მის ნაწილს. ენერჯის ძირითად წყაროს წარმოადგენს შეშის ღუმელი, რომელიც გამოიყენება როგორც გათბობის მიზნით, ისე საჭმლის მოსამზადებლად. ენერგოაუდიტის საფუძველზე თითოეული ოახისათვის შეფასდა მათი სახოვრებელი შენობების თბური მდგომარეობა, განისაზღვრა სითბოს ჯამური დანაკარგები და შემუშავდა რეკომენდაციები შენობის სითბოსდამცავი ღონისძიებების განსახორციელებლად. გათბობის სეზონზე ღუმელების მუშაობის ეფექტურობის შეფასება მოხდა მონიტორინგის გზით, რამაც საბოლოოდ დაარწმუნა რეგიონის მოსახლეობა, რომ ენერგოეფექტური ღუმელების შექმნით, კარგად გამომშრალი საშეშე მერქნის (ხმელი შეშის) გამოყენებით და შენობის დათბუნების მარტივი ღონისძიებების გატარებით, შესაძლებელია უფრო კომფორტულად ცხოვრება და გათბობასა და საჭმლის მომზადებაზე დანახარჯების მნიშვნელოვნად შემცირება.

### 3.2.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და

სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი,

დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა:

„ახმეტის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევების საფუძველზე მიღებული შედეგების ჩართვა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაში და ენერგოაუდიტის სტენდის შექმნა“ (ერთწლიანი); მეცნიერების დარგი: ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია; სამეცნიერო მიმართულება: ენერგოეფექტურობა-გარემოსდაცვითი პროგრამა ECOserve; პროექტის ნომერი 18.2062.0-004.00; დამფინანსებელი ორგანიზაცია: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), ემზორნი, გერმანია.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2021 წლის 17 მაისი - 20 ოქტომბერი

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

- **პროფ. ნოდარ ქვეციშვილი:** სპეციალური სტენდის შექმნა, რომელიც თბოგამტარობის კოეფიციენტის (Λ) და თბური ენერჯის დანაკარგების ზუსტად განვსაზღვრის საშუალებას მოგვცემს, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი გაზომვების ჩატარებას თბური მახასიათებლების, ენერჯის დანაკარგების, შენობის და მყარი სათბობის ღუმელების ენერგოეფექტურობის დონის შესაფასებლად. სათანადო მეთოდოლოგიისა და სათანადო ალგორითმის შემუშავება
- **პროფ. ომარ კილურაძე:** მყარი სათბობის ღუმელებიდან გამონაბოლქვ გაზებში ემისიების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება;
- **პროფ. ნიკოლოზ ივანია:** ანალოგური სიგნალის ციფრულში გარდამქმნელის ადაპტერი. კომპიუტერული პროგრამის შემუშავება რომელიც საჭიროა მონაცემთა შენახვისა და დამუშავებისთვის. სტენდის შექმნა.
- **პროფ. ნიკოლოზ ჯავშანაშვილი:** პროექტის ყველა აქტივობის კოორდინირება. პროექტის მიმდინარეობის შესახებ შუალედური ანგარიშის მომზადება და მიწოდება. პროექტის განხორციელების შესახებ ფინალური ანგარიშის მომზადება და მიწოდება.
- **პროფ. თენგიზ ჯიშკარიანი:** სპეციალური სტენდის აწყობა. ახმეტის მუნიციპალიტეტში ენერგოეფექტური შეშის ღუმელების ფართომასშტაბიანი დანერგვის ენერგოეკონომიკური დასაბუთება

*დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ახმეტის მუნიციპალიტეტში განხორციელებული საპილოტე პროექტის ფარგლებში მიღებული გამოცდილების და არსებული მასალების გამოყენებით შემუშავდა ახალი

თემატური საკითხები (თეორიული და პრაქტიკული ნაწილები), რომლებიც დაემატება სტუ-ში არსებულ სამაგისტრო სასწავლო კურსს ენერგოეფექტურობასა და ენერგოაუდიტთან დაკავშირებით. შემოთავაზებულ თემატურ საკითხებზე დაიბეჭდა შესაბამისი სახელმძღვანელო (200 ეგზემპლარი, 164 გვერდიანი წიგნი). სტუ-ს სტუდენტების გარდა, ეს სახელმძღვანელო ხელმისაწვდომი იქნება სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვისაც. შეიქმნა სპეციალური სტენდი, რომელიც თბოგამტარობის კოეფიციენტის ( $\lambda$ ), თბური ენერგიის დანაკარგების და შესაბამისად ენერგოეფექტურობის დონის ზუსტად განსაზღვრის საშუალებას მოგვცემს; საქართველოს რეგიონებში მოსახლეობის მოწყვლად ჯგუფებში შესაძლებელი გახდება ენერგოაუდიტების ჩატარება იმ ცალკეულ ოთახებში, რომლების გათბობაც ხდება ზამთრის პერიოდში, რაც საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ ხარჯთ-სარგებლიანი ენერგოეფექტური ღონისძიებების ინდივიდუალურად შემუშავება (სათანადო თბოიზოლაციის მოწყობა, ოთახების გათბობის/გაგრილების წყაროს სწორად და სხვა.); შემოთავაზებული სტენდის საშუალებით ჩატარებული ენერგოაუდიტებისას რეკომენდებული ენერგოეფექტური ღონისძიებების განხორციელების დონის პროპორციულად მიღებული ფინანსური სარგებლით შემცირდება სოციალური პრობლემები, განსაკუთრებით კი რეგიონში არსებული მოწყვლადი ჯგუფებისთვის; შემოთავაზებული სტენდის მეშვეობით ზუსტად განსაზღვრული ენერგოდანაკარგების აღმოსაფხვრელად შემუშავებული ენერგოეფექტური ღონისძიებების განხორციელებით დაიზოგება დიდი რაოდენობის ენერგია და შესაბამისი რესურსი (განსაკუთრებით კი დიდი რაოდენობით შემა). შესაბამისად, შემცირდება; გარემოზე/კლიმატზე ზემოქმედება ( $\text{CO}_2$ -ის ემისია და ხე-ტყის გაჩეხვის მასშტაბები). შემოთავაზებული სტენდის ფართომასშტაბიანი დანერგვის/გამოყენების შემთხვევაში, შენობის თბური მახასიათებლების ზუსტი განსაზღვრის პირობებში, შესაძლებელი გახდება შენობის ენერგოეფექტურობის რეალური დონის დასაბუთება/დამტკიცება შესაბამისი ენერგოეფექტურობის მარკირებისთვის. ამ სტენდის გამოყენება შესაძლებელი იქნება როგორც სავსე პირობებში რეალურ დროში გაზომვების ჩასატარებლად და შესაბამისი მონაცემების შესანახად, ასევე სასწავლო ლაბორატორიაში საგანმანათლებლო მიზნითაც.

#### **4. პატენტები**

4.1. საერთაშორისო პატენტები:

- 1) საპატენტო თემატიკის სათაური
- 2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები
- 3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

- 1) საპატენტო თემატიკის სათაური
- 2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები
- 3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

#### **5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში**

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

- 1) ავტორი/ავტორები
- 2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

- 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
  - 4) გვერდების რაოდენობა
- ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

## 5.2. სახელმძღვანელოები

### 5.2.1.

- 1) ავტორი/ავტორები
  - ი. ლომიძე, გ. ხელიძე, პ. სამსონაშვილი
- 2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
 

ჰიდროენერგეტიკული დანადგარები. ISBN 978-9941-28-556-1
- 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
 

თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“.
- 4) გვერდების რაოდენობა
 

121 გვ.

### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

სახელმძღვანელოში “ჰიდროენერგეტიკული დანადგარები” განხილულია თანამედროვე ჰიდროენერგეტიკული დანადგარების სახეობები, მათგან ერთ-ერთი ძირითადი სახეობის — ჰიდროელექტროსადგურების ჰიდროენერგეტიკული მოწყობილობის შემადგენელი ნაწილები, მათი მუშაობის თეორიული საფუძვლები, მუშა პროცესები, ენერგეტიკული მახასიათებლები, გამოყენების არეები. მოცემულია მითითებები ჰიდროტურბინების ძირითადი პარამეტრების შესარჩევად. სახელმძღვანელო განკუთვნილია საბაკალავრო პროგრამის „ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“ სტუდენტებისათვის.

### 5.2.2.

- 1) ავტორი/ავტორები
  - ნ. ქვეციშვილი, ო. კიღურაძე, ნ. ინვია, ნ. ჯავშანაშვილი, თ. ჯიშკარიანი
- 2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
 

„ენერგოაუდიტი საქართველოს რეგიონების საყოფაცხოვრებო სექტორში“.  
ISBN 978-9941-8-3889-7
- 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
 

თბილისი. სახელმძღვანელო გამოცემას საფუძვლედ დაედო შპს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასა (GIZ, ეშზორნი, გერმანია) და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის დადებული საგრანტო ხელშეკრულება.
- 4) გვერდების რაოდენობა
 

164 გვ.

### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო და საინჟინრო-ეკონომიკური სპეციალობის მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის. მისი გამოყენება შეუძლიათ, აგრეთვე, ენერგოაუდიტორებს და სხვა უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებს. სახელმძღვანელოს საფუძვლად უდევს ქ.ახმეტისა და ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლების საყოფაცხოვრებო სექტორში ჩატარებული ენერგოაუდიტის და მონიტორინგის მონაცემები და ახალი ტიპის ენერგოეფექტური შეშის ღუმელების შექმნისა და აღნიშნულ რეგიონში მათი ფართომასშტაბიანი დანერგვის ენერგოეკონომიკური კვლევების შედეგები. ეს სახელმძღვანელო მომზადდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორების მიერ, გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) სახელით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ განხორციელებული პროგრამის - „ბუნებრივი რესურსების მართვა და ეკოსისტემური მომსახურებებით უზრუნველყოფა სოფლად მდგრადი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში“ (ECOserve) ფარგლებში. სახელმძღვანელოში თანმიმდევრულად არის განხილული და შეფასებული საქართველოს ტყეების

სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური ფუნქციები; ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლის საცხოვრებელი სახლებში ჩატარებული ენერგოაუდიტის შედეგები; ენერგოაუდიტის პროგრამული უზრუნველყოფა; დაჩქარებული ენერგოაუდიტის მეთოდოლოგია; სოფლის საცხოვრებელი სახლების თბური მახასიათებლები; [საცხოვრებელი შენობების დათბუნების ხარისხის გავლენა ენერგორესურსების ხარჯზე](#); თბოგამტარობის  $\lambda$  კოეფიციენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია არასტაციონარულ ტემპერატურულ რეჟიმში; შეშის ღუმელის ენერგოეფექტური მუშაობისა და ენერგოეფექტური შეშის ღუმელების ფართომასშტაბიანი დანერგვის ტექნიკურ-ეკონომიკური პირობები. შეშის ღუმელების თბოტექნიკური გამოცდის (ტესტირების) ირიბი და პირდაპირი მეთოდები სითბოს მუდმივი წყაროსა და მშრალი შეშის გამოყენებით; შეშის ღუმელის ტესტირების შემთხვევითი ცდომილებების ანალიზი; შეშის ღუმელიდან გამომავალი აირებით დაკარგული სითბოს გაანგარიშების გრაფიკული მეთოდი; შეშის ღუმელების დღევანდელი ბაზარი და ენერგოეფექტური შეშის ღუმელების დანერგვა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლებში; ენერგოეფექტური შეშის ღუმელების დანერგვის ხარჯსარგებლიანობის ანალიზი; საშეშე მერქნის ელემენტარული შედგენილობა, ტენიანობა, სიმკვრივე და მასური და მოცულობითი თბოუნარიანობა. საშეშე მერქნის ტენიანობის გავლენა მის წლიურ ხარჯზე და შეშის ღუმელების ენერგოეფექტურობაზე; კლიმატის ცვლილების დღევანდელი მდგომარეობა და ნახშირორჟანგის (CO<sub>2</sub>) ემისიის შემცირების გზები ენერჯის განახლებადი წყაროებისა და მაღალეფექტური ტექნოლოგიების გამოყენებით; [ნახშირორჟანგის \(CO<sub>2</sub>\) ემისიის შემცირების ორგანიზაციული და ტექნოლოგიური ღონისძიებები საყოფაცხოვრებო სექტორში](#); შეშის ღუმელების თბური სიმძლავრის და შეშის ღუმელებიდან გამონაბოლქვ გაზებში CO<sub>2</sub>, CO, და ppm-ის შეფასების მეთოდოლოგია; [საყოფაცხოვრებო შეშის ღუმელებიდან სათბური გაზების ემისია](#) ატმოსფეროში და ნახშირორჟანგის ემისიის ექსპერიმენტული შეფასება; [საშეშე მერქნის ხარისხის გავლენა გამონაბოლქვზე და შეშის ქუმელის მქ კოეფიციენტზე](#); საყოფაცხოვრებო შეშის ღუმელების მომსახურების კონტროლი მავნე გამონაბოლქვებზე და ენერგოეფექტურობაზე; [შეშის ღუმელების საექსპლუატაციო რეკომენდაციები, ტექნიკური მომსახურება და კონტროლი: ენერგოდაზოგვისა და ემისიის შემცირების ფაქტობრივი პოტენციალი შენობა-ნაგებობების კატეგორიების მიხედვით](#).

### 5.2.3.

- 1) ავტორი/ავტორები  
გ. არაბიძე, ნ. არაბიძე
- 2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN  
„საინჟინრო თერმოდინამიკა (ამოცანათა კრებული თეორიით)“
- 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“.
- 4) გვერდების რაოდენობა  
274 გვ.

#### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

სახელმძღვანელოში თანმიმდევრულადაა განხილული ის ძირითადი საკითხები და ამოცანები, რომლებიც განკუთვნილია თეორიული ცოდნის გაღრმავებისათვის საინჟინრო თერმოდინამიკის სასწავლო კურსში. სახელმძღვანელოს თითოეულ თავში, თემატიკის მიხედვით, მოცემულია თეორიული ნაწილი, ფორმულები, ცხრილები, გრაფიკები და განმარტები, რომლებიც აუცილებელია ამოცანების ამოსახსნელად. ზოგიერთი ტიპური ამოცანა ამოხსნილია დაწვრილებით. ამოცანები შედგენილია თბოენერგეტიკულ დანადგარებში მიმდინარე თერმოდინამიკური პროცესებისა და ციკლების გაანგარიშებისა და ანალიზის ჩასატარებლად. სახელმძღვანელოში განხილულია ისეთ მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა: სხეულის მდგომარეობის პარამეტრები; იდეალური აირები და აირების ძირითადი კანონები; აირთა სითბოტევადობა; თერმოდინამიკის პირველი და მეორე კანონი; ძირითადი თერმოდინამიკური პროცესები; წრიული პროცესები ანუ ციკლები; წყლის ორთქლი; სითხეების და აირების გამოდინება; ორთქლძალური და მაცივარი დანადგარების ციკლები; ტენიანი ჰაერი.

#### 5.2.4.

- 1) ავტორი/ავტორები  
მაკა ჯიშკარიანი
- 2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN  
სამეწარმეო საქმიანობის ინსტრუმენტები, ISBN 978-9941-28-722-0 (PDF)
- 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
საქართველო, თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“
- 4) გვერდების რაოდენობა  
96 გვ.

#### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

მეწარმეობის განვითარების პროცესი მიზანშეწონილია აისახოს უნივერსიტეტების იმ სასწავლო პროგრამებში, რომლებიც ორიენტირებულია ინოვაციურ კომპეტენციებზე. სასწავლო დისციპლინები ინოვაციებისა და მეწარმეობის შესახებ მოიცავს კვლევის შედეგების კომერციალიზაციას – ტექნოლოგიების გადაცემა, ლიცენზირება და ე.წ. სტარტაპების (დამწყებები) განვითარება. უნივერსიტეტების ინოვაციების ოფისების როლი დიდია სტუდენტური მეწარმეობის საქმიანობაში, მისი მიზანია გააცნოს სამეწარმეო აზროვნების შექმნის ისტორია და პრაქტიკა, სტუდენტების პროფესიული განვითარების და მობილობის პროგრამების დანერგვა, ხელი შეუწყოს სტუდენტებისა და ახალგაზრდა მკვლევრების ჩართულობას მეწარმეობაში, ვენჩურულსა და ინოვაციურ საქმიანობაში, უზრუნველყოს ახალი საწარმოს შექმნის მხარდაჭერა არსებულ ეკოსისტემაში. ინოვაციების კვლევასა და განვითარებაში მეცნიერების როლი მნიშვნელოვანია, მას შეუძლია შესთავაზოს პოლიტიკის ინსტრუმენტები, რათა პრაქტიკოსებმა გამოიყენონ უახლესი სამეცნიერო კვლევის შედეგები ინოვაციების განვითარებისთვის. ინოვაციური ბიზნესის ინტელექტუალურ საკუთრებაზე დაფუძნებული ბიზნესგეგმა მოიცავს ახალი პროდუქტის ან სერვისის კომერციალიზაციის ელემენტებს და მისი სწავლება უნივერსიტეტებში აუცილებელია. მას შემდეგ, რაც გაქვთ ინოვაციური პროექტის ბიზნესგეგმა, წინასწარ ჩამოაყალიბებთ მისი კომერციალიზაციისთვის საჭირო ელემენტებს, გამოთვლით თქვენს კლიენტებს, კონკურენტებს და მომხმარებლებს, შედეგად სავარაუდოდ შეამჩნევთ, რომ საჭიროა ბევრად მეტი დრო, რათა ეს იდეა იქცეს რეალობად და, რაც მთავარია, ეფექტურ და მომგებიან ბიზნესად.

#### 5.2.5.

- 1) ავტორი/ავტორები  
ავთანდილ ასათიანი
- 2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN  
„სასწავლო ქეისები ბიზნესის ეთიკასა და მენეჯმენტში“ (დამხმარე სახელმძღვანელო). რეკომენდირებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბოს მიერ. 07.07.2021, ოქმი №1. (ჩაშვებულია გამოსაცემად, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN მიენიჭება დაბჭვდის შემდეგ).
- 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“
- 4) გვერდების რაოდენობა  
59 გვ.

#### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

დამხმარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილია 21 ქართული ბიზნესრეალობის ამსახველი ორიგინალური და 3 გადმოქართულებული ქეისი. სავარჯიშოები მოიცავს ბიზნესის მენეჯმენტის და ბიზნესის ეთიკის ისეთ მხარეებს, როგორცაა: კორპორაციული მენეჯმენტის ეთიკა, პიარ-მენეჯმენტი, კომუნიკაცია ბიზნესში, შესაძლო წინააღმდეგობები ეთიკასა და ბიზნესის ინტერესებს შორის, ბიზნესორგანიზაციის მორალური სტანდარტები, მომხმარებელთან ურთიერთობის ეთიკური დილემები, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, ეტიკეტი ბიზნესში, ბიზნესის გენდერული ასპექტები, ეთიკა საერთაშორისო ბიზნესურთიერთობაში, ინდივიდის ეთიკურობის შემოწმების

ტესტები და სხვ. კრებულს წამმდგარებული აქვს ქეისის, როგორც სწავლებისა და შეფასების მეთოდის პედაგოგიკური დახასიათება. ყველა სავარჯიშო უშუალოდ ესადაგება ბიზნესის მენეჯმენტის სასწავლო კურსების, განსაკუთრებით „ბიზნესის ეთიკის“ სილაბუსით გათვალისწინებულ თემატიკას. ქეისების კრებული გამიზნულია პრაქტიკული მეცადინეობებისათვის და იგი დახმარებას გაუწევს პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს ბიზნესის ეთიკისა და ბიზნესის მენეჯმენტის სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის პროცესში.

#### 5.2.6.

1) ავტორი/ავტორები

სიმონ ნემსაძე, სერგო დადუნაშვილი

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

საბაკალავრო ნაშრომის ნიმუშები

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

CD-6764 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

4) გვერდების რაოდენობა

114 გვერდი.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

სახელმძღვანელოში მოყვანილია საბაკალავრო ნაშრომების შესრულების ნიმუშები რომლებიც პროგრამა „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის“ შესაბამისობაშია და რომლებიც სტუდენტებს გაუადვილებს წარმატებით შეირჩიონ და შეასრულონ საბაკალავრო ნაშრომი აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მათი სასურველი თემატიკის მიხედვით: 1) ელექტრული მოწყობილობების ტექნიკური დიაგნოსტიკა გამოყენებითი პროგრამული პაკეტებით; 2) მუდმივი დენის დამოუკიდებელი აღზნებიანი ძრავის ტექნიკური მდგომარეობის დიაგნოსტიკა (შენიშვნა: აღნიშნული თემა შეძლება დაამუშაოს სტუდენტთა ორმა ჯგუფმა, სადაც პირველი შეასრულებს ტექნიკურ დიაგნოსტიკის მოთხოვნებს, ხოლო მეორე- დიაგნოსტიკას პროგრამული პაკეტების დახმარებით); 3) ელექტრული სისტემები - სიხშირის რეგულირება ელექტროსისტემაში ელექტროსისტემაში სიხშირის სტაბილურობის პირობა, დატვირთვის სიხშირული მახასიათებელი, ტურბინის ბრუნვითა რიცხვის რეგულატორი; 4) ენერგეტიკული ელექტრონიკა, მართვის მიკროპროცესორული სისტემები.

#### 5.3. კრებულები

1) ავტორი/ავტორები

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

4) გვერდების რაოდენობა

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

### 5.4. სტატიები ციფრული (დიגיტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

#### 5.4.1.

1) ავტორი/ავტორები

დ. ნამგალაძე, თ. კიზირია, ლ. შატაკიშვილი, თ. ღვანიძე

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

„Расчет характеристик выбросов внутреннего давления в магистральных газопроводах“.

ISSN 2413-1032

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

WORLD SCIENCE № 1(62) January 2021 DOI: [https://doi.org/10.31435/rsglobal\\_ws](https://doi.org/10.31435/rsglobal_ws)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
Warsaw, Poland 2.

5) გვერდების რაოდენობა  
4 გვ.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

ტექნოლოგიური ოპერაციების მართვა გაზსაკომპრესორო სადგურების და მაგისტრალური გაზსადენების ხაზოვანი ნაწილის გადატუმბვისა და შევსების დროს, გაზის სატუმბი დანადგარების ჩართვა-გამორთვები და სხვა ტექნოლოგიური გადართვები, რომლებიც მიზნად ისახავს ამპლიტუდის ზღვრული მნიშვნელობების გადაჭარბების თავიდან აცილებას. გაზის რყევების, გაზის გადაცემის სისტემის ფუნქციონირების გაზრდის მიზნით. მაგისტრალური გაზსადენები შექმნილია იმისთვის, რომ უზრუნველყოს უსაფრთხო მუშაობა ნორმალური სამუშაო პროცესის დროს. შიდა წნევა, ისევე როგორც მისი საცდელი წნევა უსაფრთხოა და არ გამოიწვევს გაზსადენის რღვევას. მაგრამ ხშირად მაგისტრალური გაზსადენის ექსპლუატაციის დროს ხდება ჩართვა-გამორთვების პროცედურები და სხვადასხვა რყევები. ამიტომ ამ პროცესებისა და ციკლური დატვირთვის გამო ხდება მილსადენის ლითონის დაღლა. პრაქტიკიდან ასევე ცნობილია, რომ ნორმალური ექსპლუატაციის დროს შეიძლება მოხდეს მილსადენის რღვევა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია დინამური წნევის ემისიების მნიშვნელობის განსაზღვრა, მაღალი დონისთვის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. აღმოჩნდა, რომ შიდა წნევის ამოვარდნების რაოდენობა ემორჩილება რეილის განაწილების კანონს. ამ კანონის საფუძველზე მიღებულ იქნა მოცემული დონის შიდა წნევის ემისიების ოდენობის ანალიტიკური დამოკიდებულება, რომლის მიხედვითაც მიღებული იქნა რიცხვითი შედეგები.

**5.4.2.**

1) ავტორი/ავტორები

**Dadunashvili Sergo**

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI  
*Control in the Space of Life* (<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-1-119-135>)

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
შრომები; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; 1(519)-2021.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”

5) გვერდების რაოდენობა  
17 გვერდი.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

სიცოცხლე თავს იჩენს როგორც მიზანმიმართული დადებითი შერჩევა. სიცოცხლე, როგორც პროცესუალური, არ ექვემდარება ანალიზის ჩვეულ მეთოდებს. პასუხი კითხვაზე, თუ როგორ არის მოწყობილი სიცოცხლე და რას ემყარება ცოცხალი სისტემა რეალობაში, წარმოადგენს აქტუალურ ამოცანას. სტატიაში განხილულია მუშაობის ზოგადი პრინციპები და ორადი ფარდობის გამოვლინება სასიცოცხლო სივრცეში, კოსმო-ფიზიკური და გეოფიზიკური ფაქტორების გათვალისწინებით, ვირუსსა და უჯრედს შორის ურთიერთობის მაგალითის გამოყენებით.

**5.4.3.**

1) ავტორი/ავტორები

მაკა ჯიშკარიანი

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI  
Criteria for Estimating Greenhouse Gas Emissions from Transport.  
[doi.org/10.36073/1512-0996-2021-3-59-68](https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-3-59-68)

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

- სტუ-ს შრომების კრებული #3(521) 2021წ.
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა საქართველო, თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“
  - 5) გვერდების რაოდენობა გვ.59-68.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

მოცემულ ეტაპზე, კლიმატის ცვლილების ეკონომიკური კვლევა და მისი მთავარი პრობლემა მოითხოვს სხვადასხვა ფაქტორების ღრმა მეცნიერულ შესწავლას და ანალიზს. ჰაერის დაბინძურების მნიშვნელოვანი წყაროა ენერგეტიკული სექტორი, განსაკუთრებით მყარი და თხევადი საწვავი, რომელიც გამოიყენება თბოელექტროსადგურებში ტექნოლოგიური მიზნებისათვის. საქართველოში თბოელექტროსადგურებში გამოუმუშავდება მთლიანად გენერირებული ელექტროენერჯის 1/5. სტატიაში გაანალიზებულია სათბურის გაზების ემისიები საქართველოში სექტორების და ქვესექტორების მიხედვით, აგრეთვე საწვავის წვის შეფასების კრიტერიუმები, როგორცაა საწვავის ნეტო კალორიული ღირებულება და ნახშირბადის შემცველობის სტანდარტული ინდიკატორები. ნაშრომში შემუშავებულია სატრანსპორტო საშუალებებიდან CO<sub>2</sub>, CH<sub>4</sub> და N<sub>2</sub>O ემისიების გაანგარიშების ფორმულა.

**5.4.4.**

- 1) ავტორი/ავტორები **Dadunashvili Sergo**
- 2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI *Dynamics of the Dual Relationships* (<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-1-106-118>)
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი შრომები; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; 1(519)-2021.
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”
- 5) გვერდების რაოდენობა 13 გვერდი.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

ბუნება ქმნის თავის სისტემებს იერარქიის დონეების თანმიმდევრობის სახით, რომელებიც აერთიანებენ მრავალ ჰეტეროგენულ ობიექტს, ორადი ფარდობების საფუძველზე. სტატიაში განხილულია ორადი ფარდობის მუშაობისა და მანიფესტაციის ზოგადი პრინციპები, აგრეთვე ამ ფუნქციონირების საზომი ინსტრუმენტი.

**5.4.5.**

- 1) ავტორი/ავტორები მანანა სამადაშვილი, ეკატერინე გობეჯიშვილი
- 2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ადამიანური რესურსები - ორგანიზაციის ძირითადი მამოძრავებელი ძალა. DOI.org/10.36962/104/3-5/2021011843)
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“, ISSN 2587-4713., E-ISSN 2733-3361., DOI:10.36962/ECS., № 3-5/ტომი 104.
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა თბილისი
- 5) გვერდების რაოდენობა 7 გვერდი.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**



ბიზნესის პროცესში კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად ადამიანური რესურსების მენეჯმენტი წარმოადგენს სტრატეგიულ მიდგომას ორგანიზაციის, ან მასში მომუშავე პერსონალის მიმართ. ადამიანური რესურსების მართვის მნიშვნელობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ადმინისტრაციული ოპერაციების ჩატარებიდან გადავიდა უფრო მრავლისმომცველი ფუნქციების შესრულებამდე. ადამიანური რესურსების ფუნქციები არსებობს და იარსებებს ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციებში და კომპანიებში, რადგან არსებობს მათში სამუშაო. ახალი ტექნოლოგიების გარდაქმნა ნებისმიერი პროფესიული სფეროსათვის ქმნის ახალ საჭიროებებს და სპეციალიზებულ ფუნქციებს ადამიანური რესურსების გამოყენებისათვის. დღევანდელ კონკურენტულ გარემოში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად გამოყენებული მეთოდები იძლევა სამუშაო პროცესების გამარტივების საშუალებას. საინტერესოა ისეთი ახალი რესურსების გამოყენება, როგორცაა: მანქანური სწავლება, დიდი მონაცემები და სხვა. ციფრული ტექნოლოგია მოითხოვს სამუშაო სტილისა და პროცედურების შეცვლას. კონკურენტუნარიანმა პროფესიონალებმა წვლილი უნდა შეიტანონ ადამიანების სამუშაო გამოცდილების გაუმჯობესებაში. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ხელს უწყობს მიზნებისა და ამოცანების წარმატებით შესრულებას. მხოლოდ ასეთი სისტემა ინარჩუნებს მოტივირებულ თანამშობელს. ხელოვნური ინტელექტის განვითარება შორს არის სრულყოფილებამდე, არსებობს მრავალი პრობლემები და მხოლოდ ადამიანების ხელშეწყობით არის შესაძლებელი მათი გადალახვა. ამგვარად აუცილებელია თანამედროვე პერსონალის დაქირავება და მათი მომზადება ციფრული ტექნოლოგიის ათვისების და გამოყენების თვალსაზრისით. ტექნოლოგია გარდაქმნის ჩვენს ცხოვრებას.

#### 5.4.6.

##### 1) ავტორი/ავტორები

ქეთევან ქუთათელაძე, მანანა მალრამე, ქეთევან ბურდულაძე

##### 2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

„მარკეტინგის განვითარების სტრატეგიები სამედიცინო სფეროში“.

UDC 659.4 SCOPUS CODE 1405. <https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-2-85-94>

##### 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები, №2 (520) 2021წ.

##### 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

ქ.თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“.

##### 5) გვერდების რაოდენობა

9 გვერდი.

#### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

სახელმწიფო დოტაციების შემცირებამ, სადაზღვევო კომპანიების მიერ დანახარჯების კონტროლმა, მედიცინაში ეთიკური სტანდარტების დანერგვამ ჯანდაცვის დაწესებულებათა მხრიდან გაზარდა მოთხოვნა დამატებით ინვესტიციებზე. კერძო სამედიცინო-სამკურნალო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და საქმიანობის მდგრადობისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი მარკეტინგული კომპლექსის ფორმირებაა. სამედიცინო სფეროს დაწესებულებების ცნობადობის, მომსახურების პოპულარიზაციის მიზნით გამოიყენება მარკეტინგული კომუნიკაციების სისტემის ძირითადი საშუალებები: რეკლამა, საზოგადოებასთან ურთიერთობა და ე.წ. სინთეზური საშუალებები. მარკეტინგულმა ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყოს თანამედროვე სამედიცინო მომსახურების შექმნა და უკვე არსებულის განვითარება. მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი სამედიცინო ბაზრის რეგულირებაში, რათა ხელი შეეწყოს მიმწოდებელთა შორის ჯანსაღ კონკურენციას და სამედიცინო მომსახურების ხარისხის განუხრებელ გაუმჯობესებას. სოციალური სფეროს მარკეტინგული კომუნიკაციის სისტემის ინსტრუმენტები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად – აქტიური და პასიური, იმის მიხედვით, ესა თუ ის ინსტრუმენტი ემსახურება კომუნიკაციის გამგზავნს თუ მიმღებს. სოციალური კვლევებით მიღებული შედეგები ადასტურებს მარკეტინგის განსაკუთრებულ როლს სამედიცინო ორგანიზაციებისა და პერსონალის საქმიანობის ეფექტიანობის მიღწევაში.

სამედიცინო მომსახურებაში მარკეტინგული კვლევის ძირითადი მიზნებია: ობიექტური ინფორმაციის მიღება და ანალიზი, სამედიცინო დახმარების სტრატეგიის ოპტიმიზაცია, ახალი მომსახურების ბაზრის

შექმნა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჯანდაცვის ისეთი მოდელის ფორმირება, რომელშიც ოპტიმიზებული იქნება ექიმისა და პაციენტის ურთიერთობა და ადეკვატურად ასახავს სამედიცინო ბაზრის დღევანდელ რეალობას.

#### 5.4.7.

- 1) ავტორი/ავტორები  
ბორის დალუნდარიძე
- 2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI  
ელექტრული და მექანიკური ენერგიების ურთიერთგარდაქმნადობის ფენომენი
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
„ენერჯია“ N 2 (98)/2021, II
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
ქ.თბილისი. სტუ, კავშირი „მეცნიერება და ენერჯეტიკა“.
- 5) გვერდების რაოდენობა  
6 გვერდი.

#### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

სტატიაში გაშუქებულია ელექტრომექანიკის კურსში სადღეისოდ არსებული მეცნიერული ცოდნის სისტემატიზაციის საკითხი, რის საფუძველზეც გამოტანილია დასკვნა, რომ ამ სფეროში სამეცნიერო ცოდნის არსებული სისტემატიზაცია ნაწილობრივ არაობიექტური და არასამართლიანია, არათანმიმდევრულად შეესაბამება ფიზიკურ მოვლენებს და საჭიროებს შეცვლას. კონკრეტულად დასმულია საკითხი, რომ ელექტრომექანიკის ერთ-ერთი (შექცევადობის) პრინციპი, მისი გაღრმავებით და მასთან ელექტრული და მექანიკური ენერგიების საყოველთაოდ აღიარებული არაფორმალური „ურთიერთგარდაქმნადობის“ მოვლენის ჰიბრიდიზაციით მიღებული ელექტრულ და მექანიკურ ენერგიების ურთიერთგარდაქმნადობის კანონი- აღიარებული იქნას ფიზიკის მნიშვნელოვან, ხოლო ელექტრომექანიკის, ელექტროდინამიკისა და ელექტრომაგნიტიზმის ფუძემდებლურ კანონად; ფარადეის ელექტრომაგნიტური ინდუქციისა და ამპერის ჰიბრიდული ელექტრომაგნიტური ძალის კანონები შედიან ამ კანონში და განიხილებიან ურთიერთგარდაქმნადობის კანონის ორ კერძო შემთხვევად მხოლოდ ინდუქციური სახეობის მანქანებში სათანადოდ გენერატორული და მრავალი რეჟიმების კონკრეტულ შემთხვევებისაგან. ელექტრომექანიკის 3 ფუძემდებლური პრინციპიდან ამოღებულია პრინციპები: „1. ენერჯიის ყოველ გარდაქმნას თან ახლავს აუცილებელი დანაკარგები“; „2. ყველა ელექტრული მანქანა შექცევადია“.

### 5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

#### 5.5.1.

- 1) ავტორი/ავტორები  
მარგალიტა მარდალეიშვილი
- 2) სტატიის სათაური, ISSN  
გარემოსდაცვითი წყლის ხარჯის შეფასება ექსპლუატაციაში მყოფი ჰესებისათვის, ISSN 1512-0120 doi.org/10.36073/1512-0996-2021-3-59-68
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
„ენერჯია“, საინჟინრო ტექნიკური ჟურნალი, №2(98) II
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
ქ.თბილისი. სტუ, კავშირი „მეცნიერება და ენერჯეტიკა“.
- 5) გვერდების რაოდენობა  
1.5 გვ.

#### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

განგარიშებები შესრულებულია ზემო ავჭალაში მდებარე ზაჰესის სადერივაციო არხის უბნის შესაბამის მდ. მტკვრის მონაკვეთისათვის ქვემო ბიეფში ცოცხალი ორგანიზმების სასიცოცხლო პირობების შენარჩუნების უზრუნველყოფის და მდინარის დაბინძურების დასაშვები კონცენტრაციის ფარგლებში დარჩენის გათვალისწინებით. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ საკვლევ უბანზე ამჟამად არსებული მიდგომებით განსაზღვრული გარემოსდაცვითი წყლის ხარჯის გატარებისას წყლის ქიმიური მაჩვენებლები მოქმედი ნორმის ფარგლებშია და დაკმაყოფილებულია ცოცხალი ორგანიზმების სასიცოცხლო პირობები.

#### 5.5.2.

- 1) ავტორი/ავტორები  
ბელა ჭანტურიძე
- 2) სტატიის სათაური, ISSN  
ელექტროენერჯის ექსპორტ-იმპორტი 2005-2020 წლების ანალიზი. ISSN 1512-0287
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
საქართველოს საინჟინრო სიახლენი #2, 2021 წელი
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
საქართველო, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
- 5) გვერდების რაოდენობა  
გვ.37-40

#### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

სტატიაში დახასიათებულია ელექტროენერჯის ექსპორტ-იმპორტის მნიშვნელობა, ქვეყნის ენერგოუზრუნველყოფაში და მთლიანად ეკონომიკის განვითარებაში. გაანალიზებულია საქართველოს ელექტრობალანსში ექსპორტ-იმპორტის დონე და დინამიკა ბოლო 16 წლის მანძილზე. აღსანიშნავია, რომ წინა წლებში ადგილი ჰქონდა იმპორტის თანდათანობით შემცირებას. 2015 წლიდან კი სურათი შეიცვალა და უკვე 2020 წელს იმპორტმა ექსპორტს 10-ჯერ გადააჭარბა. იმპორტის მოცულობის პიკი 2019 წელს იყო. სტატიაში ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები განხილულია საქართველოს ყველა მეზობელი ქვეყნის მიხედვით.

#### 5.5.3.

- 1) ავტორი/ავტორები  
ბელა ჭანტურიძე
- 2) სტატიის სათაური, ISSN  
ინფოკომუნიკაციური დარგის პროდუქციის თავისებურებები. ISSN 1987-7471
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
სოციალური ეკონომიკა #2, 2021 წელი
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
საქართველო, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
- 5) გვერდების რაოდენობა  
გვ.20-25

#### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

სტატიაში განხილულია ინფოკომუნიკაციების როლი და მნიშვნელობა. საზოგადოებრივი შრომის განაწილების სისტემაში, რაც მდგომარეობს სხვადასხვა სახის ინფორმაციის გადაცემაში, ასევე საკითხები რომლებიც განმარტავენ, თუ რა განსხვავებაა ინფორმაციულ რესურსებსა და ბუნებრივ რესურსებს შორის. აგრეთვე, მოცემული და დახასიათებულია ინფოკომუნიკაციური ხასიათის პროდუქტების და მომსახურების კლასიფიკაცია. სტატიაში ხაზი ესმევა 21 საუკუნის მსოფლიოსათვის 5G-ს სრულად დანერგვის ფასდაუდებელ მნიშვნელობას.

#### 5.5.4.

- 1) ავტორი/ავტორები  
Ломсадзе-Кучава М.К

- 2) სტატიის სათაური, ISSN  
Covid-19 И Система Высшего Образования в Грузии. Сборнику присваиваются библиотечные индексы УДК и международный стандартный книжный номер ISBN 978-4-9783419-5-2.
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
CIENCE AND EDUCATION: PROBLEMS, PROSPECTS AND INNOVATIONS.N2
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
Abstracts of V International Scientific and Practical Conference Kyoto, Japan 4-6 February 2021
- 5) გვერდების რაოდენობა  
Pp. 425-432.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

სტატიაში განხილული საქართველოში COVID-19 პანდემიური ვითარების გავლენა უმაღლესი განათლების სისტემაზე. ჩატარებულია კვლევა, რომელშიც გამოყენებულია დონალდ კირკ პატრიკის ოთხი დონის მიდგომა ელექტრონული სწავლების ეფექტურობის გაზომვის შედეგების შესაფასებლად. დადგენილია ონლაინ სწავლების დადებითი და უარყოფითი შედეგები.

**5.5.5.**

- 1) ავტორი/ავტორები  
Ломсадзе-Кучава М.К
- 2) სტატიის სათაური, ISSN  
Анализ факторов риска при инвестировании в энергетический инвестиционный проект. Сборнику присваиваются библиотечные индексы УДК и международный стандартный книжный номер ISBN 978-92-9472-197-6.
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
THE WORLD OF SCIENCE AND INNOVATION N3
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
Cognum Publishing House. London, United Kingdom. 2021
- 5) გვერდების რაოდენობა  
Pp. 629-635.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

სტატიაში გაშუქებულია ენერგეტიკულ საწარმოში ინვესტიციის ჩადების რისკის მართვის მეთოდები. აღნიშნულია, რომ ინვესტორმა კაპიტალის დაბანდების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ისეთი ინვესტიციის სასარგებლოდ, რომლის მოსალოდნელი უკუგება ყველაზე დიდია. სტატიაში მოცემულია, რომ ინვესტორმა სად უნდა დაბანდოს ინვესტიცია მცირე ჰესის ასაშენებლად თუ დიდ ჰესის და დათვლილია უკუგების პროცენტი.

**5.5.6.**

- 1) ავტორი/ავტორები  
Nino Maghradze
- 2) სტატიის სათაური, ISSN  
Reforms and Challenges in Georgian Electricity Market: Implementation of EU Directives, ISSN 1822-75546.
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
17th International Conference of Young Scientists on Energy and Natural Sciences Issues (CYSENI 2021)
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
Kaunas, Lithuania, CYSENI 2021, available online:  
[https://cyseni.com/wp-content/archives/proceedings/Proceedings\\_of\\_CYSENI\\_2021.pdf](https://cyseni.com/wp-content/archives/proceedings/Proceedings_of_CYSENI_2021.pdf)
- 5) გვერდების რაოდენობა  
გვ. 352-360

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

სტატიაში განხილულია საქართველოში ელექტრო ენერგეტიკული ბაზრის მიმართულებით გატარებული რეფორმები და ენერგეტიკულ გაერთიანებასთან 2016 წლის 14 ოქტომბერს ხელმოწერილი მიერთების ოქმის შესაბამისად აღებული ვალდებულებების მიმოხილვა. ნაშრომში შესრულებულია მიმდინარე რეფორმების ანალიზი, სექტორის ცალკეული გადასაწყვეტი საკითხის მიმართ მათი მიმდინარე სტატუსი და შესაბამისი გამოწვევები, რაც განსაზღვრულია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 13 ივლისის დირექტივაში.

#### 5.5.7.

1) ავტორი/ავტორები

ლ. ბოჭორივილი, მ. თოფურია

2) სტატიის სათაური, ISSN

„უმაღლეს სასწავლებლებში ონლაინ სწავლების თავისებურებანი, თეორია და პრაქტიკა“  
ISBN 978-9941-498-36-7

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

„ონლაინ სწავლება კოვიდ 19-ის პირობებში და განათლების სისტემა“ -საქართველოს  
განათლების მეცნიერებათა აკადემია

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

საქართველო, თბილისი. 20 ნოემბერი 2021,

5) გვერდების რაოდენობა

გვ.40-45

#### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

ობიექტურმა რეალობამ, რომელიც დაკავშირებულია დღევანდელ პანდემიასთან, მოითხოვა პრაქტიკულად ყველა სასწავლო დაწესებულების გადაყვანა ონლაინ სწავლებაზე. ამასთან, მოცემულ მომენტში პედაგოგიურ მოღვაწეობაში არ არის დამუშავებული ონლაინ სწავლების სპეციალური მეთოდიკა. ონლაინ-სწავლება წარმოადგენს სწავლების პროგრესულ და დინამიურად განვითარებად ფორმატს. იგი საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად განვითარდეს სწავლების პროცესის სივრცული და დროითი საზღვრები და ხდის მას საგრძნობლად მოქნილს. ონლაინ-ტექნოლოგიები სულ უფო და უფრო აქტიურად იკიდებს ფეხს ნებისმიერ პროფესიულ განათლებაში და აქვს განვითარების დიდი პერსპექტივები. სტატიაში აღწერილია დისტანციური სწავლების ფორმატის ერთ-ერთი მეთოდი - ვებინალური კომუნიკაცია, რაც მოიცავს ინფორმაციის გაცვლას მოსაუბრეებს შორის, მოკლედ არის მიმოხილული ონლაინ-სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

#### 5.5.8.

1) ავტორი/ავტორები

ლ.ბოჭორივილი.,თ. ფილიპიდის, მ. თოფურია

2) სტატიის სათაური, ISSN

„ელექტრომოწობილობის გეგმიური სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის თეორია და პრაქტიკა“ "ISSN 1512-0120

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

კონფერენცია, შრომების კრებული ქ."ენერჯია", სერია # 2(98)//2021, გვ.203-208

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

საქართველო, თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“ ენერგეტიკი ფაკულტეტი

5) გვერდების რაოდენობა

გვ.203-208

#### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

სტატიაში მოცემულია სარემონტო სამუშაოების მმართველობითი აღრიცხვის, დანახარჯთა მართვის არსი, მიზანი და თავისებურებები. განხილულია საწარმოს ელექტრომოწობილობის სარემონტო სამუშაოს კლასიფიკაციის კონცეფციები, დანახარჯების ფუნქცია, ასევე ამ მომსახურების ერთეულის

თვითღირებულების კალკულაციის მეთოდები, პრინციპები და ტექნიკა, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკაში წარმატებით გამოიყენება.

#### 5.5.9.

1) ავტორი/ავტორები

ლ. ბოჭორიშვილი, მ.თოფურია

2) სტატიის სათაური, ISSN

ენერგეტიკული საწარმოს ძირითადი საშუალებების აღრიცხვიანობისა და აუდიტის პროგრამა თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით . "ISSN 1512-0120

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

„ენერჯია“, სერია # 2(98)//2021,

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

ქ.თბილისი. სტუ. კავშირი „მეცნიერება და ენერგეტიკა“.

5) გვერდების რაოდენობა

გვ.209-215

#### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

შესრულებულ სამუშაოში განხილული საკითხების აქტუალობა განპირობებულია ენერგეტიკის ადგილით ქვეყნის ეკონომიკაში, ბაზრის ყველა მონაწილეთა მჭიდრო კავშირით, საწარმოთა ბუღალტრული აღრისხვისა და ფინანსური კონტროლის სრულყოფის აუცილებლობით. სტატიაში მოცემულია კონკრეტული ენერგეტიკული საწარმოს ძირითადი საშუალებების აუდიტორული შემოწმების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მის აღიარებას, პერიოდულ შემოწმებასა და კონტროლს, შენახვას, მოძრაობას, ამორტიზაციის დარიცხვას, რომელიც დანახარჯთა აღრიცხვის ერთერთ ძირითად წონად სიდიდედ განიხილებ, და ა.შ. აუდიტის შედეგად მომზადებულია დასკვნები და რეკომენდაციები ხელმძღვანელობისთვის იმ დარღვევებისა და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რომელებიც გავლენას ახდენს ფინანსურ შედეგებზე და ფინანსური ანგარიშგების სანდოობასა და შესაბამისობაზე.

#### 5.5.10.

1) ავტორი/ავტორები

თ. კობრიძე, მ. ხახანოვი.

2) სტატიის სათაური, ISSN

შეთავსებული ძალოვანი ზეგამტარული გამმართველი ნულოვანი გამომყვანით,

მრავალძარღვიანი ზეგამტარული სადენიანი გრაგნილებით და ამორფული გულარებით, ISSN1512-0120,

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

„ენერჯია“, N4(96), 2020, თბილისი,

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

ქ.თბილისი. სტუ. კავშირი „მეცნიერება და ენერგეტიკა“.

5) გვერდების რაოდენობა

2 გვ.

#### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

განხილულია შეთავსებული ძალოვანი ზეგამტარული გამმართველი ნულოვანი გამომყვანით, მრავალძარღვიანი ზეგამტარული სადენიანი გრაგნილებით და ამორფული გულარებით. მოცემულია მუშაობის პრინციპი და შეფასებულია დანაკარგები.

#### 5.5.11

1) ავტორი/ავტორები

თ. კობრიძე, მ. ხახანოვი.

- 2) სტატიის სათაური, ISSN  
ძალოვანი კრიოტრონი ამორფული გულარით და მრავალძარღვიანი ზეგამტარული  
სადენიანი გრაგნილებით, ISSN1512-0120
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
“ენერჯია“, N4(96), 2020, თბილისი,
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
ქ.თბილისი. სტუ, კავშირი „მეცნიერება და ენერჯეტიკა“.
- 5) გვერდების რაოდენობა  
3 გვ.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

განხილულია ძალოვანი კრიოტრონი ამორფული გულარით და მრავალძარღვიანი ზეგამტარული სადენიანი გრაგნილებით ლოკალიზირებული მაგნიტური ველით. მოცემულია მისი ვოლტამპერული მახასიათებელი.

**5.5.12.**

- 1) ავტორი/ავტორები  
თ. კოხრეიძე, მ. ხახანოვი.
- 2) სტატიის სათაური, ISSN  
ამორფულ-ზეგამტარული შეთავსებულ ტრანსფორმატორულ ძალოვან  
გამმართველში სტაციონარული პროცესები, ISSN1512-0120
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
“ენერჯია“, N3(99), 2021, თბილისი,
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
ქ.თბილისი. სტუ, კავშირი „მეცნიერება და ენერჯეტიკა“.
- 5) გვერდების რაოდენობა  
5 გვ.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

მიღებულია ამორფულ-ზეგამტარულ შეთავსებულ ტრანსფორმატორულ ძალოვან გამმართველში სტაციონარული პროცესების განტოლებები მატრიცულ ფორმაში. განტოლებების ამოხსნის შედეგად მიღებულია გამმართველი ზეგამტარული ტრანსფორმატორის გრაგნილების სიმძლავრეების ძირითადი თანაფარდობები უქმი სვლის რეჟიმში. დადგენილია, რომ აგზნების გრაგნილი უნდა იკვებებოდეს ძაბვით, რომლის ფაზა უნდა ემთხვეოდეს პირველადი გრაგნილის ძაბვის ფაზას, მაგრამ ის უნდა განსხვავდებოდეს სიდიდის მიხედვით. ნაჩვენებია, რომ აგზნების გრაგნილის ერთეული სიმძლავრე მოცემული სიგანის დროს განისაზღვრება ამორფული მაგნიტოგამტარში მაგნიტური ველის ინტენსივობით და აგზნების დენის სიმკვრივით და პროპორციულია აღნიშნული სიდიდეების ნამრავლის.

**5.5.13.**

- 1) ავტორი/ავტორები  
თ. კოხრეიძე, მ. ხახანოვი.
- 2) სტატიის სათაური, ISSN  
ამორფულ-ზეგამტარულ შეთავსებულ ტრანსფორმატორულ ძალოვან  
გამმართველში ელექტრომაგნიტური პროცესები, ISSN1512-0120
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
“ენერჯია“, N3(99), 2021, თბილისი,
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
ქ.თბილისი. სტუ, კავშირი „მეცნიერება და ენერჯეტიკა“.
- 5) გვერდების რაოდენობა  
10 გვ.

### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

მიღებულია ამორფულ-ზეგამტარულ შეთავსებულ ტრანსფორმატორულ ძალოვან გამმართველში ელექტრომაგნიტური პროცესების განტოლებები, რომლებიც საშუალებას იძლევა პროცესების ანალიზისა, როგორც გარდამავალ, ისე სტაციონალურ რეჟიმებში. დადგენილია, რომ გამმართველი ტრანსფორმატორის თითოეული ზეგამტარული გრაგნილის აქტიური წინაღობა შედგება სამი მდგენელისაგან: აქტიური წინაღობა, დაკავშირებული ზეგამტარულ სადენებში ელექტრულ დანაკარგებთან; ეკვივალენტური წინაღობა, დაკავშირებული ზეგამტარულ სადენებში ჰისტერიზისულ დანაკარგებთან; წინაღობა, დაკავშირებული ზეგამტარულ სადენებში და ფუძეში გრიგალურ დანაკარგებთან. განხილულია გამმართველი ზეგამტარული ტრანსფორმატორის მუშაობის რეჟიმები: უქმი სვლის რეჟიმი, დატვირთვის რეჟიმი და მოკლე შერთვის რეჟიმი.

### **5.5.14.**

#### 1) ავტორი/ავტორები

თ. კობხეიძე, მ. ხახანოვი.

#### 2) სტატიის სათაური, ISSN

სიმძლავრის დანაკარგების შეფასება ამორფულ-ზეგამტარულ შეთავსებულ ტრანსფორმატორულ ძალოვან გამმართველში გარდამავალი პროცესების საფუძველზე, ISSN1512-0120,

#### 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

“ენერჯია“, N4(100), 2021, თბილისი,

#### 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

ქ.თბილისი. სტუ, კავშირი „მეცნიერება და ენერჯეტიკა“.

#### 5) გვერდების რაოდენობა

10 გვ.

### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

შეფასებულია სიმძლავრის დანაკარგები ამორფულ-ზეგამტარულ შეთავსებულ ტრანსფორმატორულ ძალოვან გამმართველში გარდამავალი პროცესების საფუძველზე. მიღებულია დანაკარგების საანგარიშო გამოსახულება. გამოსახულებიდან ჩანს, რომ დანაკარგები დამოკიდებულია სქემის კონფიგურაციაზე და მის ყველა პარამეტრებზე, როგორცაა დატვირთვის ინდუქციურობა, ტრანსფორმატორის შტოების ინდუქციურობა, მკვებავი ცვლადი დენის სიხშირე. მათი გაზრდით იზრდება შესაბამისად დანაკარგები. პირიქით, გადამრთველი ელემენტის აქტიური წინაღობის გაზრდით ნორმალურ მდგომარეობაში მცირდება დანაკარგები. დადგენილია, რომ სიმძლავრის დანაკარგები და შესაბამისად მარგი ქმედების კოეფიციენტი გამმართველში დამოკიდებულია არა მხოლოდ გამმართველის სქემის პარამეტრებზე, არამედ დატვირთვის ინდუქციურობაზე. ამიტომ გამმართველის ოპტიმიზაცია დატვირთვის გათვალისწინების გარეშე დაუშვებელია.

### **5.5.15.**

#### 1) ავტორი/ავტორები

შოთა ნემსაძე, მერაბ ცეცხლაძე, თენგიზ მაისურაძე

#### 2) სტატიის სათაური, ISSN

მბრუნავი ელექტრული მანქანების ვიბრობალანსირება, ISSN 1512-0996.

#### 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომების კრებული, №3(521) 2021, 2021, თბილისი,

#### 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

ქ. თბილისი, სტუ-ის შრომები, საგამომცემლო სახლი "ტექნიკური უნივერსიტეტი"

#### 5) გვერდების რაოდენობა

7 გვ.

### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**



ელექტრული მანქანებში ვიბრაციის არსებობის ყველაზე გავრცელებული მიზეზს წარმოადგენს მბრუნავი ნაწილების არათანაბარი მოძრაობა, რაც თავის მხრივ ელექტრული მანქანებში იწვევს ვიბრაციას. ეს ვიბრაცია კიდევ უფრო ვლინდება ელექტრული მანქანასთან დაკავშირებული სხვადასხვა მექანიზმის დამაკავშირებელი ლილვების არაცენტრირებით. მექანიკური სისტემის მოძრაობის დროს გარე არასასურველი ზემოქმედების პირობებში აღიძვრება მექანიკური რხევები ანუ ვიბრაცია, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ელექტრომექანიკური სისტემის გამართულ მუშაობაზე და ხშირ შემთხვევაში აუარესებს მის ისეთ ექსპლოატაციურ მახასიათებლებს, როგორცაა სიზუსტე, მარგიქმედების კოეფიციენტი და ექსპლოატაციის ხანგრძლიობას. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ექსპლოატაციის პირობებში ელექტრული მანქანის და მექანიზმის ლილვების შეპირეპირების ადგილას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ექცენტრირებას, რაც მბრუნავი ღერძის მიმართ ექსცენტრულად განლაგებული გაუწონასწორებული მასების გაჩენით იქნება განპირობებული, რაც თავის მხრივ იწვევს მანქანის საკისრების ნაადრევად მწყობრიდან გამოსვლას და შესაბამისად დინამიკური მახასიათებლების გაუარესებას. აღნიშნულთან დაკავშირებით ნაშრომში მოცემულია როტორის გაუწონასწორებული მასების ზემოქმედების კომპენსირების მეთოდი, რომლის დროსაც გაზომვის შედეგების მიხედვით ხორციელდება რხევის ამპლიტუდასა და მაკომპენსირებელი ტვირთის დამაგრების კუთხეს შორის დამოკიდებულების ანალიზი. ამ მეთოდის ერთერთ უარყოფით მხარეს წარმოადგენს ელექტრული მანქანის მრავალჯერადი გაშვება და ისეთ ცნებების გამოყენება, როგორცაა ბალანსირების მგრძნობიარობა, მაკორექტირებელი მასის ვექტორი და სხვა. ნაჩვენებია ელექტრული მანქანის დინამიკური ბალანსირების შედარებით მოქნილი მეთოდი, რომლის საფუძველს ელექტრული მანქანის ვიბროსიჩქარის ამპლიტუდის და ვიბროგადაადგილების ფაზის გაზომვა წარმოადგენს. მოცემულია შესაბამისი ოსცილოგრამები და ანალიზური გამოსახულებები, რომელთა ანალიზით მიღწეულია როტორზე დამატებითი მაკომპენსირებელი ტვირთის დამაგრებით ელექტრული მანქანის ვიბრაციის სრული აღკვეთა.

#### 5.5.16.

- 1) ავტორი/ავტორები  
დადუნაშვილი სერგო
- 2) სტატიის სათაური, ISSN  
უნივერსალური სკუტერის მართვის მიკროპროცესორული სისტემა (ISSN 1512-0120)..
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
“ენერჯია”; №2 (98)/2021
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
ქ.თბილისი. სტუ, კავშირი „მეცნიერება და ენერჯეტიკა“.
- 5.) გვერდების რაოდენობა  
6 გვ.

#### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

სტატიაში მოცემულია მართვის სისტემის აღწერა სკუტერისათვის, რომლის გამოყენება შესაძლებელია როგორც სახმელეთო სატრანსპორტო საშუალება შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. ეს სისტემა არის განსაკუთრებული თავისი მრავალფუნქციონალურობით და ტრანსფორმაციის შესაძლებლობებით, გამომდინარე იქედან, რომ საბორტო მინი კომპიუტერი რეალიზებულია PCM-3350 მიკროპროცესორის ბაზაზე.

#### 5.5.17.

- 1) ავტორი/ავტორები  
დადუნაშვილი სერგო
- 2) სტატიის სათაური, ISSN  
საავტომობილო ტრანსმისიის საგზაო გამოცდის მიკროპროცესორული სისტემა (ISSN 1512-0120).
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
“ენერჯია”; №2 (98)/2021

- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
ქ.თბილისი. სტუ. კავშირი „მეცნიერება და ენერგეტიკა“.
- 5) გვერდების რაოდენობა  
7 გვ.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

სტატიაში აღწერილია ტექნიკური და პროგრამული საშუალებები მიკროპროცესორული სისტემის, ავტომობილის ტრანსმისიის საგზაო გამოცდისთვის. პირველადი ინფორმაცია აიღება ტენზომეტრიულ სენსორებიდან, რომლებიც განთავსებულია მბრუნვ ნახევარღერძებზე. მონაცემები მიიღება სიგნალების გაძლიერებით და გარდაიქმნება ციფრულ ფორმაში. მათი გადაცემა ხდება ავტომობილის სალონში Bluetooth-ის რადიოარხით. ისინი რეგისტრირდებიან ფლეშ მეხსიერებაში და დამუსავებისათვის უგზავნიან ნოუთბუქში.

**5.5.18.**

- 1) ავტორი/ავტორები  
Badur Tchunashvili, Alexander Petrosyan, Archil Gvimradze, Teimuraz Gamrekelashvili
- 2) სტატიის სათაური, ISSN  
Impact of reactive power compensation devices on electromagnetic processes in the power supply and electromagnetic cluttering Formation. ISSN 1512-0120.
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
„ენერჯია“, No 2(98)/2021, I ტ.
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
ქ.თბილისი. სტუ. კავშირი „მეცნიერება და ენერგეტიკა“.
- 5) გვერდების რაოდენობა  
6 გვ

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

კვლევამ აჩვენა, რომ რეაქტიული სიმძლავრის კომპენსაციის მოწყობილობები, რომლებიც აღჭურვილია საფეხურზე რეგულირებადი კონდენსატორის ბატარეებით, არის დინამური პროცესები დაკავშირებულ ელექტრომომარაგების სისტემაში. ისინი წარმოიქმნება გარდამავალი პროცესების გადართვის დენებით და არსებობს სხვადასხვა ელექტრომაგნიტური არეულობა. დადგენილია, რომ ჩართვისას დომინირებს ხანმოკლე პერიოდის გადაძაბვა და გამორთვისას ღრმა ძაბვის ვარდნა. არსებული საფეხურებით რეგულირებადი რეაქტიული სიმძლავრის კომპენსაციის მოწყობილობებისთვის, შემოთავაზებულია კონდენსატორის ბატარეის მიწოდების კავშირის სქემა, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს გარდამავალ დენებს და ელექტრომაგნიტურ არეულობას. ამავდროულად დამტკიცებულია, რომ ახალი ენერგოსისტემის საწარმოო დიზაინის დროს უფრო აქტუალურია ტრანზისტორი მართვის სისტემით და გლუვი რეგულირების უნარით კომპენსაციის მოწყობილობების გამოყენება. ზემოაღნიშნული მოწყობილობები უზრუნველყოფენ მოთხოვნილ რეაქტიული სიმძლავრის კომპენსაციას და გამორიცხავს ელექტრომაგნიტურ არეულობას.

**5.5.19.**

- 1) ავტორი/ავტორები  
ზადური ჭუნაშვილი, მამუკა ქობალია, ალექსანდრე პეტროსიანი, ნათია რთველაძე
- 2) სტატიის სათაური, ISSN  
პარალელურად ჩართული სამმარტვა კაბელების ერთიდაიგივე ფაზების ძარღვებს შორის დატვირთვის დენის გადანაწილების გამოკვლევა და უთანაბრობის მიზეზების დადგენა. ISSN 1512-0120.
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
„ენერჯია“, No 2(98)/2021, I ტ.
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
ქ.თბილისი. სტუ. კავშირი „მეცნიერება და ენერგეტიკა“.
- 5) გვერდების რაოდენობა

6 გვ.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

დადასტურებულია, რომ მიუხედავად კაბელების პარამეტრების იდენტურობისა და ერთნაირი საექსპლუატაციო პირობებისა, ერთიდაიგივე ფაზების მარღვევში გამავალი დენები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. დასაბუთებულია, რომ რიგ შემთხვევაში, მეტად დატვირთულ მარღვევში გამავალი დენი მნიშვნელოვნად აღემატება კაბელის ხანგრძლივ რეჟიმში გახურების პირობით გათვალისწინებულ დასაშვებ დენს. დადასტურებულია, რომ პარალელურად ჩართული კაბელების ერთიდაიგივე მარღვევს შორის გამავალი დენების სხვაობაზე დაფუძნებული განივი დიფერენციალური დაცვის საშუალებით გარდამავალ წინააღმდეგობებს შორის განსხვავების განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან სხვაობის დენი დიდმნიშვნელოვნად დამოკიდებულია ჯამურ დენზე. შემოთავაზებულია, პარალელურად ჩართული ერთიდაიგივე ფაზების მარღვევის წინააღმდეგობებს შორის უთანაბრობის გამოვლენისა და განსაზღვრის მეთოდი.

**5.5.20.**

1) ავტორი/ავტორები

Гурам Цхомелидзе, Реваз Гургенадзе, Давид Турдзеладзе, Нинели Гогинашвили

2) სტატიის სათაური, ISSN

Особенности выбора, сравнительный анализ и расчет осветительных систем торговых центров. ISSN 1512-0120.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

„ენერჯია“, No 2(98)/2021, II ტ.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

ქ.თბილისი. სტუ. კავშირი „მეცნიერება და ენერჯეტიკა“.

5) გვერდების რაოდენობა

5 გვ.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

სტატიაში განხილულია სავაჭრო ცენტრების განათების მახასიათებლები, ნათურების ტიპების არჩევანი და განათების გაანგარიშება DIALux პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით. საცალო სივრცის ტიპებიდან გამომდინარე, განხილულია სხვადასხვა ნომენკლატურის საქონლის ვიზუალურ აღქმაზე კოლორიმეტრული ტემპერატურისა და ფერის გაცემის კოეფიციენტის გავლენის საკითხები. ნაჩვენებია პულსაციის კოეფიციენტის როლი, ვიზუალური აღქმის პირდაპირი კავშირი სინათლის ნაკადის პულსაციის ფორმასთან და სინათლის ნაკადის პულსაციების შეზღუდვის შესაძლებლობა. განხილულია DIALux-ის კომპიუტერულ პროგრამაში განათების გამოთვლის საკითხები და დავალებების მიხედვით გამოითვლება მოცემული საცალო ფართის განათება.

**5.5.21.**

1) ავტორი/ავტორები

Teimuraz Gamrekelashvili, Malkhaz Kvrivishvili, Konstantin Tsereteli

2) სტატიის სათაური, ISSN

Automation of 10kV distribution network site on the basis of short-circuit power indicators. ISSN 1512-0120.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

„ენერჯია“, No 2(98)/2021, I ტ.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

ქ.თბილისი. სტუ. კავშირი „მეცნიერება და ენერჯეტიკა“.

5) გვერდების რაოდენობა

5 გვ.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

ელექტროენერჯის გათიშვის დროის შესამცირებლად, მიწოდებული ენერჯის ხარისხის გაზრდის, დაზიანების ოპერატიული და სწრაფი გამოვლენის მიზნით იმ ადგილებში, რომლებიც არ არიან აღჭურვილი ამომრთველებით და აქვთ მრავალი განშტოება, ნაშრომი გვთავაზობს პროექტს მოკლე ჩართვის დენის ინდიკატორების დაყენების მიზნით. ქსელის მოცემული ტერიტორია. ასეთი გადაწყვეტილების დანართებით, არსებობს შესაძლებლობა, დროულად მოხდეს დაზიანებული ადგილის იდენტიფიცირება, გამორთვა და შემდეგ ძირითადი ხაზის ჩართვა, რათა დროულად აღდგეს კვება დაუზიანებელ მიმართულებებში. ეს ყველაფერი საბოლოოდ აუმჯობესებს უწყვეტი კვების პარამეტრებს.

**5.5.22.**

- 1) ავტორი/ავტორები  
კონსტანტინე წერეთელი, ჯიმშერ სირაძე
- 2) სტატიის სათაური, ISS  
მძლავრი ასინქრონული ძრავის გადახურების კვლევა. ISSN 1512-0120.
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
„ენერჯია“, No 2(98)/2021, II ტ.
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
ქ.თბილისი. სტუ, კავშირი „მეცნიერება და ენერჯეტიკა“.
- 5) გვერდების რაოდენობა  
3 გვ.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

გამოკვლეულ იქნა მძლავრი ტუმბოს ძრავის გადახურების მიზეზი. ექსპლუატაციის პირობებში ძრავი ხურდებოდა დასაშვებ ტემპერატურაზე მეტად ნომინალურ სიმძლავრეზე ნაკლებ სიმძლავრით მუშაობის დროს. დაკვირვებამ ცხადყო, რომ გრაგნილის გამტარების წინააღმდეგობა მეტი იყო მასთან შედარებით, რაც უნდა ყოფილიყო ნორმალურ პირობებში. გამტარის მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ გამტარის მასალა შეიცავდა კაუს (სილიციუმი), რაც ზრდიდა მის წინააღმდეგობას.

**5.5.23.**

- 1) ავტორი/ავტორები  
დავით ჭიჭინაძე
- 2) სტატიის სათაური, ISSN  
ხიდური ამწის აწევის მექანიზმის მოკლედ შერთულ როტორიანი ასინქრონული ელექტრო ამძრავი სიხშირული მართვით. ISSN 1512-0120.
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
„ენერჯია“, No 2(98)/2021, II ტ.
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
ქ.თბილისი. სტუ, კავშირი „მეცნიერება და ენერჯეტიკა“.
- 5) გვერდების რაოდენობა  
4 გვ.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

ნაშრომში განხილულია ხიდურა ამწის აწევის მექანიზმის ელექტროამძრავის კინემატიკური სქემის თავისებურებანი. შედგენილია ელექტროამძრავის მოძრავ-მექანიკური ნაწილის საანგარიშო მოდელი. ასევე, განხილულია ამწე მექანიზმების ელ.მექანიკური სისტემების მოდელირება ტექნოლოგიური ეტაპების გათვალისწინებით. მოცემული არის ელ.ამძრავის აწევის მექანიზმის საანგარიშო და სტრუქტურული სქემები. მიღებული ტაქოგრამის ანგარიშისას გამოყენებული არის მოძრავ

მექანიკური ნაწილის საანგარიშო მოდელი. გარდამავალი პროცესის დორს მიღებული შედეგები ასახული არის გრაფიკებზე.

---

#### 5.5.24.

- 1) ავტორი/ავტორები  
დიმიტრი ხარებავა
- 2) სტატიის სათაური, ISSN  
ელექტრომომარაგების სისტემაში მიმდინარე ელექტროდინამიკური პროცესების ექსპერიმენტული გამოკვლევის მოდელი. ISSN 1512-0120.
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
„ენერჯია“, No 2(98)/2021, II ტ.
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
ქ.თბილისი. სტუ, კავშირი „მეცნიერება და ენერჯეტიკა“.
- 5) გვერდების რაოდენობა  
3 გვ.

#### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

დასაბუთებულია, რომ აღნიშნული მოდელები არ იძლევა ელექტრომომარაგების ქსელში მიმდინარე ელექტრომაგნიტური პროცესების სრულყოფილი იმიტირების საშუალებას. ცალკეულ ფაზებში რეაქტიული სიმძლავრის კოეფიციენტის დამოუკიდებლად განსაზღვრა; ასევე შეუძლებელია არასიმეტრიული დინამიკური დატვირთვების მქონე, აგრესიული ელექტროტექნოლოგიური დანადგარების მუშაობის რეჟიმების შედეგად ცალკეულ ფაზებში განვითარებული ელექტრომაგნიტური პროცესების დამოუკიდებლად იმიტირება და ამ პროცესების შედეგად ქსელის ცალკეულ ფაზებში წარმოქმნილი მაღალი რიგის ჰარმონიკების სპექტრის განსაზღვრა და პარამეტრების დადგენა.

---

#### 5.5.25.

- 1) ავტორი/ავტორები  
ირაკლი შაველაშვილი, გივი შაველაშვილი, დავით ტურძელაძე, ნინელი გოგინაშვილი
- 2) სტატიის სათაური, ISSN  
სს „თელასის“ გამანაწილებელი ქსელისათვის ელექტროენერჯიის დანაკარგების სტრუქტურა და მათი ანგარიშის მეთოდების ანალიზი. ISSN 1512-0120.
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
„ენერჯია“, No 2(98)/2021, II ტ.
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
ქ.თბილისი. სტუ, კავშირი „მეცნიერება და ენერჯეტიკა“.
- 5) გვერდების რაოდენობა  
4 გვ.

#### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ნაშრომში განხილულია შემუშავებული თელასის ელექტროენერჯიის შემოდინების, სასარგებლო გაცემის და ძაბვების საფეხურების მიხედვით ელექტროენერჯიის დანაკარგების სტრუქტურის შესაბამისი, დანაკარგების ანგარიშის მეთოდების ანალიზი. შერჩეულია ელექტროენერჯიის დანაკარგების ანგარიშის მეთოდი და მეთოდიკა, შერჩეულია სათანადო რტკ-3 პროგრამული კომპლექსი. წარმოდგენილია რტკ-3 პროგრამით შესრულებული ანგარიშების ჩამონათვალი და წარმოდგენილია შესაბამისი დასკვნები.

#### 5.5.26.

- 1) ავტორი/ავტორები  
გ. არაბიძე, მ. არაბიძე

- 2) სტატიის სათაური, ISSN  
„წყალსაცავიანი ჰესების მშენებლობის აუცილებლობის შესახებ“. ISSN 1512-0120
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი, „ენერჯია“ #1(97)
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
ქ.თბილისი. სტუ, კავშირი „მეცნიერება და ენერჯეტიკა“.
- 5) გვერდების რაოდენობა  
6 გვ.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

2010-2019 წწ. საქართველოს ელექტროენერჯის ბალანსის მონაცემების ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში ელექტროენერჯის საშუალო წლიური მოხმარება გაზრდილია ≈ 51%-ით, ხოლო გამომუშავება კი მხოლოდ ≈17,8%-ით, ისიც იმპორტირებულ გაზზე მომუშავე თეს-ების, სეზონური და დერეგულირებული ჰესების ხარჯზე. შემცირებულია მარეგულირებელი ჰესების გამომუშავება. 7-ჯერ არის გაზრდილი ელექტრული ენერჯის იმპორტი. ელექტროენერჯის მოხმარების ტენდენციის დაზუსტების მიზნით 2019 წლის მონაცემები შედარებულია 2010-2018 წლების საშუალო წლიურ მონაცემებს. აქაც მოხმარება გაზრდილია 24%-ით, ხოლო გამომუშავება 11%-ით. იმპორტი გაზრდილია 116%-ით, ექსპორტი შემცირებულია 65%-ით. ექსპორტ-იმპორტის ასეთი ბალანსის ძირითადი მიზეზი მარეგულირებელი სადგურების მიერ გამომუშავებული ელექტრული ენერჯის ხვედრითი წილის შემცირებაა.

**5.5.27.**

- 1) ავტორი/ავტორები  
გ. არაბიძე, ნ. არაბიძე, ნ. ხოლოდოვი
- 2) სტატიის სათაური, ISSN  
„წყალბადის ტექნოლოგიების განვითარება მსოფლიოში და მისი გამოყენების პერსპექტივები საქართველოს ენერჯეტიკულ სექტორში“. ISSN 1512-0120
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი, „ენერჯია“ #2(98)/2021 I ტომი
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
ქ.თბილისი. სტუ, კავშირი „მეცნიერება და ენერჯეტიკა“.
- 5) გვერდების რაოდენობა  
5 გვ.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

სტატიაში მიმოხილული არის ენერჯეტიკული მიზნებისთვის წყალბადის გამოყენების მსოფლიოში არსებული სიტუაცია და ტენდენციები. გარდა ამისა, განხილულია მსოფლიოში წყალბადის ენერჯეტიკული ტექნოლოგიების არსებული საუკეთესო მაგალითები. აღნიშნული მასალის ანალიზის საფუძველზე მომზადებული არის შესაბამისი რეკომენდაციები საქართველოში წყალბადის ტექნოლოგიების განვითარების მიზნით.

**5.5.28.**

- 1) ავტორი/ავტორები  
ნ. არაბიძე, ს. მინდიაშვილი, ნ. ხოლოდოვი
- 2) სტატიის სათაური, ISSN  
„ენერჯოეფექტურობის პერსპექტივები და გამოწვევები კრიპტოვალუტის სექტორში“
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი, „ენერჯია“ #2(98)/2021 I ტომი
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
ქ.თბილისი. სტუ, კავშირი „მეცნიერება და ენერჯეტიკა“.
- 5) გვერდების რაოდენობა

9 გვ.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

მზარდი მოთხოვნა ელექტროენერგიაზე თანამედროვე მსოფლიოს აქტიური გამოწვევაა. ხშირ შემთხვევაში ტექნოლოგიების მოდერნიზაცია ხდება მათი ენერგოეფექტურობის გათვლით, რაც ნიშნავს იმას, რომ ტექნიკა უნდა მოიხმარდეს ნაკლები რაოდენობის ელ.ენერგიას, ჰქონდეს მაღალი ენერგოეფექტურობა და მის მიერ გარემოში მავნე აირების ემისია შესაძლო მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი. ენერგოსექტორში აქტიურად ხდება განახლებადი ენერგიების დანერგვა მზის და ქარის ელ. სადგურების მიერ. აღნიშნული ელ.ენერგიის გენერაციის პროცესი გარემოზე მავნე ზიანს არ ახდენს, თუმცა ასეთ ტექნოლოგიებს არ გააჩნიათ ისეთი მაღალი ეფექტურობა როგორც გენერაციის სტანდარტულ წყაროებს (მაგ. ჰესები). ინტერნეტ ტექნოლოგიების განვითარებამ წარმოქმნა კრიპტოვალაუტის ცნება, რომელიც თანამედროვე საბანკო სისტემის წინააღმდეგ ნაწილად გამოჩნდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბანკების უმრავლესობა დღეს თვითონ არის დაკავებული კრიპტოვალაუტის მაინინგით. მიუხედავად იმისა, რომ კრიპტოვალაუტა ბევრს მომავლის მთავარ ეკონომიკურ ძალად მიაჩნია მისი მთავარი გამოწვევა ელ.ენერგიის მაღალი მოხმარებაა. 2021 წლის მათის მონაცემების მიხედვით მაინინგზე დახარჯულმა ელ.ენერგიამ 113 ტვტ.სთ შეადგინა, რაც მსოფლიო მოხმარების 0,64%. აღნიშნულიდან გამომდინარე, მსოფლიო დგება პრობლემის წინაშე, ერთი მხრივ თანამედროვე ტექნოლოგია, რომელიც მეტ საბანკო თავისუფლებას იძლევა და მეორე მხრივ მისი არაენერგოეფექტურობა. ხშირად სწორედ ეს ხდება სტანდარტული საბანკო სისტემის წარმომადგენელთა მხრიდან კრიპტოვალაუტის კრიტიკის საბაზი. ექსპერტების ნაწილს მიაჩნია, რომ სწორედ ბიტკოინის მცირე ენერგოეფექტურობა, არის მისი უსაფრთხოების გარანტი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში მაინინგისთვის მოსახმარი ელ.ენერგიის ნაწილის განახლებადი წყაროებიდან მიღებაზე მუშაობამ შედეგი გამოიღო. კომპანია Tesla-ს მონაცემების მიხედვით, დღესდღეისობით მაინინგის დროს მოხმარებული ელ.ენერგიის მხოლოდ 39% წარმოებულია ენერგიის განახლებადი წყაროდან. აღნიშნული განცხადების გაკეთების შემდეგი კვირის განმავლობაში ბიტკოინების ფასი რიგი პუნქტების მიხედვით დაეცა. ბიტკოინის ფერმები ხშირად ასევე განიხილება, როგორც ქსელში ჭარბი ელ.ენერგიის მოხმარების საშუალება, რაც უთუოდ მის დადებით მხარეს წარმოადგენს. მაინინგის ენერგოეფექტურობა კომპლექსური პრობლემაა, რომელიც საჭიროებს კომპლექსურ გადაწყვეტას ისეთი კუთხით, რომელიც ზიანს არ მიაყენებს არც სტანდარტულ საბანკო სისტემას, არც თვითონ მაინინგის მწარმოებელს და არც ენერგოსისტემას.

**5.5.29.**

- 1) ავტორი/ავტორები  
ე.მაჭავარიანი, მ.ჯიხვაძე, ნ. ქსოვრელი, გ.გვიგინიშვილი
- 2) სტატიის სათაური, ISSN  
„დუღილის პროცესში წარმოქმნილი რაქტიული ძალების მოქმედების ვიდეოგადაღების შედეგები“
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი, „ენერგია“ #2(98)/2021 I ტომი
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
ქ.თბილისი. სტუ. კავშირი „მეცნიერება და ენერგეტიკა“.
- 5) გვერდების რაოდენობა  
5გვ

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

კვლევის ობიექტს, ზოგადად, წარმოადგენს სითხის დუღილის პროცესის მექანიზმი. ხოლო კონკრეტულად, დიდ მოცულობაში, ატმოსფერული წნევის პირობებში წყლის დუღილისას აღძრული და ხურების ზედაპირზე მოქმედი რეაქტიული ძალა.

**5.5.30.**

- 1) ავტორი/ავტორები

- ქ. ვეზირიშვილი-ნოზაძე, ე.ფანცხავა, მ.ლორია, მ.ჯიხვაძე
- 2) სტატიის სათაური, ISSN  
„ენერგოუსაფრთხოება - ქვეყნის მდგრადი განვითარების ქვაკუთხედი“, ISSN 1512-0120
  - 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
საქართველო სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი,“ ენერგია“.
  - 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
ქ.თბილისი. სტუ, კავშირი „მეცნიერება და ენერგეტიკა“.
  - 5) გვერდების რაოდენობა  
6 გვ.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

დღეს, როგორც არასდროს, ენერგეტიკის კუთხით, აქტიურად დგას ენერგოუსაფრთხოებისა და მდგრადობის პრობლემა, განსაკუთრებით ჰესებთან დაკავშირებით ბოლო დროს გამძაფრებული წინააღმდეგობების ფონზე. აღნიშნული კი თავის მხრივ წინაპირობა ხდება იმისა, რომ რუსეთიდან და სხვა მეზობელი ქვეყნებიდან (აზერბაიჯანი და თურქეთი) ელექტროენერჯის იმპორტი სულ უფრო და უფრო იზრდება. წარმოდგენილ სტატიაში შევეცადეთ დაგვეხატა აქცენტები პრობლემის ძირითად არსთან დაკავშირებით და ამომწურავი პასუხები გაგვეცა ყველა წამოჭრილ კითხვისთვის, ჩვენი მიზანია დავეხმაროთ სახელმწიფო სტრუქტურებს და მოსახლეობას მიაღწიონ შეთანხმებას ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით და გადაწყვეტილება მიიღონ მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და ზოგადად სტაბილურობას აუცილებლად ესაჭიროება მდგრადი ენერგოსისტემა. ბოლო პერიოდში გავრცელდა მოსაზრება, რომლის თანახმადაც ახალი ჰესების მშენებლობა საჭირო არაა, და რომ ძველი ჰესების რეაბილიტაციით მათი წარმადობა იზრდება. რეაბილიტაცია წარმადობას ზრდის, მაგრამ ბევრით ვერ. ენგურჰესის შემთხვევაში ეს 100-120 მლნ კვტ/სთ-ია, მისი საპროექტო სიმძლავრის 3%-ზე ნაკლები. პანდემიამდე ელექტროენერჯის მოხმარების ზრდა წლიურად 3%-ს აჭარბებდა და ჰესების წარმადობას ერთჯერადი 3%-ით ან თუნდაც 5%-ით გაზრდა მხოლოდ ზღვაში წვეთი იქნება. ბევრი პატარა ჰესი ერთ დიდ ჰესს ვერ ჩაანაცვლებს, ვერც ქარისა და მზის სადგურები, თუმცა მათი კომბინაცია ჯამურ გენერაციას მნიშვნელოვნად გაზრდის და ყველა მიმართულებით ენერგოდეფიციტურ ქვეყანას, ელექტროენერჯის კუთხით საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებასა და ექსპორტის საშუალებას გაუჩენს. რატომღაც ჰგონიათ, რომ საუბარი ენერგეტიკულ დამოუკიდებლობაზე, ეს რაღაც ლოზუნგია და მიაჩნიათ, რომ ამის უკან რაღაც გარკვეული ციფრები არ დევს. ჩვენი ქვეყანა ენერგეტიკულად თითქმის 70-75%-ით არის დამოკიდებული სხვადასხვა ქვეყანაზე და სრულ ენერგეტიკულ დამოუკიდებლობაზე ბუნებრივია საუბარი არ არის, ამას ვერ მივაღწევთ. ჩვენ ვსაუბრობთ ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მახასიათებლის გაუმჯობესებაზე. ჩვენი ენერგეტიკა, თითქმის 80%-ით არის დამოკიდებული ჰესების მიერ გამომუშავებულ ენერგიაზე. დეფიციტი, რაც დღეს გავგაჩნია, არის დაახლოებით მილიარდ ექვსასი მილიონი და თუ ასე გაგრძელდა გენერაციის პროექტების ბლოკირება, ეს დეფიციტი წლიდან წლამდე გაიზრდება. მიგვაჩნია, თუ ქვეყნის განვითარება გვინდა, ენერგეტიკაც უნდა განვითარდეს, ამიტომ მიგვაჩნია, რომ „არა ჰესებს“ ნამდვილად არ არის კეთილგანწყობილი ლოზუნგი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის. მეტიც, ეს რეალურად დარტყმა ქართულ ეკონომიკაზე და შესაბამისად, ქართულ სახელმწიფოზე.

**5.5.31.**

- 1) ავტორი/ავტორები  
ქ. ვეზირიშვილი-ნოზაძე, ნ.მირიანაშვილი, ზ.ლომსაძე
- 2) სტატიის სათაური, ISSN  
„მზის ენერგეტიკული რესურსების გამოყენების პერსპექტივები ქვემო ქართლის რეგიონში“  
ISSN 1512-0120.
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი,“ ენერგია“.
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა



ქ.თბილისი. სტუ, კავშირი „მეცნიერება და ენერგეტიკა“.  
5) გვერდების რაოდენობა

7 გვ.

#### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

სტატიაში შეფასებულია ქვემო ქართლის რეგიონის მზის ენერგეტიკული პოტენციალი, მისი გამოყენების ტექნიკურ-ეკონომიკური ასპექტები და ათვისების პერსპექტივები. ქვემო ქართლის ტერიტორია დიდი ჰელიოენერგეტიკული პოტენციალით ხასიათდება. მზის, როგორც განახლებადი ენერგეტიკული რესურსის გამოყენება საშუალებას იძლევა რეგიონში შეიქმნას დამატებითი ენერგეტიკული სიმძლავრეები, რომლებიც უზრუნველყოფენ აღნიშნული რესურსის ფართოდ მოხმარებას და ენერგეტიკული უსაფრთხოების ზრდას. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ ეკოსისტემის დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების სტრატეგიის შემუშავება, მისი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, თანამედროვე, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების დანერგვა, საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის ზრდის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ჩატარებული კვლევებიდან ჩანს, რომ ქვემო ქართლში მზის ენერჯის მნიშვნელოვანი პოტენციალია. ქვემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება რეგიონის ენერგობალანსი და შემცირდება ძვირადღირებული ორგანული სათბობის მოხმარება. ეს ღონისძიებებია: - დამუშავდეს მზის ენერჯის გამოყენების რეგიონული პროგრამა; - აღნიშნული პროგრამის განხორციელების მიზნით მოძიებულ იქნეს ინვესტორთა ჯგუფი, რომელთა მეშვეობით მოხდება სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების (სამრეწველო, საცხოვრებელი, კულტურულ-გასართობი) აღჭურვა აქტიური და პასიური ჰელიოსისტემებით; - ჩატარდეს მოსამზადებელი სამუშაოები 2025 წლესათვის რეგიონში მზის ენერჯიაზე მომუშავე მძლავრი თბური და ფოტოელექტრული სადგურების ასაგებად.

#### **5.5.32.**

1) ავტორი/ავტორები

მ. რაზმაძე, ლ. პაპავა, გ. დავითაია

2) სტატიის სათაური, ISSN

„მზის ენერჯის გამოყენება შენობების სითბოს დანაკარგების შესამცირებლად“  
ISSN 1512-0120

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი, „ენერჯია“. „ენერჯია“ # 4(100)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

ქ.თბილისი. სტუ, კავშირი „მეცნიერება და ენერგეტიკა“.

5) გვერდების რაოდენობა

7 გვ.

#### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

ნაშრომში განხილულია მზის ენერჯის პასიური გამოყენების საფუძვლები, მეთოდოლოგია და შემოთავაზებულია არსებული აპარტამენტის პასიურ სახლად გარდაქმნის მაგალითი. ჩატარებულმა გაანგარიშებებმა ნათლად აჩვენა თუ რამდენად მცირდება შენობების სითბოს დანაკარგები მზის ენერჯის პასიური გამოყენებით, კერძოდ, პასიური სახლის კონცეპტით. აპარტამენტის ენერგოაუდიტის შედეგად დადგინდა, რომ საჭირო იყო კედლების დათბუნვა საიზოლაციო მასალებით და ასევე ფანჯრების მნიშვნელობის გაუმჯობესება შემინვის ცვლილებით. იმისათვის, რომ აპარტამენტი მიუახლოვოთ პასიური სახლის სტანდარტებს საჭიროა შენობის შემომზადდავი კონსტრუქციები პასიური სახლისათვის დამახასიათებელ მნიშვნელობებს შეუსაბამოთ.

#### **5.5.33**

1) ავტორი/ავტორები

დ. ლოლუა

2) სტატიის სათაური, ISSN

„მწვანე ტურიზმი - მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი“.  
ISSN № 2449-2396,

- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
რეფერირებადი და რენცერზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული  
ჟურნალი გლობალიზაცია და ბიზნესი № 9,
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
თბილისი, 2020
- 5) გვერდების რაოდენობა  
8 გვ.

#### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

სტატიაში განხილულია მწვანე ტურიზმი და აღნიშნულია, რომ საქართველოს რეგიონებისთვის მწვანე ტურიზმი ეკონომიკური განვითარების საწყის ეტაპზეა, არსებობს ადგილობრივი მოსახლეობის შესაძლებლობები და სურვილი, როგორც მწვანე სერვისების მთავარი მომხმარებელი. ტურიზმის აღნიშნული მიმართულება შეიძლება უნივერსალური იყოს რეგიონულ დონეზე სახელმწიფოს ექსპრესი-შეფასებისთვის. სტატიაში მოცემულმა კვლევის შედეგმა გამოკვეთა შიდა ტურისტული ნაკადის ზრდის მიმართულებები, რომლებიც შეიძლება შემოთავაზებული იქნას, როგორც რეგიონალური ტურიზმის ეფექტური ხელშეწყობა. მწვანე ტურიზმის შემდგომი წარმატებული განვითარებისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია მოსახლეობის განათლება ამ ტურების ფასის ზრდის მკაფიო გაგების თვალსაზრისით. ადამიანმა უნდა გააცნობიეროს და იცოდეს, რომ თანხები, რომლებსაც იგი იხდის ტურიზმის მაღალი ხარისხის მისაღწევად, ემსახურება კონკრეტულ ეკოლოგიურ ღონისძიებებს, მან უნდა შეიგრძნოს მათი განხორციელების შედეგი. მწვანე ტურიზმის გაუმჯობესების მიმართულებებია მართვის მენეჯმენტის სისტემა, ეკოტურების სატრანსპორტო მხარდაჭერა, ინფრასტრუქტურის განვითარება და მოსახლეობისათვის მომსახურების ფართო სპექტრის მიწოდება, რომლებიც ზიანს არ აყენებენ ტერიტორიის ეკოლოგიურ მდგომარეობას, ზრდის მოსახლეობის ზოგად ეკოლოგიურ კულტურას, ახდენს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას რესურსების მოხმარებისა და ნარჩენების გადამუშავების მიზნით. ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების გამოყენება ხელს შეუწყობს მწვანე ტურიზმის განვითარებას. რაც მწვანე ეკონომიკის განვითარების საფუძველია. მწვანე ეკონომიკაში იგულისხმება ალტერნატიული განახლებადი საამშენებლო მასალების დანერგვა სასტუმრო ინდუსტრიაში, რაც მწვანე ეკონომიკის განვითარების საფუძველია. ამისათვის ჩატარებულმა კვლევებმა საშუალება მოგვცა შეგვესწავლა ასეთ შენობების ეკონომიკური სარგებლიანობა, ჩადებული ინვესტიციების სწრაფად ამოღება, ენერგო რესურსების დაზოგვა და გარემოს ეკოლოგიური სრულყოფა.

#### **5.5.34.**

- 1) ავტორი/ავტორები  
დ. ლოლუა
- 2) სტატიის სათაური, ISSN  
„ავტო კლასტერის ფორმირება“ ISSN 2449-2655
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
რეფერირებადი და რენცერზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი  
დიპლომატია და სამართალი, № 1-2(7)
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
თბილისი,
- 5) გვერდების რაოდენობა  
11 გვ.

### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

სტატიამი წარმოდგენილია საქართველოს ავტო-მოტო ტურიზმის ფედერაციის (შემდეგში-სამტფ) მიერ ჩატარებული მონიტორინგი. ავტოკლასტერი ხელს შეუწყობს მსოფლიოში ავტო ტრანსპორტის გადაადგილების თანამედროვე საშუალებების დანერგვას, რაც საქართველოში გააუმჯობესებს მოგზაურების მომსახურებას გზებზე, რის ხარჯზე გაიზრდება სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლები, შემცირდება უმუშევრობის დონე და ამალდება მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი. ავტო კლასტერები შექმნიან დამატებით მოტივაციას ტურისტული მომსახურებისა და ახალი გზისპირა ინფრასტრუქტურის განსავითარებლად: გაიხსნება ახალი მოტელები, კემპინგები, მსუბუქი და ჩასაბმელიანი ავტომობილებისათვის პარკირებები, კაფეები და რესტორნები, ავტოსერვისები და სხვ. ეს კი, აამალღებს მომსახურე პერსონალის პროფესიონალიზმს და დაამკვიდრებს მომსახურების ყვე ცნობილ სტანდარტებს. კემპინგებისა და მოტელების განთავსების საშუალებებისათვის შეიქმნება კომფორტული, ეკოლოგიურად სუფთა და ენერგოეფექტური, ნივაციური მწვანე შენობები, რომლებიც განახლებადი იაფი ორგანული მასალი იქნება აშენებული. ჩატარებულ კვლევებში განხილულია ავტოტურიზმის მიმართულების ზოგადი კონცეფციის, პოტენციალისა და განვითარების ეკონომიკური, ეკოლოგიური და კულტურული ასპექტები, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით ნორმატიულ-კანონმდებლობითი დოკუმენტების დაზუსტებისა და მიღების აუცილებლობა; სამოგზაურო გზების, ახალი, ასათვისებელი თანამედროვე ტექნოლოგიური და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა. კვლევის შედეგად განისაზღვრა საქართველოში ავტოტურიზმისა და ეკონომიკის სფეროების ეფექტური, პრიორიტეტული მიმართულებების განვითარების რეალიზაციისათვის აუცილებელი პირობები: ა) ქვეყნის რეგიონების წარმოჩენა საზღვრებს გარეთ; ბ) ბიზნესის განვითარების სტიმულირება; გ) ინვესტიციების მოზიდვა; დ) ქვეყანაში შემოსავლების მაქსიმალურად გაზრდა და სხვ. ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, ეფექტური ავტოკლასტერების შექმნისა და ფორმირებისათვის გაზიარებული უნდა იქნას მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილება

### **5.5.35.**

#### **1) ავტორი/ავტორები**

მანანა მალრამე, ლიანა ციმაკურიძე

#### **2) სტატიის სათაური, ISSN**

„მიწოდების ჯაჭვის ეფექტური მართვა თანამედროვე ტექნოლოგიებით“

#### **3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები, N2(520) - 2021

#### **4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა**

ქ.თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“.

#### **5) გვერდების რაოდენობა**

9 გვ.

### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

ნაშრომში განხილულია მიწოდების ჯაჭვის ეფექტური მართვის კონცეფციის არსი და ამასთანავე, ხაზგასმულია ინოვაციური ტექნოლოგიის გამოყენება მიწოდების ჯაჭვის ეფექტურ მართვაში. მიწოდების ჯაჭვი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესია ბიზნესის სფეროში, რომელიც მოიცავს მთლიან პროცესს, რომელსაც პროდუქცია/მომსახურება გაივლის შექმნიდან საბოლოო მომხმარებლამდე. ახალი ტექნოლოგიების გამოყენება მნიშვნელოვანი და აუცილებელია კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის, აქედან გამომდინარე ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება მიწოდების ჯაჭვის მართვის პროცესში მნიშვნელოვანია, რადგან მართვა უფრო ეფექტური და სწრაფია. ამასთანავე ნაშრომი მოიცავს ისეთი მნიშვნელოვანი თანამედროვე ტექნოლოგიების განხილვას როგორებიცაა: რადიოსიხშირული იდენტიფიკაცია (RFID), დრონი, დიდი მონაცემები (BIG DATA), რობოტული პროცესის ავტომატიზაცია (RPA), ხელოვნური ინტელექტი, ნივთების ინტერნეტი (IOT), ბლოკჩეინი. საქართველოში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების საუკეთესო მაგალითადაც შეიძლება ჩაითვალოს იუსტიციის სამინისტროსა და მასში შემავალი სსიპების ერთობლივი მიწოდების ჯაჭვის ეფექტური მართვა თანამედროვე ტექნოლოგიებით. სსიპ იუსტიციის სახლი ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით მოქალაქეებს აწვდის იუსტიციის სამინისტროს

მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-ების, სხვადასხვა საჯარო უწყებებისა და კერძო სექტორის ოთხასზე მეტ სერვისს.

### 5.5.36.

1) ავტორი/ავტორები

ბერძენიშვილი თეიმურაზ, ბებიაშვილი ნატო, თუთბერიძე თეიმურაზ

2) სტატიის სათაური, ISSN

ბიზნესპროცესების სტრატეგიული მენეჯმენტის მოდელირებაში იტერაციული მიდგომების გამოყენება

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

16 th International Silk Road VIRTUAL Conference (Silk Road - 2021) Conference Proceedings ISBN: 978-9941-8-3942-9

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

International Black Sea University, 2021

5) გვერდების რაოდენობა

5 გვ.

#### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

ნაშრომში განხილულია ბიზნესპროცესების სტრატეგიული მენეჯმენტის იმიტაციური მოდელების შესწავლა/ანალიზის პროცესში იტერაციული მიდგომების გამოყენების საკითხები. ბიზნესპროცესების მოდელებით აღწერა გამოიყენება კომპანიის საქმიანობის ოპტიმიზაციისა და გაუმჯობესებისთვის, აგრეთვე ვიწრო ადგილებისა და ფუნქციების დუბლირების აღმოფხვრისთვის. ბიზნესპროცესების იმიტაციური მოდელები საშუალებას იძლევა შეფასდეს მათი შესრულების ეფექტურობა პროცესის ისეთი საწყისი ან კორექტირებული მონაცემების შეყვანით, რომლებიც ჯერ არ ყოფილა გამოყენებული საწარმოს რეალურ მუშაობაში. ბიზნესპროცესების მოდელირებისას სასურველი შედეგი მიიღწევა მხოლოდ ბიზნესპროცესების სრული ჯაჭვის ყოველი ცალკეული ელემენტის ზუსტი აღწერის, შეფასებისა და შესაძლო კორექტივების გათვალისწინებით, რისი განხორციელება პირდაპირი რიცხვითი მეთოდებით თითქმის შეუძლებელია. სტრატეგიული მენეჯმენტი არ არის დისკრეტული, წერტილოვანი მოვლენა, მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში. ის შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც შესაძლებლობების (უნარიანობის) იტერაციული პროცესი, რომელიც ვითარდება ბიზნესმოთხოვნების შესაბამისად. ბიზნესპროცესის მოდელების შესწავლა/შეფასებისთვის განხილულია მიახლოებითი რიცხვითი (იტერაციული) მეთოდები. ჩვენი მიდგომით, დასაწყისში, ბიზნესპროცესების მიმდინარეობის ამსახველ, წარმოსახვით წრფეს, ვყოფთ სასრულ მონაკვეთებად, ე.წ. იტერაციულ ეტაპებად, კვეთის წერტილებში, მიღებულ შედეგებს ვადარებთ დაგეგმილს და კომპიუტერული პროგრამის საშუალებით, მახასიათებლების კორექციის მეშვეობით, ვახდენთ, განმეორებადი ციკლით, ცდომილების მინიმიზაციას. შემდეგ, გადავდივართ მომდევნო იტერაციულ ეტაპზე და ა.შ. ბოლო ეტაპის ჩათვლით. იტერაციულ ეტაპებზე აუცილებელია გამოვავლინოთ არსებული სიტუაციის ყველა ნეგატიური მხარე და არსებული პრობლემების მიზეზშედეგობრივი კავშირები, ამისთვის ვიყენებთ SWOT და PEST ანალიზის ელემენტებს, ვაფასებთ ორგანიზაციის ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებსა და სავარაუდო რისკებს, პროექტის გარე გარემოს, სიცოცხლისუნარიანობას, მიზნებსა და საქმიანობის გაგრძელების პერსპექტივებს. ნაშრომში, განხილული ამოცანების გადაწყვეტის შედეგად, მივიღებთ ბიზნესპროცესების იმიტაციური მოდელის ავტომატიზირებული მართვის მრავალფუნქციურ სისტემას, ხოლო შესაბამისი მხარდაჭერის ან დაფინანსების შემთხვევაში, შესაძლებელია მოდულური ტიპის პროგრამული პაკეტის შემუშავება, რომელშიც სხვა პროგრამულ მოდულებთან ერთად, გათვალისწინებული იქნება კონკრეტული ორგანიზაციის ბიზნესმოთხოვნების ამსახველი პროგრამული მოდულის ჩაშენების შესაძლებლობა.

### 5.5.37.

- 1) ავტორი/ავტორები  
ავთანდილ ასათიანი
- 2) სტატიის სათაური, ISSN  
„პირველი კონფესიური სკოლების აღმოცენება და ბავშვთა აღზდა ქრისტიანულ ოჯახში“
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2021, №20
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
თბილისი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია
- 5) გვერდების რაოდენობა  
8 გვ.

#### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ქრისტიანობას და ანტიკურობას აღზდა-განათლების სფეროში საერთო გადაკვეთის წერტილები აქვს, მაგრამ განსხვავება მათ შორის გაცილებით დიდია. ქრისტიანობამ სრულიად განსხვავებული ხედვები განავითარა ბავშვის შესახებ. ანტიკურ პედაგოგიაში ბავშვი მიჩნეული იყო არასრულფასოვან არსებად, ხოლო ქრისტიანობამ პირიქით, კატეგორიულად უარყო უსუსური ბავშვის მიმართ დანაშაულებრივი ინფანტიციდი. თუკი ანტიკურმა აზროვნებამ სამყაროს ცენტრში დააყენა ადამიანის მიწიერი არსებობა, მისგან განსხვავებით, ქრისტიანობამ მარადიული ადამიანური ღირებულებების პრიმატი აღიარა. ელინისტური სამყაროს ისეთ იდეალებს, როგორცაა: განათლების კულტი, ფილოსოფია, ლამაზი და ჯანსაღი სხეული და თვითდამკვიდრება - ქრისტიანული ეკლესიის მამებმა დაუპისპირეს სულის გადარჩენა, თანადგომა, მიტევება, სიყვარული, მორჩილება, ასკეტიზმი და სხვა ქრისტიანული სათნოებანი. ანტიკური პედაგოგიკის კრიზისის პირობებში, ქრისტიანობა აშკარად აღმოჩნდა განათლების შინაარსის განსაზღვრის დილემის წინაშე. გადასაწყვეტი იყო კარდინალური პედაგოგიკური პრობლემები: 1. რამდენად საჭირო იყო ქრისტიანისათვის ბერძნულ-რომაულ კლასიკურ განათლებაში დამკვიდრებული შვიდი თავისუფალი ხელოვნების (ტრიუმ-კვადრიუმი) შესწავლა? 2. შესაძლებელი იყო თუ არა, ამ მეცნიერებებთან წმინდა წერილის შეთავსება? სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა იქცა მთავარ დილემად ადრექრისტიანული დიდაქტიკისათვის: გამოითქვა აშკარა უარყოფითი, კომპრომისული და ცალსახად დადებითი მოსაზრებებიც. ქრისტიანული სწავლების გავრცელების ერთ-ერთ ორგანიზებულ ფორმად კათაკმეველთა სკოლები იქცნენ, რომლებიც ქრისტიანული სამყაროს პირველ საგანმანათლებლო დაწესებულებებად ითვლებიან. კათაკმეველთა სკოლებში არა მარტო ბავშვები იღებდნენ ახსნა-განმარტებებსა და დარიგებებს, არამედ ყველა ასაკის სქესისა და ეროვნების ადამიანი პასუხს სცემდა სარწმუნოების წიაღში წამოჭრილ კითხვებს. მათში უპირატესად იმ არაქრისტიან ადამიანთა ჯგუფებს და პიროვნებებს მოიაზრებენ, რომლებმაც ზრდასრულ ასაკში გადაწყვიტეს ქრისტეს შედგომა. კათაკმეველთა სკოლებში გამოიყოფოდა ორი საფეხური, რომლებსაც ერთმანეთისგან მხოლოდ სწავლის სიღმე გამოარჩევდა. პირველი საფეხური ქრისტიანული რელიგიის შესავალს, ხოლო მეორე საფეხური სახარების შესწავლას ითვალისწინებდა. თავდაპირველად ქრისტიანებს ისეთი სპეციფიკური სკოლები, რომლებშიც შესაძლებელი იქნებოდა ქრისტეს მოძღვრების სწავლება და გავრცელება, არ გააჩნდათ. ქრისტიანული სწავლების მთავარ იარაღად გამოიყენებოდა: მქადაგებელთა ცოცხალი სიტყვა, პირადი მაგალითი და ქრისტიანული ოჯახის სათნო ცხოვრების წესი. ქრისტიანული ოჯახი, რომელიც მისდევდა იესო ქრისტეს და წმიდა მოციქულთა სწავლებას, დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა ქვეყნარტებთან ზიარების და აღზრდის ერთადერთ სკოლად.

ოჯახურმა ცხოვრებამ გზადაგზა ეკლესიურობა შეიძინა: ერთობლივი სასულიერო გალობა და წმიდა წერილის ერთობლივი კითხვა გახდა ოჯახის წევრთა უმთავრესი სულიერი საზრუნავი.

### 5.5.38.

1) ავტორი/ავტორები

კონსტანტინე ხმაღამე, ლამარა ბერიძე

2) სტატიის სათაური, ISSN

„საქართველოს მთიანი დასახლებების ეკონომიკური რეაბილიტაცია“

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, ნაწ.2

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

ქ. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“

5) გვერდების რაოდენობა

7 გვ.

#### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

მაღალმთიან რეგიონებში გამოიყოფიან დასახლებები, რომელთაც საერთო პრობლემებთან ერთად, გააჩნიათ დეპრესიულობის მაღალი ხარისხი - სტიქიური პროცესები, მწვავე დემოგრაფიული მდგომარეობა, მოშლილი ინფრასტრუქტურა, მძიმე ბუნებრივ-კლიმატური პირობები და სხვა. ეს მოითხოვს განსაკუთრებულ სახელმწიფო მიდგომას. საქართველოს მთიანეთი გამოირჩევა მდიდარი რესურსებითა და სასარგებლო წიაღისეულით, რაც ჰქმნის მეწარმეობის განვითარებისა და მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობებს. ეს პრიორიტეტული სფეროებია: მეცხოველეობა – მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წარმოებისა და მეცხვარეობის განვითარება; მემცენარეობა; რძისა და ხორცის პროდუქტების წარმოება; ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობა; მეთევზეობა; მცირე ჰიდროენერგეტიკა; მინერალური რესურსების გადამამუშავება; მიწისქვეშა მტკნარი, მინერალური და თერმული წყლების რესურსის ათვისება; ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის განვითარება; ტრადიციული შინა რეწვის დარგების განვითარება. უნდა შემუშავდეს დეპრესიულ დასახლებათა სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაციისა და განვითარების მიზნობრივი პროგრამები. პროგრამამ უნდა მოიცვას: მეწარმეობის, მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება ხელსაყრელ დარგებსა და სფეროებში, შემოდებულ უნდა იქნას საგადასახადო შეღავათები სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შედეგების მიხედვით.

### 5.5.39.

1) ავტორი/ავტორები

კონსტანტინე ხმაღამე, თამარ ხმაღამე

2) სტატიის სათაური, ISSN

ტერიტორიული მართვის სისტემის გაძლიერების შესახებ

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, ნაწ.1

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

ქ. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“

5) გვერდების რაოდენობა

7 გვ.

#### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ქვეყნის ეკონომიკის სივრცობრივი განლაგებისა და განვითარების კანონზომიერი პროცესია მსხვილი საწარმოო კომპლექსების გეოგრაფიული ლოკალიზაცია. რეგიონის როგორც ქვესისტემის ინტერესები

ყოველთვის არ არის თანხვედრაში ქვეყნის, როგორც მთლიანი სისტემის ეკონომიკური განვითარების ინტერესებთან. სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკა წარმოადგენს ადგილობრივ მოთხოვნილებათა ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ ინტერესებთან დამაბალანსებელ მექანიზმს. ტერიტორიული მმართველობის გაძლიერების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის ბაზაზე ჩამოყალიბებულ იქნას რეგიონული განვითარების სამსახურები, რომლებიც აღიჭურვებიან სამინისტროებიდან დელეგირებული (გადაცემული) ფუნქციებით და გადაწყვეტენ რეგიონულ ამოცანებს. აუცილებელია რეგიონული ბიუჯეტის შექმნა, რაც საბიუჯეტო-ფისკალური სისტემის ტრანსფორმირებასთან იქნება დაკავშირებული. რეგიონულ პრობლემატიკაში პირველ რიგში, გამოვყოფთ მაღალმთიან დასახლებულ ტერიტორიას ზღვის დონიდან არანაკლებ 1500 მეტრ სიმაღლეზე, რომელსაც გააჩნია დეპრესიულობის მაღალი ხარისხი. აუცილებელია, მაღალმთიანი დეპრესიული დასახლებების მიხედვით შემუშავდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამები. პროგრამებში გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი პრიორიტეტები და მექანიზმები: რეკრეაციული და მინერალური რესურსების სამეურნეო ბრუნვაში ჩართვა; სატრანსფერო პოლიტიკა მაღალმთიანი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის; მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის გაძლიერება; პრევენციები მცირე საწარმოებისათვის პროდუქციისა და საქონლის (მომსახურების) სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის დროს; ტექნოლოგიური უზრუნველყოფის სფეროში ფინანსური ლიზინგის დანერგვა

#### 5.5.40.

1) ავტორი/ავტორები

არჩილ სამადაშვილი

2) სტატიის სათაური, ISSN

ვირტუალური ელექტროსადგური - გენერაციის განაწილების „ჭკვიანი მართვა“

ISBN: 978-9941-8-3942-9

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

აბრეშუმის გზის მე-16 დისტანციური საერთაშორისო კონფერენცია

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

International Black Sea University, Tbilisi

5) გვერდების რაოდენობა

4 გვ.

#### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ვირტუალური ელექტროსადგურის კონცეფცია ენერგეტიკულ სექტორში რამდენიმე წლის წინ გამოჩნდა. შესაბამისად, ის ჯერ კიდევ სიახლეა და წარმოადგენს კვლევის საგანს. ვირტუალურ ელექტროსადგურს შეუძლია ერთდროულად გადაჭრას ენერგეტიკულ სექტორში არსებული რამდენიმე პრობლემა, როგორცაა ოპტიმიზაცია, სტაბილიზაცია, მოქნილობა, ინტეგრაცია და ა.შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვირტუალური ელექტროსადგურის კონცეფცია მიზნად ისახავს მომგებიანი სიტუაციის მიღწევას ენერგოსექტორის ყველა მონაწილისთვის. ბაზრის ლიბერალიზაცია, განახლებადი ენერჯის წყაროების და საინფორმაციო სისტემების განვითარება, ელექტროენერჯიაზე მოთხოვნისა და ტარიფების ზრდა ხელს უწყობს მაღალტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მოძიებას. ვირტუალურ ელექტროსადგურს შეუძლია რამდენიმე სხვადასხვა წყაროს რესურსების გაერთიანება (დაკავშირება), როგორებიცაა მცირე გენერაციის ობიექტები, განახლებადი ენერჯის წყაროები, მომხმარებლები და ა. შ. ვირტუალური ელექტროსადგური შეიძლება მოქმედებდეს როგორც ბალანსირების მექანიზმი მთლიანი ენერგეტიკული სისტემისთვის - მაგალითად, არეგულირებდეს განახლებადი ენერჯის წყვეტილ გამომუშავებას და პიკურ დატვირთვას. გარდა ამისა, ის შეიძლება იყოს მთელი ენერგეტიკული სისტემის მარეგულირებელი, რომელსაც შეუძლია დაარეგულიროს ქსელის დატვირთვა და მიიღოს ბრძანებები, მაგალითად, სისტემის ოპერატორისგან.

#### 5.5.41.

1) ავტორი/ავტორები

- ქ. ილურიძე
- 2) სტატიის სათაური, ISSN  
Problems with the introduction of "smart grid" in China's power system - ISBN - 978-625-7898-38-6
  - 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
MIDDLE EAST INTERNATIONAL CONFERENCE ON CONTEMPORARY SCIENTIFIC STUDIES-V
  - 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
Ankara, Turkey
  - 5) გვერდების რაოდენობა  
3 გვ.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

სტატიაში განალიზებულია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილება ელექტროენერგეტიკის სისტემების განვითარების ტენდენციებისა და „ჰკვიანი ქსელის“ ტექნოლოგიის ქვეყნის ენერგოსისტემაში დანერგვის საკითხებში. ჩვენს მიერ, სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ბაზაზე, პროფესორ-მასწავლებლთა და სტუდენტ-დოქტორანთა უშუალო მონაწილეობით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც განალიზა ჩინეთის რესპუბლიკაში „ჰკვიანი ქსელის“ განვითარებაზე ორიენტირებული სამთავრობო რეფორმებისა და ტენდენციების განხორციელების მიზნები და ეტაპები. „ჰკვიანი ქსელი“- ელექტრული ქსელია, რომელშიც ელექტროენერგიის გადაცემის მონიტორინგისა და მართვის უზრუნველსაყოფად გამოყენებულია ციფრული და სხვა მოწინავე ტექნოლოგიები, ელექტროენერგიაზე საბოლოო მომხმარებლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. „ჰკვიანი ქსელი“ - ჩინეთის მომავალი ელექტროენერგეტიკული სისტემის განუყოფელი ნაწილია. ბოლო 15 წლის განმავლობაში ამ სფეროში მთელი რიგი მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელების შედეგად გაუმჯობესდა ჩინეთის ელექტროენერგეტიკული სისტემის ეფექტურობა, საიმედოობა და ეკოლოგიური მაჩვენებლები. თუმცა, რჩება სერიოზული პრობლემები ისეთ საკითხებში, როგორცაა: ელექტროენერგიაზე მზარდი მოთხოვნა, ენერგოსისტემის უსაფრთხოება და საიმედოობა, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება და კლიმატის ცვლილებებზე დამოკიდებულება. ელექტროსისტემის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ჩინეთის მთავრობამ ამბიციური გეგმის განხორციელება განიზრახა. კერძოდ: გენერაციის ობიექტების, სიმძლავრეებისა და განახლებადი ენერჯის წყაროებიდან გამომდინარეებული ელექტროენერგიის მოცულობის მნიშვნელოვანი გაზრდა, ხოლო საერთო გამომუშავებაში ელექტროენერგიის მიწოდების შეფერხებების საგრძნობი შემცირება და მისი მოხმარების ეფექტურობის მნიშვნელოვანი გაზრდა. მიუხედავად ამ ცვლილებებისა ჩინეთის ელექტროენერგეტიკულ სისტემაში დღესდღეობით მაინც რჩება, როგორც ტექნიკური, ასევე ნორმატიულ-სამართლებრივი სახის პრობლემები, რაც მნიშვნელოვნად აყოვნებს ქვეყანაში „ჰკვიანი ქსელის“ ტექნოლოგიების სრულფასოვან განვითარებას. მიგვაჩნია, რომ სტატიაში განხორციელებული კვლევების შედეგების ანალიზი ხელს შეუწყობს საქართველოს ელექტროენერგეტიკის სისტემაში მოწინავე ტექნოლოგიების წარმატებით დანერგვის პერსპექტივების განსაზღვრასა და მოსალოდნელი დანახარჯებისა და თანმდევ პრობლემების სწორ შეფასებას.

**5.5.42.**

- 1) ავტორი/ავტორები  
თ. თუთბერიძე
- 2) სტატიის სათაური, ISSN  
ახალი ბიზნეს მოდელები ენერგოსექტორში - ISSN 1512-0120
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
„ენერჯია“, სერია: „ენერგეტიკის თანამედროვე პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები“, 2 (98)/2021, პირველი ნაწილი.
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
ქ.თბილისი. სტუ, კავშირი „მეცნიერება და ენერგეტიკა“.
- 5) გვერდების რაოდენობა



4 გვ.

#### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

იგი მიზეზების გამო, მომავლის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა განსხვავებული იქნება დღევანდელი მდგომარეობისგან. კერძოდ, Industry 4.0 ტექნოლოგიური პლატფორმის საყოველთაო გავრცელებასთან ერთად, გამოჩნდება ახალი მოთამაშეები, ახალი პროდუქტები და შეიცვლება მომხმარებლებთან შეხედულებები. აღნიშნულ უკავშირდება ენერგოსექტორში რიგი ახალი სერვისების განვითარება და მათ მიწოდებასთან დაკავშირებული კომპანიების გამოჩენა, აღნიშნულ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გვეჩვენება ინოვაციური ახალი ბიზნეს მოდელის „ენერჯია, როგორც მომსახურება“ (Energy as a Service, EaaS) დამკვიდრება საქართველოს მცირე მეწარმეობაში. EaaS-მომსახურებით დაკავებული კომპანიები მიიღებენ ინფორმაციას ენერჯიის მიწოდების, მოთხოვნისა და ფასების შესახებ. ეს ინფორმაცია გაერთიანებული იქნება სხვა სახის მონაცემებთან (მაგ. ამინდის პროგნოზი, გზებისა და შენობების დატვირთულობა და ა. შ.) იმისთვის, რომ განხორციელდეს საწარმოების და ქალაქების ე. წ. "ჭკვიანი უბნების" ენერგომომხმარებლის მართვა დინამიურად ცვლადი მონაცემების გარკვეულ დიაპაზონებში. წინამდებარე მოხსენება განიხილავს EaaS-ბიზნეს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და მათ მიმზიდველობას ახლადშექმნილი კომპანიებისთვის (სტარტაპებისთვის). ფორმულირებულია დასკვნა, რომ მათი განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით სასურველია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სპეციალიზებული ბიზნეს-ინკუბატორის შექმნა, რომელიც სათანადო მომსახურებას გაუწევს EaaS-მომსახურებით დაკავებულ ახალბედა კომპანიებს.

#### **5.5.43.**

1) ავტორი/ავტორები

ა. გრიგალაშვილი

2) სტატიის სათაური, ISSN

ენერგომომსახურებაზე სპეციალიზებული ბიზნეს-ინკუბატორი - ISSN 1512-0120

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

„ენერჯია“, სერია: „ენერგეტიკის თანამედროვე პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები“, 2 (98)/2021, პირველი ნაწილი.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

ქ.თბილისი. სტუ, კავშირი „მეცნიერება და ენერგეტიკა“.

5) გვერდების რაოდენობა

4 გვ.

#### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

ენერგოეფექტურობის უზრუნველყოფით დასაქმებულ ახალბედა კომპანიების გამაერთიანებელი ინკუბატორის ორგანიზაციული დაგეგმარებისთვის და იმის გასარკვევად, თუ რა კომპეტენციებს უნდა ფლობდნენ ასეთი კომპანიები, უპირველეს ყოვლისა უნდა წარმოვიდგინოთ, თუ ვინ იქნებიან მათი სავარაუდო მომხმარებლები და რა სერვისებზე ექნებათ მოთხოვნილება. ასეთებს შორის უპირველეს ყოვლისა უნდა დასახელდნენ კომუნალური კომპანიები. დღეს კომუნალური კომპანიები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი აქტივების ფლობის და ექსპლუატაციის გამოცდილება, ამ სფეროში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების და ენერგომომხმარებლის უფრო ეკოლოგიური ვარიანტების შეთავაზების აუცილებლობის წინაშე დგებიან. აღნიშნული უბიძგებს ითანამშრომლონ სათანადო კომპეტენციების მქონე პარტნიორებთან, რათა შეიმუშაონ და შესთავაზონ ახალი მომგებიანი გადაწყვეტილებები საკუთარ მომხმარებლებს.

#### **5.5.44.**

1) ავტორი/ავტორები

გელა ჯავახიშვილი, ალექსანდრე დიდებულისძე

2) სტატიის სათაური, ISSN

Vibrocalibration of walnuts, ISSN 1512 - 1887

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

Journal homepage: <http://journals.org.ge/index.php>

5) გვერდების რაოდენობა

7 გვ.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

პროდუქციის, როგორც პირველად, ისე შემდგომი გადამუშავების ტექნოლოგიების განვითარების ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს მცირეგაზარიტიანი, ენერგოდამზოვი, მაღალმწარმოებლური და მანქანა-დანადგარების დამუშავება. ნაშრომში განხილულია ჩვენს მიერ შექმნილი მუდმივი დენის შემავნიტებიანი უკუქცევით-წინსვლითი მოძრაობის ელექტრომაგნიტური ვიბროძრავით აღჭურვილი კაკლის დამკალიბრებელი დანადგარი, ფრაქციების რაოდენობის ცვლილების და მწარმოებლურობის რეგულირების შესაძლებლობით; ცხაურას ზედაპირზე კაკლის გადაადგილების ტრაექტორია და მასზე მოქმედი ძალების სქემა; კაკლის დამკალიბრების მუშაობის რეჟიმების კვლევის შედეგად მიღებული ოპტიმალური ტექნოლოგიური პარამეტრების ანალიზი.

**5.5.45.**

1) ავტორი/ავტორები

გელა ჯავახიშვილი, ალექსანდრე დიდებულიძე

2) სტატიის სათაური, ISSN

ენერგიის გარდაქმნა უკუქცევით-წინსვლითი ცალნახევარპერიოდისანი

ელექტრომაგნიტური ვიბრაციული მანქანის გენერატორულ რეჟიმში, ISSN 1512 - 0120

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

„ენერგია“, #2(98)/2021, II, გვ.15-19

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

ქ.თბილისი. სტუ, კავშირი „მეცნიერება და ენერჯეტიკა“.

5) გვერდების რაოდენობა

4 გვ.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

განხილულია გენერატორულ რეჟიმში ენერგიის გარდაქმნა უკუქცევით-წინსვლითი მოძრაობის ერთტაქტიან ელექტრომაგნიტურ ვიბრაციულ მანქანაში, რომელიც იკვებება ცალნახევარპერიოდისანი გამართული ძაბვით. კვლევის შედეგად, რომელიც ჩატარდა ავტორების მონაწილეობით შემუშავებული და საქართველოში დაპატენტებული II-სებრი მაგნიტური გამტარის მქონე ელექტრომაგნიტური ვიბრაციული მანქანის მაგალითზე, დადგენილი და შესწავლილი იქნა ერთმანეთისაგან განსხვავებული მუშაობის 7 შესაძლო ენერჯეტიკული რეჟიმი.

**5.5.46.**

1) ავტორი/ავტორები

ლია ბალახაშვილი

2) სტატიის სათაური, ISSN

საჰაერო ელექტროგადაცემის ხაზის ელექტრომაგნიტური ველის გავლენა

ადამიანის ჯანმრთელობაზე.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

“საქართველოს საინჟინრო სიახლეები“ № 92, 2021,

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

თბილისი, საქართველოს საინჟინრო აკადემია

5) გვერდების რაოდენობა

3 გვ.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

საჰაერო ელექტროგადაცემის ხაზების მიერ შექმნილი ელექტრული ველის ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით ადგენს სანიტარულ-დამცავ ზონებს, ანუ მანძილს ხაზის გასწვრივ, რომლის საზღვრებს გარეთ ელექტრული ველის დამაბულობა არ აღემატება 1 კვ/მ-ზე. ამ დოკუმენტის მიხედვით სანიტარული დამცავი ზონები დადგენილია 330 კვ –20 მ; 500 კვ – 30 მ, ხოლო 330 კვ ძაბვის ქვევით სანიტარული დამცავი ზონები დადგენილი არ არის. ნაშრომში წარმოდგენილია სარკული ასახვის მეთოდით გაანგარიშებული 500 კვ საჰაერო ელექტროგადაცემის ხაზის ელექტრული ველის დამაბულობის დამოკიდებულება კიდურა სადენის გეგმილიდან დაშორებაზე. 110, 220 და 500 კვ ძაბვის ხაზების გასწვრივ ჩატარებული ელექტრული და მაგნიტური ველების დამაბულობების დონეების გაზომვის შედეგები და მათი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე.

**5.5.47.**

1) ავტორი/ავტორები

მალხაზ დვალიძე, მიხეილ სართანია

2) სტატიის სათაური, ISSN

საქართველოს ენერგოსისტემის გენერატორების ძაბვის ავტომატური რეგულატორების მუშაობის ეფექტიანობა

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

„ენერჯია“, №2 (98), 2021, გვ. 39-43

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

ქ.თბილისი. სტუ, კავშირი „მეცნიერება და ენერჯეტიკა“.

5) გვერდების რაოდენობა

5 გვ.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

საქართველოს ელექტროენერჯეტიკული სისტემის მუშაობის რეჟიმზე დაკვირვებით და ჩატარებული ექსპერიმენტული გამოკვლევებით მიღებული შედეგების საფუძველზე დასაბუთებულია, ენერგობლოკის/აგრეგატის, აგზნების/ძაბვის რეგულატორის ძაბვის ავტომატური რეგულირების რეჟიმში მუშაობის ეფექტიანობა, ასევე შემუშავებულია მითითებები ელექტროსადგურებისთვის აგზნების სისტემაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ.

**5.5.48.**

1) ავტორი/ავტორები

გ. კიკოლაშვილი, გ. ლომინაძე

2) სტატიის სათაური, ISSN

„დინამიური რეჟიმების ფორმირება ასინქრონული ძრავების ოპტიმიზირებული დაგეგმარების ქვესისტემაში" ISSN 1512-0120

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

„ენერჯია“, სერია # 2(98)//2021, გვ.19-21

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

ქ.თბილისი. სტუ, კავშირი „მეცნიერება და ენერჯეტიკა“.

5) გვერდების რაოდენობა

3 გვ.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

სტატიაში წარმოდგენილია ასინქრონული ძრავების დინამიკის ოპტიმიზაციური ამოცანის ამოხსნის ალგორითმი, რომელიც ანხორციელებს მრავალკრიტერიული ოპტიმიზაციის მეთოდს და

ასინქრონული ძრავის მათემატიკურ მოდელს - ენერჯის განზოგადებულ ელექტრომექანიკურ გარდამქმნელს. ნაჩვენებია მოცემული დინამიური რეჟიმის ფორმირების შესაძლებლობა..

#### 5.5.49.

- 1) ავტორი/ავტორები  
თენგიზ ნათენაძე, არჩილ ზერეკვიძე, ნატალია კერესელიძე
- 2) სტატიის სათაური, ISSN  
„ მუდმივი დენის მაგისტრალური ელმავლის ძალური სქემის მათემატიკური მოდელი გარდამავალი პროცესების შესწავლისათვის“
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
„ენერჯია“, სერია #2(98)/2021 გვ.25-27
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
ქ.თბილისი. სტუ, კავშირი „მეცნიერება და ენერჯეტიკა“.
- 5) გვერდების რაოდენობა  
3 გვ.

#### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

სტატიაში წარმოდგენილია ელმავლის ძალური სქემის მათემატიკური მოდელი, რომელიც შეიქმნა MATLAB პაკეტის პროგრამის გამოყენებით, იგი ეფუძნება დიფერენციალურ განტოლებათა სისტემას და აღწერს გარდამავალი პროცესების დროს წევის ელექტროძრავაში წარმოქმნილ ფიზიკურ პროცესებს.

#### 5.5.50.

- 1) ავტორი/ავტორები  
თენგიზ ნათენაძე, არჩილ ზერეკვიძე, ნატალია კერესელიძე
- 2) სტატიის სათაური, ISSN  
„ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ წევის ძრავების რესურსს და ექსპლუატაციის ოპტიმალურ ვადას“
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
„ენერჯია“, სერია #1(97)/2021 გვ.34-39
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
ქ.თბილისი. სტუ, კავშირი „მეცნიერება და ენერჯეტიკა“.
- 5) გვერდების რაოდენობა  
6 გვ.

#### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

დადგენილია, რომ დროულად და ხარისხიანად ჩატარებული საქარხნო რემონტი და ქარხანა დამამზადებლის მიერ შემუშავებული ექსპლუატაციის წესების და ინსტრუქციების სწორად დაცვა უზრუნველყოფს წევის ძრავების მსახურების ვადის გაზრდას და მათ იმედიანად მუშაობას. გამოვლენილია, გაანალიზებულია და დასაბუთებულია გარემონტებული წევის ძრავების პარამეტრების გაუარესების მიზეზები.

## 6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

### 6.1. მონოგრაფიები/წიგნები

#### 6.1.1.

- 1) ავტორი/ავტორები  
მ. ჯიშკარიანი, ს.კ. გოში, ხ. დიდბარიძე
- 2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN  
წიგნის Circular Economy: Recent Trends in Global Perspective მე-11 თავი: Energy and Economic Indicators Influencing Circular Economy in Georgia. ISBN: 978-981-16-0912-1

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

სპრინჯერის გამომცემლობა, სინგაპური, 2021. [https://doi.org/10.1007/978-981-16-0913-8\\_11](https://doi.org/10.1007/978-981-16-0913-8_11)

4) გვერდების რაოდენობა

გვ.331-358.

### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

წრიული ეკონომიკის კონცეფცია ეფუძნება რესურსების უფრო მდგრად და ეფექტურ გამოყენებას ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში. სიტუაციის შეფასება მოითხოვს ფაქტორების ერთობლიობის ანალიზს, რომლებიც გავლენას ახდენენ ეკონომიკის განვითარებაზე წრიულობისა და რესურსების ეფექტურობისკენ. მოცემული კვლევა ყურადღებას ამახვილებს მთელ რიგ ენერგეტიკულ და გარემოსდაცვით ინდიკატორებზე საქართველოში ცირკულარული ეკონომიკის განვითარების კონტექსტში. რაც შეეხება თემის ენერგეტიკულ განზომილებას, წრიული ეკონომიკის მოდელის დანერგვა მჭიდრო კავშირშია ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარება. რაც უფრო დიდია განახლებადი ენერჯის წილი მით უფრო მაღალი იქნება რესურსების კონსერვაცია, რაც გაზრდის რესურსების ეფექტურობას. კვლევა მიმოიხილავს სხვადასხვა ენერგეტიკულ ფაქტორებს და მათ ძირითად ტენდენციებს 2007-2020 წლებში, რომლებიც გავლენას ახდენენ ენერჯისა და ნახშირბადის ინტენსივობის ეროვნულ მაჩვენებლებზე და დაკავშირებულია მსოფლიოს ყველაზე მტკივნეულ პრობლემასთან. კლიმატის ცვლილება და გლობალური დათბობა. გარდა ამისა, კვლევა განიხილავს რამდენიმე არსებით პროცესს და განვითარებას ქვეყნის გარემოსდაცვით სექტორში, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ ცირკულარული ეკონომიკის მოდელის ათვისებასა და ქვეყანაში მის ევოლუციაზე. კვლევის მიზანია გაეცნოს ძირითად ტენდენციებსა და არსებულ ჩარჩოებს, რომლებსაც შეუძლიათ წრიული ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა. ეს მოიცავს ინდიკატორების, საკანონმდებლო აქტებისა და სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზს ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის, განსაკუთრებით ნარჩენების მართვის სფეროებში. საკანონმდებლო და მარეგულირებელ დონეზე გადადგმული ზოგიერთი საწყისი ნაბიჯი დასაფასებელია და იმედია გაძლიერებული ძალისხმევა და უფრო აქტიური განხორციელების აქტივობები გამოიწვევს ქვეყანაში ცირკულარული ეკონომიკის პრაქტიკის გაფართოებას.

### **6.1.2.**

1) ავტორი/ავტორები

რ. ქუთათელაძე, ა. აბრალავა, ქ. ქუთათელაძე

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

Contemporary Business Challenges in A Globalized World (Volume 2) Research, Study, Examination LAP LAMBERT Academic Publishin. **Collective monograph. Vienna, Austria 2021**

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

**Vienna, Austria** LAP LAMBERT Academic Publishin

4) გვერდების რაოდენობა

158 გვ.

### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

ეს მონოგრაფია განიხილავს სამედიცინო მენეჯმენტს სიტყვის ვიწრო და ფართო გაგებით. ვიწრო გაგებით, ეს არის პროფესიონალური მენეჯმენტი, ანუ სამედიცინო მუშაკების, კერძოდ ექიმების პროფესიული ქცევის ხაზი, შედეგზე ორიენტირებული მკურნალობის სტრატეგია. მათი აქტივობის შეფასების კრიტერიუმია სამედიცინო მომსახურების ხარისხი და მკურნალობის გრძელვადიანი შედეგები. ფართო გაგებით, ეს არის სოციალური მენეჯმენტის მნიშვნელოვანი სფერო, რომელიც მიმართულია ადამიანზე, მისი შრომისუნარიანობის შენარჩუნებასა და დღევანდელ მდგომარეობაზე, ფაქტობრივად, ჯანდაცვის ორგანიზაციისა და მართვის შესწავლა ბიუჯეტისა და სადაზღვევო დაფინანსების თვალსაზრისით. ეს სტატია განიხილავს

სამედიცინო მენეჯმენტს სიტყვის ვიწრო და ფართო გაგებით. ვიწრო გაგებით, ეს არის პროფესიონალური მენეჯმენტი, ანუ სამედიცინო მუშაკების, კერძოდ ექიმების პროფესიული ქცევის ხაზი, შედეგზე ორიენტირებული მკურნალობის სტრატეგია. მათი აქტივობის შეფასების კრიტერიუმია სამედიცინო მომსახურების ხარისხი და მკურნალობის გრძელვადიანი შედეგები. ფართო გაგებით, ეს არის სოციალური მენეჯმენტის მნიშვნელოვანი სფერო, რომელიც მიმართულია ადამიანზე, მისი შრომისუნარიანობის შენარჩუნებასა და დღეგრძელობაზე, ფაქტობრივად, ჯანდაცვის ორგანიზაციისა და მართვის შესწავლა ბიუჯეტისა და სადაზღვევო დაფინანსების თვალსაზრისით.

## 6.2. სახელმძღვანელოები

### 6.2.1.

1) ავტორი/ავტორები

სიმონ ნემსაძე

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

ელექტრული წრედების ანალიზი (პირველი ნაწილი) 621.306(02)/7

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

სტუ ს გამომცემლობა

4) გვერდების რაოდენობა

185 გვ.

#### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ელექტრული წრედების ანალიზის საგნის დანიშნულებაა გააცნოს მომავალ ინჟინერს ელექტროტექნიკური ტერმინოლოგია, ელექტრულ სქემებში, წრედებში გამავალი დენებისა და წრედის ელემენტებზე ძაბვების განაწილების ბუნება. მუდმივი და ცვლადი დენის წრედებში გარდამავალი რეჟიმის დროს, ზუსტი გამოთვლებისა და ანალიზის მეთოდები, საჭირო უნარ-ჩვევების გამოუმუშავება სქემების ელექტრონული მუშაობის, კომპიუტერული პროგრამებისა და ანალიზის საშუალებების გამოყენებით, რაც უდავოდ დაეხმარება სტუდენტებს მომავალში სხვადასხვა ელექტროტექნიკური და ელექტრონული სქემების ანალიზისას. წინამდებარე სახელმძღვანელო შედგება ცხრა თავისა, მრავალრიცხოვანი ნახაზებისა, ცხრილისა და მოკლე ამონარიდებისაგან ელექტროტექნიკის ინდუსტრიაში მიღწეული თანამედროვე წარმატებების შესახებ. იგი მოიცავს ინფორმაციას ელექტრული წრედის აქტიური და პასიური ელემენტების, ასევე დამოუკიდებელი და დამოკიდებული ენერჯის წყაროების, მათი პარამეტრებისა და მახასიათებლების, ელექტრული წრედის კანონების შესახებ. განხილულია მუდმივი და ცვლადი წრედების ანალიზი ისეთი პრაქტიკაში ფართოდ გამოყენებული მეთოდებით როგორცაა: კვანძური ძაბვებით ანალიზი, კონტურული დენებით ანალიზი, ასევე კვანძური პოტენციალებით ანალიზი ძაბვის წყაროს შემთხვევაში და კონტურული დენებით ანალიზი დენის წყაროს შემთხვევაში. განხილულია პირველი რიგის წრედები როგორცაა RC და RL წრედები წყაროს გარეშე, სინგულარობის ფუნქციები, გარდამავალი პროცესები RC და RL წრედებში. განსხვავებით ელექტრული წრედების თეორიის ცნობილი სახელმძღვანელოებისაგან განხილულია ოპერაციული გამამლიერებლები და ეს თავი წაადგება იმ სპეციალობის სტუდენტებს, რომ-ლებიც არ გადიან სამრეწველო ელექტრონიკის საფუძვლებს (მაგალითად, ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის სტუდენტებს, რომელთათვისც ფაქტიურად დაიწერა წარმოდგენილი სახელმძღვანელო). სახელმძღვანელოში მოყვანილია ამოხსნილი ამოცანები ემსახურება თეო-რიაში მიღებული ცოდნის გამყარებას და ისინი შეიძლება გამოყენებული იქნეს პრაქტიკული მეცადინეობებისთვისაც. სახელმძღვანელოს ბოლოში მოცემული ვიდეოლინკები- ელექტროტექნიკის ინდუსტრიაში მიღწეული თანამედროვე წარმატებების შესახებ ნათელ წარმოდგენას შეუქმნის თითოეულ სტუდენტს არსებული ტექნოლოგიების შესახებ და დააფიქრებს მომავალი ნაბიჯებისაკენ სპეციალობის ტექნიკური განვითარების სრულყოფისათვის.

## a. კრებულები

### 6.3.1.

- 1) ავტორები  
Avtandil Asatiani
- 2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN  
Religion and society, Religion and public life. ISBN 978-1-53618-904-9
- 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
New York, USA. 2021 by Nova Science Publishers, Inc
- 4) გვერდების რაოდენობა  
8 გვ.

#### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ალექსანდრიის სკოლაში უპირატესობა ენიჭებოდა პლატონის მეთოდოლოგიას. ალექსანდრიული თეოლოგიისათვის მთავარ პრობლემას წარმოადგებდა ადამიანსა და ღვთაებას შორის ურთიერთობა, რაც მრწამსისათვის რაციონალურ საფუძველს გულისხმობდა, ხოლო სწავლების მეთოდად ბიბლიის ალეგორიული ახსნა იყო მიჩნეული. სასულიერო და საერო საგანთა თავსებადობა ბერძნულ-ალექსანდრიულ ქრისტიანულ სკოლაში აშკარად დასტურდება პანტენის, კლიმენტი ალექსანდრიელის და ორიგენეს მოღვაწეობასა და შეხედულებებში, რაც ალექსანდრიული ქრისტიანული სკოლის პლურალისტულ მიმართულებაზე მიანიშნებს. ალექსანდრიის ადრექრისტიანულ სკოლაში არა მარტო დასაშვები იყო შვიდი თავისუფალი ხელოვნების (ტრივიუმ-კვადრიუმის) სწავლება, არამედ აღიარებული იყო მათი პროპედევტიკული მნიშვნელობა და სრული თავსებადობა ღვთისმეტყველურ საგნების სწავლებათან.

## 6.4. სტატიები

### 6.4.1

- 1) ავტორი/ავტორები  
Mikiashvili T., Chagmelashvili N., Kiguradze O., Chkhaidze B., Jishkariani T., Arabidze G.
- 2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN  
New Unloading Possibilities of Gas Turbine Combined Cycle Power Generating Units.
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
Abstracts of V International Scientific and Practical Conference. Science And Education: Problems, Prospects And Innovations.
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
Kyoto, Japan, 4-6 February 2021;
- 5) გვერდების რაოდენობა  
10 გვ.

#### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ნაშრომი ეხება ელექტროენერგეტიკული სისტემის რეგულირებაში კომბინირებული ციკლის ენერგობლოკების ეფექტური გამოყენების აქტუალურ პრობლემას, რომელიც გამოიკვეთა გარდაბანი-1 თბოელექტროსადგურის ექსპლუატაციის პრაქტიკაში. პრობლემის არსია ის, რომ სიმძლავრის მართვის სტანდარტული პროგრამის გამოყენებისას, რაც გათვალისწინებულია დატვირთვის საბაზისო ზონაში კომბინირებული ციკლის ენერგობლოკების მუშაობისთვის, შეუძლებელია მათი სადღეღამისო განტვირთვა (დრმა განტვირთვა) ცალკეული დანადგარების ამორთვის გარეშე. დანადგარების სადღეღამისო ამორთვა კი უარყოფითად აისახება ენერგობლოკის საიმედოობასა და ხანგამძლეობაზე. შემოთავაზებულია კომბინირებული ციკლის ენერგობლოკების განტვირთვის ახალი მეთოდი,

რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის მათი რეგულირების დიაპაზონს დანადგარების ამორთვის გარეშე. ის ითვალისწინებს აირტურბინული კომპონენტის სიმძლავრის მართვის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდების შერწყმას, რომლის დროსაც შესაძლებელია აირტურბინიდან გამოსული ნამუშევარი აირების ტემპერატურის რეგულირება და ორთქლის ქვაბ-უტილიზატორის ზედაპირების დაცვა გადახურებისგან, რაც აქამდე წარმოადგენდა ენერგობლოკის სტანდარტული განტვირთვის მთავარ შეზღუდვას.

#### 6.4.2.

- 1) ავტორი/ავტორები  
Nodar Kevkhishvili, Tengiz Jishkariani, Nikoloz Javshanashvili.
- 2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN  
Liquid Piston Stirling Engine with Parallel Scheme of the Several Units of the Compression-expansion Elements. ISSN:2643-6779 (print), ISSN:2643-6787 (on-line).
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
International Jurnal of Energy Management. Jurnal of the Asociation of Energy Engineers (AEE USA).  
Vol. 3, No 1, 2021
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
Asociation of Energy Engineers (AEE USA).
- 5) გვერდების რაოდენობა  
9 გვ.

#### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

სტირლინგის თბური მანქანის თხევადდგუშიან სქემაში თხევადი დგუშის უუნარობის გამო განავითაროს დიდი აჩქარება, მნიშვნელოვნად არის შეზღუდული დანადგარის კუთრი სიმძლავრის მაჩვენებელი. ვერტიკალური აჩქარების მაღალი მნიშვნელობების შემთხვევაში სითხისა და გაზის საკონტაქტო ზედაპირი ხდება არამდგრადი, რის შედეგადაც, აუცილებლად მოხდება სითხისა და გაზის საკონტაქტო ზედაპირის ძლიერი გამრუდება, ხოლო შემდგომ, ორფაზა დისპერსული სტრუქტურის წარმოქმნა სითხისა და გაზის საზღვარზე. ყოველივე ამას, თან მოსდევს მნიშვნელოვანი დანაკარგები ენერჯის გარდაქმნისას გაზის მუშაობის ფორმიდან ჰიდრავლიკური ენერჯის ფორმაში. თხევადი დგუშის 0,1 მ-ზე გადაადგილებისათვის ციკლის პერიოდის მინიმალური მნიშვნელობა დაახლოებით 0,1 წმ-ს შეადგენს, რაც 1-2 რიგით მეტია მყარდგუშიან სტირლინგთან შედარებით. შესაბამისად, თხევადდგუშიანი დანადგარის კუთრი სიმძლავრე მნიშვნელოვნად ჩამორჩება ტრადიციული სტირლინგის მრავის სიმძლავრეს. მიუხედავად ამისა, სტირლინგის თხევადდგუშიანი მრავების ტექნოლოგიას არ ამოუწურავს თავისი განვითარებისა შესაძლებლობა. ამ ტიპის მრავებისათვის დამახასიათებელმა ციკლის დაბალმა სიხშირემ შეიძლება მოგვცეს გარკვეული უპირატესობა. კერძოდ, თბოგადაცემის პროცესების მიმდინარეობის დიდი დრო იძლევა საშუალებას, კუმშვა გაფართოების პროცესები მაქსიმალურად მივუახლოვოთ იზოთერმულს და ამით გავზარდოთ მქ კოეფიციენტის მნიშვნელობა. ამავე დროს, თბოგადაცემა გაზსა და თხევად დგუშს შორის არა თუ შემცირდეს, არამედ გაიზარდოს.

#### 6.4.3.

- 1) ავტორი/ავტორები  
სიმონ ნემსაძე, გიორგი გელაშვილი
- 2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN  
ქარის ტურბინები და ფრინველების ულტრაბგერითი მოსაგერიებელი მოწყობილობის მონტაჟის ეფექტურობა
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
„ენერჯია“, №2 (98) 2021
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
თბილისი, „ენერჯია“
- 5) გვერდების რაოდენობა



3 გვ.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

ქარის ენერჯია წარმოადგენს მნიშვნელოვან განახლებად ენერჯის წყაროს, რის გამოც ნაშრომში მოყვანილია მისი ერთერთი უარყოფითი თვისების აღმოფხვრის გზა, კერძოდ იმის გამო, რომ ქარის ტურბინის პირები საკმარისად დიდია და დიდი სიჩქარით ბრუნავს იგინ საშიშია გარემოსათვის, კერძოდ შეიძლება გამოიწვიოს გადამფრენი ფრინველების დაზიანება. ამ საკითხის დადებითად გადაჭრისათვის შემოთავაზებულია ულტრაბგერითი სისტემების დაყენება სადგურის ყველაზე მაღალ პოზიციაზე, გათვლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტურბინის პირების სიგრძეს.

**6.4.4.**

1) ავტორი/ავტორები

თენგიზ მუსელიანი, გრიგოლ მუსელიანი, ლიანა ბალახაშვილი, მარიამ გვარამაძე

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN  
„ერთჯაჭვა მაღალი ზაბვის საჰაერო ელექტროგადაცემის ხაზის მაგნიტური ველის დამაბულობის განსაზღვრა კიდურა ხაზის გეგმილიდან დაშორებაზე სადენების ჰორიზონტალური განლაგების დროს“. ISSN 1520-0120

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

„ენერჯია“ # 2(98), 2021 წ.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

ქ.თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. კავშირი „მეცნიერება და ენერჯეტიკა“.

5) გვერდების რაოდენობა

6 გვ.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

გაანგარიშებით დადგენილია, რომ P1 ტიპის საყრდენებზე ჰორიზონტალურად განთავსებული 500 კვ მაბვის საჰაერო ელექტროგადაცემის ხაზის სადენების შეთხვევაში, კიბოს საერთაშორისო სააგენტოს მიერ დადგენილი და ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ადამიანის ჯანმრთელობისათვის რეკომენდირებული უსაფრთხო მაგნიტური ველის ინდუქციის ლიმიტირებული მნიშვნელობები (0,2–0,3 მკტლ) ელექტროდინამიკური მოწყობის წესებით დადგენილი ელექტროგადაცემის ხაზის დედამიწის ზედაპირიდან უმცირესი დაშორების (15,5 მ) დროს უსაფრთხო საჰაერო ელექტროგადაცემის ხაზის კიდურა სადენის გეგმილიდან 90 მ–მანძილზე და მეტი დაშორების შემთხვევაში.

**6.4.5.**

1) ავტორი/ავტორები

B. Tchunashvili, M. Kobalia, A. Petrosyan R. Gurgenadze, G. Bulbulashvili

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI  
Optimization of the Positional Control System for Electrical Drives of Non-Supported Pendulum Suspended Ropeways. DOI: 10.1109/MEES52427.2021.9598676

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

2021 IEEE International Conference on Modern Electrical and Energy Systems (MEES),  
Conference Paper, IEEE.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

Kremenchuk, Ukraine

5) გვერდების რაოდენობა

4 გვერდი.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

ქანქარიანი დაკიდული საბაგიროს ელექტრული ამძრავების ელექტრომექანიკურ ნაწილში მიმდინარე დინამიური პროცესების კვლევებზე დაყრდნობით დაწყების და დამუხრუჭების რეჟიმებში

დადასტურდა, რომ მოძრავ მექანიკურ ნაწილში მიმდინარე დინამიური პროცესები განპირობებულია ტაქოგრამით. ელექტრული ამძრავის მოძრაობის შესახებ, რაც თავის მხრივ სრულად არ ასახავს ელექტრომძრავის მოძრავ მექანიკურ ნაწილში მიმდინარე დინამიურ პროცესებს. ანუ, იგი არ ითვალისწინებს შეჩერებული კაბინების აჩქარებას გაშვებული ეტლების და გარე კაბინების წონის გამო, რადგან გაშვებისა და დამუხრუჭების რეჟიმებში იცვლება ელექტრული ძრავის მობილური მექანიკური ნაწილის საწყისი დიზაინის მოდელის სტრუქტურა. ორჯერ, ორმასიანი გაყოფილი მასებით გადის სამმასიანი და უკან. ელექტრული ამძრავის უსაყრელი ქანქარიანი შეკიდული საბაგიროში მიმდინარე დინამიური პროცესების შესწავლის საფუძველზე გაშვების და დამუხრუჭების რეჟიმებში ელექტრული ამძრავის მოძრაობის ოპტიმალური ტაქოგრამის შედგენის მეთოდოლოგია მაღალი მიხედვით. გამართლებულია დინამიური მაჩვენებლები და პროდუქტიულობა, ქანქარიანი შეკიდული საბაგირო გზების კინემატიკური სქემის ყველა მახასიათებლის გათვალისწინებით. გაანგარიშების მეთოდი მოცემულია მისი პარამეტრები. მოძრაობის ტაქოგრამის გამოყენება შემოთავაზებული მეთოდით აშენებული უსაყრელი ქანქარით შეკიდული საბაგიროს ელექტრული ამძრავის საკონტროლო სისტემებში გამორიცხავს ელექტრომძრავების მოძრავი მექანიკური ნაწილის დიზაინის მოდელის ცვლილებებს გარდამავალ რეჟიმში, რაც იწვევს დინამიური პარამეტრების გაუმჯობესებას. ელექტრული ამძრავი და ქანქარიანი საბაგიროს შეკიდული კაბინების მოძრაობის კონტროლის სიზუსტე.

#### 6.4.6.

- 1) ავტორი/ავტორები  
მანანა მალრამე, ლიანა ციმაკურიძე
- 2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI  
SUPPLY CHAIN - A WAY TO INCREASE A COMPANY'S COMPETITIVENESS
- 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი  
Economics, Business and Social Sciences Conference proceedings.
- 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა  
Verlag SWG imex GmbH Nuremberg, Germany
- 5) გვერდების რაოდენობა

2 გვ.

#### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

*ციფრულმა სამყარომ შესაძლებელი გახადა უზარმაზარი რაოდენობით ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოგროვება, ამასთანავე მოსალოდნელია მონაცემთა მოცულობის ყოველ ორ წელიწადში გაორმაგება. დიდი მონაცემების გამოყენებით, მენეჯერებს შეუძლიათ გაცილებით მეტი გაიგონ კომპანიის სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ. რაც მათ ეხმარებათ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. მონაცემთა მეცნიერებებს გააჩნია რამდენიმე დარგი მათგან ყველაზე ხშირად გამოყოფენ: მონაცემთა ანალიზს (Data mining) და დიდ მონაცემებს (Big Data). მონაცემთა ანალიზი გულისხმობს საწყისი, საჭირო მონაცემების მოპოვების პროცესს. მონაცემების გაფილტვრის შემდეგ ხდება მათი კვლევა და ანალიზი, ხორციელდება მონაცემებს შორის დამოკიდებულების დადგენა, შესაბამისი ცვლადების მოძიება და მათი საშუალებით სხვადასხვა დამოკიდებულებისა თუ ლოგიკის დანახვა და მათი წარმოდგენა სხვადასხვა გრაფების სახით. დიდ მონაცემები (Big Data) წარმოადგენს მონაცემთა სიმრავლეს, რომელიც შეგროვება, მართვა და დამუშავება ტიპიური, ტრადიციული მონაცემთა ბაზებისა და შესაბამის პროგრამების შესაძლებლობებს ბევრად აღემატება. დიდი მონაცემების დამუშავება არსებული მონაცემთა ბაზების სტანდარტში არ ჯდება. მათი დამუშავება ხდება ახალი მიდგომებით. ამ ეტაპზე გამოიყენება -მაგალითად, Hadoop-ი და spark. data mining-ის და big data-გამოიყენება საარჩევნო სისტემებშიც და პოლიტიკაშიც, მის გამოიყენებას უდიდეს როლი აქვს მედიცინაში. უნდა აღვნიშნოთ, რომ მონაცემთა მეცნიერება ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა. თუმცა ბევრი მეცნიერი დღეს უკვე თანხმდება, რომ მონაცემთა მეცნიერება, მანქანური სწავლება და ხელოვნური ინტელექტი მომავალში ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იქნებიან.*

## 7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

### 7.1. საქართველოში

#### 7.1.1.

- 1) მომხსენებელი/მომხსენებლები  
მ. მარდალეიშვილი
- 2) მოხსენების სათაური  
გარემოსდაცვითი წყლის ხარჯის შეფასება ექსპლუატაციაში მყოფი ჰესებისათვის
- 3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი  
III საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის „ენერგეტიკის თანამედროვე პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები“. თბილისი 2021 წლის 7-10 ივნისი.  
(*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*)

#### 7.1.2.

- 1) მომხსენებელი/მომხსენებლები  
მერაბ ცეცხლაძე
- 2) მოხსენების სათაური  
მუდმივი დენის ძრავის ბრუნვის სიხშირის რეგულირების ოპტიმიზაციის კომპიუტერული მოდელირება.
- 3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი  
ქ.თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2021.  
(*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*)

#### 7.1.3.

- 1) მომხსენებელი/მომხსენებლები  
ქ. ქუთათელაძე
- 2) მოხსენების სათაური  
ჯანდაცვის სახელმწიფოებრივი მართვა-რეგულირების აუცილებლობა საქართველოში
- 3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი  
სტუ, ბიზნესტექნოლოგიების ფაკ. საერთაშორისო სამეცნიერო კონფ. „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“ V საერთ. სამეცნ.კონფ. მაისი, 2021 წელი, ქ. თბილისი  
(*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*)

#### 7.1.4.

- 1) მომხსენებელი/მომხსენებლები  
ქ. ქუთათელაძე
- 2) მოხსენების სათაური  
მშენებლობის რისკების გავლენა საინვესტიციო ხარჯებზე
- 3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო ონლაინკონფერენცია „XXI საუკუნის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ტექნოლოგიური გამოწვევები“. დეკემბერი, 2021 წელი, ქ. თბილისი  
(*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*)

### 7.1.5.

- 1) მომხსენებელი/მომხსენებლები  
მანანა სამადაშვილი
- 2) მოხსენების სათაური  
ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში
- 3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი  
გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები., V საერთაშორის  
სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული., სტუ, 28-29 მაისი, 2021  
(*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში  
არ გამოქვეყნებულა)*)

### 7.1.6.

- 1) მომხსენებელი/მომხსენებლები  
გელა ჯავახიშვილი
- 2) მოხსენების სათაური  
ენერჯის გარდაქმნა უკუქცევით-წინსვლითი ცალნახევარპერიოდული  
ელექტრომაგნიტური ვიბრაციული მანქანის გენერატორულ რეჟიმში
- 3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი  
07-10 ივნისი, 2021, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი  
(*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში  
არ გამოქვეყნებულა)*)

## 7.2. უცხოეთში

### 7.2.1.

- 1) მომხსენებელი/მომხსენებლები  
ი. ნონიევი, გ. ხელიძე, ლ. შატაკიშვილი, ა. მირცხულავა
- 2) მოხსენების სათაური  
Безопасность плотин и связанные с ней природоохранные вопросы  
DAM SAFETY AND RELATED ENVIRONMENTAL ISSUES. ISBN 978-83-960097-7-7.  
DOI: [https://doi.org/10.31435/rsglobal\\_conf/30012021/7382](https://doi.org/10.31435/rsglobal_conf/30012021/7382)
- 3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი  
January 30, 2021, Warsaw, Poland. P. 11-14  
*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში  
არ გამოქვეყნებულა)*

### 7.2.2.

- 1) მომხსენებელი/მომხსენებლები  
Maia lomsadze-kutchava
- 2) მოხსენების სათაური  
1. Анализ факторов риска при инвестировании в энергетический инвестиционный проект  
2. Covid-19 И Система Высшего Образования в Грузии.
- 3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი  
1. The world of science and innovation. Abstracts of the 8th International scientific  
and practical conference. Cognum Publishing House. London, United Kingdom. 2021.  
2. Abstracts of the 5th International scientific and practical conference. CPN  
Publishing Group. Kyoto, Japan. 2021.  
(*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში  
არ გამოქვეყნებულა)*)

### 7.2.3.

- 1) მომხსენებელი/მომხსენებლები

- Maka Jishkariani,  
 2) მოხსენების სათაური  
 Waste Processing for Energy Purposes in Georgia  
 3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი  
 შავი ზღვის აუზის ქვეყნების საერთაშორისო სამეცნიერო -კვლევითი სიმპოზიუმი – VI.  
 გირესუნი, თურქეთი. 28-30 აპრ., 2021წ. გვ. 66-72. ISBN: 978-625-7720-38-0  
*(მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*

**7.2.4.**

- 1) მომხსენებელი/მომხსენებლები  
 Maka Jishkariani  
 2) მოხსენების სათაური  
 Using Google Sheets to Analyze Electricity Tariffs  
 3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი  
 მე-5 საერთ. სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენცია „მსოფლიო მეცნიერება: პრობლემები, პერსპექტ. და ინოვაციები.” ტორონტო. 27-29 იანვარი, 2021. გვ.97-101.  
*(მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*

**7.2.5.**

- 1) მომხსენებელი/მომხსენებლები  
 Maka Jishkariani  
 2) მოხსენების სათაური  
 „ენერგოეფექტურობა - ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი”.  
 „Energy efficiency-the most important factor in increasing the country’s energy independence”.  
 ISBN 978-92-9472-197-6  
 3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი  
 VII Международная научно-практическая конференция „The world of science and innovation”.  
 10-12 february, 2021 y. Лондон, Великобритания

**მოხსენების ანოტაცია**

საზოგადოება ირჩევს მწვანე ენერგეტიკას. ხოლო ენერგოეფექტურობა ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის ქვაკუთხედი ხდება. მსოფლიოს ტრენდის ცვლილებამ, ქვეყნებში ეკოაზროვნების ჩამოყალიბებამ, ტრადიციული რესურსების გამოლევა, კლიმატის შეცვლამ განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების აუცილებლობის წინაშე დაგვყენა, ხოლო ენერგოეფექტურობა და ენერგეტიკული უსაფრთხოება საქართველოსთვის დღეს ეროვნული ინტერესის სფეროს წარმოადგენს. სწორედ ამიტომაც, შევხებით წარმოდგენილ ნაშრომში ენერგოეფექტური შენობების აშენების აქტუალურ საკითხს, რაც ძალზე მნიშვნელოვანია როგორც ენერჯის დაზოგვის, ასევე დასაქმების თვალსაზრისით. USAID-ის მიერ დაფინანსებული კვლევები აჩვენებს, რომ საქართველოში ენერგოეფექტურ სამშენებლო ბიზნესს საკამოდ დიდი პოტენციალი გააჩნია და შესაძლებელია თბო-საიზოლაციო ენერგოდამზოვი მასალების -პერლიტის, მინა ბამბის, ბაზალტის და პოლესტირენის წარმოება, რაც ხელს შეუწყობს დასაქმების ზრდას მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ე.წ. „მწვანე მუშახელის“ სტატისტიკა არ არსებობს, პოტენციალი დიდია. მაგალითად, დღეს საქართველოში 37000 ადამიანია დასაქმებული სამშენებლო სექტორში, აქედან 3000 ადამიანი(ძირითადად სეზონურად) დასაქმებულია ენერგოეფექტური სამშენებლო მასალების წარმოებაში. იმ შემთხვევაში თუ დაიწყება შენობების დათბუნების პროგრამები, მნიშვნელოვნად გაიზრდება სამუშაო ადგილები ამ სექტორშიც. გარდა ამისა, სამუშაო ადგილები ასევე შესაძლოა

შეიქმნას ადგილობრივი განახლებადი ენერგოწყაროების განვითარებით(მზის პანელები, ბიოგაზი, გეოთერმული წყლები.

### 7.2.6.

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

Maka Jishkariani

2) მოხსენების სათაური

„ენერჯის ცვალეზადი განახლებადი და არატრადიციული წყაროები“  
„Renewable and non-traditional energy sources“. ISBN 978-3-954753-02-4

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

გერმანია, 14-15 მარტი, 2021 წ. For being an active participant in VIII international Scientific and Practcal C onference. „Actual trends of modern scientific research“.

14-15 March 28, 2021. Munich, Germany

#### *(მოხსენების ანოტაცია*

საქართველო მდიდარია განახლებადი ენერგორესურსებით, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰიდრორესურსები. ქვეყნის ჰიდროენერგეტიკული რესურსის ეკონომიკურად გამართლებული პოტენციალი დაახლოებით 40 მლრდ კვტ.სთ-ს შეადგენს, რომლის მხოლოდ 30%-მდეა ათვისებული. საქართველოს უკავია სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდებარეობა და აქვს შესაძლებლობა, გახდეს ენერგეტიკული ჰაბი. ასევე, განახორციელოს ტრანზიტი როგორც უშუალო მეზობლებს შორის (აზერბაიჯანი-თურქეთი; რუსეთ-სომხეთი-ირანი), ასევე, ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონებს შორის. საქართველო მიისწრაფვის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ. ენერგეტიკული გაერთიანების წევრობა იძლევა შესაძლებლობას ქვეყანაში დაინერგოს ევროპული ხარისხის სტანდარტები ენერგოსისტემის დაგეგმვაში, მართვასა და ოპერირებაში, ასევე გახდეს ევროპული ელექტროენერგეტიკული ბაზრის წევრი. ქვეყანას აქვს შესაძლებლობა, რომ გაზარდოს განახლებადი ენერგორესურსების ათვისების წილი, როგორც წყლის, ასევე ქარისა და მზის, და ამ გზით შეამციროს იმპორტული ელექტროენერჯისა და იმპორტულ საწვავზე მომუშავე თბოსადგურებისგენერაციის წილი, შესაბამისად, გაზარდოს ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხი და სუფთა ენერჯის გამოყენების მაჩვენებელი. ქვეყნის შედარებით მცირე ზომების, ბიზნესის წარმოების სიმარტივის მაღალი მაჩვენებლებისა და მოხერხებული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, საქართველოს აქვს შესაძლებლობა, გახდეს ენერგეტიკული პროექტების სტარტაპების და საპილოტე პროექტების წამოწყების საუკეთესო ადგილი.

### 7.2.7.

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

Maka Jishkariani

2) მოხსენების სათაური

კლიმატის ცვლილების გავლენა საქართველოს ენერგეტიკის სექტორზე - მოწყვლადობა და ადაპტაცია“, "The Impact of Climate Change on Georgia's Energy Sector - Vulnerability and Adaptation". ISBN:978-4-9783419-5-2

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

VII International Scientific and Partical Conference „Science and education: problems, Prospects and inovations“1-3 April 2021, KYOTO

#### *მოხსენების ანოტაცია*

კაცობრიობის გლობალური ძალისხმევა კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ხორციელდება კონვენციის ფარგლებში და მოიცავს მუშაობას ორი ძირითადი მიმართულებით: სათბური გაზების შემცირების გზით(ეგრეთ წოდებული „მითიგაცია“ ანუ კლიმატის ცვლილების შერბილება) და კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის, ანუ გარდაუვალი ცვლელეებისადმი გამძლეობის გაზრდის საშუალებების მოძიებისაკენ. განვითარებული ქვეყნები ამცირებენ თავიანთ ემისიებს კიოტოს

პროტოკოლით აღებული რაოდენობრივი ვალდებულებების შესაბამისად. საქართველოსნაირი პატარა სახელმწიფოები უფრო ადაპტაციას ცდილობენ, რასაც წინ უძღვის კლიმატის მიმდინარე ცვლილებების შედეგების სერიოზული ანალიზი და საკუთარი განვითარების გეგმებში სათანადო კორექტივების შეტანის აუცილებლობა. მიმდინარე სტატია წარმოადგენს მცდელობას წარმოჩინდეს პრობლემის ძირითადი არსი და დაისვას აქცენტები ენერგეტიკული პოლიტიკის დაგეგმვისა და სტრატეგიული კურსის დასახვის გზაზე. ქვეყნის ენერგეტიკის სექტორი მოითხოვს სასწრაფო და სერიოზულ ყურადღებას უკვე არსებული და მომავალში მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად. კლიმატის ცვლილების პრობლემატიკისა და მისი განვითარების სცენარების გათვალისწინებით აუცილებელია ენერგეტიკის სექტორის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება, რომლის საფუძველზეც შემდეგ შედგება სექტორული განვითარების გეგმები. ენერგეტიკის სექტორული სტრატეგიისა და მის საფუძველზე კონკრეტული ღონისძიებების სამოქმედო გეგმის შემუშავებისას გადმწყვეტი მნიშვნელობა ექნება ევროპული გამოცდილების გადმოღებას და ტექნოლოგიურ გადაიარაღებას, განსაკუთრებით, წყლის რესურსების მართვის, ენერგოეფექტურობის და ალტერნატიული ენერჯების ათვისების სფეროში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქვეყანაში უკვე არსებული ცოდნისა და შესაძლებლობების გამოყენება(მაგ. ქვეყნის მეხუთე ეროვნული შეტყობინების ფარგლებში მომზადებული წყლის რესურსებისა და ენერგეტიკის განვითარების შეფასებები და ტექნოლოგიური საჭიროებების შეფასების ამჟამად მიმდინარე პროექტში მიღებული შედეგები). ტექნოლოგიური გადაიარაღების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია თანდათანობითობისა და ზომიერების დაცვა, რათა ინოვაციები ორგანულად „ჩაეწეროს“ ქართულ ეკონომიკაში. ამის უზრუნველსაყოფად კი აუცილებელია წინასწარი სამუშაოების ჩატარება(კვლევა, სწავლება, სხვა შესაძლებლობების შექმნა, ხელსაყრელი გარემოს შექმნა). ნაყოფიერი იქნებოდა ევროპული გამოცდილების გადმოღება სათბურის გაზების რეგულაციების სფეროში, მითიგაციის პოტენციალის შეფასებასა და ეროვნული სამოქმედო გეგმების მომზადებაში. ევროპის სამეზობლო პარტნიორობის პროგრამა ოპტიმალური ინსტრუმენტია ყველა ამ ამოცანის განხორციელებისათვის.

### 7.2.8.

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

Maka Jishkariani

2) მოხსენების სათაური

„ენერგეტიკაზე კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შეფასება“

„Climat change impact assessment on energy“. ISBN-978-625-7898-38-6

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

International conference on contemporary scientific studies-V march 27-28, 2021/Ankara

TURKEY. თურქეთი, ანკარა. 27-28 მარტი, 2021წ. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

#### **მოხსენების ანოტაცია**

ენერგეტიკის განსაკუთრებული როლი კლიმატის ცვლილების პრობლემის განხილვისას განპირობებულია მისი უნივერსალური ხასიათით და მისი ზემოქმედებით ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა სფეროზე. გარდა ამისა, ენერგეტიკა არის ყველაზე დიდი გამონაბოლქვი ეკონომიკის სექტორებს შორის, ვინაიდან მიჩნეულია, რომ მიმდინარე კლიმატის ცვლილებები გამოწვეულია ანთროპოგენური ფაქტორებით, კერძოდ ინტენსიური სამრეწველო აქტივობით, ხოლო ენერგეტიკა არის ნებისმიერი ინდუსტრიული პროცესის საფუძველი. გასაკვირი არ არის, რომ ენერგეტიკა ლიდერია ეკონომიკის ყველა სექტორს შორის სათბურის გაზების გამოყოფით. ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ ურთიერთკავშირი კლიმატსა და ენერგეტიკას შორის ორ ასპექტში: ენერგეტიკის მიერ შექმნილი პრობლემები კლიმატის სისტემისთვის და გამოწვევები ენერგეტიკის სფეროში კლიმატის ცვლილებებით. შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი პროცესი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია: ენერგეტიკის განვითარება ზრდის სათბურის გაზების გამონაბოლქვს, რაც იწვევს კლიმატის ცვლილებას, ხოლო კლიმატის ცვლილება ზრდის ენერჯის მოხმარებას და, შესაბამისად, ენერგეტიკა აწყდება დამატებით გამოწვევებს, რამდენადაც ის მოითხოვს მეტ ენერგორესურსებს. . ეს ყველაფერი დიდი ძალით უქმნის ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემას მთელ მსოფლიოში. ჩვენი აზრით, ამ ამოცანის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ განახლებადი რესურსების ფართო გამოყენების

შემთხვევაში, რის გამოც გაიზარდა ენერჯის მოხმარება, ხოლო სათბურის გაზები არ გამოიყოფა და საბოლოოდ ეს პრობლემა მოქნილი დარგობრივი პოლიტიკის შემუშავებით მოგვარდება. არატრადიციული, განახლებადი ენერჯის ალტერნატიული წყაროების (მზის, ქარის ენერჯის, გეოთერმული წყლების და ბიომასის გამოყენება) განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები სტატიაში განიხილება საქართველოს მაგალითით. კერძოდ, ჩვენ შევხებით უახლეს ინოვაციურ მოწყობილობებს, რომლებიც მუშაობენ გეოთერმულ წყლებზე და აწარმოებენ სითბოს და სიცივეს თხევადი სორბენტების გამოყენებით.

### 7.2.9.

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

Maka Jishkariani

2) მოხსენების სათაური

„მზის და ქარის განახლებადი წყაროების ათვისების ხელშეწყობა საქართველოში“

"Promoting the development of renewable solar and wind sources in Georgia". ISBN:978-605-70671-3-5

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

საერთაშორისო კონფერენცია 4-5 ივნისი International Modern Scientific Research Congress

4-5 june 2021 ISTANBUL, TURKEY. ISBN:978-605-70671-3-5

#### *(მოხსენების ანოტაცია*

2014 წლის ივნისში, ევროკავშირ-საქართველოს შორის ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებას, რომელიც ძალაში 2016 წლის 1 ივლისში შევიდა. ეს დოკუმენტი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შეთანხმებასთან ერთად, საქართველოს ევროკავშირთან გრძელვადიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრირების პროცესს უყრის საფუძველს. 2016 წლის 14 ოქტომბერს კი საქართველომ ხელი მოაწერა „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ“ ოქმს. საქართველოს მხრიდან ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანება სამართლებრივი ვალდებულების აღებასა და საკანონმდებლო ჰარმონიზაციას გულისხმობს. კერძოდ, საქართველომ უნდა მოახდინოს ადგილობრივ კანონმდებლობაში ევროკავშირის ენერგეტიკის სფეროში მოქმედი იმ დირექტივებისა და რეგულაციების ასახვა, რომლებიც ასოცირების ხელშეკრულების XXV დანართშია მოცემული. დღეის მდგომარეობით საქართველოს მთავრობას გაფორმებული აქვს 6 ურთიერთგაგების მემოიანდუმი. დადგმული სიმძლავრით - 93 მგვტ, სავარაუდო წლიური გამომუშავებით - 131, 97 მგვტ. სთ. მზის ელექტროსადგურების ფართო გავრცელების შემთხვევაში, საქართველოში საჭირო იქნება სარეზერვო ელექტროგენერაციის სიმძლავრეების ან ტანამედროვე ენერჯის შემნახველი ბატარეების დამონტაჟება, რადგან მზის ელექტროსადგურის გამომუშავების პროგნოზირება თითქმის შეუძლებელია, ხოლო დამის საათებში გენერაცია საერთოდ არ წარმოებს. მზის ელექტროსადგურების მშენებლობა ჰიდრომააკუმულირებელ სადგურებთან სიქნრონულ რეჟიმში მუშაობის უზრუნველყოფით ან ენერჯის შენახვა/დარეზერვების სახვა საშუალებების გამოყენებით, ხელს შეუწყობს ქვეყნის იმპორტირებულ შემცველებზე დამოკიდებულების შემცირებას.

### 7.2.10.

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

დავით ლოლუა

2) მოხსენების სათაური

Мониторинг экологически чистых, энергосберегающих эксклюзивных жилых помещений

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

Международной научно-практической конференции «Мониторинг, оценка и анализ трендов социально-экономического развития региона: организация и направление совершенствования.

24 ноября 2021. г.



### **მოხსენების ანოტაცია**

დღეისათვის მსოფლიოს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში მომხმარებელი პასიურად რეაგირებს საცხოვრებელი სათავსების სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალის უვნებლობაზე, ისინი ხშირ შემთხვევაში, ტოქსიკური და რადიაციული, ანუ ქიმიური წარმოებისაა. ასეთებია: შენობის შიგნით გამოყენებული ისეთი მასალები, როგორებიცაა: პენოპლასტის, თაბაშირის ფირფიტები და სხვა მათგან თანამედროვე პოლიმერული ფილები. მათი შეცვლა შესაძლებელია ენერგოეფექტური, განახლებადი, ბუნებრივი მასალის, ნამჯის საშუალებით. საქართველოში იაფი ნამჯა უხვად მოიპოვება ბეკოლოგიური და ეკონომიკური თვალსაზრისით, საამშენებლო ბიზნესში უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენება ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. მთლიანად მსოფლიოში და ქვეყანაში მდგრად განვითარებას მკვეთრად განსაზღვრავს სუფთა ეკოლოგიური გარემო, და დამცავი ტექნოლოგიების გამოყენება. საყოველთაოდ ცნობილია რომ ტურისტული ინდუსტრიაში, ეკონომიკური შემოსავლების სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს განთავსების საშუალებებს. ყოველივე ეს კი ქვეყნის ეკონომიკას გააძლიერებს. ზემოთაღნიშნულთან დაკავშირებით იქმნება მრავალი ტექნოლოგია, მეთოდი და მასალა რეკრეაციული ზონების ეკო მშენებლობისათვის, ვინაიდან, მათგან სამშენებლო მასალები, შესაბამისად, მათი გამოყენება არასასურველია საცხოვრებელ და დასვენებელ ზონებში. აქედან გამომდინარე, ეკოლოგიურად უსაფრთხო, ენერგოეფექტური, იოლად ხელმისაწვდომი, სახლის კონცეფცია ემყარება მდგრადი განვითარების თეორიას - პრინციპს, რომელშიც თანამედროვე და მომავალი თაობების მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება არ შექმნის არა ჟანსად ატმოსფეროს და გარემოს დაბინძურების საფრთხეს. ნაშრომში გაანგარიშებულია განახლებადი მასალების ენერგოდაზოგვა, ეფექტი საკმაოდ სარგებლიანია და გვიჩვენებს, რომ შენობის შემომსაზღვრელი ორგანული ეკომასალა აიაფებს შენობის ენერგო მომსახურებას, რადგან ის კარგი თბოიზოლატორია და ინარჩუნებს სითბოს და სიგრილეს სეზონზე, როგორც კედლებიდან, ასევე იატაკიდან და სხვებიდან. ბსტატიაში მოცემული კვლევის საფუძველზე შესაძლოა მწვანე შენობის პროექტის და ექსპლოატაციის წარმოდგენილი მონიტორინგი გვიჩვენებს ეკონომიკური გაანგარიშების პრაქტიკულ ფასეულობას და მისი დანერგვის მიზანშეწონილობას.

#### **7.2.11.**

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

მანანა სამადაშვილი

2) მოხსენების სათაური

ТАЙМ-МЕНЕДЖМЕНТ И МЕТОДЫ ИЗУЧЕНИЯ ЭФФЕКТИВНОГО ИСПОЛЬЗОВАНИЯ ВРЕМЕНИ

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

III Международная научно-практическая конференция “RESULTS OF MODERN SCIENTIFIC RESEARCH AND DEVELOPMENT”, 29-31 мая 2021 года Мадрид, Испания

### **მოხსენების ანოტაცია**

*(მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*

#### **7.2.12.**

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

ნატო ბეზიაშვილი,

2) მოხსენების სათაური

ВОПРОСЫ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ УПРАВЛЕНИЯ ПРОИЗВОДСТВЕННЫМ ПРЕДПРИЯТИЕМ

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

V Международная научно-практическая конференция SCIENCE AND EDUCATION: PROBLEMS, PROSPECTS AND INNOVATIONS, 4-6 февраля 2021 Киото, Япония

### **მოხსენების ანოტაცია**

*(მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*

არ გამოქვეყნებულა)

## **კერძო ინიციატივით მიმდინარე კვლევა**

ავტორი

ევტიხი მაჭავარიანი

კვლევის მიმართულება, თემატიკა

„შავი ზღვის საკურორტო ზონის გარკვეულ ადგილებში ამინდზე სასურველი ზემოქმედების განხორციელების შესაძლებლობის შესახებ“

### **ანოტაცია**

შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ადამიანს უკვე შეუძლია გარკვეულ გეოგრაფიულ ადგილებში და ატმოსფეროს გარკვეულ ფენებში მოკლე დროით ჰაერის გარკვეული ფიზიკური და ქიმიური თვისებების შეცვლით მიაღწიოს სასურველ ატმოსფერულ მოვლენას. კერძოდ, ღრუბლებიდან წვიმის, ან თოვლის ნალექის გამოყოფა, სეტყვის პროფილაქტიკა, ღრუბლებისა და ნისლის გაფანტვა, მიწის ზედაპირთან ახლოს მყოფი ჰაერის ფენაში ყინვის შესუსტება ან აღმოფხვრა და სხვა (ჯერჯერობით აისახა მხოლოდ ერთ მომზადებულ სტატიაში)

## სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი

### 2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტი №302

დეპარტამენტის უფროსი - პროფესორი ნოდარ ფოფორაძე

#### *დეპარტამენტის პერსონალური შემადგენლობა:*

##### *პროფესორი:*

1. ნოდარ ფოფორაძე (მინერალოგიის, პეტროლოგიის და გეოქიმიის მიმართულებით);
2. მევლუდ შარიქაძე (გეოლოგიის და პალეონტოლოგიის მიმართულებით);
3. შალვა კელეპტრიშვილი (გეოლოგიის და პალეონტოლოგიის მიმართულებით);
4. ვაჟა გელეიშვილი (მარგი წიაღისეულის საბადოთა გეოლოგიისა და ძიების მიმართულებით);
5. მარინა მარდაშოვა (ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის მიმართულებით);
6. ზურაბ კაკულია (ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის მიმართულებით);
7. გიორგი მელიქაძე (ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის მიმართულებით).

##### *ასოცირებული პროფესორი:*

1. ხათუნა გაჩეჩილაძე (მინერალოგიის, პეტროლოგიის და გეოქიმიის მიმართულებით);
2. ია ახვლედიანი (მინერალოგიის, პეტროლოგიის და გეოქიმიის მიმართულებით);
3. სულხან გველესიანი (მინერალოგიის, პეტროლოგიის და გეოქიმიის მიმართულებით);
4. თემურ ბუტულაშვილი (მინერალოგიის, პეტროლოგიის და გეოქიმიის მიმართულებით);
5. ოლღა სესკურია (მინერალოგიის, პეტროლოგიის და გეოქიმიის მიმართულებით);
6. ირმა კოკოლაშვილი (გეოლოგიის და პალეონტოლოგიის მიმართულებით);
7. ხათუნა მიქაძე (გეოლოგიის და პალეონტოლოგიის მიმართულებით);
8. დავით ბლუაშვილი (მარგი წიაღისეულის საბადოთა გეოლოგიისა და ძიების მიმართულებით);
9. ნინო ჯაფარიძე (მარგი წიაღისეულის საბადოთა გეოლოგიისა და ძიების მიმართულებით);
10. მანანა ნანიტაშვილი (მარგი წიაღისეულის საბადოთა გეოლოგიისა და ძიების მიმართულებით);
11. ხათუნა ავალიანი (ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის მიმართულებით);
12. ლევან გორგიძე (ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის მიმართულებით);
13. ნანა ზაუტაშვილი (ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის მიმართულებით);
14. გიორგი ტლაშაძე (ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის მიმართულებით);
15. ბეჟან კახაძე (სამთო-გეოლოგიურ და ქიმიურ-მეტალურგიულ საწარმოთა მენეჯმენტის მიმართულებით);
16. გელა ლობჯანიძე (სამთო-გეოლოგიურ და ქიმიურ-მეტალურგიულ საწარმოთა მენეჯმენტის მიმართულებით).

**ასისტენტ-პროფესორი:**

1. ნინო ადეიშვილი (მინერალოგიის, პეტროლოგიის და გეოქიმიის მიმართულებით);
2. ნანა ქიტიაშვილი (ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის მიმართულებით);
3. ნატალია გაჩეჩილაძე (ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის მიმართულებით);
4. რამაზ პაატაშვილი (გეოლოგიის და პალეონტოლოგიის მიმართულებით).

**ასისტენტი:**

1. გიორგი მინდიაშვილი (მარგი წიაღისეულის საბადოთა გეოლოგიისა და ძიების მიმართულებით);

**მოწვეული პროფესორი:**

**მასწავლებლები:**

1. ნანა იკოშვილი (მინერალოგიის, პეტროლოგიის და გეოქიმიის მიმართულებით);
2. ნუნუ აბაკელია (მარგი წიაღისეულის საბადოთა გეოლოგიისა და ძიების მიმართულებით);

**უფროსი ლაბორანტები:**

1. ირინე გვალია (მინერალოგიის, პეტროლოგიის და გეოქიმიის მიმართულებით);
2. ზაზა იაშვილი (მინერალოგიის, პეტროლოგიის და გეოქიმიის მიმართულებით);
3. თამარ ნანობაშვილი (ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის მიმართულებით);

**ლაბორანტები:**

1. ნაირა თხინვალი (მარგი წიაღისეულის საბადოთა გეოლოგიისა და ძიების მიმართულებით);
2. ცისანა კვერნაძე (ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის მიმართულებით);
3. ალექსანდრე კამენსკი (ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის მიმართულებით);
4. თამარ მიქავა (ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის მიმართულებით);
5. მარინა ჩუმაჩენკო (გეოლოგიის და პალეონტოლოგიის მიმართულებით);
6. ალექსანდრე გრანოვსკი (მინერალოგიის, პეტროლოგიის და გეოქიმიის მიმართულებით);
7. ნანა პატარიძე (მარგი წიაღისეულის საბადოთა გეოლოგიისა და ძიების მიმართულებით).

**მუზეუმის გამგე:**

1. რუსუდან მეტრეველი (მინერალოგიის, პეტროლოგიის და გეოქიმიის მიმართულებით);
2. მანანა ტაბატაძე (მარგი წიაღისეულის საბადოთა გეოლოგიისა და ძიების მიმართულებით);
3. ირმა კოკოლაშვილი (გეოლოგიის და პალეონტოლოგიის მიმართულებით)

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (თვითდაფინანსების ფორმით სახელშეკრულებო თემები)

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით;

1. კატალიზატორული ბადეების ქიმიური შედგენილობის განსაზღვრა, მასში პლატინის, პალადიუმის და როდიუმის ზუსტი რაოდენობის დასადგენად. ანალიტიკური ქიმია. შპს “რუსთავის აზოტი”

2. დორე შენადნობის ქიმიური შედგენილობის განსაზღვრა. ქიმია. შპს “RMG GOLD”;

3. ქანების პეტროგრაფიულ-ლითოლოგიური შესწავლა. გეოლოგია - მინერალოგია. შპს “ჯეოინჟინირინგი”.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2017-2022;

2. 2015-2022;

3. 2017-2021.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ნ. ფოფორაძე (ხელმძღვანელი), ი. გვალია (შემსრულ.), ს. გველესიანი (შემსრულ.), ხ. გაჩეჩილაძე (შემსრულ.);

2. ნ. ფოფორაძე (ხელმძღვანელი), ი. გვალია (შემსრულ.), ი. ქუთელია (შემსრულ.), ო.სესკურია (შემსრულ.);

3. ნ. ფოფორაძე (ხელმძღვანელი), ს. გველესიანი (შემსრულ.), ნ. იკოშვილი (შემსრულ.)

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1. “პლატინა-პალადიუმ-როდიუმიანი ბადეების ქიმიური შედგენილობის დადგენა” (შემკვეთი შპს „რუსთავის აზოტი“, ხელშეკრულება #01-08-15/698-2020-2). ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაოები:

სს “რუსთავის აზოტის” წარმოებაში კატალიზატორად გამოყენებული, დიდ ბრიტანეთში კომპანია “Johnson Matty“- ში გადასამუშავებლად გასაგზავნი პლატინა-პალადიუმიანი, პლატინა-პალადიუმ-როდიუმიანი, პლატინა-როდიუმიანი, პლატინა-ნიკელიანი ბადეების ლითონური მასალის ქიმიური შედგენილობის განსაზღვრა, რაც გვამღევს საშუალებას დიდ ბრიტანეთში განახლების შემდეგ სს “რუსთავის აზოტის” მიერ შემოტანილი პლატინა-პალადიუმიანი, პლატინა-პალადიუმ-როდიუმიანი, პლატინა-როდიუმიანი, პლატინა-ნიკელიანი ბადეების ქიმიური შედგენილობა შევადაროთ დიდ ბრიტანეთში გატანილი ბადეების ქიმიურ შედგენილობას მათი იდენტიფიკაციის მიზნით;

2. „დორე შენადნობის ქიმიური შედგენილობის განსაზღვრა“ (შემკვეთი შპს „RMG GOLD“, ხელშეკრულება #22/05). ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაოები:

- დორე შენადნობის ქიმიური შედგენილობის განსაზღვრა მასში ოქროს, ვერცხლის და სპილენძის ზუსტი რაოდენობის დადგენის მიზნით,

- სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე ნიმუშების აღება ხორციელდება დაბა კაზრეთში შპს “RMG GOLD”-ს ბაზაზე. “დორე შენადნობის” ზოდის საანალიზო ნიმუშების აღება ხორციელდება ზოდის ორივე მხარეს დიაგონალური მიმართულებით ორ-ორი წერტილიდან; ზოდი იბურლება მისი სისქის ნახევარ სიღრმემდე; საშუალოდ თითო ანალიზისთვის საჭიროა სულ მცირე 2 გრ; აქედან, ნახევარი ინახება საკონტროლოდ შპს “კვარციტი”, ხოლო მეორე ნახევარი მოგვაქვს სტუ-ს გმნკდგრ ცენტრის საგამოცდო ლაბორატორიაში ქიმიური და რენტგენოფლოუორესცენციური მეთოდით ანალიზების ჩასატარებლად.
3. „ქანების ლითოლოგიურ-პეტროგრაფიული შესწავლა” (შემკვეთი შპს „ჯეოინჟინირინგი”.) ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაოები:
- ქანის სტრუქტურისა და ტექსტურის განსაზღვრა, ლითოლოგიურ-პეტროგრაფიული აღწერა და ქანის რაობის განსაზღვრა;
  - ქანის რენტგენოსტრუქტურული ანალიზი და მინერალური შედგენილობის განსაზღვრა;

### 3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

#### 3.1. გარდამავალი პროექტი

- 1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა
1. „რადიოტრასერების ტექნიკის და ბირთვული კონტროლის სისტემების განვითარება ბუნებრივი რესურსების და ეკოსისტემების დაცვისა და მდგრადი განვითარებისთვის“. ს/კ: RER1020, ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო, ვენა, ავსტრია;
2. „ადრიატიკისა და შავი ზღვის რეგიონში სანაპირო მართვის გაძლიერება ბირთვული ანალიტიკური ტექნიკის გამოყენებით“. ს/კ RER7009, ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო, ვენა, ავსტრია.

#### 2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2020-2024;
2. 2020-2024

#### 3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. გ. მელიქაძე-პროექტის ხელმძღვანელი საქართველოს მხრიდან
  - ნ. კაპანაძე-მონაწილე
  - შ. გოგიჩაიშვილი-მონაწილე
  - მ. თოდაძე-მონაწილე
  - ა. ჭანკვეტაძე-მონაწილე
  - თ. მიქავა-მონაწილე
  - თ. რაზმაძე-ბროკიშვილი-მონაწილე
2. გ. მელიქაძე- პროექტის ხელმძღვანელი საქართველოს მხრიდან
  - ნ. კაპანაძე-მონაწილე
  - შ. გოგიჩაიშვილი-მონაწილე

- მ. თოდაძე- მონაწილე
- ა. ჭანკვეტაძე-მონაწილე
- თ. მიქავა-მონაწილე
- თ. რაზმაძე-ბროკიშვილი-მონაწილე

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1. ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს რეგიონული პროექტი მიმართულია რადიოტრასერების და ბირთვული კონტროლის სისტემების შემუშავებაზე ბუნებრივი რესურსების და ეკოსისტემების დაცვისა და მდგრადი განვითარებისთვის. აღნიშნული მეთოდოლოგია და ტექნიკა ძირითადად გამოიყენება სამრეწველო და გარემოსდაცვითი პროცესების დიაგნოზირებისთვის. ამ მიმართულებით ფართო გამოცდილება დაგროვდა მთელ მსოფლიოში. პროექტის მთავარი მიზანია რეგიონალური შესაძლებლობების გაძლიერება და კონსოლიდაცია, ინდუსტრიული პროცესის დიაგნოზირებაში, ოპტიმიზაციისა და პრობლემების გადაჭრისათვის, რადიოტრასერებისა და რადიოიზოტოპების ტექნიკის გამოყენებით. ამ მიზნით განხორციელდა ტრენინგები, რომლებიც მოწოდებული იყვნენ ახალი ტექნოლოგიების გადაცემაზე და მათი მაქსიმალური გამოყენების მისაღწევად საბოლოო მომხმარებლებისთვის, პროდუქტიულობის გაზრდა და გარემოზე ზემოქმედების შემცირება. პრიორიტეტულ ინდუსტრიულ სექტორებში, როგორცაა ნავთობისა და ნავთობქიმიური მრეწველობა, ცემენტის და მინერალების გადამამუშავებელი და ნარჩენების დამუშავების სექტორი და სხვა;
2. შავი ზღვა და ადრიატიკის ზღვა არის ნახევრად ჩაკეტილი ზღვები, რომლებიც იდეალურ, შესადარებელ სისტემებს წარმოადგენენ ურბანიზაციასთან და კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებული ნალექების დაბინძურების და ნალექების იზოტოპური ხელმოწერების ტენდენციების შესაფასებლად. ზღვების იონური ქიმიური შემადგენლობა წლიდან წლამდე იცვლება სხვადასხვა დამაბინძურებლებისგან (დიდი სადრენაჟე აუზების, საქალაქო და ურბანული ნარჩენების წყლების შემოღობვა, დიფუზიური სასოფლო-სამეურნეო ჩამონადენი და პირდაპირი ჩამონადენი მრავალი სანაპირო ზოლიდან და საწარმოო ზონებიდან) რომლებიც ახდენენ რადიონუკლიდებითა და არარადიონუკლიდებით დაბინძურებას. ნალექები იწვევენ ზღვის ტემპერატურის ცვალებადობასა და პირველადი ბიოწარმოების ისტორიულ ჩანაწერს, რითაც საშუალებას იძლევა შეფასდეს ანთროპოგენური მოქმედებები და ტენდენციები. პროექტის მიზნები იყო: 1) ადრიატიკის და შავი ზღვის რეგიონის ანალიტიკური ლაბორატორიების და ექსპერტთა მძლავრი, თანამშრომლობითი ქსელის შექმნა, ცოდნის გაზიარება, მეთოდოლოგიების ჰარმონიზაცია, მიმდინარე საქმიანობის შესახებ; ამ მიზნით ჩატარდა ტრენინგები მონაწილე ინსტიტუტების ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გასაძლიერებლად. კერძოდ, ბირთვული ტექნიკის სპექტრის გამოყენებისთვის, რომელიც საჭიროა რადიონუკლიდების ვერტიკალური (სტრატეგრაფიული) და და დამაბინძურებლების ჰორიზონტალური გავრცელების დასადგენად; ეს ხელს შეუწყობს შესწავლილი იქნას სანაპირო პროცესებზე კლიმატის ცვლილებებისა და დაბინძურების პროცესებს შორის კავშირის დადგენას. ეს საჭიროა სამომავლოდ ნახშირბადის შემცირებისთვის პოტენციური გზების შესარჩევად.

5. ბექდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები

1. შატილოვა ი., კოკოლაშვილი ი., ბუხსიანიძე მ., ქოიავა კ., მაისურაძე ლ., ბრუხ ა.;
2. მარინე მარდაშოვა; ხათუნა ავალიანი; ანი ქემოკლიძე.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. Late Cenozoic bioevents on the territory of Georgia (foraminifera and pollen) ISBN 978-9941-33-030-8

UDC (უაკ) 56 S-53;

2. მუხრანის წყალამღების ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობები და საექსპლუატაციო ჭაბურღილების ჰიდროდინამიკური რეჟიმის შესწავლა. საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN 978-9941-28-690-2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. TBILISI-2021წ. Publishing House "Universal";
2. გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“.

4) გვერდების რაოდენობა

1. 157 გვ.;
2. 166 გვ.

### ***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1. საქართველოს ტერიტორიაზე, ისევე როგორც მთელს აღმოსავლეთ პარატეთისში, სარმატული რეგიოსართული იყოფა სამ რეგიოქვესართულად (ქვემოდან ზემოთ): ვოლინური, ბესარაბული და ხერსონული. სარმატულის ამგვარი დაყოფა უკავშირდება ნალექების ლითო- და ბიოფაციესურ ცვალებადობას, რაც განსაკუთრებით კარგადაა გამოხატული აზოვისა და შავიზღვისპირეთის რეგიონებში. საქართველოში ქვედა და შუასარმატული ნალექების დაგროვების ძირითად არეალს ამიერკავკასიის მთათაშუა არე წარმოადგენს. ძირულის შვერილის უმეტესი ნაწილი და დასავლეთით მოსაზღვრე ოკრიბა-ხრეთის ქვეზონა ადრესარმატულში ხმელეთს წარმოადგენდა, რომლის დასავლეთით რიონის, ხოლო აღმოსავლეთით მტკვრის მთათაშუა როფები ვითარდებოდა. ტექტონიკური მოძრაობის ინტენსივობა მაქსიმუმს შუასარმატულის დასასრულს აღწევს და გვიანსარმატულის დასაწყისიდან, მტკვრის მთათაშუა როფის უდიდეს ნაწილში, ყალიბდება კონტინენტური რეჟიმი. გვიანსარმატულის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ადრეალტაგილურამდე, აღმოსავლეთ საქართველოს დეპრესია (მტკვრის მთათაშუა როფი) მთლიანად კონტინენტური ნალექების აკუმულაციის არეალს წარმოადგენს. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს (რიონის მთათაშუა როფი), აქაც, დეპრესიის უმეტეს ნაწილში, კონტინენტური რეჟიმია გაბატონებული. გამონაკლისია მხოლოდ შავიზღვისპირეთი, სადაც ზღვიური ნალექების 134 დაგროვება პლეისტოცენის დასასრულამდე გრძელდება. გვიანკაინოზოური ნალექები აქ სრულადაა წარმოდგენილი, კარგად არის დათარიღებული ფაუნისტურად და დღესდღეობით აღმოსავლეთ პარატეთისისთვის სტრატოტიპურ რეგიონს წარმოადგენს. საქართველოს ტერიტორიაზე ზღვიური მეოტური ნალექები



ცნობილია მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, სადაც ისინი, ფაუნისტურ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფიან ორ რეგიოქვესართულად - ბაგეროვულად და აკმანაიურად. მეოტურს, სტრატოგრაფიულად ზემოთ, ხშირად კუთხური უთანხმოებით, აგრძელებს პონტური ნალექები. გამონაკლისს წარმოადგენს ოტაფისა და ურთა-ზანას ჭრილები, სადაც გადასვლა მეოტურსა და პონტურს შორის თანდათანობითია. აღნიშნულ ჭრილებში პონტურის ქვედა დონე წარმოდგენილია ევპატორული ჰორიზონტით, რომელიც შეიცავს ღარიბ ევრიჰალურ ფაუნას: მოლუსკებს, ფორამინიფერებს, ოსტრაკოდებს (Taktakishvili et al., 2018; Maissuradze et al., 2013). კვლევის პროცესში ჩვენს მიერ შეგროვილი და შესწავლილია პალეონტოლოგიური მასალა ქვედასარმატულიდან, პლეისტოცენის ჩათვლით, რაც ქრონოსტრატოგრაფიულად 12.7 – 0,0117 მლნ. წ. ინტერვალს მოიცავს. მასალის დამუშავების შედეგად შემოთავაზებულია ორი ტიპის პალეონტოლოგიური დიაგრამა: პირველი ასახავს ფლორის შემადგენლობას, ხოლო მეორე - მცენარეულობის განვითარების ეტაპებს. პალეონტოლოგიური დიაგრამების შედარებამ გამოავლინა როგორც მსგავსება, ასევე განსხვავება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ფლორის შემადგენლობასა და მცენარეულობის განვითარებაში. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მთელი გვიანკაინოზოურის განმავლობაში, გაბატონებული იყო ტყის ფორმაცია, იცვლებოდა მხოლოდ ცალკეული ცენოზის შემადგენლობა. განსხვავებულია მცენარეულობის განვითარების დინამიკა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ამ რეგიონის ადრე-შუასარმატულის პალეონტოლოგიური კოპლექსები მიუთითებს არასტაბილური კლიმატის არსებობას. შუასარმატულის დასასრულს ტყის არეალი შემცირდა და გაფართოვდა ბალახოვანი ასოციაციები. აღმოსავლეთ საქართველოსგან განსხვავებით, დასავლეთ საქართველოში ტყის ფორმაციების განვითარების პროცესი გაგრძელდა. ამავე დროს, მიუხედავად განსხვავებისა, ორივე რეგიონში კლიმატის ოპტიმუმი შუასარმატულში დაფიქსირდა. შუასარმატულის დასასრულს ორივე რეგიონში ხდება მკვეთრი პალეოგეოგრაფიული ცვლილებები: მაღალმთიანი რელიეფის სწრაფი ფორმირება, საქართველოს ტერიტორიის ორ იზოლირებულ გეოგრაფიულ ნაწილად გაყოფა და კოლხეთის რეფუგიუმის ჩამოყალიბება. სარმატულისა და მეოტურის განმავლობაში, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიებზე, ზღვის და ხმელეთის ბიოცენოზების განვითარებაში გარდამტეხი ეტაპი სხვადასხვა დროს დგება. აღმოსავლეთ საქართველოში ეს არის საზღვარი შუა- და გვიანსარმატულს შორის. ამ დროს ზღვიურ ბიოცენოზებში დიდი ცვლილებები ხდება, რაც დაკავშირებული იყო აუზის გამტკნარებასთან. დროის ამავე მონაკვეთში მოხდა გარდატეხა მცენარეულობის განვითარებაშიც. დასავლეთ საქართველოში გარდამტეხი ეტაპი დგება ადრეპონტურის პირველ ნახევარში (ევპატორული დრო), როცა მდიდარი და მრავალფეროვანი მცენარეული საფარის ნაცვლად მთიანი რეგიონების თითქმის ყველა სარტყელში განვითარდა ცენოზები, რომლებშიც ფიჭვია გაბატონებული. მოგვიანებით, ოდესურ დროში, მცენარეულობის საერთო ხასიათი შენარჩუნდა, თუმცა ფლორის შემადგენლობა გაღარიბდა. რაც შეეხება მიკროფაუნას, მეოტურ აუზში დომინანტური მდგომარეობა უკავიათ ფორამინიფერებს, ხოლო ოსტრაკოდები წარმოდგენილია მხოლოდ რამდენიმე სახეობით. სურათი იცვლება ევპატორულში, როდესაც ოსტრაკოდების სისტემატიკური შემადგენლობა და საერთო რაოდენობა იზრდება, ხოლო ფორამინიფერები წარმოდგენილია მცირე რაოდენობის ევრიჰალური სახეობებით, რომლებიც მორფოლოგიურად განსხვავდებიან გვიანმეოტური

ტაქსონებისგან. არსებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მიოცენური ფორამინიფერების განვითარების ისტორია მთავრდება ევპატორულში. ამრიგად, შავი ზღვის რეგიონში ევპატორული დრო (ადრეპონტურის პირველი ნახევარი) შეიძლება ჩაითვალოს იმ საზღვრად, რომლის შემდეგაც იწყება ზღვიური და ხმელეთის მიოცენური ბიოცენოზების ჩანაცვლება პლიოცენურით. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ევპატორულის შემდეგ, პონტურის, აზოვურისა და კამიშბურუნულის უმეტესი ნაწილის განმავლობაში, მთის ქვედა სარტყელში, პოლიდომინანტური ტყე იყო გავრცელებული. ამ ტყის მთავარ კომპონენტს შეადგენდა ზომიერად თბილი ჰავის წიწვოვანი და ფოთოლმცენი მცენარეები. ქვედა სარტყელში გავრცელებული იყო 137 სუბტროპიკული მცენარეები, რომელთა ცალკეული ფორმაცია თითქმის მთელი კიმერიულის განმავლობაში აგრძელებდა არსებობას. ეს იყო ე.წ. „დუაბის ფლორის“ აკუმულაციის დრო, რომლის შემდეგ სუბტროპიკული მცენარეების ფორმაციებმა შეწყვიტა არსებობა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ეს მოვლენა დაკავშირებულია ჰავის ცვლილებასთან, რასაც ადგილი ჰქონდა კიმერიულის დასასრულს და კუიალნიკურის ადრეულ ეტაპზე. ამ დროს მთის თითქმის ყველა სარტყელში მცენარეულობის მთავარი შემადგენელი ხდება ფიჭვი, რაც, სავარაუდოდ, ტენიანობის შემცირებასთან არის დაკავშირებული. შემდგომი დროის მონაკვეთებში მსგავსი მოვლენა აღარ მეორდება. გვიანკუიალნიკურიდან დაწყებული, ჰავის ცვლილება ძირითადად განპირობებულია გამყინვარების ეტაპებთან დაკავშირებული ტემპერატურული რყევებით. რაც შეეხება ტენიანობას, იგი მაღალია მთელი პლეისტოცენურის განმავლობაში. დასავლეთ საქართველოს მცენარეულობის განვითარებაში გარდამტეხი მომენტია გურიულისა და ჩაუდურის საზღვარი. ამ დროს ცვლილებები ხდება როგორც მის სტრუქტურაში, რომელიც უკვე უახლოვდება თანამედროვე მცენარეულობის კომპლექსს, ასევე ფლორის შემადგენლობაშიც. ჩაუდური ფლორა გაცილებით ღარიბია, ვიდრე გურიული, თუმცა შეიცავს პლიოცენური რელიქტების საკმაოდ დიდ რაოდენობას. მათი გადაშენების პროცესი გრძელდება კარანგატულამდე, აქედან კი დაიწყო თანამედროვე ფლორის განვითარება;

2. მონოგრაფიაში განხილულია მუხრანის წყალამღებზე ჩატარებული კომპლექსური ჰიდროგეოლოგიური კვლევების შედეგები და შესრულებული სამუშაოების მონაცემები, აგრეთვე არსებული საფონდო და ლიტერატურული წყაროების ანალიზის შედეგად დაგროვილი საკმაოდ დიდი რაოდენობის ფაქტობრივი მასალის მუხრანის წყალამღების ტერიტორიაზე მოქმედი ჭაბურღილების მწარმოებლურობის, მათში წნევიანი მიწისქვეშა წყლების დონეების განაწილების, წყალშემცველი ჰორიზონტების გავრცელებისა და ვერტიკალურ ჭრილში მათი განლაგების, სასაზღვრო ჰიდროდინამიკური პირობების, დროში დონეების ცვალებადობის, მიწისქვეშა წყლების ფიზიკური თვისებებისა და ქიმიური შედგენილობის, ამ წყლების ბაქტერიოლოგიური მდგომარეობის, საბადოზე სანიტარიული პირობებისა და სხვა აუცილებელი პარამეტრების შესახებ, რომელთა სისტემატიზაციის გზით შესაძლებელი გახდა წყალამღების ტერიტორიაზე მიწისქვეშა წნევიანი წყლების საექსპლუატაციო მარაგების მაღალი სიზუსტით შეფასება. ჩატარებული კომპლექსური საველე, ლაბორატორიული და კამერალური ჰიდროგეოლოგიური კვლევების შედეგად გამოვლენილია მუხრანის არტეზიული აუზის ჰიდროგეოლოგიური პირობები, მანამდე შეუსწავლელი თავისებურებები. მუხრანის წყალამღების ჭაბურღილებში ჩატარებული საველე საცდელ-ფილტრაციული ამოტუმბვების მონაცემებით ირკვევა, რომ მუხრანის არტეზიული აუზის წნევიანი წყალშემცველი

ჰორიზონტები მაღალი ფილტრაციული პარამეტრებით (ფილტრაციის კოეფიციენტი, წყალგამტარობა, პიეზოგამტარობის კოეფიციენტი) ხასიათდება. აღნიშნულ ფაქტორს ერთვის აუზის ერთგვარად ჩაკეტილი, ფართობით არცთუ დიდი ჰიდროგეოლოგიური სტრუქტურის ინტენსიური კვება არა მხოლოდ მდინარეების - ქსნისა და არაგვის მძლავრი ფილტრატების ხარჯზე, არამედ ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან შემომსაზღვრელ ქედებზე ფორმირებული მნიშვნელოვანი მიწისქვეშა ჩამონადენების ხარჯზეც. ბუნებრივი ფაქტორების ამგვარი ხელსაყრელი შერწყმა განაპირობებს აუზის ფარგლებში მიწისქვეშა წნევიანი წყლების ასეთი სტრუქტურისთვის, შეიძლება ითქვას, კოლოსალური რესურსის ჩამოყალიბებას, რაც მუხრანის არტეზიული აუზის წყლებს დედაქალაქის (და არა მხოლოდ დედაქალაქის) სასმელი წყალმომარაგების უალტერნატივო წყაროდ აქცევს. მონოგრაფია განკუთვნილია დარგის სპეციალისტების, მიწისქვეშა წყლების რესურსებისა და მარაგების საკითხებით დაინტერესებული სტუდენტებისა და მკითხველისათვის.

## 5.2. სახელმძღვანელოები

### 1) ავტორი/ავტორები

1. შოთა ლომიძე; მარინე მარდაშოვა

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. მეწყრული ფერდობების მდგრადობის შეფასების მეთოდები (დამხმარე სახელმძღვანელო; ISBN 978-9941-28-838-8;

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“;

4) გვერდების რაოდენობა

1. 200 გვერდი;

### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. დამხმარე სახელმძღვანელოში განხილულია მეწყრული ფერდობების მდგრადობის ანგარიშის სხვადასხვა მეთოდები პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე. ისეთი მთავორიანი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, ფერდობების მდგრადობის სწორად შეფასების საკითხი მოითხოვს რაციონალურ მიდგომას, რამდენადაც საინჟინრო ნაგებობების მეტი ნაწილი დანაწევრებული რელიეფის პირობებში შენდება. საქართველო ტერიტორია მიეკუთვნება აქტიური მეწყრული მოვლენების გავრცელების რეგიონს. მეწყრების გააქტიურებასთან არის დაკავშირებული ჩვენში ეკომიგრანტების დიდი რაოდენობა ისეთი მთიანი რაიონებიდან, როგორცაა სვანეთი, რაჭა, აჭარა. სახელმძღვანელოში განხილული მეთოდები ფერდობების მდგრადობის შეფასებისა ობიექტების მაგალითზე უზრუნველყოფს ანგარიშის მაღალ სიზუსტეს და პროცესის განვითარების პროგნოზის შესაძლებლობას. ნაშრომში განხილული მასალა ემყარება სადღეისოდ ამ დარგში არსებულ სამამულო და უცხოურ გამოცდილებას. ამ მეთოდების პრაქტიკაში დანერგვა კარგ სამსახურს გაუწევს საინჟინრო გეოდინამიკის განხრით როგორც სტუდენტებს, ისე ამ ხაზით მომუშავე სპეციალისტებს;

## 5.3. კრებულები

### 1) ავტორი/ავტორები

1. „ნარიმანიშვილი გოდერძი, კვაჭაძე მარინე, ფოფორაძე ნოდარ, სესკურია ოლღა „თრიალეთის ბრინჯაოს ხანის თეთრი ფერის მძივები“;
2. მარინე მარდაშოვა, ხათუნა ავალიანი;
3. მერაბ გაფრინდაშვილი, ნანა ქიტიაშვილი, გიორგი გაფრინდაშვილი, მაცვალა კახაძე

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN;

1. „კავკასიის არქეოლოგიის საკითხები“ ISBN 978-9941-490-48-4;
2. მიწისქვეშა წყლების ძებნა-ძიება (ლექციების კურსი); ISBN 978-9941-28-839-5;
3. საინფორმაციო ჰიდროგეოლოგიური ანგარიში საქართველოს მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შეფასება (არსებული მდგომარეობის ანალიზი, პროგნოზი და რეკომენდაციები); ISBN 978-9941-33-024-7.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, სიძველეთა დაცვისა და შესწავლის ცენტრი „თრიალეთი“;
2. გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“;
3. ქ. თბილისი; გამომცემლობა „უნივერსალი“.

4) გვერდების რაოდენობა

1. 15 გვერდი;
2. 130 გვერდი;
3. 296 გვერდი.

### ***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1. სტატია ეძღვნება თრიალეთის არქეოლოგიურ ინვენტარში აღმოჩენილი თეთრი ფერის მასალისგან დამზადებული მძივების კვლევას, რომლებიც თრიალეთში ძვ.წ. III ათასწლეულიდან გვხვდება. მსგავსი მძივები თრიალეთში ორ ათეულამდე ძეგლზეა აღმოჩენილი. ისინი ფორმისა და ორნამენტების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქვე გვხვდება ე.წ. დომინოსებური მძივები. ასეთივე ტიპის მძივები აღმოჩენილია სომხეთშიც, ისტორიული ტაშირის ტერიტორიაზეც. სამეცნიერო ლიტერატურაში მძივების მასალის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ჩვენი ინტერესიც, ამ მძივების კვლევასთან დაკავშირებით, სწორედ ამ ფაქტითაა გამოწვეული. მოცემული არტეფაქტების მინერალოგიური კვლევა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი მინერალოგიის დეპარტამენტში განხორციელდა. საკვლევ მასალაზე განხორციელდა ქიმიური, რენტგენოფლოუორესცენციური, ოპტიკურფოტომეტრული და რენტგენოფაზური კვლევები, რომლებმაც საკმაოდ საინტერესო შედეგები მოგვცა. აღმოჩნდა, რომ მძივების ნაწილი თითქმის მთლიანად ტალკითაა წარმოდგენილი, ზოგში ტალკთან ერთად ენსტატიტის ფაზაც გვხვდება სხვადასხვა პროცენტული თანაფარდობით, ხოლო ზოგი მთლიანად ენსტატიტითაა დამზადებული. საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ ტალკის ბუნებრივ მასალას ჩატარებული აქვს თერმული დამუშავება სხვადასხვა ტემპერატურაზე, რის შედეგადაც საწყისი ბუნებრივი მასალა, ტალკი, უფრო მკვრივ მასალად (ენსტატიტი) გადაიქცა. სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე გავრცელებული თეთრი ფერის მძივები

ჩნდება ადრეული ბრინჯაოს ხანიდან და მისი ფართო წარმოება ხორციელდება ძვ.წ. I ათასწლეულის შუახანებში;

2. წინამდებარე სალექციო კურსი „მიწისქვეშა წყლების ძებნა-ძიება“ შედგენილია სახელმძღვანელოების კამენსკის - „მიწისქვეშა წყლების ძებნა-ძიება“, ბ. ზაუტაშვილის - „ზოგადი ჰიდროგეოლოგია“, უ. ზვიადაძის – „ჰიდროგეოლოგიური კვლევის მეთოდების“ მიხედვით, მასში განხილულია ჰიდროგეოლოგიური კვლევის საკითხები წყალმომარაგებისთვის, მიწისქვეშა წყლების რეჟიმის და გრუნტის წყლების დონის ხელოვნური დაწვევის საკითხები, მინერალური წყლებისა და ნავთობის წყლების კვლევა. სალექციო კურსი გათვალისწინებულია ჰიდროგეოლოგიის სპეციალობის მაგისტრანტებისათვის და ასევე დაეხმარება გეოლოგიის დარგის სხვა სპეციალობის სტუდენტებსაც;
3. მტკნარი მიწისქვეშა წყლის რესურსების შესწავლა და მდგრადი მართვა ყველა ქვეყნისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის (WHO), ევროკავშირის (EU) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UNO) მიერ, სუფთა სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა მსოფლიოს მასშტაბით უმწვავეს პრობლემად არის აღიარებული. ამ ფონზე, მიწისქვეშა მტკნარ წყალზე, როგორც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე, მოთხოვნილება დღითიდღე იზრდება და მიწისქვეშა წყლის რესურსების კვლევას კიდევ უფრო განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოში მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის ბუნებრივი რესურსები დარგის სპეციალისტების მიერ, სხვადასხვა მხარეში, წლების განმავლობაში ჩატარებული კომპლექსური კვლევებით შეფასდა. XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე განხორციელებული საველე ძებნა-ძიებითი სამუშაოების, დეტალური ჰიდროგეოლოგიური კვლევებისა და რეჟიმული მონიტორინგის საფუძველზე, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე (მათ შორის, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში) ფორმირებული მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის ბუნებრივი რესურსი 573 მ<sup>3</sup>/წმ ოდენობით განისაზღვრა და ბუნებრივად უმაღლესი ხარისხის სასმელი თვისებებით დახასიათდა. მას შემდეგ, ცენტრალიზებული ჰიდროგეოლოგიური კვლევები პრაქტიკულად შეწყდა, ხოლო მიწისქვეშა წყლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების მონიტორინგი თითქმის ორ ათეულ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში აღარ ხორციელდებოდა (თუ არ ჩავთვლით, დიდი ქალაქების წყალმომარაგებისთვის გამოყენებული წყლის ხარისხის კონტროლის მიზნით ჩატარებულ ლაბორატორიულ კვლევებს). პარალელურად, სწორედ ამ წლების განმავლობაში, სასმელ-სამეურნეო წყალზე მოთხოვნილება დღითიდღე იზრდებოდა და მიწისქვეშა წყლების ექსპლუატაცია უსისტემოდ მიმდინარეობდა, რაც სამწუხაროდ დღესაც გრძელდება. სასმელ-სამეურნეო წყალზე მზარდი მოთხოვნილების, მიწისქვეშა წყლების ჭაბურღილების ინტენსიური ბურღვის, გარემოზე ტექნოგენური დატვირთვისა და კლიმატის გლობალური ცვლილების საერთო ფონის პირობებში, დღის წესრიგში დადგა საკითხი თანამედროვე მდგომარეობით შეფასებულიყო საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები. დროში ხანგრძლივი წყვეტის შემდეგ, ჰიდროგეოლოგიური მონიტორინგის ქსელის აღდგენის მიზნით, მნიშვნელოვანი სამუშაოები 2013 წლიდან დაიწყო. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს (NEA) გეოლოგიის დეპარტამენტის ინიციატივითა და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს (CzDA) მხარდაჭერით, კახეთის მხარეში, ალაზნის არტეზიული აუზის ტერიტორიაზე არსებულ ორ ჭაბურღილზე მონიტორინგული აპარატურა დაინსტალირდა და ქვეყანაში ჰიდროგეოლოგიური მონიტორინგის თანამედროვე მეთოდოლოგია დაინერგა (ჭაბურღილებზე დაინსტალირებული უახლესი ჰიდროგეოლოგიური აპარატურა

მიწისქვეშა წყლების ძირითადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებელი პარამეტრების უწყვეტი მონიტორინგისა და გარემოს ეროვნულ სააგენტოში მონაცემთა ავტომატურ რეჟიმში გადმოცემის საშუალებას იძლევა). მას შემდეგ, მონიტორინგის ქსელში წყალპუნქტების ჩართვა ეტაპობრივად, ყოველწლიურად მიმდინარეობდა. 2013-2020 წლებში, მიწისქვეშა წყლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების მონიტორინგი ავტომატური სადგურებისა და ინსტრუმენტალური აღჭურვილობის საშუალებით, 56 წყალპუნქტზე – 50 ჭაბურღილზე და 6 წყაროზე განხორციელდა. ძირითადი რეჟიმული პარამეტრების მონიტორინგის გარდა, თითოეული წყალპუნქტიდან, წელიწადში ორჯერ მიმდინარეობდა წყლის სინჯების აღება ლაბორატორიული კვლევებისთვის. 2013 წლიდან დღემდე განხორციელებული სამუშაოები, წინასწარი ჰიდროგეოლოგიური კვლევები, თანამედროვე მეთოდოლოგიით მიმდინარე სახელმწიფო გეგმიური მონიტორინგი, სავსე სამუშაოების პერიოდში მოპოვებული უახლესი ფაქტობრივი მასალები და მათი ანალიზი დაედო საფუძვლად მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის რესურსების მართვათვის მხრივ, საქართველოში ამჟამად არსებული მდგომარეობის შეფასებას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია გასათვალისწინებელია როგორც დარგის სპეციალისტებისთვის, ასევე სახელმწიფო უწყებებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის, რადგან დეტალურად მოიცავს იმ ძირითად რეკომენდაციებს, რომელთა ეტაპობრივი განხორციელება უალტერნატივო ღონისძიებებად გვესახება მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის რესურსების დაცვისა და მდგრადი მართვისთვის.

#### 5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

##### 1) ავტორი/ავტორები

1. ფოფორაძე ნოდარ, მეტრეველი რუსუდან;
2. გ. ლობჯანიძე, ქ. მდინარაძე, ნ. მდინარაძე;
3. გ. ლობჯანიძე, ბ. კახაძე, ქ. მდინარაძე, გ. ტატიშვილი, გ. ხეცურიანი, გ. ნანიტაშვილი, დ. ლაბაძე;
4. გ. ლობჯანიძე, ქ. მდინარაძე, ნ. მდინარაძე;
5. G. Lobjanidze, B. Kakhadze, T. Butulashvili, G. Machaidze, G. Nanitashvili;
6. გ. ლობჯანიძე, ქ. მდინარაძე, ნ. მდინარაძე, ე. სანიკიძე;
7. ვ. აბზიანიძე, დ. აბზიანიძე, ზ. კაკულია;
8. მარინე მარდაშოვა; ნიკა მომცელიძე; თინათინ ძამამია;
9. მარინე მარდაშოვა; თამარ მიქავა;
10. მარინე მარდაშოვა; თინათინ ძამამია; თამარ მიქავა;
11. გიორგი მელიქაძე, ნოდარ ვარამაშვილი, ნანა ხუნდაძე, თამარ რაზმაძე-ბროკიშვილი, ნინო კაპანაძე, ალექსანდრე ჭანკვეტაძე, თორნიკე ჭიკაძე;
12. გ. კობზევი, გ. მელიქაძე, თ. ჯიმშელაძე;
13. გ. კობზევი, გ. მელიქაძე, თ. ჯიმშელაძე, ა. ჭანკვეტაძე.

##### 2) სტატიის სათაური, ISSN

1. „ბრილის თიხის საბადო“;
2. უმაღლესი განათლების სისტემის ეკონომიკური და სოციალური ფუნქცია, - ISSN: 2587 - 5000;

3. ნავთობგაზის ინდუსტრიის გლობალური ტენდენციები და განვითარების პერსპექტივები კორონა-ეკონომიკის პერიოდსა და პირობებში – ISSN-1512-0457;
4. კორონომიკის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გლობალური ტენდენციები და მათი გადაჭრის ძირითადი მიმართულებები საქართველოში – ISBN 978-9941-28-127-3 (ყველა ნაწილი) ISBN 978-9941-28-128-0 (პირველი ნაწილი);
5. Global challenges and prospects for efficient use of mineral resources – ISBN 978-9941-28-854-8;
6. კორონაეკონომიკის გლობალური ტენდენციები და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები – ISBN 978-9941-491-53-5;
7. გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემების გადაწყვეტა მატემატიკური ეკოლოგიის მეთოდების და გეოსაინფორმაციო სისტემის პროგრამების გამოყენებით, ISSN 1512-0996;
8. წყნეთი-სამადლო საავტომობილო გზის მიმდებარე ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ; ISSN 1512-0996 DOI:<https://doi.org/10.36073/1512-0996>;
9. მდ. ალაზნის მარცხენა სანაპიროს გოგირდწყალბადიანი მინერალური წყლების ზოგადი დახასიათება; ISSN 1512-0996 DOI:<https://doi.org/10.36073/1512-0996>;
10. მდ. ალაზნის მარცხენა სანაპიროს გოგირდწყალბადიანი მინერალური წყლების წარმოშობის გეოქიმიური პირობები; ISSN 1512-0996 DOI:<https://doi.org/10.36073/1512-0996>;
11. Identification of the groundwater aquifer by geophysical (electrical survey) methods on the example of Gudauri area and degree of its hydrogeological study ISSN: 1512-1127;
12. Reaction of Georgian Wells to Remote and Nearby Earthquakes Similarities and Differences ISSN: 1512-1127;
13. Reaction of Georgian Wells to Remote and Nearby Earthquakes Similarities and Differences ISSN: 1512-1127.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. სამთო ჟურნალი, №1(44), 2021. ISSN 1512-407X;
2. ყოველკვარტალური საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“, 2021 წელი, # 1;
3. საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „საქართველოს ნავთობი და გაზი“, 2021 წელი # 1 (34);
4. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“, 28-29 მაისი, 2021 წელი;
5. Mineralogical Society of Georgia, G. Tsulukidze Mining Insitute and Georgian Technical University, Convene International Scientific-Practical Conference on Up-to-date Problems of Geology: „THE DEVELOPMENT OF MINING AND GEOLOGY IS THE PRECONDITION FOR THE REVIVAL OF ECONOMY“. Book of Abstracts, GTU, Tbilisi, „Technical University“, september 23 - 24, 2021;
6. პროფ. ალფრედ კურატაშვილის დაბადებიდან მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „XXI საუკუნის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ტექნოლოგიური გამოწვევები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, 3-4 ივლისი, 2021 წელი;
7. სტუ სამეცნიერო შრომების კრებული, #3(521);
8. სტუ-ს შრომებში #1(519), თბილისი, 2021;
9. სტუ-ს შრომებში #2(520), თბილისი, 2021;
10. სტუ-ს შრომებში #2(520), თბილისი, 2021;

11. Journal of the Georgian Geophysical Society, Physics of Solid Earth, Atmosphere, Ocean and Space Plasma, v. 24(2), 2021;
12. Journal of the Georgian Geophysical Society, Physics of Solid Earth, Atmosphere, Ocean and Space Plasma, v. 24(2), 2021;
13. Journal of the Georgian Geophysical Society, Physics of Solid Earth, Atmosphere, Ocean and Space Plasma, v. 24(2), 2021.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, საქართველოს სამთო საზოგადოება, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, გრ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტი;
2. თბილისი, საქართველო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტი და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი;
3. თბილისი, საქართველო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთ-გეოლოგიური ფაკულტეტი;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი;
5. GTU, Tbilisi, „Technical University“;
6. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი;
7. თბილისი, საგ. სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“;
8. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“;
9. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“;
10. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“;
11. თბილისი;
12. თბილისი;
13. თბილისი.

5) გვერდების რაოდენობა

1. 8 გვერდი;
2. 14 გვერდი;
3. 17 გვერდი;
4. 5 გვერდი;
5. 4 pg.;
6. 12 გვერდი;
7. 8 გვერდი;
8. 12 გვერდი;
9. 15 გვერდი;
10. 22 გვერდი;
11. 5 გვერდი;
12. 4 გვერდი;
13. 6 გვერდი.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)



1. ნაშრომში წარმოდგენილია მაღალმთიან აჭარაში არსებული ბრილის თიხების კომპლექსური კვლევის შედეგები, პოლარიზაციული მიკროსკოპით თიხის ნიმუშების დეტალურმა კვლევამ (AMSCOP 600T - პეტროგრაფიული ანალიზი) საშუალება მოგვცა ცალსახად დაგვედგინა ქანმამენი და აქცესორული მინერალების რაობა, მათი გრანულომეტრიული ზომები, მარცვლების და კრისტალების ფორმა, შეცვლის პროცესი, გარდაქმნის პროდუქტები და ხარისხი, მექანიკურ მინერალებსა და ძირითად (შემაკავშირებელ) მასას შორის შეკავშირების ხარისხი და რელიქტური ქანის ნატეხების რაობა.. ნიმუშების შემადგენელი ცალკეული მინერალური ფაზის რაოდენობისა და რაობის დასადგენად გამოვიყენეთ რენტგენოფაზური ანალიზატორი (DRON-3), ხოლო საერთო ქიმიური შედგენილობის დასადგენად ვისარგებლეთ რენტგენოფლოუორესცენციური ანალიზატორით (XRF 3600B). გამოვიკვლიეთ მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები. ჩატარებულმა კომპლექსურმა კვლევებმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა ბრილის თიხების გამოყენების სფერო.
2. მაღალი ტექნოლოგიებისა და ინფორმატიზაციის ეპოქაში საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი დიდწილად დამოკიდებულია განათლებაზე. ძნელია დაასახელო უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა, ვიდრე განათლება: იზრდება მისი როლი და მნიშვნელობა, დგება მისი ხარისხის ამალეებისა და ხელმისაწვდომობის აუცილებლობა. ეკონომიკა სულ უფრო მეტად ეყრდნობა ცოდნასა და ინოვაციურ-ტექნოლოგიურ პოტენციალს. დღეს ადამიანი წარმოადგენს ძირითად კაპიტალს: მისი შემოქმედებითი პოტენციალი, შესაძლებლობები, ახალი იდეების გენერირებისა და მისი ეფექტური ჩვენს ქვეყანაში განათლების სისტემა მუდმივად ვითარდება. სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი განათლებაა. ქვეყნის მომავალი დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გაგრძელდება იგი და რა შედეგები მოჰყვება მას. მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო სისტემის ყველა რგოლი - დაწყებითიდან დიპლომისშემდგომი განათლებით დამთავრებული. და მაინც, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უმაღლეს განათლებას. ჩვენი აზრით, განათლების რეფორმის წარმატებით განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო სისტემა განიხილება ფართო სოციალურ და ეკონომიკურ კონტექსტში, როგორც საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი. განათლებას, საზოგადოების ნებისმიერი სხვა საქმიანობის მსგავსად, აქვს თავისი ეკონომიკური ასპექტი, რომლის კვლევა არა მხოლოდ უმაღლესი განათლების ეკონომიკური ფუნქციის გარკვევის შესაძლებლობას გვაძლევს, არამედ ამ ფუნქციებს აკავშირებს რეალურ სოციალურ ჯგუფთან, რომელიც იქმნება გარკვეული ეკონომიკური ინტერესების გარშემო. განათლების გავლენა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებზე გარდაუვალია, მაგრამ, თავის მხრივ განათლებაც განიცდის მსგავს გავლენას, რამდენადაც საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფერო და ცალკეული საზოგადოებრივი ინსტიტუტი ცდილობს განათლება გამოიყენოს საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით. საზოგადოებამ გონივრულად უნდა გამოიყენოს ეს ურთიერთქმედება. სინამდვილეში, ეს არის უმაღლესი განათლების მენეჯერული ფუნქცია, რამდენადაც, სწორედ საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან და სფეროებთან ურთიერთქმედების წარმატებული მენეჯმენტი ხდის შესაძლებელს უმაღლესი განათლების სფეროში ინტერპერსონალურ ურთიერთქმედებებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას. თანამედროვე საზოგადოებაში უმაღლესი განათლება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური ინსტიტუტია, რომელიც ორგანულად უკავშირდება საზოგადოების მშენებლობის, მისი სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციებისა და პიროვნების

განვითარების საფუძვლებს. აღნიშნული სოციალური ინსტიტუტის მთავარი მახასიათებელი მისი მრავალფუნქციურობაა. ბევრი მკვლევარი სწავლობს უმაღლესი განათლების პრობლემებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. უმაღლესი განათლება მრავალი მეცნიერის კვლევის ობიექტია. თუ მას შევისწავლით საზოგადოებაში მისი ადგილის, როლისა და ფუნქციების გათვალისწინებით, მაშინ იგი უნდა განვიხილოთ ფართო კონტექსტში - როგორც სოციალური ინსტიტუტი, რომელიც ასრულებს ფუნქციების ფართო სპექტრს;

3. ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია, კორონავირუსის კრიზისის პერიოდსა და პირობებში, ნავთობგაზის ინდუსტრიის გლობალური ტენდენციები და შესწავლილია ახალი კორონავირუსის COVID-19-ის გავლენა ნავთობგაზის ბაზრის ცვლილებებზე, საკვლევი სექტორის მიმდინარე მდგომარეობასა და განვითარების პერსპექტივებზე. წარმოდგენილია 2020-2021 წლების, ნავთობგაზის სექტორში მოქმედი უდიდესი კომპანიები და მათი საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები, ასევე მსოფლიო ნავთობისა და გაზის მარაგები, მათი მოპოვების, ნავთობპროდუქტებზე მოხმარების, მოთხოვნისა და ფასების დინამიკა პანდემიის და პოსტპანდემიის წლებში, პერსპექტიულ მოკლე, საშუალო და გრძელვადიან საპროგნოზო პერიოდში. შემოთავაზებულია საკვლევი ინდუსტრიის განვითარების ძირითადი მიმართულებები სხვადასხვა კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციის (OPEC+, IEA, BP, WEO, OECD, PwC) კვლევების ანალიზის და საექსპერტო შეფასებების საფუძველზე, მსოფლიო ტენდენციებისა და სტრატეგიების გათვალისწინებით. ნავთობი და გაზი პლანეტის ყველაზე მნიშვნელოვანი ენერგეტიკული რესურსია, ხოლო ნავთობისა და გაზის მრეწველობა 2 მრავალი ქვეყნის, ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრია. 2019 წლის მეორე ნახევრიდან ახალი კორონავირუსის 2 COVID-19-ის სწრაფი გავრცელების რთულმა საფრთხეებმა და გამოწვევებმა მკვეთრად იმოქმედა ენერჯის გლობალურ მოთხოვნაზე, რადგან მთელ მსოფლიოში შემზღვევადმა ზომებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა და შეამცირა რაციონალური და ეფექტიანი ორგანიზაციულ-ეკონომიკური და მმართველობითი საქმიანობის აქტივობა სამედიცინო, სოციალური ურთიერთობების, ეკონომიკის და მისი სხვადასხვა ინდუსტრიული სექტორის, შრომითი ბაზრის, გეოპოლიტიკის, გარემოს დაცვის მიმართულებებით. კორონავირუსის ანუ პანდემიის ეკონომიკის პროცესში გლობალური ეკონომიკასა და კაპიტალის ბაზრებში სწრაფი ტემპით მიმდინარე ცვლილებებმა ნავთობგაზის ინდუსტრია მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა. ეკონომიკური საქმიანობის ნებისმიერი შემდგომი ნორმალიზაცია დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განხორციელდება პანდემიის მართვა და, რაც მთავარია, COVID-19-ის ვაქცინაციით რამდენად მოხდება ფართო საზოგადოებრივი იმუნიტეტის მიღწევა. თუმცა, ვირუსის კონტროლის პირობებშიც, 2021 წელიდან ეკონომიკა განაგრძობს ფუნქციონირებას შედარებით გაუარესებული ფისკალური ბალანსების, შემცირებული ბიზნესინვესტიციების, შრომის ბაზრისა და სამომხმარებლო ხარჯების პირობებში. ტრანსფორმაციის პროცესში კრიზისის შედეგად ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოსალოდნელია განხორციელდეს ხარჯების მკვეთრი შემცირების, კაპიტალის გადანაწილების, ციფრული გადაწყვეტილებების, „მწვანე“ ენერჯიაზე დაჩქარებული გადასვლის, განახლებადი ენერჯის წყაროებზე მოთხოვნისა და გარემოს მდგრადობის ზრდის სასარგებლოდ;
4. ნაშრომში განხილული და გამოკვლეულია კორონავირუსული პანდემიის სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემების გლობალური ძირითადი ტენდენციები, გლობალიზაციის გამოწვევები, კანონზომიერებები, მათი გამოვლენის წინააღმდეგობრივი და კრიზისული შედეგები; COVID-19-ით დაინფიცირებული,

განკურნებული, გარდაცვლილი და ვაქცინირებული საქართველოსა და, მსოფლიოს ზოგიერთი ქვეყნის სტატისტიკური მონაცემების ფონზე გაანალიზებულია პანდემიაზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის თავისებურებანი. შემოთავაზებულია პოსტპანდემიური მსოფლიოს ზოგიერთი ქვეყნის და საქართველოს ეკონომიკების ზრდის და განვითარების პროგნოზები და, პანდემიის პირობებში არსებული პრობლემების გადაჭრის ძირითადი მიმართულებები;

5. ნაშრომში განხილულია გლობალური რისკების და COVID-19 პანდემიის პოტენციური გავლენა მინერალურ-სანედლეულო საქონლის მომავალ მოთხოვნაზე, სამთო მრეწველობის განვითარების პერსპექტივებსა და, ასევე სამთო მომპოვებელი კომპანიების განვითარების ტაქტიკურ და სტრატეგიულ მიმართულებებზე, არსებული კრიზისის სწრაფად და ეფექტიანად გადაჭრის პირობებში. COVID-19 პანდემიამ საგრძნობი ცვლილებები შემოიტანა ჩვენს ცხოვრებაში და საკმაოდ მნიშვნელოვანი და განსხვავებული გავლენა მოახდინა მთელ მსოფლიოში სასაქონლო ბაზრებსა და სამთო მრეწველობაზე. წიაღისეულის მომპოვებელი კომპანიების საქმიანობა გარკვეულწილად შეფერხდა კორონავირუსის ეპიდემიების და მთავრობების მიერ დაწესებული მოთხოვნების შედეგად, რამაც განაპირობა ბევრ საქონელზე მოთხოვნის დაცემა. კომპანიები იძულებულნი არიან აამაღლონ და გააძლიერონ პერსონალის სანიტარული დაცვის ორგანიზაცია, რაც წარმოშობს დამატებითი ხარჯებს, შესაბამისად ოფისის თანამშრომლები გადავიდნენ ე. წ. „დისტანციურ მუშაობაზე“. სამთო მრეწველობა გარკვეულწილად კარგად ინარჩუნებს მდგრადობას COVID-19-ის გავლენის კონტექსტში გლობალურ ეკონომიკასა და წარმოებაზე, რამდენადაც სამთო კომპანიები ფინანსურად შედარებით ძლიერია და მათი უმეტესობა მეტ-ნაკლები სტაბილურობით განაგრძობს მუშაობას, თუმცა გაზრდილია სიფრთხილისა და პროფილაქტიკური კონტროლის დონე. ამასთან, ჯერ კიდევ უცნობია პანდემიის გრძელვადიანი შედეგები. ცხადია, ასეთ პირობებში, ტოპ-40 სამთო კომპანიამ უნდა ისარგებლოს არსებული ფინანსური სტაბილურობით და გადახედოს თავის სტრატეგიას, რაც მომავალში გაზრდის ბიზნესის სტაბილურობას. მართალია, პანდემიის მიუხედავად, სამთო მრეწველობა შედარებით სტაბილურად მუშაობს, წარმოებს მინერალების მოპოვება, მუშავდება ქვანახშირისა და მადნის საბადოები, თუმცა ეს სამუშაოები სულ უფრო რთულ პირობებში მიმდინარეობს – როგორც გეოგრაფიული, ისე გეოლოგიური მიმართულებით, ამასთან სახელმწიფოს მიერ საგადასახადო შეღავათების გაუქმებამ რთული საბადოების ათვისების საქმეში, შესაძლოა გამოიწვიოს ასობით საბადოს დახურვა და სამუშაო ადგილების დაკარგვა. აღსანიშნავია, რომ სამთო მრეწველობა დღესდღეობით ახალი გამოწვევების წინაშე დგას, თუ წარსულში, სამთო კომპანიები თავიანთ წარმოებას გეგმავდნენ „უმაღლესი მოცულობის წარმოების ყველაზე დაბალი ღირებულების“ საფუძველზე, დღესდღეობით, მათ მოეთხოვება გაითვალისწინონ დაინტერესებული მხარეების – აქციონერების, პერსონალის, ადგილობრივი თემების, მომხმარებლების, მთავრობების და რეგულატორების მოთხოვნები და იყვნენ არა მხოლოდ როგორც მომგებიანი და პროდუქტიული, არამედ პასუხისმგებლიანი, უსაფრთხო, მდგრადი, გარემოსდაცვითი, სოციალური და ეფექტიანად მმართველობითი. ამასთან, სამთო კომპანიები უნდა ადაპტირდნენ მუდმივი სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილების, ინოვაციების და ციფრული ტრანსფორმაციის ახალ ნორმასთან. ამ წინსვლის მაგალითებია ანალიტიკა, ავტომატიზაცია, ბლოკჩეინი, ხელოვნური ინტელექტი, 3D დათვალიერება და ჭკვიანი სენსორები, რომელთა ეფექტიანი განხორციელებით შესაძლებელია სამთო წარმოება გახდეს უფრო უსაფრთხო და ეფექტური. ცხადია, ზემოაღნიშნული ტენდენციების გათვალისწინება საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყანაში

არსებული წიაღისეული რესურსების უმეტესობა კონკურენტუნარიანია მსოფლიო ბაზარზე, რომელთა ეფექტიანი და რაციონალური ათვისება სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს, რადგან სექტორს გააჩნია განვითარების რეალურად ხელსაყრელი შესაძლებლობები და პოტენციალი სამთო-სამრეწველო პროდუქციის ბაზარზე მოწინავე პოზიციების დასაკავებლად, სადაც გაითვალისწინება დამატებითი ღირებულებების ჯაჭვის შექმნა, გაზრდილი ეკონომიკური მაჩვენებლები, საკმაოდ განვითარებული სანედლეულო და ეკონომიკურად მომგებიანი საინვესტიციო ბაზა;

6. ნაშრომში განხილულია ახალი COVID-19 კორონავირუსის პანდემიის ძირითადი ასპექტები, რომელიც უკვე გახდა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს ეკონომიკისა და გლობალური ეკონომიკური რეგულირების ინსტიტუტების სიძლიერის გამოცდა. ამ თვალსაზრისით, შესწავლილია ეპიდემიის ეკონომიკის, ანუ, ე.წ. კორონაეკონომიკის უარყოფითი მასშტაბები მსოფლიო ქვეყნებსა და საქართველოში, შემოთავაზებულია არსებული ნეგატიური ზემოქმედების შემცირების გზები და განსაზღვრულია როგორც გლობალური, ასევე საქართველოს ეკონომიკური ზრდის და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური ასპექტები. კორონავირუსის გლობალურმა ეკონომიკამ აჩვენა პანდემიის ყოვლისმომცველი გავლენა მსოფლიოზე, ცვლილებები წარმოების ფაქტორების მოძრაობაში, ეკონომიკურ ინტეგრაციასა და ეკონომიკურ ზრდაში. პანდემია უარყოფით გავლენას ახდენს არა მხოლოდ გლობალურ მიწოდებასა და მოთხოვნაზე, არამედ გლობალურ ფინანსურ სისტემაზე, რომელიც წარმოჩინდა საკმაოდ მაღალი რისკებით, მრავალი ქვეყნის მნიშვნელოვანი სავალო ტვირთით და ეკონომიკური გლობალიზაციის შედეგებით, რომლის ნეგატიური ეკონომიკური ეფექტის შემცირების და შემდგომი განვითარების მიზნით, მნიშვნელოვანია ადაპტაციური, აქტიური ეკონომიკური პოლიტიკის კონცეპტუალური სამოქმედო რაციონალური სტრატეგიული გეგმის შემუშავება ცალკეულ სახელმწიფოსა და რეგიონში არსებულ მდგომარეობათა გათვალისწინებით. შეიძლება ითქვას, რომ პანდემია აჩქარებს გლობალური წარმოების გარდაქმნას უფრო მოკლე, რეგიონული და მდგრადი ღირებულების ჯაჭვის შექმნით. მან, ასევე აჩვენა ნაციონალიზმის საზღვრები, არსებული პრობლემების თავისთავად გადაჭრის გათვლით. ამასთან, მთავრობების გადამწყვეტი რეაგირება COVID-19-ის პანდემიაზე აჩქარებს ინდუსტრიული პოლიტიკის აღორძინებას და გულისხმობს პარადიგმების ცვლას, როდესაც არსებობს მოთხოვნა უფრო აქტიურ სახელმწიფოებზე განვითარების პრობლემების გადაჭრაში. აქ მნიშვნელოვანია საერთაშორისო საზოგადოებამ გამოიმუშაოს ამ ტენდენციების მიმართ საერთო მიდგომები, რათა დაჩქარდეს 2030 წლამდე მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მიღწევა, სადაც მნიშვნელოვანია ქვეყნების განვითარება ტრანსფორმაციული პროდუქტიული შესაძლებლობებით და საშუალებებით, მ.შ. ახალი, უფრო მდგრადი მრავალმხრივი კონსენსუსით, სტრუქტურული გარდაქმნებით, ეკონომიკური დივერსიფიკაციით და ინდუსტრიალიზაციით, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნება გლობალურ ეკონომიკურ ლანდშაფტში არსებული პრობლემების გადაჭრისა და COVID-19 პანდემიის ახალი გამოწვევების ეფექტიანი მართვის თვალსაზრისით. ცხადია, გლობალური ეკონომიკის გამოწვევები, საქართველოზე, როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში აქტიურად ჩართულ მცირე და ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანაზე პირდაპირ აისახება სხვადასხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლით, რომელთა გონივრული მართვა უაღრესად მნიშვნელოვანია, რათა გაუმჯობესდეს ქვეყნის არსებული წინააღმდეგობრივი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, გაიზარდოს საყოველთაო კეთილდღეობა და მიღწეულ იქნეს ცხოვრების მაღალი დონე;

7. ინდუსტრიის განვითარების და მოსახლეობის რაოდენობის ზრდის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს გარემოსდაცვას და ბუნებრივი რესურსების სწორ გამოყენებას. ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასებისთვის, მონიტორინგისა და მართვისთვის საჭიროა ყველა მისი კომპონენტების ეკოლოგიური, კარტოგრაფიული და სხვა ტიპის ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება და საჭიროების შემთხვევაში სწორი გადაწყვეტილების მიღება. არსებობს სხვადასხვა მეთოდი ამ ამოცანის გადასაწყვეტად. სტატიაში მოყვანილია იმ მეთოდის მოკლე აღწერა, რომელიც ჩვენ გამოვიყენეთ მდ. მტკვრის ერთ-ერთი მონაკვეთის ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასებისთვის, კერძოდ, განსაზღვრული იქნა მძიმე მეტალების შემცველობა ზაჰესი – წითელი ხიდის მონაკვეთზე. ანტროპოლოგიური თუ ანტროპოგენური ზემოქმედების ხარისხი მდინარის წყლებზე შეფასებული იყო მათემატიკური მოდელირების თანამედროვე მეთოდების და გეოსაინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. ინფორმაციის მათემატიკური დამუშავება შეიცავდა მათემატიკური ეკოლოგიის მთელ სპექტრს, დაწყებული მათემატიკური სტატისტიკიდან – დამთავრებული რთული მოდელით. აგრეთვე გამოყენებული იყო გეოსაინფორმაციო პროგრამების ძირითადი ფუნქციები: ინფორმაციის ორგანიზება, დამუშავება, ანალიზი, შემოწმება, ვიზუალიზაცია და სხვა. შედეგად შეიქმნა თემატიკური რუკები, რომლებიც ასახავს მძიმე მეტალების კონცენტრაციას და აგრეთვე ცვილებების დინამიკას. შემუშავებული მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა ობიექტის შეფასებისთვის, ამ მეთოდის საშუალებით მარტივად და მცირე ხარჯებით შეგვიძლია ვაწარმოოთ ეკოლოგიური მონიტორინგი;
8. წყნეთი-სამადლოს გზის მიმდებარე ტერიტორიის ამჯამად არსებული ჰიდროგეოლოგიური მდგომარეობის კვლევის მიზანი არის მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების დასახვა, რომლის საშუალებითაც უნდა შეიქმნას ტრასის ექსპლუატაციის ნორმალური პირობები. საკვლევი ტერიტორია მდებარეობს თრიალეთის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ განშტოების ჩრდილოეთ ფერდზე, რომლის კალთებიდან სათავეს იღებს მრავალრიცხოვანი ღრმა ხეობები, რომელიც მდინარე ვერეს ხეობაში ჩაედინება. ეს უკანასკნელი კი შესასწავლი ადგილმდებარეობის ეროზიის მთავარი ბაზისია. ჰიდროგეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად აღებულ იქნა წყლის ორი ნიმუში - მეწყერულ ფედობზე გამოვლენილი წყალი, რომელიც ფერდობის გაშიშვლებულ ზედაპირს მიუყვებოდა და გრუნტის წყლის უმნიშვნელო გამონაჟონი ფერდობის ძირში. დასინჯული წყაროების ქიმიური ანალიზის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ ქიმიური შედგენილობით ორივე სინჯი იდენტურია, საერთო მინერალიზაციით ( $M = 1.9$  გ/ლ) მიეკუთვნება მომლაშო წყლების კატეგორიას და კლასიფიცირდება როგორც სულფატურ-ჰიდროკარბონატული კალციუმიან-ნატრიუმიანი. გარდა წყლის სინჯებისა, გრუნტის დამლაშების ხარისხის დასადგენად, გზის გასწვრივ აღებულ იქნა გრუნტის ერთი ნიმუში. საერთო მინერალიზაციის სიდიდე გრუნტის ნიმუშის გამონაწურში ოდნავ მომატებულია ( $M = 0.3$  გ/ლ), ხოლო ქიმიური შედგენილობით ჰიდროკარბონატულ-სულფატური ნატრიუმიან-კალციუმიანია. რაც შეეხება საკვლევ მონაკვეთზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებებს, ფერდობების მდგრადობის ერთ-ერთი წინაპირობაა ზედაპირული ჩამონადენების რეგულირება წყალსაგდები და წყალსაშვები არხების საშუალებით, ასევე აუცილებელია მაქსიმალურად იქნას შენარჩუნებული მცენარეული საფარი დელუვიურ ფერდობებზე და სათანადო გაანგარიშების საფუძველზე, რაც შეიძლება ზუსტად განისაზღვროს და შეირჩეს ფერდოს სიმაღლე და დახრილობის კუთხე;
9. საკვლევი ობიექტი შიდა კახეთის ძირითადი ჰიდროგრაფიული ერთეულის - მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, დიდი კავკასიონის სამხრეთ ფერდობის წინამთიანეთის

გასწვრივ და მოიცავს ზოლს სოფელ შაქრიანიდან (თელავის რაიონი) დაწყებული, რაიონულ ცენტრ ლაგოდეხით დამთავრებული (მდ. ლაგოდეხის ხევი, მდ. ალაზნის მარცხენა შენაკადი). აღნიშნული ზოლის ფარგლებში, მდ. ალაზნის მარცხენა შენაკადების ხეობებში, აგრეთვე წინამთიანეთის მთისძირებში გოგირდწყალბადიანი (H<sub>2</sub>S) მინერალური წყაროების ბუნებრივი გამოსავლები არის გავრცელებული. გარდა ამისა, ეს წყლები გახსნილია საძიებო - ჰიდროგეოლოგიური ჭაბურღილებით. ამ წყაროებს შორის ადგილობრივ მოსახლეობაში განსაკუთრებით პოპულარულია „თორღვას აბანო“ და „ლაგოდეხის აბანო“. პირველი მათგანი მდებარეობს მდ. ალაზნის მარცხენა შენაკადის მდ. სტორის ხეობის ზემო წელში, ხოლო მეორე - მდ. ლაგოდეხის ხევის ხეობაში, 7კმ დაშორებით დასახლებიდან. სამკურნალო თვისებებით არანაკლებ მნიშვნელოვანია შედარებით მცირედებიტანი მინერალური წყაროები „მუნის წაყარო“ და „მყრალი წყლები“. თეორიული და ველზე მოპოვებული ფაქტობრივი მასალების ანალიზის და განზოგადების საფუძველზე მთიანი კახეთის გოგირდწყალბადიანი წყლები დახასიათებულია დეტალურად და შესაძლოა მათი ათვისება საკურორტო მშენებლობის მიზნით;

10. განსახილველი ტერიტორიის გეოლოგიური აგებულების და ჰიდროგეოლოგიური პირობების დახასიათების საერთო ფონზე არსებობს ორიგინალური მოსაზრება შესწავლილ მიწისქვეშა წყლებში გოგირდწყალბადის წარმოქმნის და დაგროვების შესახებ, ამასთან, ეს მოსაზრება განსხვავებულია ზოგადად სულფატ-რედუქციის კლასიკური თეორიიდან. სახელდობრ, დასაბუთებულია, რომ მიწისქვეშა წყლებში გოგირდწყალბადის წარმოქმნა სულფატ-მარედუცირებელი ბაქტერიების მოქმედების გამო, მხოლოდ და მხოლოდ აღდგენით გარემოში კი არ მიმდინარეობს, არამედ ჟანგვის ზონაშიც წარმოიქმნება ბაქტერიათა სპეციფიკური სახეობების ცხოველქმედების შედეგად. ამ მოსაზრების მართებულობა დადასტურებულია ღრმა ჰიდროგეოლოგიური ჭაბურღილების და სავლე კვლევების მონაცემების ანალიზის საფუძველზე. მთიანი კახეთის ფარგლებში გოგირდწყალბადიანი მინერალური წყაროების არსებობა კარბონატულ ფლიშთან არის დაკავშირებული. მათი ფორმირება, შემდგომი ცირკულაცია, ბუნებრივი გამოსავლების ჩათვლით მთლიანად ალაზნანგაღმა კარბონატული ფლიშის წყებაში მიმდინარეობს და სავარაუდოდ, გოგირდწყალბადიანი სამკურნალო წყლების წარმოქმნის საწყისი სუბსტანციაა. გარდა კახეთის მინერალური წყაროების გენეზისის თეორიული საკითხებისა, განხილულია ამ წყლების პრაქტიკულად გამოყენების ფართო პერსპექტივა, რომელიც ტერიტორიის თვალწარმტაც ბუნებასთან და შესანიშნავ კლიმატურ პირობებთან არის დაკავშირებული, რაც კახეთის რეგიონში საკურორტო-სამკურნალო მშენებლობის დიდ შესაძლებლობას იძლევა;

11. დაბა გუდაური წარმოადგენს სამთო სათხილამურო კურორტს საქართველოში. მდებარეობს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდზე, თბილისიდან 120 კმ-ში და ზღვის დონიდან 2196მ სიმაღლეზე. საკურორტო ზონაში მზარდი ინფრასტრუქტურული ობიექტებისა და დამსვენებლების გამო არსებული წყალმომარაგების სისტემები დამატებითი წყლის დებიტის შექმნას საჭიროებს, რათა ზამთრის სეზონზე გუდაურის სტაბილური წყალმომარაგება უზრუნველყოს. ამიტომ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, დაბა გუდაურში, იწყებს სასმელი წყლისა და კანალიზაციის სისტემების მშენებლობას. სამუშაოები ითვალისწინებს გუდაურსა და მიმდებარე სოფლებში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასმელი წყლისა და კანალიზაციის ინფრასტრუქტურის მოწყობას. პროექტის ფარგლებში, შპს „ჩინურ ბირთვული

ინდუსტრიის 23 საკონსტრუქტორო ბიურო“-ს საქართველოს ფილიალსა და შპს „საქართველოს გეოფიზიკური ასოციაცია“ - ს შორის არსებული „ჰიდროგეოლოგიური შესწავლის განხორციელებაზე შეთანხმების“ ფარგლებში, მეცნიერთა ჯგუფმა 2020 წლის დეკემბრიდან 2021 წლის მაისის ჩათვლით, გუდაურის ტერიტორიაზე, ჩატარა გეოფიზიკური და ჰიდროგეოლოგიური კვლევები რათა გამოვლენილიყო ის უბნები, რომლებიც საინტერესოა მიწისქვეშა წყლების მოპოვების თვალსაზრისით.

12. ხდება საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ორი ჭაბურღილის, ონისა და ახლქალაქის რეაქციის შედარება. ვლინდება მჭიდრო კავშირი, მიწისძვრაზე ამ ორი ჭაბურღილის რეაქციებს შორის. აღმოჩნდა, რომ რომ მათ შორის კორელაციის კოეფიციენტი მახლობელი და შორეული მიწისძვრებისათვის განსხვავებულია;
13. სტატია გადმოგვეცემს ინფორმაციას 2021 წლის იანვარში, ახალქალაქის ტერიტორიაზე დაფიქსირებული მიწისძვრების ჯგუფის დროს ნოდის სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის მულტიპარამეტრიკულ ქსელზე გამოვლენილ ჰიდროდინამიკურ ანომალიებზე. მონაცემები მუშავდებოდა სპეციალური პროგრამის მეშვეობით, რათა გამორიცხულიყო გეოლოგიური ფაქტორების გავლენა. სხვადასხვა სადგურების მონაცემები კალიბრდებოდა მიმოქცევითი ვარიაციებით. გაანალიზდა პარამეტრების ვარიაციები და რეაქციები მიწისძვრის მომზადების პროცესზე.

## 6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

### 6.4. სტატიები

#### 1) ავტორი/ავტორები

1. T. Gvartadze, Kh. Mikadze, Z. Chkhaidze;
2. Kh. Mikadze, M. Onoprishvili. N. Lapachishvili, N. Ikoshvili;
3. Kh. Mikadze, N. Vanishvili, M. Onoprishvili. N. Lapachishvili, N. Ikoshvili;
4. T.T. Gvartadze, K.E. Mikadze, Z.M. Chkhaidze.

#### 2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. Biostratigraphy of Cretaceous and Paleogene boundary sediments in the eastern part of the Adjara-Trialeti zone (Lesser Caucasus) based on nanofossils and microfossils (ISBN 978-5-93761);
2. Biostratigraphic data on micro- and macrofauna of the Upper Cretaceous Transcaucasian intermountain region (Georgia). (ISBN 978-5-93761);
3. The first data on the Cenomanian-Coniacian deposits from the planktonic foraminifers of Racha-Lechkhumi (Western Georgia) (DOI: 10.18303/B978-5-4262-0101-0);
4. Ratio Of Complexes Of Nannoplankton, Microphoraminifers And Macrofauna In The Sections Of Eastern Georgia (DOI: 10.18303/B978-5-4262-0101-0).

#### 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. Theoretical and applied aspects of paleontology. LXVII session of the Paleontological Society;
2. Theoretical and applied aspects of paleontology. LXVII session of the Paleontological Society;
3. Proceedings Of The Online Scientific Session Dedicated To The 110th Anniversary Of The Birth Of Corresponding Member Of The Ussr Academy Of Sciences Vladimir Nikolaevich Saks;
4. Proceedings Of The Online Scientific Session Dedicated To The 110th Anniversary Of The Birth Of Corresponding Member Of The Ussr Academy Of Sciences Vladimir Nikolaevich Saks.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. Sankt-Peterburg, AN Russian;
2. Sankt-Peterburg, AN Russian;
3. Novosibirsk, AN Russian;
4. Novosibirsk, AN Russian.

5) გვერდების რაოდენობა

1. 3 გვერდი;
2. 3 გვერდი;
3. 6 გვერდი;
4. 4 გვერდი.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

*სტატიების თემატიკიდან გამომდინარე, ქვემოთ მოცემულია ოთხვევ სტატიის ანოტაცია ერთად.*

1-4. საქართველოს გვიანდარც-პალეოგენური ნალექები, რომლებიც ნავთობის, გაზის, ოქროს, ცეოლითების და სხვა სასარგებლო წიაღისეულებითაა დახასიათებული, დიდი ხანია მრავალი მკვლევარის ობიექტს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ამ რთული ტექტონის ამგები ქანების სტრატოგრაფიისა და სტრუქტურული აგებულების რიგი საკითხები მნიშვნელოვან დაზუსტებას და ხელახლად შესწავლას მოითხოვს. ეს ძირითადად განპირობებულია მისი ამგები ფორმაციების სუსტი პალეონტოლოგიური დათარიღებით, რომელიც დაფუძნებულია უაღრესად მწირ მაკროფაუნისტურ მასალაზე. საქმე იმაშია, რომ ხშირად თხელი წყლის ბენტოსური ფორმებით გაჭედული შრეები ენაცვლებიან ღრმა აუზების თითქმის მუხჯ წყებებს, ან მაკროფოსილიების ერთი ჯგუფი ჭრილის მხოლოდ ერთ ნაწილშია წარმოდგენილი. რა საკვირველია, მაკროფაუნის სპორადულ ადგილსაპოვნელებიდან მოპოვებული პალეონტოლოგიური მასალა მეზოზოური და კაინოზოური ნალექების სტრატოგრაფიული დიაპაზონის განსაზღვრის მეტად საიმედო საფუძველს წარმოადგენს, მაგრამ არაა საკმარისი მათი დეტალური დანაწილებისთვის, კიდევ უფრო ნაკლებად შორეული კორელაციისთვის. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მიკრო და ნანოფოსილიების როლი, რომელთა გავრცელების არე აკვატორიების ნებისმიერ ნაწილში შეუზღუდავია. ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ საქართველოს დეტალური სტრატოგრაფიის სრულყოფა მოითხოვს მიკრო და ნანოპლანქტონურ კვლევას, რაც შეავსებს მასში არსებულ ხარვეზებს. საქართველოს ზოგიერთი სტრუქტურულ-ფაციალური ტექტონების გეოლოგიური აგებულების საქმეში ასეთი კვლევები დიდი წარმატებით არის აპრობირებული. მხოლოდ, ბოლო სამ ათწლეულში, ნანოპლანქტონის და პლანქტონური ფორამინიფერების შესწავლის შედეგად შემუშავებული სქემების საფუძველზე დაყრდნობით გახდა შესაძლებელი საქართველოს ბელტის დასავლეთ ნაწილის, კავკასიონის ნაოჭა სისტემის მესტია-თიანეთის ზონის, მადნეულის ოქროს შემცველი საბადოს, აჭარა-თრიალეთის ცენტრალური სეგმენტისა და გაგრა-ჯავის ზონის ძირითადი ჭრილების მეზო-კაინოზოური ნალექების უწყვეტი, დეტალური დანაწილება და მათი ზუსტი შეპირისპირება ხმელთაშუაზღვის აუზის სართულებში დადგენილ შესაბამის სტრატონებთან.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში



1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ფოფორაძე ნოდარ, მეტრეველი რუსუდან;
2. დ. ბლუაშვილი, ქ.ბენაშვილი, გ.მინდიაშვილი
3. დ. ბლუაშვილი, გ. მინდიაშვილი
4. გ. მინდიაშვილი, ნ. მომცელიძე
5. ზ. კაკულია, ზ. ვარაზაშვილი, მ. მარდაშოვა, ა. სონდულაშვილი, დ. ჩუტკერაშვილი;
6. თ. მიქავა

2) მოხსენების სათაური

1. აქატ-ქალცედონის ჯგუფის მინერალების გამოყენება არქეოლოგიურ მძივებში;
2. ახალი მონაცემები ღართის საბადოს შესახებ;
3. გუჯარეთი-წყაროსთვის (ხაჩკოვი) მადნიანი ველის წყვეტილი აშლილობანი, გავრცელების მასშტაბები და წარმოშობის პირობები;
4. სოფ. ჩანჩხალს ტერიტორიაზე არსებული მეწყერების შესახებ;
5. ვაშლიჯვარის მეწყერის ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლა და მისი დინამიკის შეფასება;
6. ზუგდიდი-ცაიში-ხოზის თერმული წყლების ჰიდროქიმიური დახასიათება

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 28-29 ოქტომბერი, 2021, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
2. 28-29 ოქტომბერი, 2021, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
3. 28-29 ოქტომბერი, 2021, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
4. 28-29 ოქტომბერი, 2021, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
5. 28-29 ოქტომბერი, 2021, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
6. 28-29 ოქტომბერი, 2021, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. Kh. Mikadze;
2. ხ. მიქაძე, შ.კელეპტრიშვილი;
3. Giorgi Mindiashvili;
4. Davit Bluashvili, Giorgi Mindiashvili;
5. მარინე მარდაშოვა; გიორგი ტლაშაძე; თამარ მიქავა

2) მოხსენების სათაური

1. Biostratigraphy of the Cenomanian-Turonian deposits of the Tsachkhura River (Western molasse immersion zone, Western Georgia);
2. დასავლეთ საქართველოს (სამეგრელო) კამპან - ქვედამასტრიხტული ნალექების ბიოსტრატოგრაფია და კორელაცია პლანქტონური ფორამინიფერების და ბელემნიტების მიხედვით ჭანისწყლის, ხობისწყლის და ტეხურის ჭრილების საფუძველზე;
3. Remote sensing results within Akhalsofeli ore field areas (Kakheti segment of Caucasus, Georgia);

4. REMOTE SENSING RESULTS OF KHACHKOVI ORE OCCURRENCE. USING ASTER APPLICATION;

5. The prospects to use thermal waters in heat-and-power engineering.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 25-26.01.2021 Moskow;

2. უკრაინა, ქ. კიევი, 2021 წლის 10 – 12 ოქტომბერი. უკრაინის პალეონტოლოგიური საზოგადოების XL საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია;

3. October 2021. Baku, Azerbaijan;

4. November 11-12, Dnipro, Ukraine, 2021;

5. International Symposium on Geofluids, Geoenergy, thermal water and hydrocarbon systems, Hungary, Budapest, 7-9 July, 2021.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*

1.

2.

3. ნაშრომში განხილულია კავკასიონის კახეთის სეგმენტის მადნიანი მინერალიზაციის პოტენციალი, ახალსოფლის მადნიანი ველის ფარგლებში. ახალსოფლის მადნიან ველს მდინარეების შორხვევი-არეში-ლაკოს აუზების ტერიტორია უკავია. იგი ძირითადად აგებულია ინტენსიურად დანაოჭებული და დამსხრეული ქვედა იურული თიხა ფიქლებით, ქვიშაქვებით, მცირე რაოდენობით კარბონატული ქანებით და დაციტ-ანდეზიტ-ბაზალტური განფენებით, რომლებიც რელიეფში ქმნიან საერთო კავკასიური მიმართების, სამხრეთით გადმოწოლილ კახეთის ანტიკლინურ სტრუქტურას. ამ ტერიტორიაზე ცნობილია საერთო სუბგანედური მიმართების მრავალრიცხოვანი ჰიდროთერმულად შეცვლილი ზონები. მათ ფარგლებში გამოყოფილია ლოკალური პერსპექტიული უბნები: გოხიანა (დასავლეთით), ადალასქედი (ცენტრალური ნაწილი), არეში (სამხრეთ-აღმოსავლეთით) და ლაკო (ჩრდილო-აღმოსავლეთით).

### **ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების დეპარტამენტი №303**

დეპარტამენტის უფროსი თეიმურაზ ბარაბაძე, პროფესორი

ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების დეპარტამენტის პერსონალური შემადგენლობა:

ნანა ხუნდაძე, პროფესორი, (0,5 სამტატო ერთეული);

გიორგი დურგლიშვილი, ასოც. პროფესორი;

ვალერი ხითარიშვილი, ასოც. პროფესორი;

ნოდარ მაჭავარიანი, ასოც. პროფესორი

რუსუდან მანაგაძე, ასოც. პროფესორი;

მიხეილ მაჭარაძე, პროფესორი;

ნიაზ ჯიქია, პროფესორი; (0,5 სამტატო ერთეული)

მარინა კუმელაშვილი, ასისტ. პროფესორი;

თამარ რაზმაძე, ასისტ. პროფესორი;

ნათია მაისურაძე, ასოც. პროფესორი;

გიორგი ხეცურიანი, ასოც. პროფესორი;  
ქეთევან ქოიავა, უფ. მასწავლებელი (მოწვეული);  
ნინო ბერაძე, უფ. მასწავლებელი (მოწვეული);  
ტარიელ სარჯველაძე, უფ. მასწავლებელი (მოწვეული საათობრივ ანაზღაურებაზე);  
ლალი კაკაშვილი, ლაბორანტი;  
ნელი ჩხეიძე, ლაბორანტი;  
თამარ მახარაშვილი, ლაბორანტი;

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით  
„ნინოწმინდის გაზნავთობიანი საბადოს დამუშავების გეგმა“.საბუნებისმეტყველო მეცნიერება. სამეცნიერო მიმართულება - ინჟინერია და ტექნოლოგიები.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები  
01.09.2021-10.12.2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)  
კლიფორდ სტენლი აიზევი(KBOC-ის დირექტორი, პროექტის ხელმძღვანელი)  
ზურაბ სურამელაშვილი (საბადოს ცალკეული ბუდობების გეოლოგიური შესწავლა, სტრუქტურული რუკების შედგენა-გაფორმება);  
ირაკლი თავდუმაძე (ცალკეული პროდუქტიული ჰორიზონტების ხელახალი ინტერპრეტაცია და გეოლოგიური მარაგების დასაბუთება);  
გიორგი დურგლიშვილი (საბადოს დამუშავების ახალი ტექნოლოგიური პროცესის დაგეგმვა, დასაბუთება და მისი წარმართვის მექანიზმების პროგნოზი).

### **დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

სამეცნიერო-კვლევითი პროექტში „ნინოწმინდის გაზნავთობიანი საბადოს დამუშავების გეგმა“ - განხილულია ნინოწმინდის გაზნავთობიანი საბადოს გეოლოგიური აგებულება, საბადოს დამუშავების ისტორიული მიმოხილვა, გაანალიზებულია ჭაბურღილების ექსპლუატაციის ტექნოლოგიური პარამეტრები, მათ მიერ მოპოვებული ბუნებრივი ნახშირწყალბადების რაოდენობა წლების მიხედვით. შედგენილია საბადოს დამუშავების გრაფიკი და გაანალიზებულია დამუშავების ცალკეულ სტადიაზე ტექნოლოგიური პარამეტრების ცვლილება და მათი გამომწვევი მიზეზები. შედგენილია სხვადასხვა პროდუქტიული ფენისთვის განახლებული სტრუქტურული რუკა და დათვლილია ბუნებრივი ნახშირწყალბადების გეოლოგიური მარაგი.

პროექტში გაანგარიშებულია ცალკეული პროდუქტიული ჰორიზონტის მიმდინარე ნავთობგაცემის კოეფიციენტი. არსებული სარეწაო - გეოლოგიური და დამუშავების ტექნოლოგიური მასალების ხელახალი დამუშავების შედეგად შემუშავებულია პროდუქტიულ ფენაზე ზემოქმედების ჰიდროდინამიკური მეთოდი.

აღნიშნული მეთოდის დაწერგვა საშუალებას იძლევა ერთის მხრივ მოვახდინოთ ჭაბურღილებიდან მოპოვებული ფენის წყლის უტილიზაცია, რაც თავის მხრივ გეხმარება პროდუქტიულ ფენაში სითხის ფილტრაციული ნაკადის ცვლილებაში, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ დადებით ზეგავლენას ახდენს პროდუქტიულ ფენაში ნარჩენი ნავთობის დამუშავებაში ჩართულობაზე და ხელს უწყობს მათ ფილტრაციას მომპოვებელი ჭაბურღილების მიმართულებით. ყოველივე ეს დადებითად აისახება საბადოს დამუშავების პროცესის წარმართვაზე.

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი “ჰიდროსაიზოლაციო მასალების, მაღალეფექტური პენეტრანტის და სხვა პროდუქტების მიღება ზოგიერთი სამრეწველო და ნავთობური ნარჩენების უნაშთო გადამუშავებით”. საბუნებისმეტყველო მეცნიერება, გამოყენებითი მიმართულება.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები  
07/2018-12/2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)  
გ. ხიტირი- პროექტის ხელმძღვანელი;  
ი. ჩიკვაძე - პროექტის კოორდინატორი;  
მ. წურწუმიანა - უფროსი მეცნიერთანამშრომელი

**დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

საიზოლაციო მასალის კომპონენტების ოპტიმალური პირობების დადგენა და მიღებული ნაერთის პრაქტიკული გამოყენება, მაღალეფექტური და იაფი პენეტრანტების შექმნა ლუმინისცენტური დეფექტოსკოპიის და საღებავების წარმოების სფეროებისათვის. ნავთობური ნარჩენებიდან მიღებული გუდრონის, არაორგანული კომპონენტების შედეგად მიღებული ნარეგების და თერმოპლასტიური პლასტმასების დანამატებით მიღებული საიზოლაციო მასალების ტექნიკური გამოცდა.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. ნ. ჯიქია

2. მ. სურამელაშვილი

3. მ. სურამელაშვილი, რ. პაატაშვილი

4. ნ. მაჭავარიანი, ვ. ხითარიშვილი, ვ. გოდაბრელიძე, მ. გარუჩავა
5. ვ. ხითარიშვილი, ნ. მაჭავარიანი, თ. ტურიაშვილი, ნ. მაისურაძე, მ. გარუჩავა
6. ნ. ხუნდაძე, გ. ხეცურიანი, მ. გვენეტაძე, ვ. ხითარიშვილი, ნ. მაჭავარიანი
7. ი. გუჯაბიძე, თ. ბარაბაძე, ლ. გუდავაძე, შ. გუჯაბიძე, ნ. ჭკადუა
8. ი. გუჯაბიძე, თ. ბარაბაძე, ლ. გუდავაძე, შ. გუჯაბიძე, ნ. ჭკადუა
9. ი. გუჯაბიძე, თ. ბარაბაძე, ლ. გუდავაძე, შ. გუჯაბიძე, ნ. ჭკადუა
10. რ. მანაგაძე, ვ. აბზიანიძე, დ. აბზიანიძე

2) სტატიის სათაური, ISSN

1. „საქართველოს ტერიტორიაზე ბიტუმების ზედაპირული გამოვლინების მოკლე დახასიათება“

ISSN -1512-0457

2. „რიონის მთათაშუა როფის ტექტონიკური აგებულება“ ISSN -1512-0457
3. „ნავთობგაზწარმომქმნელი შესაძლო წყებები რიონის დეპრესიაში“ ISSN -1512-0457
4. „დახრილ მიმართული და ჰორიზონტალური ბურღვის ეფექტურობის ამაღლება ბრუნვით მართვადი სისტემის გამოყენებით“ ISSN -1512-0457
5. „ჰორიზონტალური ჭაბურღილების მშენებლობა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ნავთობის მოპოვების გაზრდის მიზნით“ ISSN -1512-0457
6. „რევრსიული ბურღვის ხერხის გამოყენებით ჭაბურღილების გაყვანის ეფექტურობის ამაღლებასაყდრის-ყაჩაღიანის ოქრო-სპილენძის მოპოვების უბნებზე“ ISSN -1512-0457
7. „გაზის დარგის განვითარების ტენდენციები, რეგულაციები და ფინანსური ინსტრუმენტები თანამედროვე ევროპაში“ ISSN -1512-0457
8. „ბუნებრივი გაზი და ევროკავშირის ენერგეტიკული სტრატეგია“ ISSN -1512-0457
9. „ბუნებრივი გაზის დივერსიფიკაციის პრობლემები ევროპის ქვეყნებში“ ISSN -1512-0457
10. „მათემატიკური მეთოდების გამოყენება გარემოს დაცვის პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად“ ISSN 1512-0996.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. „საქართველოს ნავთობი და გაზი“ #34
2. „საქართველოს ნავთობი და გაზი“ #34
3. „საქართველოს ნავთობი და გაზი“ #34
4. „საქართველოს ნავთობი და გაზი“ #34
5. „საქართველოს ნავთობი და გაზი“ #34
6. „საქართველოს ნავთობი და გაზი“ #34
7. „საქართველოს ნავთობი და გაზი“ #34
8. „საქართველოს ნავთობი და გაზი“ #34
9. „საქართველოს ნავთობი და გაზი“ #34
10. „სტუ-ს შრომები“ 3(521)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, „გრიფონი“
2. თბილისი, „გრიფონი“

3. თბილისი, „გრიფონი“
4. თბილისი, „გრიფონი“
5. თბილისი, „გრიფონი“
6. თბილისი, „გრიფონი“
7. თბილისი, „გრიფონი“
8. თბილისი, „გრიფონი“
9. თბილისი, „გრიფონი“
10. საგამომცემლო სახლი” ტექნიკური უნივერსიტეტი“

5) გვერდების რაოდენობა

1. 46-50 გვ.
2. 51-55 გვ.
3. 56-59 გვ.
4. 60-64 გვ.
5. 65-70 გვ.
6. 81- 87 გვ.
7. 88- 97 გვ.
8. 98-105 გვ.
9. 106-116 გვ.
10. 145-151 გვ.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1. დღეს საქართველოში სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებსა და სამშენებლო მასალებზე მზარდი მოთხოვნა აუცილებელს ხდის აღმოჩენილ იქნეს ნავთობისა და გაზის ახალი ბუდობები, სამშენებლო მასალები, მათ შორის ბიტუმიდაგროვებები. ნაშრომში განხილულია საქართველოს ტერიტორიაზე ბიტუმგამოვლინებები და შესწავლილია მათი შემცველი ნალექები, დათვლილია სავარაუდო მარაგები, მოცემულ ბიტუმებთან ერთად ძვირფასი მიკროელემენტების გამოვლენისა და საკონდიციო მნიშვნელობის დადგენის გზები .
2. სტატიაში განხილულია რიონის მთათაშუა როფის გეოლოგიური აგებულება, ტექტონიკური დარაიონება და მისი წარმოშობის ისტორია. მოცემულია მეზოკაინოზოური ჭრილის ამგები ძირითადი ქანების ლითოფაციალური დახასიათება.
3. სტატია მოიცავს რეგიონში ჩატარებული გეოქიმიური კვლევების მიმოხილვას, ნავთობისა და გაზის დედაქანების გამოსავლენად. განხილულია სხვადასხვა ასაკის დანალექი ქანის ლითოლოგიური და გეოქიმიური დახასიათება და ამ კვლევებზე დაყრდნობით გამოკვეთილია სავარაუდო ნავთობ-გაზმზადი ქანები რიონის დეპრესიაში.
4. RSS (Rotary Steerable System) ბრუნვით მართვადი სისტემა დახრილ მიმართული და ჰორიზონტალური ჭაბურღილების ბურღვისას საბურღი იარაღის ბრუნვით ლულის ტრაექტორიის მასტაბილიზებელი საშუალებაა, რომელიც სრულად ავტომატიზებულია და უზრუნველყოფს მაღალი სიზუსტის მიმართულებით

ბურღვას. აქვს მაღალი მექანიკური სიჩქარე, საექსპლუატაციოდ მარტივი გამოსაყენებელია და მუშაობის პროცესში ძალიან გამძლე. აღჭურვილია უახლესი ტექნოლოგიის ელექტრონული მოწყობილობით, შეუძლია ლულა დააკალიბროს, სტაბილური გახადოს და გაიყვანოს რთული, მყარად განსაზღვრული ტრაექტორიით, თავიდან აიცილოს მისი დაკლაკნა, გააუმჯობესოს სანგრევის გაწმენდა მონგრეული ქანის ნაწილაკებისაგან. RSS სისტემა საგრძნობლად ზრდის ბურღვის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს და ამიტომ რეკომენდებულია დაინერგოს ნინოწმინდის ნავთობგაწმენცველ ფართობზე.

5. ჰორიზონტალური ჭაბურღილების გაყვანისას განვითარებულ ნავთობმომპოვებელ ქვეყნებში ფართოდ დაიწყეს თანამედროვე მეთოდების გამოყენება, მათგან განსაკუთრებით ეფექტურია RSS (Rotori Steering Systems) ბრუნვით მართვადი სისტემა და Fishbone (თევზის ჩონჩხი) – ნავთობის მოპოვების ასამაღლებელი მოწყობილობა. RSS სისტემა საშუალებას იძლევა დახრილ-მიმართული და ჰორიზონტალური ჭაბურღილები სწრაფად და ზუსტად გაიბურღოს, თავიდან იქნეს აცილებული ლულის დაკლაკნა, გაუმჯობესდეს სანგრევის გაწმენდა მონგრეული ქანის ნაწილაკებისაგან, გაყვანილ იქნეს 10 კმ და მეტი სიგრძის ჰორიზონტალური ჭაბურღილები, მიჰყვებოდნენ რთულ, მყარად განსაზღვრულ ტრაექტორიას, სადაც მცირედმა გადახრამ შეიძლება გამოიწვიოს ნავთობმომპოვების მნიშვნელოვნად შემცირება ან მთლიანად დაკარგვა, რაც ხელახალი ბურღვისათვის უზარმაზარ ხარჯს მოითხოვს. რაც შეეხება Fishbone-ს, ის ჰორიზონტალური ჭაბურღილების მშენებლობის თანამედროვე ტექნოლოგიაა გრძელი მილის სახით, რომელშიც ჩამონტაჟებულია ათეულობით ან ასეულობით პატარა დიამეტრის მქონე წვრილი მილები, რომლებსაც ნემსებს უწოდებენ. კონსტრუქციაში სითხის 2,1 ტ/მ<sup>2</sup> წნევით დაჭირხნით ნემსები გამოდის მოწყობილობიდან და ფენაში იჭრება, რაც ფორმით თევზის ჩონჩხს ჰგავს და საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაზარდოს ფენის ნავთობით გაჯერებული უბნების გადაკვეთა. ამ მოწყობილობის გამოყენებას ნაკლები ხარჯები სჭირდება, ვიდრე სხვა მეთოდებით ფენის გადაკვეთას. Fishbone-ის გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის ნავთობის მოპოვებას.

6. ნაშრომში განხილულია მადნეულის პოლიმეტალური საბადო საყდრის-ყაჩალიანის ოქრო-სპილენძის მოპოვების უბანზე ჭაბურღილების გაყვანისას რევერსიული ბურღვის ტექნოლოგიის გამოყენების ეფექტურობის საკითხები. რევერსიული ბურღვის ხერხი შექცეული გაქრევით ჭაბურღილების გაყვანის პროცესია, სადაც კომპრესორი გამოიმუშავებს და მაღალი წნევით მიაწოდებს ჰაერის ნაკადს, რომელიც გაჯერებულია ზეთით და წყლით. ბურღვითი სამუშაოების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით ჰაერის ნაკადში დამატებულია ამქაფებელი საშუალება, ჭაბურღილის გაყვანისათვის გამოიყენება დარტყმით-ბრუნვითი ხერხი, ქანში ჭაბურღილის ჩაღრმავების გაზრდის მიზნით – თანამედროვე ჩაქურჩის სახეობები. წარმოდგენილია ასევე რევერსიული ტექნოლოგიის ბურღვისას გამოყენებული საბურღი ჩარხების, ჩაქურჩების და სხვა მოწყობილობების ტექნიკური დახასიათება. ამ ხერხმა საგრძნობლად შეამცირა საძიებო სამუშაოებზე დახარჯული დრო სვეტოვან ბურღვასთან შედარებით და

მნიშვნელოვნად გაზარდა ბურღვის და მნიშვნელოვნად გაზარდა ბურღვის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

7. განხილულია ევროპის ქვეყნებში გაზის სექტორის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და ენერგოსაფრთხოების პრობლემები. მათი მოგვარების მიზნით შემუშავებულია საკანონმდებლო ბაზა, რეგულაციები და ფინანსური ინსტრუმენტები. ნაჩვენებია შესაძლებლობები ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხების მოგვარებაში საქართველოს უფრო აქტიური ჩართულობისათვის.
8. განხილულია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ენერგეტიკული თანამეგობრობის ძირითადი მიზნები. მოცემულია გაზის ინფრასტრუქტურის განვითარების ძირითადი მიმართულებები

და სტრატეგიული გეგმები.

9. განხილულია ევროპის ქვეყნებში გათხევადებული და მილსადენის გაზის მიწოდების დივერსიფიკაციის საკითხები. გაანალიზებულია კასპის რეგიონიდან სამხრეთ კავკასიური დერეფნის რეალიზებული და პერსპექტიული პროექტები, რომლებიც, პირველ რიგში, უზრუნველყოფს რუსეთზე ძალზე დამოკიდებული (50 – 100 % - ით) სამხრეთ - აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ენერგეტიკულ უსაფრთხოებას.
10. სტატის ავტორებმა განიხილეს ეკოლოგიური პროცესების ანალიზში მათემატიკური მეთოდების გამოყენების ეფექტურობის საკითხი ამ ჟურნალის 2018 წლის მეოთხე ნომერში. შემოთავაზებულ სტატიაში ავტორები აგრძელებენ ამ იდეის განვითარებას, ამჯერად ადამიანის გარემოზე ურთიერთქმედების გათვალისწინებით. უმაღლესი მათემატიკის მეთოდების გამოყენება ზოგადი საინჟინრო საკითხების გადაწყვეტისას საშუალებას იძლევა მიღებულ იქნეს ისეთი ღირებული შედეგები, რომელთა მიღწევა სხვადასხვა მეთოდებით თუ საშუალებებით ხშირად შეუძლებელია. ამა თუ იმ პრობლემის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია დარგის სპეციალისტებმა შეძლონ მათემატიკურ მეთოდთა გამოყენება მოცემული საინჟინრო ამოცანების ამოსახსნელად, რისთვისაც პირველ რიგში საჭიროა ასეთი მეთოდების გაცნობა, განხილვა და შესწავლა. ამ მიზანს ემსახურება მოცემული სარეცენზიო სამუშაო, სადაც ნაჩვენებია თუ რამდენად ეფექტურია მათემატიკური მეთოდების გამოყენება ანთროპოგენული პროცესების (დასახლებული პუნქტების, სამრეწველო საწარმოების, ტრანსპორტისა და სხვ.) გარემოზე ზემოქმედების გავლენის შესწავლისას. ვტორებს ჯეროვანი ყურადღება აქვთ დათმობილი კვლევის სისტემური მიდგომის მეთოდოლოგიისათვის, რომლის ძირითადი დანიშნულებაა პასუხი გასცეს კითხვას, თუ როგორ მივიღოთ დროის ყოველ მომენტში სწორი გადაწყვეტილება, რომელიც დამოკიდებულია მრავალი განსხვავებული ტიპის ინფორმაციაზე, რაც შესაძლებლობას მოგვაცემს მოვახდინოთ სიტუაციის სრული ანალიზი და შევინარჩუნოთ ეკოლოგიური წონასწორობა. სპეციალისტი-თარჯიმანი, რომელსაც შეუძლია შექმნას კვლევის საერთო ენა ამ პირობებში, აღმოჩნდება მათემატიკოსი.



7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

გ. ხეცურიანი, გ. ლობჯანიძე, ბ. კახაძე, თ. ბუტულაშვილი, გ. მაჩაიძე, გ. ნანიტაშვილი.

2) მოხსენების სათაური

„მინერალური რესურსების ეფექტური გამოყენების გლობალური გამოწვევები და პერსპექტივები“

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

საქართველოს მინერალოგიური საზოგადოება, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი, მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია - „სამთო საქმისა და გეოლოგიის განვითარება ეკონომიკის აღორძინების წინაპირობა“

28-29 ოქტომბერი, 2021წ.

სტუ (ონლაინ რეჟიმში).

**შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის № 304 დეპარტამენტი**

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

1. ნინო რატიანი - დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი
2. თეიმურაზ კუნჭულია - პროფესორი
3. ლუცინდა ჩხეიძე - პროფესორი
4. ნინო ჯვარელია - პროფესორი
5. ნანა მაჭავარიანი - პროფესორი
6. ნანა რაზმაძე - პროფესორი
7. ომარ ლანჩავა - პროფესორი
8. მზია ქიტოშვილი - ასოცირებული პროფესორი
9. ნატო კიკნაძე - ასოცირებული პროფესორი
10. ნინო არუდაშვილი - ასოცირებული პროფესორი
11. ზაზა ხოკერაშვილი - ასოცირებული პროფესორი
12. სოფიო გიგაური - ასისტენტ პროფესორი
13. მარინა რობიტაშვილი - უფრ. ლაბორანტი
14. ლალი ცენტერაძე - უფრ. ლაბორანტი
15. ლელა სხირტლაძე - უფრ. ლაბორანტი
16. ზურაბ ცინცაძე - უფრ. ლაბორანტი

## 2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

### 2.1. „უსაფრთხოების ინჟინერია“

„ტრანსფორმირებადი სისტემების დამუშავება და გამოცდა საავტომობილო გვირაბში სიცოცხლის გადასარჩენად ხანძრის პირობებში“

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. AR-19-36

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2020-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროფესორი ლ. მახარაძე (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი);

2. პროფესორი ო. ლანჩავა (პროექტის კოორდინატორი);

3. პროფესორი თ. კუნჭულია (ძირითადი პერსონალი)

4. ასისტენტ-პროფესორი ნ. არუდაშვილი (ძირითადი პერსონალი);

5. აკადემიური დოქტორი ზ. ხოკერაშვილი (ძირითადი პერსონალი)

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

13-24 პროექტის შესრულება მიმდინარეობს გეგმაზომიერად. მეორე წლის გეგმით ყველა მონაწილისათვის გათვალისწინებული იყო შემდეგი ამოცანების შესრულება:

5. რიცხვითი ექსპერიმენტების შესრულება უარყოფითი ნაკადებისათვის: გვირაბის დახრილობა 0-10<sup>0</sup> ფარგლებში; ტს-ების (ტრანსფორმირებადი სისტემების) გარეშე; გვირაბის ცენტრალურ ნაწილში ხანძრის სიმძლავრე 30, 50, 100 მგვტ,
6. მე-5 პუნქტში დაგეგმილი ექსპერიმენტების შესრულება ტს-ებისა და ტრანსპორტის ჩართვით.
7. ფიზიკური მოდელირება დადებითი ნაკადებისათვის: გვირაბის დახრილობა 0-10<sup>0</sup> გრადუსი; ტს-ებისა და ტრანსპორტის ჩართვით; გვირაბის ცენტრალურ ნაწილში ხანძრის სიმძლავრე 30 მგვტ,
8. ფიზიკური მოდელირება უარყოფითი ნაკადებისათვის: გვირაბის დახრილობა 0-10<sup>0</sup> გრადუსი; ტს-ების გარეშე; გვირაბის ცენტრალურ ნაწილში ხანძრის სიმძლავრე 30 მგვტ,
9. მიღებული შედეგები: უკუდინების სიგრძის, კრიტიკული სიჩქარისა და გრადიენტ-ფაქტორის ცვალებადობის კანონზომიერებები გვირაბის დახრილობის, სითბოს გამოყოფის მაჩვენებლის, გვირაბის ტრანსპორტით შევსების კოეფიციენტის, გვირაბის სიგანის სიმაღლესთან ფარდობის, ტს-ების გავლენის მხედველობაში მიღებით.

ორ სამეცნიერო ფორუმში მონაწილეობა მიღებული შედეგებით. ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება.

## 5. ბექდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

### 5.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

1. ნანა რაზმაძე; ნინო რატიანი

2. ნანა რაზმაძე; ნინო რატიანი

3. ნინო ჯვარელია; ლუცინდა ჩხეიძე; სოფიო გიგაური

4. ლუცინდა ჩხეიძე; სოფიო გიგაური

5. ნანა მაჭავარიანი; სოფიო გიგაური
6. ნანა მაჭავარიანი
7. თეიმურაზ კუნჭულია
8. თეიმურაზ კუნჭულია; დ. კუხალაშვილი; ო. სომხიშვილი; მ. თამარაშვილი

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. შრომის უსაფრთხოება მშენებლობაში; ISBN 978-9941-28-841-8
2. შრომის უსაფრთხოება მშენებლობაში; (ელექტრონული ვერსია) სტუ-ს ბიბლიოთეკა CD\_6713
3. საწარმოო გარემოს სანიტარიული უსაფრთხოება; ISBN 978-9941-28-792-3
4. საწარმოო ავარიები და კატასტროფები; ISBN 978-9941-28-719-0
5. შრომის უსაფრთხოება; ISBN 978-9941-28-718-3
6. კაზუსები „შრომის უსაფრთხოების კანონისა და შრომის კანონმდებლობის შესახებ“ ISBN 978-9941-28-720-6
7. შრომის უსაფრთხოებასა და სამთო საწარმოთა აეროლოგიაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი ISBN 978-9941-28-796-1

8. რისკის და უზედური შემთხვევების ხელშემწყობი ფაქტორები;

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“
2. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“
3. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“
4. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“
5. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“
6. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“
7. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“
8. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“

4) გვერდების რაოდენობა

1. 222 გვ.
2. 222 გვ.
3. 178 გვ.
4. 34 გვ.
5. 120 გვ.
6. 28 გვ.
7. 7 გვ.
8. 7.5 გვ.

1-2. სახელმძღვანელოში განხილულია მშენებლობის უსაფრთხოების ძირითადი საკითხები საერთაშორისო გამოცდილებისა და ქართული სინამდვილის გათვალისწინებით. ხაზგასმულია ახალი საკანონმდებლო რეგულაციების გავლენა მშენებლობის უსაფრთხოების დონის ამაღლებაზე. გამოკვლეულია უსაფრთხო საჰაერო გარემოს შექმნისთვის გასატარებელი ღონისძიებები: მეტეოფაქტორების სრულყოფა, მტვრის, მავნე ნივთიერებათა, რადიოაქტიურ ნივთიერებათა

ნორმებთან შესაბამისობის, ხმაურთან და ვიბრაციასთან ბრძოლის, ერგონომიკური, განათების და ვენტილაციის საკითხები. ასევე განხილულია შრომის უსაფრთხოების ძირითადი ამოცანები საპროექტო დოკუმენტაციაში, ღონისძიებები სამშენებლო გენერალური გეგმის პროექტირების დროს, სამშენებლო მოედნის უსაფრთხო ორგანიზაცია და საშიში ზონები სამშენებლო მოედანზე. აღწერილია ცალკეული საშენი მასალების საწარმოებისა და საწყობების, არმატურის საამქროების, ცემენტისა და ბეტონის ქარხნების უსაფრთხოება. წარმოდგენილია ძირითადი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, მანქანა-მექანიზმების უსაფრთხოების, ელექტრო უსაფრთხოების და სახანძრო უსაფრთხოების საკითხებს.

ნაშრომი სრულად შეესაბამება სამშენებლო სპეციალობების ბაკალავრიატისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოს კრიტერიუმებს, ასევე, გამოსაყენებელია სხვა ტექნიკური სპეციალობების სტუდენტთათვის.

3. სახელმძღვანელოში „საწარმოო გარემოს სანიტარიული უსაფრთხოება“ განხილულია საწარმოებში სანიტარიული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი ცნებები, სამრეწველო საწარმოების, სათავსებისა და მოწყობილობების მიმართ წაყენებული სანიტარიული მოთხოვნები, როგორცაა: ნედლეულისა და მასალების ტრანსპორტი, სასაწყობე მეურნეობა; საწარმო სათავსები და მოწყობილობა.

სანიტარიული უსაფრთხოების ძირითადი პრაქტიკული ღონისძიებებია საწარმო სათავსების რაციონალური დაგეგმარება-განთავსება; სამუშაო ადგილების ორგანიზაცია; სავენტილაციო, განათების, წყალმომარაგების, გაზომომარაგების, გათბობის, საკანალიზაციო სისტემების მოწყობა და მათი უავარიო ფუნქციონირება; მომუშავეების უზრუნველყოფა საყოფაცხოვრებო-სანიტარიული მოწყობილობებით.

სანიტარიული უსაფრთხოება ითვალისწინებს მომუშავეების, სათავსების, საჰაერო გარემოს, სასმელი წყლის სანიტარიული დამუშავების მეთოდებს. განხილულია კონკრეტული საწარმოების სათავსებში გამოყენებული სავენტილაციო სისტემები, მათი სპეციფიკა, მავნე გამონაბოლქვებიდან ჰაერის გაწმენდის საშუალებები და მეთოდები.

სანიტარიული უსაფრთხოების კუთხით განხილულია საწარმო სათავსების განათების თავისებურებები, განათების როლი ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობაში. აღწერილია საწარმოებში რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთო სანიტარიული წესები, გამოსხივების წყაროებთან უსაფრთხოების უზრუნველყოფის სანიტარიულ-ტექნიკური სისტემები, ნარჩენების ჩამარხვის მეთოდები.

სახელმძღვანელოში განხილულია სხვადასხვა პროფესიული პათოლოგიების წარმოქმნის მიზეზები, კლინიკური სურათი და თავიდან აცილების პროფილაქტიკური ღონისძიებები.

სახელმძღვანელო დიდი მოცულობისაა და საინტერესო იქნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ბაკალავრისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის, საწარმო უსაფრთხოების დარგში მომუშავე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისათვის.

4. მეთოდურ მითითებებში განხილულია ქიმიურად საშიშ ობიექტებზე ავარიის შედეგების პროგნოზირება, ქიმიურად საშიში ავარიული ნივთიერებების დაღვრისას (გამოფრქვევისას). მოყვანილია ცხრილები და ფორმულები, რომლებიც საშუალებას იძლევა გამოთვლილ იქნეს მოწამლული ზონის ქიმიური მდგომარეობა - დაღვრილი (გამოფრქვეული) ნივთიერების პირველად და მეორეულ ღრუბლებში გადასული ეკვივალენტური რაოდენობა, მოწამვლის ზონის სიღრმე, მოწამვლის ზონის შესაძლო და ფაქტობრივი ფაქტორები, უახლოეს საწარმოსთან ან დასახლებულ

პუნქტთან მოწამლული ღრუბლის მიახლოების დრო, დაშავებულ ადამიანთა შესაძლო რაოდენობა (სტრუქტურის მიხედვით), დაღვრილი ნივთიერების აორთქლების დრო, მოქმედების ხანგრძლივობა.

ნაშრომი განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის. იგი ასევე დახმარებას გაუწევს საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში დასაქმებულ უსაფრთხოების სპეციალისტებს.

5. შრომის უსაფრთხოება ორგანიზაციული, ორგანიზაციულ-ტექნიკური, ტექნიკური, სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებების ერთობლიობაა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის შრომისნაყოფიერებისა და შრომისუნარიანობის დაცვას. მეთოდურ მითითებაში მოცემულია ამოცანების ამოხსნა. თითოეული ამოცანა შეიცავს სამუშაოს შესრულების მიზანს, ცხრილებს მოცემული პარამეტრებით, გათვლებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

პრაქტიკული სამუშაოების მიზანია თეორიული კურსის ათვისებისას ფორმულების სწორად გამოყენება, ამოცანაში დასმული დავალების ამოხსნა, ასევე სწორად და არგუმენტირებულად დასკვნების გაკეთება.

ნაშრომი განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის.

6. დამხმარე სახელმძღვანელოში განხილულია „საქართველოს შრომის კოდექსისა და შრომის უსაფრთხოების კანონის“ შესაბამისი კაზუსები.

წიგნი განკუთვნილია სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის საბაკალავრო-საგანმანათლებლო კვალიფიკაციის სტუდენტებისთვის.

7. ლექსიკონში თავმოყრილია შრომის უსაფრთხოებისა და სამთო საწარმოთა აეროლოგიაში გამოყენებული, ასევე ამ სფეროში ფართოდ გავრცელებული ზოგიერთი ზოგადი ტექნიკური ცნება და ტერმინი, რომელიც ანბანის მიხედვითაა დალაგებული.

ლექსიკონი გათვლილია სამთო-მომპოვებელი და სამრეწველო საწარმოების, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სპეციალისტებისა და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისა და კოლეჯების სტუდენტებისათვის.

8. დღეის მდგომარეობით, როდესაც სოფლიო ეპიდემიებისა და პანდემიის პიკზე იმყოფება, შრომის უსაფრთხოებას, როგორც პრევენციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას, განსაკუთრებული როლი ენიჭება. შრომის უსაფრთხოების კუთხით ინციდენტების ანალიზი აჩვენებს, რომ უმეტეს შემთხვევაში დასაქმებული, სამუშაო სივრცეში/ადგილზე მყოფი დასაქმებული და სხვა პირი სწორად ვერ აღიქვამს იმ რისკებს, რაც მათი ქმედებით ან უმოქმედობით შეიძლება დადგეს.

ყველა ინციდენტი, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებას ან/და ფატალური შედეგის დადგომას უკავშირდება, ავტომატურად აზიანებს კონკრეტული საწარმოო დაწესებულების, კომპანიის მორალურ და ფინანსურ ინტერესებს, მრავალ შესაძლოა გამოიწვიოს მათი გაკოტრება, უმუშევრობის ზრდა და სოციალური ფონის გაუარესება-დაძაბვა. აღნიშნული ნაშრომი არის მცდელობა, რომ დამსაქმებელს, დასაქმებულსა და სამუშაო სივრცეში/ადგილზე მყოფ სხვა პირს მარტივი ენით აუხსნას რისკის რაობა, რათა შრომის უსაფრთხოების პროცესი, მათი დასაქმების

ადგილზე და სახელმწიფოში ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე ხორციელდებოდა.

ნაშრომი საყურადღებო იქნება შრომის უსაფრთხოების სფეროში და ზოგადად დასაქმებულთათვის, სახელმწიფო და კერძო კომპანიათა ხელმძღვანელებისათვის, საზოგადოებისათვის.

#### 5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

##### 1) ავტორი/ავტორები

1. О. Ланчава, К. Цикаришвили

2. N. Ilias O. Lanchava G. Nozadze N. Ilias

3. O. Lanchava N. Ilias S.M. Radu M. Jangidze Z. Khokerashvili

4. ომარ ლანჩავა, გიორგი ნოზაძე, მარად ჯანგიძე

5. O. Lanchava, G. Javakhishvili

##### 2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1. О НЕОБХОДИМОСТИ МОНИТОРИНГА БЛАГОУСТРОЕННЫХ КАРСТОВЫХ ПЕЩЕР С ЦЕЛЬЮ ИХ ОПТИМАЛЬНОЙ ЭКСПЛУАТАЦИИ (НА ПРИМЕРЕ НОВОАФОНСКОЙ И ЦХАЛТУВСКОЙ ПЕЩЕР ГРУЗИИ). <https://doi.org/10.52340/gc.2021.307>

2. STUDY OF PROPAGATION OF HARMFUL FACTORS OF FIRE IN SHORT ROAD TUNNELS WITH DIFFERENT INCLINATIONS.

დამაზიანებელი ფაქტორების გავრცელების დინამიკა სხვადასხვა დახრილობის მოკლე საავტომობილო გვირაბებში. <https://doi.org/10.1051/matecconf/202134203023>

3. Fire development study on physical models of transport tunnels.

ხანძრის განვითარების შესწავლა სატრანსპორტო გვირაბების ფიზიკურ მოდელებზე. <https://doi.org/10.1051/matecconf/202134203020>

4. ტრანსფორმირებადი ზღუდარების სისტემა სატრანსპორტო გვირაბებში ხანძრების ლოკალიზაციისა და სიცოცხლისათვის საშიში შედეგების მინიმუმაციისათვის.

5. Impact of strong fires on a road tunnel ventilation system.

ძლიერი ხანძრის გავლენა საავტომობილო გვირაბის სავენტილაციო სისტემაზე.

##### 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ჟურნალი „ქართველი მეცნიერები“

2. MATEC Web of Conferences 342, 03023 (2021)

3. MATEC Web of Conferences 342, 03020 (2021)

4. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქპატენტი

5. BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის ბიულეტენი

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი 2021

2. Petrosani, Romania 2021

3. Petrosani, Romania 2021

4. სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენი 2021 12 10

5. თბილისი 2021 ტომი 15, N4

5) გვერდების რაოდენობა

1. 7

2. 9

3. 10

4. 5

5. 11

1. კარსტული მღვიმეების მიკროკლიმატი ფორმირდება სითბოსა და ტენის (მასის) გაცვლის ერთობლივად მიმდინარე პროცესით ორკომპონენტთან თერმოდინამიკურ სისტემაში “მღვიმური ჰაერი – გარემომცველ ქანთა მასივი”. მღვიმური წარმონაქმნები ამ შემთხვევაში მიკუთვნებულია ქანთა მასივზე. ერთობლივი თბომასაგადაცემის პროცესი შესაძლებელია განხილული იქნას როგორც სითბოსა და მასის გადაცემის მარტივი პროცესი, ანუ ერთმანეთში გაიმიჯნოს საკუთრივ თბოგადაცემა და აორთქლებისა და კონდენსაციის მოვლენები ამ უკანასკნელთა შეფასების გამარტივების მიზნით. შესაბამისად შედარებით უტყუარი უნდა იყოს აორთქლებისა და კონდენსაციის მოვლენებზე დაკვირვებათა შედეგები მაშინ, როცა შესაძლებელია მითითებული მარტივი პროცესების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ნაჩვენებია მღვიმური მიკროკლიმატის ცვალებადობაზე დაკვირვების საჭიროება და აუცილებლობა წყალტუბოსა და ახალი ათონის მღვიმეების ექსპლუატაციის გამოცდილების მხედველობაში მიღებით.

2. განხილულია 400 მ-მდე სიგრძის გვირაბებში სხვადასხვა სიმძლავრის 5, 10, 15, 20, 30, 50 მგვტ ხანძრებით გამოწვეული წვის პროდუქტების გავრცელება. გვირაბების დახრილობა რიცხვით მოდელებზე არის - 0, 1, 3, 5, 7, 9 %. გვირაბის განივი კვეთის ფართობია 42.5 m<sup>2</sup>. ნაჩვენებია „ბუხრის ეფექტი“ გამოწვეული ისეთი დამაზიანებელი ფაქტორების დინამიკური ცვალებადობა, როგორებიცაა: ნახშირბადის მონოქსიდი და ტემპერატურა. მოდელირება შესრულებულია FDS პროგრამულ გარემოში სასრულ მოცულობათა მეთოდის გამოყენებით. მოდელირებული პროცესის დრო შეადგენს 180 s. სასრული მოცულობის მინიმალური უჯრედის ზომა არის 0.25 x 0.25 x 0.25 m. ცეცხლის კერა განთავსებულია გვირაბის ცენტრალურ ნაწილში. მიღებული შედეგები მოცემულია გვირაბის ცენტრალური გრძივი კვეთის სიბრტყეში. სასაზღვრო პირობა მოცემული გვაქვს პორტალებს შორის სიმაღლეთა სხვაობით გამოწვეული დინამიკური წნევის ნაზრდის სახით ნორმალურ პირობებში.

3. შესწავლილია კვამლის გავრცელების ხასიათი, კრიტიკული სიჩქარის ცვალებადობა გვირაბის დახრილობის მიხედვით და აღნიშნული ცვალებადობის მახასიათებელი სიდიდე - გრადიენტ-ფაქტორი. აღნიშნულ სიდიდეებზე დაკვირვება ხდება გვირაბის მოდელზე ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობის მიხედვით. გაზომვა ხდება K ტიპის თერმოწყვილებით ღია და დახურული აღმქმელებით - გაზომილი მაქსიმალური შესაძლო ტემპერატურა 800 °C. თერმოწყვილები განთავსებულია გვირაბის მოდელის ჭერში გაკეთებულ ნახვრეტებში. ნახვრეტებს შორის მანძილია 5 და 10 სმ, რაც შეესაბამება ნატურაში გვირაბის სიგრძეს 5 და 10 მ. ხანძრის დამოდება ხდება

ბუნებრივი აირით. თერმოწყვილებიდან, ჰაერისა და გაზის ხარჯსაზომებიდან ანათვლების ერთდროული აღება, პირველადი ანალიზი და მონაცემების ციფრული ფორმით გადმოცემა ხდება მონაცემების შეგროვების „დატათეიქერის“ წარმოების DT85 მოწყობილობით.

4. გამოგონება განეკუთვნება სატრანსპორტო გვირაბებში სავენტილაციო ტექნოლოგიის დარგს და მიზნად ისახავს გააუმჯობესოს სავენტილაციო სისტემის ეფექტურობა ხანძრით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების დროს. ტრანსფორმირებადი სისტემის გამოყენებით შესაძლებელია გვირაბის სრულად ან ნაწილობრივად ოპერატიული დაყოფა მოკლე სიგრძის მონაკვეთებად, რაც შესაძლებელს გახდის შეაფერხოს წვის პროდუქტების უკონტროლო გავრცელება გვირაბში, გვირაბის აეროდინამიკური წინაღობის გაზრდის გზით. გამოგონების განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება სხვადასხვა სიმძლავრის ხანძრებით აღძრულ ნაკადებში სიცოცხლისათვის საშიში დამაზიანებელი ფაქტორების - ტემპერატურის, ნახშირბადის მონოქსიდის, ნახშირბადის დიოქსიდის, ქვარტლის კონცენტრაციის საშიში მატების, ჟანგბადის კონცენტრაციის შემცირების პროცესების კონტროლი და გავრცელების შეზღუდვა. ტრანსფორმირებადი ზღუდარების სისტემას სატრანსპორტო გვირაბებში დამონტაჟება მოხდება გვირაბის განივ კვეთში პერიმეტრზე. ზღუდარების სისტემის მართვა ხორციელდება ავტონომიური ელექტრო და მექანიკური ამძრავი სისტემით, ელექტრო ამძრავი სისტემის მართვა შესაძლებელია როგორც ცენტრალური პულტიდან, ასევე ადგილობრივი პულტით.

5. სატრანსპორტო გვირაბებისა და სხვა მიწისქვეშა ნაგებობების პირობებისათვის, ხანძრის შემთხვევაში, ადამიანების ევაკუაციის თითქმის ყველა მეთოდი, ხოლო ზოგჯერ ხანძრის ლიკვიდაციის გეგმა ითვალისწინებს სავენტილაციო ნაკადის მართვას ვენტილატორების მეშვეობით. წარმოდგენილი კვლევებიდან ჩანს, ვენტილატორების შესაძლებლობები ამ შემთხვევაში გადაჭარბებითაა შეფასებული. და ძლიერი ხანძრისას ისინი თავის ფუნქციას ვეღარ შეასრულებენ. გაჭუჭყიანებული სავენტილაციო ჰაერის მოძრაობის მიმართულება და ინტენსიურობა ამ დროს განპირობებული იქნება ხანძრის გავლენით და ჰაერმიწოდებელი გვირაბების სავენტილაციო ნაკადების პარამეტრები შეუთავსებელი იქნება სიცოცხლესთან ჰაერის სუფთა ჭავლში დიდი რაოდენობის წვის მავნე პროდუქტების შერევის გამო.

## 5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

### 1) ავტორი/ავტორები

1. თ.კუნჭულია ნ. რაზმაძე, თ.მალაფერიძე

2. თ.კუნჭულია ნ. რაზმაძე, თ.მალაფერიძე

3. ნ. რაზმაძე; მ. ქიტოშვილი

4. მ. ქიტოშვილი; ფ. ელიზარაშვილი

5. ნ. კიკნაძე

### 2) სტატიის სათაური, ISSN

1. ახალი საკანონმდებლო რეგულაციების გავლენა მშენებლობაზე ტრავმატიზმის სტატისტიკაზე

ISBN 1512-407X

2. მშენებლობაზე გავრცელებული ძირითადი ტრავმების ანალიზი და რისკების მართვა

ISBN 1512-4073.

3. „შრომის დაცვა და უსაფრთხოების მდგომარეობა სამუშაო ადგილებზე“

ISBN 1512-0457

4. ჯანმრთელობისთვის საშიში ჰაერი



ISBN 1512-0457

5. რადიაციის გავლენა ადამიანის ორგანიზმზე და რისკების შეფასება

ISSN 512-35-37

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. „სამთო ჟურნალი“, N 1 (44)

2. „სამთო ჟურნალი“, N 1(44)

3. საერთაშორისო რეფერირებული ჟურნალი „ნავთობი და გაზი“ #№34

4. საერთაშორისო რეფერირებული ჟურნალი „ნავთობი და გაზი“ #№34

5. „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ N 3 (52)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2021 წ.

2. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2021 წ.

3. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2021 წ.

4. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2021 წ.

5. თბილისი, 2021 წ.

5) გვერდების რაოდენობა

1. 6

2. 5

3. 4

4. 5

<https://drive.google.com/file/d/1vCaBeLFYsn1hvpvVJ338CaP8U8wEarQT/view>

<https://drive.google.com/file/d/193CCft0Auik2NoqX3twKIRfn57xu-8KK/view>

2. ბიზნეს-ინჟინერინგი - ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი, თბილისი, №03-04, 2021. გვ.171-175.

<https://drive.google.com/file/d/1HMVOvhMJeplBuxTaldp8CGq7gf5fKxby/view>

<https://drive.google.com/file/d/14YbWe7j8X8RZoPjyRfoWFae1ginFfWv5/view>

3. Caucasus Journal of Health Sciences and Public Health, თბილისი, 2021. (რედაქციაში გვითხრეს, რომ 2021 წლის ბოლომდე დაიბეჭდება). <http://caucasushealth.ug.edu.ge/>.

4. 1. International Journal of Pharmacognosy 155 IJP (2021), Vol. 8, Issue 4 (Research Article)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა.

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კოსტავას 77, კორპ. VI, სართ. VI, ოთ. 615ბ. ტელ.: 595 71-91-77; 599 10-91-90. ელ-ფოსტა: [info@bpengi.com](mailto:info@bpengi.com)

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კოსტავას 77, კორპ. VI, სართ. VI, ოთ. 615ბ. ტელ.: 595 71-91-77; 599 10-91-90. ელ-ფოსტა: [info@bpengi.com](mailto:info@bpengi.com)

3. Editorial Office: Georgia, 0175, Tbilisi, M. Kostava Street 77a, Building I. Tel: (+995 32) 24 11 44.

Email: [k.nanobashvili@ug.edu.ge](mailto:k.nanobashvili@ug.edu.ge)

4. International Journal of Pharmacognosy 155 IJP (2021), Vol. 8, Issue 4 (Research Article)

5) გვერდების რაოდენობა

1. 5 გვერდი.

### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

ეფექტური, უვნებელი ანტირეციდიული ფარმაკოთერაპიის ჩატარება მნიშვნელოვანია ფსიქოსომატური მდგომარეობის გათვალისწინებით. მკურნალობის ასეთი მეთოდია ჰომეოპათია, რომელიც წამლების ზემოქმედებით გამოყენებას გულისხმობს. ჰომეოპათიაში წამლის დოზის შემცირება ნივთიერების სერიული განზავებითა და პოტენცირებით მიიღწევა. თანამედროვე ჰომეოპათიის ფესვები შეიძლება უძველეს კოლხურ მედიცინაში ვეძებოთ. ბერძენი და რომაელი ავტორები მიუთითებენ, რომ უძველეს კოლხეთში ცნობილი იყო მცენარეთა განზავების მეთოდები, წამალთა დამზადების ტექნოლოგია და მათი გამოყენება სამკურნალო მიზნით.

კოლხეთის მეფე აიეტის ასული - მედეა ძველი წინაანტიკური სამყაროს სამედიცინო ტრადიციების ერთ-ერთ აღიარებულ ემბლემურ სახედ წარმოგვიდგება. მან იცოდა შხამის დამზადება და შემდგომ მისი წამლად გარდაქმნა, რაც ჰომეოპათიური ტექნოლოგიის გამოყენებითაა შესაძლებელი. მაგალითად, აკონიტის (*Aconitum* – ტილჭირი) აღმოჩენა, როგორც ვარაუდობენ, დაკავშირებულია მედეას სახელთან.

აკონიტი სუბტროპიკული მცენარეა, რომლის 60-მდე სახეობა არსებობს. საქართველოში გვხვდება მისი 6 სახეობა. „ორფიული არგონავტიკის“ მიხედვით, იგი იზრდებოდა მედეას ბაღში, ხოლო დიოდორ სილიციელი წერს, რომ აკონიტი ჰეკატემ - მედეას დედამ, აღმოაჩინა. მცირე დოზებით (ექსტრაქტების სახით) მას იყენებდნენ უძველეს კოლხეთში, როგორც გარეგან ტკივილდამამყუჩებელ საშუალებას ნევრალგიებისა და რევმატიზმის დროს. არსებობს აკონიტის მხოლოდ ერთი სახეობა - *Aconitum anthora* L., რომელიც შხამიანი აკონიტის ანტაგონისტია. მას შხამსაწინააღმდეგო მოქმედება აქვს. პროფ. მ. შენგელა აღნიშნავს, რომ შესაძლოა, დ. სიცილიელი სწორედ ამ შხამსაწინააღმდეგო აკონიტის აღმოჩენის შესახებ საუბრობს.

ვინაიდან, უძველეს კოლხეთში იცნობდნენ მცენარეთა განზავების მეთოდებს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჰეკატეს აღმოჩენა დაკავშირებულია არამარტო შხამსაწინააღმდეგო, არამედ - შხამიან აკონიტთანაც, რომლის სამკურნალო თვისებებიც მხოლოდ ჰომეოპათიური ტექნოლოგიით დამზადებისას ვლინდება. შესაძლოა, მას სწორედ ასეთი სახით იყენებდნენ. თანამედროვე ჰომეოპათიური აკონიტის (*Aconitum napellus*) შინაგანი მიღებით წარმატებით მკურნალობენ ნევრალგიას, ცხელებით დაავადებებს და ა.შ.

ნიკანდრო კოლოფონსკი „ალექსიფარმაკში“ მედეას მოიხსენიებს, როგორც განსაზღვრული წამლის, შხამის („მედეას შხამი“, „ერთდღიანი“, „კოლხური“, „ირისი“) აღმოჩენს. პლუტარქეს აზრით, მედეამ აღმოაჩინა წამალი ან შხამი, რომელსაც ის ნავთს ურეცდა; ხოლო, დ. სიცილიელის მიხედვით, ეს

იყო მცენარე. ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ მედეას მიერ აღმოჩენილი წამალი იყო შხამიანი აკონიტი, რომელიც სწორედ ჰომეოპათიური სახითაა უძლიერესი წამალი.

ამრიგად, თანამედროვე ჰომეოპათიის ფესვები შეიძლება მდიდარი ტრადიციების მქონე უძველეს კოლხურ მედიცინაში ვიპოვოთ, სადაც იცნობდნენ ჰომეოპათიური წამლების დამზადების მთავარ პრინციპს - მცენარეთა ექსტრაქტების განზავების მეთოდებს, რითაც შხამიანი მცენარეები სამკურნალო თვისებებს იძენს. თუმცა, სახელწოდება „ჰომეოპათია“ მაშინ არ არსებობდა.

2. 6 გვერდი.

### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

სამკურნალოწამლო ფორმების ბიოშელწევადობა - მათი თერაპიული ეფექტურობის შესაფასებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი. ფარმაცოკინეტიკური და ფარმაკოლოგიური კვლევების შემდგომი ჩატარება საშუალებას იძლევა, საიმედოდ შევაფასოთ ექსპერიმენტის შედეგად შერჩეული ფარმაცევტული ფაქტორების ბიოლოგიური მნიშვნელობა და დავადგინოთ სამკურნალო ფორმის ოპტიმალური შემადგენლობა.

სტატიაში განხილულია პერორული ხსნარების ბიოფარმაცევტული მახასიათებლები მნიშვნელოვანი ფარმაცევტული ფაქტორების გათვალისწინებით, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია სამკურნალოწამლო პრეპარატების შემადგენლობისა და ტექნოლოგიის მიზანმიმართული ოპტიმიზაცია. სამკურნალოწამლო ნივთიერებების აბსორბციაზე გავლენას ახდენს ხსნადობა, გამხსნელის შემადგენლობა, მისი PH, სიბლანტე და ზედაპირული დაჭიმულობა.

ხსნარებში გამხსნელების, სოლუბილიზატორების, კომპლექსწარმომქმნელების დამატებით ბიოშელწევადობა უმეტესად მატულობს; გემოსა და სუნის კორიგენტების, ანტიოქსიდანტებისა და კონსერვანტების, სტაბილიზატორების, საღებავი ნივთიერებებისა და პროლონგატორების დამატებით ბიოშელწევადობა მცირდება; ხოლო ბუფერული კომპლექსების დამატებით რეგულირდება ხსნარის PH, რაც განსაზღვრავს ბიოშელწევადობის დონეს, რადგან დისოცირებული ნივთიერებების ხსნადობა დამოკიდებულია ხსნარის PH-ზე.

### **3. ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

ჰომეოპათია საერთაშორისოდ აღიარებული თერაპიული სისტემაა, რომელიც ეხმარება ადამიანის ორგანიზმს თვითაღდგენაში, ამსუბუქებს დაავადების სიმპტომებს და აუმჯობესებს ადამიანის ჯანმრთელობის ზოგად მდგომარეობას. ჰომეოპათიური პრეპარატები შეიცავენ სამკურნალო ნივთიერების მიკროდოზებს და თითქმის არ გააჩნიათ ტრადიციული პრეპარატებისათვის დამახასიათებელი გვერდითი მოვლენები. ჰომეოპათიური პრეპარატები აღიარებულია და მკაცრად რეგულირდება აშშ-ს სურსათისა და წამლის გამოყენების სააგენტოს (FDA – U.S. Food and Drug Administration) მიერ 1938 წლიდან.

ჩვენი ექსპერიმენტის ობიექტს წარმოადგენდა საქართველოში მოპოვებული ადამის ფესვი (Thamus communis), რომელიც ჰომეოპათიაში გამოიყენება ჭორფლის, ნამზურისა და სხვა ეტიოლოგიის ლაქების, ნაკაწრებისა და ნაწიბურების მოსაშორებლად, თემოს, წელის და სახსრების ტკივილის სწრაფად მოსახსნელად, მოყინული კიდურების დასაზელოდ.

აღნიშნული მცენარისგან დამზადებული ჰომეოპათიური პრეპარატები ურეცეპტოდ გაიცემა მხოლოდ 3X და მეტი განზავებით და ხელმისაწვდომია როგორც ბურთულების, ისე წყალხსნარის სახით, მაგრამ არ გვხვდება ჰომეოპათიური მალამოს ფორმით, რაც მოხერხებული ფორმაა პაციენტებისათვის, რომელთაც სხვადასხვა მიზეზების გამო არ შეუძლიათ პერორალური სამკურნალო საშუალებების გამოყენება.

ჩვენ მიზანს წარმოადგენდა ადამის ფესვისგან ჰომეოპათიური მალამოს მომზადება, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია რევმატიული დაავადებებით გამოწვეული ტკივილების სწრაფად მოსახსნელად.

4. საქართველოში მოზარდი სკიპალოს (Cephalaria gigantea) ფესვებიდან თანამედროვე მაღალეფექტური HPLC-UV-MS მეთოდით გამოფილი და იდენტიფიცირებული იქნა ექვსი ფენოლური მჟავა:

ქლოროგენის მჟავა, კოფეინის მჟავა, 4,5-დი-კოფეოილქვინის მჟავა, 3,5-დი-კოფეოილქვინის მჟავა, 3,4-დი-კოფეოილქვინის მჟავა და 3,4,5-ტრი-კოფეოილქვინის მჟავა. აღნიშნული კვლევის მიზანი იყო სკიპალოს ფესვებიდან მიღებული კრუნჩხვების საწინააღმდეგო აქტივობის ფრაქციის ფენოლური შენაერთების თვისობრივი იდენტიფიკაცია, შემდგომში მათი რაოდენობრივი სტანდარტიზაციის მიზნით. HPLC მეთოდით, კრუნჩხვების საწინააღმდეგო ექსტრაქტის შემადგენელი ფენოლური მჟავების ეფექტური დაყოფა მოხერხდა აცეტონიტრილის გამოყენებით 5% დან 40% მდე გრადიენტულ პირობებში 25 წთ განმავლობაში. ნივთიერებების შეკავების დროების მიხედვით, ასევე შესაბამისი სტანდარტების UV და MS სპექტრების გამოყენებით, დადგინდა, რომ 3,5-დი-კოფეოილქვინის მჟავა და 3,4-დი-კოფეოილქვინის მჟავა წარმოადგენენ საანალიზო ფრაქციის დომინანტ ნივთიერებებს და პირველად იქნა მოწოდებული ჩვენს მიერ სკიპალოს ფესვებიდან.

ჩვენს მიერ მიღებული შედეგები საფუძვლად დაედება კრუნჩხვების საწინააღმდეგო აქტიური ფრაქციის რაოდენობრივი სტანდარტიზაციის მეთოდის შემუშავებას, ხოლო აღნიშნული ფრაქცია მოწოდებულია ეპილეფსიის ფსიქოსომატური ფორმების პრევენციისა და მკურნალობისათვის.

## 6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

### 6.1. მონოგრაფიები/წიგნები

#### 1) ავტორი/ავტორები

1. -

#### 2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. -

#### 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. -

#### 4) გვერდების რაოდენობა

1. -

#### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

-

### 6.2. სახელმძღვანელოები

#### 1) ავტორი/ავტორები

1. -

#### 2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. -

#### 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. -

#### 4) გვერდების რაოდენობა

1. -

#### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

-

### 6.3. კრებულები

#### 1) ავტორები

1. -

#### 2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. -

#### 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. -

#### 4) გვერდების რაოდენობა

1. -

#### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

-

#### 6.4. სტატიები

##### 1) ავტორი/ავტორები

1. -

##### 2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. -

##### 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. -

##### 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. -

##### 5) გვერდების რაოდენობა

1. -

#### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

-

#### 7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

##### 7.1. საქართველოში

##### 1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. მედეა ჩიქავა, თამარ ცინცაძე, ნინო ყურაშვილი.

##### 2) მოხსენების სათაური

1. პერორული ხსენების ბიომედიკაციის დამოკიდებულება ფარმაცევტულ ფაქტორებზე.

##### 3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი „თანამედროვე ტრენდები ეკონომიკაში, ტექნოლოგიებსა და განათლებაში“, მიმდინილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 100 წლისთავისადმი.

22 ოქტომბერი, 2021, თბილისი, საქართველო.

*მომხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*

მომხსენების ანოტაცია გამოქვეყნდა ფორუმის მასალებში. იხ. ზემოთ.

##### 7.2. უცხოეთში

##### 1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. -

##### 2) მოხსენების სათაური

1. -

##### 3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. -

#### **სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება**

ქიმიის დეპარტამენტი

#### **სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით**

დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მ. ცინცაძე

პროფესორი თ.წივწივაძე

ნ.კუციავა

რ.კლდიაშვილი

ასოც.პროფესორი	ჟ.პეტრიაშვილი ნ.გეგეშიძე ნ.კილასონია თ.გიორგაძე ე.თოფურია თ.ტუსიაშვილი ნ.ბოლქვაძე ნ.იმნაძე
ასისტ.პროფესორი	ლ.ბერიშვილი თ.ედილაშვილი მ.მამისეიშვილი ნ.ამაშუკელი მ.ქოჩიაშვილი ი.უგრეხელიძე

## 1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

### 1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. „კობალტის და ნიკელის ქლორიდული, თიოციანატური კოორდინაციული ნაერთები მეტა-ბრომბენზოილჰიდრაზიდთან“
2. “გარდამავალი 3d-მეტალების კოორდინაციული ნაერთების სინთეზი 2-ამინოპირიდინის მეთილწარმოებულებთან, ნიკოტინამიდთან, იზონიკორინამიდთან და პიკოლინამიდთან, შარდოვანასთან, დიპირიდითთან, ჰიდრაზიდებთან და ჰიდრაზონებთან, მათი აღნაგობის დადგენა და ბიოლოგიური აქტივობის კვლევა”
3. კობალტის (II) ჰეტერობირთვული შერეულიგანდიანი კომპლექსური ნაერთების სინთეზი და კვლევა
4. “მეტა-ნიტრობენზალდეჰიდის მეტაბრომბენზოილჰიდრაზონთან ერთსახელიანი ლითონების (3 d -რიგის გარდამავალი ლითონების) კოორდინაციული ნაერთების სინთეზი და მათი ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური თვისებების კვლევა”

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2019 – 2022 წწ
2. 2019 – 2023 წწ
3. 2019 – 2022 წწ
4. 2018 – 2022 წწ

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მ.ცინცაძე, ნ.კილასონია
2. მ.ცინცაძე, ნ.გეგეშიძე
3. მ.ცინცაძე, ნ.გეგეშიძე
4. მ.ცინცაძე, ნ.კილასონია



**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

**1. „კობალტის და ნიკელის ქლორიდული, თიოციანატური კოორდინაციული ნაერთები მეტა-ბრომბენზოილჰიდრაზიდთან“**

კობალტის და ნიკელის სულფატური, ნიტრატული, თიოციანატური კომპლექსნაერთების სინთეზი მეტა-ბრომბენზოილჰიდრაზიდთან, რომლის მოლეკულაც წინასწარ შესწავლილია კვლევის კვანტურ-ქიმიური მეთოდით და გამოვლენილია მისი, როგორც ლიგანდის კოორდინაციული შესაძლებლობები.

სინთეზირებული ნაერთების შესწავლა შთანთქმის იწ სპექტროსკოპიის, ელემენტური ანალიზის და ატომურ-აბსორბციული სპექტროსკოპიის მეთოდებით.

სინთეზირებული ნაერთების ბიოლოგიური აქტივობის კვლევა და შედარებითი ანალიზი ბენზოილჰიდრაზიდის საფუძველზე მიღებული კომპლექსნაერთების ბიოლოგიურ აქტივობასთან.

**2. „გარდამავალი 3d-მეტალების კოორდინაციული ნაერთების სინთეზი 2-ამინოპირიდინის მეთილწარმოებულებთან, ნიკოტინამიდთან, იზონიკოტინამიდთან და პიკოლინამიდთან, შარდოვანასთან, დიპირიდითთან, ჰიდრაზიდებთან და ჰიდრაზონებთან, მათი აღნაგობის დადგენა და ბიოლოგიური აქტივობის კვლევა“**

კობალტის (II), ნიკელის (II), სპილენძის (II), მანგანუმის (II), რკინის (II), თუთიის და კადმიუმის (II) მარილების (სულფატები, ნიტრატები, ქლორიდები, ბრომიდები) ნიკოტინამიდთან, იზონიკოტინამიდთან და პიკოლინამიდთან, დიპირიდითთან და სხვ. კომპლექსწარმოქმნის უნარზე გამსწავლის გავლენის შესწავლა კვანტურ-ქიმიური AM1 მეთოდით.

ჩამოთვლილი ლიგანდების გამოყენებით ჰეტერობირთვული ბიმეტალური კომპლექსური ნაერთების სინთეზი. აციდოლიგანდებად შერჩეულია თიოციანატ-იონი, ნიტროპრუსიდ იონი, ფეროციანიდ-იონი.

სინთეზირებული ნაერთების აღნაგობის და სხვა ფიზიკურ ქიმიური თვისებების შესწავლა სხვადასხვა კვლევის მეთოდებით: პრეპარატული, ელემენტური ანალიზი, ინფრაწითელი და ელექტრონული სპექტროსკოპული, რენტგენოგრაფული, თერმოგრაფული, რენტგენოსტრუქტურული ანალიზი.

თერმოგრაფიმეტრული და კალორიმეტრული კვლევის საფუძველზე სინთეზირებული ნაერთების გამოყენების შესაძლებლობის დადგენა შპინელის ტიპის ნაერთების მისაღებად.

სინთეზირებული ნაერთების ანტიბაქტერიული, ანტივირუსული, ფუნგიციდური და სხვა ბიოლოგიური თვისებების კვლევა

**3. სინთეზირებულია კობალტის (II) ჰეტერობირთვული შერეულლიგანდიანი კომპლექსური ნაერთები ფეროციანიდ-იონის და ნიტროპრუსიდ-იონის გამოყენებით. ორგანულ ლიგანდებად შერჩეულია იზონიკოტინამიდი და პიკოლინამიდი. მიმდინარეობს სინთეზირებულ კომპლექსურ ნაერთებში ორგანული ლიგანდების და აციდოჯგუფების კოორდინირების წესის დადგენა. სინთეზირებული ნაერთების კვლევა გულისხმობს სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას: ატომურ-აბსორბციული, იწ-სპექტროსკოპიის, თერმოგრაფიმეტრული კვლევის და სხვ., ბიმეტალური კომპლექსების თერმოლიზის შედეგად ერთფაზიანი სისტემის მიღების შესაძლებლობა.**

იგეგმება სინთეზირებული ჰეტერობირთვული შერეულლიგანდიანი კომპლექსური ნაერთების ბიოლოგიური კვლევის ჩატარება

**4. „მეტა-ნიტრობენზალდეჰიდის მეტაბრომბენზოილჰიდრაზონთან ერთსახელიანი ლითონების (3 d -რიგის გარდამავალი ლითონების) კოორდინაციული ნაერთის სინთეზი და მათი ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური თვისებების კვლევა“**

ახალი ჰიდრაზონის - მეტა-ნიტრობენზალდეჰიდის მეტაბრომბენზოილჰიდრაზონის საფუძველზე, რომელიც წინასწარ იქნა სინთეზირებული ეთანოლხსნარიდან და შესწავლილი იქნა კვანტურ-ქიმიური მეთოდით სხვადასხვა გამსწავლებში, კობალტის (II), ნიკელის(II),

თუთიის, კადმიუმის, სპილენძის(II) ქლორიდებთან, ნიტრატებთან, სულფატებთან და თიოციანატებთან ახალი კოორდინაციული ნაერთების სინთეზი.

სინთეზირებული ნაერთების აღნაგობის და სხვა ფიზიკურ ქიმიური თვისებების შესწავლა სხვადასხვა კვლევის მეთოდებით: რასტრული ელექტრონული სპექტროსკოპიის მეთოდი, ინფრაწითელი და ელექტრონულ- სპექტროსკოპული, რენტგენოგრაფული, თერმოგრაფული, რენტგენოსტრუქტურული ანალიზი.

სინთეზირებული ნაერთების ანტიბაქტერიული, ანტივირუსული, ფუნგიციდური და სხვა ბიოლოგიური თვისებების კვლევა.

## 1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. ზოგიერთი 3d-ლითონის კოორდინაციული ნაერთები მეტა-ბრომბენზომჟავას ჰიდრაზიდთან
2. ზოგიერთი 3d ლითონის კოორდინაციული ნაერთები მეტანიტრობენზალდეჰიდის პარა-ნიტრობენზოილჰიდრაზიდთან

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2019 – 2021 წწ

2. 2018 – 2021 წწ

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მ.ცინცაძე, ნ.კილასონია

2. მ.ცინცაძე, თ.გიორგაძე

**დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1. ზოგიერთი 3d-ლითონის კოორდინაციული ნაერთები მეტა-ბრომბენზომჟავას ჰიდრაზიდთან - კვლევის საგანს წარმოადგენს მეტა-ბრომბენზოილჰიდრაზიდთან მეტალების კოორდინაციული ნაერთების სინთეზი, მათი აღნაგობისა და ინდივიდუალურობის დადგენას ზოგიერთი ფიზიკურ-ქიმიური მეთოდით. საწყისი მარილების სახით შერჩეულ იქნა კობალტის(II) და ნიკელის II) ქლორიდები და თიოციანატები. ამ მეტალების ბიოკოორდინაციული ნაერთები განსაკუთრებული ბიოაქტიურობით გამოირჩევიან.

მეტაბრომბენზოილჰიდრაზიდის მოლეკულა შესწავლილია კვანტურ-ქიმიური ნახევრადემპირიული AM1 მეთოდით სხვადასხვა გამხსნელში. მოლეკულის შესწავლამ აღნიშნული მეთოდით, გარდა გეომეტრიული და სტრუქტურული მახასიათებლებისა, გამოავლინა დონორული ატომები - კარბონილის ჯგუფის(C=O) ჟანგბად-ატომი, ჰიდრაზიდული ჯგუფის (C=N) აზოტის ატომი. აგრეთვე, ვარაუდი გამოითქვა ბრომის ატომის შესაძლო მონაწილეობის შესახებ კომპლექსწარმოქმნაში.

თეორიული ხასიათის გათვალისწინებით შედეგად დაიგეგმა და განხორციელდა კოორდინაციული ნაერთების სინთეზი. სინთეზირებულია 4 ახალი კოორდინაციული ნაერთი:  $\text{CoCl}_2 \cdot (\text{MBBH})_2$ ,  $\text{NiCl}_2 \cdot (\text{MBBH})_2$ ,  $\text{Co}(\text{NCS})_2 \cdot (\text{MBBH})_2$ ,  $\text{Ni}(\text{NCS})_2 \cdot (\text{MBBH})_2$ . სინთეზი ჩატარებულია ეთანოლხსნარებში. სინთეზი ოთხივე ნაერთისთვის ჩატარებულია ერთნაირი მეთოდიკით. კობალტის და ნიკელის თიოციანატები სინთეზის დაწყებამდე მიღებულია ეთანოლხსნარებში. სინთეზირებული ნაერთები მდგრადია ჰაერზე. შესწავლილია მათი ხსნადობა არაორგანულ და ორგანულ გამხსნელებში და განსაზღვრულია ლდობის ტემპერატურა.

სინთეზირებული კოორდინაციული ნაერთები, ასევე მეტა-ბრომბენზოილჰიდრაზიდი, შესწავლილია შთანთქმის ინფრაწითელი სპექტროსკოპიის მეთოდით, რაც სინთეზირებული ნაერთების აღნაგობის დადგენის და კვანტურ-ქიმიური გათვლების მონაცემებთან შედარებითი ანალიზის საშუალებას იძლევა.

თავისუფალი ლიგანდის და კომპლექსნაერთების შთანთქმის იწ სპექტრების შესწავლამ აჩვენა, რომ კობალტის და ნიკელის ქლორიდული კომპლექსნაერთების შემთხვევაში კოორდინაციული ბმა მეტალ-კომპლექსწარმომქმნელთან კარბონილის ჯგუფის ჟანგბადით და ამინოჯგუფის აზოტის ატომით ხორციელდება, წარმოიქმნება ხუთწევრიანი მეტალოციკლი და მეტა-ბრომბენზოილჰიდრაზიდის მოლეკულა კეტონური ფორმითაა გამოვლენილი. ქლორიდ იონები სავარაუდოდ შიდასფერულეობა, ხოლო კოორდინირებული წყლის მოლეკულების არსებობა სპექტრის მიხედვით არ შეინიშნება.

ანალოგიური სურათი გვაქვს თიოციანატური (როდანიდული) კომპლექსნაერთებისთვისაც. აქაც ლიგანდის მოლეკულა ბიდენტატურ-ციკლურია და რეალიზდება ხუთწევრიანი მეტალოციკლი კარბონილის ჟანგბადის და NH<sub>2</sub> ჯგუფის აზოტის ატომებით. თიოციანატ-ჯგუფები კი შიდასფერულეობა და მეტალთან N-ტიპის კოორდინაციულ ბმას წარმოქმნიან. შიდასფერული წყლის მოლეკულების არსებობა ამ შემთხვევაშიც არ შეინიშნება.

რაც შეეხება ბრომის ატომის მონაწილეობას მეტალ-კომპლექსწარმომქმნელთან კოორდინაციული ბმის წარმოქმნაში, ერთის მხრივ კვანტურ-ქიმიური გათვლის მონაცემების და მეორეს მხრივ იწ სპექტრის ანალიზის მიხედვით აღნიშნული ატომი კომპლექსწარმომქმნაში არ მონაწილეობს.

შედეგების შეჯამების შედეგად გამოყვანილია კომპლექსნაერთთა სავარაუდო აღნაგობა და ფორმულები.

- 2. ზოგიერთი 3d ლითონის კოორდინაციული ნაერთები მეტანიტრობენზალდეჰიდის პარანიტრობენზოილჰიდრაზთან.** სინთეზირებული იქნა მეტა-ნიტრობენზალდეჰიდის პარანიტრობენზოილჰიდრაზონი (მნბაპნბჰ-L) და ლითონთა კოორდინაციული ნაერთები. მარილების სახით შერჩეული იქნა კობალტის (II) და ნიკელის (II) ქლორიდები. ნახევრადემპირიული AM1 კვანტურ-ქიმიური მეთოდით მიღებული გათვლებით ნაჩვენებია ლითონებთან მეტა-ნიტრობენზალდეჰიდის პარანიტრობენზოილჰიდრაზონის (მნბაპნბჰ-L) მოლეკულის კომპლექსწარმოქმნის უნარი. დადგენილია მოლეკულის ენერგეტიკული, ელექტრონული და სტრუქტურული მახასიათებლები როგორც აირად ფაზაში ასევე წყალში და სხვადასხვა ორგანულ გამხსნელში (დიმეთილსულფოქსიდი, მეთანოლი, ეთანოლი, აცეტონი, ქლოროფორმი და ჰექსანი). მეტა-ნიტრობენზალდეჰიდის პარანიტრობენზოილჰიდრაზონის მოლეკულაში გამოთვლების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზით და მათი შეჯერებით დადგენილია ლიგანდის კოორდინირების წესი. ერთგვაროვანი სტრუქტურის, ჰაერზე მდგრად ნივთიერებებს. შესწავლილია მათი ხსნადობა წყალში და სხვადასხვა ორგანულ გამხსნელში, ინდივიდუალობის დადგენის მიზნით განსაზღვრულია ლობის ტემპერატურები. სინთეზირებული კომპლექსნაერთების აღნაგობის დადგენის მიზნით შევისწავლეთ მათი შთანთქმის ინფრაწითელი სპექტრები. სპექტრები ჩაწერილია 400-4000 სმ<sup>-1</sup> უბანში (ვაზელინის ზეთში). იწ სპექტრების შესწავლამ გამოავლინა - მეტა-ნიტრობენზალდეჰიდის პარანიტრობენზოილჰიდრაზონის მოლეკულის (ლიგანდის) და წყლის მოლეკულების კოორდინირების წესი. მეტა-ნიტრობენზალდეჰიდის პარანიტრობენზოილჰიდრაზონთან კობალტისა და ნიკელის ქლორიდული კომპლექსნაერთების ინფრაწითელი სპექტრების მონაცემებიდან გამომდინარე, დადგენილია აღნიშნული კოორდინაციული ნაერთების სტრუქტურული ფორმულები და აღნაგობა. შთანთქმის ინფრაწითელი სპექტრების შესწავლით მიღებული შედეგები სრულ თანხვედრაშია ნახევრადემპირიულ AM1 კვანტურ-ქიმიური გათვლებით მიღებულ მონაცემებთან.

## 2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

### 2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. "ეტრატზე შესრულებული ფრაგმენტული ხელნაწერების კოდოლოგიური ანალიზი და მასალის სტრუქტურის კვლევა" საიდენტიფიკაციო კოდი FR-19-74-72

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2020 – 2023 წწ.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. თ.აბულაძე (პროექტის ხელმძღვანელი), შ.თავაძე (პროექტის კოორდინატორი), ძირითადი შემსრულებლები: რ.კლდიაშვილი, ნ.მეგენიშვილი, ი.ჯიქიძე, ლ.ახობაძე

### **გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

პროექტის მიზანია ეტრატზე შესრულებული ქართული ხელნაწერი ფრაგმენტების მულტიმედია-ციფრული შესწავლა: კოდოლოგიური კვლევა, მხატვრული ღირებულების განსაზღვრა, ხელნაწერი მასალის სტრუქტურის დიაგნოსტიკა და დაცვის პირობების განსაზღვრა, მონაცემთა ბაზის შექმნა და არსებული მასალის ჩართვა საერთაშორისო სამეცნიერო მიმოქცევაში. კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ქართულ ხელნაწერ კოლექციაში (A, S, H, Q) ფრაგმენტული ხელნაწერი შეადგენს 1300 ერთეულს. ეტრატზე შესრულებული შესასწავლი ფრაგმენტების საერთო რაოდენობა 333 ერთეულს შეადგენს. მათი ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს IX-XVI საუკუნეებს. ხელნაწერების მულტიკომპლექსური შესწავლა, ხელნაწერი მასალის სტრუქტურისა და კოდოლოგიური თვალსაზრისით კვლევა ხელნაწერთმცოდნეობაში ნოვაციაა, ხელნაწერის ტექნოლოგიურკოდოლოგიური და მასალის სტრუქტურული კვლევა კომპლექსურად, მათ შორის ფრაგმენტი ხელნაწერების, კოდოლოგიის სრულიად ახლი დარგის, ფრაგმენტოლოგიის, მოთხოვნების გათვალისწინებით აქამდე არ ჩატარებულა. პროექტით გათვალისწინებულია ფრაგმენტების მასალის კვლევა უახლოესი თანამედროვე დიაგნოსტიკის მეთოდოლოგიით, შესაბამისი აპარატურის გამოყენებით. აღნიშნულ მიმართულებას წარმართავს ცენტრის კონსერვაციისა და რესტავრაციის სამეცნიერო ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სტუ-ის პროფესორი რევაზ კლდიაშვილი. პროექტში ჩართულია, როგორც კონსულტანტი, გრაცის უნივერსიტეტის (ავსტრია) პროფესორი, გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა და სპეციალური კოლექციის დეპარტამენტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ერიკ რენჰარტი.

პროექტის განხორციელების პირველ წელს ჩატარდა შემდეგი სამუშაოები: შედგა ფრაგმენტის აღწერილობის სქემა, რომელიც მოიცავს შემდეგ პარამეტრებს: ტექნიკური აღწერილობა, კოდოლოგიური თავისებურებები, მხატვრობა, ტექსტოლოგიური შენიშვნები, დაზიანებები (ზედაპირის, მელნის, რესტავრაცია-კონსერვაციის შედეგად მიღებული), რეკომენდაციები - შენახვის/განთავსების პირობების, კონსერვაციის საჭიროებისა და მეთოდის განსაზღვრა. აღნიშნული პარამეტრებით აღიწერა ცენტრის S ფონდის ყველა ფრაგმენტი (5-6 გვერდამდე შემცველობის, H და Q ფონდების ფრაგმენტები. უმრავლესობა ყოველ ბიულეტენს დაერთო ფრაგმენტიდან გადაწერილი ტექსტი. საგანგებო

ყურადღება დაეთმო დაზიანებების დეტალურ აღწერას - ზედაპირი, მელანი და სხვ. საანგარიშო პერიოდში (2021 წლის 11 მარტამდე) აღიწერა 128 ფრაგმენტი.

## 2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. -

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. -

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. -

*დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

-

## 3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

### 3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1. -

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. -

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. -

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

-

### 3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1. -

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. -

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. -

*დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

-

## 4. პატენტები

### 4.1. საერთაშორისო პატენტები:

1) საპატენტო თემატიკის სათაური

1. -

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები

1. -

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. -

#### 4.2. ეროვნული პატენტები

1) საპატენტო თემატიკის სათაური

1. -

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები

1. -

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. -

### 5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

#### 5.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები

1. მ.ცინცაძე, ნ.გეგეშიძე

2. მ.ცინცაძე, ი.შარია, თ.გიორგაძე, გ.ცინცაძე

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. დიმეთილსულფოქსიდის, N,N-დიმეთილფორმამიდის და კარბამიდის (შარდოვანას) კომპლექსწარმოქმნის უნარი (რუსულ ენაზე) ISBN 978-9941-28-812-8

2. „Co(II) და Ni(II)-ის კოორდინაციული ნაერთები აზოტ- და ჟანგბადშემცველ ლიგანდებთან - ჰეტეროციკლური რიგის წარმოებულებთან (მეტა-ნიტრობენზალდეჰიდის ჰიდრაზონებთან)“ ISBN 978-9941-28-700-8

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

2. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

4) გვერდების რაოდენობა

1. 109 გვ

2. 98 გვ

#### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. მონოგრაფიაში „დიმეთილსულფოქსიდის, N,N-დიმეთილფორმამიდის და კარბამიდის (შარდოვანას) კომპლექსწარმოქმნის უნარი“ (რუსულ ენაზე) მოყვანილია ჩატარებული კვანტურ-ქიმიური გათვლების შედეგები ნახევრადემპირიული AM1 მეთოდით, შესწავლილია გამხსნელის გავლენა დიმეთილსულფოქსიდის, N,N-დიმეთილფორმამიდის და კარბამიდის (შარდოვანას) კომპლექსწარმოქმნის უნარზე. გათვლების შედეგად დადგენილია ორგანული მოლეკულების სტრუქტურული, გეომეტრიული და ენერგეტიკული მახასიათებლები, გამოვლენილია დონორი ატომები, დადაგენილია ორგანული ლიგანდების კოორდინირების წესი მეტალ-კომპლექსწარმოქმნელთან. სინთეზირებულია კობალტის (II), ნიკელის(II), თუთიის, სპილენძის (II), მანგანუმის (II), რკინის (II) მონობირთვული კოორდინაციული ნაერთები დიმეთილსულფოქსიდთან და N,N-დიმეთილფორმამიდთან. აგრეთვე სინთეზირებულია ჩამოთვლილ მეტალებთან თიოციანატური ორმაგი და ბიმეტალური კომპლექსური ნაერთები N,N-დიმეთილფორმამიდთან. შესწავლილია მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, ჩატარებულია ელემენტური ანალიზი. სინთეზირებულ ნაერთებში ორგანული ლიგანდების და თიოციანატური ჯგუფის კოორდინირების წესის დადგენის მიზნით ჩატარებულია სინთეზირებული ნაერთების კვლევა იწ სპექტროსკოპიის მეთოდით. კვლევის შედეგად დადგენილია, რომ მთელ რიგ ნაერთში თიოციანატური ჯგუფი ასრულებს

ხიდურ ფუნქციას. აგრეთვე ჩატარებულია სინთეზირებული ნაერთების თერმოგრაფიმეტრული კვლევა.

2. მონოგრაფიაში „Co(II) და Ni(II)-ის კოორდინაციული ნაერთები აზოტ- და ჟანგბადმემცველი ლიგანდებთან – ჰეტეროციკლური რიგის წარმოებულებთან (მეტა-ნიტრობენზალდეჰიდის ჰიდრაზონებთან)“ – მოცემულია მეტა-ნიტრობენზალდეჰიდის ბენზოილჰიდრაზონის (L) და მეტა-ნიტრობენზალდეჰიდის მეტა-ნიტრო-ბენზოილჰიდრაზონის (L') მოლეკულების სინთეზის მეთოდები, მათი კვლევა AMI კვანტურ-ქიმიური მეთოდით და კომპლექსარმოქმნის უნარი. მოცემულია ასევე მეტა-ნიტრობენზალდეჰიდის ბენზოილჰიდრაზონთან (L) და მეტა-ნიტრობენზალდეჰიდის მეტა-ნიტრობენზოილჰიდრაზონთან (L') ლითონების, კერძოდ, Co(II)-ის და Ni(II)-ის როდანიდული და ნიტრატული მეტა-ნიტრობენზალდეჰიდის ბენზოილჰიდრაზონთან (L) და ჰალოგენური, როდანიდული, ნიტრატული კომპლექსნაერთები მეტა-ნიტრობენზალდეჰიდის მეტა-ნიტრობენზოილჰიდრაზონთან (L') კოორდინაციული ნაერთების სინთეზი და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, შთანთქმის იწ სპექტრები, აღნაგობა, თერმოგრაფიმეტრული და კალორიმეტრული კვლევა. ნაშრომში ნაჩვენებია მეტა-ნიტრობენზალდეჰიდის ბენზოილჰიდრაზონთან კობალტ(II)-ის და ნიკელ(II)-ის ქლორიდების ბიოლოგიური აქტიურობა.

## 5.2. სახელმძღვანელოები

### 1) ავტორი/ავტორები

1. მ.ცინცაძე, ნ.გეგეშიძე, ნ.კილასონია

2. მ.ცინცაძე, ნ.კილასონია

3. ჟ.პეტრიაშვილი, რ.კლდიაშვილი

4. ჟ.პეტრიაშვილი, რ.კლდიაშვილი

5. Zh.Petriashvili

6. . Zh.Petriashvili

### 2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. არაორგანული ქიმიის კურსი (s- და p- ელემენტები), ISBN 978-9941-28-699-5

2. არაორგანული სინთეზის თეორიული საფუძვლები

3. ვირტუალური ლაბორატორიული სამუშაოები ზოგადქიმიისში (ელექტრონული სწავლება) დამხმარე

სახელმძღვანელო ISBN-978 9941 28 754-1

4. ლაბორატორიული სამუშაოები ზოგადქიმიისში-სტუდენტის რეალური(ელექტრონული

სწავლება) ISBN-978 9941 28 818

5. VIRTUAL LABORATORY WORKS IN GENERAL CHEMISTRY (Auxiliary guide) ISBN-978 9941 28 849-4

6. VIRTUAL LABORATORY WORKS IN GENERAL CHEMISTRY (Workbook) ISBN-978 9941 28 848-7

### 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

2. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

3. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

4. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

5. „Technical university”, Tbilisi

6. „Technical university”, Tbilisi

### 4) გვერდების რაოდენობა

1. 190 გვ

2. 126 გვ

3. 130 გგ

4. 60 გგ

5. 70

### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. სახელმძღვანელოში „**არაორგანული ქიმიის კურსი (s- და p- ელემენტები)**“, განხილულია s- და p-ელემენტების და მათი ძირითადი ნაერთების დახასიათება, ნაერთების მიღების ხერხები, აღნიშნული ელემენტების მნიშვნელოვანი ნაერთები, განხილულია მათი გამოყენების სფეროები. გამოცემა მოიცავს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ არაორგანული ქიმიის კურსის ყველა ძირითად საკითხს. გარდა ამისა მოყვანილია ისტორიული ცნობები ელემენტების და ნაერთების აღმოჩენების შესახებ. საკითხები წარმოდგენილია თანამედროვე დონეზე, განხილულია ზოგიერთი რეაქციის მექანიზმი, მასალა აგებულია ისე, რომ სტუდენტს გაუადვილდეს პროგრამით გათვალისწინებული მასალის ათვისება. გამოცემას თან ერთვის ქიმიური ნივთიერებების აღმნიშვნელი უსაფრთხოების სიმბოლოები და მათი განმარტება.
2. სახელმძღვანელო „**არაორგანული სინთეზის თეორიული საფუძვლები**“ გათვალისწინებულია ქიმიური სპეციალობების, როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის სტუდენტებისთვის და მოიცავს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა საკითხს. სახელმძღვანელო შექმნილია არაორგანული სინთეზის თეორიული საკითხებისა და ამ საკითხების შესაბამისი ლაბორატორიული სამუშაოების სწავლების ხანგრძლივი გამოცდილების საფუძველზე. სახელმძღვანელოში გადმოცემული თეორიული საკითხები განხილულია ქიმიის მეცნიერების განვითარების შესაბამის თანამედროვე დონეზე.

წარმოდგენილ სახელმძღვანელოში მოცემულია ისეთი ძირითადი საკითხები, როგორცაა ნაერთის წარმოქმნის უშუალო ფაქტის დადგენა, ან ამა თუ იმ რეაქციის მიმდინარეობა; მოცემული რეაქციით ნივთიერების ინდივიდუალური სახით მიღების შესაძლებლობის და საჭირო პირობების გამოვლენა; რეაქციის მიმდინარეობის რაოდენობრივი ახსნა. არაორგანულ სინთეზში გამოყენებული რეაქტივების ორი პირობითი ჯგუფი: წონასწორული სინთეზი და გენეალოგიური სინთეზი. სახელმძღვანელოში მოყვანილია აგრეთვე არაორგანული სინთეზის მეთოდების სისტემატიზაცია სხვადასხვა მიდგომების მიხედვით, როგორცაა სინთეზირებული ნივთიერებების კლასის მიხედვით (ოქსიდების, ჰიდროქსიდების, ჰიდრიდების და სხვ. სინთეზი); სინთეზში გამოყენებული ქიმიური რეაქტივების ტიპის მიხედვით (ქლორირება, ჰიდროლიზი, თერმოლიზი და სხვ.); რეაგენტების აგრეგატული მდგომარეობის მიხედვით (სინთეზი აირად, მყარ და თხევად ფაზაში); გამოყენებული აპარატურის მახასიათებლების (სახეობის) მიხედვით (სინთეზი ვაკუუმში, დაბალტემპერატურული სინთეზი და სხვ.); გამოყენებული რეაგენტების რაოდენობის მიხედვით (მაკრო-, ნახევრადმიკრო-, მიკროსინთეზი) და სხვ.

სახელმძღვანელო შედგება 8 თავისგან და შესაბამისი ქვეთავებისგან. განხილულია არაორგანულ ნივთიერებათა სინთეზი წყალხსნარებში და არაწყალხსნარებში, შესაბამისი ხელისშემშლელი პირობებით, ძნელად ხსნადი, უხსნადი და ადვილად ხსნადი ნივთიერებების სინთეზი, სინთეზი მყარ ფაზაში და აირად ფაზაში, ჟანგვა-აღდგენით მიმდინარე რეაქციები, ელექტროქიმიური რეაქციები არაორგანულ სინთეზში, კოორდინაციულ ნაერთთა სინთეზის თეორიული საკითხების მოკლე მიმოხილვა.

მოცემული თეორიული მასალა სტუდენტს გაუადვილებს სხვადასხვა საკითხების დამუშავებას და საშუალებას მისცემს, უკეთესად გაიაზროს ამა თუ იმ ნივთიერების სინთეზის პროცესი, მოახდინოს მიღებული შედეგების პროგნოზირება და წინასწარ განსაზღვროს რეაქციის გამოსავლიანობა, ახსნას სხვადასხვა პირობებში მიმდინარე სინთეზის ხელისშემშლელი გარემოებების გავლენა, დამოუკიდებლად დაგეგმოს სინთეზის განხორციელების პირობები და შეძლოს მიღებული შედეგების გაანალიზება. სახელმძღვანელოში შეტანილია პრაქტიკული ნაწილიც, რომელშიც მოცემულია ზოგიერთი არაორგანული ნივთიერების სინთეზის მეთოდიკები, აღწერილია სინთეზისთვის გამოყენებული ჭურჭელი და რეაქტივები, აქვე მოტანილია რეაქტივების კლასიფიკაცია და



მათი შენახვის პირობები. ეს კი სტუდენტს გაუადვილებს შემენილი თეორიული ცოდნა პრაქტიკულად გამოიყენოს კონკრეტული ნივთიერების მიღებისას, მოახდინოს შესაბამისი გათვლები და წინასწარ განსაზღვროს და გააანალიზოს სასურველი შედეგები, ახსნას რეაქციის გამოსავლიანობა.

3. „ვირტუალური ლაბორატორიული სამუშაოების კრებული ზოგად ქიმიაში“ განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არაქიმიური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. ნაშრომისაშუალებას მისცემს სტუდენტებს, ქიმიური ექსპერიმენტები ჩაატარონ სწავლების ერთ-ერთი გავრცელებული ვირტუალური მეთოდით. კრებული შედგენილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიის დეპარტამენტში შექმნილი ვირტუალური სამუშაოების ბაზაზე.

კრებულში მასალა შეტანილია ზოგადი ქიმიის სწავლების არსებული სილაბუსის მიხედვით და ძირითადად განკუთვნილია სტუდენტთა ელექტრონული სწავლებისათვის, თუმცა მისი გამოყენება შესაძლებელია სწავლების ნებისმიერ ფორმატში. ლაბორატორიული სამუშაოების ვირტუალურად ჩატარებისას სტუდენტი შეძლებს, ვირტუალურად დააკვირდეს სხვადასხვა ქიმიური პროცესის მიმდინარეობას, გაეცნოს საძიებო კითხვას, ჩამოაყალიბოს ჰიპოთეზა, ჩაატაროს ექსპერიმენტი, მოახდინოს მონაცემთა შეგროვება და ანალიზი, ააგოს შესაბამისი გრაფიკები და გააკეთოს სათანადო დასკვნები.

წარმოდგენილი ნაშრომი მოიცავს 11 სამუშაოს. პირველ სამუშაოში მოცემულია ქიმიური აღჭურვილობის აღწერა და შესაბამისი დავალება. მეორე და მესამე სამუშაო ეთმობა ექსპერიმენტულ ამოცანებს. დანარჩენი ლაბორატორიული სამუშაოები ექსპერიმენტულია და მოიცავს საკითხებს: ქიმიური ბმა და ელექტროგამტარობა, კომპლექსური ნაერთები, ქიმიური რეაქციის სიჩქარეზე მოქმედი ფაქტორები, ქიმიური წონასწორობის გადანაცვლება, იონური რეაქციები ხსნარებში, მარილთა ჰიდროლიზი, ჟანგვა-აღდგენითი რეაქციები და სხვა.

„ვირტუალური ლაბორატორიული სამუშაოების კრებული ზოგად ქიმიაში“ სხვა სასწავლო-მეთოდურ ლიტერატურასთან კომპლექსში დიდ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს პროგრამული მასალის უკეთ ათვისებაში.

1. სტუდენტებს „**ლაბორატორიული სამუშაოები ზოგადქიმიაში-სტუდენტს რვეული(ელექტრონული სწავლება)**“ საინტერესო როგორც ექსპერიმენტულ, ისე პრაქტიკულ თვალსაზრისით და იუგალსწინებს ექსპერიმენტის საფუძველზე გამოთვლების შესრულებას, მოცავს შესაბამის თეორიულ მასალას, მდდრა ვიზუალური მასალთა სამუშაო რვეულს სამუშაოების სტუდენტ შეძლებს გაეცნოს ექსპერიმენტულ სამუშაოს უსაფრთხოებას, დახასიათოს ჩატარებულ ექსპერიმენტს, ჩამოაყალიბოს საძიებო კითხვა და ჰიპოთეზა, შეაგროვოს და გააანალიზოს მონაცემები, ააგოს შესაბამისი გრაფიკები და გააკეთოს სათანადო დასკვნები.

ნაშრომი ემსახურება და ხელს უწყობს შემდეგი უნარების განვითარებას: საკითხის ცოდნის, გაგების და გამოყენების დემონსტრირებას; მონაცემების წაკითხვა და ორგანიზება; მონაცემების გადაყვანა ერთი სახიდან მეორეში (ცხრილების, გრაფიკების, სქემების წაკითხვა-შეგება-აგება), მონაცემების ანალიზი და შეფასება; მიზეზ-შედეგობრივი დადგენა; პრობლემის გადაჭრა.

რვეული მოიცავს 11 სამუშაოს. პირველ სამუშაოში აღწერილი ქიმიური აღჭურვილობა და მოცემულია შესაბამისი დავალება. დანარჩენი 10 ლაბორატორიული სამუშაო ექსპერიმენტულია.

სტუდენტის რვეულის გამოყენება ეფექტური იქნება როგორც დისტანციური, ისე ჰიბრიდული და პირისპირ სწავლების დროს და დიდ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს ჩატარებული ექსპერიმენტული მასალის უკეთ ათვისებაში.

გამოცემა განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არაქიმიური ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, რომელსაც შეესაბამება ფორმით სტუდენტი წარმოადგენს დოკუმენტური მასალის სახით.

2. კრებული "ვირტუალური ლაბორატორიული სამუშაოები ზოგად ქიმიაში"( VIRTUAL LABORATORY WORKS IN GENERAL CHEMISTRY (Auxiliary guide) ) განკუთვნილია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არა ქიმიური ფაკულტეტის სტუდენტებისთვის. ნაშრომი მოსწავლეებს საშუალებას მისცემს ჩაატარონ ქიმიური ექსპერიმენტები სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული-ვირტუალური მეთოდის გამოყენებით. კრებული შედგენილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიის დეპარტამენტში შექმნილი ვირტუალური ნამუშევრების საფუძველზე.

"ვირტუალური ლაბორატორიული სამუშაოები ზოგად ქიმიაში" შეიცავს მასალას ზოგადი ქიმიის სწავლებისათვის არსებული სილაბუსის მიხედვით და ძირითადად განკუთვნილია მოსწავლეთა ელექტრონული სწავლებისათვის, თუმცა მისი გამოყენება შესაძლებელია სწავლების ნებისმიერ ფორმატში.

სტუდენტს შეეძლება ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებისას პრაქტიკულად დაიცვას სხვადასხვა ქიმიური პროცესების მიმდინარეობა, გაეცნოს კვლევის კითხვარს, ჩამოაყალიბოს ჰიპოთეზა, გაეცნოს ექსპერიმენტული მუშაობის უსაფრთხოებას, ჩაატაროს ექსპერიმენტები, შეაგროვოს მონაცემები, გაანალიზოს მონაცემები, შეავსოს მონაცემთა ცხრილები, ააშენოს გრაფიკები და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები.

წარმოდგენილი ნაშრომი მოიცავს 11 ნამუშევარს. პირველ ნაშრომში მოცემულია ქიმიური აღჭურვილობის აღწერა და შესაბამისი დავალება. მეორე და მესამე ნაშრომი ექსპერიმენტულ ამოცანებს ეთმობა. სხვა ლაბორატორიული სამუშაოებიც ექსპერიმენტულია და მოიცავს შემდეგ საკითხებს: ქიმიურიბმა და ელექტროგამტარობა, რთული ნაერთები, ქიმიური რეაქციის სიქარეზე მოქმედი ფაქტორები, ქიმიური წონასწორობა, იონური რეაქციები ხსნარებში, მარილის ჰიდროლიზი, ჟანგვა-შემცირების რეაქციები და სხვა.

"ვირტუალური ლაბორატორიული მუშაობა ზოგად ქიმიაში" სხვა სასწავლო-მეთოდოლოგიურ ლიტერატურასთან ერთად დაეხმარება მოსწავლეებს უკეთ დაეუფლონ საპროგრამო მასალას. ის შეიძლება გამოყენებულ იქნას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებშიც.

3. სამუშაო წიგნი **"ვირტუალური ლაბორატორიული სამუშაოები ზოგად ქიმიაში" VIRTUAL LABORATORY WORKS IN GENERAL CHEMISTRY (Workbook)** განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არა ქიმიური ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, რომელიც სტუდენტის მიერ ივსება დოკუმენტური მატერიალის სახით.

ნაშრომი საინტერესოა როგორც ექსპერიმენტული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით და ითვალისწინებს ექსპერიმენტის საფუძველზე რაოდენობრივი გამოთვლების შესრულებას, მოიცავს შესაბამის თეორიულ მასალას, მდიდარია ვიზუალური მასალით.

სამუშაო წიგნის საშუალებით მოსწავლე შეძლებს გაეცნოს ექსპერიმენტული მუშაობის უსაფრთხოებას, დაახასიათოს ჩატარებული ექსპერიმენტი, ჩამოაყალიბოს საძიებო კითხვა და ჰიპოთეზა, შეაგროვოს მონაცემები, გაანალიზოს მონაცემები, ააგოს შესაბამისი გრაფიკები და გააკეთოს შესაბამისი დასკვნები.

ნაშრომი ემსახურება და ხელს უწყობს შემდეგი უნარების განვითარებას: საკითხის ცოდნის, გაგებისა და გამოყენების დემონსტრირება; მონაცემების წაკითხვა და ორგანიზება; მონაცემთა გადაცემა ერთი ტიპიდან მეორეში (წაკითხული-შევსება-ცხრილების, გრაფიკების, სქემების შექმნა); მონაცემების ანალიზი და შეფასება; მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობების დამყარება; პრობლემის გადაჭრა.

სამუშაო წიგნი მოიცავს 11 ნამუშევარს. პირველ ნაშრომში მოცემულია ქიმიური აღჭურვილობის აღწერა და შესაბამისი დავალება. დანარჩენი 10 ლაბორატორიული სამუშაოები ექსპერიმენტულია.

სტუდენტური სამუშაო წიგნის "ლაბორატორიული სამუშაო ზოგად ქიმიაში" გამოყენება ეფექტური იქნება როგორც დისტანციურ, ასევე ჰიბრიდულ და პირისპირ სწავლებაში და დიდი დახმარება იქნება სტუდენტებისთვის ექსპერიმენტული მასალის უკეთ დაუფლებისთვის.

"ლაბორატორიული მუშაობა ზოგად ქიმიაში" სხვა სასწავლო-მეთოდოლოგიურ ლიტერატურასთან ერთად დაეხმარება მოსწავლეებს უკეთ დაეუფლონ საპროგრამო მასალას. მისი გამოყენება შესაძლებელია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებშიც და უმაღლეს სასწავლებლებშიც.

### 5.3. კრებულები

1) ავტორი/ავტორები

1. გ. ელიავა, თ. ცინცაძე, ლ. თოფურია, ე. თოფურია

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. დამხმარე სახელმძღვანელო „ცხრილური რედაქტორის MS Excel-ის გამოყენება ქიმიურ-ფარმაცევტული წარმოების დანადგარების გაანგარიშებანი“ ISBN 978-9941-8-3080-8

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი

4) გვერდების რაოდენობა

1. 132 გვ

#### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. ნაშრომში განხილულია Excel-ის პროგრამით გათვალისწინებული მათემატიკური ოპერაციები, რომლებიც დასჭირდება სტუდენტს ქიმიური და ბიოლოგიური რეაქციების და პროცესების რაოდენობრივი შეფასებებისას, სამკურნალო საშუალებების ფარმოკომპონენტის ისეთი პარამეტრების განსაზღვრისათვის, როგორცაა ელიმინაციის სიჩქარის კონსტანტა ( $K_{elim}$ ), „ნახევარდაშლის პერიოდი“ ( $t_{1/2}$ ), საერთო კლირენსი (Cl<sub>T</sub>), განაწილების წარმოსახვითი მოცულობის ( $V_d$ ) და სხვა.

კონკრეტულ ამოცანებზე გაშუქებულია სამაგალითო პრაქტიკული მეცადინეობები, სადაც MS Office პროგრამაში შემავალი ცხრილური რედაქტორის MS Excel-ის გამოყენებით შეიძლება შევასრულოთ ქიმიურ-ფარმაცევტული წარმოების დანადგარების გაანგარიშება.

განკუთვნილია ქიმიური, ბიოლოგიური და ფარმაცევტული ტექნოლოგიების სპეციალობების სტუდენტებისათვის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის.

### 5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. -

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1. -

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. -

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. -

5) გვერდების რაოდენობა

1. -

#### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

-

### 5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. **М.Цинцадзе, Н.Гершидзе, Н.Киласония, Н.Енделадзе**

## 2. ლიტერატურული, ე.ხოსროსვილი, ქ.დადიანი, ე.თოფურია

2) სტატიის სათაური, ISSN

1. Синтез и исследование двойного комплексного соединения никеля (II) с изоникотинамидом и тиоцианатом ISBN 978-9941-28-699-5

2. „ნიადაგგრუნტების წყალფიზიკური თვისებების დადგენის სიზუსტის კოეფიციენტი“\_ISSN-1512-2344

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. „კერამიკა“, ტ. 23. 1(45) 2021, გვ. 71-79

2. საქართ. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სტუ ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტ. სამეცნიერო შრომათა კრებული თბილისი

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

2. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

5) გვერდების რაოდენობა

1. 9 გვ.

2. 85-89 გვ.

### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. ჩატარებულია კვანტურ-ქიმიური გათვლები ნახევრადემპირიული AM1 მეთოდით, შესწავლილია გამხსნელის გავლენა იზონიკოტინამიდის მოლეკულის კომპლექსწარმოქმნის უნარზე. გათვლებების შედეგად დადგენილია ორგანული მოლეკულის სტრუქტურული, გეომეტრიული და ენერგეტიკული მახასიათებლები, გამოვლენილია დონორი ატომები, დადაგენილია მისი კოორდინირების წესი მეტალ-კომპლექსწარმოქმნელთან. სინთეზირებულია ნიკელის(II) თიოციანატური კომპლექსური ნაერთი იზონიკოტინამიდთან. შესწავლილია სინთეზირებული ნაერთების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები. ორგანული ლიგანდების და თიოციანატური ჯგუფის კოორდინირების წესის დადგენის მიზნით ჩატარებულია სინთეზირებული ნაერთების კვლევა იწ სპექტროსკოპიის მეთოდით.

2. გაანალიზებულია ნიადაგგრუნტების წყალფიზიკური თვისებების ლაბორატორიული განსაზღვრის სიზუსტის არსებული პრაქტიკა.

ნაჩვენებია განმეორებითი ლაბორატორიული განსაზღვრების შედარების არსებული სიზუსტის კოეფიციენტის არასაკმარისობა.

გამოვლენილია ასეთი შეუსაბამობის მიზეზები.

შემოთავაზებულია, პარალელური ლაბორატორიული განსაზღვრების მონაცემების დასაშვებით სხვადასხვაობების ახალი გრადაცია.

## 6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

### 6.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები

1. -

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. -

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. -

4) გვერდების რაოდენობა

1. -

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

6.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

1. -

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. -

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. -

4) გვერდების რაოდენობა

1. -

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

-

6.3. კრებულები

1) ავტორები

1. -

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. -

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. -

4) გვერდების რაოდენობა

1. -

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

-

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. -

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. -

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. -

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. -

5) გვერდების რაოდენობა

1. -

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

-

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. **ჟ.პეტრიაშვილი, დ.სონღულაშვილი, რ.კლდიაშვილი.**

2) მოხსენების სათაური

1. „ბლენდირებული სწავლება ფიზიკასა და ქიმიაში“

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "განათლება, ტექნოლოგია და ინოვაცია" I International Conference on Education, Technology and Innovation ICETI 2021 15 დეკემბერი 2021/15th December, 2021 Tbilisi

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*

-

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. G.Eliava, T.Tsintsadze, P.Kasradze, R.Mzhavanadze, M.Balashvili L.Topuria, E.Topuria.

2) მოხსენების სათაური

1. . “THE ROLE OF ANATOMICO-PHYSIOLOGICAL PECULIARITIES IN PATHOGENETIC MECHANISMS DEVELOPMENT.”

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. LXX International Correspondence Scientific and Practical Conference: “European Research: Innovation in Science, Education and Technology”, March 10-11, 2021, London UK. ISBN 978-1-64655-088-3

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*

-

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება:**

**„პროფ. ვ. ერისთავის სახ. გარემოსდავითი ინჟინერიისა და ეკოლოგიის დეპარტამენტი“**

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით:**

გარემოსდაცვითი ინჟინერიისა და ეკოლოგიის დეპარტამენტის

უფროსი - პროფესორი დიმიტრი ერისთავი

პროფესორი შალვა ანდლულაძე

პროფესორი გიორგი მჭედლიშვილი

პროფესორი ლეილა გვერდწითელი

ასოც. პროფ. იზოლდა ბაზლაძე

ასოც. პროფ. ჯიმშერ ქერქაძე

ასოც.პროფ. მაკა დემეტრაძე

ასოც. პროფ. ეკატერინე მაცაბერიძე

ასოც. პროფ. მაია ქავთარაძე

ასოც. პროფ. მაია გუგუშიძე

ასისტ. პროფ. ნინო ბაგრატიონი

ასისტ. პროფ. ირინე გელეიშვილი

ასისტ. პროფ. ხათუნა წერომე

ასისტ. პროფ. მანანა მალულაშვილი

# 1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო - კვლევითი პროექტები

## 1.1

### 1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. „არაკონტროლირებადი ნაგავსაყრელების გავლენის შეფასება საქართველოს ზოგიერთი რეგიონის ეკოსისტემებზე მათემატიკური მოდელირების გამოყენებით“.

გარემოსდაცვითი ინჟინერია; გარემოს მდგომარეობის ეკო-ქიმიური კვლევა.

2. „საქართველოს ძირითადი ტრანსსასაზღვრო მდინარეების ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება და მათი კლასიფიკაცია ზოგიერთი ჰიდროქიმიური ინდიკატორების მეშვეობით.“

გარემოსდაცვითი ინჟინერია; გარემოს მდგომარეობის ეკო-ქიმიური კვლევა.

3. „ქ. ბათუმის საფურის საამქროს ეკოლოგიური ექსპერტიზა“

გარემოსდაცვითი ინჟინერია; გარემოს მდგომარეობის ეკო-ქიმიური კვლევა.

4. „ქალაქ თბილისის ფარგლებში მდინარე მტკვრის აუზის მცირე მდინარეებზე ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედების ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება და შემარბილებელი ღონისძიების შემუშავება“.

გარემოსდაცვითი ინჟინერია; გარემოს მდგომარეობის ეკოქიმიური კვლევა.

5. „აკუმულატორების ჯართისა და ნარჩენების გადამამუშავებელი წარმოების ეკოლოგიური ასპექტები“. გარემოსდაცვითი ინჟინერია; ნარჩენების გადამამუშავება.

6. „დმანისის საბადოს თხევადი და მყარი ფაზის ფიზიკური თვისებები, ქიმიური შემადგენლობა და მისი სამკურნალო მიზნით გამოყენება“.

გარემოს მდგომარეობის ეკოქიმიური კვლევა.

7. „სამთო მომპოვებელ საწარმოთა ჩამდინარე წყლების გაწმენდა მძიმე მეტალებისაგან“

გარემოსდაცვითი ინჟინერია;

8. „დამცავი დაფარვების-მოთუთიების საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასება“.

გარემოსდაცვითი ინჟინერია;

9. „მდინარე ყვირილას აუზის ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება და დამაბინძურებელ ნივთიერებათა გავრცელების რიცხვითი მოდელირება“.

გარემოსდაცვითი ინჟინერია, გარემოს მდგომარეობის ეკოქიმიური კვლევა.

10. „მდინარე იორის აუზის წყლების სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების სისტემად გამოყენების ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება“ და პრევენციული ღონისძიებების შემუშავება“.

გარემოსდაცვითი ინჟინერია, გარემოს მდგომარეობის ეკოქიმიური კვლევა.

### 2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2019 – 2022 წწ.

2. 2020 – 2022 წწ.

3. 2021 – 2022 წწ.

4. 2019 - 2022 წწ.

5. 2021 – 2022 წწ.

6. 2021 – 2022 წწ.

7. 2021 - 2022 წწ.
8. 2020-2022 წწ.
9. 2018 - 2023 წწ.
10. 2020-2023 წწ.

**3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)**

1. პროფ. დიმიტრი ერისთავი, აკად. დოქტ. ნუგზარ ბუაჩიძე - პროექტის თანახელმძღვანელები; დოქტორანტი ეკა შუბლაძე - პროექტის პასუხისმგებელი შემსრულებელი.
2. პროფ. დიმიტრი ერისთავი, აკად. დოქტ. ნუგზარ ბუაჩიძე - პროექტის თანახელმძღვანელები; მაგისტრანტი თეკლა ხუმასაშვილი - პროექტის პასუხისმგებელი შემსრულებელი.
3. ასოციერებული პროფესორი იზოლდა ბაზღაზე - პროექტის ხელმძღვანელი მაგისტრანტი თეა ხმიადაშვილი - პროექტის პასუხისმგებელი შემსრულებელი
4. ასოციერებული პროფესორი ჯიმშერ ქერქაძე, დოქტორი ლევან წულუკიძე - პროექტის თანახელმძღვანელები; დოქტორანტი ირაკლი როსტომაშვილი - პროექტის პასუხისმგებელი შემსრულებელი.
5. პროფესორი გიორგი მჭედლიშვილი; ასოციერებული პროფესორი მაია გუგეშიძე - პროექტის თანახელმძღვანელები; მაგისტრანტი ხათუნა შერმადინი - პროექტის პასუხისმგებელი შემსრულებელი.
6. პროფესორი შალვა ანდლულაძე - პროექტის ხელმძღვანელი; დოქტორანტი ომიადე ხათუნა - პროექტის პასუხისმგებელი შემსრულებელი
7. პროფესორი შალვა ანდლულაძე - პროექტის ხელმძღვანელი; დოქტორანტი ეკატერინე მუმლაძე - პროექტის პასუხისმგებელი შემსრულებელი.
8. პროფესორი ლეილა გვერდწითელი - პროექტის ხელმძღვანელი; მაგისტრანტი ქეთი ცუხიშვილი - პროექტის პასუხისმგებელი შემსრულებელი.
9. პროფესორი ლეილა გვერდწითელი, ალექსანდრე სურმავა - პროექტის თანახელმძღვანელები; დოქტორანტი მაია ოჩიგავა - პროექტის პასუხისმგებელი შემსრულებელი.
10. პროფესორი ლეილა გვერდწითელი, ალექსანდრე სურმავა - პროექტის თანახელმძღვანელები; დოქტორანტი ნინო შუმტაკაშვილი - პროექტის პასუხისმგებელი შემსრულებელი.

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)**

1. 2020-2021 წწ. პერიოდისათვის დაგეგმილი იყო აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ მუნიციპალურ ტერიტორიებზე (კახეთი, შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი) განლაგებული სტიქიური ნაგავსაყრელების ნიადაგების ნიმუშების ქიმიური ანალიზების ჩატარება (ზოგიერთი მძიმე ლითონების შემცველობაზე). ამისათვის, 2020-2021 წლებში განხორციელდა სავსე სამუშაოები აღმოსავლეთ საქართველოს 5 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. აღებული ნიადაგის საანალიზო ნიმუშები ტრანსპორტირდა გარემოს ეროვნული სააგენტოს ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიაში, სადაც, შესაბამისად ჩატარებულ იქნა აღებული ნიმუშების ყველა ქიმიური ანალიზი.

საანალიზო ნიმუშებში განისაზღვრა მძიმე ლითონები, როგორცაა Pb, Cu, Zn და Cd. ქიმიური ანალიზი სრულდებოდა ატომურ-აბსორბციული მეთოდით, კერძოდ - აქსიალური ინდუქციური პლაზმის სპექტრომეტრის - ICP-OES- საშუალებით, რომელიც მიჩნეულია ერთ-ერთ თანამედროვე და მგრძნობიარე მეთოდად მძიმე ლითონების განსაზღვრისას, ნებისმიერ ეკოსისტემაში.



2. 2020 – 2021 წლის სამუშაო გეგმის შესრულებული ნაწილი: მოძიებულ და დამუშავებულ იქნა ყველა ის ლიტერატურა თუ სამეცნიერო სტატიები, რომლებსაც შეხება აქვთ მოცემულ სამუშაოს თემატიკასთან და შესაბამისად დამუშავებულ და შეფასებულ იქნა ისინი ლიტერატურული მიმოხილვისათვის.

შესაბამისად შესრულებულ და გაფორმებულ იქნა სამეცნიერო თემის შესავალი და ლიტერატურული მიმოხილვა. შიქმნა მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს 2016-2020 წლების საქართველოს ძირითადი ტრანსსასაზღვრო მდინარეების (მდ. მტკვარი, მდ. ალაზანი, მდ.იორი, მდ.ხრამი) ფიზიკურ-ქიმიურ (pH, ელექტრო გამტარობა, მარილიანობა, ° t, წყალში გახსნილი ჟანგბადი), ჰიდროქიმიურ (ძირითადი იონები, ბიოგენური ელემენტების ზოგიერთი ფორმა, მძიმე ლითონები) მაჩვენებლებს. მონაცემები მოპოვებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰაერის, ნიადაგისა და წყლის ლაბორატორიის მიღებული შედეგებიდან, რომელიც აწარმოებს ყოველწლიურ მონიტორინგს საქართველოს ძირითად და მნიშვნელოვან მდინარეებზე.

უნდა აღინიშნოს რომ ეს ხუთწლიანი მონაცემები საჭიროა იმ ძირითადი პრობლემის გადასაწყვეტად რასაც ქვია მდინარეების კლასიფიკაციის დადგენა ზოგიერთი ჰიდროქიმიური ინდიკატორების მეშვეობით და რომელიც ექვემდებარება ევროდირექტივის მოთხოვნებს (წყლის ჩარჩო დირექტივა - 2000/60/EC) ზედაპირული წყლების კლასის დადგენასთან მიმართებაში.

3. შესრულებულია ლიტერატურული მიმოხილვის სამუშაო, რომელიც ითვალისწინებს საწარმოო ობიექტის განთავსების ადგილის შერჩევის კრიტერიუმებს, ეცნობა საწარმოო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის ბუნებრივი გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზს. შეისწავლის საფუარების საამქროს ტექნოლოგიურ პროცესს ძირითად სტადიებს, საწყისი ნედლეულისა და მიღებული პროდუქტის დახასიათებას. წარმოების კონტროლის და პროდუქციის ლაბორატორიული ანალიზის მეთოდებს.

საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნების და დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიური პროცესებიდან გამომდინარე განხილული იქნება გარემოზე ზემოქმედების სახეები: ატმოსფერული ჰაერის, ჰიდროსფეროზე (ტექნოლოგიური ჩამდინარე წყლების ჩაშვებისას) და ნიადაგის ხარისხობრივ მდგომარეობაზე ძემოქმედება და მათი შემდგომი ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლა.

4. კვლევის პირველი ეტაპის (2019-2020 წწ.) მიზანს შეადგენდა ქალაქ თბილისის ფარგლებში მდინარე მტკვრის აუზის მცირე მდინარეების შესახებ ლიტერატურულ წყაროებსა და ინტერნეტში მოკვლევულ მასალებზე დაყრდნობით სრული ინფორმაციის მოძიება-შეკრება და მათი სისტემატიზაცია. თავდაპირველად, ჩვენს მიერ მოხდა საქართველოს დედაქალაქის მასშტაბში მოქცეული მისი დედამდინარის – მტკვრის 22 მიკროშენაკადის ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლების ინფორმაციული აღწერა და მთელ რიგ მონაცემთა დაზუსტება.

2020-2021 წლებში სამეცნიერო კვლევები გაგრძელდა შემდეგი მიმართულებით. თავდაპირველად ორივე საკვლევ ობიექტზე (მდინარეებზე ლოჭინზე და ორხევზე) ჩატარებული საველე გასვლებით და GPS ნავიგატორის მეშვეობით ზუსტად იქნა მონიშნული საანალიზო სინჯების ასაღები ადგილები (ე.წ. კვეთები). ამ გზით თითოეული მდინარისათვის ცალ-ცალკე შერჩეული იქნა 4-4 კვეთი. ამასთანავე ჩვენს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება წლის განმავლობაში საანალიზო სინჯების სეზონურ ანუ ყოველკვარტალურ აღებაზე, რაც კვლევითი ანალიზებით განსასაზღვრავ მაჩვენებლებში გამოვლენილ ცვლილებათა დინამიკაზე დაკვირვების მეტ შესაძლებლობას მოგვცემს.

ამგვარად, შერჩეულ კვეთებზე საველე პირობებში გადასატანი პორტატული აპარატის WTW multi 3630 IDS-ის მეშვეობით გაიზომა საკვლევ მდინარეთა ზედაპირული წყლების ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები (ტემპერატურა, pH, ელექტროგამტარობა, წყალში გახსნილი ჟანგბადის რაოდენობა და

მარილიანობა), ამასთანავე ჩვენი საკვლევი ობიექტებისათვის, ISO სტანდარტების შესაბამისად საანალიზოდ აღებული, ზედაპირული წყლის სინჯების ლაბორატორიული გამოკვლევა ჩატარებულ იქნა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიაში.

აღნიშნულ ლაბორატორიაში ჩატარებული ქიმიური ანალიზებით განისაზღვრა ის გამაჭუჭყიანებელი ინგრედიენტები, რომლითაც სამრეწველო საწარმოთა მხრიდან ანთროპოგენური ზემოქმედებით ზედაპირული წყლების ეკოსისტემები ძალიან ხშირად ბინძურდება. კერძოდ, საანალიზო ნიმუშებში განისაზღვრა ძირითადი იონები ( $\text{HCO}_3$ ,  $\text{SO}_4$ ) ასევე ბიოგენური ელემენტების ფორმები ( $\text{NO}_2$ ,  $\text{NO}_3$ ,  $\text{NH}_4$  და  $\text{PO}_4$ ) და მძიმე ლითონები (Cu, Zn, Pb, Cd). თუმცა ჩვენი კვლევის ობიექტების ასეთმა კომპლექსურმა შესწავლამ, როგორც ჰიდროქიმიური, ასევე ფიზიკურ - ქიმიური მახასიათებლების დადგენის თვალსაზრისით, ჯერჯერობით ვერ მოგვცა ისეთი შედეგები, რაც ანთროპოგენური ზემოქმედების გავლენით საკვლევი წყლის ობიექტების კონკრეტულად კი, მათი მძიმე ლითონებით დაბინძურების მაღალ ხარისხზე მიუთითებდა, რადგანაც საანალიზო სინჯებში განსაზღვრული თითქმის ყველა ინგრედიენტის კონცენტრაციები ან საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ ანდა სრულებითაც არ აღემატებოდნენ მათივე ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების საყოველთაოდ დადგენილ მაჩვენებლებს.

ამიტომაც უკვე შერჩეულ კვებებზე წყლის სინჯების აღების პარალელურად, ასევე სავსე პირობებშივე აღებული ფსკერული ნალექებისა და მდინარეთა საანალიზოების მიმდებარე ტერიტორიების ნიადაგების ნიმუშებისათვისაც ცალკე იქნა ჩატარებული კვლევები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის გეოლოგიისა და მინერალურ ნივთიერებათა კვლევის დიაგნოსტიკისა და გადამუშავების რესპუბლიკურ ცენტრში რენტგენოფლოუორესცენტულ ანალიზატორზე EDX3600B. ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ ბუნებრივი და ზედაპირული წყლებისათვის დამახასიათებელი გაზრდილი ტუტეანობის შესაბამისი pH მაჩვენებელთადაფიქსირების გამო(რომელიც წყლის სინჯებზე ჩატარებული ქიმიური ანალიზებით დადასტურდა)მძიმე ლითონები (Cu, Zn, Pb და Cd) მოსალოდნელი იყო ძირითადად დაკონცენტრირებულიყვნენ ფსკერული ნატანების საანალიზოდ აღებულ სინჯებში. თუმცა ზემოაღნიშნულ რენტგენოფლოუორესცენტულ დანადგარზე ჩატარებულმა კვლევამაც ვერ მოგვცა მოსალოდნელი შედეგები და მძიმე ლითონები არც ფსკერული ნატანების სინჯებში არ ფიქსირდება მნიშვნელოვანი კონცენტრაციით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გადაწყვეტილი გვაქვს 2022 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტის მიერ ჩატარებულ სამეცნიერო კვლევებში კარგად აპრობირებული მათი ზემოაღნიშნული სინჯების ელექტრომაგნიტური რხევების ველის ენერგია (ზმს) გამოვიყენოთ ჩვენი ნიმუშებისათვისაც. მოსალოდნელია, რომ ზმს გამოსხივების გამოყენება, ზოგადად, სასარგებლო წიაღისეული მადნების, სხვადასხვა მინერალებისა და ქანების მექანიკური სიმტკიცის შემცირების კვალდაკვალ, ჩვენი საკვლევი ობიექტების ფსკერული ნატანებისა და ნიადაგის ნიმუშების სინჯებში გამოიწვევს მძიმე ლითონთა ნაერთების ძვრადობის გაზრდას, მათგან მძიმე ლითონთა გამოთავისუფლებასა და შესაბამისად, მათივე კონცენტრაციების მოსალოდნელ გაზრდასაც.

5. მიმდინარე პერიოდისთვის ძირითადად მომიებულია სამუშაო თემასთან დაკავშირებული სხვადასხვა ლიტერატურული მასალები. მათი გაცნობის, შესწავლის და გაანალიზების საფუძველზე, დავერეთ შესავალი ნაწილი, განსახილველი თემის აქტუალობა, მიზანი, აკუმულატორების ჯართის გადამუშავების ტექნოლოგიების განხილვა, მოსალოდნელი ნარჩენების დახასიათება და დასახულია სამუშაოს დასრულების ამოცანები.

შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ აკუმულატორების ჯართის უტილიზაცია წარმოადგენს მეორადი ლითონშემცველი ნედლეულის დამზადებისა და გადამუშავების მნიშვნელოვან პროცესს.

რომელსაც საფუძვლად უდევს, ერთისმხრივ, ტყვიისა და მისი ნაერთების განთავსებისას გარემოსათვის მაღალი ეკოლოგიური საშიშროება და მეორეს მხრივ კი, ტყვია-მჟავა აკუმულატორების გამოყენების მასშტაბები.

საწარმოს პროექტი ასევე ითვალისწინებს აკუმულატორების დამსხვრევის დროს წარმოქმნილი სხვა ნარჩენების (ეზონიტი, პოლიპროპილენი, პოლიეთილენი,) გადამუშავებას.

აკუმულატორების ჯართისა და ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობის მიზანია გამოყენებული აკუმულატორების უტილიზაციის პრობლემის გარკვეულწილად გადაწყვეტა. დღეისთვის ქვეყნაში მოქმედ ტყვიის სადნობ მცირე საწარმოებში მზადდება ძალზე დაბალი ხარისხის ტყვიის სადნობი, ხოლო მათ მუშაობასთან დაკავშირებული გარემოს დაბინძურების რისკი მაღალია. მოკლედ არის წარმოდგენილი ტყვიის, როგორც ტოქსიკური ლითონის დახასიათება. ასევე ტყვიისა და ტყვიის ნაერთების გარემოში გავრცელების მაღალი საშიშროება და მათი გარემოში გავრცელების პრევენციული ზომების სრული კონტროლის აუცილებლობა.

განხილულია ტყვიის აკუმულატორების ჯართის გადამუშავების რამოდენიმე ვარიანტი. ტექნოლოგიურ პროცესშიგამოსადნობი ღუმელის შერჩევის მიზნით განხილულია პრაქტიკაში არსებული ტყვიის სადნობი სხვადასხვა სახის ღუმელების დახასიათებები. მოცემული საპროექტო საწარმოსთვის, სხვადასხვა პარამეტრების და ეკოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით, წარმოდგენილია ტექნოლოგიური სქემის და გამოსადნობი ღუმელის შესაძლო ოპტიმალური ვარიანტი.

მოცემულია აკუმულატორების დაშლის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების დახასიათება.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიის მინიმოზაციის მიზნით პროექტით გათვალისწინებულია თანამედროვე აირგამწმენდი სისტემის დამონტაჟება, რომელიც უზრუნველყოფს მათი მაღალი პროცენტით დაჭერას, ხოლო ტყვიის შემცველი მტვრის საწარმოო ციკლში დაბრუნებას.

განსაზღვრულია სამუშაოს გაგრძელების შემდეგი ამოცანები.

6. 2021 წლის სამუშაო გეგმის შესრულებული ნაწილი: მოძიებულ და დამუშავებულ იქნა ყველა ის ლიტერატურა თუ სამეცნიერო სტატიები, რომლებსაც შეხება აქვთ მოცემულ სამუშაოს თემატიკასთან და შესაბამისად დამუშავებულ და შეფასებულ იქნა ისინი ლიტერატურული მიმოხილვისათვის. შესაბამისად შესრულებულ და გაფორმებულ იქნა სამეცნიერო თემის შესავალი და ლიტერატურული მიმოხილვა.

სამკურნალო ტალახი (პელოიდი), რითაც მდიდარია საქართველო, მიეკუთვნება გარემოს იმ ძვირფას ბუნებრივ ობიექტს, რომელიც ფართოდ გამოიყენება მოსახლეობის სამედიცინო, პარფიუმერიულ-კოსმეტიკურ და საკურორტო-სანატორიული მომსახურების სფეროში.

სამუშაოს მიზანია ჩატარებული იქნას კომპლექსური კვლევის სქემა, რომლის გამოყენება შესაძლებელს გახდის ნებისმიერი ადგილმდებარეობის და სხვადასხვა ტიპის ტალახების შესწავლის საფუძველს. რაც თავის მხრივ მათი გამოყენების პერსპექტიულობასთან დაკავშირებულ საკითხთა ახლებურად, მეცნიერულ დონეზე გადაჭრის საშუალებას მოგვცემს.

7. 2021 წლის სამუშაო გეგმის შესრულებული ნაწილი: მოძიებულ და დამუშავებულ იქნა ყველა ის ლიტერატურა თუ სამეცნიერო სტატიები, რომლებსაც შეხება აქვთ მოცემულ სამუშაოს თემატიკასთან და შესაბამისად დამუშავებულ და შეფასებულ იქნა ისინი ლიტერატურული მიმოხილვისათვის. ცნობილია, რომ სასარგებლო წიაღისელის აღმოჩენისა და გადამამუშავების დროს მძიმე მეტალებით დაბინძურებული კარიერული წყლების წარმოქმნა წარმოადგენს გარემოზე დამლუპველი ზეგავლენის მქონე ერთერთ მნიშვნელოვან ფაქტორს.

სამუშაოს მიზანს წარმოადგენს სპილენძმემცველი ტექნოგენური რესურსების გადამამუშავებისას წარმოქმნილი მჟავა კარიერული წყლების გაწმენდა მძიმე მეტალების იონებისაგან სულფიდური მეთოდის გამოყენებით. ასევე, მომავლში შემოთავაზებული ტექნოლოგია გარდა მჟავა კარიერული

წყლების გაწმენდისა, ასევე გაითვალისწინებს დასაწყობებული ნედლეულის გამოყენებას, რომლის გადამუშავებით მოხდება კონკურენტუნარიანი პროდუქტის-ბლანფიქსის მიღება, რომელსაც აქვს გამოყენების ფართო სპექტრი.

8. საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის წარმატება და გარემოზე მისი ზემოქმედების სიდიდე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული განთავსების ადგილის, ტექნოლოგიისა და გამოყენებული დანადგარების სწორად შერჩევაზე. ამიტომაც „გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ დებულების მოთხოვნათა შესაბამისად აუცილებელია ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი და ახალი ვარიანტების ფორმირების წესის აღწერა. ამ პროცესში გამოიყენება გადაწყვეტილების მიღების თეორიისა და სისტემური ანალიზის ზოგადი სქემა.

საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნების და დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიური პროცესებიდან გამომდინარე განხილულია გარემოზე ზემოქმედების შემდეგი სახეები: ატმოსფერული ჰაერის, ჰიდროსფეროსა და ნიადაგის ხარისხობრივ მდგომარეობაზე ზემოქმედება და მათი ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება. გათვალისწინებული არის წყლის მოხმარება როგორც ტექნოლოგიურ პროცესებში, ასევე საყოფაცხოვრებო დანიშნულებით. გამოყენებული წყლები, ჩაედინება საკანალიზაციო ქსელში, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ჩაშვების ნორმატივებს. საწარმოო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის ბუნებრივი გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი, საწარმოს ზეგავლენის შესწავლა გარემოს ობიექტებზე, სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, ადამიანის ჯამრთელობაზე, აგრეთვე ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვა აქტუალურია, რისთვისაც დასახულია გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა.

მოთუთიების ტექნოლოგიური პროცესის სპეციფიკიდან გამომდინარე წამოიქმნება სხვადასხვა ტოქსიკური ნივთიერების შემცველი ჩამდინარე წყლები, რომლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის სქემის დამუშავებაც არის სამაგისტრო ნაშრომის სიახლე.

9. სამუშაოს შესასრულებლად დასახულია მიზანი, დამუშავებულია ლიტერატურული წყაროები, შესწავლილია მდინარე ყვირილას ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, დადგენილია დაბინძურების ძირითადი წყაროები.

წყლის რესურსებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფის, ეკონომიკის, ნორმალური ფუნქციონირებისათვის, გარემოს შენარჩუნების საქმეში. მოსახლეობის წყლით მუზრუნველყოფა იყო და არის ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტული ამოცანა ქვეყნის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. როგორც სხვა ქვეყანაში ასევე საქართველოში აქვს ადგილი წყლის დაბინძურების მატებას. ამის მიზეზია წყლის ობიექტების არასაკმარისად გაწმენდილი წყლებითა და სამრეწველო ნარჩენებით დაბინძურება, ბუნებრივი წყალშემკრები ფართობების შემცირება, ტყის მასივის განადგურება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის არასწორი მეთოდებით წარმოება. წყლის ეკოლოგიური სისტემის მუდმივი დეგრადაციის მიზეზს წარმოადგენს წარმოებისა და მოხმარების არსებული სტრუქტურებისა და წყლის რესურსების გამოყენებისადმი წაყენებული მოთხოვნების შეუსაბამობა. ბუნებრივი წყლების სისუფთავის პრობლემის გადაჭრა დაკავშირებულია პირველ რიგში ჩამდინარე წყლების მოცულობის ზრდასთან.

მდინარე ყვირილა მიედინება დასავლეთ საქართველოში, საჩხერის, ზესტაფონის, თერჯოლის რაიონებსა და ჭიათურის საქალაქო საკრებულოს ტერიტორიაზე. იგი რიონის მარცხენა შენაკადია. მდინარე ყვირილას წყალს იყენებენ სარწყავად ასევე მანგანუმის მადნის გასამდიდრებლად გრავიტაციული მეთოდით. ყვირილას წყალი სოფ. დარაკვეთის ქვემოთ შავია, მის ზემოთ კი სუფთაა. სოფ. დარაკვეთის მანგანუმის მადაროებში მოპოვებული მადანი პირველად გადამუშავებას გადის მდინარე ჭრუჭულაზე არსებულ ქარხანაში, მექანიკურად დამუშავება მიმდინარეობს მოძველებული

მეთოდით. მდინარე ყვირილას დაბინძურება ხდება საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმისა“ და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ნარჩენებითა და ჩამდინარე წყლებით. მდინარე ყვირილას აბინძურებს ასევე მდინარე ჭრუჭულას სილიკატების ქარხანაც, რის გამოც ის თეთრ ფერს იღებს. საწარმოების მავნე ზემოქმედების ინტენსიობა მაღალია, რაც ძირითადად დაკავშირებულია ტექნოლოგიური რეჟიმისა და არსებული ნაგებობების ექსპლოატაციის არასრულყოფილებასთან.

საზოგადოების ჯამრთელობა დამოკიდებულია მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომ სუფთა წყლით სარგებლობაზე. ამიტომ მდ. ყვირილას აუზის ეკოქიმიური მდგომარეობის შეფასება აქტუალურია.

ჭიათურაში დღემდე მოპოვებულია 260 მილიონ ტონამდე ნედლი მადანი და რეალიზებულია 130 მილიონ ტონამდე სასაქონლო პროდუქცია. საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ მიერ მდ. ყვირილაში ჩაშვებული იქნა 13,5 მილიონი კუბური მეტრი წყალი, რომელიც დაბინძურებული იყო სხვადასხვა ნივთიერებებით, მათ შორის 1449 ტონა შეწონილი ნაწილაკებითა და 37,2 ტონა მანგანუმით. სოფელ დარკვეთში მდ. ყვირილას უერთდება სამრეწველო ნარჩენებით დაბინძურებული შავი და თეთრი შენაკადები, რის შედეგადაც მდ. ყვირილას წყალი იღებს შავ ფერს. ამის გამო იცვლება წყლის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, რაც ეს ზეგავლენას ახდენს მდინარის წყლის სისუფთავის ხარისხზე, ფლორასა და ფაუნაზე, ასევე მოსახლეობის ჯამრთელობაზე, მდინარე ყვირილას წყალი გამოუსადეგარია, როგორც სასმელ-სამეურნეო ასევე ტექნიკური წყალმომარაგების სისტემისათვის.

ამიტომ, სადოქტორო ნაშრომის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მდ. ყვირილას აუზის ძირითადი დამაბინძურებელი კომპონენტების მნიშვნელობების განსასაზღვრავი ეკოლოგიური მონიტორინგის ჩატარება. საქართველოს წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“. დასავლეთ საქართველოს მდინარეები ჩაედინება შავ ზღვაში და შესაბამისად გავლენას ახდენენ სანაპირო წყლების დაბინძურებაზე. წყლის რესურსების თანამედროვე მართვა დაფუძნებულია ინტეგრირებულ მიდგომაზე. ამიტომ სადისერტაციო ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს მდინარე ყვირილას წყალსა და ფსკერულ დანალექებში დამაბინძურებელ ნივთიერებათა კონცენტრაციათა მნიშვნელობების გავრცელების რიცხვითი მოდელირება.

10. სამუშაოს შესასრულებლად დასახულია მიზანი, დამუშავებულია ლიტერატურული წყაროები, შესწავლილია მდინარე იორის აუზის ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატის ცვლილების თანამედროვე ტენდენციების ფონზე, ჩამონადენის კრიტიკული დონეების საზღვრები.

მდინარე იორი მოედინება აღმოსავლეთ საქართველოში, სათავეს იღებს კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მწვერვალ ბორბალოსთან, ზღვის დონიდან 2600 მ სიმაღლეზე. ზემოწელში მიედინება ხეობაში, შუაწელზე კვეთს სამგორის ქვაბულს და ერთვის მინგეჩაურის წყალსაცავს. წარსულში იორი უერთდებოდა მდინარე ალაზხანს მარჯვენა მხრიდან. იორის სიგრძეა 320 კმ, აუზის ფართობი — 4650 კმ<sup>2</sup>. საზრდოობს ძირითადად თოვლის წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. მიწისქვეშა წყალზე

მოდის ჩამონადენის 38,7%, წვიმაზე - 33,3%, თოვლზე - 28,0%. წყალდიდობა იცის მარტ - ივლისის თვეში, წყალმოვარდნები - ზაფხულ - შემოდგომაზე, მდგრადი წუალმცირობა - ზამთარში. გაზაფხულზე მოდის წლის ჩამონადენის 43,0%, ზაფხულში - 30,0%, შემოდგომაზე - 16,0%, ზამთარში - 11,0%. წლის ჩამონადენი შეადგენს 341,0 მლნ. მ<sup>3</sup>.

იორის მარცხენა შენაკადებია: საგამი, გომბორი, ორვილი, ლაფიანხევი; მარჯვენა — ხაჩრულა, ქუსნო, ამეძი, გორანა და სხვა. ქვემო დინებაში აქვს დროებითი შენაკადები. წყლის საშუალო ხარჯი შესართავიდან 43 კმ-ში შეადგენს 12 მ<sup>3</sup>/წმ.

იორი სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებითაა. იორის ხეობას დასაწყისში აქვს ვიწრო და ღრმა მთის ხეობის ფორმა, შემდეგ იგი გადადის თიანეთის ვაკეში, სადაც მასში ჩაედინება ორი შენაკადი—

ქუსნო და საგამი. ამის შემდეგ იორი მიედინება სიონის ხეობაში, სადაც სიონის წყალსაცავია შექმნილი. მდინარე იორი ივრის ზეგანს ყოფს ორად: იორი-ალაზნისა და იორი-მტკვრის ნაწილად. ივრის მარცხენა ნაპირზე გავრცელებულია ნემომპალა-სულფატური და დამარილიანებული მიწები. იორზე აგებულია მარეგულირებელი სიონის წყალსაცავი. ივრის წყლით შეიქმნა თბილისის წყალსაცავი ანუ „თბილისის ზღვა“. მდინარე ივრის ქვემო დინებაში გაშენებულია დალის მთის წყალსაცავი, რომლის წყლის მოცულობა უდრის 140,0 კმ<sup>3</sup>-ს. ივრის წყლით ირწყვება 90 ათ. ჰა-ზე მეტი ფართობი ივრის ზეგანზე. მდინარეზე აგებულია რამდენიმე სარწყავი სისტემა, რომელთაგან მთავარია სამგორის ზემო და ქვემო მაგისტრალური არხები.

იორის ( ივრის ) ეროვნული პარკი მდებარეობს კახეთში, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, რომელიც დაარსდა 1965 წელს. მისი ფართობი შეადგენს 1336 ჰექტარს. ეროვნული პარკის ტყეები განლაგებულია მდინარე იორის ხეობაში. იგი ყორუდის ეროვნული პარკის სამხრეთ საზღვართან გამავალ სარწყავ არხთან და დალის მთის წყალსაცავთან ჭაჭუნას ჩრდილოეთ საზღვართან მთავრდება. პარკის ტერიტორიას ორივე მხრიდან სიღნაღის რაიონის მიწის ფონდის სასოფლო სამეურნეო სავარგულები და ძირითადად - სამოვრები ესაზღვრება.

იორის ეროვნულ პარკში დაცულია მდინარე ივრის პირას მდებარე ჭალის ტყე. გავრცელებულია ქართული ზამბახი, ეიხლერის ტიტა, კოწახური, იალღუნი, ბერწყენა, საკმლის ხე, ღვია, წალის მუხა, ჯაგრცხილა, ძეძვი და სხვ. ძუძუმწოვრებიდან აქ გვხვდება გარეული ღორი, მგელი, წავი, ლელიანის კატა და სხვა. ფინველებიდან — ხოხობი, დურაჯი, კაკაბი, ფასკუნჯი, ორბი, ტყის ბუ, ჩეულებრივი კირკიტა. ქვეწარმავლებიდან — ხმელთაშუა ზღვისპირული კუ, გიურზა.

ლიტერატურული წყაროებით ჭალის ტყე და მისი სრულფასოვანი ფუნქციონირება დაკავშირებულია სეზონურ წყალდიდობებზე და მდინარის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე, რომელიც ანთროპოგენული გავლენით საკმაოდ სახეცვლილია მდინარე იორის ქვედა დინებაში. ხეობაში არსებული წყალსაცავების, მათ შორის სიონის, პალდოს და დალის მთის მთავარი დანიშნულება მდინარის ჰიდროლოგიური რეჟიმის კონტროლი და მოდინებული წყლის სარწყავად და სასმელად გამოყენება არის, რამაც თავის მხრივ გავლენა მოახდინა ჭალის ტყეზე. დღეის მდგომარეობით, მდინარე იორი სათავიდან შესართავამდე დარეგულირებულია და მასზე წყალდიდობები და წყალმოვარდნები აღარ ხდება განსაკუთრებით კი სიონის და პალდოს წყალსაცავს ქვემოთ, საიდანაც ივრის ხეობა ნელ-ნელა ფართოვდება და ტიპური მთის მდინარიდან ტიპურ ბარის მდინარედ იცვლება. მიუხედავად იმისა რომ მდინარის ქვედა წელი (პალდოს წყალსაცავს ქვევით) ბევრად დიდია ვიდრე მისი ზედა წელი (პალდოს წყალსაცავს ზემოთ) კლიმატური პირობებიდან გამომდინარე სეზონური წყალდიდობები და წყალმოვარდნები არ ფორმირდება.

სატელიტურ მონაცემებზე, რომელიც მომზადებულია 2003-2019 წლის ლიტერატურული წყაროების მონაცემების გამოყენებით. კერძოდ, რეალური აორთქლების მაჩვენებელი წყალშემკრებ აუზის ქვედა ნაწილში ძალიან დაბალია, რაც თავის მხრივ მიუთითებს ნალექის სიმცირეზე. აღნიშნულ მონაკვეთზე ეს პარამეტრი მხოლოდ დალის მთის წყალსაცავის თავზეა მაღალი, რაც ლოგიკურია, რადგანაც წყალსაცავიდან დიდი რაოდენობით წყალი ორთქლდება. ეს კი თავის მხრივ მიკროკლიმატს ცვლის და შედარებით ატენიანებს, რომელიც წყალსაცავის დადებით ეფექტად უნდა ჩაითვალოს. ანალოგიურია ნალექთან მიმართებით, საიდანაც ჩანს რომ მოსული ატმოსფერული ნალექის ძირითადი ნაწილი მდინარის წყალშემკრები აუზის ზემო-წელში მოდის.

მდინარე იორზე აღნიშნული ჰიდროტექნიკური ნაგებობების გავლენის უკეთ წარმოსაჩენად დამუშავებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემები სამი ჰიდროლოგიური საგუშაგოსთვის, ესენია ლელოვანი, ორხევი და კაზანიანის მთა. მათგან ყველაზე პატარა წყალშემკრები აუზი ლელოვანის ჰიდროლოგიური საგუშაგო აკონტროლებს, რომლის წყალშემკრები აუზიც 500 კმ<sup>2</sup>-ს შეადგენს, შემდეგი ორხევია რომლის წყალშემკრები აუზიც 579 კმ<sup>2</sup> -ს უტოლდება და ყველაზე ქვემოთ

კი კაზანიანის მთის ჰიდროლოგიური საგუშაგოა, რომლისთვისაც წყალშემკრები აუზის ფართობი 1234 კმ<sup>2</sup>-ის ტოლია. ჰიდროლოგიური საგუშაგო (ჰ/ს) ლელოვანი 1964 წელს გაიხსნა და ყოველდღიური მონაცემები 1986 წლის ჩათვლითაა ხელმისაწვდომი, და მაქსიმალური ხარჯები. გამომდინარე იქიდან რომ ჰ/ს ორხევი სიონს წყალსაცავს ქვემოთ მდებარეობს, ჰიდროლოგიურ მონაცემებს შედარების მიზნით დამუშავებულია იმავე პერიოდის დაკვირვებათა რიგი. ხოლო წყალსაცავის აშენებამდე, არსებული სიტუაციის მიმოხილვის მიზნით ამავე ჰიდროლოგიური საგუშაგოს მონაცემებით ხელმისაწვდომია მხოლოდ 1947-1961 წწ. რომელიც გარკვეულწილად ემთხვევა კაზანიანის მთის ჰ/ს-ს ფუნქციონირების პერიოდს, რომლის მონაცემების ორხევის მონაცემებთან შედარებისას პალდოს წყალმიღების მდინარე იორის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე გავლენა ჩანს.

წყალდიდობის სეზონი წყალსაცავის ზედა ბიეფსა და ქვედა ბიეფში ერთმანეთს არ ემთხვევა და გადანაცვლებულია. ხოლო სასმელი წყლით, თბილისისა და რუსთავის უზრუნველყოფისათვის შემოდგომასა და ზამთრის თვეებში გაშვებული წყლის რაოდენობა ბევრად აღემატება წყალსაცავში შესული წყლის რაოდენობას. აღსანიშნავია რომ ბოლო წლებში კიდევ უფრო გაიზარდა ქალაქ თბილისის და რუსთავის წყალმომარება და სავარაუდოა, რომ სიონის წყალსაცავს ქვემოთ ჰიდროლოგიური რეჟიმი გარკვეულწილად შეიცვალა კიდევ, რომელზეც გავლენას კლიმატის ცვლილებაც მოახდენდა. სამწუხაროდ დღეის მდგომარეობით ჰიდროლოგიური მონიტორინგი და დაკვირვება არცერთ ძველ ჰიდროლოგიური საგუშაგოს კვეთში აღარ ხდება. ამიტომ შეუძლებელია დღეს არსებული სიტუაციის შედარება და ანალიზი. ამიტომ აქტუალურია მდინარე იორის აუზის წყლების სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების სისტემად გამოყენების ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება.

მდინარე იორი აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი სამდინარო არტერიაა, მისი გამოყენება ძირითადად ხდება ირიგაციის და მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის. აღსანიშნავია, რომ მდინარე იორი წარმოადგენს ტრანზიტული მდინარის ტიპურ მაგალითს, რომელიც სათავეს საქართველოში იღებს და აზერბაიჯანში მინგაჩაურის წყალსაცავში ჩაედინება . ეს გარემოება მდინარე იორს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს და ორ ქვეყანას ჰიდროლოგიური თვალსაზრისით მჭიდროდ აკავშირებს. შესაბამისად, გასათვალისწინებელია მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც მას, როგორც ტრანზიტულ მდინარეს ახასიათებს. კერძოდ: წყალმოსარგებლების მიერ წყლის რაციონალური გადანაწილება და რაოდენობის განსაზღვრა, გარდა რაოდენობისა, წყალმოსარგებლები საჭიროებენ წყლის შესაბამის ხარისხს, ანუ სხვადასხვა წყალსამეურნეო ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელი იყოს მისი გამოყენება. ეს პრინციპები დაცული უნდა იყოს არამარტო ერთი სახელმწიფოს შიგნით განლაგებულ წყალსამეურნეო ობიექტებს შორის, არამედ სახემწიფოთაშორისო ურთიერთობაში, რადგან დატოვებს რა მდინარე ერთი სახელმწიფოს ტერიტორიას მისი წყალი უნდა აკმაყოფილებდეს ,როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად იმ ნორმებს, რათა მან უზრუნველყოს მოცემული მეზობელი ქვეყნის მთლიანი წყალსამეურნეო სისტემა წყლის რესურსებით. ეს საკითხი მეტად აქტუალურია კლიმატის ცვლილების თანამედროვე ტენდენციების ფონზე, როცა გაზრდილია ჩამონადენის კრიტიკული დონეების საზღვრები.

კვლევითი ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს მდინარე იორის აუზის წყლების სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების სისტემად გამოყენების ეკოლოგიური მდგომარეობის შესაფასებლად დამაბინძურებელი წყაროებისა და კომპონენტების დადგენა, წყლის ქიმიური შემადგენლობისა და სანიტარულ-მიკრობიოლოგიური მახასიათებლების შესწავლა და განსაზღვრა. აგრეთვე დამაბინძურებელ ნივთიერებათა კონცენტრაციების მნიშვნელობათა გავრცელების არეალის დადგენა მათემატიკური რიცხვითი მოდელირებით და დამცავი პრევენციული ღონისძიებების შემუშავება.

1.2.

**1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით**

1. „ქალაქის ნარჩენების გადამუშავების ტექნოლოგია“

გარემოსდაცვითი ინჟინერია; ნარჩენების გადამუშავება

2. “მატერიალური და ენერგეტიკული რესურსების ეფექტური გამოყენების შესაძლებლობა ალუმინუმის ნარჩენების გადამამუშავებელ საწარმოში“.

გარემოსდაცვითი ინჟინერია; გარემოს მდგომარეობის ეკოქიმიური კვლევა.

3. “მდინარე ხრამის აუზის მიწისქვეშა წყლების სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების სისტემად გამოყენების ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება“.

გარემოსდაცვითი ინჟინერია; გარემოს მდგომარეობის ეკოქიმიური კვლევა.

**2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები**

1. 2020 – 2021 წწ.

2. 2019 - 2021 წწ.

3. 2018 - 2021 წწ.

**3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)**

1. ასოცირებული პროფესორი მარინე დემეტრაძე - პროექტის ხელმძღვანელი, მაგისტრანტი თემური მაჭარაშვილი - პროექტის პასუხისმგებელი შემსრულებელი.

2. ასოცირებული პროფესორი ჯიმშერ ქერქაძე, ასოცირებული პროფესორი ეკატერინე მაცაბერიძე - პროექტის თანახელმძღვანელები, გიორგი ჯანგველაძე - პროექტის პასუხისმგებელი შემსრულებელი.

3. პროფესორი ლეილა გვერდწითელი, ალექსანდრე სურმავა - პროექტის თანახელმძღვანელები; დოქტორი თამარ ნიკურაძე - პროექტის პასუხისმგებელი შემსრულებელი.

**დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)**

1. მრეწველობის სხვადასხვა დარგის სწრაფი განვითარება და მოსახ-ლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნარჩენების რაოდენობის ზრდაზე. მსოფლიოს მოსახლეობის მიერ ყოველდღიურად 8 მლრდ კგ სხვადასხვა სახის ნარჩენი წარმოიქმნება, რაც 240 მლრდ ტონას შეადგენს თვეში.

მუნიციპალური და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება, ტრანს-პორტირება და გადამამუშავება ძალიან აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს მთელს მსოფლიოში. გარდა ამისა, მთელი რიგი ნარჩენები, წარმოადგენს მეორად ნედლეულს ახალი პროდუქციის მისაღებად და გამოსაყენებლად. აქედან გამომდინარე, წამყვან ქვეყნებში მუშავდება ნარჩენების გადამამუშავების და მათი გამოყენების ახალ-ახალი მეთოდები, რომლებიც ეფექტური იქნება ახალი პროდუქციების მისაღებად და სხვადასხვა დარგებში გამოსაყენებლად. ეს კი დადებით შედეგებს მოგვცემს, როგორც ეკოლოგიური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით, ვინაიდან მცირდება პირველადი ნედლი პროდუქტების გამოყენება, რითაც იზოგება ნედლეული, ბუნება და მეტი სარგებელი ადგება, როგორც მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დარგებს, ასევე გარემოსა და ადამიანებს.



ნაშრომში განხილულია ქაღალდის ნარჩენების გადამუშავების ზოგადი ტექნოლოგია და აგრეთვე საწარმო „კრიალას“ მაგალითზე ქაღალდის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ნარჩენების გადამუშავების თვალსაზრისით.

საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებს ქაღალდის შერეოვებისა და გადამუშავების 10 საწარმო.

ნაშრომში შესწავლილია ხე-ტყის მრეწველობის ნარჩენების გადამუშავების ტექნოლოგია. ქაღალდის წარმოება და ნარჩენების გადა-მუშავება, კერძოდ, სორტირება, რეპულპირება და სკრინინგი, რაფინირება, გაუფე-რულება, სადებავის მოცილება, მაკულატურის დეზაგრეგაცია, გაკეთილ-შობილება. აგრეთვე, ნაშრომში განხილულია, შპს „კრიალა“ ქაღალდის საწარმოს ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ტექნოლო-გიური პროცესები, საწარმოს ზემოქმედება გარემოს კომპონენტებზე, კერძოდ, ზედაპირული წყლების დაბინძურება, ნიადაგის დაბინძურება, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობა და გაფრქვევის პარამეტრები, წყლის გამოყენება და ხარჯი სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის, საწარმოო მიზნებისათვის, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები, წყალარინება, მავნე ნივთიერებათა ემისიის გავლენა საწარმოს ნიადაგურ საფარზე.

2. წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია სამრეწველო წარმოებაში მატერიალური და ენერგეტიკული რესურსების მეორად ნედლეულად უფრო მეტი ეფექტურობით გამოყენების შესაძლებლობანი, კონკრეტულად შპს „გეგმეტის“ კუთვნილი ალუმინუმის ნარჩენების გადამამუშავებელი მცირე სიმძლავრის მქონე საწარმოს საქმიანობის შესწავლის მაგალითზე.

ნაშრომში კავიოდ არის გამოკვეთილი შერჩეული თემის აქტუალურობა, მიზნები და ამოცანები, ასევე ნაჩვენებია თემის მეცნიერული სიახლეც. რაც გამოიხატა სამიზნე ობიექტზე, რესურსეფექტური და სუფთა წარმოების მოწინავე მეთოდოლოგიური მიდგომების განხორციელებაში ეკოლოგიური ადვოკატირების, ეკოლოგიური და ენერგოაუდიტის ძირეული პრინციპების გამოყენებითა და მათი შერწყმის გზით.

ნაშრომის ლიტერატურულ ნაწილში განხილულ იქნა: ზოგადი ცნობები ალუმინის შესახებ - მისი თვისებები, მიღება, სამრეწველო წარმოება და მოხმარება; ალუმინის სამრეწველო წარმოების მოცულობის მასშტაბები; რეციკლირების გზით ალუმინის მეორადი გადამუშავება; პროცესის ქიმიზმი და ტექნოლოგიური თავისებურებანი; ნარჩენების მდგრადი მართვის თანამედროვე მიდგომები და საკანონმდებლო საფუძვლები; ნარჩენების მდგრადი მართვა და კერძო სექტორი; რესურსეფექტური და სუფთა წარმოების მეთოდოლოგიური მიდგომები მცირე და საშუალო სიმძლავრის სამრეწველო საწარმოებისათვის. ნაშრომის ლიტერატურული მიმოხილვის ბოლო ქვეთავში მოცემულია ალუმინის ჯართის გადამამუშაველი ოთხი ქართული კომპანიის კუთვნილი მცირე სიმძლავრის საწარმოთა შედარებითი დახასიათება. მათგან სამაგისტრო კვლევის ობიექტად შპს „გეგმეტის“ კუთვნილი საწარმოს შერჩევის ძირითად განმასხვავებელ კრიტერიუმად მიჩნეულ იქნა კომპანიის მიერ ალუმინის ჯართის რეციკლირების გზით, გარდა ალუმინის სხმულებისა, უფრო ფართო ასორტიმენტის პროდუქციის, კერძოდ, ალუმინის მავთულის, კუთხოვანას, პროფილების და სხვ. დამზადება.

შერჩეული საკვლევი ობიექტის წინასწარი პირველადი დათვალიერებით გამოვლინდა ალუმინის ჯართის გადამამუშავებელი საწარმოს მხრიდან მოხმარებული წყლის საგრძნობი დანაკარგები და ბუნებრივი საწვავის დიდი რაოდენობით დანახარჯები, ასევე კომპანიის ტერიტორიაზე დაფიქსირდა დიდი ოდენობით დასაწყობებული მყარი საწარმოო ნარჩენებიც. აღნიშნული კომპანიის საქმიანობის საფუძვლიანი შესწავლის შედეგად დადგინდა კვლევის ობიექტის მიერ გარემოს კომპონენტებზე ანთროპოგენური დატვირთვების მახასიათებელი ეკოლოგიური მაჩვენებლები და მათი სიდიდეები.

საკანონმდებლო დოკუმენტაციასთან სრული შესაბამისობით ჩატარებული ინვენტარიზაციით გამოვლინდა საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფეროს დამაბინძურებელი 3 (სამი) წყარო

(აქედან ერთი – ორგანიზებული, ორი – არაორგანიზებული), ხოლო საანგარიშო მეთოდის გამოყენებით წარმოებული გაანგარიშებით გამოთვლილ იქნა ამ წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული 5 (ხუთი) მავნე ნივთიერების: არაორგანიზებული მტვრის, აზოტის, გოგირდისა და ნახშირბადის დიოქსიდებისა და ნახშირბადის მონოოქსიდის გაფრქვევების წამურ ინტენსივობათა და წლიური გაფრქვევების რაოდენობრივი მაჩვენებლები.

გარდა ამისა, წარმოდგენილ ნაშრომში საკვლევი საწარმოო ობიექტი შესწავლილ იქნა წყლის ხარისხზე ზემოქმედების კუთხითაც. რადგანაც საწარმოო დანიშნულებით კომპანია წყალს არ მოიხმარს, წყლის დანაკარგების მიზეზთა გამოსავლენად გამოკვლეულ იქნა კომპანიის მიერ სხვა დანიშნულებით გამოყენებული წყლის სახეობებიც. გაანგარიშებათა ჩატარების გზით დადგენილ იქნა მათი ხარჯვითი მაჩვენებლები. ასევე დაზუსტდა საწარმოში წყალაღებისა და ჩამდინარე წყლების ჩაშვების პირობები.

კვლევას დაექვემდებარა აგრეთვე კომპანიის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ნარჩენების მართვის კუთხითაც. ნაშრომში გამოთქმულია საყურადღებო მოსაზრება ამ გეგმის შემდგომი სრულყოფის თვალსაზრისით. კერძოდ, კომპანიის მიერ უკვე მოხმარებული, მაგრამ ამავე დროს აღურციხავი მყარი სახიფათო ნარჩენებისათვის, ნაცვლად კომპანიის საკუთარ ტერიტორიაზე მათი დასაწყობებისა, გამოძენილ იქნა შესაბამისი სერტიფიკატის მქონე კონტრაქტორი კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს მსგავსი ტიპის სახიფათო ნარჩენების ჯერ გატანასა და შემდგომ მათ გაუვნებელყოფას.

კომპანიის მიერ მოხმარებული საწვავის დიდი დანახარჯებისა და გარემოზე თბური დატვირთვების შესამცირებლად, რესურსეფექტური და სუფთა წარმოების მეთოდოლოგიის, ენერგოტექნოლოგიური მიდგომებისა და ეკოლოგიური აუდიტის ძირეული პრინციპების გათვალისწინებითა და მათი შეწყობით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოტანილია სათანადო დასკვნები და გაკეთებულია საყურადღებო რეკომენდაციები.

ნაშრომში გამოთქმულია სავარაუდო მოსაზრება კომპანიის მყარი წიდა ნარჩენების სამომავლოდ კომერციული რეალიზაციის შესახებაც. კერძოდ, ალუმინის ჯართის რეციკლირების განხორციელების შედეგად მეორადი გადადნობით წარმოქმნილი მეორეული წიდა ნარჩენის, ე.წ. „შავი ნალექის (რომელიც შემდგომ გადამუშავებას მეტად აღარ ექვემდებარება და განიცდის დასაწყობებას კომპანიის კუთვნილ ტერიტორიაზე), ქაფ-ბლოკების წარმოებაში გამოყენებული სამშებლო ნედლეულის კაზმში მისი როგორც ერთგვარ დანამატად გამოყენების თაობაზე.

3. ნაშრომი განეკუთვნება მდინარე ხრამის აუზის მიწისქვეშა წყლების სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების სისტემაზე გამოყენების ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასებას. საქართველოს კანონში „წყლის შესახებ“ 53-ე მუხლი მოიცავს სპეციალური წყალსარგებლობის ძირითად მიზნებსა და პირობებს, სადაც განხილულია სპეციალური წყალსარგებლობის განხორციელებისას, მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო, ასევე სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების მიზნებისთვის გამოყენებული ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები უნდა იქნას დაბინძურებისა და დანაგვიანებისაგან საიმედოდ დაცული, რომელთა ხარისხი ბუნებრივ მდგომარეობაში ან სათანადო დამუშავების შემდეგ შეესაბამება საქართველოს სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილ ნორმებს. ამ ნორმების დაცვით უზრუნველყოფილი იქნება ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო, ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად გარემოს დაცვა, მათ შორის წყლის დაცვა.

საქართველოში მდინარე ხრამისა და დებედას მიწისქვეშა წყლებს იყენებენ ქალაქ რუსთავისა და მისი მიმდებარე რეგიონების მოსახლეობის წყალმომარაგების სისტემაზე. ქ.რუსთავის მოსახლეობის და სამრეწველო ზონის ზრდასთან ერთად დღის წესრიგში დგება წყალმომარაგების განვითარების აუცილებლობა. სასმელი წყლის წყალმომარაგების წყალამლები მდებარეობს მდინარე ხრამსა და მდინარე დებედას აუზებს შორის. სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის წყალმომარაგება ხორციელდება მდინარე ხრამისა და დებედას მიმდებარედ განლაგებული ექსპლოატაციაში მყოფი 8 ჰაბურდილითა და 7 შახტური ჭით. ლიტერატურული მონაცემებით ორივე მდინარის წყალი ბინძურდება სამრეწველო

ჩამდინარე წყლებით. მიწისქვეშა წყლების მარაგის შევსება ხდება უპირატესად ატმოსფერული ნალექებითა და ზედაპირული წყლებით. გამოკვლეული ლიტერატურული წყაროებიდან გამომდინარე მდინარე ხრამის მიწისქვეშა წყლების ჰიდროქიმიური და მიკრობიოლოგიური კვლევის მონაცემები უმწიერესია, ამიტომ მოსახლეობის სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების სისტემისათვის, მდინარე ხრამის აუზის მიწისქვეშა წყლების ხარისხის დასადგენად მეტად აქტუალურია მდინარე ხრამის აუზის ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება ჰიდროქიმიური და მიკრობიოლოგიური კომპონენტების კონცენტრაციებისა და აგრეთვე ფსკერული ნალექების ქიმიური შემადგენლობის დადგენის გათვალისწინებით. ხოლო სამუშაოს სიახლეს წარმოადგენს მდინარე ხრამის აუზის მიწისქვეშა წყლების სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების სისტემად გამოყენებისათვის, ეკოლოგიური მდგომარეობის სრული შეფასებისათვის, მდინარის ხრამის აუზის წყალსა და ფსკერულ დანალექებში მძიმე მეტალების კონცენტრაციათა განაწილების რიცხვითი მოდელირება.

სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა მდინარე ხრამის აუზის ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლა და შეფასება. დასახული ამოცანების შესასრულებლად 2018-2019 წლებში ხუთჯერ ჩატარდა ექსპედიცია, რომლის დროსაც შესწავლი იქნა მდინარე ხრამის ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, აგრეთვე შერჩეული იქნა მიწისქვეშა წყლების, ზედაპირული წყლებისა და ფსკერული დანალექების სინჯების აღების წერტილები.

წყლისა და ფსკერული დანალექების სინჯის აღება, დაკონსერვება, ეტიკეტირება, შენახვა და ტრანსპორტირება, სტაციონალურ ლაბორატორიაში წყლის სინჯების ქიმიური, მიკრობიოლოგიური და ფსკერული ანალიზი წარმოებდა საერთაშორისო სტანდარტული ორგანიზაციის (ISO) სტანდარტული მეთოდებით. ორგანოლექტიკური მაჩვენებლების განსაზღვრა განხორციელდა სავლე პორტატული აპარატურით. მდინარე ხრამის, მაშავერასა და დებედას წყლის ქიმიური ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე დადგინდა, რომ მდინარე ხრამის წყალი მიეკუთვნება ჰიდროკარბონატულ-კალციუმიან წყალს, ხოლო მდინარე მაშავერა და დებედას წყალი მიეკუთვნება ჰიდროკარბონატულ-სულფატურ-კალციუმიან ტიპის წყალს. მდინარე ხრამის, მაშავერასა და დებედას წყლის pH-ის მნიშვნელობა იმყოფება მდინარის წყლისათვის დამახასიათებელ ზღვარში (6.5-8.5), ხოლო გახსნილი ჟანგბადის კონცენტრაცია შეესაბამება ზედაპირული წყლების ხარისხის განსაზღვრულ კლასს-სუფთას. მდინარე ხრამის წყლის სიხისტე დასაწყისში წყლის კლასიფიკაციის სიხისტის მაჩვენებლის მიხედვით შეესაბამება რბილს, ხოლო შემდეგ სოფელ ლეჟბადინთან მდინარე დებედას შეერთების შემდეგ წყლის სიხისტე მიეკუთვნება საშუალოდ ხისტს. მდინარე მაშავერასა და დებედას წყლის სიხისტეც შეესაბამება საშუალოდ ხისტს. მდინარე ხრამისა და დებედას წყლების ჟანგვადობა არ აღემატება დასაშვებ ნორმების დონის სიდიდეს, ხოლო მდინარე მაშავერას წყალი ჟანგვადობის მნიშვნელობის მიხედვით მიეკუთვნება დაბინძურებულს.

მდინარე ხრამის წყლის მინერალიზაცია სოფელ ლეჟბადინამდე შეესაბამება დაბალ მინერალიზებულს, ხოლო მდინარე დებედას მიერთების შემდეგ კი საშუალოდ მინერალიზებულს. მდინარე მაშავერასა და დებედას წყლების მინერალიზაციაც მიეკუთვნება საშუალოდ მინერალიზებულს. შესაბამისად, მდინარე ხრამის წყლის ელექტროგამტარობა იცვლება 202.0–375.0 მიკრო სიმ./სმ. ბიოგენური ნივთიერებების შემცველობა ყველა მდინარის სინჯის წყალში არ აღემატება ნორმატივით დასაშვებ მნიშვნელობებს. მძიმე მეტალთა კონცენტრაციები მდინარე ხრამის, მაშავერასა და დებედას წყალში არ აღემატება ზღვრულ დასაშვებ ნორმებს. გამონაკლისს წარმოადგენს ალუმინის, რკინისა და მანგანუმის კონცენტრაციები, რომელთა მნიშვნელობები აღემატება ზღვ-ს მნიშვნელობებს.

მდინარე მაშავერას წყალში ალუმინის, რკინისა და მანგანუმის შემცველობა შესაძლებელია განპირობებული იყოს სამთოგამამდიდრებელი საწარმოს სს “მადნეულის“ ჩამდინარე წყლებით.

მდინარე ხრამის, მაშავერასა და დებედას წყლების მიკრობიოლოგიური ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე სალმონელა მდინარის წყლის არცერთ სინჯში არ იქნა აღმოჩენილი, ხოლო დანარჩენი მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები ბევრად აღემატება ზედაპირული წყლის ნორმატივებით დასაშვებ სიდიდეებს.

წყლის ძირითად იონებს შორის და ძირითად მახასიათებლებს შორის კონცენტრაციათა ცვლილების ამსახველი დიაგრამები კორელაციური ანალიზის კორექტულობაზე მიუთითებს. ჩატარებული კორელაციური სტატისტიკური ანალიზის მიხედვით კორელაციის მაღალი ხარისხით

ხასიათდება შემდეგი წყვილები: სიხისტე და კალციუმი, სიხისტე და მინერალიზაცია, აგრეთვე ელექტროგამტარობა და მინერალიზაცია.

ლიტერატურული მონაცემებით მდინარე ხრამის, მაშვერასა და დებედას წყლის ფსკერულ დანალექებში მძიმე მეტალების შესახებ მონაცემები უმწირესია. 2018 წლის ნოემბერის თვეში აღებული მდინარე ხრამის, მაშვერასა და დებედას წყლის ფსკერული დანალექების სინჯების ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე სპილენძის, თუთიის, მანგანუმის, ტყვიის, ნიკელის, კობალტის, რკინის კონცენტრაციების მნიშვნელობები, განპირობებული ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, შეესაბამება ფონურ მნიშვნელობებს. მხოლოდ კადმიუმის კონცენტრაცია აღემატება ნორმატივებით დასაშვებ მნიშვნელობას, ასევე სოფელ ლეჟადინთან აღებულ მდინარე დებედას ფსკერული დანალექის სინჯში თუთიის კონცენტრაცია ბევრად აღემატება ნორმატივებით დასაშვებ მნიშვნელობებს.

2019 წლის აპრილის თვეში ჩატარებული ექსპედიციისას აღებულ იყო შერჩეული საანალიზო წერტილებიდან ექსპლუატაციაში მყოფი 8 ჭაბურღილისა და 7 შახტური ჭის წყლის სინჯები. ეკოქიმიური ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, ძირითადად წყალი მიეკუთვნება ჰიდროკარბონატულ-სულფატურ-კალციუმიანი ტიპის წყალს, რაც დადგინდა თვალსაჩინოების მიზნით აგებული სულფატ-იონების, კალციუმის იონებისა და ჰიდროკარბონატების კონცენტრაციათა მნიშვნელობების ცვლილებების ამსახველი დიაგრამებითაც.

ყველა ჭაბურღილის და შახტური ჭის სიხისტე ძირითადად შეესაბამება სიხისტის ნორმატივებით დასაშვებ ნორმების მიხედვით ზომიერად ხისტს. ძირითადი იონების, ბიოგენური კომპონენტების, მიკრო- და მაკრო ნივთიერებების შემცველობა ნორმატივებით დასაშვებ ნორმების ფარგლებშია.

ჭაბურღილის და შახტური ჭის წყლების სინჯების მიკრობიოლოგიური ანალიზის შედეგად გამომდინარე მიკრობიოლოგიური დაბინძურება არ დაფიქსირებულა.

2019 წლის აპრილის და სექტემბერის თვეში საანალიზოდ აღებული იქნა მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდი მუღანდლოს მიმდებარე ტერიტორიაზე, ლეჟადინთან განთავსებული სასმელ-სამეურნეო წყლისათვის მოსამზადებელი რეზერვუარებიდან (ხრამი I და ხრამი II) ქლორირებით დამუშავებული წყლის სინჯები, აგრეთვე ქალაქ რუსთავის ქაშაკაშვილის ქუჩისა (ხრამი I რეზერვუარი) და მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელი ქუთლიარის (ხრამი II რეზერვუარი) მოსახლეობის სასმელი წყლის სინჯები.

ხრამი I და ხრამი II რეზერვუარებიდან, ქალაქ რუსთავისა და მარნეულის რეგიონის მოსახლეობიდან აღებული სასმელ წყლის სინჯების ეკოქიმიური ანალიზის შედეგად დადგინდა რომ იგი მიეკუთვნება ჰიდროკარბონატულ-სულფატურ-კალციუმიანი ტიპის წყალს. ორგანოლექტიკური მაჩვენებლები და წყალბადის მაჩვენებელი არის ნორმატიულად დასაშვებ ნორმების ფარგლებში. წყლის ჟანგვალობა ნორმატიულად დასაშვებ სიდიდის მიხედვით მიეკუთვნება მაღიან სუფთას, ხოლო წყლის სიხისტის მნიშვნელობა სიხისტის კლასიფიკაციის მიხედვით მიეკუთვნება საშუალოდ ხისტს.

მაკრო- და მიკროელემენტების, ბიოგენური ნივთიერებების შემცველობა და თავისუფალი ქლორის ნარჩენი რაოდენობაც წყლის სინჯებში სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით ნორმატიულად დასაშვებ ნორმის ფარგლებშია. მინერალიზაცია შეესაბამება საშუალოდ მინერალიზირებულს, ხოლო ელექტროგამტარობა შეადგენს, შესაბამისად, 526.0 - 579.0 მიკრო სიმ./სმ.

ხრამი I და ხრამი II რეზერვუარების, ქალაქ რუსთავისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელი ქუთლიარის მოსახლეობის სასმელი წყლის სინჯის მიკრობიოლოგიური ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე სასმელი წყლის სინჯებში მიკრობიოლოგიური დაბინძურება არ დაფიქსირებულა.

უწყვეტ გარემოში ნივთიერების გადატანა-დიფუზიის არასტაციონალური წრფივი სამგანზომილებიანი განტოლების გამოყენებით მოდელირებულია მდინარე ხრამის წყალში და ფსკერულ დანალექებში მძიმე მეტალების განაწილება სოფელი თამარისიდან მდინარე მტკვართან მის შერთებაამდე.

მძიმე მეტალების წყაროს წარმოადგენს ანტროპოგენული წყაროებით დაბინძურებული მდინარე მაშვერასა და დებედას წყლები. მოდელირებისათვის მდინარე ხრამი სოფელ თამარისიდან

მდინარე მტკვართან მის შეერთების ადგილამდე დაყოფილა 3 პირობით ერთგვაროვან უბნად. თითოეული უბისათვის გამოყენებულია მდინარის მახასიათებელი ჰიდროლოგიური პარამეტრების საშუალო წლიური მნიშვნელობები და ექსპედიციური კვლევის შედეგების მონაცემები. მდინარე ხრამის დინების მიმართულებით, მდინარე მტკვართან შეერთებამდე რკინის, ალუმინისა და მანგანუმის კონცენტრაციები მცირდება და შესაბამისად არ აღემატება ნორმატიულად დასაშვებ სიდიდეებს.

ერთი დღე-ღამის განმავლობაში გამოთვლილი იქნა მდინარე ხრამის ფსკერზე დალექილი მანგანუმისა და რკინის ზედაპირული კონცენტრაციები. ორივე მეტალის ზედაპირული სიმკვრივეები მაქსიმალურია სოფელ თამარისთან მდინარე მაშავერას შეერთებისას, შემდეგ იკლებს მდინარე ხრამის დინების მიმართულებით და კვლავ იზრდება მდინარე დებედას დაბინძურებული წყლის მდინარე ხრამში ჩადინების შედეგად სოფელ ლეჟბადენთან. ხოლო შემდეგ კვლავ მცირდება მდინარე ხრამის დინების გასწვრივ მდინარე მტკვართან შეერთების პუნქტამდე.

მდინარე ხრამში მიღებული მძიმე მეტალების კონცენტრაციის განაწილების სურათის მიხედვით სოფელი თამარისიდან მდინარე მტკვართან შეერთების ადგილამდე დადგენილია, რომ მდინარე მაშავერას წყალი არის მდინარე ხრამის ძირითადი დამაბინძურებელი წყარო.

უწყვეტ გარემოში ნივთიერების გადატანა-დიფუზიის არასტაციონალური წრფივი სამგანზომილებიანი განტოლების საფუძველზე მდინარე ხრამის აუზის დამაბინძურებელ ნივთიერებების კონცენტრაციათა გავრცელების მოდელირების შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მდინარეების წყლებისა და მათ ფსკერულ დანალექებში მძიმე მეტალების კონცენტრაციათა განაწილების დასადგენად.

ამრიგად მდინარე ხრამის აუზის მიწისქვეშა წყლების სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების სისტემად გამოყენებისათვის ჩატარებული ჰიდოქიმიური და მიკრობიოლოგიური და ფსკერული ნალექების ეკოქიმიური კვლევის, აგრეთვე მდინარის ხრამის აუზის წყალსა და ფსკერულ დანალექებში მძიმე მეტალების კონცენტრაციათა განაწილების რიცხვითი მოდელირების საფუძველზე მიღებული ეკოლოგიური მდგომარეობის სრული შეფასების შედეგად დადგინდა, რომ წყლის ხარისხი სავსებით შეესაბამება სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ ნორმატიულად დასაშვებ ნორმებს.

## 2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

### 2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. -

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. -

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. -

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

-

### 2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. -

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. -

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. -

**დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

-

### 3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

#### 3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1. -

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. -

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. -

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

-

#### 3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1. -

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. -

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. -

**დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

-

### 4. პატენტები

#### 4.1. საერთაშორისო პატენტები:

1) საპატენტო თემატიკის სათაური

1. -

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები

1. -

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. -

#### 4.2. ეროვნული პატენტები

1) საპატენტო თემატიკის სათაური

1. -

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები

1. -

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. -

## 5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

### 5.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები

1. -

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. -

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. -

4) გვერდების რაოდენობა

1. -

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

-

### 5.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

1. -

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. -

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. -

4) გვერდების რაოდენობა

1. -

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

-

### 5.3. კრებულები

1) ავტორი/ავტორები

1. -

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. -

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. -

4) გვერდების რაოდენობა

1. -

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

-

### 5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. -

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1. -

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. -

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. -

5) გვერდების რაოდენობა

1. -

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

-

## **5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით**

### **1)ავტორი/ავტორები**

1. მჭედლიშვილი გ.ს., მამულაშვილი მ.ა.

2. ასურმაგა, ლ. გვერდწითელი, ლ. ინწვირველი, ნ. გიგაური.

### **2)სტატიის სათაური, ISSN**

1. პროგნოზირება და მისი მნიშვნელობა ბუნებათსარგებლობაში. ISSN 1512-0287

2. ქ. თბილისის ტერიტორიაზე ზამთარში მტვრის გავრცელების რიცხვითი მოდელირება, ISSN:1512-1127

### **3)ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი**

1. საქართველოს საინჟინრო სიახლენი 2021, №2

2. საქართველოს გეოფიზიკური საზოგადოების ჟურნალი: მყარი დედამიწის, ატმოსფეროს, ოკეანისა და კოსმიური პლაზმის ფიზიკა № 24(1), 2021,

### **4)გამოცემის ადგილი, გამომცემლობა**

1. საქართველო, თბილისი, „ტექნიკორმი“ კოსტავას 47

2. საქართველო, თბილისი, საქართველოს გეოფიზიკური საზოგადოების ჟურნალი.

### **5) გვერდების რაოდენობა**

1. გვ. 81-85 (5)

2. გვ.37-43 (7)

### ***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1. განხილულია ბუნებათსარგებლობის პროცესში თანამედროვე პრობლემები; გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების რაციონალიზაციის ღონისძიებების აუცილებლობა და მეცნიერული პროგნოზირების შემუშავების მნიშვნელობა სოციალურ-ეკონომიკური სფეროს განვითარებაში.

მოცემულია პროგნოზირების, როგორც მეცნიერების შემადგენელი ნაწილის დახასიათება, აღწერილია პროგნოზთა ტიპები და ინფორმაციის წყაროები, წარმოდგენილია პროგნოზირების კლასიფიკაციები სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით.

ცალკეა გამოყოფილი პროგნოზი ბუნებათსარგებლობაში: მისი განსაზღვრება, სახეები, მიზანი და ამოცანები. აქვე ყურადღებაა გამახვილებული ბუნებათსარგებლობის პროგნოზირების მიმართულულებზე, კერძოდ გარემოს დაცვის და ეკონომიკის თვალსაზრისით. მოცემულია ასევე ის ძირითადი მოთხოვნები რაც გათვალისწინებული უნდა იყოს პროგნოზირების დროს.

დახასიათებულია აუცილებელი პრინციპები რომლებსაც უნდა ეფუძნებოდეს ბუნებათსარგებლობის პროგნოზირება.

პროგნოზირების მეთოდოლოგიის პრინციპიდან გამომდინარე გადმოცემულია გარკვეული კავშირი ბ.კომონერის ეკოლოგიის „კანონებსა“ და პროგნოზირებას შორის.



და ბოლოს წარმოდგენილია ბუნებათსარგებლობის საქმიანობის რეგულირების ციკლის სქემა, სადაც პროგნოზირება განიხილება, როგორც ამ საქმიანობის პირველი ეტაპი, მისი ძირითადი ფუნქციების განმარტებით.

2. ატმოსფერული პროცესების განვითარების 3D რეგიონალური მოდელისა და მინარევების გადატანადიფუზიის განტოლების ინტეგრირებით შესწავლილია მტვრის გავრცელება ქ. თბილისის ტერიტორიაზე სუსტი ფონური დასავლეთის ქარის დროს. მოდელში დაშვებულია , რომ ავტოტრანსპორტი არის დაბინძურების ძირითადი არასტაციონალური წყარო, რომლის მოძრაობა იწვევს ატმოსფეროს დამტვერიანებას. შესწავლილია რთული რელიეფის პირობებში მტვრის გავრცელების ძირითადი თავისებურებანი. გამოკვლეულია რელიეფის გავლენა პასიური მინარევის დიფუზიის პროცესზე, დადგენილია მაღალი დამტვერიანებული ზონების მდებარეობა, გამოკვლეულია განსხვავებები ზამთრისა და ზაფხულის სეზონებში მტვრის კონცენტრაციის განაწილებებს შორის, დადგენილია მაღალი დაბინძურების ზონების ფორმირების და თვითდასუფთავების პროცესისათვის საჭირო დრო. შესწავლილია ატმოსფეროს სასაზღვრო ფენის ქვედა ნაწილში მტვრის კონცენტრაციის ცვლილება დროსა და სივრცეში. მიღებულია, რომ კონცენტრაცია 0.8 და 1.5 ზდკ ფორმირდება 9 და 18 სთ-ზე გლდანის, თემქის რაიონებში, ქალაქის ცენტრალურ და ჩრდილო არმოსავლეთ ნაწილში.

2. -

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. -

2.-

**დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები



### 3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1. -

2. -

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.-

2.-

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. -

2. -

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

### 3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1. -

2. -

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. -

2. -

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. -

2. -

**დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

## 4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

1) საპატენტო თემატიკის სათაური

1. -

2. -

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები

1. -

2. -

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. -

2. -

4.2. ეროვნული პატენტები

1) საპატენტო თემატიკის სათაური

1. -
- 2.-

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები

1. -
2. -

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. -
2. -

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები

1. -
2. -

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. -
2. -

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. -
2. -

4) გვერდების რაოდენობა

1. -
2. -

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

5.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

1. ნოზაძე მ.
2. ცაავა გ., ბურდიაშვილი რ., მოსიაშვილი ვ.
3. ვანიშვილი მ., მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., ხიდირბეგიშვილი ნ.
4. ვანიშვილი მ., კაცაძე ი.
5. ვანიშვილი მ., ვანიშვილი ნ.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობები. ISBN 978-9941-9662-3-1
2. რისკოლოგია: ფინანსური რისკების სტრატეგიული მენეჯმენტი. (შევსებული და გადამუშავებული მესამე გამოცემა) ISBN 978-9941-27-419-0
3. ბიზნესის კვლევის მეთოდები. ISBN 978-9941-9642-3-7
4. საჯარო ფინანსები და ფინანსური პოლიტიკა, ISBN 978-9941-9662-7-9
5. ფინანსების საფუძვლები: თეორია და პრაქტიკა. ISBN 978-9941-9662-1-7

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, გამომცემლობა „დანი“.
2. თბილისი, გამომცემლობა „დანი“.
3. თბილისი, გამომცემლობა „დანი“
4. თბილისი, გამომცემლობა „დანი“
5. თბილისი, გამომცემლობა „დანი“

4) გვერდების რაოდენობა

1. 402
2. 370
3. 654
4. 620
5. 622

### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1. უმაღლესი სასწავლებლების ბიზნესის და ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფას, რომელიც ეხება საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობებს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ამ სახელმძღვანელოს გამოცემა. სახელმძღვანელო მომზადებულია იმ ლექციების კურსის საფუძველზე, რომელსაც ავტორი რამდენიმე წლის განმავლობაში კითხულობს საქართველოს სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე.

სახელმძღვანელოში ლოგიკური თანმიმდევრობითაა განხილული საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობების თეორიასა და პრაქტიკასთან დაკავშირებული შემდეგი აქტუალური საკითხები: საერთაშორისო სავალუტო ურთი-ერთობები და სავალუტო სისტემა; საერთაშორისო ფინანსების სისტემა; საერთაშორისო ფინანსური ცენტრები, როგორც გლობალური ფინანსური სისტემის შემადგენელი ნაწილი; საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობები და საერთაშორისო საკრედიტო ბაზარი; წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ბაზარი: არსი და დანიშნულება; საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობები და მათთან დაკავშირებული რისკები; ოფშორული ფინანსური ცენტრები, მათი შედარებითი მიმოხილვა; კრიპტოსავალუტო ბაზარი: არსი და პრობლემები; საერთაშორისო ანგარიშსწორების ბალანსი: არსი და სტრუქტურა; საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვა და დაბეგვრა; ორმაგი დაბეგვრა: არსი და გამოწვევები; საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციები და მათი როლი გლობალური საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობების რეგულირებაში. საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობებთან დაკავშირებულ საკითხებთან ერთად სახელმძღვანელოში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე გავრცელებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და მათი ჰეჯირების საკითხებს.

სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის, სავალუტო-საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობების თეორიისა და პრაქტიკის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

2. სახელმძღვანელო ჩამოყალიბებული სამ თავად, 15 სალექციო მასალად და 45 ქვეთავად. პირველ თავში შესწავლილია შემდეგი სალექციო საკითხები: ეკონომიკური რისკები როგორც მართვის ობიექტი; ფინანსური რისკები როგორც მართვის სტრატეგია; საბანკო-საკრედიტო რისკები როგორც

მართვის კრიტერიუმები; კომერციული ბანკების მენეჯმენტის უფლებამოსილება, პასუხისმგებლობა, რისკების შეფასება, მონიტორინგი, სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივები, აქტივების კლასიფიკაცია და დარეზერვება.

მეორე თავში გაშუქებულია შემდეგი სალექციო საკითხები: კომერციული ბანკების რისკების მართვის მიმართებაში საქართველოს ეროვნული ცენტრალური ბანკის დებულება (სებ-ის პრეზიდენტის 17.06.2014 წლის ბრძანება N 48/04); საკრედიტო, საბაზრო, საპროცენტო და სავალუტო რისკები; ლიკვიდობის, სამართლებრივი და რეპუტაციის რისკები; სტრატეგიული, შესაბამისობის და საოპერაციო რისკები; საქართველოს ეროვნული ბანკის დებულება კომერციული ბანკების საოპერაციო რისკების მართვის შესახებ (სებ-ის პრეზიდენტის 17.06.2014 წლის ბრძანება N 47/04); ქვეყნიური, რეგიონალური და დარგობრივი რისკები; კლიენტურული, სამეწარმეო და საგადახდო რისკები; პროექტის და უზრუნველყოფადობის რისკები, ლიზინგური ოპერაციების რისკების ანალიზი; სამშენებლო, ენერგოგასაღებითი და სავაჭრო-სამრეწველო ჯგუფების კომპანიების რისკების ანალიზის პრაქტიკული მაგალითები.

მესამე თავში ჩამოყალიბებულია შემდეგი საკითხები: საბანკო სფეროს განვითარების სტრატეგიის მექანიზმები, პორტფელის რისკების შეფასება, ბაზელის კომიტეტის შეთანხმებები, ფიზიკური და იურიდიული პირების კრედიტუნარიანობის შეფასების პრაქტიკული მაგალითები; საბანკო რისკების შეფასების მოდელები, ბანკის საქმიანობის ეფექტიანობის ფინანსური კოეფიციენტებით შეფასება, ზედამხედველობის საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება; კომერციული ბანკების პასიური და აქტიური ოპერაციები, საბანკო ბიზნესზე ერთდროულად მოქმედი რისკების ურთიერთთემოქმედების ფენომენის დადგენა და გაანგარიშების ფორმულის ვარიანტების შეთავაზება, საკრედიტო რისკების ანალიზთან მიმართებაში ძირითადი შეცდომები, რომლებიც არ უნდა გამოედეს.

სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების საფინანსო, საბანკო და ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის მაკალავრებისათვის, მაგისტრანტებისათვის და დოქტორანტებისათვის, ბანკების თანამშრომლებისათვის და ბიზნესის წარმატებით განხორციელების მოსურნე სუბიექტებისათვის.

3. სახელმძღვანელოში ლოგიკური თანმიმდევრობით არის განხილული ბიზნესის კვლევის მეთოდები ისეთი მნიშვნელოვანი თემების მიხედვით, როგორცაა: ბიზნესის კვლევის მეთოდების საგანი და ამოცანები; ბიზნესის კვლევის კონცეპტუალური საფუძვლები; ბიზნესის კვლევის მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული საფუძვლები; ემპირიული კვლევა დაკვირვებით; ემპირიული კვლევა გამოკითხვით; ემპირიული კვლევა მეორად მონაცემთა ანალიზით; ემპირიული კვლევა პროგნოზირებით; ემპირიული მონაცემების მოპოვება მარკეტინგული კვლევით; ემპირიული მონაცემების ანალიზი და მისი შედეგების ხარისხის შეფასება; ისტორიული და ევოლუციური ანალიზი ბიზნესის ცოდნის სფეროში; ანალიზური, სინთეზური, ინდუქციურ-ალბათური და ჰიპოთეზურ-დედუქციური მეთოდები ბიზნესის კვლევაში; მათემატიკური და სტატისტიკური ანალიზი ბიზნესის ცოდნის სფეროში; ანალოგიისა და მოდელირების მეთოდები ბიზნესის კვლევაში; ბიზნესის კვლევის ეთიკა; კვლევითი პროექტის განხორციელების ლოგიკა და კვლევის ანგარიშის გაფორმების სტანდარტები. ტექსტის გადმოცემის გამარტივების, ადვილად აღქმადობისა და ათვისების მიზნით, წიგნში თითოეული თემა დაყოფილია დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე საკვანძო საკითხებად. ყოველი თემის ბოლოს მოცემულია დასკვნა, საკვანძო ტერმინები გამეორებისათვის, საკონტროლო კითხვები/დავალებები და ტესტები თვითშეფასებისათვის, რომლებიც თემათა საკვანძო საკითხების ათვისების ხარისხის გადამოწმების შესაძლებლობას იძლევა. გარდა ამისა, რეკომენდებული ლიტერატურის ჩამონათვალი მკითხველს შესასწავლი მასალის უფრო სიღრმისეულად ათვისებაში დაეხმარება.

განკუთვნილია საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ბიზნესის პროფილის სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამათა სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის, ბიზნესის კვლევის მეთოდოლოგიისა და პრაქტიკის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

4. სახელმძღვანელოში ლოგიკური თანამიმდევრობით არის განხილული საჯარო ფინანსებისა და ფინანსური პოლიტიკის აქტუალური საკითხები ისეთი მნიშვნელოვანი თემების მიხედვით, როგორცაა: საჯარო ფინანსების არსი და ფუნქციები; საჯარო ფინანსური პოლიტიკა და ფინანსური მექანიზმი; საჯარო ფინანსების მართვის სისტემა და მისი ორგანიზაცია; საბიუჯეტო მოწყობა, საბიუჯეტო სისტემა და საბიუჯეტო პროცესი; სახელმწიფო ბიუჯეტი; ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი; ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი; საბიუჯეტო კლასიფიკაცია; ბიუჯეტის დეფიციტი და სახელმწიფო ვალის მართვა; საბიუჯეტო ფედერალიზმი და ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობის სისტემა; სახელმწიფო არასაბიუჯეტო (სპეციალური) ფონდების ადგილი და როლი საჯარო ფინანსების სისტემაში; საჯარო ფინანსური კონტროლი და მისი ორგანიზაცია.

ტექსტის გადმოცემის გამარტივების, ადვილად აღქმადობისა და ათვისების მიზნით, თითოეული თემა დაყოფილია საკვანძო საკითხებად. ამასთან, ყოველი თემის ბოლოს მოტანილია საკონტროლო კითხვები და ტესტები შექმნილი ცოდნის დონის შემოწმებისათვის, რომლებიც თემათა საკვანძო საკითხების ათვისების ხარისხის გადა-მოწმების საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, ძირითადი თემების დასრულების შემდეგ მოცემულია რეკომენდებული ლიტერატურული წყაროების ჩამონათვალი, რაც მკითხველს შესასწავლი მასალის უფრო სიღრმისეულად ათვისებაში დაეხმარება.

სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის; ფინანსების სფეროს სახელმწიფო სტრუქტურებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში დასაქმებული მუშაკებისათვის; საჯარო ფინანსებისა და ფინანსური პოლიტიკის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

5. სახელმძღვანელოში ლოგიკური თანამიმდევრობითაა განხილული ფინანსების თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური საკითხები ისეთი ფუნდამენტური თემების მიხედვით, როგორცაა: ფინანსების ევოლუცია, არსი და ფუნქციები; საფინანსო სისტემა და ფინანსური ბაზარი; ფინანსური პოლიტიკა და ფინანსური მექანიზმი; ფინანსების მართვა და მისი სისტემა; გადასახადები და საგადასახადო სისტემა; ფინანსური კონტროლი და მისი ორგანიზაცია; საბიუჯეტო მოწყობა, საბიუჯეტო სისტემა და საბიუჯეტო პროცესი; სახელმწიფო კრედიტი, მისი ორგანიზაცია და მართვა; სახელმწიფო სპეციალური ფონდები; სამეწარმეო (კომერციული) ორგანიზაციების ფინანსები; ფინანსური ბაზრის პროფესიონალურ მონაწილეთა ფინანსები; არასამეწარმეო (არაკომერციული) ორგანიზაციების ფინანსები; საოჯახო მეურნეობების (შინამეურნეობების) ფინანსები; საერთაშორისო ფინანსები და ფინანსური პოლიტიკა; საერთაშორისო (გლობალური და რეგიონული) საფინანსო ორგანიზაციები.

ტექსტის გადმოცემის გამარტივების, ადვილად აღქმადობისა და ათვისების მიზნით, წიგნში თითოეული თემა დაყოფილია საკვანძო საკითხებად. ამასთან, ყოველი თემის ბოლოს მოტანილია საკონტროლო კითხვები შექმნილი ცოდნის დონის შემოწმებისათვის, რომლებიც თემათა საკვანძო საკითხების ათვისების ხარისხის გადამოწმების შესაძლებლობას იძლევა. გარდა ამისა, ძირითადი თემების დასრულების შემდეგ მოცემულია რეკომენდებული ლიტერატურული წყაროების ჩამონათვალი, რაც მკითხველს შესასწავლი მასალის უფრო სიღრმისეულად ათვისებაში დაეხმარება.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის; ფინანსების სფეროს სახელმწიფო სტრუქტურებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში დასაქმებული მუშაკებისათვის; ფინანსების თეორიისა და პრაქტიკის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

### 5.3. კრებულები

#### 1) ავტორი/ავტორები

1. -
2. -

#### 2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. -
2. -

#### 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. -
2. -

#### 4) გვერდების რაოდენობა

1. -
2. -

### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

### 5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

#### 1) ავტორი/ავტორები

1. აბუთიძე გოჩა.
2. აბუთიძე გოჩა.

#### 2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1. ზანკების ტრანსფორმაციის პროცესი არასტაბილურ გლობალურ გარემოში. DOI.org/10.36962/ecs104/1-2-57 (ინდექსირებულია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაში „CROSSREF“)
2. შვეიცარიის საბანკო სისტემა - თანამედროვე ტენდენციები და პერსპექტივები. DOI.org/10.36962/ecs104/1-2-219 (ინდექსირებულია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაში „CROSSREF“)

#### 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“, ტომი 104, 1-2, 2021
2. საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“, ტომი 104, 1-2, 2021.

#### 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, გამომცემლობა „დანი“.
2. თბილისი, გამომცემლობა „დანი“.

5) გვერდების რაოდენობა

1. 13

2. 11

### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს არასტაბილურ გლობალურ გარემოში ბანკების ტრანსფორმაციის პროცესის შესწავლა და სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა.

არასტაბილური გლობალური გარემო რთული დინამიური სისტემაა, რომელიც თავად ბანკში მოითხოვს სწრაფ ცვლილებებს ადაპტაციის მიზნით. ბანკები იცვლებიან, ერგებიან გლობალურ არასტაბილურ გარემოს და ავლენენ უნარს არა მარტო გაუმღონ ნეგატიურ ფაქტორებს, არამედ გამოიყენონ შესაძლებლობები ეფექტიანობის ასამაღლებლად.

არასტაბილურ გლობალურ გარემოში კომერციული ბანკების ტრანსფორმაციის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მათ უნდა იმოქმედონ უფრო სწრაფად, ვიდრე კონკურენტებმა, გაზარდონ საქმიანობის ეფექტიანობა არასტაბილური გლობალური გარემოს უარყოფითი გავლენის კომპენსირების მიზნით, მიაღწიონ კოორდინაციას შიდა და გარე გარემოსთან ადაპტაციის მიზნით, ითანამშრომლონ ფინტექ კომპანიებთან, დაწერგონ ინოვაციური ტექნოლოგიები, აითვისონ ახალი ინოვაციური სფეროები.

ვფიქრობთ, საბანკო საქმის მომავალი - ეს არის თანამშრომლობა ტრადიციულ ბანკებსა და ნეობანკებს შორის, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სულ უფრო რთულია არასტაბილურ გარემოში მომგებიანობის მიღწევა და შენარჩუნება ტრადიციული ფინანსური მომსახურებებისა და პროდუქტების სრული პაკეტის დამოუკიდებლად შემუშავების და შეთავაზების გზით.

2. შვეიცარიის საბანკო სექტორში პანდემიამ ცვლილებების ტალღა გამოიწვია, თუმცა შეიძლება იმ მასშტაბის არა, როგორც სხვა ქვეყნებში. შვეიცარიის ბანკები სხვა ქვეყნების ბანკებისგან განსხვავებით ფინანსურად ჯერ კიდევ ძალიან კარგად გრძნობენ თავს. ისინი გაცილებით ნაკლებად განიცდიან ფულის დაზოგვის აუცილებლობას და, შესაბამისად, ფილიალების დახურვის განსაკუთრებული მოტივაცია არ გააჩნიათ, თუმცა, მიუხედავად ამისა, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, აქაც ბოლო წლების განმავლობაში თავი იჩინა ფილიალების ქსელის და თანამშრომლების შემცირების ტენდენციამ.

2019 წელს მსოფლიოს მასშტაბით 50-ზე მეტმა უმსხვილესმა ბანკმა გაათავისუფლა დაახლოებით 77,8 ათასი თანამშრომელი. შემცირების 82% ევროპულ ბანკებზე მოდის. მთლიანობაში მსოფლიოში, ბოლო ექვსი წლის მონაცემებით, საკრედიტო ინსტიტუტებმა 425 ათასი თანამშრომელი გაათავისუფლეს.

ამ ტენდენციას მსოფლიოს მასშტაბით ამძაფრებს პანდემიასთან დაკავშირებული არასტაბილურობა და გახანგრძლივებული კარანტინის ტალღები, რომელიც აიძულებს ფინანსურ ინსტიტუტებს გადავიდნენ მომსახურების დისტანციურ არხებზე და შეამცირონ ფილიალების ქსელი. შესაბამისად, დღეს უკვე გაცილებით ბევრი ბანკი შვეიცარიაში ფიქრობს პერსონალის შემცირებას. ბანკები გეგმავენ ამ გზით გაუმკლავდნენ მზარდ კონკურენციას, რენტაბელობის შემცირებას და პანდემიით მიყენებულ ზარალს.

კორონავირუსმა შეცვალა არა მხოლოდ ბანკების მიდგომები და პოლიტიკა საკუთარი საქმიანობის მიმართ ან მომხმარებელთა საბანკო ოპერაციების შესრულების მეთოდი, არამედ მომხმარებელთა საგადახდო ჩვევებიც: ბარათებმა და სმარტფონებმა დიდწილად ჩაანაცვლა ნაღდი ფული.

## **5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით**

1) ავტორი/ავტორები

1. Kapanadze Maia, Nozadze Mzevinar

2. ტატიშვილი ა, ცაავა გ.
3. ცაავა გ., მოსიაშვილ. ვ., ბურდიაშვილი რ.
4. აბუთიძე გ.
5. ჰასრათოვი თ.
6. ბიბილური ა.
7. ბიბილური ა.
8. ბიბილური ა.

2) სტატიის სათაური, ISSN

1. MONEY MARKET AND ITS INSTRUMENTS (ON THE EXAMPLE OF GEORGIA. ISSN: 2298-0946, E-ISSN: 1987-6114
2. ბანკების ოპერაციების მართვის ძირითადი მეთოდები და საბანკო პორტფელის მართვის ხაზობრივი პროგრამირების ავტორისეული მოდელი. ISSN – 2587 – 500
3. დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) ეკონომიკური მიზანშეწონილობა და საგადასახადო სისტემის სრულყოფის პრობლემატიკა. ISSN – 2587 – 500
4. ბანკების ფინანსური სტაბილურობის შეფასების მეთოდების საერთაშორისო პრაქტიკა. ISSN – 2587 – 500
5. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები და მათი გამოყენების შესაძლებლობები საქართველოში. ISSN 1512-0538
6. საქართველოს ეკონომიკის გამოწვევა - უმუშევრობა და შრომითი ურთიერთობები. ISSN 1987-8591
7. ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შიდა აუდიტის როლი და მნიშვნელობა ორგანიზაციის საქმიანობაში. ISSN – 2587 – 5000
8. მომსახურების პროცესი კომერციულ ბანკებში. ISSN – 2587 – 5000

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. THE CAUCASUS ECONOMIC & SOCIAL ANALYSIS JOURNAL OF SOUTHERN CAUCASUS MULTIDISCIPLINARY JOURNAL REFEREED & REVIEWED JOURNAL. JULY 2021 VOLUME 43 ISSUE 04
2. ყოველკვარტალური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“, N 2. – 2021.
3. ყოველკვარტალური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“, N 2. – 2021.
4. საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“. 2021, №1.
5. ყოველკვარტალური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“ N1-2 2021.
6. სამეცნიერო რეცენზირებადი ჟურნალი „სეუ და მეცნიერება“, 2021წ. N10 (10) გვ. 41-58.
7. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“, 2021წ. N(2) გვ. 50-67.
8. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“, 2021წ. N(3) გვ. 6-18.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. GEORGIA, TBILISI 2021
2. თბილისი, გამომცემლობა „დანი“.
3. თბილისი, გამომცემლობა „დანი“.
4. თბილისი, გამომცემლობა „დანი“.



5. თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
6. თბილისი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
7. თბილისი, გამომცემლობა „დანი“.
8. თბილისი, გამომცემლობა „დანი“.

5) გვერდების რაოდენობა

1. 2
2. 11
3. 18
4. 7
5. 4
6. 18
7. 18
8. 13

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1. საქართველოს ფულის ბაზარს ეროვნული ბანკი არეგულირებს. საქართველოს ფულის ბაზრის განუყოფელი ნაწილია ბლუმბერგის საერთაშორისო ელექტრონული ვაჭრობის სისტემაში ორგანიზებული ბანკთაშორისი სავალუტო ბაზარი, რომლის მეშვეობითაც ხდება სავალუტო ოპერაციების დადება. ბანკთაშორისი დეპოზიტების/სესხების ბაზარი არის ფულის ბაზარი, სადაც ბანკები ვაჭრობენ მოკლევადიანი ჭარბი ლიკვიდობით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი საერთაშორისო პრაქტიკაში ოფიციალურად აღიარებს გლობალური სავალუტო ბაზრის კოდექსის პრინციპებს და მოქმედებს ამ პრინციპების შესაბამისად. ცნობილია, რომ საქართველოს ფულის ბაზარზე მოკლევადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა ხდება. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი 2009 წლიდან სტაბილურია, ისინი რეგულარულად, ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, გაიცემა, რომელიც ბაზრის მონაწილეებს კვარტალურად მიეწოდება.

იმის გათვალისწინებით, რომ ამ ტიპის ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნა არარეზიდენტებისგან, არარეზიდენტებს შეუძლიათ მათი შეძენა და შენახვა ფასიანი ქაღალდების გლობალური ქსელის მეშვეობით. ამ ეტაპზე სამი ასეთი სალარო აპარატი (Statestreet, City, Deuche Bank) ემსახურება ქართულ ბაზარს და 2016 წლის დასაწყისში მათ დაემატა საერთაშორისო ცენტრალური დეპოზიტარი Clearstream. ეროვნულმა ბანკმა დანერგა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების თანამედროვე ინფრასტრუქტურა, რომელიც აკმაყოფილებს უმაღლეს სტანდარტებს და საინტერესო მაგალითია სხვა ქვეყნებისთვის. განახლებული საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემა (CSSS) საქართველოში ფუნქციონირებს 2018 წლიდან. ეს სისტემა ხელმისაწვდომია ბაზრის ყველა მონაწილისთვის - ადგილობრივი და საერთაშორისო და ყველა სახის ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა და ანგარიშსწორება შესაძლებელია.

საერთაშორისო პრაქტიკაში რეპო ოპერაციების გათვალისწინებით, ბანკთაშორისი რეპოს ბაზარი შეიქმნა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და კომერციულმა ბანკებმა ერთობლივად. 2020 წლის აპრილიდან ეროვნულმა ბანკმა დაიწყო ვალუტის სვოპის ოპერაციები საბანკო სექტორში დამატებითი ლიკვიდობის მხარდასაჭერად. ეს ინსტრუმენტი ხელმისაწვდომია არა მხოლოდ კომერციული ბანკებისთვის, არამედ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვისაც.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრმა IFC-მა მხარი დაუჭირა საქართველოს ეროვნულ ბანკს ევრობონდების ეროვნულ ვალუტაში გამოშვებაში, რაც პრაქტიკულად

პირველი პრეცედენტი საქართველოს ფინანსურ სექტორში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო განთავსების თვალსაზრისით. და საბანკო სისტემა. რაც შეეხება სავალუტო დერივატივების - ვალუტის სვოპების, ვალუტის ფორვარდებისა და ვალუტის ფიუჩერების მიმოქცევას, საქართველოს სავალუტო ბაზარზე კაპიტალის მოძრაობა უმნიშვნელოა.

2. შესწავლილია კომერციული ბანკების მდგრადობის შეფასების „კოეფიციენტების მეთოდიკა“, რომელთა განგარიშების საფუძველში „იდეალური ბანკის“ ცნებაა ჩადებული. გაანალიზებულია ბანკები-პარტნიორების საიმედოობისა და გადახდის-უნარიანობის შეფასების ვ.ს. კრომონოვის მეთოდიკა და აღნიშნულია, რომ მეთოდიკის საფუძველში ბანკის ბალანსის აქტივებისა და პასივების მუხლების ეკონომიკურად ერთგვაროვან ჯგუფებში დაჯგუფებაა ჩადებული. შეთავაზებულია ვ. ს. კრომონოვის მეთოდიკაში არსებული ცალკეული უზუსტობების აღმოფხვრის აუცილებლობა, მითითებულია, რომ ვ. ს. კრომონოვის მიერ შემუშავებული კოეფიციენტების შეწონვის სისტემის ძირეული ნაკლოვანება წონების ზღვრულ სუბიექტივიზაციაში მდგომარეობს. შეთავაზებულია ბანკის საიმედოობის განმსაზღვრელი კოეფიციენტების წონის შეწონვაში რეალური მნიშვნელობების გამოყენების შესაძლებლობა, რაც ბანკის საერთო საიმედოობის მაჩვენებლის მნიშვნელობის გაუმჯობესების შესაძლებლობას იძლევა.

3. ნაშრომში გამოკვლეულია დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) როგორც საგადასახადო ადმინისტრირების ობიექტი, მითითებულია, რომ დღგ-ს კონცეფცია შემუშავებული და საჯაროდ წარმოდგენილი იყო ფ. ვან სიმენსონის მიერ (1918 წ.) ბრუნვიდან (გაყიდვებიდან) გადასახადის დაბეგვრის ალტერნატივის სახით, აღნიშნულია, რომ იგი ირიბი ხასიათის გადასახადია, ოფიციალურად გადასახადგადამხდელებს წარმოადგენენ გამყიდველები, მაგრამ გადასახადის გადახდილი თანხა გადაიტანება პროდუქციის ღირებულებაზე, ამიტომ ფაქტიურად გადასახადგადამხდელებად გამოდიან მყიდველები. შესწავლილია საგადასახადო ადმინისტრირების სისტემაში დღგ-ს ფისკალური პოლიტიკოს შეფასებისადმი საკითხები, ჩამოყალიბებულია საგადასახადო კანონმდებლობის გარღვევების აღმოფხვრისათვის დღგ-ს თანხების ანაზღაურების, ჩათვლისა და დაბრუნების საგადასახადო ადმინისტრირების მექანიზმი, შეთავაზებულია დღგ-ს საგადასახადო ადმინისტრირების ციფრული მოდერნიზაციის მიმართულებები, აღნიშნულია, რომ დღევანდელი მდგომარეობით დღგ-ს გადასახადი დანერგილია ყველა კონტინენტზე და იგი გამოიყენება თანამედროვე მსოფლიოს 160 ქვეყანაზე მეტში, თუმცა უშუალოდ აშშ-ში და იაპონიაში იგი დღემდე არ არის დანერგილი, სადაც თვლიან, რომ აღნიშნული გადასახადი საბოლოო ჯამში აკავებს მოხმარებას და ასტიმულირებს ეკონომიას (ეკონომიკაში დანაზოგების მოცულობის გადიდებას) და მის მაგივრად იყენებენ გაყიდვებიდან გადასახადს, მათი საგადასახადო სისტემებიც საკმაოდ ეფექტურებად და წარმატებულებად ითვლებიან. აღნიშნულიდან გამომდინარე შეთავაზებულია კომპლექსური სამეცნიერო-პრაქტიკული დისკუსიისა და ანალიზის აუცილებლობის შესახებ დღგ-ს შესაძლო მოდერნიზაციასთან მიმართებაში.

4. ბოლო გლობალურმა საფინანსო-საბანკო კრიზისმა წარმოაჩინა ბანკების სტაბილურობის შეფასების მიმართ არსებული მიდგომების შემდგომი სრულყოფის აუცილებლობა და მათ უფრო ქმედითი და ყოვლისმომცველი ხასიათი შესძინა.

უცხოური ქვეყნების საზედამხედველო ორგანოების პრაქტიკაში, ბანკების ფინანსური სტაბილურობის შეფასება არის ეფექტური საზედამხედველო პროცედურების ბაზისი და წარმოადგენს კონკრეტული კომერციული ბანკებისთვის გამოყენებადი ზედამხედველობის კომპლექსური სისტემის საწყის კომპონენტს.

ცალკეული ბანკების ფინანსური სტაბილურობის შესაფასებლად გამოყენებული მიდგომები ხასიათდება სულ უფრო მზარდი აქცენტით კომერციული ბანკების მიერ აღებად რისკებზე და მენეჯმენტის ხარისხზე, ასევე მათ საქმიანობაში პრობლემების ადრეული იდენტიფიცირების

აუცილებლობაზე. ამასთან, კომერციული ბანკების ფინანსური სტაბილურობის შეფასება არის სხვადასხვა კომერციული ბანკისადმი დიფერენცირებული მიდგომის ღონისძიებების გამოყენების საფუძველი.

5. ეკონომიკური სუბიექტები, რომლებიც ეწევიან ბიზნეს საქმიანობას, ინფორმაციის მუდმივი მომხმარებლები არიან, რადგანაც მათი საქმიანობა სისტემატურად უკავშირდება ისეთ მნიშვნელოვან მექანიზმს, რასაც ბაზარი ჰქვია. მათი სააღივებო საქმიანობა რეგულირდება არა სტიქიურად, არამედ გათვლილი, მოწესრიგებული პროცედურებით, რასაც გვთავაზობს თანამედროვე სააღრიცხვო სტანდარტები. ამავ დროს, ეკონომიკური სუბიექტები ვალდებული არიან მათი საქმიანობა სათანადოდ აღწერონ და წარმოადგინონ სპეციალური დოკუმენტებით, ანუ აწარმოონ ბუღალტრული აღრიცხვა, რომელსაც „ბიზნესის ენას“ უწოდებენ. რამდენად სწორად ხდება მათ მიერ აღრიცხვა, სჭირდება კონტროლი. ამ მიზნით, კერძო სექტორის ჩამოყალიბებასთან ერთად საბაზრო ეკონომიკისა და მათში მონაწილე სუბიექტებისათვის ჩამოყალიბდა მიზნობრივი და ზუსტი ფუნქციონირებისათვის ისეთი მნიშვნელოვანი სამსახური, რასაც აუდიტორული საქმიანობა ჰქვია. ის იმდენად მნიშვნელოვანია ეკონომიკური სუბიექტების სწორი სააღრიცხვო საქმიანობის შესამოწმებლად, რომ აუცილებელ მოთხოვნილებად იქცა არა მხოლოდ უბრალოდ საქმიანობის წარმართვა, არამედ მისი ეფექტური შესრულება.

6. ეკონომიკური მეცნიერება საინტერესო სფეროა, ის მოიცავს მიკრო და მაკრო ეკონომიკას და ზოგადად ეკონომიკურ საქმიანობას, ორიენტირებულია ეკონომიკური ცოდნის გაღრმავებისა და შეცნობისაკენ. ხშირად ეკონომიკას უწოდებენ ცოდნის სისტემასაც, რადგან მისი საბოლოო შედეგი მაინც შრომისა და ფულის ბაზარია. რა თქმა უნდა საქართველო გლობალური, მასშტაბური და მუდმივად ცვალებადი მსოფლიოს ნაწილია, სადაც ქვეყნების წარმატებულ პოზიციას არა მარტო სწორი პოლიტიკა, არამედ გამართული ეკონომიკაც განაპირობებს. ეკონომიკა ძალიან ფართო ცნებაა, შეგვიძლია უსასრულოდ ვისაუბროთ მასზე, თუმცა ჩემი სტატიის მნიშვნელოვანი თემა მისი ერთი მოზრდილი ნაწილის მცირე მონაკვეთია, მაკროეკონომიკის შემადგენელი - უმუშევრობა. თავად რა არის მაკროეკონომიკა? - ეს არის ეკონომიკური მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ქვეყნის ეკონომიკას სრულად, განსახვავებით მიკროეკონომიკისაგან, რომელიც მოიცავს ინდივიდუალურ მომხმარებლებს, ფერმერებსა და საწარმოთა ეკონომიკურ საქმიანობას. მაკროეკონომიკა კი აკონტროლებს თუ როგორ ფუნქციონირებს ქვეყნის ეკონომიკა და მასში შემავალი პროცესები, როგორცაა: ინფლაცია, უმუშევრობა, ეკონომიკური ზრდა, საბიუჯეტო დეფიციტი და ა.შ. მარტივად რომ ვთქვათ ეს არის ყველაფერი ის, რაზეც დგას სახელმწიფოს მთლიანობა, განვითარება, წარსული, აწმყო და მომავალი .

7. შიდა აუდიტი ეს არის მმართველობით-კორპორატიული დისციპლინა, რომელმაც განვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჰპოვა. მისი ორგანიზება ხორციელდება კომპანიის დამაარსებლებისა და მფლობელების ინტერესების სრული გათვალისწინებით, შესაბამისად ორიენტირებულია შიდა პროცედურის დაცვასა და კონტროლის სისტემის საიმედოობაზე. აუდიტი თავისი არსით მრავალფეროვანია და პრაქტიკაში გვხვდება არაერთი მათგანი, როგორცაა: შიდა, გარე, ფინანსური, გარემოსდაცვითი და ა.შ. ასევე მნიშვნელოვანი და ფუნდამენტურია ხარისხის მართვის სისტემის შიდა აუდიტი, რომელიც ბაზრისთვის შედარებით ახალი ხილია. ხარისხის მართვის სისტემის შიდა აუდიტი თითქოს მოიცავს აუდიტის ყველა ტიპს და ერთგვარი შემაკავშირებელი რგოლია თითოეული მათგანის. რას შეგვიძლია იგი შევადაროთ? მაგალითისთვის ვთქვათ, რომ იგი განიხილავს ორგანიზაციას, როგორც მთლიან ორგანიზმს, სადაც გამოკვლევა ხდება სტრუქტურულად არსებული თითოეული ორგანოსი. თუკი სასიცოცხლო ფუნქციები აქტიურია, ორგანიზმი თავისუფლად შეძლებს არსებობასა და საჭიროების შემთხვევაში ძალების აღდგენას, მაგრამ თუ მნიშვნელოვანი ორგანოები დაზიანებულია მაშინ დასასრული ანუ ლიკვიდაცია გარდაუვალია. სწორედ ამას აფასებს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შიდა აუდიტი შემოწმებისას, ეს არ არის სადამსჯელო რაზმი ან კომპანიის

კონკურენტები, ის არის ორგანიზაციის როგორც ორგანიზმის გამაჯანსაღებელი და გამომაფხიზლებელი საშუალება. სწორედ მოცემული ტიპის შიდა აუდიტი წარმოადგენს ჩემი კვლევის თემას, რომელიც დეტალურად ძირითად ნაწილშია გაშლილი.

8. თითოეული ადამიანის ცხოვრების ყოველდღიურობაა მომსახურების პროცესი, ზოგიერთი ჩვენთაგანი თავად ვმუშაობთ მომსახურების სექტორში, შესაბამისად მოცემული საკითხი მნიშვნელოვანია და საჭიროებს განხილვას, რა წარმოადგენს მომსახურების პროცესს და რამდენად ხარისხიანად ვიღებთ ან ვაწვდით მას? მომსახურების სფერო საზოგადოების განუყოფელი ნაწილია, როგორც კი წარმოიშვა გარკვეული ტიპის ურთიერთობები ადამიანთა შორის, შესაბამისად გაჩნდა აუცილებლობა მიგველო სხვადასხვა სერვისები. მომსახურების პროცესი ორმხრივია, ერთი ვინც გასცემს საჭირო სერვისს და მეორე ვინც იღებს მას. მარტივად ჟღერს, თუმცა სწორედ ასეთ ურთიერთობებზეა დამყარებული მოკლევადიანი თანამშრომლობა, რომელიც შემდგომ შესაძლებელია იყოს გრძელვადიანი პერსპექტივით. საზოგადოების განვითარებამ მოიტანა სწორედ მომსახურების სექტორის დახვეწა და დამატებითი მოთხოვნების წარმოშობა. თუკი წლების წინ აქცენტი კეთდებოდა მხოლოდ ხარისხიან პროდუქციაზე, ფასზე ან სხვა მახასიათებლებზე, დღეს ბევრი წამყვანი ორგანიზაცია, მათ შორის კომერციული ბანკები მომხმარებელთა მოზიდვას მაღალი კლასის მომსახურებით, სერვისებითა და გარემოთი ცდილობს. ტექნოლოგიურმა განვითარებამ კი ეს პროცესი კიდევ უფრო მეტად დააჩქარა. მოცემული საკითხები დეტალურადაა განხილული თემაში და მოიცავს მომხმარებლის მომსახურების პროცესის შესახებ მსჯელობასა და მარკეტინგული მიქსის 4P-ის გამოყენების აუცილებლობას ორგანიზაციის საქმიანობაში.

## 6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

### 6.1. მონოგრაფიები/წიგნები

#### 1) ავტორი/ავტორები

1. Shonia N., Nozadze M., Mushkudiani Z.

**2. Vanishvili M., Nozadze M., Vardishvili L.**

3. Vanishvili M., Vanishvili N.

#### 2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. სადაზღვევო ბაზარი საქართველოში: გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები /ინგლისურ ენაზე/ Insurance Market of Georgia: Challenges and Development Prospects. (ISBN: 978-620-4- 71624-4)

2. ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესის გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში /გერმანულ ენაზე/ HERAUSFORDERUNGEN UND PERSPEKTIVEN DES LOKALEN HAUSHALTSVERFAHRENS IN GEORGIEN. (ISBN: 978-620-2-72828-7)

3. ფინანსური სტაბილურობა საქართველოში: გამოწვევები და პერსპექტივები /ინგლისურ ენაზე/ FINANCIAL STABILITY IN GEORGIA: CHALLENGES AND PROSPECTS. (ISBN: 978-620-3-92307-0)

#### 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. LAP LAMBERT. Academic Publishing

2. Publisher: Scientia Scripta is a trademark of Internacional Book market Service Ltd., member of OmniScriptum Publishing Group 17 Meldum Street, Beau Bassin 71504, Mauritius Printed at:KS OmniScriptum Publishing Brivibas gatve 197 LV-1039 Riga, Latvia Telefax: +371 686 204 55 www.omnisciptum.com

3. Publisher: LAP LAMBERT Academic Publishing Is a trademark of Dodo Books Indean Ocean Ltd., member of the OmniScriptum S.R.L.Publishing Group Street A. Russo 15, of 61, Chisinau-2068, Republic of Moldova Europe

4) გვერდების რაოდენობა

1. 117

2. 60

3. 68

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1. მონოგრაფიული კვლევა ეძღვნება ანალიზისა და შეფასების საფუძველზე საქართველოს სადაზღვეო ბაზრის არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების ძირითადი პერსპექტივების გამოვლენას. კვლევის შედეგები წარმოდგენილია სამ თავში.

პირველი თავი - „საქართველოს სადაზღვეო ბაზრის ზოგადი მიმოხილვა“ - განხილულია საქართველოს სადაზღვეო ბაზრის ისტორია და საქართველოს სადაზღვეო ბაზარზე მოთხოვნადი პროდუქტები.

თავი მეორე - „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“ - განიხილავს და აფასებს ზედამხედველობის სამსახურის მიზნებს, ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს; მარეგულირებელი კაპიტალის ოდენობის და მზღვეველის გადახდისუნარიანობის მარჯის გამოთვლის წესი; სადაზღვეო ლიცენზიის გაცემისა და გაუქმების პროცედურა; მზღვეველის იძულებითი მართვის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების პროცედურა.

თავი მესამე - "საქართველოს სადაზღვეო ბაზრის განვითარების გამოწვევები და პერსპექტივები" - ეძღვნება საქართველოს სადაზღვეო ბაზარზე არსებული პრობლემების გამოვლენას, საქართველოში სადაზღვეო ბაზრის განვითარების პრიორიტეტებისა და პერსპექტივების განსაზღვრას და რეკომენდაციების მომზადებას. შესაბამისი საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური დებულებები.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო სპექტრისთვის: სამეცნიერო და პრაქტიკული მოღვაწეებისთვის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორებისა და სტუდენტებისთვის. წიგნი გამოადგებათ ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების თანამშრომლებს, ყველა მათ, ვინც დაინტერესებულია სადაზღვეო ბაზრის გაუმჯობესებით.

2. მონოგრაფია გამოკვლევა ეძღვნება საქართველოს თვითმმართველ ქალაქებში საბიუჯეტო პროცესის არსებული მდგომარეობის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას. გამოკვლევის შედეგები წარმოდგენილია ორ თავად.

პირველ თავში - საჯარო ფინანსების რეფორმა და საბიუჯეტო პროცესის პრაქტიკა საქართველოს თვითმმართველ ქალაქებში“ - შესწავლილი და შეფასებულია საჯარო ფინანსების რეფორმის მიმდინარეობა და სახელმწიფო სატრანსფერო პოლიტიკა თვითმმართველ ქალაქებში; განხილულია ბიუჯეტის შედგენის საბაზისო დოკუმენტი - საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები და საბიუჯეტო პროცესი; ნაჩვენებია თვითმმართველი ქალაქების ბიუჯეტების შემოსულობებსა და გადასახდელებს შორის განსხვავება და მათი დაგეგმვის თავისებურებანი; გაანალიზებული და შეფასებულია პროგრამული ბიუჯეტის განხორციელების თანამედროვე პრაქტიკა საქართველოს თვითმმართველ ქალაქებში, რის საფუძველზეც გაკეთებულია დასკვნები მისი განვითარების სრულყოფის აუცილებლობაზე.

მეორე თავი - საბიუჯეტო პროცესის სრულყოფის მიმართულებები საქართველოს თვითმმართველ ქალაქებში“ - ეძღვნება თვითმმართველ ქალაქებში პროგრამული ბიუჯეტის სრულყოფის მიმართულებების განსაზღვრას და შესაბამისი საკანონმდებლოსამართლებრივ და მეთოდურ

უზრუნველყოფასთან დაკავშირებული რეკომენდაციების მომზადებას და ეფექტიანობის აუდიტის როლს პროგრამული ბიუჯეტის შეფასებაში.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის: სამეცნიერო და პრაქტიკული მოღვაწეებისათვის, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის. იგი სასარგებლო იქნება ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულთათვის, ყველასთვის, ვინც საბიუჯეტო პროცესის სრულყოფის პრობლემით არის დაინტერესებული

**3.** მონოგრაფიული კვლევა ეძღვნება საქართველოში არსებული ფინანსური სტაბილურობის მდგომარეობის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე მისი გაძლიერების ძირითადი მიმართულებების გამოვლენას.

მონოგრაფიაში წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოცემული ყოველწლიური გამოცემა. იგი წარმოადგენს ფინანსური სისტემის მოწყვლადობისა და რისკების შეფასებას ფინანსური სექტორის საშუალო- და გრძელვადიან სტრუქტურულ მახასიათებლებზე და საქართველოს ეკონომიკის ასპექტებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია ფინანსური სტაბილურობისთვის. იგი ასევე ანალიზებს შიდა ფინანსური სისტემის მდგრადობას და განიხილავს ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის (FSC) მიერ გატარებულ პოლიტიკას და ზომებს ფინანსური სტაბილურობის მხარდასაჭერად. კვლევის შედეგები წარმოდგენილია სამ თავში.

პირველი თავი - „ფინანსური სტაბილურობისა და მოწყვლადობის რისკები“ - იკვლევს გარე მოწყვლადობას და მის განმსაზღვრელ ფაქტორებს; აქ წარმოდგენილია საყოფაცხოვრებო, კორპორატიული და უძრავი ქონების სექტორების მიმოხილვები.

მეორე თავი - „საფინანსო სექტორის არსებული მდგომარეობის შეფასება“ - ანალიზებს და აფასებს ფინანსური სექტორში არსებულ მდგომარეობას, რის საფუძველზეც კეთდება დასკვნები მისი შემდგომი განვითარების აუცილებლობის შესახებ.

მესამე თავი - „ფინანსური სტაბილურობის განმტკიცების მიმართულებები“ - ეძღვნება ფინანსური სტაბილურობის განმტკიცების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას და შესაბამის საკანონმდებლო და მეთოდოლოგიურ დებულებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების მომზადებას.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო სპექტრისთვის: სამეცნიერო და პრაქტიკული მოღვაწეებისთვის, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორებისა და სტუდენტებისთვის. ის სასარგებლო იქნება ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების თანამშრომლებისთვის, ყველა მათთვის, ვინც დაინტერესებულია ფინანსური სტაბილურობის განმტკიცების პრობლემით.

## 6.2. სახელმძღვანელოები

### 1) ავტორი/ავტორები

1. -
2. -

### 2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. -
2. -

### 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. -
2. -

4) გვერდების რაოდენობა

1. -

2. -

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

### 6.3. კრებულები

1) ავტორები

1. -

2. -

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. -

2. -

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. -

2. -

4) გვერდების რაოდენობა

1. -

2. -

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

### 6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. Челидзе М., Хидирбегишвили Н., Абутидзе Г.

2. Abutidze G.

3. Sulashvili G., Nadiradze G.

4. Vanishvili M., Kokashvili N., Osadze L.

5. Vanishvili M., Kokashvili N., Sosanidze M.

6. Nozadze Mzevinar.

7. Shonia Nana, Nozadze Mzevinar, Mushkudiani Zurab.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიגיტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. Особенности деятельности коммерческих банков Грузии в современных условиях.

2. Impact of the Covid-19 pandemic on the activities of Georgian banks. DOI.org//10.29013/ESR-21-1.2-51-54 [Global Impact Factor 1.44]

3. Establishment of public procurement system in Georgia DOI:

[https://doi.org/10.31435/rsglobal\\_conf/25062021/7606](https://doi.org/10.31435/rsglobal_conf/25062021/7606)

4. The Saving Culture and Financial Goals of Population in Georgia

5. Loan-debt peculiarities of the population in Georgia

6. INTERNATIONAL ASPECTS OF CURRENCY FINANCIAL AND CREDIT RELATIONS OF GEORGIA

<https://doi.org/10.29013/ESR-21-3.4-73-77>

7. AGRICULTURAL INSURANCE AND PROSPECTS FOR ITS DEVELOPMENT IN GEORGIA.  
<https://doi.org/10.29013/ESR-21-5.6-95-98>

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. Рецензируемый научно-методический журнал «Проблемы современной науки и образования». 2021, №3 (160), [Российский импакт-фактор: 1,72]
2. International Reviewed Scientific Journal «European Science Review». Volume 1-2, 2021
3. XXX International Scientific and Practical Conference, Social and Economic Aspects of Education in Modern Society. *RS Global*, June, 2021,
4. European Science Review, No 9–10, 2021
5. Premier Publishing s.r.o. Vienna
6. European Science Review. № 3–4 2021. March–April
7. European Science Review. № 5–6 2021. May–June

4) გამომცემის ადგილი, გამომცემლობა

1. Москва, изд. «Проблемы науки».
2. Premier Publishing s.r.o. Vienna.
3. Warsaw, Poland, RS Global Sp. z O.O.,
4. Premier Publishing s.r.o. Vienna
5. Premier Publishing s.r.o. Vienna
6. Vienna, Premier Publishing.
7. Vienna, Premier Publishing.

5) გვერდების რაოდენობა

1. 8
2. 4
3. 3
4. 10
5. 7
6. 4
7. 3

### ***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1. სტატიაში გაანალიზებულია საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების როლი თანამედროვე პირობებში და მათი საქმიანობა, კერძოდ, დაკრედიტების სფეროში. 2020 წელს COVID-19-ის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე საკმაოდ ძლიერი იყო. ასეთი გლობალური ინტეგრირებული კრიზისი პირველია ქართული ბიზნესის ისტორიაში. ამ რთულ დროში საბანკო სექტორი რჩება ეკონომიკის მხარდაჭერის ერთ-ერთ მთავარ სფეროდ.

საბანკო სექტორის როლი საქართველოს ეკონომიკაში ყოველწლიურად იზრდება, კომერციული ბანკების მიმართ დამოკიდებულება იცვლება. ისინი სულ უფრო მეტად აღიქმებიან სტაბილურ პარტნიორებად და ინვესტორკომპანიებად, რაც ხელს უწყობს ბანკის მოდერნიზაციას, ნდობის ზრდას, სტაბილურობას და განვითარებას. საქართველოს წამყვანი ბანკები მუდმივად ცდილობენ



გააუმჯობესონ თავიანთი პროდუქტები და მომსახურება, მაქსიმალურად მოერგონ კლიენტისა და ბაზრის საჭიროებებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებების შესწავლისა და ანალიზის შედეგად, დავრწმუნდით, რომ გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ქვეყნის ფინანსურ სექტორზე პანდემიის უარყოფითი ზემოქმედების შესარბილებლად და ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირებისთვის. ქვეყნის საბანკო სექტორი ჯანსაღია, გააჩნია კაპიტალის და ლიკვიდობის ადეკვატური რეზერვები.

**2. სტატიაში ლიტერატურულ წყაროებსა და ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით შესწავლილი და გაანალიზებულია კოვიდ-19 პანდემიის პირობებში დაწესებული შეზღუდვების ფონზე ბანკების არსებული მდგომარეობა და სამომავლო პერსპექტივები.**

დღეს არსებული ვითარება აშკარა მაჩვენებელია იმისა, რომ ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობა შოკების მიმართ უმნიშვნელოვანესია. წინა წლებში გატარებული რეფორმების შედეგად, საქართველოს ეროვნულ ბანკს გააჩნია ეფექტიანი მონეტარული და მაკროპრუდენციული პოლიტიკის ინსტრუმენტები. საქართველოს ფინანსური სექტორი არის მდგრადი და დაგროვილია ბუფერები, რაც სამომავლოდ დაეხმარება მას კრიზისის ნაკლები დანაკარგებით დაძლევაში.

3. სამთავრობო შესყიდვების ბაზარი არის მაკროეკონომიკური სისტემა, რომელიც მოიცავს ერთ სისტემაში ურთიერთმოქმედ სტრუქტურულ ელემენტებს, რომლებიც გვევლინებიან ქვეყნის ეკონომიკური სისტემის განუყოფელ ნაწილად. სახელმწიფო, როგორც მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების მეპატრონე, საბიუჯეტო შეკვეთების განთავსებაში მოქმედებს, როგორც საბაზრო ურთიერთობების უმსხვილესი სუბიექტი. სახელმწიფო შესყიდვები (საქონლის, სამუშაოები, მომსახურება) ხორციელდება უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

თანამედროვე საბაზრო ურთიერთობებმა დაადასტურა ქვეყანაში საქონლისა და მომსახურების შესყიდვის პროცესის რეგულირების აუცილებლობა სახელმწიფოს მხრიდან, აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებელი ინსტიტუტის დონეზე. თანამედროვე ეკონომიკაში საზოგადოებრივი ინსტიტუტები სახელმწიფო და სოციალური საჭიროებებისათვის შესყიდვების განხორციელების მიზნით აწყდებიან ფინანსური რესურსების ნაკადების რეგულირების აუცილებლობას, რომელიც მხარჯავმა სუბიექტებმა უნდა განახორციელონ ეფექტურად და შედეგიანად.

4. სამეცნიერო სტატიაში, უახლეს ლიტერატურულ წყაროებზე და მდიდარ ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით, განხილულია ფინანსური განათლების ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა მოსახლეობის დაზოგვის კულტურა და ფინანსური მიზნები.

კვლევამ დაადგინა, რომ უპროცენტო სესხი მეგობრებისგან და საბანკო სესხი ქართველი რესპონდენტების მიერ ყველაზე ხშირად გამოყენებული სესხის წყაროა, 42% მეგობრისგან უპროცენტო სესხს იღებს, ხოლო 39% ბანკიდან. პოპულარულად, საბანკო სესხს მოსდევს ლომბარდული სესხი (18%), ანაზღაურებადი სესხი (12%) და მიკრო საფინანსო ორგანიზაციებიდან აღებული სესხი (11%).

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ მოსახლეობის 57%-ს აქვს მინიმუმ ერთი ფინანსური მიზანი, ხოლო 41%-ს საერთოდ არ აქვს ფინანსური მიზნები. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ზრუნავს დაუყოვნებელი, შეუცვლელი ხარჯების დაფარვით და ნაკლებად სავარაუდოა, რომ დასახოს გრძელვადიანი ან ძვირადღირებული მიზნები; საქართველოს მოსახლეობისთვის ყველაზე გავრცელებული ფინანსური მიზნებია: მიმდინარე სასესხო ვალდებულებების დაფარვა (28%), საკვების ყიდვა (25%) და კომუნალური გადასახადების გადახდა (24%).

ამ კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები ძალზე სასარგებლოა ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში მიახლოებითი საბაზისო და ეტალონების დასაყენებლად და ფინანსური განათლების პროგრამების შემუშავებისთვის.

5. სამეცნიერო სტატია, რომელიც ეყრდნობა უახლეს ლიტერატურულ წყაროებს და მდიდარ ფაქტობრივ მასალებს, განიხილავს ფინანსური განათლების ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა მოსახლეობის სავალო ვალდებულებები და სავალო ტვირთი.

დადასტურდა, რომ უპროცენტო სესხი მეგობრებისგან და საბანკო სესხი ქართველი რესპონდენტების მიერ ყველაზე ხშირად გამოყენებული სესხია, 42% მეგობრისგან უპროცენტო სესხს იღებს, ხოლო 39% ბანკიდან. პოპულარულად, საბანკო სესხს მოსდევს ლომბარდული სესხი (18%), ანაზღაურებადი სესხი (12%) და მიკრო საფინანსო ორგანიზაციებიდან აღებული სესხი (11%).

ზოგადად, საშუალო შემოსავლის მქონე შინამეურნეობები ყველაზე აქტიური მსესხებლები არიან, შემდეგ მოდის უფრო მაღალი შემოსავლის მქონე შინამეურნეობები. მეგობრის/ოჯახის უპროცენტო სესხი ყველაზე პოპულარულია დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე რესპონდენტებს შორის და, ამდენად, სავარაუდოა, რომ ასეთი სესხები უპირატესად მცირე ოდენობით გაიცემა.

6. საქართველოს მიერ პოსტსოციალისტური სივრციდან გამოსვლამ და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარებამ დღის წესრიგში დააყენა საკითხი - ერთი მხრივ, ქვეყნის ეკონომიკაში საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობების როლისა და ადგილის არსებით ცვლილებასთან, მეორე მხრივ კი, ქვეყნის საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობებში აუცილებელ ინტეგრაციასთან დაკავშირებით.

დამოუკიდებელი საფინანსო-საკრედიტო სისტემის დანერგვამ დღის წესრიგში დააყენა საკითხი ეროვნული ვალუტის შემოღების შესახებ (ცნობილია რომ საქართველოსა და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მანამდე მიმოქცევაში იყო საერთო ვალუტა - მანეთი). საქართველოს ეროვნული ვალუტა ლარი მიმოქცევაშია 1995 წლიდან. საქართველოს ბანკთაშორისი სავალუტო ბაზარი ქვეყნის ფულადი ბაზრის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ორგანიზებულია ბლუმბერგის საერთაშორისო ელექტრონულ სავაჭრო სისტემაში.

საქართველოს ეროვნული ბანკი ოფიციალურად აღიარებს საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელებულ სავალუტო ბაზრის გლობალური კოდექსის პრინციპებს და ახორციელებს საქმიანობას ამ პრინციპების შესაბამისად. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისათვის ეროვნულ ბანკში დანერგილია თანამედროვე ინფრასტრუქტურა, რომელიც პასუხობს უმაღლეს სტანდარტებს და წარმოადგენს საინტერესო მაგალითს სხვა ქვეყნებისათვის. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა წარმოებს ბლუმბერგის (ინგლ. Bloomberg) სისტემაში ელექტრონულად. ყველა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი დარეგისტრირებულია „ბლუმბერგის“ სისტემაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ ინვესტორს მსოფლიოს ყველა კუთხეში აქვს სრული ინფორმაცია და წვდომა ქართულ ბაზარზე.

საერთაშორისო საფინანსო, და კერძოდ, საგადასახადო კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით საქართველომ ხელი მოაწერა ხელშეკრულებებს 55 ქვეყანასთან ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით.

რაც შეეხება საქართველოს საბანკო-საკრედიტო სისტემას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „2019 წლისათვის ფინანსური გარემოს გაუმჯობესების და ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნების ფაქტს ადასტურებს საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების მიერ საქართველოს საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესებული შეფასება“ [5, 366]. კერძოდ, „საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიამ „Standart&Poor“-მა (S&P) საქართველოს სუვერენული რეიტინგი „BB“ დონემდე ასწია სტაბილური პერსპექტივით. ასევე, მეორე დიდმა სარეიტინგო კომპანია „Fitch Ratings“-მა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი „BB\_-“დან „BB“-მდე გაზარდა.

ნიშნდობლივია, რომ საქართველოს მთავრობა აქტიურად ახორციელებს ურთიერთთანამშრომლობას საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებთან. მსოფლიო ბანკში საქართველოს გაწევრიანების შემდეგ ბანკმა ქვეყნის სხვადასხვა სფეროში საკმაოდ ბევრი პროექტი დააფინანსა. 90-იანი წლების შუა პერიოდში მსოფლიო ბანკმა მხარი დაუჭირა - „პირველი თაობის მთავრობის რეფორმებს“ - ცენტრალიზებულ-გეგმიანი ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის რეფორმების განხორციელებას. მან ასევე ხელი შეუწყო მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევას, მაკროეკონომიკური ზრდის სტიმულირებას და ფინანსური დისციპლინის გაუმჯობესებას კერძო და საჯარო სექტორში. საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების დახმარებით და დიდი ძალისხმევით განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები, რამაც უზრუნველყო საქართველოს მიმართ - ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, ნდობის ხარისხის ამაღლება, მისი ცნობადობისა და საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგის ზრდა.

7. აგრარული სექტორი მიეკუთვნება ეკონომიკის იმ დარგს, სადაც კვლავწარმოების ეკონომიკური პროცესები მჭიდრო კავშირშია ბუნებრივ-კლიმატურ პროცესებთან. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველო დიდი ტრადიციების მქონე სოფლის მეურნეობის ქვეყანაა, სადაც არსებობს ვაზის და ხორბლის წარმოების მდიდარი გამოცდილება.

2014 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოში ფერმერებისთვის აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამა ამოქმედდა, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს. პროგრამის ფარგლებში აგროდაზღვევის სტიმულირების მიზნით, სახელმწიფო აფინანსებს სადაზღვევო პრემიის დიდ ნაწილს (70%-დან 90%-მდე), ფერმერის მხრიდან კი უნდა გაფორმდეს სადაზღვევო პოლისი ამა თუ იმ კომპანიასთან, სადაც დაფიქსირდება ნაკვეთის მდებარეობა და მოსალოდნელი მოსავლის მოცულობა. ეს არის საპილოტე პროგრამა, რომელიც მოიაზრებს მთავრობის მიერ სუბსიდირებას გარკვეული პირობების გათვალისწინებით. საპილოტე პროგრამისათვის გამოყოფილი სახელმწიფო სუბსიდის თანხა 5 000 000 ლარი პროგრამის ფარგლებში ათვისებული იქნა პირველივე წელს.

ამასთან, აგროდაზღვევის პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნია არაუმეტეს 5 ჰა (ხორბლის მოსავლის დაზღვევის შემთხვევაში არაუმეტეს 15 ჰა) ფართობის ჩათვლით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. 2016 წელს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ბენეფიციარს შეუძლია დააზღვიოს 5 ჰა-მდე მიწის ნაკვეთი მარცვლეული კულტურის შემთხვევაში – 30 ჰა., თითოეული დამზღვევი 70%-იან თანადაფინანსებას მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კულტურაზე, ხოლო ვაზზე – 50 %-ს.

პროგრამის ფარგლებში, ფერმერი ვალდებულია კერძო სადაზღვევო კომპანიას სადაზღვევო პრემიის ნაწილი სადაზღვევო პოლისის მიღებისთანავე გადაუხადოს, ხოლო დარჩენილ თანხას სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო დაფარავს ერთ დამზღვევზე არაუმეტეს 30 000 ლარის, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე მაქსიმუმ 50 000 ლარის ოდენობით. ერთწლიანი საპილოტე პროგრამის ბიუჯეტი 5 მლნ ლარს შეადგენს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აგროდაზღვევის პროგრამაში განხორციელებული ცვლილების თანახმად, მრავალწლოვანი კულტურების დაზღვევის შემთხვევაში, ფერმერებს შესაძლებლობა აქვთ საკუთარი მოსავალი სამი კალენდარული წლის განმავლობაში დააზღვიონ. აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში, ყველა კულტურაზე, გარდა ვაზისა, სახელმწიფოს მხრიდან თანამონაწილეობა კვლავ პოლისის ღირებულების 70%-ით, ხოლო ვაზზე, 50%-ით განისაზღვრა. 2020 წელს პროგრამის ფარგლებში ბიუჯეტი შეადგენდა 9 მილიონ ლარს.

საქართველოს აგროდაზღვევის სისტემაში თანდათან იზრდება საბიუჯეტო სუბსიდიის სიდიდე, რაც ქმნის დამატებით სტიმულს ფერმერებისათვის აღნიშნული სადაზღვევო პროდუქტით დაინტერესებისა და სარგებლობისათვის.

## 7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

### 7.1. საქართველოში

#### 1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ცაავა გ., ტატიშვილი ა.
2. ჭელიძე მ., ხიდირბეგიშვილი ნ., აბუთიძე გ.
3. ბიბილური ა.
4. ბიბილური ა.
5. ბიბილური ა.
6. სულაშვილი გ., ხუციშვილი ო., გიორგაძე ბ.
7. ფაილოძე ნ., სულაშვილი გ., ნადირაძე გ.
8. ხუციშვილი ო., ხუციშვილი თ., მდივნიშვილი თ., სულაშვილი გ.
9. ცაავა გ., ბურდიაშვილი რ., მოსიაშვილი ვ.
10. ცაავა გ., ტატიშვილი ა.
11. ქუთათელაძე ა., კვიციანიძე ქ.
12. ქუთათელაძე ა., ნიკურაძე რ.

#### 2) მოხსენების სათაური

1. ინოვაციური საბანკო პროდუქტების განვითარების თეორიული ასპექტები თანამედროვე ეტაპზე. ISSN – 2587 – 500.
2. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების მართვის მნიშვნელობა ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობისა და მდგრადობისთვის. ISBN 978-9941-28-127-3.
3. მენეჯერი - კარგი ლიდერი თუ აგრესიული მმართველი ISBN 978-9941-28-127-3.
4. ხარისხის მენეჯმენტი სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობაში ISSN – 2587 – 5000.
5. მენეჯერული უნარების როლი პერსონალის მართვასა და ორგანიზაციის საქმიანობაში ISSN 1987-8591.
6. გლობალური პოზიციაზარის საჭიროებაზედა კომერციალიზაციის პოტენციალზე საქართველოში ISBN 978-9941-28-127-3.
7. სახელმწიფო შესყიდვები ეკონომიკაში და მისი ეფექტიანობა ISBN 978-9941-28-127-3.
8. ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილების დინამიკა ISSN 1512-3979.
9. საბანკო ინოვაციური პროდუქტებისა და ოპერაციების არსი და საბანკო ინოვაციის სასიცოცხლო ციკლი ISBN 978-9941-28-127-3.
3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. -

2. -

##### 4.2. ეროვნული პატენტები

1) საპატენტო თემატიკის სათაური

1. -

2.-

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები

1. -

2. -

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. -

2. -

#### 5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

##### 5.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები

1. -

2. -

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. -

2. -

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. -

2. -

4) გვერდების რაოდენობა

1. -

2. -

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

##### 5.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

1. -

2. -

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. -

2. -

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. -

2. -

4) გვერდების რაოდენობა

1. -

2. -

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

5.3. კრებულები

1) ავტორი/ავტორები

1. გრიგალაშვილი ლევან, გრიგალაშვილი ბიძინა

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. საბუღალტრო აღრიცხვის ტესტებისა და სავარჯიშოების კრებული, ISBN 978-9941-28-794-7

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. ქ. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“

4) გვერდების რაოდენობა

1. 202 გვერდი

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

კრებულში მოცემულია ტესტები და სავარჯიშო ამოცანები იმ სასწავლო დისციპლინების მიხედვით, როგორცაა „საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები“, „ფინანსური აღრიცხვა“ და „ბუღალტრული აღრიცხვა საჯარო სამართლის სუბიექტებში“. წარმოდგენილი მასალა შესაბამისობაშია აღნიშნული საგნების სილაბუსებთან და ძირითად სახელმძღვანელოებთან.

„საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლების“ ტესტები და სავარჯიშოები წარმოდგენილია ისეთი თემების მიხედვით, როგორცაა: ბუღალტრული აღრიცხვის შესავალი, ბუღალტრული აღრიცხვის საგანი და მეთოდი, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, პირველადი დაკვირვება, ბალანსირების პრინციპები და მისი გამოყენება ბუღალტრულ აღრიცხვაში, ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა სისტემა, სამეურნეო ოპერაციების რეგისტრაცია და ორმაგი ჩაწერა, ფინანსური შედეგის განსაზღვრა, წმინდა მოგების გაანგარიშება სააღრიცხვო ციკლის დამთავრებისას, საბოლოო ფინანსური ანგარიშგების მომზადება და სხვ.

„ფინანსური აღრიცხვა“ გადმოცემულია თემებში: ფულადი საშუალებების აღრიცხვა, მოთხოვნების აღრიცხვა, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა, შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა, ფინანსური ანგარიშგების არსი, შემადგენლობა, წარდგენა, პუბლიკაცია და სხვ.

„ბუღალტრული აღრიცხვა საჯარო სამართლის სუბიექტებში“ მოცემულია ისეთი თემების მიხედვით, როგორცაა: საჯარო სამართლის სუბიექტების ფუნქციონირების სამართლებრივი ბაზა, ბიუჯეტის შემოსავლების კლასიფიკაცია, ბიუჯეტის ხარჯების კლასიფიკაცია, ძირითადი აქტივების მიღებისა და გასვლის აღრიცხვა, მატერიალური მარაგების აღრიცხვა, ფულადი საშუალებების

აღრიცხვა, მოთხოვნებისა და ვალდებულებების აღრიცხვა, საბიუჯეტო ორგანიზაციების ხარჯებისა და დაფინანსების აღრიცხვა და სხვ.

#### 5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

##### 1) ავტორი/ავტორები

1. რ.შენგელია, ჟ. წიკლაური, მეგი ანანიძე, ნათია შენგელია
2. N. Shengelia, Zh. Tsiklauri , R. Shengelia.

##### 2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1. “მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის გაფართოებული კვლავწარმოება-სიმდიდრის ზრდის უმთავრესი წყარო.” DOI.org/10.36962/ecs104/1-2-47;
2. “Some Practical Financial Reporting (IFRS) Assessment Aspects of The Covid-19 Impact on Business”- DOI.org/10.36962/ecs104/1-2-76;

##### 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი ყოველთვიური სამეცნიერო ჟურნალი “ეკონომიკა“; ტ.104, N 1-2, 2021 წ.
2. საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი ყოველთვიური სამეცნიერო ჟურნალი “ეკონომიკა“; ტ.104, N 1-2, 2021 წ.

##### 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, უნივერსალი
2. თბილისი, უნივერსალი

##### 5) გვერდებისრაოდენობა

1. 10 გვერდი
2. 6 გვერდი

#### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1. თანამედროვე ციფრული ეკონომიკის პირობებში მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის როლი სიმდიდრის წარმოების, დაგროვებისა და ზრდაში აშკარად ჩანს მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის კვლავწარმოების საკითხის გარკვევისას, რომლის რიგი ასპექტი, შეუსწაველია ან ახლებურ გაშუქებას საჭიროებს.

კრეატიული ეკონომიკის, არასტანდარტული აზროვნების მოთხოვნებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიჩნეულია მეცნიერულ ტექნიკური ცოდნის კვლავწარმოების სამი ფორმის გამოყოფა, რომელთა პრაქტიკულ რეალიზაციას უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის კვლავწარმოების მესამე-გაფართოებული ფორმა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული თვისობრივ ცვლილებებთან, განვითარებასთან, რომელთა გარეშე სიმდიდრის წარმოება, დაგროვება, ზრდა წარმოდგენილია. ამ მიმართულებით მოცემულია გარკვეული რეკომენდაციები, რომელთა რეალიზაცია, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

2. კოვიდ-19 პანდემიამ დიდ ფინანსური ზეგავლენა მოახდინა მსოფლიოში თითქმის ყველა-დიდ, მცირე და საშუალო ბიზნესზე. სტატიაში განხილულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) ის პრაქტიკული საკითხები, რომლებიც უმაღლესი მენეჯმენტის მიერ აუცილებლად უნდა იქნას გაანალიზებული და შეფასებული განსაკუთრებით პანდემიის დროს. ამ ფინანსურ საკვანძო საკითხებში შედის ფასს 9-ფინანსური ინსტრუმენტები, მათი გაუფასურებისას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარების საკითხები კომპანია პიარსონის (Pearson) მაგალითზე;

ასევე ბასს 36 აქტივების გაუფასურების ზარალის გაანგარიშების პრაქტიკული ასპექტები; პანდემიის ზეგავლენის შესაფასებლად დიდი ყურადღება ეთმობა ასევე ბუნებრივი ადრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის (ბასს) 1-ის, ასს 570 (შესწორებული) მოთხოვნებს; საწარმომ რა ღონისძიებები უნდა გაატაროს, რომ რეალურად შეფასდეს კომპანიას შეუძლია თუ არა, პანდემიის დროს ან მის შემდეგ, ჩვეულებრივ შეუზღუდავად, ლიკვიდაციის გარეშე ფუნქციონირების გაგრძელება. ამრიგად, კომპანიის დონეზე აღწერილია ფინანსური ადრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები და მათი შესრულების/შეფასების პრაქტიკული ასპექტები განსაკუთრებით პანდემიის დროს წარმოშობილ რთულ ვითარებაში;

## 5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

### 1) ავტორი/ავტორები

1. ნ. შენგელია, ჟ. წიკლაური..

### 2) სტატიის სათაური, ISSN

1. „განათლება-ადამიანი კაპიტალის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა“, ISSN 2587-4713, E-ISSN 2733-3361

### 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი ყოველთვიური სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“; ტ.104, N 3-5, 2021 წ.

### 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, უნივერსალი

### 5) გვერდების რაოდენობა

1. 11 გვერდი

### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

განათლება ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების დონის ამაღლების მამოძრავებელი ძალაა. როგორც წარმოების აქტიური ფაქტორი-განათლებული ადამიანი განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. მართალია, სწრაფი განვითარების შემაფერხებელი უამრავი ფაქტორები არსებობენ, რომელთა გადაჭრა მოკლევადიან პერსპექტივაში შეუძლებელია (მაგ. ოკუპირებული ტერიტორიის დაბრუნება და ა.შ.), მაგრამ არსებობს ისეთი პრობლემებიც (მაგალითად: ინფრასტრუქტურის შედარებით მოკლე დროში განვითარება; სახელმწიფო ბიუროკრატიის შენახვაზე ნაკლები ფულის ხარ. ekonomika. tomi 104. 3-5. 2021. ECONOMICS. VOLUME 104, ISSUE 3-5. 2021. 18 გვერდი და ეკონომიკისათვის მეტი ფულის დატოვება; მიმოქცევაში სანდო ფულის არსებობა; ეკონომიკის დეკრიმინალიზაცია; სოციალური დახმარების ეფექტიანი სისტემა და ა.შ.), რომელთა აღმოფხვრაც მოკლე დროში შესაძლებელია. სწორედ ასეთ მნიშვნელოვან პრობლემათა შორის უმნიშვნელოვანესია ადამიანის განათლების დონის ამაღლება, ე.ი., ადამიანი კაპიტალის განვითარების ხარისხობრივი დონე.

## 6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

### 6.1. მონოგრაფიები/წიგნები

#### 1) ავტორი/ავტორები

1. N. Shengelia, R. Shengelia, Zh. Tsiklauri-Shengelia (Book by A. Rzepka..)

2. Collective monograph ;, M. Chechelashvili, Khatuna Kharxelauri ....

#### 2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. წიგნი/მონოგრაფია--Self-Management, Entrepreneurial Culture, and Economy 4.0; Chapter 4-“Role of Innovations in Development of Business Organizations” ISBN 9781032081205;
2. Collective monograph. , Contemporary Business Challenges in a Globalized World: Research, Study, Examination (Volume 2 ) ISBN: 978-620-3-92309-4, , January 2021

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. პოლონეთი & ინგლისი Poland, England(Global); by Routledge;
2. Austria Vienna, LAP Ltd. Member of OmniScriptum Publishing Group

4) გვერდების რაოდენობა

1. P.200
2. P.55

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

(N. Shengelia, R. Shengelia, Zh. Tsiklauri-Shengelia (Book by A. Rzepka..) 6 სხვადასხვა ქვეყანაში ავტორთა კვლევების საფუძველზე, წიგნი წარმოადგენს თვითმართვისა და სამეწარმეო კულტურის ევოლუციას Economy 4.0-ის ამჟამინდელ ეპოქაში და განიხილავს, თუ როგორ განხორციელდა ჩანაფიქრი მთელ მსოფლიოში. იგი იკვლევს მცდარ წარმოდგენებს ამ ახალი მიდგომის ირგვლივ და დიაგნოსტიკებს მის განხორციელებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ პრობლემებს მიმდინარე გაურკვეველ დროში. ის ღირებული იქნება მკვლევარებისთვის, აკადემიკოსებისთვის, მენეჯერებისთვის და სტუდენტებისთვის მენეჯმენტისა და ორგანიზაციული კვლევების სფეროებში.

6.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

1. -
2. -

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. -
2. -

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. -
2. -

4) გვერდების რაოდენობა

1. -
2. -

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

6.3. კრებულები

1) ავტორები

1. -
2. -

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. -
2. -

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. -
2. -

4) გვერდების რაოდენობა

1. -
2. -

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

#### 6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. Ketevan Kokrashvili, Rusudan Kutateladze, Nino Pailodze
2. Levan Grigalashvili, Bidzina Grigalashvili
3. TAMAR ROSTIASHVILI, MAIA SOSELIA, DAVIT PODIASHVILI.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. SIGNIFICANT MEASURES OF STATE SUPPORT FOR BUSINESS (Comparative Analysis).

[doi.org/10.31435/rsglobal\\_conf/25012021/7364](https://doi.org/10.31435/rsglobal_conf/25012021/7364)

2. Problems of Reforming Accounting and Financial Reporting in post-Soviet Countries (On the example of Georgia. **ISSN: 1584-9066**

3. MODERN VALUES OF SERVICE MANAGEMENT AND BOUNDARIES OF THE SUBJECT AREA (DOI: <http://doi.org/10.29013/EJEMS-21-2-32-34>).

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. XXV International Scientific and Practical Conference, January 25, 2021,
2. ECOFORUM, Volume 10, Issue 3(26), 2021
3. European Journal of Economic and Management Sciences №2

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. Warsaw, Poland. Social and Economic Aspects of Education in Modern Society. RS Global Sp. z O.O.,
2. ROMANIA, Asociatia de Cooperare Cultural-Educationala Suceava, Web: [ecoforumjournal.ro](http://ecoforumjournal.ro),
3. Premier Publishing s. r. o. Vienna

5) გვერდების რაოდენობა

1. 5
2. 4
3. 2

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. ნაშრომში აღწერილია ბიზნესის მხარდაჭერის სამთავრობო საქმიანობა საქართველოში და საზღვარგარეთ. წარმოდგენილი და გაანალიზებულია შედარებითი ანალიზი და შედეგების ეფექტურობა განხორციელებული ღონისძიებების. ხაზგასმულია მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის შესაძლებლობები საქართველოში, სახელმწიფოს მხარდაჭერა მეწარმეებისთვის, ბიზნესის განვითარება ქვეყანაში. მეწარმეების თქმით, ეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა შევქმნათ



ყველა პირობა ქვეყანაში ბიზნესის განვითარებისთვის და ასევე მეწარმეების დასახმარებლად, მათი მიზნების მისაღწევად, როგორცაა მოგების მაქსიმიზაცია, ინვესტიციის ეფექტურობა, რისკის მინიმიზაცია, სამეწარმეო უსაფრთხოება, საკუთრების უფლების დაცვა და ა.შ.

2. ნაშრომში განხილულია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილების შეცვლასთან დაკავშირებით საბუღალტრო აღრიცხვის სფეროში გასატარებელ რეფორმებთან დაკავშირებული პრობლემები. აღნიშნულია, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის პირველივე წლებში გამოიკვეთა საბუღალტრო აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების უდიდესი მნიშვნელობა კომპანიათა ეკონომიკური საქმიანობის სწორი მენეჯმენტის განსახორციელებლად. საჭირო გახდა საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემის ჩამოყალიბება. ამ პროცესებს პოსტსაბჭოთა, მაგრამ ახლა უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოები მოუშადადებლები შეხვდნენ. ისინი აღმოჩნდნენ ორი სერიოზული პრობლემის წინაშე: პირველი, უნდა შეექმნათ საბუღალტრო აღრიცხვის მარეგულირებელი ეროვნული საკანონმდებლო ბაზა და მეორე, განეხორციელებინათ სისტემის ტრანსფორმაცია საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანების ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმირების პროცესების შესწავლის საფუძველზე წარმოჩენილია წარმოქმნილი პრობლემები. კვლევებმა გვიჩვენა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს საბუღალტრო აღრიცხვის სისტემის რეგულირების სხვადასხვა მოდელი. მარეგულირებლის ფუნქციას ასრულებენ, როგორც სახელმწიფო ორგანოები, ასევე პროფესიონალური ორგანიზაციები, ფასიანი ქაღალდების კომისიები; ადგილი აქვს სახელმწიფო ფუნქციების დელეგირებას ცალკეულ საკითხებში და ხორციელდება შერეული ტიპის რეგულირება.

გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დაიწყო საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პროფესიონალური გაერთიანებების აქტიური ძალისხმევა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დასაწერად. ამ საკითხთან დაკავშირებით გამოიკვეთა ორი მიდგომა: პირველი, საერთაშორისო სტანდარტების აღიარება ეროვნულ სტანდარტებად და მეორე, საერთაშორისო სტანდარტების ბაზაზე ეროვნული სტანდარტების შემუშავება. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებმა მეორე გზა აირჩიეს. ჩატარებული ანალიზიდან ირკვევა, რომ საბუღალტრო აღრიცხვის რეფორმირების საკითხებში საქართველოს მიდგომები მნიშვნელოვნად განსხვავებულია გარდამავალი ეკონომიკის მქონე სხვა სახელმწიფოებისაგან. ზემოაღნიშნულის საფუძველზე ავტორთა მიერ გამოკვლეულია რეფორმის მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპები და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები რეფორმირების შედეგებსა და მომავალში გასატარებელ ღონისძიებების შესახებ.

## 7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

### 7.1. საქართველოში

#### 1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. თამარ ხინიკაძე-გვარამია, მაია მარტიაშვილი
2. ბლიაძე სოფიო, ბლიაძე მურმანი, ბლიაძე ნოდარი
3. ნ. შენგელია, ჟ. წიკლაური, რ. შენგელია
4. N. Shengelia, Zh. Tsiklauri, R. Shengelia
5. ხათუნა ხარხელაური
6. კაპანაძე მაია. ჭინჭარაული გიორგი
7. გრიგალაშვილი ლევან, აბაშიძე გოჩა
8. გრიგალაშვილი ლევან, გრიგალაშვილი ბიძინა
9. გრიგალაშვილი ლევან, ნატრიაშვილი ნინო
10. ვალერი კატუკია
11. ანზორ აბრალავა, დავით ფოდიაშვილი

2) მოხსენების სათაური

1. ტექნოლოგიების როლი მცირე და საშუალო ბიზნესში
2. კორპორაციის პერსონალის მენეჯმენტი
3. Covid-19 პანდემია და ცვლილებები საინვესტიციო პოლიტიკაში
4. The Relevance of Sustainability Analysis and Financial Reporting in the Attraction of Investment (მდგრადი განვითარების ანალიზისა და ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელობა ინვესტიციების მოზიდვისათვის).
5. მოგების გადასახადის რეფორმის შედეგები საქართველოში
6. ეკონომიკური თეორიის გლობალური პრობლემები
7. სახელმწიფო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოები და მათი როლი ქვეყნის ეკონომიკაში.
8. ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აუთოსორსინგის ეფექტიანობა მცირე და საშუალო ბიზნესში
9. აუდიტის ხარისხის თანამედროვე მოთხოვნები
10. შიდა აუდიტის როლი სამეწარმეო საქმიანობაში
11. სამრეწველო საწარმოების ეკოლოგიური პასუხისმგებლობის შეფასების ეტაპები

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქ. თბილისი, მაისი, 2021წ.
2. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქ. თბილისი, მაისი, 2021წ.
3. სტუ, თბილისი, 2021 წ. 23 ოქტომბერი. -საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი.
4. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქ. თბილისი, მაისი, 2021წ.
5. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქ. თბილისი, მაისი, 2021წ.
6. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქ. თბილისი, მაისი, 2021წ.
7. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქ. თბილისი, მაისი, 2021წ.
8. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქ. თბილისი, მაისი, 2021წ.
9. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქ. თბილისი, მაისი, 2021წ.
10. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქ. თბილისი, მაისი, 2021წ.
11. 2021 წლის 11 დეკემბერი, ქალაქი თბილისი.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*

7.2. უცხოეთში

- 1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. N.Shengelia, Zh. Tsiklauri, R.Shengelia
2. Kapanadze Maia, Nozadze Mzevinar
3. Kapanadze Maia, Giorgi Chincharauli.
4. Levan Grigalashvili, Bidzina Grigalashvili

5. TAMAR ROSTIASHVILI, MAIA SOSELIA, DAVIT PODIASHVILI

2) მოხსენების სათაური

1. “Financial Reporting Improvement Ways In The Small And Medium-sized Businesses” (ფინანსური ანგარიშგების სრულყოფის გზები მცირე და საშუალო ბიზნესში)
2. MONEY MARKET AND ITS INSTRUMENTS (ON THE EXAMPLE OF GEORGIA)
3. PROBLEMS OF LAND RESOURCES REPRODUCTION
4. Accountings and financial reportings reform in the Georgian public sector. interConf. Scientific trends and trends in the context of globalization.
5. . CHANGE IN THE CONCEPT OF STRATEGIC GOVERNANCE IN THE CONDITIONS OF THE INNOVATIVE TRANSFORMATION OF THE COMPANY

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 25-26. 2021y. ESTONIA, TALLINN
2. 20.07.21. VIENNA, AUSTRIA
3. May – June. 2021 .Azerbaijan, Baku
4. 7-8 june 2021. Umea, Sveden
5. 14-16 of January 2021, London, UK

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება**

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით-**

1. ევგენი ბარათაშვილი (დეპარტამენტის უფროსი)
2. თამარ ღამბაშიძე
3. გუგული ყურაშვილი
4. მარინა ზაღათურია
5. ნინო ქავთარაძე
6. მერაბ მიქელაშვილი
7. თეიმურაზ ყანდაშვილი
8. რამაზ ოთინაშვილი
9. მაია ჩეჩელაშვილი
10. ქეთევან შენგელია
11. ნინო ლაზვიაშვილი
12. ნატალია ჭანტურია

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. -

2. -

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. -

2. -

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. -

2. -

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. -

2. -

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. -

2. -

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. -

2. -

**დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. -

2. -

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. -

2. -

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

- 1. -
- 2. -

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

- 1. -
- 2. -

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

- 1. -
- 2.-

**დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

- 1. -
- 2. -

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

- 1.-
- 2.-

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

- 1. -
- 2. -

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

- 1. -
- 2. -

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

- 1. -
- 2. -

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

- 1. -

2. -

*დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

#### 4. პატენტები

##### 4.1. საერთაშორისო პატენტები:

1) საპატენტო თემატიკის სათაური

1. -

2. -

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები

1. -

2. -

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. -

2. -

##### 4.2. ეროვნული პატენტები

1) საპატენტო თემატიკის სათაური

1. -

2.-

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები

1. -

2. -

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. -

2. -

#### 5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

##### 5.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები

1. -

2. -

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. -

2. -

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. -

2. -

4) გვერდების რაოდენობა

1. -

2. -

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

## 5.2. სახელმძღვანელოები

### 1) ავტორი/ავტორები

1. გუგული ყურაშვილი, ირმა ბარათაშვილი
2. რამაზ ოთინაშვილი
3. ნატალია ჭანტურია, ბელა გოდერძიშვილი

### 2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. კრეატიული მენეჯმენტი, ISBN 978-9941-9662-9-3
2. ბიზნესის უსაფრთხოება. სახელმძღვანელო
3. როგორ ვმართოთ პროექტები (პრაქტიკული სახელმძღვანელო)  
ISBN 978-9941-33-026-1

### 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, გამომცემლობა „დანი“
2. თბილისი, სტუ.
3. თბილისი, „უნივერსალი“

### 4) გვერდების რაოდენობა

1. 411 გვერდი.
2. 545. გვერდი
3. 140 გვერდი

### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. შემოთავაზებული სახელმძღვანელო მიმართულია კრეა- ტიული მენეჯმენტის თეორიულ- მეთოდოლოგიური ცოდნის შესწავლაზე, გაღრმავებასა და განმტკიცებაზე, სტუდენტები- სათვის ამცოდნის პრაქტიკულად გამოსაყენებელი ჩვევების გამომუშავებაზე. ის საშუალებას მისცემს სტუდენტებს, შეისწავლონ თეორია, აითვისონ პრაქტიკული ჩვევები და მეთოდები (ხერხები) არასტანდარტული მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად, როდესაც ადგილი აქვს ქაოტურ სიტუაციებს და პირობებს, გაურკვევლობას, შემთხვევითო- ბებსა და შედეგების წინასწარ განუსაზღვრელ მდგომარეობას ორგანიზაციის (საწარმოს) გარე და შიგა გარემოებათა ცვლი- ლებებში; მმართველობით გადაწყვეტილებათა მიღებისა და რეალიზაციის ვადების მკვეთრად შემცირებას; პრინციპულად ახალი, ადრე არაა პრობირებული ინსტრუმენტების, მეთოდებისა და მართვის ტექნოლოგიების სისტემატიურად წარმოშობასა და გამოყენების მოთხოვნას.

2. სახელმძღვანელოში ლოგიკური თანმიმდევრობით განხილულია თემები: ეროვნული და ეკონომიკური უსაფრთხოება, როგორც ბიზნესის მდგრადი განვითარების საფუძველი. კონკურენცია ბიზნესის უსაფრთხოებაში, ინფორმაციის როლი და ანალიზი მეწარმეობის

უსაფრთხო განვითარებაში, ინოვაციური ტექნოლოგიები ბიზნესის წარმატებაში. უსაფრთხოების ტექნოლოგიები კომპანიის მენეჯმენტის სისტემაში. ბიზნესის დაზვერვა და საერთაშორისო ბიზნესის უსაფრთხოება. პერსონალის უსაფრთხოება. ბიზნესის მდგრადი განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა და ბიზნეს გამოწვევები საქართველოში.

ნაშრომი შეიქმნა ბიზნესის გამოწვევებზე თანამედროვე საზღვარგარეთული და ადგილობრივი ლიტერატურის საფუძვლიანი შესწავლისა და გააზრების შედეგად. თეორიულმეთოდურ მასალასთან ერთად განხილულია ბიზნესის უსაფრთხოდ მართვის სფეროში მოწინავე ქვეყნებისა და კომპანიების გამოცდილება.

სასწავლო კურსი არის პირველი ცდა იმ ყამირის ათვისებაში, რომელიც ბიზნესის მართვის ამ სფეროში არსებობს. მისი მიზანია სტუდენტებს მისცეს სათანადო ცოდნა და უნარ-ჩვევები, რათა უკეთ გაერკვნენ გამოწვევებით სავსე ბიზნეს-გარემოს მიმდინარე ტენდენციებში. აღნიშნული მათ დაეხმარება მეწარმეობრივი ხედვის განვითარებაში, მისცემს მოტივაციას თავად წამოიწყონ და უსაფრთხოდ მართონ საკუთარი ბიზნესი.

კურსი განკუთვნილია შესაბამისი სფეროს მაგისტრატურის და დოქტორატურის საფეხურის სტუდენტებისათვის. აგრეთვე იმ პრაქტიკოსი მეწარმეებისათვის, რომლებსაც სურთ წარმატებით მართონ ბიზნესი.

3. წინამდებარე სახელმძღვანელოში ჩვენ შევეცადეთ მარტივ დაგასაგებ ენაზე გადმოგვეცა პროექტების მართვის ალგორითმი: პროექტის ბიზნეს-იდეის შერჩევის, რესურსების ეფექტიანიმართვის, გარანტირებული შედეგის მიღების, სამუშაოს დროულად შესრულების შესაძლებლობის შესახებ.

ამ წიგნიდან თქვენ შეიტყობთ, თუ როგორ უნდა შეკრიბოთ საპროექტო გუნდი, შეიმუშაოთ პროექტის რეალიზაციის გეგმა, გააკონტროლოთ პროექტის ვადები და ბიუჯეტი.

თითოეულ თავში მოცემული მაგალითები გვაჩვენებს, რომ წარმოდგენილი ალგორითმის გამოყენება შესაძლებელია ყველადარგში, შემსრულებელთა ნებისმიერი რაოდენობისა და ნებისმიერი სირთულის პროექტებში.

მოცემული პროექტების მართვის ალგორითმის გამოყენებით, თქვენ შეძლებთ საკუთარი პროექტის დაწყებას და დასრულებას, ხოლო შემოთავაზებული რჩევები დაგეხმარებათ წარმატების მისაღწევად საჭირო ხელმძღვანელობის ეფექტური სტილისა და ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნების დაუფლებაში.

წიგნი განკუთვნილია მენეჯმენტის პროფილის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის, დამწყები მენეჯერებისა და პროექტების მართვის სფეროთი დაინტერესებული სპეციალისტებისთვის.

### 5.3. კრებულები

#### 1)ავტორი/ავტორები

1. ევგენი ბარათაშვილი, გაბისონია ირაკლი, აბრალავა გრიგოლი
2. ღამბაშიძე თამარი
3. ღამბაშიძე თამარი
4. ღამბაშიძე თამარი
5. გუგული ყურაშვილი, ნინო მჭედლიშვილი
6. ბერუაშვილი მანანა, ბადათურია მარინა
7. მერაბ მიქელაშვილი
8. მ. ჩეჩელაშვილი, ს. ზედგინიძე
9. ნატალია ჭანტურია



## 10. ნატალია ჭანტურია

### 2)კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“ V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული. I ნაწილი. თბილისი 2021 , 978-9941-28-851-7

2.სტუ, ბიზნესტოქნოლოგიების ფაკულტეტი, გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები 6 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული... uak 339.1

3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ ... uak 439.2

4. სტუ, ბიზნესტოქნოლოგიების ფაკულტეტი, გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები 6 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული ... uak 339.1

5.გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, ISBN 978-9941-28-852-4

6.გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები : ISBN978-9941-28-127-3

7.სამეწარმეო აზროვნება ISBN 978-9941-8-2123-3

8.„გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“, ISBN 978-9941-28-650-6

9.სტუ, ბიზნესტოქნოლოგიების ფაკულტეტი, გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები 6 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული (ადაპტაციური მენეჯმენტის მოდელის ფორმირების თეორიულ-მეთოდოლოგიური წანამძღვრები)uak 339.1 ISBN 978-9941-28-128-0

10. სტუ, ბიზნესტოქნოლოგიების ფაკულტეტი, გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები 6 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული (სოციალურ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების როლი ადაპტაციური მენეჯმენტის სისტემაში)uak 339.1 ISBN 978-9941-28-128-0

### 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“
2. თბილისი 2021
3. თბილისი 2021
4. თბილისი 2021
5. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“
6. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“
7. თბილისი, გამომცემლობა „მთენი“
8. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“
9. თბილისი 2021, საგამომცემლო სახლი `“ტექნიკური უნივერსიტეტი“
10. თბილისი 2021, საგამომცემლო სახლი `“ტექნიკური უნივერსიტეტი“

#### 4) გვერდების რაოდენობა

1. 265-268 გვერდი
2. 8 გვერდი
3. 7 გვერდი
4. 8 გვერდი
5. 195-197 გვერდი
6. 375 გვერდი
7. 356 გვერდი
8. 6 გვერდი
9. 5 გვერდი
10. 5 გვერდი

#### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. “ნეოლიბერალური ეკონომიკური მოდელის რეალიზაციის გერმანული გამოცდილება“. სტატია ეძღვნება გერმანიაში ლუდვიგ ერჰარდის მიერ გატარებული ნეოლიბერალური პოლიტიკის საკითხებისა და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეკონომიკურ სისტემაში სახელმწიფოს ადგილისა და როლის განხილვას. გფრ-ს ნეოლიბერალური ეკონომიკურ სკოლასა და აშშ-ს ნეოლიბერალური სკოლას შორის განსხვავებათა გაანალიზებას.

2. დღეს სრულიად სამყარო მოიცვა ვირუსის სახეობამ -ახალმა კორონამ, რომელმაც საყოველთაოდ ახალი ძალისხმევა და გონიერება მოითხოვა ადამიანისგან. ყველა კრიზისული პერიოდი გაურკვევლობითა და არამდგრადობით ხასიათდება. ამის წინააღმდეგობრიობა ის არის, რომ რამდენადაც ასიათასობით ადამიანია ამვირუსით ინფიცირებული, იმდენადვე ამსოფლიო საზოგადოებათა ვადგაურკვევლობით და ქაოტურობის განცდის მატარებელი, რაც თავად ვირუსზე მეტი უარყოფითი შედეგის მომტანია. ყველა კრიზისის დროს თუ მისი უკანმოტოვების შემდეგ. პირველ რიგში ჯანმრთელობის მდგომარეობის ზრუნვის, პრევენციული თუ პოსტრეგულაციების შემოღება გატარებისას, მეორე რიგში კი ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური წესრიგის (თუ ამას კიდევ წესრიგს ვუწოდებთ) მდგომარეობაა საზრუნავი. კორონავირუსმა მსხვილი ბანკებით დაწყებული და ტურიზმით დამთავრებული, ეკონომიკის არაერთი სექტორი დააზარალა. თუმცა, რამდენიმე კომპანიამ კორონავირუსის გავრცელების შედეგად მნიშვნელოვანი სარგებელი ნახა და მათი აქციების ფასი გაიზარდა. წარმოების ქსელში, იმის გამო, რომ ასობით ცნობილი კომპანიის პროდუქციას ძირითადად ჩინეთში აწარმოებენ, მსოფლიოს მასშტაბით ისეთი კომპანიების გაყიდვები, როგორებიცაა Apple, Nike და Microsoft, მნიშვნელოვნად შემცირდა. Apple-ის საფონდო ინდექსი 3.4%-ით, ხოლო Microsoft-ის 2.6%-ით შემცირდა. ინფორმაციამ CNN-ზეგვაუწყა, რომ მსხვილი კომპანიების გარდა, კორონავირუსის საფრთხემ ჩინეთში არსებული მცირე საწარმოები და ბიზნესებიც დააზარალა, რომლებსაც საკუთარი პროდუქტი საერთაშორისო ბაზარზე გაჰქონდათ. Euronews-ისინფორმაციით, მსოფლიოს მასშტაბით ნავთობზე მოთხოვნა შემცირდა და მისიფასი 3.7%-ითდაეცა ( 2020 წლის 22 აპრილისმდგომარეობა)

დაზარალებულია საბანკო სექტორზეც. JPMorgan Chase-ის საფონდონდექსი 2.1%-ით, ხოლო Bank of America-ს მაჩვენებელი 4.4%-ით შემცირდა.

**3.** ადამიანური რესურსების საერთაშორისო ტრანსფერის ფუნქციების ანალიზი ტრანსნაციონალურ კომპანიებში მიუხედავად იმისა რომ უცხოური ფილიალების პერსონალის ინტეგრაციის მეთოდებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, ტრანსნაციონალური კორპორაციების პერსონალის მართვის გლობალური ინტეგრაციის საკითხების შესწავლის მიზნით შექმნილი ნაშრომების ანალიზი აჩვენებს, რომ ნაშრომების დიდი უმრავლესობა ერთი ან ორი ტრანსნაციონალური კორპორაციის მაგალითზე საფუძვლიანი ანალიზის გამოყენებით ბიზნეს-ქეისების შესწავლას ემყარება. კვლევების მხოლოდ მცირე ნაწილია რომლებშიც ყურადღება ტრანსნაციონალური კორპორაციის უცხოური ფილიალის პერსონალის მართვის ინტეგრაციის საკითხებს ეთმობა, ხოლო პერსონალის მართვის ინტეგრაციის გარკვეული მეთოდების გამოყენების წინაპირობებს და მიზეზებს, კიდევ უფრო ნაკლები ყურადღება ეთმობა. ლოკალიზაციის ან ტრანსნაციონალური კორპორაციის უცხოური ფილიალის პერსონალის მართვის კონკრეტული წესების გლობალური სტანდარტიზირების ხარისხი მრავალ ფაქტორზე არის დამოკიდებული, მათ შორის მიმღები ქვეყნის ინსტიტუციონალურ გარემოზე, მშობელ კომპანიაზე და მის ნაციონალურ ინსტიტუციონალურ გარემოზე. ეს უკანასკნელი დებულება გულისხმობს რომ, უცხოური ფილიალის პერსონალის მართვის სისტემის სულ მცირე ზოგიერთი ასპექტი სათავო ოფისში არის დამუშავებული და მის უცხოურ ფილიალში შემდგომ თანდათან იქნა ინტეგრირებული.

**4.** პროექტების ექსტრემალური მართვა - ეს არის აზროვნების და მართვის ახალი ტიპი რომელიც შეესაბამება „მაღალი ტურბულენტობის“, სწრაფი ცვლილებებისა და მუდმივი განუსაზღვრელობის პირობებში რალიზებადი პროექტების ხასიათს. ეს არის კონტროლის შენარჩუნება და შედეგების მიღწევა სწრაფად ცვალებად გარემოში. ჩვენ ძირითად ყურადღებას იმ ფაქტორებს დავუთმობთ, რომლებზეც დამოკიდებულია ექსტრემალური პროექტის წარმატებული განხორციელება.

იმისათვის რომ მივაღწიოთ წარმატებას, აუცილებელია გავიზიაროთ სამყაროს კვანტური ხედვა, ანუ აზროვნების ისეთ ტიპი, რომელიც ადაპტირებულია მუდმივი ცვლილებებისადმი და ინოვაციური გადაწყვეტების შესაქმნელად. ცვლილებებისადმი მდგრადი აზროვნების ტიპის არჩევისას, საჭიროა ახალი მსოფლმხედველობის სისტემა, რომელიც არაგანჭვრეტადია და „სინქრონიზებულია“ ქაოსთან, ხოლო მთავარ ფსონს ადამიანები წარმოადგენენ და არა ინსტრუმენტები და პროცესები. კვანტური ტიპის აზროვნება წარმატებისკენ პირველი ნაბიჯებია.

წარმატების კიდევ ერთი, გადამწყვეტი ფაქტორი მდგომარეობს უნარში - უზრუნველყოთ და შევინარჩუნოთ პროექტის მისიის განუხრელი მხარდაჭერა რთულ, არამდგრად პირობებში, რომლებიც ხასიათდება მაღალი სიჩქარით, მუდმივი ცვლილებებით და უკიდურესი არაწინასწარმეტყველებით

**5.** ინოვაციური ეკონომიკის პირობებში მმართველობითი მეცნიერების განვითარების უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს კრეატიული მენეჯმენტი, რომელიც ტექნოლოგიური ინოვაციების ცვლის ტემპების დაჩქარების პირობებში ასახავს თანამედროვე დარგებისა და საწარმოების მართვის სპეციფიკურ

ასპექტს. დღეს მკვეთრად იზრდება მოთხოვნა შემოქმედებით მენეჯერებზე, რომლებიც ფლობენ გენერირების უნარს, სწრაფად მოახდინონ არასტანდარტული და ორიგინალური იდეების რეალიზება, სწრაფად და ეფექტურად გადაწყვიტონ პრობლემური სიტუაციები. კრეატიული მენეჯმენტის ოსტატის დევიზია: „მე ზუსტად ვიცი, რომ შეუძლებელი შესაძლებელია!“ ასეთი მენეჯერი დღეს ვირტუოზულად უნდა ფლობდეს არასტანდარტული, ორიგინალური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ხერხებს, მეთოდებს, წესებსა და ტექნიკას.

**6.** ორგანიზაციის წარმატებული მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე შემაფერხებელი ფაქტორი არის ეფექტური კომუნიკაციის ნაკლებობა, რაც ადამიანებს შორის არსებული კონფლიქტების ყველაზე გავრცელებულ მიზეზს წარმოადგენს. გლობალიზაციის ეპოქაში, ორგანიზაციებში დასაქმებულ ადამიანებს, ყოველდღიურად უწევთ კომუნიკაცია განსხვავებული ეროვნების, კულტურის, რასის, ასაკის, მრწამსის და შეხედულებების მქონე ადამიანებთან, რაც არის ამ საუკუნის ყველაზე დიდი გამოწვევა. კომუნიკაციის მნიშვნელობის მიმართ მაღალი პასუხისმგებლობით მიდგომის მიუხედავად, შეუძლებელია ორგანიზაციაში მოვახდინოთ კონფლიქტის წარმოშობის სრული პრევენცია. კომპანიებში ხშირია კონფლიქტის შემთხვევები, როგორც ცალკეულ ინდივიდთა, ასევე ჯგუფთა შორის. შესაბამისად, საჭიროა ყურადღება დაეთმოს სამსახურეობრივი კონფლიქტების მართვას და მის დროულ აღმოფხვრას. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფლიქტმა შესაძლოა მნიშვნელოვანწილად შეაფერხოს სამუშაო პროცესი, რაც უარყოფითად აისახება ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების მიღწევასა და ამოცანების გადაჭრის პროცესზე.

**7.** თანამედროვე სამყარო სავსეა პრობლემებით და მეწარმეობა წარმოადგენს ამ პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას. ამიტომ მეწარმეობა არასოდეს არ ყოფილა ისეთი აქტუალური, როგორც დღეს. საზოგადოების იმ სოციალური ჯგუფის სუბიექტები, ვისაც აქვს სურვილი გახდეს წარმატებული მეწარმე, ამ პროცესში წარუმატებლობას განიცდის იმის გამოც, რომ არ გააჩნია კოგნიტური ელემენტი - სწორედ სამეწარმეო აზროვნება იძლევა მუდმივად ცვალებად ციფრულ ეპოქაში წარმატებული სამეწარმეო საქმიანობის საფუძველს. სამეწარმეო აზროვნებას კი აყალიბებს ბევრი მდგენელი, მათ შორის მზადყოფნა ყოველდღიურობაში მიღებული ერთი შეხედვით „არასამეწარმეო“ შინაარსის ინფორმაცია, აღქმული იქნას სამეწარმეო ჭრილში.

დარწმუნებული ვართ, რომ ცოდნისა და ინფორმაციის ის მარაგი, რომლითაც გაჯერებულია ეს წიგნი, მომქმედ და მომავალ მეწარმეს, ასევე ყველა დაინტერესებულ პირს დაეხმარება სამეწარმეო აზროვნების ფორმირებაში

**8.** სტატია ეძღვნება მრავალფეროვნების მართვის ძირითად დებულებებს, როგორც ცოდნის ინტერდისციპლინურ სფეროს და ორგანიზაციაში პერსონალის მართვის კონცეფციას. ავტორთა მიერ განიხილება მრავალფეროვნების მართვის სხვადასხვა ასპექტი და მოდელი მრავალფეროვნების მენეჯმენტსა და ჰეტეროგენული ორგანიზაციის კორპორატიულ კულტურას შორის. ვრცელი შედარებითი მასალის საფუძველზე, გამოვლენილია მენეჯმენტის სტრატეგიები. ავტორები თვლიან, რომ მრავალფეროვნება სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო და ეკონომიკურ

ორგანიზაციებში უნდა იმართებოდეს მათი კულტურული და ისტორიული მახასიათებლების გათვალისწინებით

**9.** თანამედროვე გლობალურმა გამოწვევებმა ცხადყვეს, რომ ყველა დარგობრივი სფერო საჭიროებს იდრმისეული ცვლილებების გატარებას - გამოიკვეთა ყველა სისტემაში რთული ადაპტაციური მენეჯმენტური რეფორმის განხორციელების უმწვავესი საჭიროება.

ადაპტაციური ბიზნეს-პროცესების მოდელის აგება, ორგანიზაციაში ინტეგრირება და მართვა, გამიზნულია პროდუქციის მომხმარებლების მოთხოვნების, წარმოების ტექნოლოგიის, ბაზარზე კონკურენტების ქცევის ცვლილებებთან სწრაფ ადაპტაციაზე და, შესაბამისად, მომხმარებლის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე, მაკრო და მიკრო-გარემოს ხშირად არადინამიური ცვლილებების პირობებში, ამ ცვლილებების ოდენობისა და ამპლიტუდის მინიმუმამდე დაყვანის გზით.

ადაპტაციური მართვა ნიშნავს არა მხოლოდ გარემოს დამანგრეველ გავლენებზე მართლზომიერ რეაგირებას, არამედ ბაზარზე ახლად შექმნილი შესაძლებლობების აღიარებას და გამოყენებას; მრავალი მცირე თუ საშუალო ბიზნესისთვის, განსაკუთრებით, ჯანდაცვის სექტორში - დღის წესრიგის კონკურენციის ბუნებისა და ხარისხის, შეცვლას. ეფექტური ადაპტური მენეჯმენტი გულისხმობს ცვლილებების მართვას ახლავე - ერთის მხრივ, შესაძლებლობის კვალდაკვალ, ინოვაციის იმპულსის დაკარგვამდე, და, მეორეს მხრივ, სანამდამანგრეველი გავლენა გახდება უმართავი და შეუქცევადი. "ცვლილება" აღიქმება, როგორც სტატისტიკური, სტაბილური გარემოდან თანდათანობით გადაადგილება, წინსვლა, არასასურველიდან - მომგებიანი ბიზნესის განპირობებულობაში, როცა გარემო ფაქტორები საფრთხეს აღარ უქმნიან ბიზნეს აქტივობის წინასწარ განსაზღვრულ დროისა და ხარჯების ჩარჩოებს

**10.** კომპანიების საქმიანობა, განსაკუთრებით ცვლილებებთან ადაპტაციურ ვითარებაში, დამოკიდებულია კომუნიკაციური ტექნოლოგიების გაფართოებულ და ეფექტიან გამოყენებაზე, ასევე კომუნიკაციური საქმიანობის დაგეგმვასა და ეფექტიან განხორციელებაზე. კრიზისულ სიტუაციაში კომპანიის მართვაში წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმ ცვლილებებზე კომპანიის ადაპტაციური მართვის სისტემაში, რომლებიც უზრუნველყოფენ მიმდინარე მოვლენებზე მენეჯმენტის ადექვატურ რეაქციას, რაც უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს კომუნიკაციის სისტემის დახვეწას და ეფექტიანად გამოყენებას. კომუნიკაცია დიდ როლს თამაშობს კომპანიების ეფექტიან ადაპტაციურ ფუნქციონირებაში. კომუნიკაცია ინფორმაციის გაცვლასთან ერთად, მის მოპოვებას, ანალიზს და გავრცელებას გულისხმობს. ინფორმაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც მენეჯერს გააჩნია სწრაფად ცვლებად მიკრო- და მაკრო-გარემოსთან ურთიერთობისათვის. ადაპტაციური მართვა, მხარდაჭერის მოპოვება და მმართველობითი გადაწყვეტილების ფორმირება-რეალიზაციის შესაძლებლობა, განპირობებულია მხოლოდ სწორი, გამჭვირვალე და ეფექტიანი კომუნიკაციის საფუძველზე, რომელიც ყალიბდება მმართველ რგოლს, პერსონალს და საზოგადოებას შორის

#### 5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. თამარ ღამბაშიძე

2. თამარ ღამბაშიძე
3. ბალათურია მარინა
4. მათა ჩეჩელაშვილი, ელისაბედ მალანია, ლია ბერიკაშვილი
5. მათა ჩეჩელაშვილი, მიშელ ვარდანიანი, ლიანა პტაშენკო
6. მათა ჩეჩელაშვილი

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1. ISSN 2587-4713- -ვიაკომპანიის მომსახურების რანჟირება მგზვრთა იდენტიფიცირებული სეგმენტების მიხედვით
2. ISSN 2587-4713 DOI:10.36962/ECS-- სინერჯის ეფექტის ფორმირების მექანიზმი
3. ანტიინფლაციური პოლიტიკა და პერმანენტული რყევები პანდემიის დროს (DOI.org/10.36962/ecs104/1-2-42)
4. CHANGING MANAGEMENT PARADIGMS <https://doi.org/10.29013/EJEMS-21-2-39-42>
5. ETHNOMANAGEMENT AS A SCIENTIFIC DIRECTION, <https://doi.org/10.29013/ESR-21-9.10-49-54>
6. FEATURES AND TYPES OF SITES OF THE COMPANIES OF THE B2B SECTOR, <https://doi.org/10.29013/EJEMS-21-4-39-42>

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ჟურნალი „ეკონომიკა“
2. ჟურნალი „ეკონომიკა“
3. ეკონომიკა, ტომი 104, 1-2 2021
4. The European Journal of Economics and Management Sciences N2/2021
5. European Science Review N 9-10/2021
6. The European Journal of Economics and Management Sciences N4/2021

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი-2021 ნომერი (1-3)
2. თბილისი- ტომი 104, 6-9. 2021
3. თბილისი 2021 წ
4. ავსტრია, ვენა
5. ავსტრია, ვენა
6. ავსტრია, ვენა

5) გვერდების რაოდენობა

1. 8 გვერდი
2. 8 გვერდი
3. 249 გვერდი
4. 4 გვერდი
5. 6 გვერდი
6. 6 გვერდი

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1. საბაზრო ეკონომიკის რელსებზე ქვეყნის გადაწყობა, საავიაციო ტრანსპორტისაგან ეკონომიკური სტრუქტურის რეორგანიზაციას მოითხოვდა. მართალია მოძველებული ტექნიკა

ლიზინგის წესით შემოტანილი შედარებით თანამედროვე ავიატექნიკით ჩანაცვლდა, პროგრესი განიცადა ავიაკომპანიების მენეჯმენტმა, აშენდა და განახლდა აეროპორტები, რომელიც მგზავთნაკადის გაზრდილი მოთხოვნებით არის ნაკარნახევი, მაგრამ აღნიშნული ღონისძიებები არასაკმარისი აღმოჩნდა, სამოქალაქო ავიაციის სექტორში ქართული წილის (ავიაკომპანიების მხრიდან მგზავრების მომსახურების მხრივ) მაღალი მაჩვენებლის შესანარჩუნებლად.

ევროპასთან ღია ცის პოლიტიკამ ქართული ავიაკომპანიები მწვავე გამოწვევების წინაშე დააყენა, რადგან ავიაბაზარზე გამოჩნდა მრავალი ევროპული და არა ევროპული გადაყვანი, რომლებიც სერიოზულ კონკურენციას უწევენ ქართულ ავიაკომპანიებს პოპულარულ და მაღალ მოთხოვნად რეისებზე (ძირითადად ევროპის მიმართულებით). ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოს საერთაშორისო აეროპორტებიდან გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა გაიზარდა, მოძველებული ავიაპარკი შედარებით თანამედროვე ავიალაინერებით ჩანაცვლდა, ავიაკომპანიებმა დაიწყეს მართვის შედარებით თანამედროვე მეთოდების გამოყენება, მაგრამ აღნიშნული არასაკმარისია თანამედროვე სტანდარტის მომსახურების შესაქმნელად, რომელიც გლობალიზაციის განუხრელი პროცესით არის ნაკარნახევი. ავიაკომპანიების ეროვნულ სეგმენტში არსებულ პრობლემებზე გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობაში დაბალი ხვედრითი წილიც მიუთითებს.

**2.** სინერგია განიხილება, როგორც ორი ან მეტი ფაქტორის ერთობლივი, დამატებითი და ურთიერთდამოკიდებული მოქმედება რომელიმე ერთი მიმართულებით. ამავე დროს, სინერგიის ამჟამინდელ ეტაპზე შესაბამისობა განისაზღვრება საკმაოდ რთული სისტემების განსაკუთრებული მდგომარეობით არასტაბილურობის პირობებში, არასტაბილური პოზიციის, წონასწორობის და შესაბამისად, მათი თვითორგანიზაციის დინამიკაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სინერგია შეიძლება განისაზღვროს როგორც ერთგვარი თანამშრომლობა, ურთიერთდაკავშირებული და კოორდინირებული ქმედებები, რომლებიც შეიძლება გამოიხატოს სტრატეგიული პარტნიორობის, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის, შერწყმისა და თანამშრომლობის ურთიერთქმედების სახით. რიგმა ორგანიზაციებმა და საწარმოებმა გამოსავალი იპოვნეს თავიანთი საქმიანობის დივერსიფიკაციაში, სხვები კი პრობლემის გადაჭრის გზას მიადგნენ შერწყმისა და გაერთიანების გზით, ასევე სტრატეგიულ ბიზნეს ერთეულებზე დაფუძნებული მასშტაბის ეკონომიკის კომპეტენტური გამოყენებით. ეს, თავის მხრივ, განსაზღვრავს სინერგიული პროცესების გამოყენების აუცილებლობას, ეფექტებს ორგანიზაციების განვითარებისა და ეფექტურობისთვის და, შესაბამისად, მთლიანად ეკონომიკის განვითარებაზე. სინერგია ეკონომიკაში ვლინდება, როგორც საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა, კომბინაციის, შეერთების, ინტეგრაციის, ცალკეული ნაწილების ერთ სისტემაში შერწყმის შედეგად, ე.წ. სისტემური ეფექტის წარმოქმნის გამო, ანუ შედეგად ვლდებულობით სისტემის ახალი თვისებების ნაერთს.

**3.** განხილულია, ინფლაცია, მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები საქართველოში, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე მოქმედი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. ასევე, არანაკლები მნიშვნელობის მატარებელია მისი აღმოფხვრის და დაძლევის გზების შესწავლა და მათი გამოყენება პრობლემის გადაჭრაში, მაკროეკონომიკური გარემოს შესწავლის საფუძველზე ინფლაციური პროცესებისა და მოვლენების დადგენა, მისი ფორმირების, განსაზღვრისა და შეფასების თეორიული ასპექტებისა და პრაქტიკული წინადადებების დამუშავება. ნაშრომის ამოცანაა საქართველოს ეკონომიკაში არსებული სიტუაციის გამოვლენა, ანალიზი და შეფასება. აგრეთვე, ფულის ბაზარზე არსებული

მდგომარეობის ანალიზი, შეფასება და სასურველი პირობების გაუმჯობესების მიმართულებების განსაზღვრა

4. ამ სტატიაში ავტორები იკვლევენ თანამედროვე ეკონომიკაში პროცესების ყველაზე ფუნდამენტურ მახასიათებლებს - მატერიალური საქონლის წარმოების რეორიენტაციას, სერვისების წარმოებას. ავტორები ამტკიცებენ, რომ მთავარია ეკონომიკის მომსახურების სექტორი. სამუშაოს სტრუქტურის ცვლილებების თვალსაზრისით, ყველაზე ინტენსიური ცვლილებები ხდება მომსახურების წარმოებაში, რომელიც მჭიდრო კავშირშია მოხმარებასთან. ავტორები ასკვნიან, რომ მენეჯმენტის მოდელი, რომელიც ეყრდნობა ჩართულობას, პერსონალის მუდმივ სწავლებას და ყველა ვალდებულების გადახდას ორგანიზაციის ყველა დონეზე, ბაზარზე დიდი უპირატესობებით სარგებლობს. ავტორთა კიდევ ერთი დასკვნა შემდეგნაირად არის ფორმულირებული: არსებობს განსხვავება წარმოებასა და სერვისზე ორიენტირებულ მართვის მოდელებს შორის

5. სტატია ეძღვნება განსხვავებული ეთნოსისა და ეროვნების მიზანმიმართული კვლევის მიმოხილვას სხვადასხვა მეცნიერების ფარგლებში, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ტარდება. ავტორები განიხილავენ სხვადასხვა ეროვნების ისტორიული განვითარების თავისებურებებს და მათ ზოგად კანონებად და ეთნიკური ჯგუფების ფუნქციონირების კანონზომიერებებად თანდათან გარდაქმნას. ავტორების აზრით, ეს განსაზღვრავს ეთნიკური ჯგუფების არსებობის ეკონომიკურ, სოციალურ, დემოგრაფიულ და სხვა გარე ფაქტორებს. ავტორები მიიჩნევენ, რომ ამაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეთნიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს შორის ურთიერთობის ანალიზმა, ეკონომიკური ქცევის ეროვნული მახასიათებლების შესწავლამ. ამ პრობლემის განხილვისას ავტორები გამოყოფენ და განიხილავენ რამდენიმე პუნქტად.

6. სტატია ეძღვნება საქონლისა და მომსახურების ონლაინ პოპულარიზაციის სტრატეგიას, რომელიც ამჟამად კომპანიის მარკეტინგული გეგმის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია. ავტორების აზრით, ის აფიქსირებს სარეკლამო კამპანიების მიზნებს, მარკეტინგული კომუნიკაციების ძირითად მიდგომებს, პროდუქტის ბაზარზე პოპულარიზაციის ინსტრუმენტებს. ავტორებს მიაჩნიათ, რომ შემუშავებული პრომოუშენის სტრატეგია დაეხმარება კომპანიას, მოიძიოს კლიენტების საჭირო რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს ბიზნესის მომგებიანობას. ავტორებმა მიმოხილეს და გაანალიზეს B2B კომპანიების მახასიათებლები და ტიპები. კვლევის ობიექტია B2B სექტორში კომპანიის საქონლისა და მომსახურების პოპულარიზაციის სტრატეგია.

## 5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1)ავტორი/ავტორები:

1. ნინო ქავთარაძე,
2. ნინო ქავთარაძე/სალომე იმნაიშვილი
3. თ.ყანდაშვილი, თ. აბრალავა
4. ქეთევან შენგელია
5. ქეთევან შენგელია
6. ნინო ლაზვიაშვილი, არჩილ ოთხმეზური



2)სტატიის სათაური, ISSN

1. სავალუტო სისტემა და სავალუტო ვაჭრობა საქართველოში.ISSN 2587-4713
2. COVID-19-ის პანდემია და დამსაქმებელთა მზაობა საქართველოში.ISSN 2449-2396
3. „მარკეტინგის როლი მცირე ბიზნესის განვითარებაში“.ISBN 978-9941-28-128-0
4. სახელმწიფოს როლი ეკონომიკის ანტიკრიზისულ მართვაში პანდემიის პირობებში
5. ეკონომიკური უსაფრთხოება- ქვეყნის სტაბილურობის და განვითარების გარანტი,
6. ტურიზმის ინდუსტრიის სიტემური მახასიათებლების მარკეტინგული ანალიზი. ISBN978-9941-28-851-7

3)ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“, №1-2
2. ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“, №11
3. „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“ V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული. I ნაწილი. თბილისი 2021
4. ჟურნალი ეკონომიკა და ფინანსები, ISSN: 2587-5000№2
5. ჟურნალი ეკონომიკა,ISSN 2587-4713, №10
- 6.V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული„გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“, I ნაწილი,

4)გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი,2021 წ.
2. თბილისი,2021 წ.
3. თბილისი 2021 წ
4. თბილისი,2021 წ
5. თბილისი 2021წ
6. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი, 2021 წ

5) გვერდების რაოდენობა

1. 5 გვერდი.
2. 5 გვერდი.
3. 4 გვერდი
4. 12 გვერდი (25-37)
5. 10 გვერდი (66-76 )
6. 2 გვერდი (გვ.211-213)

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. განხილულია საქართველოს სავალუტო სისტემის ჩამოყალიბების ეტაპები, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქვეყნის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების პერიოდში იღებს. აღნიშნულია საქართველოს ეროვნული ბანკის როლი და ხელისუფლების მიერ შემოღებული ქართული ვალუტის მნიშვნელობა. ასევე, სავალუტო ბაზრის, როგორც ფინანსური ბაზრის შემადგენელი ნაწილის როლი, სავალუტო ვაჭრობის და გარიგებების დადების დროს. წარმოდგენილია FOREX (Foreign

Exchange Market), როგორც დღესდღეობით საერთაშორისო სავალუტო ვაჭრობაში ყველაზე მასშტაბური სტატუსის მქონე სავალუტო ბაზრი.

3. მცირე ბიზნესი, როგორც ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორი, მრავალი წელია დომინირებს განვითარებულ ქვეყნებში როგორც რაოდენობით, ასევე წარმოების მოცულობით. საწარმოები, რომელთაც მცირე რაოდენობის თანამშრომლები ყავთ, უზრუნველყოფენ ეკონომიკური სისტემის მდგრადობას, უშუალო კავშირში არიან მომხმარებლებთან დაასრულებენ მნიშვნელოვან სოციალურ როლს ქმნიან რა დამატებით სამუშაო ადგილებს.

4. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ ხელისუფლების როლი ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანაში პანდემიის პირობებში უმნიშვნელოვანესია. მას აქვს ძირითადი ვალდებულებები: შეუნარჩუნოს საზოგადოებას მშვიდობა, ნორმალური ცხოვრების და მუშაობის პირობები; ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვას, წარმოების და ექსპორტის ზრდას.

სწორ ანტიკრიზისულ მართვას შეუძლია პრობლემების შერბილება, როგორც მესაკუთრეთა, ისე პერსონალის, საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისობაში მოყვანა და ეკონომიკის წონასწორობის შენარჩუნება გრძელვადიანი პერიოდისათვის.

ეკონომიკური ზრდის საფუძველი ტექნოლოგიურ პროგრესში მდგომარეობს, რომელსაც უნდა ასტიმულირებდეს სახელმწიფო და მსხვილი ბიზნესი საზოგადოების ფართო ფენების მხარდაჭერით. ტექნოლოგიური განვითარებისათვის საჭიროა დიდი ოდენობით კაპიტალი, რაც მსხვილ კორპორაციებს და მონოპოლიებს გააჩნიათ. თავისუფალი ბაზრის პირობებში კი ტექნოლოგიური პროგრესი არაეფექტიანი იქნება სახელმწიფო რეგულირების გარეშე. უნდა განვითარდეს კვლევები უნივერსიტეტებში და მათ ამისათვის დაფინანსება სჭირდებათ. სახელმწიფოს ძირითადი პრინციპები უნდა გახდეს: კანონის უზენაესობა, წესრიგის დამყარება; დემოკრატიის განვითარება და საკუთრების უფლებების დაცვა.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მოკლევადიანი პრიორიტეტი უნდა იქნეს: Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული დანაკარგების მინიმიზაცია; აღდგენა და სწრაფი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა.

საშუალოვადიან პერიოდში მთავარ პრიორიტეტი უნდა გახდეს: ქვეყნის რეგიონული და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება; კონკურენტუნარიანი ადგილობრივი წარმოებისა და ექსპორტის ხელშეწყობა; შიდა და უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოების კეთილგანწყობის შენარჩუნება და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება. კრიზისულ სიტუაციაში მკაფიოდ უნდა იყოს განაწილებული უფლებამოსილებანი. საზოგადოებრივი ინტერესები უნდა გახდეს პრიორიტეტული კერძო ინტერესებთან შედარებით. მაქსიმალურად შენარჩუნდეს სამუშაო ადგილები, რათა მიღწეულ იქნას შიდა გარემოს სტაბილიზაცია, მცირე უსამართლობამ შეიძლება სოციალური აფეთქება გამოიწვიოს. საზოგადოება უნდა ენდობოდეს სამთავრობო ღონისძიებებს და მუდმივად გრძნობდეს მის მხარდაჭერას. წინააღმდეგ შემთხვევაში რყევები გარდაუვალი გახდება.

5. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კონკურენტული ბაზრის დაცვასთან ერთად საზოგადოების სოციალურ მხარდაჭერას და უმუშევრობის შემცირებას. იგი ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა და ძირითადად ქვეყანაში არსებული სუსტი ინსტიტუტებისა და შრომის ბაზრის მოუქნელი

ფუნქციონირებიდან გამომდინარეობს. შესაბამისად სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი.

38. სტუ-ს თემატური სამეცნიერო შრომების კრებული `მართვის ავტომატიზირებული სისტემები` #1(32), თბილისი, 2021 წ.
39. სტუ-ს თემატური სამეცნიერო შრომების კრებული `მართვის ავტომატიზირებული სისტემები` #1(32), თბილისი, 2021 წ.
40. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, „მოამბე“ ტ.16, #3, 2021

#### 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი
3. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“
4. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“
5. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“
6. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“
7. თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
8. გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2021
9. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
10. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“
11. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“
12. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“
13. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“
14. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“
15. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“
16. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“
17. თბილისი,საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“
18. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
19. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
20. თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
21. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“
22. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“
23. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“

24. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“
25. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
26. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
27. ქ. თბილისი, გამომცემლობა „დიზი“
28. ქ. ქუთაისი, ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის გამომცემლობა
29. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
30. Tbilisi, Publishing House `Technical University`, 2021;
31. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2021;
32. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2021;
33. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2021;
34. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2021.
35. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2021
36. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2021
37. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2021
38. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2021
39. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2021
40. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2021

#### 5) გვერდების რაოდენობა

1. 5 გვერდი
2. 7 გვერდი
3. 7 გვერდი
4. 8 გვერდი
5. 8 გვერდი
6. 7 გვერდი
7. 6 გვერდი
8. 122-127 გვერდი
9. 13-19 გვერდი
10. 4 გვერდი
11. 4 გვერდი
12. 66 გვერდი
13. 4 გვერდი
14. 5 გვერდი
15. 4 გვერდი
16. 4 გვერდი
17. 8 გვერდი
18. 5 გვერდი
19. 5 გვერდი
20. 5 გვერდი
21. 5 გვერდი
22. (რედაქციაშია ბეჭდვის პროცესში)

- 23. 40-46 გვერდი
- 24. 227-233 გვერდი
- 25.5 გვერდი
- 26.7 გვერდი
- 27.10 გვერდი
- 28. 7გვერდი
- 29. 238-242 გვერდი
- 30. 2გვერდი
- 31. 2 გვერდი
- 32. 2გვერდი
- 33. 7 გვერდი
- 34. 6 გვერდი
- 35. 7 გვერდი
- 36. 7გვერდი
- 37. 11 გვერდი
- 38. 289-295 გვერდი
- 39. 222-227 გვერდი
- 40. 10 გვერდი

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1. „ნივთების ინტერნეტის“ (Internet of Things) მიმართულება სწრაფი ტემპით ვითარდება. კომპანიები ქმნიან კომპიუტერულ ქსელში დაკავშირებად მოწყობილობებს. როგორც სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, „IoT“ გადაწყვეტილებები ბევრ სხვადასხვა ინდუსტრიაში წარმატებით იქნა დანერგილი, მათ შორისაა: ჯანდაცვა, ტურიზმი, საცალო ვაჭრობა, წარმოება და ა.შ. დღეს „IoT“- ის აქვს მრავალი პერსპექტიული განვითარება განათლების სფეროში. სკოლები, კამპუსები და სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუტები ეტაპობრივად იწყებენ მისი პოტენციალის გამოყენებას. სტატიაში წარმოდგენილია და განხილულია IoT მოწყობილობები, რომლებიც გვეხმარებიან საგანმანათლებლო პროცესებში. შემოთავაზებულია ის შვიდი ძირითადი ტექნოლოგია, რომლებიც საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის დღესდღეობით ბაზარზე არის ხელმისაწვდომი

2. განხილულია ადაპტური სწავლების იდეების პრაქტიკაში განხორციელების შესაძლებლობა ელექტრონული სწავლების სისტემებში, რაც გულისხმობს ინფორმაციული და პედაგოგიური ტექნოლოგიების ინტეგრაციას, განსაზღვრავს საგანმანათლებლო საგნების ურთიერთქმედების ინტერაქტიულობას და სტუდენტის სასწავლო საქმიანობის პროდუქტიულობას. შემოთავაზებულია ერთ-ერთი შესაძლო მეთოდი, რომელიც ეყრდნობა ადაპტური სწავლების პრინციპებს პრეცედენტების საფუძველზე

3. ნაშრომში წარმოდგენილია ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების ურთიერთკავშირის ვიზუალიზაციისა და ანალიზის სისტემის რეალიზაციის საშუალება - აგენტურ-ორიენტირებული მიდგომა. აღნიშნული სისტემის ტექნოლოგიებისა და მასთან დაკავშირებული განმარტების აღწერა. ნაშრომში მიმოხილულია აგენტთა არქიტექტურა, კლასიფიკაცია, მოდელები და მათი გამოყენების სფერო.

4. წარმოდგენილია სახელმწიფო დაწესებულებებში და კერძო სტრუქტურებში ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების მართვისა და საქმიანი პროცესების ინტეგრირებული ავტომატიზებული სისტემები უსადენო ქსელების გამოყენებით და მათი დაცვა, მისი ნორმალური პროცესის ფუნქციონირებაში შემთხვევითი და მიზანმიმართული ჩარევისაგან, ინფორმაციის მოპარვის მცდელობისაგან, მისი კომპონენტების მოდიფიცირებისა ან ფიზიკური განადგურებისაგან, სხვადასხვა საგანგაშო ზემოქმედების განეიტრალების შესაძლებლობა, უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობა. აგრეთვე წარმოდგენილია უსადენო ლოკალური ქსელების კომპონენტები და სისტემები. მოყვანილია უსადენო ლოკალური ქსელების გამოყენებასთან დაკავშირებული საფრთხეების ყველაზე გავრცელებული ფორმები და თითოეული მათგანი დახასიათებულია თავისი თვისებებით. უსადენო ლოკალურ ქსელში მარშრუტიზაციის უსაფრთხოების ამადლების მიზნით შემუშავებულია ახალი მიდგომა. სქემატურად წარმოდგენილია უსადენო ლოკალური ქსელი, სადაც გამოყენებულია აუტენტიფიკაციის სერვერი და ქსელურ მოწყობილობებს შორის კონკრეტული შეერთებები.

5. ნაშრომში განხილულია VPN (Virtual Private Network) ტექნოლოგიის გამოყენების აქტუალობა და VPN ქსელის უპირატესობანი. წარმოდგენილია VPN ქსელის ტიპები. VPN ტექნოლოგიას მრავალმხრივი გამოყენების შესაძლებლობა გააჩნია და მათ შორისაა ტერიტორიულად დაშორებული კორპორაციული თუ სხვა ნაგებობების ერთ ქსელში გაერთიანება. იმავდროულად, ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხოლოდ მათთვის, ვისთვისაც ის განკუთვნილია და დაფარული სხვა უცხო პირთათვის. უსაფრთხო კავშირის არხის შესაქმნელად აღნიშნული ტექნოლოგია დღეისათვის ერთ-ერთ ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტს წარმოადგენს.

6. ნაშრომში წარმოდგენილია საცნობარო-სამართლებრივ სისტემაში ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების ურთიერთკავშირის ვიზუალიზაციისა და ანალიზის ავტომატიზებული სისტემის პროგრამული კომპლექსის დამუშავება, ავტომატიზებული სისტემის აგება და ექსპერიმენტული შემოწმება. ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების ერთიანი ურთიერთდაკავშირებული სტრუქტურა წარმოადგენს რთულ ობიექტს, რომელიც საჭიროებს ახალ მათემატიკური და თეორიტიკული მეთოდების კვლევას და ავტომატიზაციის პროგრამული საშუალებების შექმნას.

7. ნაშრომში წარმოდგენილია უსადენო ქსელების გამოყენებით სახელმწიფო დაწესებულებებში და კერძო სტრუქტურებში ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტებისა და ბიზნეს პროცესების მართვის ინტეგრირებული ავტომატური სისტემები და მათი დაცვა პროცესის ნორმალურ ფუნქციონირებაში შემთხვევითი და მიზანმიმართული ჩარევისგან, ინფორმაციის ქურდობის მცდელობისგან, მოდიფიკაციის ან ფიზიკური განადგურებისგან. ნაშრომში ასევე მოცემულია სხვადასხვა განგამის ზემოქმედების განეიტრალების შესაძლებლობა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობა. იგი წარმოადგენს უსადენო ლოკალური ქსელების კომპონენტებსა და სისტემებს, უზრუნველყოფს უსადენო LAN კომპონენტების გამოყენებასთან დაკავშირებული საფრთხეების ყველაზე გავრცელებულ ფორმებს და თითოეული ხასიათდება საკუთარი მახასიათებლებით. შემუშავებულია ახალი მიდგომა უკაბელო LAN-ში მარშრუტიზაციის უსაფრთხოების გაზრდის მიზნით.

8. თანამედროვე კრიპტოგრაფია ითვლება ქვაკუთხედად კომპიუტერსა და კომუნიკაციების უსაფრთხოებას შორის. იგი ემყარება მათემატიკურ კონცეფციებს, როგორცაა რიცხვის თეორია, ალბათობის თეორია, მრავალწევრის ალგებრა და ა.შ. ნაშრომში მოცემულია ახალი სიმეტრიული ალგორითმის აგების ორიგინალური მეთოდი. მეთოდის მისაღებად შემუშავებულია შესაბამისი მასალა; სიმეტრიული კრიპტოსისტემა და შესწორებადი ბლოკის შიფრები. ასეთი ბლოკის შიფრის აგები პრობლემა განიხილება და გადაწყდება Hill-ის ალგორითმის გამოყენებით, ისე, რომ იგი აძლიერებს ალგორითმის სიჩქარეს.

9. თანამედროვე კრიპტოგრაფია წარმოადგენს ქვაკუთხედს კომპიუტერსა და საკომუნიკაციო უსაფრთხოებას შორის. ის ეფუძნება ისეთ მათემატიკურ ცნებებს როგორცაა: რიცხვთა თეორია, ალბათობის თეორია, მრავალწევრთა ალგებრა და ა.შ. ნაშრომში წარმოდგენილი და აღწერილია ახალი სიმეტრიული ალგორითმის აგების ორიგინალური მეთოდი. ამ მეთოდის მისაღებად დამუშავებულ იქნა შესაბამისი მასალა, ისეთი როგორებიცაა: სიმეტრიული კრიპტოსისტემა და tweakable ბლოკური შიფრები. თანამედროვე კრიპტოგრაფიაში სიმეტრიული ბლოკური შიფრები, რომლებიც აგებულია კლასიკური კრიპტოგრაფიის პრინციპებზე, შეუცვ-

ლელნი არიან ღია არხში დიდი მოცულობის კონფიდენციალური ინფორმაციის გადაცემის დროს. ამავე დროს მათ იმდენად დიდი შესაძლებლობები გააჩნიათ, რომ შესაძლებელია მათი გამოყენება სხვადასხვა კრიპტოგრაფიული კონსტრუქციების ასაგებადაც. ამ შიფრების ძირითადი ნაკლია მათი დეტერმინირებულობა. სწორედ ამ ნაკლის გამოსწორების მიზნით, დღეს უკვე არსებობს ე.წ. tweakable ბლოკური შიფრები. ეს მიმართულება წარმოადგენს თანამედროვე კრიპტოგრაფიის ერთ-ერთ ყველაზე ახალ მიმართულებას. ჩვენს ნაშრომში განხილულია ასეთი შიფრის აგების პრობლემა ჰილის ალგორითმის გამოყენებით. როგორც ცნობილია, ჰილის ალგორითმი წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო მეთოდს დიფუზიის მისაღწევად. ნაშრომში ძირითადი ყურადღება ექცევა ჰილის ალგორითმის რეალიზაციას ისე, რომ ალგორითმი იყოს სწრაფი, რაც წარმოადგენს სიმეტრიული ალგორითმების აუცილებელ თვისებას.

10. განხილულია კომპლექსური ცვლადის რაციონალური ფუნქციის უმარტივეს წილადებად დაშლის ახალი მეთოდი. მისი გამოყენებით დაშლილია სხვადასხვა სახის რაციონალური ფუნქციები, გამოთვლილია რაციონალური ფუნქციის ინტეგრალი.

11. განხილულია ანალიზური გეომეტრიის ახალი ამოცანა, როდესაც ცნობილია პირამიდის წვეროების კოორდინატები, შედგენილია ფუძის წიბოსთან ორწახნაგა კუთხეების ბისექტრისების განტოლებები და დადგენილია რომელი ბისექტრისა გაკვეთს პირამიდის არეს. მოყვანილია პრაქტიკული მაგალითი.

12. წინამდებარე ნაშრომში განხილულია კრიპტოგრაფიაში გამოყენებული მეთოდები, რომლებიც ინდივიდუალური თუ კომპლექსურად გამოყენებისას საშუალებას იძლევიან საკომუნიკაციო სისტემაში მონაცემთა გადაცემისას მიღწეულ იქნას უსაფრთხოების ისეთი მახასიათებლები, როგორცაა: - მონაცემთა კონფიდენციალობა (Data Secrecy); - კომუნიკაციაში მონაწილე მხარეების აუთენტიფიკაცია; - გზავნილის საიმედოდ გადაცემა (Data Integrity); - შესრულებულ კომუნიკაციაზე მომავალში უარის თქმის შეუძლებლობა (Data non-Repudiation); ამჟამად ინტერნეტში გავრცელებული სისტემებისგან ამორჩეულ და განხილულ იქნა ისეთი სისტემები, როგორცაა: - გაუმჯობესებული კრიპტოგრაფიული სისტემა AES (Advanced Encryption Standard); - კრიპტოგრაფიული ჰეშ-ფუნქციები (Cryptographic Hash Functions) -



კრიპტოგრაფიული სისტემა RSA; - ელიპტიკურ წირზე დაფუძნებული კრიპტოგრაფია (Elliptic Curve Cryptography); რამდენადაც ზემოთჩამოთვლილი სისტემების გაგება მოითხოვს სათანადო მათემატიკურ ცოდნას, ამიტომ საკმაოდ სრულადაა განხილული ისეთი საკითხები, როგორცაა: - მოდულური გამოთვლები (Modular Arithmetic); - Xორარითმეტიკა (Exclusive or Arithmetic); - გალუას ველის არითმეტიკა (Galois Field Arithmetic); - ელიპტიკური ფუნქციები განმარტებული ნამდვილ რიცხვთა სიმრავლეზე და მათზე ოპერაციები; - ელიპტიკური ფუნქციები განმარტებული სასრულ სიმრავლეზე და მათზე ოპერაციები. მიგვაჩნია, რომ ამ საკითხების ათვისება მკითხველს მისცემს სათანადო ცოდნას განვითარებადი კრიპტოგრაფიული მოდელების ეფექტურად ათვისებაში.

13. წყვილში პროგრამირება ეს არის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების ტექნიკა, სადაც ორი პროგრამისტი გერდი-გვერდ მუშაობს ერთ კომპიუტერთან. უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში ის გამოჩნდა, როგორც ეფექტური მეთოდი, რომელიც ქმნის მაღალი ხარისხის პროგრამულ უზრუნველყოფას, ახდენს ცოდნის გაზიარებას გუნდში და პროდუქტის კოლექტიურ ფლობას უწყობს ხელს. ჩვენი კვლევა საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით აჩვენებს, თუ რამდენად ეფექტურია წყვილში პროგრამირების მეთოდი, როგორც საოფისე, ასევე დისტანციური სწავლისა და მუშაობის პროცესში.

14. განხილულია აუდიო დაქტილოსკოპია - აუდიო ანაბეჭდების იდენტიფიკაციის პროცესი. აუდიო დაქტილოსკოპიის გამოყენება გახდა ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტთაგანი ხმების შედარების პროცესში, როდესაც ვმუშაობდით დისერტაციაზე: „ინტერაქტიული ონ-ლაინ პლატფორმა, ქართული მრავალხმიანი მუსიკის შესასწავლად“ და პარალელურად შეიქმნა ინტერნეტ პროდუქტი, სახელწოდებით: „GeoFolk.ge“ - ინტერაქტიული ონ-ლაინ პლატფორმა, ქართული მრავალხმიანი მუსიკის შესასწავლად. თავის მხრივ, აუდიო ანაბეჭდები - იგივე ხმოვანი/აკუსტიკური ანაბეჭდები, მოიცავენ ხმების კომპაქტურ წარმოდგენას, იქნება ეს მუსიკა თუ გარემო რომელიც გარს გვაკრავს.

15. მიმდინარე სტატიაში განხილულია სამი ინსტიტუციის: სახელმწიფო, ინდუსტრია, აკადემია - ურთიერთანამშრომლობის განუსაზღვრელად დიდი როლი და სასიცოცხლო მნიშვნელობა როგორც თანამედროვე საზოგადოებისთვის მის ყოველდღიურ ყოფაში, ასევე საზოგადოების სამომავლო განვითარების ურთულეს და უმნიშვნელოვანეს გზაზე. აღნიშნულ სტატიაში ურთიერთანამშრომლობის ეს ფორმა განხილულია როგორც წარსულის ჭრილში, ასევე წამოჭრილია მისი სამომავლო განვითარების გზები და ხედვები, როცა ექსპერტების აზრით და რეკომენდაციით ადგილი უნდა ჰქონდეს ე.წ. „ოთხმაგი სპირალის“ ჩამოყალიბებას და სადაც ზემო აღნიშნულ სამ ძირითად ინსტიტუციას დაემატება მეოთხე - უმნიშვნელოვანესი: სამოქალაქო საზოგადოება.

16. განხილულია თვითმომსახურების ტერმინალები, მათი სახეები და გამოყენება საქართველოში. აგებულია მათი გამოყენების Use Case მოდელი, თუ როგორ შეიძლება წარიმართოს წარმატებული გადახდის ერთი კონკრეტული მაგალითი, მასში შემავალი თანმიმდევრული ბიზნესპროცესებით. თვითმომსახურების ტერმინალების მართვის სისტემა (TMS), რომელსაც აქვს მონაცემთა ბაზაზე დამყარებული მარტივი ინტერფეისი. შედეგად იძლევა მოქნილ შესაძლებლობას, რომ ამ სისტემის მეშვეობით გამარტივებულ იქნას ტერმინალების დისტანციური მართვა. ასევე მათზე შესრულებული ოპერაციებისა და გადარიცხვების მონიტორინგი, ტერმინალების მდგომარეობის ლოგირება და შესაბამისი ფილტრაცია. ჩვენ მიერ სტატიაში აღწერილი TMS-ის კომპონენტების გათვალისწინებით შესაძლებელია, მართვის სისტემების ეფექტიანობის გაზრდა.

17. შემუშავებულია PI რეგულატორის პარამეტრების გაანგარიშების მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა მოიძებნოს რეგულატორის პარამეტრების ის მნიშვნელობა, რომლის დროსაც სარეგულირებელი სიდიდის მაქსიმალური გადახრა არ აღემატება წინასწარ მოცემულ სიდიდეს. ამ მეთოდის გამოყენება ეფექტურია, მაშინ როდესაც ავტომატური მართვის სისტემა შეიცავს წრფივ სტატიკურ ობიექტს, რომლის ლოგარითმულ ამპლიტუდურ-სიხშირული მახასიათებელი არის ან მონოტონურად კლებადი ფუნქცია ან აქვს ერთი რეზონანსული პიკი და პრაქტიკულად არ აქვს ვარდნა სიხშირეებისას, რომელიც ნაკლებია რეზონანსულზე. დაზუსტებულია ფორმულები სავარაუდოდ დასაშვები გადახრის ცდომილების სიზუსტის გაზრდის მიზნით, რაც უფრო საიმედოს ხდის მიღებულ შედეგებს.

18. კრიპტოგრაფია აღწერს ინფორმაციის დაშიფვრის პროცესს, ისე რომ მისი მნიშვნელობა იმალება იმ პირებისგან, ვინც არ იცის როგორ გაშიფროს ინფორმაცია. კრიპტოგრაფიის კონცეფცია დაახლოებით იმ პერიოდიდან დაიწყო, როდესაც ადამიანებმა ისწავლეს ენის საშუალებით კომუნიკაცია წერილობითი სიტყვის საშუალებით. დროთა განმავლობაში კრიპტოგრაფიაში ბევრი სხვადასხვა მიდგომა იქნა გამოყენებული, ანბანური ასოებით დაწყებული, გაგრძელებული მათემატიკური და ბოლოს რთული მექანიკური და ციფრული/ელექტრონული მეთოდებით დამთავრებული.

ინფორმაციის დაცვა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც საზოგადოებრივი უსაფრთხოება, სახელმწიფო უსაფრთხოება და ა.შ. ინფორმაციის დაცვა ხდება ყველა სფეროში, ეს იქნება საჯარო თუ კერძო სფერო. კრიპტოგრაფია კი პირველ რიგში იმისთვის შეიქმნა, რომ მომხდარიყო ინფორმაციის დაცვა მტრული სახელმწიფოებისგან, თუ სხვა მესამე პირებისგან, რომელთაც არ უნდა ჰქონოდათ წვდომა ამა თუ იმ ინფორმაციაზე.

აღნიშნულ ნაშრომში ინფორმაციის დაშიფვრა ხდება, ფიგურა კვადრატის გამოყენებით, საიდანაც ვიღებთ სხვადასხვა კომბინაციებით ცხრა თანრიგიან ათობით თვლით სისტემაში ჩანაწერს, რომელიც შეესაბამება ერთ სიმბოლოს ბაზიდან და ასევე გამოიყენება RGB ფერები რიცხვთა კომბინაციის მისაღებად. მომხმარებლებს შორის არის საიდუმლო მონაცემთა ბაზა, რომელშიც

წარმოდგენილია სიმბოლოები შესაბამისი კოდებით, თითოეულს კი შეესაგამება სამი სამთარიგიანი კოდი. რაც შეეხება ცხრილს: ცხრილს გააჩნია ცარიელი ნულოვანი უჯრა. ინფორმაციის დაშიფვრისათვის, უნდა ამოვწეროთ კოდები (რიცხვები) შემდეგნაირად - პირველი სამ თანრიგიანი რიცხვი ამოიწერება ვერტიკალური სვეტიდან, მესამე სამ თანრიგიანი რიცხვი ამოიწერება ჰორიზონტალური სვეტიდან, მეორე სამ თანრიგიანი რიცხვი კი დიაგონალურად ამოიწერება. მაგრამ, რიცხვების ამოწერა პირველი უჯრიდან არ იწყება. მომხმარებლებს შეუძლიათ, ასევე საიდუმლოდ ჰქონდეთ დაფიქსირებული, როდის და რომელი სვეტიდან დაიწყო დაშიფვრა/დეშიფრაცია. მაგალითად, რა რიცხვშიც იქნება გაგზავნილი ინფორმაცია, დაშიფვრას დავიწყებთ პირველი სვეტის შესაბამისი სტრიქონიდან.

**საკვანძო სიტყვები:** ინფორმაცია, კრიპტოგრაფია, დაშიფვრა/დეშიფრაცია, გატეხვა, საიმედოობა, ალბათობა.

19. ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება განუყოფლად დაკავშირებულია ინფორმაციასთან. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს ცხოველმოქმედების, საქმიანობის, ფუნქციონირების ყველა სფეროში. ინფორმაციის ფენომენი, რომ მარტივ ახსნას არ ექვემდებარება, არც არის გასაკვირი.

ინფორმაციის გარეშე ვერ იარსებებს ვერცერთი ადამიანის მიერ შექმნილი სისტემა. გარე სამყაროდან ინფორმაციის მიღება, მისი ანალიზი და წარმოქმნა წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას, რომელიც განასხვავებს მას დანარჩენი ცოცხალი სამყაროსგან.

ინფორმაციის გადაცემის დროს საჭიროა ინფორმაციის შეკუმშვა. შეკუმშვის ალგორითმების მთავარი მიზანია მეხსიერების მოცულობის შემცირება, რომელიც საჭიროა მონაცემების შენახვისთვის ან ინფორმაციის გადაცემისთვის ქსელში.

ცნობილია რომ სამყარო წარმოადგენს გარკვეულ სისტემას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს უამრავ გალაქტიკას, ხოლო ადამიანი წარმოადგენს ამ სისტემის მცირე ნაწილს. შესაბამისად ადამიანისთვის მიუღწევადია აბსოლუტური ინფორმაცია. ჩვენ სინამდვილეში, მეცნიერების განვითარებასთან ერთად ხდება ადამიანის მიერ ცდისეული ცოდნისთვის ხელმისაწვდომი საზღვრების გაფართოება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ინფორმაცია, ფართო გაგებით, ადამიანის ნებისა და ცნობიერებისგან დამოუკიდებლად არსებობს სამყაროში.

ეს ინფორმაცია უნდა განვასხვავოთ ვიწრო გაგების ინფორმაციისგან. ინფორმაცია ვიწრო გაგებით, ადამიანის ცნობიერებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, ანუ მატერიალური სამყაროს ობიექტისა და პროცესების შესახებ თავისთავადი ინფორმაციის აზრობრივი შინაარსი, რომელიც ფორმირებულია ადამიანის სუბიექტური ცნობიერებით. რეალური გარემოს აღქმის თვალსაზრისით, ფაქტია, რომ ადამიანის გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობანი შეზღუდულია და რეალობას იგი აღიქვამს სუბიექტურად, ანუ

იმ შეზღუდული შესაძლებლობის ფარგლებში, რისი საშუალებაც მას მიანიჭა ბუნებამ.

ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანი არის სწორედ ეს ვიწრო გაგებით „ადამიანური“ ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ლოგიკურ აზროვნებასთან და გამოიყენება საზოგადოებაში, ანუ ინფორმაცია გარემო სამყაროსა და მასში მიმდინარე პროცესების შესახებ, რომელიც აღიქმება ადამიანის ან მასთან დაკავშირებული სპეციალური მოწყობილობის მიერ.

20. დღევანდელ კომპლექსურ გამოთვლით გარემოში დაკვირვებადობის მისაღწევად, რომლებიც მუშაობენ განაწილებულ აპლიკაციებზე, რომლებიც ეყრდნობა ღრუბელ და ადგილობრივ სერვისებს, აუცილებელია ოპერატიული მონაცემების შეგროვება განაწილებული სისტემის ყველა ფენიდან და ყველა კომპონენტიდან. ძალიან მნიშვნელოვანია ამ მონაცემების ღრმა დასკვნა და მისი კონსოლიდაცია სხვადასხვა პერსპექტივის მქონე მინის ერთ მინაში, რათა მხარი დაუჭიროს ორგანიზაციის დაინტერესებულ მხარეებს. სტატია გთავაზობთ Microsoft-ის ღრუბლოვანი სერვისებს, როგორცაა Azure Monitor და Power BI და Amazon Web Services, როგორცაა Amazon CloudWatch და Kibana, ჟურნალის მონაცემების მონიტორინგისთვის. ამ სერვისებზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია შევაგროვოთ და გავაერთიანოთ Azure Monitor და Amazon CloudWatch ჟურნალის მონაცემები სხვადასხვა წყაროდან მონაცემთა საერთო პლატფორმაზე, სადაც მათი გამოყენება შესაძლებელია ანალიზისთვის, ვიზუალიზაციისთვის, გაფრთხილებისთვის. Microsoft Power BI და Amazon Kibana გარდაქმნის ჟურნალის მონაცემებს მდიდარ ვიზუალებად, აზიარებს ვებსა და მობილურ მოწყობილობებს. ჟურნალის მონაცემები შეიძლება გაანალიზდეს მოთხოვნით, შეგროვებული მონაცემების სწრაფად მოსაპოვებლად, კონსოლიდაციისა და ანალიზისთვის. Kusto მოთხოვნა, რომელიც არის მხოლოდ წაკითხვის მოთხოვნა, გამოყენებული იყო მონაცემების დასამუშავებლად და შედეგების დასაბრუნებლად. მოთხოვნა მითითებულია უბრალო ტექსტში, მონაცემთა ნაკადის მოდელის გამოყენებით. რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის შეგროვება მრავალი მონაცემთა წყაროდან მისცემს მანქანებს შესაძლებლობას იწინასწარმეტყველონ მომავალი პრობლემები ხელოვნური ინტელექტის (AI) და ავტომატიზაციის საშუალებით.

21. დღეისათვის IoT მოწყობილობები გვხვდება სხვადასხვა ინდუსტრიაში, როგორცაა განათლება, ჯანდაცვა, ტურიზმი, საცალო ვაჭრობა, წარმოება და ა.შ. IoT მოწყობილობები ისეთი აპარატურაა, როგორცაა სენსორები, გაჯეტები, ტექნიკა ან მანქანები. აღნიშნული მოწყობილობები გამოიყენება მონაცემთა შესაგროვებლად და გადასაცემად ინტერნეტით ან სხვა ქსელების მეშვეობით შემდგომი მონიტორინგისა და კონტროლის მიზნით. მათი კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, განსაკუთრებით მაშინ, თუ არ ვიცით ლოკალურ ქსელში რა ტიპის და რა რაოდენობის მოწყობილობებია განთავსებული. სტატიაში წარმოდგენილია და განხილულია ლოკალური ქსელის

სკანირების სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით არასტანდარტული პროტოკოლებისა და პორტების აღმოჩენის საშუალებები IoT მოწყობილობების სისტემებში, რაც შემდგომ ეტაპზე მათ კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფას განაპირობებს.

22. სტატიაში წარმოდგენილია 112-ში დამუშავებული აპლიკაცია. ამ აპლიკაციის ძირითადი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის იძლევა მიმდინარე მონაცემების ავტომატური განახლების შესაძლებლობას მონაცემთა ბაზაში. პროგრამა ყოველი იტერაციის შესრულებისას აღმოაჩენს, არსებობს თუ არა განახლებული მონაცემები და შესაბამის მონაცემებს აგზავნის Front end აპლიკაციასთან.

წარმოდგენილი ფუნქციონალი საშუალებას იძლევა სისტემაში მოხდეს რეალურ დროში მონაცემების განახლება. აღნიშნული აპლიკაცია ეფუძნება ASP.NET ბიბლიოთეკას და იყენებს არსებული მონაცემების გადაცემის ტექნოლოგიებს არჩეული ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით. აპლიკაცია იყენებს SignalR შეტყობინებების სისტემას, რომელსაც აქვს რეალურ დროში კომუნიკაციის შესაძლებლობა ფართო დიაპაზონის აპლიკაციებისათვის. აქედან გამომდინარე, დეველოპერებს აღარ დასჭირდებათ იფიქრონ ტრანსპორტირების მექანიზმზე და იმაზე, თუ რა ტექნოლოგია გამოიყენონ იმ შემთხვევაში, თუ მათ ინფრასტრუქტურას რომელიმე ტექნოლოგიის მხარდაჭერა არ აქვს.

აღნიშნული პროცედურის დანერგვამ სატელეფონო ცენტრში მკვეთრად შეამცირა მოთხოვნილი სტატისტიკის მიღებისათვის საჭირო დრო. ეს პროცედურები მონაცემების ნაკადის შემოსვლის პარალელურად ასრულებენ მონაცემთა გარდაქმნას და მათ შენახვას შემდგომი გამოყენებისათვის. ამიტომ სტატისტიკური მოთხოვნის მიღებისას საჭირო აღარაა პროცედურის ხელახლა შესრულება, რადგან მონაცემები უკვე შენახულია სასურველი ფორმით და მათი დამუშავება სწრაფად და მარტივად ხდება, რაც განაპირობებს ცენტრის ეფექტურ მუშაობას.

23. ერთ-ერთი გამოწვევა, რომელიც არსებობდა გადაუდებელი რეაგირების სამსახურის სატელეფონო ცენტრში, იყო სისტემაში შესული ნედლი მონაცემების მრავალჯერადი დამუშავების აუცილებლობა თითოეული ზარის შესახებ სტატისტიკურ მონაცემების მისაღებად. ეს კი განაპირობებდა აპარატული რესურსების ზედმეტ ხარჯვას.

წარმოდგენილ სტატიაში წარმოდგენილია მონაცემთა წინასწარი დამუშავების მეთოდი, რომელიც შემუშავებულ იქნა გადაუდებელი რეაგირების სამსახურის სატელეფონო ცენტრში ზემოთ აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად. გაანალიზებულია ამ მეთოდის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ასევე მოცემულია ელექტრონული სისტემის ერთ-ერთი ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლის – დამუშავების საშუალო დროის გამოსათვლელად საჭირო პარამეტრები. ნაშრომში წარმოდგენილია ზარების დამუშავების საშუალო დროის გამოთვლის მაგალითის შესაბამისი ცხრილი. სტატიაში აგრეთვე ნაჩვენებია სრული პერიოდის დამუშავების დროის გამოსათვლელი ფორმულა, რომელიც მხოლოდ მარტივი

ოპერაციების გამოყენებას ეფუძნება და არ მოითხოვს დიდ დროს და აპარატულ რესურსებს.

აღნიშნული პროცედურის დანერგვამ სატელეფონო ცენტრში მკვეთრად შეამცირა მოთხოვნილი სტატისტიკის მიღებისათვის საჭირო დრო. ეს პროცედურები მონაცემების ნაკადის შემოსვლის პარალელურად შეასრულებენ მონაცემთა გარდაქმნას და მათ შენახვას შემდგომი გამოყენებისათვის. ამიტომ სტატისტიკური მოთხოვნის მიღებისას საჭირო აღარაა პროცედურის ხელახლა შესრულება, რადგან მონაცემები უკვე შენახულია სასურველი ფორმით და მათი დამუშავება სწრაფად და მარტივად ხდება, რაც განაპირობებს ცენტრის ეფექტურ მუშაობას.

24. საქართველოში, Covid-19-ის პანდემიამ თითქმის ყველა ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე მოახდინა გავლენა. გადაუდებელი დახმარების ცენტრისათვის ეს გავლენა განსაკუთრებით დრამატული აღმოჩნდა, რადგან ვირუსის ნიშნების დაფიქსირებისას ადამიანები პირველად სწორედ ამ ცენტრს უკავშირდებიან.

მოცემულ სტატიაში განხილულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრში დამუშავებული Covid-19 შემთხვევების მონიტორინგის სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს რეალურ დროში. გაანალიზებულია ის გამოწვევები, რომლებიც მონიტორინგის სისტემას შეექმნა კორონავირუსის პანდემიის გამო. აღწერილია ამ გამოწვევების დასაძლევად შექმნილი აპლიკაცია, მისი ძირითადი კომპონენტები, კერძოდ, მისი Back-end მხარე. მოცემულია და აღწერილია Front-end აპლიკაციის არქიტექტურის დიაგრამა. ასევე განხილულია ახალი ფუნქციონალი, რომელიც მონაცემთა მონიტორინგის სისტემას დაემატა კოვიდ-გამოძახებების სტატისტიკური ანალიზისთვის და რომელიც გვიჩვენებს კორონავირუსთან დაკავშირებული ზარების სტატისტიკას რეგიონული და რაიონული კატეგორიზაციით. ასევე ნაჩვენებია ის პროგრამული ინსტრუმენტები, რომლებიც გამოყენებულია ახალი ფუნქციონალის ასაგებად.

25. სტატიაში განხილულია განათლების სფეროში საექსპერტო სისტემების შემუშავების და გამოყენების პრობლემები, აგრეთვე ამგვარი სისტემის გამოყენების კონკრეტული მაგალითები. სტატიის ავტორების მიერ შემოთავაზებულია არამკაფიო ლოგიკის აპარატის გამოყენების აუცილებლობა ქვესისტემის ინტელექტუალური შემუშავების და პროექტირებისათვის.

26. ინფორმატიკაში, ექსპერტული სისტემები განიხილება ცოდნის ბაზებთან ერთად. ცოდნის ბაზებში (ინგლ. Knowledge base) გაერთიანებულია ცოდნა რომელიმე დარგის შესახებ, ის შექმნილია ცოდნის დამუშავებისათვის. ცოდნის ბაზა შეიცავს სტრუქტურულ ინფორმაციას. მის საფუძველზე შეგვიძლია ჩამოვაცალიბოთ ახალი შეხედულებები და აზრები. მაგრამ ცოდნის ბაზები რომ შევქმნათ, ამისთვის აუცილებელია იყოს შექმნილი სრულყოფილი მონაცემთა ბაზები. ექსპერტული სისტემა, რომელსაც აწარმოებს პროგრამა, განხილვის პროცესში უნდა იყოს ღია და უზრუნველყოფდეს პრობლემის გადაწყვეტას,

ინფორმაციის შერჩევასა და ამოხსნას. ადამიანი - ექსპერტისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია განმარტებებს. მართლაც და, მცირეა მათი რიცხვი, ვინც იზიარებს სხვა ადამიანების რჩევებს, მითუმეტეს არგუმენტირებულ მანქანურ რჩევებს. როგორც ნებისმიერი პროგრამული საშუალებები, ასევე ექსპერტული სისტემები უნდა უზრუნველყოფდნენ პროტოტიპირების, ტესტირებისა და ცვლილებების სიმარტივეს. ინფორმატიკაში, ექსპერტული სისტემები განიხილება ცოდნის ბაზებთან ერთად. ცოდნის ბაზებში (ინგლ. Knowledge base) გაერთიანებულია ცოდნა რომელიმე დარგის შესახებ, ის შექმნილია ცოდნის დამუშავებისათვის. ცოდნის ბაზა შეიცავს სტრუქტურულ ინფორმაციას. მის საფუძველზე შეგვიძლია ჩამოვაცალიბოთ ახალი შეხედულებები და აზრები. მაგრამ ცოდნის ბაზები რომ შევქმნათ, ამისთვის აუცილებელია იყოს შექმნილი სრულყოფილი მონაცმთა ბაზები. ექსპერტული სისტემა, რომელსაც აწარმოებს პროგრამა, განხილვის პროცესში უნდა იყოს ღია და უზრუნველყოფდეს პრობლემის გადაწყვეტას, ინფორმაციის შერჩევასა და ამოხსნას. ადამიანი - ექსპერტისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია განმარტებებს. მართლაც და, მცირეა მათი რიცხვი, ვინც იზიარებს სხვა ადამიანების რჩევებს, მითუმეტეს არგუმენტირებულ მანქანურ რჩევებს. როგორც ნებისმიერი პროგრამული საშუალებები, ასევე ექსპერტული სისტემები უნდა უზრუნველყოფდნენ პროტოტიპირების, ტესტირებისა და ცვლილებების სიმარტივეს.

27. უახლოეს ტექნოლოგიებს ძალიან ბევრი დადებითი თვისება გააჩნიათ, მაგრამ რაც არ უნდა ვისაუბროთ მათ დადებით მხარეებზე, გვერდს ვერ ავუვლით იმ პრობლემებს, რომლებსაც მათი არსებობა და სიმრავლე იწვევს, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა (კორონა ვირუსის პანდემიამ) საგანმანათლებლო სისტემა ახალი გამოწვევის - დისტანციური-„ონლაინ“ სწავლების წინაშე დააყენა. სპეციალისტები ამბობენ, რომ მჯდომარე სამუშაოს ნეგატიური შედეგების შემცირება სამუშაო ადგილის სწორი ორგანიზებითაც არის შესაძლებელი...

ოფისში მომუშავეთა უმრავლესობას შრომა კომპიუტერთან უწევს, მასთან ურთიერთობის მოგვარებაში კომპიუტერული ჰიგიენა დაგეხმარებათ. განსაკუთრებით ფრთხილად უნდა ვიყოთ ბავშვებთან, ვაკონტროლოდ მათი გრაფიკი. ჩვენ უნდა ვისწავლოთ დროის კონტროლი, თუ რამდენი საათი დავუთმობთ დღეში ინტერნეტს და ვეძებოთ მხოლოდ აუცილებელი და მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

28. ინფორმაციული ტექნოლოგიები ინფორმაციის მოძიების, ცოდნის გაღრმავების, დაცვისა და გადაცემის ფასდაუდებელ რესურსს წარმოადგენენ.

ინტერნეტი, როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების ღია პოლიგონი და გლობალური ელექტრონული ქსელი ტექნიკური, სოციალური, ეკონომიკური და კომერციული ფენომენია. საზოგადოების კომპიუტერიზაცია და ინტერნეტიზაცია იქცა სტრატეგიულ რესურსად, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნების განვითარებას. ელექტრონული მმართველობა ეფუძნება ინფორმაციისა და კომუნიკაციათა

ტექნოლოგიების გამოყენებას ქვეყნის მართვის პროცესში. ის მოიცავს როგორც ადგილობრივ თვითმმართველობას, ასევე სახელმწიფო მმართველობას ეროვნულ დონეზე და უშუალოდ უკავშირდება სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინიციატივით და საქართველოს მთავრობის, მსოფლიო ბანკისა (WB) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) დაფინანსებით, 2019 წლიდან საქართველოს მუნიციპალიტეტებში ერთიანი ელექტრონული სერვისების დანერგვა დაიწყო. კახეთის რეგიონში 8 მუნიციპალიტეტში - ახმეტის, გურჯაანის, დედო-ფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის და ყვარლის მუნიციპალიტეტებში ელექტრონული მმართველობის ერთიანი სტანდარტის შექმნა „რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების“ პროექტის ფარგლებში ხორციელდება. მუნიციპალიტეტებში ერთიანი ელექტრონული სერვისების დანერგვის პროექტის განხორციელება ემსახურება საქართველოს მთავრობის ამოცანას შექმნას პირობები ქვეყნის რეგიონების თანაბარი განვითარებისათვის. პროექტი უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის ეფექტიანობის და გამჭვირვალების გაზრდას.

29. დასაბუთებულია ქვეყანაში თანამედროვე ინფორმაციული სისტემების დანერგვის აუცილებლობა, რაც განპირობებულია ამჟამად შემორჩენილი და გამოყენებული ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავების და ანალიზის მოძველებული პოსტსაბჭოური სისტემებით. მაგალითისათვის სტატიაში განხილულია ისეთი სისტემური პრობლემა, როგორცაა ქვეყნის ხორბლით უზრუნველყოფა და მისი რეალიზაციის თანამედროვე ინფორმაციული ალგორითმი. ამავდროულად სქემის სახით წარმოდგენილია სხვა დარგების სტრატეგიული უზრუნველყოფის ინფორმაციული პლატფორმა, რომელზედაც, მონაცემთა ბაზის შექმნის და რეალიზაციის საფუძველზე, უნდა აიგოს შესაძლების მიზნობრივი ალგორითმი.

30. უსაფრთხოებისა და საიმედოობის ფუნქცია ყოველთვის იყო მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორის მნიშვნელოვანი ნაწილი. როგორც მონაცემთა უსაფრთხოება და სანდოობა, ასევე მათი აღდგენა ორგანიზაციის უსაფრთხოების უპირველესი ამოცანაა. უფრო ხშირი ხდება უსაფრთხოების დარღვევის მცდელობები - გატეხეს მილიონობით მომხმარებლის პროფილი, საკრედიტო ბარათი და ელექტრონული ფოსტის მისამართი. ანგარიშში დეტალურად არის აღწერილი მონაცემთა ბაზის საიმედოობის ინჟინრის (DBRE) პრინციპები და მონაცემთა ბაზის უსაფრთხოებისა და საიმედოობის პარადიგმის ანალიზის დასაბუთებული დასკვნები, დაფუძნებული DBRE ოპერაციების უფრო დახვეწილ მიდგომებზე დაფუძნებული დახვეწილ მოდელებსა და ინოვაციურ პრინციპებზე.

მონაცემთა შიფრაციის მეთოდები ყოველთვის იყო მონაცემთა საცავების უსაფრთხოებისა და საიმედოობის გარანტი. სულ უფრო ხშირად ხორციელდება უსაფრთხოების დარღვევის მცდელობების ინციდენტები - მილიონობით



მომხმარებლის პროფილები, საკრედიტო ბარათები და ელექტრონული ფოსტის მისამართები კომპრომეტირებულია. მოხსენებაში მოცემულია პრაქტიკული რჩევები ორგანიზაციის ინფორმაციული სისტემის უფრო ეფექტური და საიმედო დაცვისათვის ძირეული სრულფასოვანი გამოკვლევები და ანალიზის შედეგად მიღებული არგუმენტირებული დასკვნები. ჯგუფური პროცესების, ერთობლივი კვლევებისა და ანალიტიკური დასკვნების საფუძველზე მოყვანილია სერვერის ტიპის მიხედვით შიფრაციის მეთოდოლოგიის შერჩევა როგორც მონაცემთა საცავე-ბისათვის, ასევე ფაილური სისტემებისათვის.

განხილულია საფუძვლიანი და ინოვაციური კვლევის შედეგები მონაცემთა ბაზის დაცვის სხვადასხვა დონის მახასიათებლების თავისებურებებზე. მოცემულია პრაქტიკული რჩევები ორგანიზაციის ინფორმაციული სისტემის უფრო ეფექტური და საიმედო დაცვისათვის. დადასტურებულია, რომ მონაცემთა ბაზების ადმინისტრატორი უბრალოდ ვეღარ შეძლებს ეფექტურად იმუშაოს მაღალსიჩქარიან დინამიურ გარემოში, რომელიც მოითხოვს DBRE მენტალიტეტს და, უფრო მეტიც, DBRE-მ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს ორგანიზაციის სხვადასხვა სტრუქტურებთან და ჯგუფებთან, როგორცაა Ops, InfoSec, დეველოპერები და სხვები, რომელთანაც განხორციელებული ჯგუფური პროცესები, ერთობლივი კვლევები და ანალიტიკური დასკვნები მოუტანს ორგანიზაციის კეთილდღეობას მხოლოდ სარგებელს. ასევე აღინიშნა, რომ საფრთხეების მოდელირებისას, მათი კლასიფიკაცია და პრიორიტეტი უნდა იყოს არსებული სტრუქტურირებული მიდგომების შესაბამისად, რისთვისაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს Microsoft-ის პროდუქტები: STRIDE (მოწყვლადობებისა და საფრთხეების კლასიფიკაციისათვის) და DREAD (პრიორიტეტების მინიჭებისათვის).

განხილულია თეორიული ცოდნის საფუძველზე შექმნილი მონაცემთა შიფრაციის სხვადასხვა მეთოდების პრაქტიკული კვლევების ღრმა და საფუძვლიანი ანალიზის შედეგებით მიღებული მეთოდოლოგიები. მოცემულია პრაქტიკული რჩევები ორგანიზაციის ინფორმაციული სისტემის უფრო ეფექტური და საიმედო დაცვისათვის. დადასტურებულია, რომ რა შიფრაციაც არ უნდა იქნეს გამოყენებული, მაინც ორიენტირება უნდა იქნეს აღებული საბაზისო სტანდარტებზე. ასევე ჯგუფური პროცესების, ერთობლივი კვლევებისა და ანალიტიკური დასკვნების საფუძველზე მოყვანილია სერვერის ტიპის მიხედვით, თუ რომელი შიფრაციის მეთოდოლოგია არის უკეთესი ორგანიზაციის მონაცემთა უსაფრთხოებისათვის. ასევე აღინიშნა, რომ საფრთხეების ასაცილებლად მონაცემთა შიფრაციის გარდა აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ფაილური სისტემაც, რომელშიც ინახება ჟურნალები, მონაცემთა ბაზების ფაილები და სარეზერვო ასლები.

35. ანოტაცია: გამოკვლეულია ორი სტოქასტური მოდელი წინა სტატიაში შემოთავაზებული მეთოდის გამოყენებით. ნაჩვენებია აღნიშნული მეთოდის მრავალნაირი უპირატესობა აქამდე არსებულ მეთოდებთან შედარებით

36. თანამედროვე პედაგოგიკაში საგნობრივ სისტემურ სწავლებასთან ერთად გამოიყენება ე.წ. პროექტიული განათლება, ე.ი. მუშაობა პროექტზე. ამ ტექნოლოგიის პოპულარობა და მისი პერსპექტივები აიხსნება იმით, რომ პროექტთან მუშაობა უშუალოდ დაკავშირებულია გარკვეული დისციპლინური ცოდნის დაუფლების პროცესთან და მის რეალურ გამოყენებასთან. ამასთან ერთად პროექტში მონაწილეთა, საქმიანობა ორიენტირებულია არა ფაქტობრივი ცოდნის ინტეგრაციაზე, არამედ მათ პრაქტიკულ გამოყენებასა და ახლის შექმნაზე. ეს არის მისი აშკარა განსხვავება სტანდარტული სწავლებიდან. ცოდნა ხდება არა მიზნობრივი, არამედ ხდება კულტურული აზროვნების პროდუქტიული დაუფლების საშუალება, რომელიც ფორმირებას უკეთებს ინდივიდუალური აზროვნების სტრატეგიებს. პროექტზე მუშაობისას მონაწილეები უფრო უღრმავდებიან ცოდნის როლის მნიშვნელობას ცხოვრებაში და სწავლაში. კომპლექსური და ინტეგრაციული ხასიათის მქონე პროექტებთან მუშაობისას სტუდენტებს ეძლევათ საშუალება მოიძიონ საჭირო ინფორმაცია და შეიძინონ ცოდნა სხვადასხვა მონაცემთა ბაზებიდან, რომ შექმნან საკუთარი უნიკალური სურათი სამყაროს შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო პროცესში ათვისებული ცოდნა, უნარ-ჩვევები და შესაძლებლობები აღარ არის "არავის", "გაფანტული", ისინი ორგანულად ენიჭება სტუდენტებს. [1 : 124]. ამრიგად, პროექტზე ორიენტირებულ სწავლებაში სასწავლო პროცესი აგებულია არა სასწავლო საგნის ლოგიკაში, არამედ ქმედებების ლოგიკაში, რომელსაც პროექტში მონაწილეთათვის პირადი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე ზრდის მათ მოტივაციას და საგნის ცოდნის დაუფლების პროცესს აქცევს მნიშვნელოვნად.

37. დღესდღეობით დისტანციური განათლება ყველაზე პოპულარული სწავლების მეთოდია. ხელმისაწვდომობის, მოქნილობისა და მრავალფეროვანი ფორმების გამო, აღნიშნული სწავლების მეთოდი აპრობირებულია თითქმის ყველა ქვეყანაში. ელექტრონული და დისტანციური სწავლების ტექნოლოგიების გამოყენება პრაქტიკული ხდება საქართველოშიც. წარმოდგენილი სტატია ეძღვნება 21 - ე საუკუნის საკმაოდ აქტუალურ თემას - დისტანციურ განათლებას. სტატიის ანალიზის საგანიც დისტანციური განათლებაა. აღსანიშნავია, რომ სპეციალისტები, რომლებიც აქტიურად იყენებენ კომპიუტერული ტექნოლოგიებს დისტანციური განათლების ორგანიზებაში, ხშირად აქვთ გაურკვეველი წარმოდგენა საგანმანათლებლო საქმიანობის დისტანციური ფორმის პრეისტორიაზე. აღნიშნულ სტატიაში ასევე განხილულია დისტანციური სწავლების შედარებითი ანალიზი სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე. ბოლო წლებში, მთელ მსოფლიოში თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენება პოპულარული გახდა განათლების პროცესში. აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო საგანმანათლებლო ტექნოლოგიები სულ უფრო და უფრო ინტენსიურად განვითარდა და უფრო აქტიურად გამოიყენება მსოფლიოს მრავალი ქვეყანის საგანმანათლებლო პროცესში, ტრადიციულ განათლებასთან ერთად. სტატიაში ჩვენ განვიხილავთ დისტანციური სწავლების როგორც დანერგვას, ისე გამოყენებას სხვადასხვა ქვეყანების საგანმანათლებლო დაწესებულებებში,

რომელიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურ წარმართვასა და სასწავლო პროცესში ჩართულ მსურველთა ცოდნის არეალის გააფართოვებას. აღნიშნული თემის არჩევა განპირობებულია დისტანციური სწავლების, როგორც განათლების მიღების ინოვაციური ფორმის აქტუალურობის სხვადასხვა თვალსაზრისით და ასევე დისტანციური სწავლების წარმართვის განსხვავებული ფორმის შესწავლის აუცილებლობით. ზემოთაღნიშნულმა ავტორებმა წარმოვადგინეთ დისტანციური სწავლების გამოყენების ანალიზი სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე. კვლევის თეორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მიღებულმა მონაცემებმა ხელი უნდა შეუწყოს დისტანციური სწავლების სიღრმისეულ შესწავლას. თუ ჩვენ ყურადღებით დავაკვირდებით დისტანციური სწავლების ფორმირებისა და განვითარების პროცესს, მაშინ შეგვიძლია გამოვყოთ მთელი რიგი თავისებურებები, რომლებიც ახასიათებს სწავლების აღნიშნულ ფორმას. აღნიშნულ „თავისებურებებად“ შეიძლება მივიჩნიოთ საჭიროების შემთხვევაში ელექტრონული დოკუმენტაციის ბრუნვა, რადიო და ტელევიზიის გამოყენებით სასწავლო პროცესის წარმართვა და სხვადასხვა დისციპლინების შესწავლა.

38. კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის ფორსმაჟორულ პირობებში, აუცილებელი გახდა საგანმანათლებლო სისტემის დროებით სრული გადასვლა ონლაინ-სწავლებაზე. ქვეყანაში დისტანციური განათლების სისტემის ოპერატიულიდანერგვა დაკავშირებულია, როგორც მასში მონაწილე ადამიანთა უნარ-ჩვევების ადაპტაციასთან, ისე სისტემურ ცვლილებებთან. ელექტრონული სწავლების ტრადიციული სისტემები ვეღარ უმკლავდება ინფორმაციულ რესურსებზე და ტექნოლოგიებზე წვდომის გაზრდილ მოთხოვნილებას. ამდენად, დღის წესრიგში დგება უფრო თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების მიზანშეწონილობა, კერძოდ, მონაცემთა ბაზებისა და დიდი მონაცემების სისტემების ინტეგრირების საკითხი. ნაშრომში განხილულია სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული მონაცემების ორმხრივი კონვერტირების პრობლემა და მისი გადაწყვეტა Hadoop-ის ეკოსისტემის კომპონენტებისა და რელაციური მონაცემთა ბაზების ინტეგრირებული გამოყენებით. წარმოდგენილია Apache Sqoop ინსტრუმენტის შესაძლებლობები აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად. შემუშავებულია ოთხი დონისგან შედგენილი ონლაინ სწავლების სისტემა, რომელშიც კლასიკურისგან განსხვავებით ინტეგრირებულია დიდი მონაცემები და ღრუბლოვანი გამოთვლები. წარმოდგენილია ონლაინ სისტემაში დიდი მონაცემების დამუშავების პროცესის ძირითადი ეტაპები, ასევე მონაცემთა მასივებთან მუშაობის მეთოდოლოგია.

39. COVID-19 პანდემიამ მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიო ადამიანის ცხოვრების მრავალ ასპექტში და შექმნა სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. პანდემიის პირობებით გამოწვეული კრიზისების მენეჯმენტში მნიშვნელოვანი ფუნქცია შეიძინა ტელეკომუნიკაციურმა და ანალიტიკურმა სისტემებმა. ეპიდემიის აფეთქებიდან რამდენიმე თვის განმავლობაში ჩატარებულმა კვლევითმა სამუშაოებმა ცხადყო, რომ დიდი მონაცემების

ანალიტიკის მეთოდებს, როგორცაა ღრმა ანალიზი (ე.წ. ღრმა ბოლცმანის მანქანა, ფარული მარკოვის მოდელი, ღრმა ნეირონული ქსელი), ასევე პარალელურ გამოთვლებს შეუძლია მნიშვნელოვანი როლის შესრულება COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში. ნაშრომში განხილულია COVID-19 ძირითადი სიმპტომების სტატისტიკური მონაცემების ანალიზის, კლასიფიკაციისა და კლასტერიზაციის ალგორითმების, მანქანური სწავლებისა და ღრმა სწავლების თანამედროვე მიდგომების გამოყენების შესაძლებლობების განსაზღვრა დაავადების ადრეული დიაგნოსტიკისა და პროგნოზირების თვალსაზრისით.

40. კორპორატიული უსაფრთხოების ხარისხი დამოკიდებულია ქსელის უსაფრთხოებაზე, რომელიც ერთ-ერთი სასიცოცხლო აქტივია კორპორაციების უმეტესობაში და კარგად უნდა იყოს დაცული ინფორმაციული უსაფრთხოების ეფექტური პრაქტიკით. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ კორპორატიული უსაფრთხოების ზოგიერთ გამოწვევაზე, განსაკუთრებით იერარქიული კლასტერიზაციის პრობლემაზე, როგორც ქსელის ანომალიების გამოვლენის პრობლემასა და შესაძლებლობებზე. K-means ალგორითმი, რომელიც შერწყმულია კლასტერიზაციის გენეტიკურ ალგორითმთან, აქვს კლასტერიზაციის მაღალი შესრულების ხარისხი, პროცესის კონვერგენციის მინიმალური დროით. ჩვენ განვიხილავთ ენტროპიას, როგორც ჩვენი კლასტერიზაციის შეფასების მეტრიკას. ვინაიდან მოწყობილობების, აპლიკაციებისა და მომხმარებლების მონაცემები ძალიან დიდია, დიდი მონაცემთა ტექნოლოგიები იძლევა დიდი სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული მონაცემთა ნაკრების შენახვისა და ანალიტიკური დამუშავების შესაძლებლობებს. ჩვენი მიდგომა ეფუძნება უხეშ იდეას, რომ ქსელის ზედამხედველობის ძირითადი მონაცემთა წყარო ანომალიების გამოვლენის მიზნით არის მთელი კორპორაციის ტრანზაქციის ჟურნალები. ტრანზაქციის ჟურნალებში მუდმივად დაფიქსირებული მოვლენების მონაცემთა ფაილური ნაკადი არის არასტრუქტურირებული დიდი მონაცემები, რომლებიც საჭიროებენ პარალელურ შენახვას და ანალიტიკურ დამუშავებას Hadoop Mapreduce ჩარჩოს გამოყენებით. საბოლოო შედეგს ჩვენ ვიღებთ ქსელის ანომალიების გამოვლენილ სიას შემდგომი გადაწყვეტილების მისაღებად.

## 6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

### 6.1. მონოგრაფიები/წიგნები

#### 1) ავტორი/ავტორები

- 1.
- 2.

#### 2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

- 1.
- 2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

- 1.
- 2.

4) გვერდების რაოდენობა

- 1.
- 2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

6.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

- 1.
- 2.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

- 1.
- 2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

- 1.
- 2.

4) გვერდების რაოდენობა

- 1.
- 2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

6.3. კრებულები

1) ავტორები

- 1.
- 2.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

- 1.
- 2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

- 1.
- 2.

4) გვერდების რაოდენობა

- 1.
- 2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

**6.4. სტატიები**

**1) ავტორი/ავტორები**

1. Zurab Bosikashvili Lolita Bejanishvili
2. გიორგი კუჭავა მაკა მანწკავა, ნანა მომცელიძე
3. გიორგი კუჭავა, მაკა მანწკავა
4. გიორგი კუჭავა, მაკა მანწკავა

**2) თეზისების სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN**

1. „Person Identification Methods in a Multi-Source Analytic System“
2. Description of Similar and Non-Similar Rheological Properties during So-Called “Covid Toes” and Raynaud’s Phenomenon and Explanation with Mathematical Estimation of Comparison (DOI:<https://doi.org/10.52305/RWGS9477>)
3. Automation of Making Marketing Decisions, ISSN: 2307-4531 (Print & Online)
4. Brain blood flow control with artificial intelligence, ISSN 1313-2458

**3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი**

1. Editorial board of International Electronic Scientific and Practical Journal «wayscience», Ways of science development in modern crisis conditions, ISSN 2664-4819,
2. Systemic, Cellular And Molecular Mechanism Of Physiological Functions And Their Disorders (ISBN: 978-1-68507-135-6)
3. International Journal of Formal Sciences: Current and Future Research Trends
4. Series on Biomechanics, Vol.35 No.2 (2021)

**4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა**

1. Dnipro, Ukraine, 2021
2. New York, USA; Nova Science Publishers, Inc.
3. Jordan, International Scientific Research and Researchers Association (ISRRA)
4. . Sofia, Bulgaria, Series on Biomechanics

5) გვერდების რაოდენობა

1. 3 გვერდი
2. 12 გვერდი
3. 6 გვერდი
4. 5 გვერდი

*გრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში მწვავედ დგას მიგრაციული და ემიგრაციული ნაკადების ანალიზის და მართვის პრობლემები. როგორც წესი ქვეყნებში მიგრაციული და ემიგრაციული ნაკადების მონაცემთა წყაროებს წარმოადგენენ სხვადასხვა უწყებები, რომლების უმეტეს შემთხვევაში დამოუკიდებლად, არა კორდინირებულად ქმნიან ამ წყაროებს და სუსტად აზიარებენ მონაცემებს ურთიერთ შორის და არ არსებობენ ერთიანი ანალიტიკური სისტემები. ამასთან მონაცემები რომლებიც მიგრაციულ და ემიგრაციულ ნაკადებთან არის დაკავშირებული მრავალფეროვანია და დიდი ზომის, ე.ი. საქმე გვაქვს დიდი მონაცემების ანალიტიკური სისტემების შექმნასთან.

ასეთი ანალიტიკური სისტემების ძირითად და პრობლემურ ამოცანებს წარმოადგენენ პერსონების იდენტიფიკაციის და დეპერსონალიზაციის ამოცანები, რადგანაც პერსონის იდენტობის ინფორმაცია სხვადასხვა წყაროში სხვადასხვა სახით შეიძლება ინახებოდეს, იდენტიფიკაციისთვის იყენებდნენ სხვადასხვა ტიპის დოკუმენტებს და მონაცემები შეიძლება იყოს დამახინჯებული.

ნაშრომში, ზემოთ წარმოდგენილი ამოცენების გადასაჭრელად, შემოთავაზებულია შემდეგი ახლებური მიდგომა, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- მონაცემების ტრანსფორმაცია;
  - ცნობარების უნიფიკაცია;
  - პიროვნების იდენტობის ტექსტური მონაცემების ერთი ლათინური კოდირებით წარმოდგენა ;
- პიროვნების და ენტიტიების იდენტიფიკაცია ზუსტი და მოქნილი ძებნის და თვითსწავლების მექანიზმებით;
- პერსონების და ენტიტიების რეიდენტიფიკაცია;
- პერსონების და ენტიტიების დეპერსონალიზაცია;

2. ახალი კორონავირუსის გავრცელების პერიოდმა ახალი კვლევების ერა გახსნა ბიომედიცინის სფეროში. გართულებების შედარებით მცირე პროცენტი დაფიქსირდა სახელწოდებით "COVID-ის თითების" გარშემო. ეს არის რთული დაავადება, რომელიც გარკვეულწილად მსგავსია რეინოს ფენომენის დიაგნოზის, რომელიც ვითარდება ფეხის თითებზე. ჩვენი ამოცანა იყო დაგვეფიქსირებინა განსხვავებები და მსგავსება ორ დიაგნოზს შორის. რაც დაეფუძნა კლინიკურ მონაცემებს, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი დაკვირვების მიხედვით რეოლოგიური

ცვლილებები დაფიქსირდა ორივე ჯგუფში. თუმცა, რეინოს ფენომენის მქონე პაციენტებში, რეოლოგიური ცვლილებები არ იყო დაკავშირებული ერთორთოციტების აგრეგაციის ზრდასთან, რომ გავხადოთ სურათი უფრო ნათელი, ჩვენ გამოვიყენეთ ერთგანზომილებიანი ქსელის დინამიური მოდელები. ამ მოდელების მიხედვით, სისხლის ნაკადი განიხილება, როგორც ბლანტი შეკუმშვადი სითხის ნაკადი, რაც წარმოადგენს ელასტიური მილების ქსელი. ნავიერ-სტოქსის განტოლებების მიხედვით, პულსაციის დროს ნაკადის სიჩქარე წარმოადგენს პარაბოლურ პროფილს. ჩვენ ეს მოდელი ინდივიდუალურად შევქმენით.

3.სტატიაში განხილულია კომპლექსური მარკეტინგული ანალიზის გამოყენება ორგანიზაციის გაყიდვების მოცულობის პროგნოზირებისთვის, რათა დაიგეგმოს ხარჯების ოპტიმალური რაოდენობა და შეფასდეს მარკეტინგული გადაწყვეტილებების მიღების რისკები. მოცემული მეთოდი არ არის ინდიკატორის ჩვეულებრივი პროგნოზირება და ითვალისწინებს მრავალ სხვადასხვა საბაზრო ფაქტორს. მეთოდის შესამუშევრებლად გამოყენებული იქნა Ms Excel პაკეტი.

4.თავის ტვინში სისხლის მიმოქცევა რეგულირდება ნეირონებით. ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ აკონტროლებენ ეს უჯრედები სისხლის ნაკადს, გადამწყვეტია იმის გასაგებად, თუ როგორ გამოსწორდეს მხედველობის დაავადებები და ნევროლოგიური დარღვევები. ახლა უკვე აღიარებულია, რომ ხელოვნური ინტელექტის ელექტრო პროცესორის იმპლანტაცია თავის ქალაზე გადამწყვეტ როლს ასრულებს თავის ტვინის სისხლის ნაკადის რეგულირებაში სისხლის უჯრედებზე ელექტრო სტიმულაციის გზით. ადამიანისა და ხელოვნური ინტელექტის ჰიბრიდის შექმნის შემდეგ, ტვინის ნერვული ქსელის მუშაობა არ იქნება დამოკიდებული ადამიანის ავტონომიური ოპერაციული სისტემის კონტროლზე, არამედ იქნება ხელოვნური ინტელექტის ოპერაციული სისტემის კონტროლის ქვეშ, რაც გამორიცხავს ტვინის დაავადების კომპლექსს, როგორცაა ალცჰეიმერის სინდრომი. ხელოვნური ინტელექტის ოპერაციული სისტემის გაგებაში ამ კონცეპტუალურ ცვლილებებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ახალი თერაპიული მიდგომების შემუშავებაზე.

“ორგანო-ჩიპზე” გაჩენის შემდეგ, ბევრი მკვლევარი ცდილობდა ადამიანის ქსოვილის ფიზიოლოგიის მიბაძვას ინჟინერულ პლატფორმაზე. ტვინის ქსოვილის შემთხვევაში, სტრუქტურული კავშირები და უჯრედ-უჯრედული ურთიერთქმედება მნიშვნელოვანი ფაქტორებია ტვინის ფუნქციონირებისთვის. “ტვინის ჩიპზე” ბოლოდროინდელი განვითარება არის ტვინის ქსოვილის იმ სტრუქტურული და ფუნქციური ასპექტების მიბაძვის მცდელობა მინიატურული ინჟინერიული პლატფორმის ფარგლებში. ამ პერსპექტივიდან, ჩვენ გთავაზობთ მიმოხილვას თემაზე თუ როგორ შეიძლება ჩაშენდეს ჩიპი ტვინში და განვითარდეს ეს პროცესი.



## **7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა**

### **7.1. საქართველოში**

#### **1) მომხსენებელი/მომხსენებლები**

1. D. Darchiashvili, A. Kobiashvili
2. გიორგი კუჭავა
3. ლ. გოჩიტაშვილი, მ. შიუკაშვილი, ი. აფციაური
4. ლ. გოჩიტაშვილი, თ. დვალი
5. ხ. ბარდაველიძე, ქ. კვესელავა, ლ. თედემვილი

#### **2) მოხსენების სათაური**

1. COVID-19 Case Monitoring System at the Public Safety Management Center. ISSN 0135-0765
2. From Human Intelligence To Artificial Intelligence
3. კომპიუტერი და ცხოვრების ჯანსაღი წესი.
4. ელექტრონული მმართველობის ერთიანი სტანდარტის შექმნა და დანერგვა კახეთის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის
5. „კრიტიკული ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ობიექტების კიბერუსაფრთხოების ანალიზი“

#### **3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

1. International Scientific-Technical Conference “Information Society and Technologies for Intensification of Education” at GTU, Tbilisi, 2021
2. 2021-07-18/Batumi, Georgia
3. ქ. თბილისი, საერთაშორისო სამეცნიერო ონლაინ კონფერენცია „მეცნიერება, განათლება, ინოვაცია: აქტუალური საკითხები და თანამედროვე ასპექტები“, 2021 წ.
4. ქ. ქუთაისი, ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა XIII საერთაშორისო სამეცნიერო ონლაინ კონფერენცია, 2021 წ.
5. მეათე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და კავკასია“, სტუ, თბ., 2021 წ.

### **7.2. უცხოეთში**

#### **1) მომხსენებელი/მომხსენებლები**

1. Zurab Bosikashvili, Lolita Bejanishvili
2. ზ. გასიტაშვილი, ზ. მოდებაძე, დ.საცერაძე
3. T. Bakhtadze

2) მოხსენების სათაური

1. „Person Identification Methods in a Multi-Source Analytic System“
2. ПРИМЕНЕНИЕ НОВЫХ ТЕХНОЛОГИЙ ВИРТУАЛИЗАЦИИ В УЧЕБНОМ ПРОЦЕССЕ
3. The Concept of Meta-Teaching. Electronic ISBN 978-1-63972-062-0, DOI 10.46299/ISG.2021.II.II

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 3rd International Scientific and Practical Internet Conference, 11-12 august 2021 – Dnipro, Ukraine
2. Proceedings of the 9th International Conference "Distributed Computing and Grid Technologies in Science and Education", (GRID'2021), Dubna, Russia, July 5-9, 2021
3. The II International Science Conference «Trends in the scientific development», September 28 – October 01, 2021, Vancouver, Canada

**ინტერდისციპლინური ინფორმატიკის დეპარტამენტი**  
**ანგარიშის ფორმა №2**

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

**ინტერდისციპლინური ინფორმატიკის დეპარტამენტი**, ხელმძღვანელი პროფ. მერაბ ახოზაძე

1	ხუციშვილი	ოლღა	პროფესორი
2	ხომერიკი	ირინე	პროფესორი
3	ახოზაძე	მერაბ	პროფესორი
4	კურცხალია	ელგუჯა	პროფესორი
5	წვერაიძე	ზურაბ	პროფესორი
გარდა ამისა, სამედიცინო ნივთების ინტერნეტი ეხება ჯანმრთელობის უამრავ მდგომარეობას, როგორცაა სასიცოცხლო ბიოფიზიკური პარამეტრების ზედამხედველობა, დიაბეტი და სამედიცინო გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერის მეთოდები.

## 7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

### 7.1. საქართველოში

#### 1) მომხსენებელი/მომხსენებლები

- 1.
- 2.

#### 2) მოხსენების სათაური

- 1.
- 2.

#### 3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

- 1.
- 2.

*მომხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*

### 7.2. უცხოეთში

#### 1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. Mariam Chkhaidze, Teona Gogidze
- 2.

#### 2) მოხსენების სათაური

1. ARTIFICIAL INTELLIGENCE ALGORITHM IN BANKING
- 2.

#### 3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. International Antalya Scientific Research and Innovative Studies Congress 18-21 December 2021
- 2.

*მომხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

## ციფრული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

ანგარიშის ფორმა №2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება ციფრული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, ქურდაძე მარინა, დეპარტამენტის ხელმძღვანელი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

1	ქურდაძე მარინა		პროფესორი
2	მურჯიკნელი გივი		პროფესორი
3	ბერიაშვილი დავითი		პროფესორი
4	დობორჯგინიძე დევი		პროფესორი
5	ნანობაშვილი ვიქტორ		პროფესორი
6	ფერაძე ლიანა		პროფესორი
7	ზუმბურიძე ოთარი		პროფესორი
8	შამანაძე ომარი		პროფესორი
9	შავგულიძე სერგო		პროფესორი
10	ხუციშვილი სულხანი		პროფესორი
11	ხუნწარია ჯანიკო		პროფესორი
12	ზურაბიშვილი ვანო		ასოც. პროფესორი
13	აბზიანიძე ეკატერინე		ასოც. პროფესორი
14	ხახუტაშვილი ელისაბედი		ასოც. პროფესორი
15	ყურაშვილი იზოლდა		ასოც. პროფესორი

16	მოდებაძე იური		ასოც. პროფესორი
17	ჩხაიძე მამუკა		ასოც. პროფესორი
18	გოგბერაშვილი მანანა		ასოც. პროფესორი
19	ჭოხონელიძე მიხეილი		ასოც. პროფესორი
20	ჯღამაძე მიხეილი		ასოც. პროფესორი
21	აბზიანიძე ნიკოლოზი		ასოც. პროფესორი
22	დარასელია ნონა		ასოც. პროფესორი
23	მახარაძე სალომე		ასოც. პროფესორი
24	ბურკაძე ტატიანა		ასოც. პროფესორი
25	კვიციანი შალვა		ასოც. პროფესორი
26	გოგილაშვილი ზურაბი		ასის. პროფესორი
27	ქევანიშვილი ირმა		ასის. პროფესორი
28	ჯორბენაძე მამუკა		ასის. პროფესორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1. სხვადასხვა ტიპის ფილტრების მოდელირების პროგრამული ინსტრუმენტების შედარებითი ანალიზი.

1.2. კვლევები სანიტარული პასპორტებისა და სანიტარული პროექტების შემუშავების მიზნით

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. ტელეკომუნიკაცია

2. რადიოსატელეკომუნიკაციო სისტემების მოდელირება

3. ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები

4. რადიოტექნიკა და მაუწყებლობა

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2021 წ. დაწყ

2. 2023 წ. დამთ

3. 2020 წ. დაწყ

4. 2021 წ. დამთ

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ფერაძე ლიანა, სტუ, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი, ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

2. ბერიაშვილი დავით, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი, ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

3. ვანო ზურაბიშვილი **ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი**, ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი
4. თეიმურაზ სვანიძე. ტექნიკური ექსპლოატაციის სამსახურის უფროსი

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. 2021 წ. შესრულდა არსებული ლიტერატურის ანალიზი, განხილულია ფილტრაციის მეთოდები Simulink სისტემის Simulink და Communication Blockset განყოფილებებში, Signal Processing Toolbox პაკეტის ფუნქციებით და ამავე პაკეტის GUI-ს ფილტრების დამპროექტებელი/ანალიზატორის fdatool ინსტრუმენტებით. მომავალ წელს ვაპირებთ Signal Processing Blockset-ში და Filter Design პაკეტებში არსებული ფილტრაციის მეთოდების ანალიზის გაკეთებას.

2. შ.პ.ს. „საქართველოს ტელერადიოცენტრთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ელექტრომაგნიტური უსაფრთხოების მიმართულებით შესრულებულია კვლევები სანიტარული პასპორტებისა და სანიტარული პროექტების შემუშავების მიზნით. 2020 – 2021 წ.წ. პერიოდში, თბილისის სხვადასხვა ზონებისა და ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონისთვის შემუშავებულია შემდეგი პროექტები: 7 სანიტარული პროექტი და 5 სანიტარული პასპორტი.

პროექტების შემუშავებაში ჩართულია შ.პ.ს. „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ სპეციალური ლაბორატორია ელექტრომაგნიტური ველის ინტენსივობის პრაქტიკული გაზომვების ჩასატარებლად, ხელმძღვანელი: ტექნიკური ექსპლოატაციის სამსახურის უფროსი თეიმურაზ სვანიძე.

**ელექტრომაგნიტური უსაფრთხოების მიმართულებით** მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები შეზღუდვის ზონების მოდელირების მეთოდებისა და სიტუაციური რუკების შემუშავების მიმართულებით. ამ სამუშაოებში ჩართულია მაგისტრანტი ნინო კემულარია.

**მაგისტრანტთან** ერთად მზადდება სამეცნიერო სტატია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე შეზღუდვის ზონების მოდელირებაზე.

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

- 1.
- 2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

- 1.
- 2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

- 1.
- 2.

**დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. რეალიზაციის დაბალი სირთულის მქონე სპეტრალურად და ენერგეტიკულად ეფექტური კოდირებული მოდულაციის სისტემების შემუშავება მოწყობილობებს შორის კავშირისათვის მრავალანტენიანი ტექნოლოგიების გამოყენებით

მეცნიერების დარგი - ინჟინერია და ტექნოლოგიები

სამეცნიერო მიმართულება - ელექტროინჟინერია, ელექტრონული ინჟინერია, საინფორმაციო ტექნოლოგიები

პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი - FR 19-105

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 26.02.2020 დაწყ-26.02.2023 დამთ

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. სერგო შავგულიძე - პროექტის ხელმძღვანელი

2. ნოდარ უღრელიძე - პროექტის კოორდინატორი

3. თეიმურაზ მთვრალაშვილი - ლაბორანტი

4. მამუკა ჩხაიძე - ლაბორანტი

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

წარმოდგენილია ახალი კოდირებული მოდულაციის სისტემები და მათი მოდელირების შედეგები კავშირის რეალურ არხებში. ევკლიდურ სივრცეში აგებულია ახალი ოთხგანზომილებიანი სიგნალური კონსტელაციები. მოცემულია ასეთი სიგნალების აღწერა და გამოყვანილია მინიმალური ევკლიდური მანძილის კვადრატის  $d_{\min}^2$  გამოსათვლელი ფორმულები. კონკრეტული საკომუნიკაციო სისტემისათვის შემუშავებულია დეტექტირების სქემა, რომელიც ლიტერატურაში ამორჩევითი კომბინირების სქემის სახელითაა ცნობილი. განხილულია შემთხვევა, როდესაც ფედინგი არის ნელი და სიხშირულად არასელექციური. ანტენათა მიმორიგების შემდგომი სიგნალების კომბინირება განხორციელებულია ამორჩევითი სქემით. კომპიუტერული სიმულაციის საფუძველზე შეფასებულია

ოთხგანზომილებიანი სიგნალების ბაზაზე აგებულ სისტემათა მახასიათებლები. შემუშავებულია ოთხგანზომილებიანი სიგნალთა კონსტელაციები, რომლებიც დაფუძნებულია ჰურვიცის მთელ რიცხვებზე, მათი ჩადებულ ქვესისტემებად დანაწევრების მეთოდები, შემუშავებულია მათი დეტექტირების ალგორითმი და ისინი გამოყენებულია მრავალდონიანი კოდირების სქემებში. შედარებულია ოთხგანზომილებიანი 2FSK-MPSK და ორგანზომილებიანი MPSK სიგნალების მახასიათებლები.

## 2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

*დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1.

2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*



### 3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

- 1.
- 2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

- 1.
- 2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

- 1.
- 2.

*დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

### 4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

1) საპატენტო თემატიკის სათაური

- 1.
- 2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები

- 1.
- 2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

- 1.
- 2.

4.2. ეროვნული პატენტები

1) საპატენტო თემატიკის სათაური

- 1.
- 2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები

- 1.
- 2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

- 1.

2.

5. ბექდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები

1. სერგო შავგულიძე, ნოდარ უღრელიძე

2. სერგო შავგულიძე, ნოდარ უღრელიძე

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. მეექვსე თაობის (6G) უსადენო საკომუნიკაციო ქსელები და სისტემები ISBN 978-9941-9746-1-8

2. Wi-Fi: თანამედროვე სტანდარტები და განვითარების პერსპექტივები

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, კავკასიის უნივერსიტეტი

2. თბილისი, კომუნიკაციების კომისია

4) გვერდების რაოდენობა

1. 224 გვ.

2. 160 გვ.

### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1. წიგნი განსაზღვრავს 6G-ს კუთხით თანამედროვე ხედვას და განიხილავს მასთან დაკავშირებულ ისეთ საკვანძო კვლევით მიმართულებებს, როგორებიცაა გამოყენებების შემთხვევები და ტექნოლოგიები, საკომუნიკაციო ლინკის ბიუჯეტის ანალიზი, სტანდარტიზაციის პირველი ცდები სუბტერაპერცული სიხშირული დიაპაზონისათვის, გამჭოლი სრული სტეკის ქსელების დანერგვის პერსპექტივები, არხის შესახებ ინფორმაციით შეზღუდული ულტრა დაბალი შეყოვნების, მცირე ენერჯის და მასიური სისტემების კონსტრუირება, ბლოკჩეინით მხარდაჭერილი პლატფორმის გამოყენება, საკომუნიკაციო ქსელის დეცენტრალიზებული მართვისა და ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ქსელებისა და სისტემების მართვის მეთოდები. წიგნში შეკრებილია ამ მიმართულებებით მსოფლიო ტექნიკურ ლიტერატურაში არსებული გამორჩეული ნაშრომები, გაერთიანებული და სისტემატიზებულია ისინი და ყველაფერი თემატურად ერთი ქოლგის ქვეშ არის მოქცეული. ვფიქრობთ, რომ მასალა სასარგებლო იქნება და დახმარებას გაუწევს ტელეკომუნიკაციის დარგში მომუშავე სპეციალისტებს და აკადემიურ პერსონალს, მაღალი კურსის ბაკალავრიატის სტუდენტებს, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.

2. ყოველდღიურად მილიარდობით ადამიანი სულ უფრო მეტად და მრავალფეროვნად იყენებს ლოკალურ ქსელში უსადენო კავშირის დამყარების ტექნოლოგია Wi-Fi-ს, რომლითაც ხორციელდება მონაცემთა ზრდადი გლობალური

ტრაფიკის დიდი ნაწილის გადაცემა. წიგნი, რომელიც მიმოხილვითი ხასიათისაა, დეტალურად წარმოგვიდგენს და აანალიზებს როგორც Wi-Fi 6-ის ახლახან მიღებული სტანდარტს IEEE 802.11ax-ს, ასევე IEEE 802.11be-ს მიერ Wi-Fi 7-სკენ გადადგმული ნაბიჯებს, ძირითად ტექნიკურ მაჩვენებლებს და ამ სტანდარტებთან დაკავშირებულ ახალი ფუნქციებს და ტექნოლოგიებს. ასევე შესწავლილია სინათლის სხივით ფორმირებული Li-Fi ქსელის და Wi-Fi-ს კოორდინაცია, კერძოდ, ჰიბრიდული Li-Fi და Wi-Fi ქსელების შექმნა. წიგნში შეკრებილია ამ მიმართულებებით მსოფლიო ტექნიკურ ლიტერატურაში არსებული გამორჩეული ნაშრომები, გაერთიანებული და სისტემატიზებულია ისინი და ყველაფერი თემატურად ერთი ქოლგის ქვეშ არის მოქცეული. ვფიქრობთ, რომ მასალა სასარგებლო იქნება და დახმარებას გაუწევს ტელეკომუნიკაციის დარგში მომუშავე სპეციალისტებს და აკადემიურ პერსონალს, მაღალი კურსის ბაკალავრიატის სტუდენტებს, მაგისტრანტებს და დოქტორანტებს.

## 5.2. სახელმძღვანელოები

### 1) ავტორი/ავტორები

1. სერგო შავგულიძე, ნოდარ უღრელიძე, თეიმურაზ მთვრალაშვილი
2. ფერაძე ლიანა, ბერიაშვილი დავით

### 2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. ხელშეშლამდგრადი კოდირების თეორიული საფუძვლები ISBN 978-9941-28-765-7
2. სატელეკომუნიკაციო სისტემების მოდელირების პროგრამული ინსტრუმენტები, II ნაწილი  
ISBN 978-9941-28-555-4

### 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
2. თბილისი, 2020 წ. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“

### 4) გვერდების რაოდენობა

1. 224 გვ.
2. . 177

### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. სახელმძღვანელოში მოყვანილია ძირითადი ცნებები ბლოკური და უწყვეტი (ხისმაგვარი, გისოსისებრი, ხვევადი) კოდირების თეორიიდან, მათი აგების პრინციპები, ზოგიერთი ალბათური და დისტანციური მახასიათებლები, დეკოდირების ცნობილი ალგორითმები და ასეთი კოდების კონკრეტული მაგალითები. ნაშრომის პირველი ნაწილი (პარაგრაფები 2-11) განიხილავს ბლოკურ კოდებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია რიდ-სოლომონის კოდებზე, ხოლო ნაშრომის მეორე ნაწილი (პარაგრაფები 12-25) განიხილავს უწყვეტ კოდებს. წიგნი ძირითადად განკუთვნილია ტელეკომუნიკაციის სპეციალობის სტუდენტებისათვის. იგი აგრეთვე შეიძლება გამოიყენონ იმ სპეციალობის

სტუდენტებმა, მაგისტრანტებმა და დოქტორანტებმა, რომელთაც საქმე აქვთ ინფორმაციის გადაცემას, მიღებასა და დამუშავებასთან.

2. სახელმძღვანელო წარმოადგენს წიგნის „ მოდელირება რადიოსატელეკომუნიკაციო სისტემებში“ wignis „modelireba radiosatelekomunikacio sistemebSi“ გაგრძელებას. პირველ თავში აღწერილია MATLAB-ის გაფართოების Simulink სისტემაში ქვესისტემებისა და საკუთარი ბიბლიოთეკის შექმნის პროცესი. სახელმძღვანელოს შემდეგი თავები ეძღვნება Signal Processing Toolbox პაკეტს. განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა სხვადასხვა ტიპის სიგნალების გენერირება Signal Processing Toolbox-ში, ფურიეს სწრაფი დისკრეტული გარდაქმნის შესრულება, დისკრეტული სიგნალის სპექტრული ანალიზი, სიგნალების მოდულაცია/დემოდულაცია და ფილტრაცია. აღწერილია აგრეთვე Signal Processing Toolbox პაკეტის გრაფიკული ინტერფეისი.

ამჟამად ვმუშაობთ წიგნის III ნაწილებზე, სადაც იქნება არწერილი . სატელეკომუნიკაციო სისტემების მოდელირების სხვა პროგრამული ინსტრუმენტები. კერძოდ, თავები, მიძღვნილი Communication Blockset პაკეტს, უკვე პრაქტიკულად დამთავრებულია.

### 5.3. კრებულები

#### 1) ავტორი/ავტორები

1. ფერაძე ლიანა, ბერიაშვილი დავით
- 2.

#### 2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. სატელეკომუნიკაციო სისტემების მოდელირების პროგრამული ინსტრუმენტები. ლაბორატორიული სამუშაოების კრებული ISBN 978-9941-28-621-6
- 2.

#### 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, 2020 საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“
- 2.

#### 4) გვერდების რაოდენობა

1. 165
- 2.

### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

კრებულში მოცემული ლაბორატორიული სამუშაოები ტარდება ძირითადად MATLAB-ის გაფართოების Simulink სისტემაში. რამდენიმე ლაბორატორიული სამუშაო ტარდება Signal Processing Toolbox პაკეტის ფუნქციებით. ლაბორატორიული სამუშაოები ეხება Simulink-ის ბლოკების შემდეგ ჯგუფებს: სიგნალის წყაროებს (Sources), სიგნალის რეგისტრატორებს (Sinks), არაწრფივ ბლოკებს (Discontinuities), სიგნალების მარშრუტიზაციის ბლოკებს (Signal Routing), უწყვეტ (Continuous) და დისკრეტულ (Discrete) ბლოკებს. პაკეტი Signal Processing Toolbox-თან დაკავშირებული

ლაბორატორიული სამუშაოები ეთმობა სიგნალების ფორმირებას, ამპლიტუდურ და სიხშირულ მოდულაცია/დემოდულაციას.

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

- 1.
- 2.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

- 1.
- 2.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

- 1.
- 2.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

- 1.
- 2.

5) გვერდების რაოდენობა

- 1.
- 2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. ო.შამანაძე
2. ს.ლომსაძე

2) სტატიის სათაური, ISSN

1. ელექტრომაგნიტური ველის ნაკადის სიმკვრივის კვლევა მობილური ტელეკომუნიკაციის რადიოსიხშირულ დიაპაზონში eISSN: [1512-1232](#)
- 2.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. [კომპიუტერული მეცნიერებები და ტელეკომუნიკაციები, 1 \(59\), 2021](#)
- 2.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. ინტერნეტ აკადემია

2.

5) გვერდების რაოდენობა

1. 24-30

2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

სტატიაში განხილულია მობილური ოპერატორების რადიო დაშვების ქსელში ჩატარებული სიგნალის გაზომვების შედეგები, რომლის გამოსხივებაც ხდება შესაბამისი ტექნოლოგიებისათვის გამოყოფილი რადიოსიხშირული დიაპაზონის სპექტრში. რაც საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ საბაზო სადგურის ანტენების მიერ გამოსხივებული ელექტრომაგნიტური ველის ნაკადის სიმკვრივე და შევაფასოთ ადამიანზე ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები დონეები, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს როგორც საერთაშორისო IEEE, ასევე სახელმწიფოს კანონებისა და ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ დადგენილებებს.

5.6. ლექციების კონსპექტები

1) ავტორი/ავტორები

1. ჯ. ხუნწარია

2. ჯ. ხუნწარია

3. ჯ. ხუნწარია

4. ჯ. ხუნწარია

2) ლექციების კონსპექტის სახელწოდება

1. სიგნალების წყაროს კოდირების პრინციპები

2. ციფრული ტელეხედვა

3. სიგნალების ეფექტური კოდირების პრინციპები

4. სატელეკომუნიკაციო სიგნალების კომპრესიის მეთოდები

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, სტუ, elearning.gtu.ge., 2021 წ.

2. თბილისი, სტუ, elearning.gtu.ge., 2021 წ.

3. თბილისი, სტუ, elearning.gtu.ge., 2021 წ.

4. თბილისი, სტუ, elearning.gtu.ge., 2021 წ.

4) გვერდების რაოდენობა

1. 296 გვ.

2. 393 გვ

3. 371 გვ.

4. 302 გვ.

*ვრცელი ანოტაციები (ქართულ ენაზე)*

1. საგანი „სიგნალების წყაროს კოდირების პრინციპები“ განკუთვნილია ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის და მის სალექციო მასალაში განხილულია: ინფორმაციის გადაცემის საფუძვლები და შესაბამისი სისტემის მოდელი; ინფორმაციის წყარო; ანალოგური და ციფრული სიგნალები; ანალოგური სიგნალების ციფრული სახით წარმოდგენის ღირსებები და მასთან დაკავშირებული პრობლემის არსი; ერთგანზომილებიანი დისკრეტიზაციის თეორემა და რეალური სიგნალების დისკრეტიზაციის პრაქტიკული საკითხები; თეორემა ორგანზომილებიანი სიგნალების დისკრეტიზაციის შესახებ; დისკრეტული სიგნალების დაკვანტვის სახეობები და დაკვანტვის შეცდომები; იმპულსურ-კოდური მოდულაცია; რეალური სატელეკომუნიკაციო სიგნალების მახასიათებლები და პარამეტრები მათი ციფრულ ფორმაში წარმოდგენისას; ინფორმაციის რაოდენობისა და შეტყობინებათა წყაროს ენტროპიის ცნებები; რთული შეტყობინების ცნება, რთული შეტყობინების ენტროპია და წყაროს სიჭარბე; ეკონომიური კოდირების ცნება; მონაცემთა კომპრესიის (ეკონომიური კოდირების) მიზანი და კომპრესიის სისტემების ტიპები; წყაროს კოდირება ინფორმაციის დანაკარგის გარეშე (არარღვევადი კოდირება); კომპრესია ინფორმაციის დანაკარგებით (რღვევადი კოდირება); ჰაფმანის კოდები და ჰაფმანის ალგორითმი; ენტროპიის საზღვრები ჰაფმანის კოდისათვის; მახსოვრობის მქონე კოდების ცნება; არითმეტიკული კოდირება; არითმეტიკული კოდირებისა და დეკოდირების ალგორითმები; გამეორებათა სიგრძის კოდირება და დეკოდირება; დიფერენციალური კოდირება და დეკოდირება; კოდირების ზივა-ლემპელის მეთოდი; ზივა-ლემპელის მეთოდის კოდირებისა და დეკოდირების ალგორითმები; გამეორებათა სიგრძის კოდირება; დიფერენციალური (სხვაობითი) კოდირება. ნაშრომი, გარდა სალექციო მასალისა, შეიცავს, აგრეთვე, პრაქტიკული მეცადინეობების სავარჯიშოებს, საკურსო პროექტების მონაცემებს, მათი შესრულებისა და სტუდენტთა ცოდნის შეფასების ტესტების ნიმუშებს.

2. საგანი „ციფრული ტელეხედვა“ განკუთვნილია ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრატურის სტუდენტებისათვის და მის სალექციო მასალაში განხილულია: გამოსახულებათა გადაცემის სისტემების განვითარების ეტაპები; ინფორმაციის რაოდენობისა და ენტროპიის ცნებები; კორელაციის კოეფიციენტი; სიჭარბე; გადაცემის სიჩქარე; წყაროს მწარმოებლურობა; ტელეხედვის ანალოგური სიგნალების გარდაქმნა ციფრულ ფორმატში და დროითი დისკრეტიზაციის შესახებ თეორემის ვარიანტი გამოსახულებათა ორგანზომილებიანი სიგნალებისათვის; გამოსახულებათა დისკრეტული სიგნალების დაკვანტვა, დაკვანტვის შკალები, დაკვანტვით გამოწვეული შეცდომები და მათი შეფასება ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმებით; ITU-R BT 601 რეკომენდაციით განსაზღვრული ციფრული ტელეხედვის სიგნალების დისკრეტიზაციისა და დაკვანტვის პარამეტრები და მათი

შერჩევის თავისებურებანი ტელეხედვის ფერთი სიგნალის მდგენელებისათვის; ციფრული ტელეხედვის სიგნალების სტანდარტები; სიგნალების მაფორმირებლები; პარალელური და მიმდევრობითი ვიდეოშეერთებები; სატელეკომუნიკაციო არხებით ციფრული სატელევიზიო სიგნალების გადაცემა და ვიდეოინფორმაციის შეკუმშვის (კომპრესიის) ამოცანა; ფურიეს დისკრეტული და დისკრეტული კოსინუსური გარდასახვები; ციფრული ტელეხედვის კომპრესიის სისტემებში დისკრეტული კოსინუსური გარდასახვის გამოყენების თავისებურებები; სიგნალების დამუშავება და გადაცემა სიხშირეთა ქვედიაპაზონებად ან გარჩევისუნარიანობის მიხედვით ქვედიაპაზონებად დაშლით; ვეივლეტ-გარდაქმნა; მოძრაობის შეფასება და კომპენსაცია გამოსახულებებში; დიფერენციალური იმპულსურ-კოდური მოდულაცია; კოდირება წინასწარმეტყველებით; ვექტორული დაკვანტვა და ფრაქტალური კოდირება; გამოსახულებათა შეკუმშვის მეთოდები ციფრული ტელეხედვის სისტემებში; შიგაკადრული შეკუმშვა JPEG-სტანდარტის საფუძველზე; ენტროპიული უდანაკარგო კოდირება ჰაფმანის კოდების გამოყენებით; მოძრავ გამოსახულებათა შეკუმშვის MPEG-სტანდარტები; ვიდეოინფორმაციის ნაკადი MPEG-2 სტანდარტის მიხედვით; ვიდეოინფორმაციის დეკოდერი; მასშტაბირებადობა; MPEG-2-ის დონეები და პროფილები; განსხვავებები MPEG-1-სა და MPEG-2-ს შორის; გამოსახულებათა დამახინჯება და მისი შეფასება MPEG სტანდარტებით შეკუმშვისას; შეკუმშვის მიღწევადი ხარისხები; საქართველოში დანერგილი ციფრული ტელეხედვის სისტემა DVB-T2, მისი თავისებურებები და უპირატესობები წინამორბედ DVB-T1 სისტემასთან შედარებით. ნაშრომი, გარდა სალექციო მასალისა, შეიცავს, აგრეთვე, პრაქტიკული მეცადინეობების სავარჯიშოებს, მათი შესრულებისა და სტუდენტთა ცოდნის შეფასების ტესტების ნიმუშებს.

3. საგანი „სიგნალების ეფექტური კოდირების პრინციპები“ განკუთვნილია ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრატურის სტუდენტებისათვის და მის სალექციო მასალაში განხილულია: ინფორმაციის გადაცემის საფუძვლები; ინფორმაციის გადაცემის სისტემის მოდელი; ინფორმაციის (სიგნალების) წყარო; ანალოგური სიგნალების ციფრული სახით წარმოდგენის ღირსებები და მასთან დაკავშირებული პრობლემის არსი; დროითი დისკრეტიზაცია, დაკვანტვა; კოდირება; თეორემა ერთგანზომილებიანი და ორგანზომილებიანი სიგნალების დისკრეტიზაციის შესახებ; რეალური სიგნალების დისკრეტიზაციის სიგნალების დისკრეტიზაციის პრაქტიკული საკითხები; დაკვანტვის მეთოდები და დაკვანტვის



შეცდომები; ინფორმაციის რაოდენობის ცნება; შეტყობინებათა წყაროს ენტროპია; ინფორმაციის რაოდენობის საზომი ერთეულები; რთული შეტყობინების ცნება; რთული შეტყობინების ენტროპია და წყაროს სიჭარბე; ჰაფმანის კოდები და ჰაფმანის ალგორითმი; ენტროპიის საზღვრები ჰაფმანის კოდისათვის; მახსოვრობის მქონე კოდების ცნება; არითმეტიკული კოდირება; გამეორებათა სიგრძის კოდირება და დეკოდირება; დიფერენციალური კოდირება და დეკოდირება; ეფექტური კოდირების მეთოდები ინფორმაციის დანაკარგებით ; მათი მიმოხილვა; გამოსახულებათა სიგნალების კოდირება წრფივი გარდასახვების საშუალებით; გარდასახვის სახეობები და მათი ეფექტურობის შედარებითი ანალიზი; გამოსახულებათა სიგნალების ვექტორული, პირამიდული, ფრაქტალური და მორფოლოგიური კოდირება; რეკურსიული (ტალღური ალგორითმი); კოდირების მეთოდების ანალიზი და მათი ეფექტურობის შეფასება; გამოსახულებათა ჰიბრიდული კოდირება; უძრავ და მოძრავ გამოსახულებათა კოდირების JPEG და MPEG სტანდარტების არსი; MPEG სტანდარტის ვარიანტები; მეტყველების სიგნალების ეფექტური კოდირების პრინციპები; სიგნალის ფორმის კოდირება; კოდირების ჰიბრიდული მეთოდი. ნაშრომი, გარდა სალექციო მასალისა, შეიცავს, აგრეთვე, პრაქტიკული მეცადინეობების სავარჯიშოებს, საკურსო პროექტების მონაცემებს, მათი შესრულებისა და სტუდენტთა ცოდნის შეფასების ტესტების ნიმუშებს.

4. საგანი „სატელეკომუნიკაციო სიგნალების კომპრესიის მეთოდები“ განკუთვნილია ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრატურის სტუდენტებისათვის და მის სალექციო მასალაში განხილულია: სატელეკომუნიკაციო სიგნალების კომპრესიის არსი; კომპრესიის გამოყენების სფეროები; ენტროპიული კოდირება; ცვლადი სიგრძის კოდები; ჰაფმანის კოდი; ჰაფმანის ადაპტური კოდები; ერთგანზომილებიანი და ორგანზომილებიანი კოდირება; არითმეტიკული კოდირება; ადაპტური არითმეტიკული კოდირება; კოდირება იმპულსურ-კოდური მოდულაციით; ელემენტური სტატისტიკური კოდირება; სერიათა კოდირება; დელტა-მოდულაცია; დიფერენციალური იმპულსურ-კოდური მოდულაცია; კოდერები სივრცითი წინასწარმეტყველებით; ადაპტური კოდერები წინასწარმეტყველებით; კოდირების ინტერპოლაციური მეთოდები;

ინტერპოლაციის გამოყენება სისტემის გადამცემსა და მიმღებში; კომპრესია წრფივი გარდასახვების გამოყენებით; გარდასახვებით კოდირების კლასიკური მეთოდების მიმოხილვა; ადაპტაციის ტიპები; ბუფერების აგების პრინციპები; ადაპტური ეფექტური კოდირების სისტემების გამოყენება; გამოსახულებათა სიგნალების შიგაკადრული და კადრთაშორისი ჰიბრიდული კოდირება; კოდირების ეფექტურობის თეორიული და ექსპერიმენტული შეფასება; აპარატურული რეალიზაცია; ერთფეროვან (შავ-თეთრი) და ფერად გამოსახულებათა ეფექტური კოდირება სხვადასხვა წრფივი გარდასახვების გამოყენებით; კოდირების ეფექტურობის შეფასება; წრფივი გარდასახვის კოეფიციენტთა შერჩევის, დაკვანტვისა და კოდირების მეთოდები; გამოსახულებათა სიგნალების პირამიდული, ფრაქტალური და მორფოლოგიური კოდირების არსი; უძრავ და მოძრავ გამოსახულებათა კომპრესიის JPEG და MPEG სტანდარტები; მოძრავ გამოსახულებათა კომპრესია მოძრაობის კომპენსაციის გამოყენებით; აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული გამოსახულებათა და ხმოვანი სიგნალების კომპრესიის მეთოდების ზოგადი დახასიათება; სატელევიზიო სიგნალების ციფრული დამუშავება ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის გამოყენებით; დამახინჯებულ გამოსახულებათა აღდგენა; სახეთა ამოცნობა; კომპრესირებული სატელეკომუნიკაციო სიგნალების ხელშეშლამდგრადი კოდირება; ორობითი კოდების თავისებურებანი; სახაზო კოდები; ბლოკური ხელშეშლამდგრადი კოდირება; ჰემინგისა და ვაინერ-ემას კოდები; საკაბელო და რადიოარხების საშუალებით ციფრული ტელეხედვის სიგნალების გადაცემისას გამოყენებული მოდულაციის სახეობები; ვიდეოკავშირის სისტემები. ნაშრომი, გარდა სალექციო მასალისა, შეიცავს, აგრეთვე, პრაქტიკული მეცადინეობების სავარჯიშოებს, საკურსო პროექტების მონაცემებს, მათი შესრულებისა და სტუდენტთა ცოდნის შეფასების ტესტების ნიმუშებს.

## 6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

### 6.1. მონოგრაფიები/წიგნები

#### 1) ავტორი/ავტორები

- 1.
- 2.

#### 2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

- 1.
- 2.

#### 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

- 1.
- 2.

4) გვერდების რაოდენობა

- 1.
- 2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

6.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

- 1.
- 2.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

- 1.
- 2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

- 1.
- 2.

4) გვერდების რაოდენობა

- 1.
- 2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

6.3. კრებულები

1) ავტორები

- 1.
- 2.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

- 1.
- 2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

- 1.
- 2.

4) გვერდების რაოდენობა

- 1.
- 2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

#### 6.4. სტატიები

##### 1) ავტორი/ავტორები

1. Rohweder D., Stern S., Fisher R.F.H., Shavgulidze S., Freudenberger J.
2. Ugrelidze N., Shavgulidze S., Akobia D.

##### 2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. Four-dimensional Hurwitz constellations, set partitionings, detection, and Multilevel coding, ISSN: 0090-6778 (print); 1558-0857 (web)
2. A comparison of characteristics of 4D 2FSK-MPSK and 2D MPSK signals, e-ISSN: 2320-0847 p-ISSN: 2320-0936

##### 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. IEEE Transactions on Communications, Vol. 69, No. 8, August, 2021
2. American Journal of Engineering Research, Vol. 10, No. 5, 2021

##### 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. USA, IEEE Communications Society
2. USA, AJER

##### 5) გვერდების რაოდენობა

1. 12 გვ.
2. 5 გვ.

#### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. ჰურვიცის გისოსი უზრუნველყოფს ყველაზე მკვირვ ოთხგანზომილებიან შეფუთვას. ამ ფაქტმა გამოიწვია კვლევა ოთხგანზომილებიანი ჰურვიცის სიგნალთა კონსტელაციებზე ოპტიკური და უსადენო კომუნიკაციებისთვის. ეს ნაშრომი წარმოადგენს ჰურვიცის მთელი რიცხვების სასრულ სიმრავლეების ახალ ალგებრულ კონსტრუქციას, რომელსაც თან ახლავს შესაბამისი მოდულის ოპერაცია. ეს სიგნალთა კონსტელაცია გამოკვლეულია გადაცემისთვის ადიტიური თეთრი გაუსის ხმაურის (AWGN) არხში. ნაჩვენებია, რომ ამ სიგნალთა კონსტელაციებს აქვთ უკეთესი ალბათურ/ენერგეტიკული მახასიათებლები და, შესაბამისად, უკეთესი ასიმპტოტიკა AWGN არხებისთვის, ვიდრე ჩვეულებრივი და ცნობილ სიგნალთა კონსტელაციებს ალგებრული სტრუქტურით, მაგ., ორგანზომილებიანი გაუსის მთელი რიცხვების კონსტელაციებს ან ოთხგანზომილებიანი ლიპშიცის მთლიან რიცხვებზე აგებულ კონსტელაციებს. ჩვენ წარმოვადგენთ ორ მეთოდს ჰურვიცის მთელი რიცხვების დანაწევრებისთვის. პირველი მეთოდი სასარგებლოა სიმბოლოების დეტექტირების გამოთვლითი სირთულის შესამცირებლად. ეს არაოპტიმალური დეტექტირების მიდგომა აღწევს თითქმის მაქსიმალურ დამაჯერებლობით დეტექტირების შეცდომის ალბათობის მახასიათებელს. მეორე შემთხვევაში, დანაწევრება იყენებს

ჰურვიცის სიგნალური კონსტელაციების ალგებრულ სტრუქტურას. ჩვენ ვყოფთ ჰურვიცის მთელ რიცხვებს ქვეჯგუფებად ისე, რომ თითოეული ქვეჯგუფის მინიმალური ევკლიდური მანძილი უფრო დიდი იყოს, ვიდრე თავდაპირველ სიგნალურ კონსტელაციაში. ეს საშუალებას იძლევა გამოყენებული იქნას მრავალდონიანი კოდის კონსტრუქცია ახალი სიგნალის კონსტელაციისთვის.

2. ნაშრომი ადარებს ოთხგანზომილებიან 2FSK-MPSK სასიგნალო სისტემებს და ორგანზომილებიან MPSK სიგნალებს სპექტრული ეფექტიანობის, მანძილის მახასიათებლებისა და მიმღების სირთულის მიხედვით. სპექტრული ეფექტიანობა წარმოდგენილია სიმძლავრის სპექტრული სიმკვრივით, სიგნალის სიმძლავრის ზოლს გარეთ გასხივებით და ნორმალიზებული გამტარობით. სიგნალების მანძილის მახასიათებლები წარმოდგენილია მათი ევკლიდური მანძილის მინიმალური კვადრატული მნიშვნელობით, ხოლო მიმღების სირთულე შეფასებულია სიგნალის დეტექტორის სირთულით. მოცემულია სიმძლავრის სპექტრული სიმკვრივის და ზოლის გარეთ სიმძლავრის გასხივების გამოთვლითი ანალიტიკური გამოსახულებები და წარმოდგენილია შესაბამისი გრაფიკული მრუდები 2FSK-MPSK სიგნალების ფართო დიაპაზონისთვის. ნორმალიზებული გამტარუნარიანობის მნიშვნელობები მოცემულია ცხრილის სახით. მიმღებების იგივე სირთულის პირობებში და პრაქტიკულად ერთნაირი გამტარუნარიანობის პირობებში, აშკარაა ოთხგანზომილებიანი 2FSK-MPSK სიგნალების უპირატესობა MPSK სიგნალებთან შედარებით მანძილის მახასიათებლების თვალსაზრისით.

## 7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

### 7.1. საქართველოში

#### 1) მომხსენებელი/მომხსენებლები

- 1.
- 2.

#### 2) მოხსენების სათაური

- 1.
- 2.

#### 3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

- 1.
- 2.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*

### 7.2. უცხოეთში

#### 1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. В.Нанобашвили
2. В.Абуладзе

2) მოხსენების სათაური

1. О возможности повышения вероятности обнаружения ошибок в линейном коде типа MILLER
2. Об одном методе восстановления блочного синхро-низма в линейных кодах класса mBnB

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ლონდონი, 10-12 თებერვალი 2021 წელი
2. ბოსტონი, 17-19 მარტი 2021 წელი

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

## აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

### სასურსათო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

ხელმძღვანელი პროფ. გურამ ტყემალაძე

ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

1. ქვარცხავა გიორგი - პროფესორი
2. რუხაძე თეიმურაზი - პროფესორი
3. ბერეჟიანი მალხაზი - პროფესორი
4. ბაღათურია ნუგზარ - პროფესორი
5. კვესიტაძე ედიშერ - პროფესორი
6. კილაძე მათა - პროფესორი
7. დოლიძე მალხაზი - პროფესორი
8. სარაჯიშვილი ქეთევანი - პროფესორი
9. მახაშვილი ქეთევანი - პროფესორი
10. გაგელიძე ნინო - ასოც. პროფესორი
11. აფციაური ლიკა - ასოც. პროფ.
12. ერიქაშვილი აკაკი - ასოც. პროფ.
13. ბერიაშვილი ქეთევანი - ასოც. პროფესორი
14. კოკილაშვილი რაული - ასოც. პროფესორი
15. თამარ მახვილაძე - ასისტენტი
16. ყანჩაველი თამარი - ასისტენტ-პროფესორი
17. გურგენიძე ლელა - ასისტენტ-პროფესორი
18. ბოკერია აკაკი - ასისტენტი
19. მამარდაშვილი ნაირა - ასისტენტ-პროფესორი
20. ძნელაძე სოფო - ასისტენტ-პროფესორი
21. გოგალაძე მათა - ასისტენტ პროფესორი
22. რაზმაძე თამარი - ასისტენტ-პროფესორი
23. გამყრელიძე ნინო - ასისტენტი
24. მანანა ნიკოლაიშვილი - მოწვ. მასწავლებელი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. საქართველოში ველურად მოზარდი და კულტივირებული, ეკოლოგიურად სუფთა, უსაფრთხო მცენარეების გამოყენებით ახალი ქართული ფუნქციური დანიშნულების პროდუქციის წარმოებისათვის ახალი ინოვაციური რეკომენდაციების შემუშავება. აღნიშნული პროექტის წარმატებით გადაწყვეტისათვის აუცილებელია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა (ქიმია, ბიოქიმია, ბიოლოგია, მიკრობიოლოგია, ფიზიოლოგია,) და სასურსათო ტექნოლოგიების დარგის მიღწევათა ფართოდ გამოყენება შესაბამისი სპეციალისტების მონაწილეობით.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2017 წ. – 2024 წ.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ტყემალაძე გურამ - პროფესორი (საერთო ხელმძღვანელი)

2. ქვარცხავა გიორგი - პროფესორი (მოადგილე) - ქიმიურ - ბიოქიმიური კვლევა

3. დოლიძე მალხაზი - პროფესორი - პურისა და პურპროდუქტების წარმოების სპეციალისტი

4. გაგელიძე ნინო - ასოც. პროფესორი (შემსრულებელი) - მიკრობიოლოგიური კვლევა

5. მახაშვილი ქეთევანი - პროფესორი (შემსრულებელი) - პროექტის ლიტერატურით უზრუნველყოფა

6. ბოკერია აკაკი - ასისტენტ-პროფესორი (შემსრულებელი) - რძის და ხორცის წარმოების სპეციალისტი

7. მამარდაშვილი ნაირა - ასისტენტ-პროფესორი (შემსრულებელი) - უალკოჰოლო და ალკოჰოლური სასმელების წარმოების სპეციალისტი

8. ძნელაძე სოფო - ასისტენტ-პროფესორი (შემსრულებელი) - ლაბორატორიული სამუშაოების ხელმძღვანელობა

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

**ანოტაცია 1.** ბუნებრივ პირობებში მოზარდი მცენარეები საშუალებას იძლევა შეიქმნას ფუნქციური დანიშნულების არომატიზებული სასმელები. კვლევაში გამოყენებულ იქნა იმერეთის რეგიონში მოზარდი მცენარეული ნედლეული: შავბალახა (*Leonurus cardiaca*), ბარამბო (*Melissa officinalis*), კუნელი (*Crataegus caucasica*), კულმუხო (*Inula helenium*), კოთხუჯი (*Acorus calamus*), ტყის შინდი (*Cornus mas*), ტყის მაცვალი (*Rubus fruticosus*), ქლიავი (*Prunus domestica*), მოცხარი (*Ribes alpinum*), კივი (*Actinidia chinensis*), ლეღვი (*Ficus carica*) და ქაცვი (*Hippophae rhamnoides*). განხორციელდა მცენარეული სპირტნაყენებით რქაწითელის ჯიშის ღვინოსთან დაკუპაჟება. კვლევის შედეგები (გემური თვისებები, არომატი და ვიზუალი) ადასტურებს, რომ შერჩეული მასალა, შემუშავებული რეცეპტურა, გაუმჯობესებული ქიმიურ-



ფიზიკური და ორგანოლექტიკური პარამეტრები იძლევა დადებითი მოქმედების არომატიზებული სასმელების მიღების საშუალებას.

**ანოტაცია 2.** დღეს დიდი ყურადღება ეთმობა მაღალხარისხოვანი ნატურალური საკვები პროდუქტების წარმოებას, რაც განაპირობებს პროდუქციის ასორტიმენტის ზრდასაც. ამ მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ალკოჰოლიან სასმელებს, რაზეც მოთხოვნა ინტენსიურად იზრდება. ტექნოლოგიების დახვეწით იქმნება საუკეთესო თვისებებისა და ორგანოლექტიკური მახასიათებლების მქონე სასმელები. იკვლევენ მათს დადებით და უარყოფით თვისებებს. ხალხურ მედიცინაში საკმაოდ დიდი რიცხვია იმ მცენარეების, რომლებიც გამოიყენება სამკურნალოდ. მცენარის ამ დანიშნულებით გამოყენებას უმთავრესად მასში არსებული მოქმედი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები (ბან) განაპირობებს. საქართველო მდიდარია როგორც ხილის, ისე სამკურნალო მცენარეების ფართო ასორტიმენტით. ეს ყოველივე საუალებას იძლევა შეიქმნას მრავალფეროვანი ხასიათის ლიქიორები, რომლებიც გაჯერებული იქნება საუკეთესო არომატითა და ქიმიური თვისებებით მდიდარი სამკურნალო მცენარეებით. კვლევის მიზანს წარმოადგენს სადესერტო ლიქიორების დამზადება და მათი ანტიოქსიდანტური თვისებების გაუმჯობესება ბან-ის შემცველი სამკურნალო მცენარეების — ბარამბოს, შავბალახასა და კუნელის – ექსტრაქტების დამატებით.

**ანოტაცია 3.** ექსპერიმენტის მიზანი იყო ქვევრის ღვინოებში გავრცელებული დეფექტების იდენტიფიცირება, ქვევრის ღვინის წარმოებაში არსებული პრობლემების განსაზღვრა და მათი გადაჭრის გზების ძიება. კვლევის ფარგლებში, სენსორული შეფასება ჩატარდა 467 ქვევრის ღვინოს. მიღებული შედეგების ანალიზით დადგენილი პრობლემების გადაჭრისათვის, თანამედროვე მიდგომების გამოყენებით შერჩეული იქნა ღვინის დამზადების ტექნოლოგიური მეთოდები. საკვლევი და საანალიზო ღვინოები დამზადდა „საგარეჯოს საოჯახო მარაში“. 10 თვიანი დავარგების შემდეგ, განისაზღვრა ჟანგვის ძირითადი მარკერები: ეთილაცეტატი და აცეტალდეჰიდი, ასევე, უმაღლესი სპირტები, საერთო ფენოლები და სხვა პარამეტრები. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით დადგინდა, რომ ექსპერიმენტისას გამოყენებული მეთოდები: რთველის თარიღის შერჩევა ყურძნის მჟავიანობის გათვალისწინებით, ქვევრის სამდლიანი სანიტარიზაცია, კლერტის წინასწარი გაშრობა და შემდეგ მადულარ ღვინოში დამატება, დურდოს/ღვინის სულფიტაცია, კომერციული საფუვრის გამოყენება, მადულარ დურდოში ტემპერატურის შემცირება მშრალი ყინულით, დუდილის განხორციელება 21-23 °C ტემპერატურის პირობებში, ყურძნის გადამუშავებიდან 5 თვის შემდეგ ქვევრის გახსნა და ღვინის დეკანტირება ხელს უწყობს ჯიშური არომატის შენარჩუნებას, იცავს ღვინოს ჟანგვისა და ეთილის სპირტის დანაკარგისაგან, ასევე, ჭარბი აქროლადი მჟავებისა და უმაღლესი სპირტების შემცველობისგან.

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

**გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. „გარემოს გლობალური დაბინძურებისაგან დაცვისა და მარცვლელი კულტურების მოსავლიანობის გაზრდის მიზნით ინოვაციური ბიოაგროტექნოლოგიის შემუშავება და მართვა“. CARYS-16-573, აგრარული მეცნიერებები, ინჟინერია და ტექნოლოგიები. აგრარული მეურნეობა.

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი:

#AR-18-1045 ბორის კარბიდის ფუძეზე ნანოსტრუქტურული ჰეტეროფაზური კერამიკული მასალების და გაუმჯობესებული საექსპლუატაციო მახასიათებლების მქონე ნაკეთობების მიღება.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 31.07.2020-01.11.2021

2. 2018-2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

**ნანა ბაქრძე, პროექტის ხელმძღვანელი:** კოორდინაციას უწევდა პროექტის მომზადებას, კვლევებს, იღებდა პასუხისმგებლობას სამეცნიერო შედეგებზე, ანგარიშგებაზე და უწევდა კოორდინაციას მკვლევართა ჯგუფის მუშაობას;

ძირითადი პერსონალი:

**ძირითადი პერსონალი:**

**ნინო გაგელიძე** - მიკრობიოლოგიური და ციტოგენეტიკური სამეცნიერო კვლევების, ლაბორატორიული და მინდვრის ექსპერიმენტების ხელმძღვანელობა; ახალგაზრდა მეცნიერების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულობის ხელმძღვანელობა და მონიტორინგი.

**თეიმურაზ დუმბაძე** - ლაზერული დამუშავების ტექნოლოგიური პროცესების შემუშავება და მართვა.

**ვასილ ზაჩანაძე - ახალგაზრდა მეცნიერი**, მარცვლეულის მიწოდების ნაკადური მოწყობილობის დაგეგმარება, დამზადება და ექსპერიმენტების გამართვა

**გიორგი ფოფხაძე - ახალგაზრდა მეცნიერი**, მარცვლეულის მიწოდების ნაკადური მოწყობილობის დაგეგმარება, დამზადება და ექსპერიმენტების გამართვა

**ნათია სუხიშვილი - ახალგაზრდა მეცნიერი**, ლაბორატორიული და მინდვრის ექსპერიმენტებში მონაწილეობა, შედეგების ანალიზი;

**ნათია ჯალაღონია - ახალგაზრდა მეცნიერი**, მარცვლეულის ზრდის ეტაპზე ელემენტური ანალიზის და ქიმიური შედგენილობის შესწავლა

**ანდრე ბატაკო** - ლივერსპულის ჯომ მურის ტექნიკური უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამუშაო და საპრეზენტაციო გამოცდილების გაზიარება ინტერნეტჩართვების სასუალებით (სამუშაო ენა: ინგლისური, რუსული); პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ანგარიშების დამუშავება და საერთაშორისო კონფერენციებსა და გამოფენებისათვის პუბლიკაციების მომზადება და წარდგენა. <https://www.ljmu.ac.uk/.../general-engineering-research-institute/andre-batako>

**ლევან ჩუტკერაშვილი - ახალგაზრდა მეცნიერი, კერძო სექტორი**, მინდვრის ექსპერიმენტებში, სამეცნიერო კვლევებში, შედეგების ანალიზში, სამეწარმეო საკითხების ტრენინგების განხორციელებაში მონაწილეობა

**ანზორ თაგვაძე - კერძო სექტორი** - ინოვაციურ სამეწარმეო საკითხებზე ტრენინგების ჩატარება ძირითადი პერსონალისათვის, მინდვრის ექსპერიმენტებში, სამეცნიერო კვლევებში, შედეგების ანალიზში მონაწილეობა.

## **დამხმარე პერსონალი::**

**ლია ამირანაშვილი** - მიკრობიოლოგიური სამუშაოებისათვის მასალების მომზადება, საკვები არეების მომზადება; აზოტმაფიქსირებელი ბაქტერიების ლაბორატორიულ და მინდვრის ცდებში გამოყენება; ლაბორატორიულ ექსპერიმენტებში მონაწილეობა, აზოტმაფიქსირებელი ბაქტერიებით ხორბლისა და სიმინდის თესვებისა და აღმონაცენების დამუშავებისა და ლაზერული დასხივების შემდეგ მცენარეების განვითარებაზე დაკვირვება და ფენოლოგიური მახასიათებლების ანალიზი;

**ოლღა ხარაიშვილი** - ლაბორატორიულ ექსპერიმენტებში მონაწილეობა, ექსპერიმენტებისათვის ნიადაგების მომზადება, აზოტმაფიქსირებელი ბაქტერიებით ხორბლისა და სიმინდის თესვებისა და აღმონაცენების დამუშავებისა და ლაზერული დასხივების შემდეგ მცენარეების ფენოლოგიური მახასიათებლებზე დაკვირვება; საველე სამუშაოებისათვის ნიადაგების შესწავლა და მომზადება

**თამუნა მოდებაძე** - მიკრობიოლოგიური ლაბორატორიის, ლაბორატორიული ჭურჭლისა და მასალების მომზადება, რეცხვა და გასტერილება, საკვები არეების მომზადება, ჩამოსხმა, ცდების შემდეგ მიკროორგანიზმების განადგურება; ლაბორატორიულ ექსპერიმენტებში მონაწილეობა, აზოტმაფიქსირებელი ბაქტერიებით დამუშავების და ლაზერული დასხივების შემდეგ ხორბლისა და სიმინდის აღმონაცენების ფენოლოგიური მახასიათებლების აღწერა.

## **2.**

**ლევან ჩხარტიშვილი - პროექტის ხელმძღვანელი:** კოორდინაციას უწევდა პროექტის მომზადებას, იღებდა პასუხისმგებლობას სამეცნიერო შედეგებზე და ანგარიშებზე.

### **ძირითადი პერსონალი:**

**ნათია ბარბაქაძე** - პროექტის თანახელმძღვანელი, მკვლევარი - პასუხისმგებელია ორგანული პრეკურსორებისა და ბორის ნაერთების ჰომოგენიზირებული ნარევების დამზადებაზე, მათ დეჰიდრატაციაზე; მყარი პრეკურსორების მიღებაზე გაფრქვევის მეთოდით - სამუშაო დროის 30% .

**ქეთევან სარაჯიშვილი** - მკვლევარი - პასუხისმგებელია ჰომოგენიზირებული მყარი პრეკურსორების პიროლიზის მეთოდების დამუშავებაზე, ბორირებისა და კარბიდიზაციის ოპტიმალური პირობების დადგენაზე - სამუშაო დროის 30%.

### **დამხმარე პერსონალი:**

**როინ ჭედია** - უფროსი ლაბორანტი, გრანტის შესრულება მოითხოვს დიდი მოცულობის ექსპერიმენტალურ სამუშაოებს, ამიტომ საჭიროა 3 დამხმარე პერსონალი . ლაბორანტი უზრუნველყოფს ხსნარების, სუსპენზიების მომზადებას და მათ თერმულ დამუშავებას - სამუშაო დროის 30% (ყველა ეტაპზე)

**თამარ ქორქია** - ლაბორანტი, უზრუნველყოფს ქიმიური ჭურჭლისა და საჭირო ინვენტარის მომზადებას ჩასატარებელი სამუშაოებისათვის - სამუშაო დროის 30% (ყველა ეტაპზე)

**ირინა მჭედლიშვილი** - ლაბორანტი, უზრუნველყოფს მყარი პრეკურსორებისა და ნაერთების დისპერგირებას, მათი გრანულომეტრიული შედგენილობის დადგენას - სამუშაო დროის 30% (ყველა ეტაპზე)

### **დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1. პროექტის ფარგლებში შემუშავდა მარცვლეულის თესვისწინა დამუშავების ახალი, ბიოაგროტექნოლოგიური ტექნოლოგია, რომელიც ხორციელდება ლაზერული დასხივების პარამეტრების მართვითა და აზოტმაფიქსირებელი ბაქტერიის, *Azospirillum brasilense*-ს გამოყენებით.

პროექტის მიმდინარეობისას განხორციელდა ინოვაციური ლაზერული ბიოაგროტექნოლოგიის კონცეფციის ექსპერიმენტული დამტკიცება: შემუშავებულმა ბიოაგროტექნოლოგიამ გაიარა ლაბორატორიული ვალიდაცია, საველე ცდების შედეგად გამოვლინდა დამუშავებული მარცვლეულის საუკეთესო ვარიანტები, დაპროექტდა და დამზადდა ლაზერული ნაკადური დასხივების საპილოტე მოწყობილობა.

პროექტის განხორციელების შედეგად გამოვლენილია ლაზერული დასხივებისა და აზოტფიქსატორი ბაქტერიით დამუშავების საუკეთესო ვარიანტები და დადგენილია, რომ ინოვაციური ლაზერული ბიოაგროტექნოლოგიის გამოყენებით ხორბლის სათესლე მასალის

დამუშავება განაპირობებს მცენარის ზრდა-განვითარების დაჩქარებას: დამუშავებული ხორბლის თესლის აღმონაცენის სიმალლე მე-20 დღეს აღემატებოდა საკონტროლო ნიმუშს 25%-ით.

გამოვლენილია სათესლე მასალაზე დასხივების ზემოქმედების გარანტირებული ეფექტურობის პერიოდი (ერთი კვირის ფარგლებში, რაც საკმარისი დროა თესვის პერიოდისათვის) და *Azospirillum brasilense*-ს ეფექტური კონცენტრაცია თესლევის დამუშავებისთვის -  $10^7$ - $10^9$  კოლონიის წარმომქმნელი ერთეული/მლ-ში).

მარცვლეულის ლაზერული დასხივებისა და *Azospirillum brasilense*-თი ორსაფეხურიანი, თესვისწინა დამუშავების შედეგად ხორბლისა (შავფხა, დიკა, ლომთაგორა 126, ლომთაგორა 131) და სიმინდის (აჯამეთის თეთრი და აბაშური ყვითელი) ჯიშებში ადგილი ჰქონდა აღმონაცენის ზრდის სტიმულირებას 20-25%-ით. ხორბლისა და სიმინდის ფესვაკების აპიკალური მერისტემის უჯრედების ციტოგენეტიკური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მიტოზური ინდექსი დასხივებულ ვარიანტებში მომატებულია (ხორბალში მე-5 დღეს, სიმინდის შემთხვევაში მე-8 დღეს;  $p < 0.05$ ).

შემაჯამებელი საველე ცდების საფუძველზე დაფიქსირდა მნიშვნელოვანი აგროეკონომიკური ეფექტი. ენდემური ხორბლის ჯიშის „შავფხას“ შემთხვევაში მოსავლიანობის ზრდამ ჰექტარზე 2 ტონას - 25% მიაღწია.

პროექტის შედეგად შემუშავებული ინოვაციური, გარემოს დამზოგველი და მდგრადი ბიოაგროტექნოლოგიის (ლაზერული გამოსხივება + ბიოლოგიური აზოტის წარმომქმნელი ბაქტერია) დანერგვით შესაძლებელია მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის საგრძნობი გაზრდა. ამასთან საგულისხმოა, რომ აღნიშნული ბიოაგროტექნოლოგია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მიღების საშუალებას იძლევა.

2. ულტრადისპერსულ ფხვნილებს (ნანოფხვნილებს) გააჩნიათ გამოყენების დიდი პოტენციალი მაღალი ხარისხის საინჟინრო, ელექტროტექნიკური და ბიომეთავსებადი კერამიკული მასალების, კატალიზატორების, ადსორბენტების, მემბრანების, ფილტრების, მონოკრისტალების და სხვათა მისაღებად. ულტრადისპერსული ფხვნილების მიღება და მათგან ახალი ინოვაციური ნაკეთობებისა და მასალების დამზადების მეთოდების დამუშავება მთელ მსოფლიოში აქტუალური საკითხია. თანამედროვე მასალების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები ძირითადად დამოკიდებულია ნანოფხვნილების მიღების მეთოდებზე და ნაწილაკების სტრუქტურულ-მორფოლოგიურ თავისებურებებზე. წარმოდგენილ პროექტში განვითარებულია ახალი მიდგომა დოპირებული კერამიკული ზეგამტარი მასალების მიღების კუთხით, რომელიც გულისხმობს ამორფულ-ფოროვანი კერამიკული მატრიცის მიღებას და მის დოპირებას მეტალორგანული ნაერთებით და შემდეგ ამორფული მატრიცისა და დოპანტის ფაზების დაკრისტალებას, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება ნანოზომის დოპანტების მარცვლების თანაბარი განაწილება კერამიკულ მატრიცაში.

პროექტის პირველ ეტაპზე მიღებულია ოპტიმალური შედგენილობის ბორშემცველი ჰომოგენიზირებული თხევადი პრეკურსორები; ნანოკრისტალური ბორის კარბიდი მიღებულია ერთ ტექნოლოგიურ ციკლში, მარტივი ტექნოლოგიური პროცესით, რომელიც მოიცავს:

თხევადი პრეკურსორებიდან გამხსნელების მოშორებას და შემდგომ თერმულ დამუშავებას 200-1600°C-მდე არგონის არეში. მიღებულია ულტრადისპერსული ბორის კარბიდის ფხვნილი და ბორის კარბიდისა და TiB<sub>2</sub>-ის კომპლექსი. შედეგები მოხსენებულ იქნა საქართველოში, თურქეთში და იაპონიაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციებზე. მეორე ეტაპზე ერთიან ტექნოლოგიურ ციკლში მიღებულია ბორის კარბიდისა და ტიტანის / ცირკონიუმის დიბორიდების B<sub>4</sub>C-TiB<sub>2</sub>/ZrB<sub>2</sub> (მათ შორის, ბორის მიმართ 10B/11B იზოტოპურად მოდიფიცირებული) ნანოკრისტალური კომპოზიტური ფხვნილები. ამ მიზნით შეირჩა საწყისი კომპონენტები შემდეგი ნივთიერებებიდან: ბორის წყაროდ – ამორფული ბორი, ბორის ჟანგი, ბორის მჟავა; და ტიტანის წყაროდ – ტიტანის ორჟანგი, ტიტანის ქლორიდი; აგრეთვე, ბორისა და ტიტანის ალკოქსიდები. მათგან თხევადი ნახშირწალბადების ბაზაზე მომზადებული სუსპენზიური ხსნარები თერმულად დამუშავდა შემდეგი ეტაპების გავლით: კონდენსაცია, დეჰიდრატაცია და პიროლიზი. სელექტიური პროცესები – კარბიდიზება და ბორირება – განხორციელდა მაღალ ტემპერატურებზე (1200–1600 °C) ინერტულ ან აღმდგენ გარემოში. მიღებულ იქნა ორფაზიანი (B<sub>4</sub>C და TiB<sub>2</sub> ან ZrB<sub>2</sub>) კომპოზიტური ფხვნილები, რომელთა თითოეულ ნაწილაკში თითქმის ჰომოგენურადაა განაწილებული ნანოკრისტალური (ზომით < 100 ნმ) კომპონენტები. სინთეზირებული B<sub>4</sub>C – TiB<sub>2</sub> / ZrB<sub>2</sub> ნანოკრისტალური კომპოზიტური ფხვნილები გამოკვლევულ იქნა რენტგენოსტრუქტურული ანალიზისა და ელექტრონული მიკროსკოპიის მეთოდებით. განისაზღვრა მათი დისპერსულობა და ქიმიური სისუფთავის ხარისხი. მესამე ეტაპზე სინთეზირებულია წვრილმარცლოვანი კომპლექსური კომპოზიტი - **B<sub>4</sub>C-TiB<sub>2</sub>-WC-Co**. კომპოზიტის შემადგენელი სხვადასხვა ფიზიკურ-ქიმიური თვისებების მქონე ნაერთები წარმოიქმნება ტემპერატურულ ინტერვალში 1000-1600°C. დადგენილია, B<sub>4</sub>C-TiB<sub>2</sub> კომპოზიტში კობალტისა და WC დამატება მკვეთრად ამცირებს ფხვნილის ნაწილაკების ზომას 1–5 მკმ-დან 200–600 ნმ-მდე. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ Co და WC ფაზები წარმოიქმნება 800-1000°C-ზე, TiB<sub>2</sub> 1100-1200°C-ზე, ხოლო **B<sub>4</sub>C** > 1300°C. ყველა ფაზა მიღებული იქნა ერთ ტექნოლოგიურ ციკლში სისტემიდან B<sub>(ამორფ)</sub>- Co(CH<sub>3</sub>COO)<sub>2</sub>·4H<sub>2</sub>O – WO<sub>3</sub> – TiO<sub>2</sub> – C12H12O6.

ბორის კარბიდის მატრიცული კერამიკის ულტრადისპერსული ფხვნილის შემცველი ვოლფრამის ბორიდი სინთეზირებული იქნა დაბალ ტემპერატურული მეთოდით. ვოლფრამის ბორიდი წარმოადგენს სუპერ მყარი მასალების მნიშვნელოვან კლასს სამრეწველო გამოყენების მრავალფეროვნებით. პრეკერამიკული წინამორბედების მოსამზადებლად გამოყენებული იქნა სველი ქიმიური მეთოდი. ტექნიკა ითვალისწინებს ამონიუმის პარავოლფრამატის, ცირკონიუმის(IV) ოქსიდის, კობალტის აცეტატის ტეტრაჰიდრატის, საქაროზის და ამორფული ბორის ნარევიდან ბლანტი პასტის გამოწვას 200 °C ჰაერზე და შემდეგ 600 °C-ზე არგონის ატმოსფეროში 2 საათის განმავლობაში, შემდგომი მიღებული ფხვნილების დაფქვით და დამატებითი დაფქვით 800–1500 °C ტემპერატურაზე. რთული კერამიკული ფხვნილების ცხელი დაწნეხვა 1000–1700 °C ტემპერატურაზე განხორციელდა SPS მეთოდის გამოყენებით. დადგინდა, რომ 600 °C ტემპერატურაზე წარმოიქმნა WO<sub>3-x</sub>, Co<sub>3</sub>O<sub>4</sub>, CoO და ამორფული ნახშირბადი. XRD მონაცემებმა დაადასტურა WC-Co, ZrBr<sub>2</sub>, B<sub>4</sub>C და W<sub>2</sub>B<sub>5</sub> დაბალი ტემპერატურის (800–1000 °C) წარმოქმნა. ვოლფრამის კარბიდი მთლიანად გადავიდა ვოლფრამის ბორიდში. მიღებული ნიმუშების სტრუქტურულ-მორფოლოგიური მახა-

სიათებლები შესწავლილი იქნა SEM-ის გამოყენებით. სინთეზირებული ნანოკრისტალური კომპოზიტიური ფხვნილები გამოკვლეულ იქნა რენტგენოსტრუქტურული ანალიზისა და ელექტრონული მიკროსკოპიის მეთოდებით. განისაზღვრა მათი დისპერსულობა და ქიმიური სისუფთავის ხარისხი. სერთიფიცირებისათვის მომზადდა ნანოკრისტალური კომპოზიტიური ფხვნილების ნიმუშები. დამუშავებულია ბორის კარბიდის ფუძეზე კერამიკული ნანოკომპოზიტიური ფხვნილების მიღების ერთსაფეხურიანი მეთოდი, კომპონენტების შემცველი ნაერთების გახსნით ან ჰომოგენიზირებით სხვადასხვა ორგანულ გამხსნელში. მიღებულია თხევადი პრეკურსორები. ორგანული გამხსნელები, ამ შემთხვევაში, წარმოადგენენ ასევე ნახშირბადის წყაროს ბორის კარბიდის წარმოსაქმნელად. მათი თერმული დამუშავებით შედარებით დაბალ ტემპერატურაზე მიიღება ფხვნილოვანი კომპოზიტები ( $B_4C-TiB_2$ ,  $B_4C-ZrB_2$ ), რომლებიც წარმოადგენენ არა კომპონენტთა უბრალო ნარევეს, არამედ ულტრადისპერსულ სისტემებს. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანი ფაქტორია ფხვნილების კომპაქტირებით მიღებულ მასალებში (ნაკეთობებში) ნანოსტრუქტურის შესანარჩუნებლად და მექანიკური თვისებების ასამაღლებლად. მიღებული ფხვნილების მაღალტემპერატურული შეცხოვრებით (პლაზმურ-ნაპერწყლოვანი სინთეზი) მიღებულია მაღალი სისაღისა და ბზარმედეგი კერამიკული ნაკეთობები. მიიღებულია ოთხკომპონენტური ბორის კარბიდის მატრიცული კერამიკული კომპოზიტი  $B_4C-ZrB_2-W_2B_5-Co$ . ენერგოდისპერსული მეთოდით დადგენილია, რომ კობალტის მაქსიმალური შემცველობა 2% აღწევს. შედეგები მოხსენებული იყო საქართველოში, კანადაში, იაპონიაში და უკრაინაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციებზე.

### 3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

#### 3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

- 1.
- 2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

- 1.
- 2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

- 1.
- 2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

#### 3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

- 1.
- 2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

- 1.
- 2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

- 1.
- 2.

**დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

1) საპატენტო თემატიკის სათაური

- 1.
- 2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები

- 1.
- 2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

- 1.
- 2.

4.2. ეროვნული პატენტები

1) საპატენტო თემატიკის სათაური

1. ხელატური ქრომისა და თუთიის გამოყენება ვერმიკულტივირებაში.

2. მარცვლეულის ლაზერული დასხივებითა და აზოტფიქსატორი ბაქტერიით კომბინირებული დამუშავების ხერხი და მოწყობილობა.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები

1. იამზე ბემკენაძე (პატენტმფლობელი), მაია გოგალაძე (გამომგონებელი), ნაზიბროლა კლარჯეიშვილი (გამომგონებელი), ნიკოლოზ ზაზაშვილი (გამომგონებელი), მარინა ჭიკაიძე (გამომგონებელი), ომარ ლომთაძე (გამომგონებელი).

2. ნანა ბაქრაძე, თეიმურაზ დუმბაძე, ნინო გაგელიძე, ლია ამირანაშვილი.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი



1. U 2021 2094Y
2. საქმის ნომერი: 15776/1; შეტანის თარიღი: 29/10/2021

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები

1. ბალათურია ნ. ბალათურია გ.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. მეცნიერებისა და განათლების განვითარების სტრატეგია კვებისა და გადამამუშავებელ მრეწველობაში. ISBN 978-9941-8-3480-6

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. მეცნიერება და ტექნოლოგიები. სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი 2(736) 2021.

4) გვერდების რაოდენობა

1. 40 გვერდი

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

ნაშრომი წარმოადგენს საქართველოში ჩატარებულ პირველ გამოკვლევას, რომელიც ეძღვნება უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო – კერძო პარტნიორობის (სკპ) სამართლებრივ პრობლემებსა და განვითარების სტრატეგიას. ავტორები სკპ-ს განიხილავენ როგორც კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროში მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების განვითარების მოქნილ და პერსპექტიულ ინსტრუმენტს ინფრასტრუქტურაში კერძო ინვესტიციების მოსაზიდად, რაც უზრუნველყოფს სამეცნიერო – საგანმანათლებლო ცენტრების კორპორაციას რეალური ეკონომიკის სექტორის კომპანიებთან, რაც, თავის მხრივ, ემსახურება ნაციონალური მიზნების მიღწევასა და მეცნიერების სფეროში ქვეყნის სტრატეგიული ამოცანების გადაჭრის საქმეს. სახელმწიფოსა და ბიზნესის თანამშრომლობის უფრო მარტივ მოდელებთან შედარებით, წარმოდგენილი ინსტრუმენტი გულისხმობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო - კვლევითი ორგანიზაციების უფრო მჭიდრო ურთიერთქმედებას რეალური ეკონომიკის საინვესტიციო, ტექნოლოგიურ და სამრეწველო რესურსებთან.

5.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

1. შათირიშვილი ი, კილაძე მ.

2. ქვარცხავა გ., უგრეხელიძე ვ.†

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. ანალიზური ქიმია. ISBN 978-9941-28-692-6, უაკ 543

2. სურსათის ქიმიის რჩეული თავები. ISBN 978-9941-28-678-0

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

2. თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი. ითარგმნა და გამოიცა Springer-Verlag GmbH,DE, Springer Nature-ს მიერ.

4) გვერდების რაოდენობა

1. 301 გვერდი

2. 661 გვერდი

### ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.სახელმძღვანელოში განხილულია ანალიზური ქიმიის ზოგადი თეორიული საფუძვლები, თეორიები, მეთოდები და არაორგანულ ნივთიერებათა თვისებითი ანალიზის ტექნიკა. იგი შედგენილია ანალიზური ქიმიის პროგრამასთან შესაბამისობაში, კატიონთა ანალიზის კლასიკური სულფიდური სისტემის საფუძველზე დამყარებული სულფიდების, ქლორიდებისა და კარბონატების ხსნადობაზე.

წიგნში განსაკუთრებით ყურადღება აქვს დათმობილი ქიმიური ექსპერიმენტების ტექნიკის აღწერას, რეაქციის ჩატარების პირობების განხილვას, კატიონების დაცილებისა და აღმოჩენის მეთოდებს.

სახელმძღვანელო განკუთვნილია სხვადასხვა პროფილის უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი ფაკულტეტების, სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებისათვის.

2. სახელმძღვანელოში მოცემულია ორიგინალის- „სურსათის ქიმიის“ რჩეული თავები. ორიგინალიდან ქართულ ნათარგმნში შესულია მე-7 და 9-23 თავები. თარგმანში არ შევიტანეთ 1-6 და მე-8 თავები, ვინაიდან აქ გადმოცემული მასალა დიდწილად ორგანულ ქიმიისა და ბიოქიმიის საკითხებს წარმოადგენს.

წიგნი განკუთვნილია სასურსათო ტექნოლოგიების ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისთვის, ის სათანადო დახმარებას გაუწევს მაგისტრატურის სტუდენტებსაც. სახელმძღვანელოზე მუშაობა მოიხოვს ორგანული ქიმიისა და ბიოქიმიის ცოდნას.

წიგნი განკუთვნილია სასურსათო ტექნოლოგიების ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისთვის, ის სათანადო დახმარებას გაუწევს მაგისტრატურის სტუდენტებსაც. სახელმ-ძღვანელოზე მუშაობა მოიხოვს ორგანული ქიმიისა და ბიოქიმიის ცოდნას.

მთარგმნელები დიდ მადლობას უხდებიან პროფესორებს გურამ ტყემალაძესა და მალხაზ ბერეჟიანს რედაქტირებაში გაწეული ფასდაუდებელი შრომისთვის, რაც თარგმანზე არა ნაკლები საქმეა. ასევე მადლობას ვუხდით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის სტუდენტებს და

თანამშრომლებს - გვანცა წიწილაშვილს, ანა მჭედლიძეს და სოფი ხარაიშვილს, ასევე 54-ე სკოლის მოსაწავლე რეზი ქვარცხავას, ტექნიკური დახმარებისათვის.

თარგმნის პროცესი საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი იყო, რადგან დასაზუსტებელი იყო ბევრი ტერმინი და ცნება, ამიტომ გარკვეული ხარვეზი შეიძლება კვლავ არსებობდეს.

მთარგმნელები მაღლიერი ვიქნებით, თუ მოგვაწვდით იმ საგულისხმო შენიშვნებსა და შეცდომებს, რომლებიც შესაძლოა წიგნში შეგხვდეთ.

#### 5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

##### 1) ავტორი/ავტორები

1. ნ.გამყრელიძე, გ.ქვარცხავა.
2. გამყრელიძე ნ.
3. ბალათურია ნ., ბალათურია გ.
4. მ. ლოლაძე, დ. კალატოზიშვილი, ნ. ხერხეულიძე, გ. ბალათურია, ნ. ბალათურია.
5. მ. ლოლაძე, დ. კალატოზიშვილი, გ. ბალათურია, ნ. ბალათურია.
6. მ. ლოლაძე, დ. კალატოზიშვილი, გ. ბალათურია, ნ. ბალათურია, კეკელიძე ი.

##### 2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1. კვრინჩხის (*Prunus spinosa*) ნაყოფიდან და ფოთლებიდან ექსტრაქციის პირობების გავლენა ფენოლური ნაერთების გამოსავლიანობაზე (<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-2-49-56>).
2. პროოქსიდანტები და ანტიოქსიდანტები ბიოლოგიურ სისტემებში.
3. მცენარეული ნედლეულის კომპლექსური გადამუშავება.
4. ყურძნის წიპწის გავლენის გამოკვლევა წითელი ღვინის ქიმიურ შედგენილობასა და ორგანოლექტიკურ მაჩვენებლებზე.

##### 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. „შრომები“ - სტუ-ს სამეცნიერო შრომების კრებული; №2(520) 2021.
2. საქართველოს საინჟინრო სიახლენი, №2, ტ.93, 2021.
3. მეცნიერება და ტექნოლოგიები.#2, 2021.
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომათა კრებული.

##### 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“
2. თბილისი, TECHINFORMI.
3. სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი. თბილისი
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი

##### 5) გვერდების რაოდენობა

1. 8 გვერდი

- 2. 4 გვერდი
- 3. 71-87 გვერდი
- 4. 5 გვერდი

### ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

#### 1. კვრინჩხის (*Prunus spinosa*) ნაყოფიდან და ფოთლებიდან ექსტრაქციის პირობების გავლენა ფენოლური ნაერთების გამოსავლიანობაზე

სურსათის წარმოებაში გამოყენებული მცენარეული ექსტრაქტები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სურსათის ხარისხს. მცენარეული ექსტრაქტების საბოლოო გამოყენების ერთ-ერთი წინაპირობა თავად ამ ექსტრაქტების ქიმიური შედგენილობაა. ექსტრაქტების ქიმიურ შედგენილობას კი განსაზღვრავს ექსტრაქციის მეთოდი და პირობები - ტემპერატურა, ხანგრძლივობა, ექსტრაგენტი. ექსპერიმენტული მონაცემებიდან გამომდინარე შეირჩა კვრინჩხის (*Prunus spinosa*) ნაყოფიდან და ფოთლებიდან ფენოლური ნაერთების ექსტრაქციის ოპტიმალური პირობები. ექსპერიმენტისას გამოყენებული ექსტრაქციის მეთოდები და ფენოლური ნაერთების ყველაზე მაღალი შემცველობა აჩვენა ულტრაბგერითი ექსტრაქციით მიღებულმა ექსტრაქტებმა. წყლისა და ეთილის სპირტის სხვადასხვა მოცულობითი თანაფარდობებიდან კარგი შედეგი აჩვენა 0,25 წილი წყლისა და 0,75 წილი ეთილის სპირტის ნარევი. ექსტრაქციის ოპტიმალურმა დრომ კი შეადგინა 90 წუთი. ხოლო ოპტიმალური ტემპერატურა 40 – 42°C-ია. ამ მეთოდით მიღებულ ექსტრაქტებში ფენოლური ნაერთების საერთო მნიშვნელობამ კვრინჩხის ნაყოფისათვის შეადგინა  $35,62 \pm 0,17$  მგ·გ<sup>-1</sup> (მშრალი მასა), ხოლო ფოთლებისათვის  $44,76 \pm 0,08$  მგ·გ<sup>-1</sup> (მშრალი მასა).

#### 2. პროქსიდანტები და ანტიოქსიდანტები ბიოლოგიურ სისტემებში

ცოცხალ ორგანიზმებში მუდმივად მიმდინარე მეტაბოლურ გარდაქმნებს თან ახლავს ჟანგვისა და აღდგენის პროცესები. ამ პროცესებში მონაწილე რადიკლებსა და ელემენტთა აქტიურ ფორმებს მნიშვნელოვანი როლი აქვს უჯრედთა ნორმალურ ფუნქციონირებაში, თუმცა ჭარბი კონცენტრაციების შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს უჯრედთა დაზიანება და „ჟანგვითი სტრესი“ თუ დაცვითი მექანიზმები არ არის ეფექტური. ცოცხალ ორგანიზმებში „ჟანგვითი სტრესი“-ს გამომწვევი ელემენტთა აქტიური ფორმების ჭარბი რაოდენობით დაგროვების მრავალი მიზეზი არსებობს. მათ შორისაა მაღალი ტემპერატურა, ქიმიური ნივთიერებები, რადიაცია და სხვა. ნივთიერებებს, რომლებიც ხელს უშლიან რადიკალებისა და ელემენტთა აქტიური ფორმების დაგროვებას წარმოადგენენ ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე პოლიფენოლური ნაერთები.

3. დამუშავებულია მცენარეული ნედლეულიდან - ყურძენი, მანდარინის ნაყოფების კომპლექსური გადამუშავების ტექნოლოგიები. ყურძნის კომპლექსური გადამუშავებისას მიზნობრივ პროდუქტთან - ღვინოსთან ერთად მიიღება ახალი პროდუქტები: ყურძნის პასტა და ყურძნის ჰიდროლატი. მანდარინის ნაყოფების გადამუშავებისას მიიღება: მანდარინის პასტა, მანდარინის ჰიდროლატი და პარფიუმერული ლიმონენი.

ყურძნისა და მანდარინის ნედლეულის კომპლექსური და უნარჩენო გადამუშავება მნიშვნელოვნად ზრდის წარმოების ეფექტურობას.

4. წითელი ღვინის ხარისხი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მასში ფენოლური ნაერთების შემცველობაზე. ცნობილია, რომ ფენოლური ნაერთები ღვინოში გადადის ყურძნის მყარი ნაწილებიდან - კლერტიდან, კანიდან და წიპწიდან. დადგენილია ისიც, რომ ღვინის ხარისხზე

დადებით გავლენას ახდენს ყურძნის მარცვლის კანში არსებული ფენოლური ნაერთები. წიპწისა და კლერტის ფენოლური ნაერთები ღვინოს სძენენ სიმწკლარტესა და სიუხემეს. ჩვენ მიერ დამუშავებულ იქნა ღვინის დაყენების ხერხი, რომელიც, დელესტაჟის მეთოდისაგან განსხვავებით, ითვალისწინებს წინასწარ წიპწაგაცლილი დურდოს დადუღებას.

#### 5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

##### 1) ავტორი/ავტორები

1. ქ.ა. მახაშვილი, რაზმაძე ნ., ტყემალაძე გ.შ., დოჭვირი ბ.მ.
2. ქ.ა. მახაშვილი, ხეჩინაშვილი ზ.ჯ., ტყემალაძე გ.შ., დოჭვირი ბ.მ.
3. დოლიძე მ., სუხიშვილი ნ., ოთარაშვი ნ.
4. Кварцхава Г., Дзnelაdze C. Дж., Сираdze M. Г.
5. Дзnelაdze C. Дж.
6. მამარდაშვილი ნ.გ, აბაშიძე ს.ბ, ქურიძე მ. გ.

##### 2) სტატიის სათაური, ISSN

1. ევროპული ოფციონის ფასდადების მოდელირება. ISSN 1512-0287
2. ტოქსინების ყოფაქცევის რეგრესიული მოდელის შესახებ. ISSN 1512-0287
3. ჭვავის ნედლეულის გამოყენება საკონდიტრო ნაწარმში. ISSN 1512-0287.
4. „Влияние режимов переработки подсолнечных семян на содержание фосфолипидов в масле“, ISSN 1512-2743.
5. „Подготовка семян подсолнечника к переработке“, ISSN 1512-2743.
6. ინოვაციური ტექნოლოგიის შემუშავებით მწვანე კაკლის ნარჩენიდან სადესერტო ლიქიორის დამზადება.

##### 3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. Georgian Engineering News, #1, vol. 92, 2021, გვ.129-136
2. Georgian Engineering News, #1, vol. 92, 2021, გვ. 137-139.
3. საქართველოს საინჟინრო სიახლენი.
4. „მოამბე“, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული, რეფერირებადი სამეცნიერო შრომათა კრებული, № 1 (45).
5. „მოამბე“, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული, რეფერირებადი სამეცნიერო შრომათა კრებული, № 1 (45).
6. Georgian Engineering News GEN. გვ. 169 -172. 2021. ტ.1. ISSN 1512-0287

##### 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, საქართველოს საინჟინრო აკადემია
2. თბილისი, საქართველოს საინჟინრო აკადემია

3. საქართველოს საინჟინრო აკადემია. თბილისი.
4. თბილისი, გამომცემლობა „აგრო“.
5. თბილისი, გამომცემლობა „აგრო“.
6. ქ. თბილისი, საქართველოს საინჟინრო აკადემია.

#### 5) გვერდების რაოდენობა

1. 8 გვ.
2. 3 გვ.
3. 3 გვერდი
4. 107-109 გვ
5. 110-113 გვ
6. 2 გვერდი

#### ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სამყაროში ყველაფერი იცვლება სივრცესა და დროში. ეს ცვლილებები, როგორც წესი, შემთხვევით ხასიათს ატარებს. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ კარგად ცნობილი ბროუნის მოძრაობა, ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სხვა სახის ცდების შედეგები, ნებისმიერი ეკონომიკური მაჩვენებელი, ფინანსური ნაკადების მახასიათებლები და უამრავი სხვა ცვლადი სიდიდე. საინტერესოა შევნიშნოთ, რომ შემთხვევითი ხასიათის ცვლადი სიდიდის (შემთხვევითი სიდიდის) ცხადი ანალიზური წარმოდგენა ფუნქციის სახით არ შეგვიძლია, რადგან შეუძლებელია ცალსახად წინასწარ განვსაზღვროთ, თუ რა მნიშვნელობას მიიღებს ცდის შედეგად ასეთი ცვლადი სიდიდე. ამიტომ ამ ცვლადების ყოფაქცევის ანუ ბუნებაში მიმდინარე შემთხვევითი პროცესების შესწავლა და ანალიზი არსებითად ალბა-თობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის მეთოდებით ხდება, რომლის საგანი სწორედ ამ პროცესების მათემატიკური ანალიზია. ასეთი მიდგომა დღეს გამოიყენება მეცნიერული კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში ცენტრალური ადგილი უკავია ფულად-საკრედიტო პოლიტიკას. ამ პოლიტიკის მართვისა და კონტროლის ინსტრუმენტებია ფინანსური ბაზრის ვარიანტების ოპერაციები, ვალდებულებები, აქციები. ეს ოპერაციები მოიცავს გარკვეულ რისკებს და აუცილებელია მათი სწორად შესწავლა და ანალიზი. ეს საკითხები მიეკუთვნება ფინანსების თეორიას, რომლის მათემატიკურ პრობლემატიკას იკვლევს ბოლო ათწლეულებში ინტენსიურად განვითარებადი სტოქასტური ფინანსური მათემატიკა. ნაშრომში განხილულია ფინანსური ბაზრის და ფასიანი ქაღალდების პრობლემატიკა. სიმარტივისათვის მოტანილია მხოლოდ ორ აქტივიანი ფინანსური ბაზრის შემთხვევა და გადაწყვეტილია ევროპული ტიპის ყიდვის სტანდარტული ოფციონის ფასდადების ორ ნაბიჯიანი ამოცანა. შევნიშნავთ, რომ ჩვენ მიერ შესწავლილია ნაშრომში განხილული საკითხების ანალოგიური საკითხები მრავალ აქტივიანი ფინანსური ბაზრის შემთხვევაში. ნაშრომში მოტანილი შედეგები შეიძლება განზოგადდეს მრავალაქტივიანი ფინანსური ბინომური ბაზრის შემთხვევაში.

2. ბიოქიმიურ სამყაროში მიმდინარე პროცესები რთული ბუნებისაა და საჭიროა ამ პროცესების ადეკვატური აღწერა სათანადო მათემატიკური მოდელებით. აგებულია მაგალითად, ქიმიური და ბიოლოგიური რეაქციების აღმწერი დეტერმინისტული და

სტოქასტური მოდელები, რომელშიც არსებითად გამოიყენება ალბათურ-სტატისტიკური მეთოდები. ჩვენი კლავა ეხება წყალში მცხოვრებ ორგანიზმებს (თევზებს). ორგანიზმში ნივთიერების შეღწევადობა გვიჩვენებს ნივთიერების შესაძლებლობას შეაღწიოს ცოცხალ ორგანიზმში. ნივთიერებისთვის შესაბამისი ქულის მინიჭებისთვის ვიყენებთ ბიოკონცენტრაციის ფაქტორს (BCF), რომელსაც განვსაზღვრავთ ოქტანოლის და წყლის განაწილების კოეფიციენტით. ამ ორ სიდიდეს შორის არსებობს წრფივი დადებითი კავშირი. მიღებულია საბოლოო განტოლება, რომელიც გვიჩვენებს ნივთიერების (ტოქსინების) ორგანიზმში (bluegill sunfish) შეღწევადობას.

3. მსოფლიო ბაზარზე წითელი ღვინისადმი ინტერესი სულ უფრო იზრდება. წლებთან ერთად იცვლება მომხმარებლის გემოვნება, თუმცა უცვლელი რჩება მხოლოდ ერთი - ღვინო უნდა აკმაყოფილებდეს მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს, რაც თავის მხრივ გულისხმობს სასიამოვნოს შეთავსებას სასარგებლოსთან. დღეისათვის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა შერწყმულია საუკუნეების განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებასა და ტრადიციების შენარჩუნებასთან. წითელი ღვინის წარმოების ტრადიციული ტექნოლოგია ითვალისწინებს ტკბილის დაყოვნებას ჭაჭაზე, რომლის დროსაც ყურძნის მაგარი ნაწილებიდან (კანი, წიპწა, კლერტი) ტკბილსა და შემდეგ უკვე ღვინოში ექსტრაგირდება ფენოლური და არომატული ნივთიერებები. სწორედ ფენოლური ნაერთების შემცველობა განაპირობებს წითელი ღვინის ანტიოქსიდანტურ თვისებებს. ფენოლური ნაერთებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სტილბენების ჯგუფის წარმომადგენელი რეზვერატროლი (3,5,4' - ტრიჰიდროქსისტილბენი), რომელიც ძლიერ ანტიოქსიდანტს წარმოადგენს და ღვინის სამკურნლო თვისებებს განაპირობებს. მაღალეფექტული სითხური ქრომატოგრაფის საშუალებით განისაზღვრა ხუთი ქართული ნაკლებად შესწავლელი წითელი ყურძნის ჯიშის (სიმონასეული, მესხური შავი, სრელური, გაბაშა და საფერავი) ღვინოში რეზვერატროლის შემცველობა. აღმოჩნდა, რომ აღნიშნული ჯიშები მდიდარია რეზვერატროლით, რაც თავის მხრივ აღნიშნული ჯიშებიდან დამზადებული ღვინოებისადმი ინტერესის ზრდის მიზეზია. ეს უკანასკნელი კითხვამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ღვინის ასორტიმენტის გაფართოების საფუძველს იძლევა.

4. ნაშრომში გადმოცემულია თბოდამატენიანებელი დამუშავების პროცესში მზესუმზირას ბირთვის ფრაქციიდან ფოსფოლიპიდების ზეთში გადასვლის ანალიზი. წარმოდგენილია მონაცემები მზესუმზირას სხვადასხვა ზომით დაქუცმაცებული ნედლეულის პირდაპირი ექსტრაქციით მიღებულ ზეთში ფოსფოლიპიდების რაოდენობრივი გადასვლის შესახებ. დადგინდა, რომ ექსტრაქტირებულ ზეთში გადასულია ფოსფოლიპიდების ძირითადი ნაწილი, რაც ექსტრაქტირებული ზეთის შემდგომი ჰიდრატაციის საშუალებას იძლევა.

5. ნაშრომში შესწავლილია მზესუმზირას ზეთოვანი ნედლეულის თერმოდატენიანებით დამუშავებისას ნახევარპროდუქტების ზეთშემცველობის ცვლილებების საკითხი. დადგინდა, რომ საუკეთესო ექსტრაქტულობა ახასიათებს კოპტონს, რომელიც მიღებულია ბირთვის 3 მმ-დე დაქუცმაცებული ფრაქციიდან. ამ შემთხვევაში ზეთის, ზეთის მცირედ გამოწურვითაც კი, შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ფირფიტის სტრუქტურა, საბოლოოდ დაიშალოს უჯრედის სტრუქტურაც და მიღებულ იქნეს შროტი სასურველი ზეთშემცველობით.

6. საქართველოში შესწავლილია კაკლის ნარჩენი (მწვანე კაკლის კანი, ნაფრცქვენი), რომელიც ფართოდ გამოიყენება ალკოჰოლური სასმელების დასამზადებლად. მწვანე კაკლის ნარჩენიდან მაღალი ხარისხის ექსტრაქტის მისაღებად ოპტიმალური პარამეტრები განისაზღვრება მისი მაქსიმალური გამოსავლიანობის მიხედვით. მიღებული ექსტრაქტიდან დამზადებული იქნა ეკოლოგიურად სუფთა, ნატურალური სადესერტო ლიქიორი, რომელიც ხასიათდება მწვანე კაკლის შეფერილობით და სასიამოვნო არომატით. ლიქიორის დასამზადებლად გამოყენებულია ინვერსიული შაქარის სიროფი, რომელიც აუმჯობესებს კვებით ღირებულებას.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

4) გვერდების რაოდენობა

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

6.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

1.

2.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1.

2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1.

2.

4) გვერდების რაოდენობა

1.

2.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

6.3. კრებულები

1) ავტორები

1.

2.



2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

- 1.
- 2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

- 1.
- 2.

4) გვერდების რაოდენობა

- 1.
- 2.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. Iamze Beshkenadze, Nazibrola Klarjeishvili, Maia Gogaladze, Omar Lomtadze, Lia Gogua
2. Iamze Beshkenadze, Nikoloz Zazashvili, Maia Gogaladze, Nazibrola Klarjeishvili, Mikheil Chichagua, Marina Chikaidze
3. Giorgi Chagelishvili, Amrosi Chkuseli, Iamze Beshkenadze, Maia Gogaladze, Nazibrola Klarjeishvili.
4. N. Barbakadze, L. Chkhartishvili, A. Mikeladze, O. Tsagareishvili, K. Sarajishvili, T. Korkia, M. Darchiashvili, L. Rurua, N. Jalabadze, R. Chedia.
5. Lili Nadaraia, Tamar Dundua, Nino Gamkrelidze, Vladimer Tsitsishvili, Natia Barbakadze, Roin Chedia.
6. M. Dering, M. Baranowska, B. Beridze, I. J. Chybicki, I. Danelia, G. Iszkuło, G. Kvartskhava, P. Kosiński, G. Rączka, P. A. Thomas, D. Tomaszewski, Ł. Walas & K. Sękiewicz.
7. Gurgenidze L., Sachaneli T., Kanchaveli T., Kvartskhava G.
8. Kanchaveli T., Gurgenidze L.
9. Bakradze, N., Gagelidze, N., Dumbadze, T., Amiranashvili, L., Batako, A.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. Physical-Chemical Studies of  $M_2^{I} \cdot M^{II} \cdot L_2 \cdot nH_2O$  Type Heteronuclear Citrates

$M_2^{I} \cdot M^{II} \cdot L_2 \cdot nH_2O$  ტიპის ჰეტერობირთვული ციტრატების ფიზიკურ-ქიმიური კვლევა  
<https://www.appleacademicpress.com/advanced-materials-polymers-and-composites-new-research-on-properties-techniques-and-applications/9781771889513>

2. Cluster Chelates Based on Microelements (Fe, Co, Cu) and Natural Raw Materials

მიკროელემენტებისა (Fe, Co, Cu) და ბუნებრივი წედლეულის შემცველი კლასტერული ხელატები  
ISSN: 2454-4116; <https://doi.org/10.31871/IJNTR.7.1.12>

3. International Journal of New Technology and Research (IJNTR)

Volume-7, Issue-10, October

4. Method of Obtaining Multicomponent Fine-Grained Powders for Boron Carbide Matrix

Ceramics Production <https://doi.org/10.1016/j.matpr.2021.08.013>

5. Graphite Foil Waste to Graphene: New Carbon Precursors for Synthesis of Graphene and its Oxides

6. The evolutionary heritage and ecological uniqueness of Scots pine in the Caucasus ecoregion is at

risk of climate changes. <https://doi.org/10.1038/s41598-021-02098-1>

7. Determining Level of Trans-Resveratrol in Wines produced from some of the Rare Georgian Red Grape Varieties. ISSN: 2455-3174.

8. Perspectives of Wine Lees Application in Poultry Farming. ISSN: 2455-3174.

9. Influence of Laser Treatment on the Growth of Sprouts of Different Wheat Varieties.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. **Advanced Materials, Polymers and Composites**

**Pub Date:** May 2021

**Hard ISBN:** 9781771889513

2. International Journal of New Technology and Research (IJNTR)

Volume-7, Issue-1, January

3. International Journal of New Technology and Research (IJNTR)

Volume-7, Issue-10, October

4. Materials Today: Proceedings. Elsevier Ltd., UK

5. Trans Tech Publications Ltd, Switzerland

Key Engineering Materials, vol.891, 2021

6. Scientific reports. Published: 24 November 2021

7. International Journal of Scientific Research in Chemical Sciences. 8 (1).

8. International Journal of Scientific Research in Chemical Sciences. 8 (2).

9. International Journal of Biotechnology and Bioengineering. Open Science Index 177, 2021, 15, 9

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. **Advanced Materials, Polymers and Composites**

2. International Journal of New Technology and Research (IJNTR)

3. International Journal of New Technology and Research (IJNTR)

4. Materials Today: Proceedings. Elsevier Ltd., UK

5. Trans Tech Publications Ltd, Switzerland

6. Scientific reports.

7. India

8. India

9. World Academy of Science, Engineering and Technology

5) გვერდების რაოდენობა

1. 43-52 გვ.

2. 8-11 გვ.

3. 9-14 გვ.

4. 9 გვერდი

5. 7 გვერდი

6. 17 გვერდი

7. 2. 1-3 pp.

8. 26-29 pp.

9. 4 გვ.

## ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. შესწავლილია  $M_2^I \cdot M^{II} \cdot L_2 \cdot nH_2O$  ტიპის ჰეტერობირთვული ხელატური ციტრატების ხსნადობა სხვადასხვა გამხსნელში (წყალი, სპირტი, აცეტონი, დიმეთილფორმამიდი). დადგენილია, რომ რომ ისინი ცუდად იხსნება ყველა გამხსნელში როგორც ოთახის ტემპერატურაზე, ასევე გაცხელებით.

თერმოგრაფიული შესწავლით შესწავლილია მათი თერმული მდგრადობა და თერმოლიზის პროცესის მიმდინარეობა. კერძოდ, ჰეტერობირთვული ციტრატების თერმული დაშლა მიმდინარეობს ეტაპობრივად: I-წყლის მოლეკულის მოწყვტა, II-ციტრატ-იონის დაჟანგვა თანდათანობით ან ერთდროულად. თერმოლიზის საბოლოო პროდუქტებია: (ა) ლითონის ოქსიდების ნარევი; ბ) ლითონ-ოქსიდების და ნახშირის ნარევი; ან (გ) ლითონები.

ჩატარებული ინფრაწითელი სპექტრალური გამოკვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ  $M_2^I \cdot M^{II} \cdot L_2 \cdot nH_2O$  ტიპის ხელატურ ნაერთებში ჰიდროქსო-ჯგუფები არ დეპროტონირდებიან და დეპროტონირებას განიცდის ლიმონის მჟავას სამივე კარბოქსილის ჯგუფი, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ლითონების იონებთან როგორც კოორდინაციული, ისე იონური ბმების წარმოქმნაში. (COOH) ჯგუფების სტერეოქიმიიდან გამომდინარე, პირობების მიხედვით, ციტრატ-იონს შეუძლია გამოვიდეს როგორც ხიდური კარბოქსილატური, ასევე ბიდენტანტური ან ტრიდენტანტური ხიდური კარბოქსილატური ლიგანდის როლში.

2. ნაჩვენებია სინთეზის მეთოდები და სინთეზირებულია Fe, Co და Cu-ის კლასტერული ხელატური ნაერთები ლითონთა აცეტატებისა და მცენარეული წარმოშობის კონცენტრატ-„დასი“-ის საფუძველზე. სინთეზირებულ ნაერთებში ერთმანეთთან დაკავშირებულია ლითონთა სხვადასხვა რიცხვი სინთეზის პირობებისაგან დამოკიდებულების მიხედვით. შესწავლილია სინთეზირებული ნაერთების ინდივიდუალობა მიკროელემენტური ანალიზის და რენტგენოგრაფიული კვლევის მეთოდებით, ასევე ლღობის ტემპერატურის განსაზღვრით. განსაზღვრულია ნაერთების თვისობრივი ხსნადობა სხვადასხვა გამხსნელში.

სინთეზირებული კლასტერული ხელატების ბიოლოგიური აქტივობის შესწავლით მიზნით ჩატარებულია მოსინჯვითი ცდები ბოცვერზე.

ცდის ჩასატარებლად, ანალოგების პრინციპით არჩეული იქნა 30 დღიანი ბაჭიები. ცდისთვის შედგა ბოცვრების ორი ჯგუფი: I საცდელი (რომლის კომბინირებული საკვები ბალანსდებოდა კლასტერული ხელატების შემცველი პრემიქსით) და II საკონტროლო (რომელსაც ეძლეოდა ფერმაში არსებული საკვები) თითოეულ ჯგუფში იყო 10-10 სული.

პირველი აწონვა მოხდა 45 დღის ასაკში, სულადობის დაკომპლექტებიდან 15 დღის გავლის შემდგომ, ხოლო დანარჩენი აწონვები - 60; 90 და 120 დღის ასაკში.

ცოცხალი მასის დინამიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ცდის მსვლელობის პერიოდში საცდელი ჯგუფის ზრდა-განვითარების მაჩვენებლები საკონტროლოსთან შედარებით აშკარა უპირატესობით ხასიათდებოდა. ცდის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოცვრების კომბინირებული საკვების პრემიქსების შემადგენლობაში კლასტერული ხელატების შეყვანა დადებით გავლენას ახდენს ცოცხალი მასის ზრდა-განვითარებაზე და რეზისტენტობაზე. ცდის საფუძველზე მოწოდებულია პრემიქსში შემავალი ხელატური მიკროელემენტების ოპტიმალური რაოდენობები 100კგ.საკვებზე გადაანგარიშებით.

გამოთქმულია მოსაზრება ძირითადი ექსპერიმენტის ჩატარების მიზანშეწონილობის შესახებ რათა დადგენილი იქნას ბოცვრების საშუალო წონამატი, საკვების ათვისება და ანაზღაურება გამო ზრდის პერიოდში.

3. დადგენილია სინთეზის პირობები და სინთეზირებულია მეთიონინის შემცველი ქრომის ხელატური ნაერთები:  $\text{Cr}(\text{Mt})(\text{CH}_3\text{COO})_2(\text{I})$ ;  $\text{Cr}(\text{Mt})_2(\text{CH}_3\text{COO}) \cdot 2\text{H}_2\text{O}(\text{II})$ ;  $\text{Cr}(\text{Mt})_3 \cdot 2\text{H}_2\text{O}(\text{III})$ . დადგენილია სინთეზირებული ნაერთების შემადგენლობა მიკროელემენტური ანალიზით, ინდივიდუალობა ლღობის ტემპერატურის გაზომვით. ხელატები შესწავლილია რიგი ფიზიკო-ქიმიური კვლევის მეთოდებით. კერძოდ, თერმოგრაფიული კვლევის მეთოდით დადგენილია, რომ ისინი იშლებიან საფეხურებად  $540-630\text{ }^\circ\text{C}$  ტემპერატურულ ზღვარში შემდეგი თანმიმდევრობით: I - წყდება წყლის მოლეკულები; II - იჟანგება აცეტატ იონები; III - იჟანგება მეთიონინის მოლეკულა. დაშლის საბოლოო პროდუქტებია ქრომის სულფიდის და ოქსიდის ნარევი(I); ქრომის სულფიდი(II) ან ქრომის სულფიდის და ნახშირის ნარევი (III). სპექტროფოტომეტრული კვლევის მეთოდით დადგენილია, რომ მეთიონინი გამოდის რა ციკლური ლიგანდის როლში, შმას ახორციელებს ქრომის ატომებთან ამინო ჯგუფის აზოტის და კარბოქსილის ჯგუფის იონის ( $\text{COO}^-$ ) ჟანგბადის ატომების საშუალებით ხუთწევრიანი ლითონოციკლების წარმოქმნით.

ქრომის ხელატური ნაერთის ბიოლოგიური აქტივობის შესწავლის მიზნით ჩატარებულია ექსპერიმენტი ბროილერზე. შესწავლილია ბროილერის ცოცხალი მასის დინამიკა, ცოცხალი მასის აბსოლუტური ნამატი, დღიური წონამატი, ფრინველის შენარჩუნება, 1კგ. წონამატზე საკვების დანახარჯი, ბროილერის გამოზრდის ეფექტურობა. დადგენილია, რომ ხელატური ქრომის გამოყენებამ ბროილერის კვებაში დადებითი გავლენა იქონია ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მაჩვენებელზე და ქრომის ხელატის ოპტიმალურ დოზას შეადგენს 100მკგ. ერთ ფრთაზე.

4. ნაშრომში განხილულია ვოლფრამის ბორიდის შემცველი ულტრადისპერსული ფხვნილების სინთეზის მეთოდები, რომლებიც პერსპექტიულია ბორის კარბიდის მატრიცული კერამიკების მისაღებად. ფხვნილების მიღება განხორციელდა სველი მეთოდით, რომლის არსი მდგომარეობს ხელმისაწვდომი და იაფი ნაერთებიდან პასტის დამზადებაში და მის თერმულ დამუშავებაში  $200\text{ }^\circ\text{C}$  და  $600\text{ }^\circ\text{C}$ -ზე. პრეკერამიკული პრეკურსორები მიღებულია  $1000\text{ }^\circ\text{C}$ -ზე არგონის არეში. საწყის ნაერთებად გამოყენებულია ამონიუმის პარავოლფრამატი, ცირკონიუმის ოქსიდი, საქაროზა, კობალტის აცეტატი და ამორფული ბორი. დადგენილია, რომ ფხვნილების მიღების პროცესში ( $600-1000\text{ }^\circ\text{C}$ ) წარმოიქმნება  $\text{WO}_{3-x}$ ,  $\text{Co}_3\text{O}_4$ ,  $\text{CoO}$ ,  $\text{WC-Co}$ ,  $\text{ZrB}_2$ ,  $\text{B}_4\text{C}$  და  $\text{W}_2\text{B}_5$ . დამუშავებულია ორი სხვადასხვა შედგენილობის ( $\text{ZrO}_2(\text{m})-\text{ZrB}_2-\text{B}_4\text{C}-\text{W}_2\text{B}_5-\text{WC}$  და  $\text{ZrB}_2-\text{W}_2\text{B}_5-\text{WC}$ ) პრეკერამიკული პრეკურსორის მიღების მეთოდები. ისინი მიღებულია  $1000\text{ }^\circ\text{C}$ -ზე არგონის არეში. ფხვნილების შეცხოებისას ( $>1300\text{ }^\circ\text{C}$ ) ვოლფრამის კარბიდი სრულად გარდაიქმნება ვოლფრამის ბორიდად, ხოლო ცირკონიუმის დიოქსიდი წარმოქმნის  $\text{ZrB}_2$ -ს, რის შედეგად მიიღება ოთხკომპონენტური ბორის კარბიდის მატრიცული კერამიკული კომპოზიტი  $\text{B}_4\text{C}-\text{ZrB}_2-\text{W}_2\text{B}_5-\text{Co}$ . ენერგოდისპერსული მეთოდით დადგენილია, რომ კობალტის მაქსიმალური შემცველობა 2% აღწევს.

5. Graphite Foil Waste to Graphene: New Carbon Precursors for Synthesis of Graphene and its Oxides  
ამ ნაშრომში, გრაფენის ოქსიდი (GO) მიღებულ იქნა გრაფიტის ფოლის ნარჩენების (pGFW)

დაჟანგვით 0 - 40°C ტემპერატურაზე. ჟანგვის პროდუქტებს შეუძლიათ ადვილად შეაღწიონ გრაფიტის ფოლგის ფენებში და, ამგვარად შეიძლება მოხდეს ინტერკალაციის ან ფუნქციონალიზაცია-ჟანგვის პროცესები, რაც გამოიწვევს გრაფიტის ოქსიდის წარმოქმნას. GO-ს სინთეზისა და რეაქციული ნარევიდან მისი გამოყოფის მეთოდები ნაწილობრივ იქნა შესწორებული. ასევე GO აღდგენილ იქნა გრაფენის ოქსიდამდე (rGO) იოდწყალბადმჟავას, ასკორბინის მჟავას, თუთიის ფხვნილის, ჰიდრაზინის და ალნუსის ექსტრაქტის გამოყენებით. pGFW-დან მიღებული GO ფხვნილებისა და GO ფენების თერმული დამუშავება განხორციელდა 20-300°C ჰაერისა და 20-1000°C არგონის ნაკადის ქვეშ და ვაკუუმში. GO-ს მაღალტემპერატურულ დამუშავებისას (1000°C) მიიღება გრაფენი დეფექტური სტრუქტურით.

6. შოტლანდიური ფიჭვი არის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფიჭვი, მაგრამ მომავალში პროგნოზირებენ მის შემცირებას, ძირითადად სამხრეთ ევროპის საზღვრებზე. მისი გავრცელების დიაპაზონის მნიშვნელოვანი ნაწილი მდებარეობს კავკასიაში, მრავალფეროვნების და ცხელ წერტილში. ფიჭვის ტყეები ბიომრავალფეროვნებისა და ენდემიზმის მნიშვნელოვანი რეზერვუარია ამ რეგიონში. ჩვენ გამოვიკვლიეთ დემოგრაფიული და ბიოგეოგრაფიული პროცესები, რომლებმაც ჩამოაყალიბეს შოტლანდიური ფიჭვის გენეტიკური მრავალფეროვნება კავკასიის ეკორეგიონში და მისი სავარაუდო სამომავლო გავრცელება კლიმატის სხვადასხვა ცვლილების მიხედვით. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ კავკასიის პოპულაციების მაღალი გენეტიკური ცვალებადობა ასახავს რთულ გამყინვარებულ და პოსტყინულოვან ისტორიას, რომელსაც ჰქონდა უნიკალური ევოლუციური ტრაექტორია ევროპის მთავარ დიაპაზონთან შედარებით. ფიჭვი ამჟამად იზრდება კავკასიის კლიმატური პირობების ფართო სპექტრით, რაც გულისხმობს წარსულში მაღალ ადაპტაციურ პოტენციალს. თუმცა, შოტლანდიური ფიჭვის ამჟამინდელი გენეტიკური რესურსები კლიმატის ცვლილების მაღალი წნევის ქვეშ იმყოფება. ჩვენი პროგნოზებიდან გამომდინარე, შოტლანდიური ფიჭვის ამჟამინდელი გავრცელების 90% შეიძლება ამ საუკუნეში დაიკარგოს. ტყის ეკოსისტემების სტაბილურობის საფრთხის გამო, ეს მკვეთრად იმოქმედებს კავკასიის ცხელი წერტილის ბიომრავალფეროვნებაზე.

7. მრავალკომპონენტური ნედლეულის გადამუშავებისას თითქმის ყველა წარმოებაში მიზნობრივი პროდუქტის გარდა წარმოიქმნება ნივთიერებები, რომლებიც არ გამოიყენება და რჩება საწარმოო ნარჩენად, თუმცა ისინი შეიძლება შეიცავდნენ ისეთ ნაერთებს, რომლებიც მექანიკური, თერმული თუ ქიმიური დამუშავების შემდეგ შეიძლება სასარგებლო პროდუქტებად ვაქციოთ. ნებისმიერი ნარჩენი - ეს არის ნივთიერებები, რომელიც შეიძლება და უნდა გახდეს ნედლეული სხვადასხვა პროდუქტის მისაღებად. სწორედ ამიტომ ის უნდა განვიხილოთ როგორც მეორეული მატერიალური რესურსი. ჩვენს ნაშრომში გამოვიყენეთ მეღვინეობის ერთ-ერთი მეორეული პროდუქტი ღვინის ლექი, რომელიც მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით და წარმოებულია ყურძნის წითელი ჯიშებისგან მიღებული ღვინისგან. დავამზადეთ მისგან ცილოვანი კონცენტრატი და გამოვიყენეთ მეფრინველეობაში პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით.

8. სტატიაში განხილულია საკონდიტრო წარმოების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა, ადგილობრივი ნედლეულით დამზადებული ასორტიმენტის გაფართოება და მომხმარებლის დაკმაყოფილება მაღალხარისხიანი ჯანსაღი კვების პროდუქტებით.

9. მარცვლეული განიხილება, როგორც სტრატეგიული პროდუქტი ადამიანის ცხოვრებაში და

მასზე მოთხოვნა იზრდება მსოფლიო მოსახლეობის ზრდასთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ხორბლის წარმოშობის ერთ-ერთ მთავარ ცენტრად ითვლება, საქართველო საკუთარი წარმოებით მარცვლეულზე მოთხოვნის მხოლოდ 15%-ს აკმაყოფილებს. ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ხორბლის წარმოების გაზრდა. პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზაა ახალი, ეკოლოგიურად და ეკონომიკურად მისაღები ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვა. ასეთ ტექნოლოგიებს მიეკუთვნება თესლის თესვის წინა დამუშავება ლაზერითა და ასოციაციური აზოტმაფიქსირებელი ბაქტერია - *Azospirillum brasilense*-თი. ექსპერიმენტი ხორციელდებოდა საქართველოში ყველაზე გავრცელებულ ხორბლის ადგილობრივ ჯიშებზე - დიკა (*Triticum carthlicum* Nevski) და ლომთაგორა (*Triticum aestivum* L. var. *Lutescens*).

ექსპერიმენტებში გამოყენებული იყო უწყვეტი CO<sub>2</sub> ლაზერი 25-40 ვტ სიმძლავრით (მარცვლების დასხივების სიჩქარე 10 და 15 სმ/წმ). მარცვლები დასხივების შემდეგ მუშავდებოდა *A. brasilense* იზოლატით (10<sup>8</sup> - 10<sup>9</sup> კწე/მლ), რომელიც იზოლირებული იყო ხორბლის რიზოსფეროდან. დაფიქსირდა, რომ ხორბლის გაღივებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია არც ლაზერულ და არც ბაქტერიულ დამუშავებას. ჩვენი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ კომბინირებულმა დამუშავებამ ლაზერით და *A. brasilense*-თი მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ხორბლის გაღივებაზე. ლომთაგორა 126-ის ჯიშის შემთხვევაში, მარცვლების დასხივებამ 10 სმ/წმ სიჩქარით მხოლოდ ოდნავ გააუმჯობესა 38-დღიანი აღმონაცენების ნაზრდი, ხოლო მარცვლების დასხივებისას 15 სმ/წმ სიჩქარით - 23%-ით. *A. brasilense*-ით თესლების დამუშავება, როგორც დაუსხივებელ, ასევე დასხივებულ ვარიანტებში იწვევს აღმონაცენების ზრდის გაუმჯობესებას, მარტო *A. brasilense*-ით - 22%-ით, ხოლო მარცვლეულის კომბინირებული დამუშავება - 29%-ით. დიკას ჯიშის შემთხვევაში საკონტროლო ვარიანტთან შედარებით მხოლოდ დასხივებამ გამოიწვია ზრდა 8-9%-ით, ხოლო კომბინირებულმა დამუშავებამ - 10-15%-ით. საუკეთესო შედეგი ხორბლის სხვადასხვა ჯიშის აღმონაცენების ზრდაზე მიღწეული იქნა მარცვლის 15 სმ/წმ სიჩქარით ლაზერული დამუშავებისა (რადიაციული სიმძლავრე 30-40 ვტ) და აზოტმაფიქსირებელი ბაქტერია *A. brasilense*-თი დასხივების შემდგომი დამუშავების კომბინაციით. შესაბამისად, *A. brasilense*-ის, როგორც ბაქტერიული სასუქის გამოყენება მოლეკულური აზოტის ფიქსაციის უნარის გამო, ლაზერულ დასხივებასთან ერთად, მეტად პერსპექტიულია. სათანადო შტამის შერჩევა სასოფლო-სამეურნეო მცენარეების ფესვების კოლონიზაციის, აზოტის ფიქსაციისა და ფოსფორის მობილიზაციის მაღალი უნარით და თესლების დამუშავება ლაზერული დასხივებით, რაც ასტიმულირებს მცენარეთა უჯრედებში მიმდინარე ბუნებრივ პროცესებს, გაზრდის მოსავლიანობას.

## 7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

### 7.1. საქართველოში

#### 1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. მამულაძე თ.ნ. გაგელიძე ნ. ა. სიხარულიძე ც. დ.

2. გაგელიძე ნ. ა., ამირანაშვილი ლ.ლ., დანელია ი.მ., ზადრიძე გ.შ., მოდებაძე თ.ზ., სუხიშვილი ნ.ზ., ანდიაშვილი გ.ზ., კვიციანი ს.ნ., ბაქრაძე ნ.ვ.

3. Dundua T., Sachaneli T., Kvartskhava G., Gamkrelidze N., Meladze S., Sarajishvili K., Japaridze M.

4. A.Mikeladze, R.Chedia, L.Chkhartishvili, O.Tsagareishvili, N.Barbakadze, K.Sarajishvili, T.Korkia, M.Darchiashvili, V.Ugrekheldidze.

5. Dundua T., Sachaneli T., Kvartskhava G., Gamkrelidze N., Meladze S., Sarajishvili K., Japaridze M., Jinikashvili I.

6. ნ.გამყრელიძე.
7. გამყრელიძე ნ.მ., ქვარცხავა გ.რ.
8. გამყრელიძე ნ., ერიქაშვილი ა., კილაძე მ.
9. Tamar Dondua, Tamar Sachaneli, Giorgi Kvartskhava, Nino Gamkrelidze, Sopho Meladze, Ketevan Sarajishvili, Maia Japharidze, Irma Jinikhashvili.
10. მ.დოლიძე, რ.ანდრიაძე, ვ.ნაყოფია.
11. დოლიძე მ., სადალაშვილი ჯ., სუხიშვილი ნ.
12. მამარდაშვილი ნაირა.
13. მახვილაძე თამარ.
14. ნ.ალხანაშვილი, მ.დემენიუკი, ნ. ბაღათურია.
15. გ.ბაღათურია, მ.ლოლაძე, ნ. ბაღათურია.
16. გ.ბაღათურია, მ.ლოლაძე, ნ. ბაღათურია.
17. G. Khitiri, I. Chikvaidze, M. Tsurtsunia, R. Kokilashvili, T. Gabunia.
18. Dzneladze S., Siradze M., Berdzenishvili I.
19. Сирадзе М., Бердзенишвили И., Дзneladze С., Апакидзе А.
20. ბერეჟიანი მ.გ., რუხაძე თ.კ., ქემერტელიძე ქ.მ.
21. ბერეჟიანი მ.გ., ჯამაგაძე ი.ი., ჯინორია ე.ვ.
22. მახაშვილი ქ., ბიბილეიშვილი დ., იაშვილი ნ.
23. ტყემალაძე გ.შ., დემეტრაშვილი მ.ა., მახაშვილი ქ.ა.
24. იაშვილი ნ., იმნაიშვილი ი., მახაშვილი ქ., ბიბილეიშვილი დ., ბედინეიშვილი მ.
25. ტყემალაძე გ.შ., დემეტრაშვილი მ.ა., მახაშვილი ქ.ა.
26. ჩუბინიძე ნ., სორდია ე., ტყემალაძე გ.
27. Khomasuridze M., Tkemaladze G., Chanturia I., Chavchanidze T., Maisuradze N., Jajanidze T.
28. ქვარცხავა გ., ტყემალაძე გ.

## 2) მოხსენების სათაური

1. სეპტაფაგის გამოყენებით ბროილერის ხორცის მიკრობიოტას შემცირება, შენახვის ვადების გახანგრძლივებისა და ხორცის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
2. ლაზერული დასხივებისა და Azospirillum brasilense-თი თესვისწინა დამუშავების გავლენა სიმინდის განვითარებაზე.
3. Preparation of Graphene Oxide-Based Biocidal Composites and Study of their Antibacterial Activity.
4. Liquid Charge Precursors for Production of B<sub>4</sub> C-MeB<sub>2</sub> Fine Composite Powders.
5. Preparation of Graphene Oxide Composites Containing Nanosizes Silver, Copper and Titanium Oxide and Study of their Biocidal Properties
6. მცენარეული ანტიოქსიდანტები - ფლავანოიდები;
7. კვინჩისა (Prunus spinosa) და ღოღნაშოს (Prunus domestica subsp.insititia) ქიმიური მახასიათებლების შედარება;
8. მცენარეული ექსტრაქტების ანტიოქსიდანტური მოქმედების მექანიზმის ზოგადი მიმოხილვა;
9. Preparation of graphene oxide composites containing nanosized silver, copper and titanium oxide and study of their biocidal properties.
10. „საქართველოს ტყის ხილ-კენკროვნების (შინდი, ქაცვი, მოცვი) ანტიოქსიდანტური დიფუზური წვენებით გამდიდრებული და წარმოებაში აპრობირებული პურის ნიმუშების ლაბორატორიული და ორგანოლექტიკური კვლევები“
11. ქართული (ნაციონალური) პურისწარმოების თავისებურებანი და კვლევა.

12. მწვანე კაკლის გამოყენების ინოვაციური ტექნოლოგია ფუნქციონალური პროდუქციის მისღებად.
13. Oenological characteristics of georgian wines, obtained by kakhnetian and classical winemaking techniques
14. საქართველოს სანელებელ არომატული ნედლეულის ბაზაზე მოხარშული ძეხვეულისთვის სანელებლების კომპოზიციის შედგენა და მისი ძეხვეულში შეტანის ტექნოლოგია
15. მუხის კასრების ალტერნატივების გამოყენება ღვინის დისტილაციის დასაძველებლად
16. უნივერსიტეტებთან არსებული ტექნოპარკები, როგორც მეცნიერების, განათლებისა და წარმოების ინტეგრაციის თანამედროვე ფორმა
17. Some New Types of Insulation Materials.
18. „Factors affecting the processing efficiency of sunflower raw materials“.
19. „Пищевая ценность и обогащение качества растительных масел“.
20. საბრენდე სპირტის დისტილაციის რეჟიმების ანალიზი კომპიუტერული მოდელირებით.
21. ექსპერიმენტის სტატისტიკა თუ ლობიოზე მარჩიელობა.
22. სამთო გამამდიდრებელი ფაბრიკის ჩამდინარე წყლების კონტროლის ახალი ავტომატიზებული მოწყობილობა.
23. იმერეთის რეგიონში ბუნებრივად მოზარდი ზოგიერთი მცენარის გამოყენება არომატიზებული სასმელების დასამზადებლად.
24. ქვეყნის გლეხური და ფერმერული მეურნეობებისათვის საკონსულტაციო და ლაბორატორიული მომსახურების ახალი ფორმით ორგანიზების შესახებ.
25. იმერეთის რეგიონში ბუნებრივად მოზარდი ზოგიერთი მცენარის გამოყენება არომატიზებული სასმელების დასამზადებლად.
26. მცენარეული ინგრედიენტების გავლენა ლიქიორის ანტიოქსიდანტურ თვისებებზე
27. New approaches of amber qvevri wine production.
28. სასურსათო ტექნოლოგიების როლი და ამოცანები საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის შემდგომ განვითარებაში.

### 3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: ინოვაციური პროცესები და ტექნოლოგიები. ქუთაისი, 2021, 24-25 ივნისი.
2. პროფესორ გურამ ტყემალაძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: ინოვაციური კვლევის ასპექტები აგრარულ მეცნიერებებში.
- 3 20-21 ნოემბერი, 2021, თბილისი, საქართველო.
- 4 July 27-30, 2021, Tbilisi, Georgia.
- 5 September 20-21, 2021, Tbilisi, Georgia.
- 6 October 4-7, Tbilisi, Georgia.
- 7 ქუთაისი, 24 – 25 ივნისი, 2021.
- 8 თბილისი, 20 – 21 ნოემბერი, 2021.
- 9 თბილისი, 20 – 21 ნოემბერი, 2021.
- 10 საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გარემოს დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი



- სამეცნიერო ინტერნეტ კონფერენცია „ტყის ეკოსისტემების გარემოსდაცვითი ფუნქციის ოპტიმიზაციის გზები საქართველოში“ 5 ივნისი, 2021 წ. თბილისი 38-43 გვ.
- 11 სსმმ აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ გურამ ტყემლაძის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციური კვლევის ასპექტები აგრარულ მეცნიერებებში“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 20-21 ნოემბერი, 2021 წ.
- 12 სსმმ აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ გურამ ტყემლაძის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციური კვლევის ასპექტები აგრარულ მეცნიერებებში“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 20-21 ნოემბერი, 2021 წ.
- 13 საქართველო, თბილისი, 20 – 21 ნოემბერი, 2021
- 14 სსმმ აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ გურამ ტყემლაძის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციური კვლევის ასპექტები აგრარულ მეცნიერებებში“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 20-21 ნოემბერი, 2021 წ.
- 15 სსმმ აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ გურამ ტყემლაძის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციური კვლევის ასპექტები აგრარულ მეცნიერებებში“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 20-21 ნოემბერი, 2021 წ.
- 16 საერთაშორისო კონფერენცია „განათლება ტექნოლოგია და ინოვაცია“ (ICETI2021).
- 17.Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Seventh International Caucasian Symposium on Polymers and Advanced Materials **ICSP&AM 7**, 27-30 July 2021, p. 19.
18. სსმმ აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ გურამ ტყემლაძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციური კვლევის ასპექტები აგრარულ მეცნიერებებში“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 20-21 ნოემბერი, 2021წ. /ჟურნალი ჯერ არ დაბეჭდილა/.
19. სსმმ აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ გურამ ტყემლაძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციური კვლევის ასპექტები აგრარულ მეცნიერებებში“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 20-21 ნოემბერი, 2021წ. /ჟურნალი ჯერ არ დაბეჭდილა/.
20. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ინოვაციური კვლევის ასპექტები აგრარულ მეცნიერებებში“ მოხსენებათა კრებული. თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 20-21 ნოემბერი, 2021 (ბეჭდვაშია, ISBN წარდგინდება გამომცემლობის მიერ).
21. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ინოვაციური კვლევის ასპექტები აგრარულ მეცნიერებებში“ მოხსენებათა კრებული. თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 20-21 ნოემბერი, 2021 (ბეჭდვაშია, ISBN წარდგინდება გამომცემლობის მიერ).
22. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციური პროცესები და ტექნოლოგიები“, ქუთაისი, 2021, 24-25 ივნისი, გვ. 60-63.
23. სსმმ აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ გურამ ტყემლაძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციური კვლევის ასპექტები აგრარულ მეცნიერებებში“, შრომების კრებული, თბილისი, 20-21 ნოემბერი, 2021 წ.

24. სსმმ აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ გურამ ტყემალაძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციური კვლევის ასპექტები აგრარულ მეცნიერებებში“, შრომების კრებული, თბილისი, 20-21 ნოემბერი, 2021 წ.
25. სსმმ აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ გურამ ტყემალაძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციური კვლევის ასპექტები აგრარულ მეცნიერებებში“, შრომების კრებული, თბილისი, 20-21 ნოემბერი, 2021 წ.
26. სსმმ აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ გურამ ტყემალაძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციური კვლევის ასპექტები აგრარულ მეცნიერებებში“, შრომების კრებული, თბილისი, 20-21 ნოემბერი, 2021 წ.
27. სსმმ აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ გურამ ტყემალაძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციური კვლევის ასპექტები აგრარულ მეცნიერებებში“, შრომების კრებული, თბილისი, 20-21 ნოემბერი, 2021 წ.
28. სსმმ აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ გურამ ტყემალაძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციური კვლევის ასპექტები აგრარულ მეცნიერებებში“, შრომების კრებული, თბილისი, 20-21 ნოემბერი, 2021 წ.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

#### **6. მცენარეული ანტიოქსიდანტები - ფლავანოიდები;**

სურსათის წარმოების სხვადასხვა ეტაპზე გამოიყენება საკვებდანამატები მათი ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. სურსათის გამდიდრება სინთეზური ანტიოქსიდანტებითა და ვიტამინებით, არათუ ზრდის, არამედ აუარესებს მის ხარისხს. ქიმიური წარმოშობის საკვებდანამატების ჩანაცვლება ნატურალური, მცენარეული ანტიოქსიდანტებითა და კონსერვატებით მნიშვნელოვნად ზრდის სურსათის ხარისხს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცენარეული წარმოშობის ანტიოქსიდანტები - ფლავანოიდები.

#### **7. კვრინჩხისა (*Prunus spinosa*) და ღონაშოს (*Prunus domestica subsp. insititia*) ქიმიური მახასიათებლების შედარება;**

გაუარესებული ეკოლოგიური მდგომარეობა, დაბალი ხარისხის ნედლეული, სინთეზური დანამატებით გაჯერებული სურსათი უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. სრულფასოვანი, ბალანსირებული და უვნებელი სურსათის წარმოება სასურსათო ტექნოლოგიის ძირითადი ამოცანაა. ამ ამოცანის გადასაჭრელად კი შეუცვლელია მცენარეული ნედლეული. განსაკუთრებით ველურად მოზარდი მცენარეები. ტყის მცენარეები გამოირჩევა მდგრადობით გარემოს მავნე ზემოქმედებისა და მავნებლების მიმართ, რაც დაკავშირებულია მათ ქიმიურ შედგენილობასთან, ისინი მდიდარია ფენოლური ნაერთებით, ვიტამინებით, მიკროელემენტებით და ახასიათებთ მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობა.

#### **8. მცენარეული ექსტრაქტების ანტიოქსიდანტური მოქმედების მექანიზმის ზოგადი მიმოხილვა;**

მცენარეებიდან გამოყოფილი ანტიოქსიდანტები გამოიყენება ბიოლოგიურად აქტიური დანამატების სახით სურსათში. ანტიოქსიდანტების ბიოქიმიური მნიშვნელობის გასაგებად საჭიროა ანტიოქსი-დანტური მოქმედების მექანიზმების დადგენა. ანტიოქსიდანტების

მოლეკულებს შეუძლია რეაგირება რამდენიმე მექანიზმით ან უპირატესი მექანიზმით. ანტიოქსიდანტური ნივთიერების ქიმიური სტრუქტურა საშუალებას იძლევა უკეთ გავიგოთ ანტიოქსიდანტური რეაქციის მექანიზმი. მიმოვიხილავთ მცენარეული ექსტრაქტების ანტიოქსიდანტური რეაქციის მექანიზმებს სხვადასხვა პირობებში.

### **9. Preparation of graphene oxide composites containing nanosized silver, copper and titanium oxide and study of their biocidal properties.**

10. ნიორის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიური რეკომენდაციები. ISSN 1512-2743;
11. წყალტუბოს რეკრეაციული ზონის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციით დაკმაყოფილების მიზნით სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტულ-სტრატეგიული მიმართულებები. ISSN 1512-2743;
12. პარკოსანი კულტურების მავნებელ-დაავადებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში. (ინგლისურ ენაზე) ISSN 1512-2743;
13. ქლიავის ნაყოფჭამიას ძირითადი მარეგულირებელი ფაქტორების განსაზღვრა მათემატიური მოდელირების გამოყენებით. ISSN 1512-2743;
14. შიდა ქართლში ვაზის მავნებელ-დაავადებების გავრცელება-განვითარება და მათი გავლენა წარმოებულ ღვინის ხარისხზე. ISSN 1512-2743;
15. მცენარეთა მავნე მწერების მიმართ ზოგიერთი სპილენძმემცველი ფუნგიციდის ანტიფიდანტური აქტივობის შესწავლის შედეგები. ISSN 1512-2743;

16. საქართველოს ტყეებში მკვდარი ორგანული ნივთიერებების ბიომასა და ნახშირბადი”, ISBN 978 – 9941 – 8 – 3423 – 3;
17. ყორულის აღკვეთილის თანამედროვე მდგომარეობა და აღკვეთილის ტერიტორიაზე მცენარეთა გავრცელების თავისებურებები“, ISBN 978 – 9941 – 8 – 3423 – 3;
18. Growing technology for soybeans with nanoherbicides, ISSN 1512-1887; Vol. 19, N3, 2021;
19. მცენარეთა ნერგების გამოსაყვანი მრავალჯერადი კონტეინერი, ISSN 1512-0287;
20. ფსტას (*Pistacia vera* L.) განვითარების პერსპექტივები საქართველოში. ISSN 1512-0287;
21. შიდა ქართლის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები და მცენარეების გავრცელების თავისებურებები. ISBN 978-9941-8-3423-3;
22. Development and Testing of New Combined Insecticides against the Brown Marmorated Stink Bug (BMSB, *Halyomorpha Halys*) in Laboratory Conditions. ISSN-0132-1447;
23. Низкоэнергетическое опреснение с использованием деионизации аккумуляторного электрода и применение полученной электроактивированной воды в инсектицидных комбинациях на основе наноксида алюминия, E ISSN 1987 – 8257;
24. სასურსათო ტექნოლოგიების განვითარების პერსპექტივები საქართველოში. ISBN 978-9941-28-858-6.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული „მოამბე“, 1(45), გვ. 64-66. 2021;
2. მეცნიერების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია; „ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა გენოფონდის დაცვა და განვითარების პერსპექტივები“;
3. საქართველოს. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია `მოამბე` (სამეცნიერო შრომათა კრებული) თბილისი N1 (45). 2021 წ;
4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული „მოამბე“, 2(46), 2021;
5. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული „მოამბე“, 2(46), 2021;
6. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული „მოამბე“, 2(46), 2021;
7. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული „მოამბე“, 2(46), 2021;
8. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული „მოამბე“, 1(45), 2021;
9. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული „მოამბე“, 1(45), 2021;
10. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული „მოამბე“, 1(45), 2021;
11. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული „მოამბე“, 1(45), 2021;
12. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული „მოამბე“, 1(45), 2021;

13. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი „მოამბე“ N1(45);
14. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი „მოამბე“ N1(45);
15. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი „მოამბე“ N1(45);
16. გარემოს დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ინტერნეტ კონფერენცია „ტყის ეკოსისტემების გარემოსდაცვითი ფუნქციის ოპტიმიზაციის გზები საქართველოში“. სსმმ აკადემიის შრომათა კრებული 05/06/2021წ;
17. გარემოს დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ინტერნეტ კონფერენცია „ტყის ეკოსისტემების გარემოსდაცვითი ფუნქციის ოპტიმიზაციის გზები საქართველოში“. სსმმ აკადემიის შრომათა კრებული 05/06/2021წ;
18. Annals of Agrarian Science, Journal homepage: <http://journals.org.ge/index.ge.php>;
19. საქართველოს საინჟინრო სიახლენი. #1, 2021, გვ.172-174;
20. საქართველოს საინჟინრო სიახლენი. #1, 2021, გვ.191-193;
21. სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული „ტყის ეკოსისტემების გარემოსდაცვითი ფუნქციის ოპტიმიზაციის გზები საქართველოში“ 2021, 5 ივნისი, თბილისი, გვ. 23-26;
22. BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, vol. 15, no. 3, 2021, 85-90;
23. „ჟურნალი ენერჯია“, 3, 99, 2021, გვ. 5-9;
24. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციური კვლევის ასპექტები აგრარულ მეცნიერებებში“ შრომათა კრებული, 2021, თბილისი, გვ. 19-21.

#### 4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, საქართველო 2021
2. თბილისი, საქართველო, გამომცემლობა „აგრო“;
3. თბილისი, საქართველო, გამომცემლობა „აგრო“;
4. თბილისი, საქართველო, გამომცემლობა „აგრო“;
5. თბილისი, საქართველო, გამომცემლობა „აგრო“;
6. თბილისი, საქართველო, გამომცემლობა „აგრო“;
7. თბილისი, საქართველო, გამომცემლობა „აგრო“;
8. თბილისი, საქართველო, გამომცემლობა „აგრო“.
9. თბილისი, საქართველო, გამომცემლობა „აგრო“;
10. თბილისი, საქართველო, გამომცემლობა „აგრო“;
11. თბილისი, საქართველო, გამომცემლობა „აგრო“;
12. თბილისი, საქართველო, გამომცემლობა „აგრო“;
13. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია თბილისი,2021;
14. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია თბილისი,2021;
15. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია თბილისი,2021;
16. თბილისი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „აგრო“;
17. თბილისი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „აგრო“;
18. Georgia, Agricultural University of Georgia;
19. საქართველოს საინჟინრო აკადემია, თბილისი;
20. საქართველოს საინჟინრო აკადემია, თბილისი;

21. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „აგრო“;
22. GEORGIAN ACADEMY PRESS;
23. „ჟურნალი ენერჯია“;
24. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“.

5) გვერდების რაოდენობა

1. 3 (გვ.64-66);
2. 5 (გვ.61-65);
3. 5 (გვ. 160-166);
4. 6 (გვ.110-115);
5. 4 (გვ.116-119);
6. 4 (გვ. 120-123);
7. 4 (გვ. 124-127);
8. 4 (გვ. 148-151);
9. 4 (გვ. 152-155);
10. 4 (გვ. 156-159);
11. 10 (გვ. 4-13);
12. 6 (გვ. 78-84);
13. 4 გვ;
14. 3 გვ;
15. 9. გვ;
16. 77-83 (106)გვ;
17. 83-83 (106)გვ;
18. p 199-203;
19. 3 გვ;
20. 3 გვ;
21. 4 გვ;
22. 6 გვ;
23. 5 გვ;
24. 3 გვ.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1. სტატიაში განხილულია საქართველოს სამხრეთ მთიანეთის მთის შუა ზონის ბუნებრივ სამოვრებზე მინერალური სასუქებისა და სტიმულფუნგის სხვადასხვა ნორმების შედარებითი ეფექტურობა ბალახნარის მოსავალზე და მის ბოტანიკურ შედგენილობაზე“

2.სტატიაში გამახვილებულია ყურადღება საკვების სრულფასოვნებაზე, დაბალი თვითღირებულებასა და ფართობის ერთეულიდან მინიმალური დანახარჯებით საკვები ერთეულისა და მონელებადი პროტეინის მაქსიმალური რაოდენობით მიღების შესაძლებლობაზე. სათიბბრუნვის სისტემაზე, როგორც ბალახნარის ხანგძლივად გამოყენების წინაპირობა, სადაც გათვალისწინებული იქნება წლების მიხედვით ბალახნარის გათიბვის ვადების, გათიბვისა და გამოვების მონაცვლეობა.

3.სტატიაში განხილულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში არსებული ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის მიზნები და ამოცანები, მოცემულია შესასწავლი საგნების ჩამონათვალი.

4.სტატიაში განხილულია საზამთროს ზოგადი დახასიათება, მოვლა - მოყვანის აგროტექნოლოგია, მოცემულია საქართველოში გავრცელებული საზამთროს ძირითადი ჯიშების აღწერა.

5.სტატიაში განხილულია ნესვის ზოგადი დახასიათება, მოვლა - მოყვანის აგროტექნოლოგია, მოცემულია საქართველოში გავრცელებული ნივრის ძირითადი ჯიშების აღწერა.

6.სტატიაში განხილულია გოგრის ზოგადი დახასიათება, მოვლა - მოყვანის აგროტექნოლოგია, მოცემულია საქართველოში გავრცელებული ნივრის ძირითადი ჯიშების აღწერა.

7.სტატიაში განხილულია წიწაკის ზოგადი დახასიათება, მოვლა - მოყვანის აგროტექნოლოგია.

8.სტატიაში განხილულია ხახვის ზოგადი დახასიათება, მოვლა - მოყვანის აგროტექნოლოგია, მოცემულია საქართველოში გავრცელებული ნივრის ძირითადი ჯიშების აღწერა.

სტატიაში განხილულია ნიორის ზოგადი დახასიათება, მოვლა - მოყვანის აგროტექნოლოგია, მოცემულია საქართველოში გავრცელებული ნივრის ძირითადი ჯიშების აღწერა.

9.სტატიაში განხილულია: საქართველოს სოფლის მეურნეობის ფუნქციონირების პირობები და თავისებურებები წყალტუბოს ზონასთან დაკავშირებით; საქართველოსა და წყალტუბოს რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარების სპეციფიკური ნიშნები, ძირითადი ტენდენციები და კანონზომიერებები; წყალტუბოს ზონის, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის განვითარების საერთო და მარკეტინგული სტრატეგია და ძირითადი ამოცანები, შესაძლო რისკები და რისკ-მენეჯმენტი, ძლიერი და სუსტი მხარეები და წარმოების შესაძლებლობები.

გაშუქებულია წყალტუბოს ზონის სასურსათო უსაფრთხოების არსებული მდგომარეობა და მისი პრო-გნოზირება, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციით უზრუნველყოფის დონის გათვალისწინებით. ამასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია ქ. წყალტუბოს მოსახლეობისა და სამკურნალო კერებში 11.მყოფ დამსვენებელთა ძირითად სასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნილების სავარაუდო პროგნოზული ვარიანტული პარამეტრები.

მოცემულია წყალტუბოს რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიულ-პრიორიტეტული მიმართულებები და გადასაწყვეტი პრობლემები.

10. სტატიაში განხილულია ნიორის ზოგადი დახასიათება, მოვლა - მოყვანის აგროტექნოლოგია, მოცემულია საქართველოში გავრცელებული ნივრის ძირითადი ჯიშების აღწერა.

11. ნაშრომი ეხება საქართველოში პარკოსან კულტურებზე გავრცელებული მავნებლების და დაავადებების შესწავლას. პარკოსნებიდან შერჩეულია: ჩვეულებრივი ლობიო, ბარდა, ოსპი, მუხუდო, სამყურა და სხვა, მავნებლებიდან: ლობიოს და ბარდას მემარცვლიები, ბუგრები, მენადმე ბუზები და სხვა. აგრეთვე სოკოვანი და ვირუსული დაავადებები-ანთრაქნოზი, ასკოჰიტოზი, ფესვის სიდამპლე ყვითელი და ჩვეულებრივი ვირუსული მოზაიკა და სხვა. შემუშავებულია მათ წი- ნაადმდეგ ბრძოლის ღონისძიებები, როგორც მინდვრის, ასევე შენახვის პირობებში. ღონისძიებები შედგენილია იმგვარად, რომ მივიღოთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი.

12. რეკომენდაციაში განხილულია ადგილობრივი ქართული მთის ჯიშის ძროხის დაცვისა და მოშენების ტექნოლოგია.

13. ნაშრომში მათემატიკური მოდელირება გამოყენებულია ხეხილოვანი კულტურების სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე გავრცელებული მავნე მწერების წინააღმდეგ ბრძოლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათი რიცხოვნობის მარეგულირებელი ძირითადი ფაქტორების განსაზღვრას. აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად წარმატებით გამოიყენება მათემატიკური მოდელირება. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა გადავჭრათ ისეთი საკითხები, რომლებიც მოითხოვენ მრავალი ფაქტორის გათვალისწინებას. მავნებლის რიცხოვნობის მარეგულირებელი ფაქტორების განსაზღვრისათვის წარმოდგენილ ისეთი საშიში მავნებლის მაგალითზე, როგორც არის ქლიავის ნაყოფჭამია.

აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად შედგენილია ბიოლოგიური სისტემის კონცეფტუალური ანუ სიმბოლური მოდელი, რომელიც შედგება 10 ელემენტისაგან და წარმოადგენს სისტემის შემადგენელი ცვლილების, ანუ ელემენტების სიას. მოდელი ასახავს ელემენტებს შორის არსებულ მიზეზობრივ-შედეგობრივ კავშირებს. შესაბამისი გარდაქმნების შედეგად, მონაცემები გადაყვანილია სტრუქტურულ მოდელში და წარმოდგენილია მატრიცის სახით, რის შედეგადაც გამოვლენილია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქლიავის ნაყოფჭამიას რიცხოვნობაზე. ესენია – მატლების გამოზამთრების პირობები, დამცავი ღონისძიებები (აგროტექნიკური, ქიმიური და სხვა), გამოზამთრებული მატლების რაოდენობა, კლიმატური პირობები.

ქლიავის ნაყოფჭამია ხეხილოვანი კულტურების ერთ-ერთი საშიში მავნებელია. იგი საქართველოში ყველგან დიდი რაოდენობით არის გავრცელებული; ყველაზე მეტად აზიანებს ქლიავს, შემდეგ ტყემალს, ბალს და ატამს. ეს მავნებელი მოსავალს 25–40%-ით ამცირებს და მნიშვნელოვნად აუარესებს მის ხარისხს; ზამთრობს ზრდასრული მატლის სახით; იგი ხის ქვეშ ბინადრობს, პარკებში. ერთ ადგილზე 10–20 პარკი გვხვდება. გაზაფხულზე, 16–17°C ტემპერატურის დროს, მატლი იჭუპრებს. ივნისის დასაწყისში გამოფრინდება პეპელა, რომელიც 2–3 დღის შემდეგ იწყებს კვერცხის დებას ნაყოფებზე, ფოთლებსა და ყუნწებზე. პირველი თაობის კვერცხის პროდუქცია 35–60 ცალია, მეორის – 57–80. ახალგამოჩეკილი მატლი ნაყოფში შედის და მისი რბილობით იკვებება. დაზიანებულ ადგილს ექსკრემენტებით ავსებს. ასეთი ნაყოფებიდან გამოედინება წებო; ხშირად ნაყოფები ნაადრევად მწიფდება, მოწითალო-იისფერი ხდება და ცვივა [1].

მცენარეებზე გავრცელებული მავნე მწერების წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლისათვის აუცილებელია მათი რიცხოვნობის მარეგულირებელი ძირითადი ფაქტორების დაზუსტება. აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად გამოიყენება მათემატიკური მოდელირება. ეს მეთოდი

საშუალებას გვაძლევს, გადავწყვიტოთ ისეთი საკითხები, რომლებიც მოითხოვენ მრავალი ფაქტორის გათვალისწინებას.

მცენარეთა დაცვაში მათემატიკური მოდელირების გამოყენება მჭიდროდ არის დაკავშირებული მავნე ორგანიზმების გამოკვლევების რაციონალური სისტემის შედგენასთან, რომელიც ცნობილია სისტემური ანალიზის სახელწოდებით [2,3].

ამა თუ იმ პროცესის მათემატიკური მოდელის არსი მდგომარეობს, უპირველეს ყოვლისა, გამოკვლევების დაჩქარებასა და იმ შედეგების მიღების შესაძლებლობაში, რომელთა მოპოვება არ ხერხდება ექსპერიმენტების ჩვეულებრივი, ტრადიციული მეთოდებით. რა თქმა უნდა, მოდელირებას არ შეუძლია შეცვალოს რეალური ექსპერიმენტი, მაგრამ გვეხმარება, ჩავატაროთ იგი უფრო ეფექტურად და იგივე შედეგები მივიღოთ ცდების ნაკლები რაოდენობით. იმ შემთხვევაში კი, როდესაც მკვლევარი მოკლებულია ბიოლოგიური სისტემის დეტალურ ინფორმაციას, მათემატიკურ მოდელირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მოდელირება აადვილებს ექსპერიმენტული მონაცემების ინტერპრეტაციას და საშუალებას გვაძლევს, უკეთ განვაზოგადოთ მიღებული შედეგები [4,5,6]. ამ მიმართულებით, მსოფლიოს მასშტაბით, მრავალი საინტერესო კვლევაა ჩატარებული [3,5,7,8,9].

14. საქართველოში მევენახეობა ერთ–ერთი უძველესი და წამყვანი დარგია. აქაური კლიმატური პირობები ხელსაყრელია არამარტო ვაზის განვითარების, არამედ მასზე გავრცელებული მავნე ორგანიზმებისთვისაც, რომლებიც დიდ ზიანს აყენებენ ამ კულტურას, მათი უარყოფითი გავლენით, ყოველწლიურად ყურძნის მოსავლის 25–30% იკარგება და საგრძნობლად უარესდება მისი ხარისხი. წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია შიდა ქართლში, კერძოდ, საგურამოში გავრცელებული ვაზის ჯიშები, მათზე გავრცელებული მავნებელ–დაავადებების ბიო–ეკოლოგიური თავისებურებანი, აგრეთვე მავნეობა. მნიშვნელოვანია დაზიანებული და დაუზიანებელი ყურძნისგან წარმოებული ღვინოების ხარისხობრივი მაჩვენებლების შესწავლის შედეგები.

საქართველოს ეკონომიკაში მევენახეობა ყოველთვის თვალსაჩინო როლს ასრულებდა. იგი ჩვენი ქვეყნისთვის უძველესი დარგია და მის განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მეტად ხელსაყრელი პირობებია არა მარტო ვაზის განვითარებისათვის, არამედ მათზე გავრცელებული მავნე ორგანიზმებისთვისაც. ეს უკანასკნელნი დიდ ზიანს აყენებენ ვენახებს. მათი უარყოფითი გავლენით, მნიშვნელოვნად მცირდება ყურძნის მოსავალი და უარესდება მისი ხარისხი, რაც, თავის მხრივ, დიდ გავლენას ახდენს წარმოებული ღვინის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე [1,2,3].

ყურძნის მოსავლის გაზრდა და ხარისხის გაუმჯობესება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მავნე ორგანიზმებისგან ვაზის დაცვაზე. იმისათვის, რომ დავიცვათ ვენახები ამ ორგანიზმებისგან, პირველ რიგში, აუცილებელია, მოცემულ ფართობზე შევისწავლოთ მათი გავრცელება–განვითარების ინტენსიობა და განვსაზღვროთ მოსალოდნელი ზარალი. ამ მიზნით, ცდები და დაკვირვებები მიმდინარეობდა შიდა ქართლში, კერძოდ, საგურამოში.

საცდელი ვენახი არის სევმასორო ვაინერის მფლობელობაში. სევმასოროს მარანი მდებარეობს თბილისიდან 30კმ–ის დაშორებით. საცდელი ფართობი შეადგენს 4 ჰექტარს. საგურამოში ზაფხული საკმაოდ ცხელი და მშრალია. საკვლევი ვენახი მდებარეობს ზღვის დონიდან 500მ–ის სიმაღლეზე. აღნიშნულ ტერიტორიაზე გაშენებულია ვაზის შემდეგი ჯიშები: გორული მწვანე, ქისი, ხიხვი,

ჩინური შავკაპიტო, მუსკატური რქაწითელი, თავკვერი. ამ კონკრეტულ თემებზე აგროტექნიკური ოპერაციები და წამლობები ტარდებოდა მხოლოდ ბიო წარმოების პროდუქტებით.

მაწვე ორგანიზმების რიცხოვნობის და გავრცელების აღრიცხვას ვახდენდით მცენარის დაზიანების ფორმების და პროცენტული რაოდენობის მიხედვით, დაავადებების სიხშირეს ვსაზღვრავდით საღი და დაავადებული მხარეების აღრიცხვით. დაავადებების სიძლიერის გამოსახვის გრადაციას ვახდენდით პროცენტებში და ბალებში [4,5]. გამოსაკვლევი ფართობები იყო სხვადასხვა ზომის 1მ3, 10მ2, სხვა და სხვა.

აღრიცხვების შედეგად დავადგინეთ, რომ ჩვენს საკვლევ ზონაში (საგურამო) ჯიშზე „ჩინური“ დაავადებების გავრცელების % არის 10, საერთო დაზიანება – 1 ბალი, დაავადებების განვითარების ინტენსიობა – 1,6%, ჯიშში „ქისი“ – დაავადებების გავრცელების % – 15, საერთო დაზიანება 1 ბალი დაავადებების განვითარების ინტენსიობა – 2,4%, „ხიხვი“ – მაწვე ორგანიზმების გავრცელების % – 6,5%, საერთო დაზიანება – 2 ბალი, დაავადებების გავრცელების ინტენსიობა – 7,2%, „გორული მწვანე“ – მაწვე ორგანიზმების გავრცელების % – 8,75, საერთო დაზიანება – 1 ბალი, დაავადებების განვითარების ინტენსიობა – 1,4%, რაც შეეხება მაწვე მწერებს – საშუალოდ (ჯიშების მიხედვით) – ყურძნის ჭიის გავრცელება შეადგენს 2 ბალს, რიცხოვნობა – საშუალოდ 5 ინდივიდს 1 ვაზზე კვირტის ჭია, შესაბამისად, 1 ბალს და 2 ინდივიდს 1 ვაზზე, ტკიპები – 2 ბალი, 2 ინდივიდი 10 ფოთოლზე ცრუფარიანები – 1 ბალი, 3 ინდივიდი 1 ვაზზე.

15. სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე გავრცელებული მაწვე მწერების წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბიოტექნიკურ საშუალებებს, რომელთაგან საყურადღებოა ანტიფიდანტების (კვების უნარის დამკარგავი ნივთიერებები) გამოყენება. ამ მეთოდს დიდი უპირატესობა აქვს ქიმიურ მეთოდთან შედარებით, რომელიც დღეისთვის საქართველოში ფართოდ გამოიყენება მცენარეთა დაცვისთვის.

ჩვენი კვლევების მიზანი იყო ზოგიერთი ანტიფიდანტური აქტიობის პრეპარატის გამოვლენა. ცდებში გამოყენებული გვქონდა სპილენძმემცველი ფუნგიციდები – სპილენძის ქლორჟანგი, სპილენძის შაბამანი ჰებტამ ბორდო, სპილენძის სულფატი, კვლევის ობიექტად – კოლორადოს ხოჭო. დადგინდა აღნიშნული ფუნგიციდების მაღალი ანტიფიდანტური აქტიობა, აგრეთვე ბიოლოგიური ეფექტურობა, რაც გამოიხატება მაწვებლის რიცხოვნობის შემცირებაში – ეფექტურობამ შეადგინა 70–80%.

16. სტატიაში განხილულია საქართველოში გავრცელებული ძირითადი ტყის-შემქმნელი 9 სახეობის ტყის ფორმაციებში მკვდარი ორგანული მასის (ზეხმელი და ძირნაყარი, ტყის მკვდარი საფარი) ნახშირბადის მარაგი. საქართველოში 2144415 ჰექტარზე არსებული ძირითადი ტყისშემქმნელი სახეობების ფიტოცენოზებში ზეხმელი და ნაყარი მერქნის სახით აღრიცხულია ბიომასა 20,13 მლნ ტონა, ნახშირბადი – 10,065 მლნ ტონა, რაც ატმოსფეროდან აბსორბირებული 36,91 მლნ ტონა CO<sub>2</sub>-ის შესატყვისია. ტყის მკვდარი საფრის ბიომასის საერთო საშუალო მარაგი 42,96 მლნ ტონას აღწევს. მასში შებოჭილია 17,20 მლნ ტონა ნახშირბადი, ხოლო ატმოსფეროდან აბსორბირებულია 63,072 მლნ ტონა ნახშირბადის დიოქსიდი. სულ საქართველოს ტყეებში, მკვდარი ორგანული ნივთიერებების ბიომასისა და



ნახშირბადის მთლიანი მარაგი შეადგენს შესაბამისად, 63,1 და 27,26 მლნ ტონას, რაც ატმოსფეროდან შთანთქმულ 99,98 მლნ ტონა ნახშირბადის დიოქსიდს შეესაბამება.

17. დედამიწაზე არსებულ ეკოსისტემებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ტყეები და მათ შორის, ჭალის ტყეები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჭალის ტყეების დასახლებულ პუნქტებთან სიახლოვე და მათი გავლენა მიმდებარედ არსებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. სტატიაში წარმოდგენილია, ყორულის აღკვეთილის, რომელიც ასევე ჭალის ტყეს წარმოადგენს დღეს არსებული მდგომარეობა და მცენარეების გავრცელების თავისებურებები.

18. სოფლის მეურნეობაში ჰერბიციდების ხვედრითი წილი თანამედროვე ბაზარზე დაახლოებით 2 მილიარდი ტონაა, დაახლოებით 73 მილიარდი დოლარის ღირებულებით, ეს თავის მხრივ საკვების უვნებლობისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მრავალმხრივი ზემოქმედების პრობლემებს იწვევს, მათ შორის მნიშვნელოვანია სარეველების მდგრადობა, რომელიც ყოველ წელს იზრდება. ამ საუკუნის მიმდინარე ათწლეულში შექმნილი ნანოჰერბიციდები შეიძლება იქნეს აღნიშნული პრობლემების სტრატეგიული გადაწყვეტილება. ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა ფერმერთა ასოციაციებთან ერთად დაიწყო ნანოჰერბიციდების გამოყენების ტექნოლოგიების (ექსპერიმენტული სახელწოდება „Nanocooper 076“, რომელიც რეგისტრაციაშია) შემუშავება სოიოს ექსპერიმენტულ საპილოტე ნაკვეთებსა და ფერმერთა მიწებზე, რაც საშუალებას მისცემს ფერმერებს გაასუფთავონ სოიოს ნარგავები სარეველებისგან ტოქსიკური ქიმიკატების გამოყენების გარეშე, როგორცაა გლიფოსატი. ვინაიდან ნანოსტრუქტურული ნანომასალების პოტენციური გამოყენება იძლევა ნანოჰერბიციდების ეფექტურად გამოყენებას და გამორიცხავს სხვადასხვა სარეველარეზისტენტული პოპულაციის წარმოქმნას სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდის ადრეულ ეტაპზე (თესვის შემდეგ პირველ კვირაში), ეს ძალიან სასურველი ნანოტექნოლოგიური მეთოდები და პრაქტიკაა ზოგადად სოფლის მეურნეობაში.

19. სტატიაში განხილულია საქართველოში დაპატენტებული „მცენარეთა ნერგების გამოსაყვანი მრავალჯერადი კონტეინერი“ და მისი უპირატესობანი სტანდარტულ ანალოგებთან, რომელშიც დღეისათვის უკვე ათასობით ნერგია გამოყვანილი და გადატანილი ღია გრუნტში, მის უნიკალურობას განაპირობებს უპირატესობები სხვა კონტეინერებთან შედარებით ესენია: კონსტრუქციის სიმარტივე; კონსტრუქციის მდგრადობა; მცენარის ფესვთა სისტემის სწრაფი ზრდის მოტივირება; მცენარის ქვემოდან მორწყვის შესაძლებლობა; ქოთნის მრავალჯერადად გამოყენების საშუალება; ტრანსპორტირების დროს ნერგის დაზიანების მინიმალური რისკი; კონსტრუქციის დაბალი ფასი; ნერგის დაცულობის მაღალი ხარისხი; ნერგის ზრდის პროცესის მონიტორინგის შესაძლებლობა; ღია გრუნტზე კლიმატურ პირობებთან ადაპტირებული და მოძლიერებული ნერგის გადატანის საშუალება; ნერგების (ვარდი, ბზა, ვაზი, ფსტა და ა.შ) გამოყვანა, მისი გაზრდა ნერგის სიმწიფემდე და ღია გრუნტში ეფექტური გატანა; ტყის ხელოვნურ განაშენიანებაში და საბაღე მეურნეობების შექმნაში ეფექტური გამოყენების პერსპექტივა.

20. სტატიაში განხილულია ფსტას (*Pistacia vera* L.) უპირატესობები სხვა კაკლოვან კულტურებთან შედარებით და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოს პირობებში. ფსტა ერთ-ერთი ყველზე ძვირად ღირებული კაკალია, რომელზე მოთხოვნაც მსოფლიოში დღითიდღე იზრდება და მის მიმართ ინტერესი ქართველი ფერმერების მიმართ მზარდია. სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ერთ-ერთ ამოცანას გაუდაბნობასთან ბრძოლა წარმოადგენს. ეს პრობლემა საქართველოშიც მძაფრად დგას, განსაკუთრებით სამხრეთ და აღმოსავლეთ რეგიონებში. ფსტა არ საჭიროებს განსაკუთრებული მოვლას და დიდი რაოდენობით წყალს. მცენარე გავრცელებულია არიდულ პირობებში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე იგი გაუდაბნოების და ეროზიის წინააღმდეგ საბრძოლველი უებარი „ბუნებრივი“ საშუალებაა და ფსტას მეურნეობა სრულად თავსდება მდგრადი განვითარების პრინციპებში. საქართველოში ფსტას პლანტაციების გაშენებას მნიშვნელოვანი, ხანგრძლივი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა ექნება. ფსტის პლანტაციების წარმოება დროსა და რესურსებს მოითხოვს მაგრამ მრავალმხრივ ეფექტს მისცემს მომავალ თაობებს.

21. სტატიაში წარმოდგენილია შიდა ქართლის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების და მცენარეების გავრცელების თავისებურებების ანალიზი. აღნიშნული საკითხის სიღრმისეული შესწავლა მნიშვნელოვანია, ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობის ოპტიმიზაციისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვისთვის და განხორციელებისთვის. წარმოდგენილ სტატიაში გადმოცემულია ინფორმაცია, კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე გააქტიურებული ეროზიული პროცესების და გაუარესებული ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ, აქვე წარმოდგენილია გარკვეული რეკომენდაციები უარყოფითი ეკოლოგიური და კლიმატური მოვლენების პრევენციისთვის.

შიდა ქართლის რეგიონში გლობალური დათბობის გამო გაძლიერებულია ეროზიული პროცესები, თუმცა აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია მიწების დეგრადაციის თავიდან აცილება, ან შემცირება მაინც ეფექტიანი მიწის პოლიტიკის განხორციელებით. საქართველოში საკმაოდ სუსტადაა განვითარებული სივრცითი მოწყობის დაგეგმვის პრაქტიკა და ამიტომ ხშირ შემთხვევაში არ არის უზრუნველყოფილი მიწის ნაკვეთების ისე გამოყოფა განვითარების და სამშენებლო სამუშაოების წარმოებისთვის, რომ არ დაზიანდეს სასოფლო-სამეურნეო ღირსების მქონე მიწები და ზიანი არ მიადგეს ეკოსისტემებს.

მხოლოდ ყველა მონაწილე და დაინტერესებული მხარის ჩართულობით შემუშავებული სივრცითი განვითარების გეგმის განხორციელებით არის შესაძლებელი შეიქმნას მიწის რესურსების მდგრადი განვითარების საფუძველი. რაც შეეხება კლიმატის ცვლილების პრევენციას, მსოფლიო პრაქტიკის მიხედვით საპრევენციო ღონისძიებებიდან ყველაზე ეფექტურია ენერჯო დაზოგვის და ენერჯოეფექტურობის ღონისძიებები. ამასთან საჭიროა დაცვითი ტყის ზოლების მოწყობა, რომელთაც მრავალი ფუნქცია გააჩნიათ, მათ შორის ეროზიის საწინააღმდეგო, ნამქერ საწინააღმდეგო, ზვავ საწინააღმდეგო, მეწყერ საწინააღმდეგო და დცარცოფ საწინააღმდეგო ფუნქციები.

22. დამზადდა ბიფენტრინის და მალათიონის შემცველი პრეპარატების, მტკანარი წყლის დიატომიტის, როზმარინის ეთერზეთის, ბიოდეგრადირებადი ემულგატორ-დისპერგანტის და

ჰიდროქსიეთილცელულოზის 36 კომბინაცია ბიფენტრინის და მალათიონის ცვლადი თანაფარდობით. განსაზღვრულია მათი ბიოლოგიური ეფექტურობის დამოკიდებულება პირეთროიდული და ორგანოფოსფორული კომპონენტების თანაფარდობაზე. შეფასებულია დანარჩენი კომპონენტების (მინერალური მასალები, ეთერზეთი, ემულგატორ-დისპერგანტი, ჰიდროქსიეთილცელულოზა და სხვა) წვლილი კომბინირებული პრეპარატების ჯამურ ბიოლოგიურ ეფექტიანობაში. დადგენილია, რომ კომბინირებული პრეპარატის კომპონენტების ბიოლოგიური ეფექტიანობა აბაშისა და სენაკის მუნიციპალიტეტებში გავრცელებული პოპულაციის მიმართ შესამჩნევად განსხვავდება ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში გავრცელებული პოპულაციების მიმართ მათი ბიოლოგიური ეფექტიანობისგან.

ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას სენაკისა და აბაშის მუნიციპალიტეტებში გავრცელებული პოპულაციების მიერ ბიფენტრინის მიმართ გამომუშავებული შესამჩნევი რეზისტენტობით. გამოკვლეულია კომბინირებული პრეპარატების მწვავე ტოქსიკურობა ძუძუმწოვარა ცხოველების (თეთრი ვირთაგვა) მიმართ, რომელიც აღმოჩნდა რამდენჯერმე (3-5-ჯერ) უფრო ნაკლები, ვიდრე სადღეისოდ ფართოდ გამოყენებული კომბინირებული ინსექტიციდური პრეპარატების. ეს გარემოება შეიძლება მარტივად ავსხნათ კომბინაციებში სინთეზური ინსექტიციდური კომპონენტების მნიშვნელოვნად შემცირებული ჯამური შემცველობით.

23. ნაშრომი ეძღვნება ბატარეის აკუმულატორული ელექტროდის დეონიზაციის (BDI) სისტემაში ზომიერად მარილიანი წყლის გამტკნარების ერთ -ერთი ძირითადი პროდუქტის (კერძოდ, კათოლიტური აქტივირებული წყალი) შესწავლას, რათა შეფასდეს მისი როგორც შესაძლო სინერგიული ინსექტიციდური კომბინაციის ბიოლოგიური ეფექტიანობის მკვეთრი გაზრდის სინერგენტის პოტენციალი. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ დღეს BDI- ის გამოყენება არის ზომიერად მარილიანი წყლის გამტკნარების ყველაზე პროდუქტიული მეთოდი, რომელიც ხასიათდება ენერჯის ძალიან დაბალი მოხმარებით და, შესაბამისად, დაბალი ღირებულებით. ამ პროცესის შედეგად მიღებული ელექტროქიმიურად აქტივირებული წყალი (კერძოდ, კათოლიტური წყალი) შეიძლება გამოყენებულ იქნას ინსექტიციდური კომბინაციების ეფექტიანობისა და უსაფრთხოების ასამაღლებლად. ნაწარმის ოქიდი, როგორც ინსექტიციდური კომპონენტი, აგრეთვე შეიძლება იყოს პოტენციურად მნიშვნელოვანი სინერგიული მაღალეფექტიანი და ცოცხლი ბუნებისათვის ნაკლებად საშიში პესტიციდების შესაქმნელად, თუმცა კომბინაციების სხვა კომპონენტებთან მისი სინერჯის ზუსტი რაოდენობრივი შეფასება მოითხოვს დამატებით შრომატევად კვლევას.

24. აზიური ფაროსანა სოფლის მეურნეობის ყველაზე სერიოზულ მავნებელთა შორისაა. მან შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სოციალური დისკომფორტი. ახალი სინერგიული ინსექტიციდების შემუშავება და მათი ლაბორატორიული ტესტირება, რომელიც ძალზე ეფექტური იქნება ამ ინვაზიური მავნებლის წინააღმდეგ და ნაკლებად ტოქსიკურია საცხოვრებელი გარემოსთვის (განსაკუთრებით ადამიანისათვის, ძუძუმწოვრებისათვის, ფრინველების, სხვა სასარგებლო მწერების და ა. შ) უკიდურესად გადაუდებელი გამოწვევაა თანამედროვე გამოყენებითი ენტომოლოგიისთვის. გამოკვლეული იყო პირეთროიდული (ბიფენტრინი, გამა-ციპალოტრინი) და ფოსფორორგანული (მალათიონი, დიმეთოატი)

აქტიური ნივთიერებების სინერგია. დადგენილია და შეფასდა დამატებითი კომპონენტების როლი ნარევების ბიოლოგიურ ეფექტურობაში. აღმოჩნდა, რომ ორივე შესწავლილმა ნარევემა (ბიფენტრინთან + მალათიონთან და გამა ციკლოტრინთან + დიმეთოატთან) აჩვენა მკაფიოდ გამოხატული სინერგია და ბიოლოგიური ეფექტურობის ზრდა ცალკეულ კომპონენტებთან შედარებით.

ამავდროულად, მალათიონზე და ბიფენტრინზე დაფუძნებული ნარევის დაფიქსირებული სინერგიული ეფექტი მწერების პოპულაციების მიმართ აშკარად უფრო დაბალი იყო აბაშისა და სენაკის მუნიციპალიტეტებში, ვიდრე ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში. გამა-ციკლოტრინზე და დიმეთოატზე დაფუძნებული ნარევების ბიოლოგიურ ეფექტურობა მწერების ჯგუფებისთვის მნიშვნელოვნად დაბალი იყო. ამ ცვლილების ყველაზე სანდო ახსნა შეიძლება იყოს აბაშისა და სენაკის პოპულაციების მიერ განვითარებული რეზისტენტობა ბიფენტრინზე, რაც დაფუძნებულია ხუთწლიან გაძლიერებულ შეწამვლებზე.

შემუშავებული კომბინაციების მწვავე ტოქსიკურობა ძუძუმწოვრებისა და ფრინველების ემბრიონებისთვის აღმოჩნდა 3-5-ჯერ დაბალი, ვიდრე ფართოდ გამოყენებული ინსექტიციდებისა. ინსექტიციდური კომბინაციების ბიოლოგიური ეფექტურობის ლაბორატორიული მონაცემები ეფუძნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური მხარდაჭერით ჩატარებულ სავსე კვლევებს ხუთი ინსექტიციდის გამოყენებით სიმინდის მინდორში და თხილის პლანტაციაში.

## 6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

### 6.1. მონოგრაფიები/წიგნები

#### 1) ავტორი/ავტორები

- 1.
- 2.

#### 2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

- 1.
- 2.

#### 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

- 1.
- 2.

#### 4) გვერდების რაოდენობა

- 1.
- 2.

### ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

## 6.2. სახელმძღვანელოები

### 1) ავტორი/ავტორები

1. გ.გაგოშიძე, ვ.დოლიძე, მ.ლობჯანიძე, ნ.კაკაბაძე, ნ.მაჭავარიანი, ვ.ნაყოფია.
2. გ.გაგოშიძე, ვ.დოლიძე, ნ.მაჭავარიანი, ნ.სუხიშვილი, ლ.ზაიდაური.

### 2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. მეცნიერთა ნაციონალური ასოციაცია(HAY),ყოველთვიური სამეცნიერო ჟურნალი,N68/2021,მე-2 ნაწილი;
2. გლობალური მეცნიერებები და ინოვაციები13,2021წ.საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი.

### 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. სანკტპეტერბურგი,გამომც.,„ლოგიკა“;
2. ცენტრალური აზია, ყაზახეთი,ნურსულთანი,გამომც.,„სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებანი“.

### 4) გვერდების რაოდენობა

1. კრებულის-62,სტატიის-გვ.გვ.24/28;
2. კრებულის-51,სტატიის-გვ.გვ.10/13.

## ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სამეცნიერო ნაშრომში საუბარია საქართველოს ტყის უმთავრესი ბუჩქოვანი სამკურნალო მცენარეების როგორც აბორიგენ,ისე უცხო ანუ ინვაზიურ მავნებლებზე,რომლებიც წინა წლებშიც ფიქსირდებოდნენ ქვეტყის განხილულ სახეობებზე,მაგრამ მაშინ მცენარეთა მაღალი იმუნიტეტის გამო, ზიანი მათი მხრიდან შედარებით მცირე იყო,დღეს კი კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე ბიოლოგიურად დასუსტებულ მცენარეებს, მავნებლები შედარებით იოლად ერვიან.
2. სამეცნიერო ნაშრომში საუბარია უნიკალური სასუქის-ტორფის საბადოებში გამოყოფილი ჰუმუსოვანი მჟავების მნიშვნელობაზე, ფიზიოლოგიური თვისებების კვლევის შედეგებზე,რაც საშუალებას იძლევა მცენარეთა ზრდა-განვითარების გაუმჯობესებისათვის, შერჩეული იქნას სასუქის ოპტიმალური ვარიანტი.

## 6.3. კრებულები

### 1) ავტორები

- 1.

### 2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

- 1.
- 2.

### 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

- 1.
- 2.

4) გვერდების რაოდენობა

- 1.
- 2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. I. Danelia, N. Zaqariashvili, L. Amiranashvili, G. Badridze, S. Kvitsiani.
2. Badridze G, Amiranashvili L.
3. Bakradze, N., Gagelidze, N., Dumbadze, T., Amiranashvili, L., Batako, A.
4. Gulnara Badridze, Eva Chkhubianishvili, Medea Kikvidze, Luara Rapava, Lali Chigladze, Ketevan Tsilosani, Nino Tsiklauri.
5. გ.გაგოშიძე, ვ.დოლიძე; მ.ლობჯანიძე, ნ.კაკაბაძე, ნ.მაჭავარიანი, ვ.ნაყოფია.
6. გ.გაგოშიძე, ვ.დოლიძე, ნ.მაჭავარიანი, ნ.სუხიშვილი, ლ.ბაიდაური.
7. M. Dering, M. Baranowska, B. Beridze, I. J. Chybicki, I. Danelia, G. Iszkuło, G. Kvartskhava, P. Kosiński, G. Rączka, P. A. Thomas, D. Tomaszewski, Ł. Walas & K. Sękiewicz;
8. Kacharava T, Eptashvili T;

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. The mycological study of conifers of Tbilisi and its environs  
[doi.org/10.17221/79/2021-JFS](https://doi.org/10.17221/79/2021-JFS)
2. Influence of Presowing Irradiation and High Concentrations of Salts on Wheat.  
DOI: <https://dx.doi.org/10.5281/zenodo.4647042>; ISSN:[2454-1850]
3. Influence of Laser Treatment on the Growth of Sprouts of Different Wheat Varieties.  
DOI: <https://dx.doi.org/10.5281/zenodo.4647042>; ISSN:[2454-1850]
4. The Biochemical Indices of Drought Resistant Species of Iori Plateau (East Georgia). ISSN:[2454-1850].
5. „საქართველოს ტყის სამკურნალო ბუჩქოვანი მცენარეების მავნებლები”, ISSN 2412-5291;
6. „საქართველოს ტორფის ზოგიერთი საბადოდან გამოყოფილი ჰუმუსოვანი მჟავების ფიზიოლოგიური თავისებურებები”, ISSN 2664-2271.
7. The evolutionary heritage and ecological uniqueness of Scots pine in the Caucasus ecoregion is at risk of climate changes. Sci Rep 11, 22845 (2021). <https://doi.org/10.1038/s41598-021-02098-1>;
8. Unique Useful Plants in Georgia;

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. Journal of Forest Science, 67, 2021 (10): 464–476
2. International Journal of Environmental & Agriculture Research (IJOEAR). 2021, 7, 3, 70-76
3. International Journal of Biotechnology and Bioengineering. Open Science Index 177, 2021, 15, 9, 85 - 88
4. International Journal of Environmental & Agriculture Research (IJOEAR), 7 (3)
5. მეცნიერთა ნაციონალური ასოციაცია(HAY),N68;
6. გლობალური მეცნიერებები და ინოვაციები,N13;

7. Scientific Reports 11, 22845 (2021). <https://doi.org/10.1038/s41598-021-02098-1> IF;
8. International Scientific Journal „GLOBAL SCIENCE AND INNOVATIONS 2021: CENTRAL ASIA“ ISSN 2664 -2271;

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. Czech Academy of Agricultural Sciences
2. ინდოეთი, [AD Publications](#)
3. World Academy of Science, Engineering and Technology
4. ინდოეთი, [AD Publications](#)
5. სანკტპეტერბურგი, გამომც., „ლოგიკა“;
6. ცენტრალური აზია, ყაზახეთი, ნურსულთანი, გამომც., „სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებანი“.
7. Scientific Reports (Sci Rep) ISSN 2045-2322 (online);
8. NUR-SULTAN, KAZAKHSTAN, FEBRUARY;

5) გვერდების რაოდენობა

1. 13 გვ.
2. 6 გვ.
3. 4 გვ.
4. 17 გვ.
5. გვ.გვ.24-28;
6. გვ.გვ.10-13;
7. 17 გვ;
8. P 75-78

#### ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ჩატარდა ფართომასშტაბიანი მიკრობიოლოგიური კვლევა თბილისში (საქართველოს დედაქალაქი) და მის შემოგარენში, ურბანული წიწვოვანი პლანტაციების მასიური დაავადებისა და დაღუპვის მიზეზების დასადგენად. ბიოლოგიური მასალა აღებულ იქნა 2020 წლის ივნის-ივლისში დაავადების სხვადასხვა ხარისხის მქონე ხეებიდან (42 სხვადასხვა ადგილ). მიკრობიოლოგიურად გამოკვლეულ იქნა 247 წიწვოვანი (15 სახეობა). გამოყოფილი იქნა მიკროსკოპული სოკოს 1169 ნიმუში. კულტურულ-მორფოლოგიური და მოლეკულურ-გენეტიკური (PCR) კვლევების საფუძველზე გამოვლინდა 34 სხვადასხვა სახეობა 17 გვარიდან და 1 შტამი, ოჯახის დონეზე. ასკომიკოტა წარმოდგენილი იყო 15 ოჯახითა და 33 სახეობით, ბაზიდიომიკოტა 1 ოჯახით და 2 სახეობით და ზიგომიკოტა 2 ოჯახითა და 2 სახეობით. იზოლირებულ შტამებს შორის აშკარად დომინანტი იყო 9 სახეობა და გვხვდება ყველა შესწავლილ წიწვოვან სახეობაში: *Alternaria alternata* (Fr.) Keissl, *Sphaeropsis sapinea* (Fr.) Dyko & B. Button, *Epicoccum nigrum* Link., *Sordaria lappae* Potebnia, *Curvularia* sp. , *Dothiorella* spp., *Nothophoma quercina* (Sydow & P. Sydow) Q. Chen & L. Cai, *Phoma odoratissimi* Q. Chen, *Didymella aliena* (Fries) Q. Chen & L. Cai. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პათოგენური სოკოების მასიური გააქტიურება არის მცენარეთა იმუნიტეტის შესუსტების შედეგი თბილისში წლების განმავლობაში მზარდი აბიოტური სტრესების ფონზე; რამაც გამოიწვია დისბალანსი ლატენტურ პათოგენებსა და მასპინძელ მცენარეებს შორის და საბოლოოდ ხეების კვდომის დამთრგუნველი შედეგები.

2. ხორბლის ქართული ენდემების - მახასა (*Triticum aestivum* subsp. *macha* (Dekapr. & Menabde) McKey) და ზანდურის (*Triticum timopheevii* subsp. *zhukovskyi* (Menabde & Ericzjan) L. B. Cai) მარილგამძლეობისა და ზრდა-განვითარებაზე თესვისწინა დასხივების გავლენის შესწავლის მიზნით ჩატარებულია მაღალი კონცენტრაციის მარილთა ხსნარებით (სუფრის მარილისა და გლაუბერის მარილის 1.5% ხსნარები) და ულტრაიისფერი სხივებით (253.7ნმ; დასხივების ხანგრძლივობა 1სთ, ნათურიდან 30სმ მანძილზე) თესლის დამუშავების ცდები. ხორბლებზე სტრესორებით ზემოქმედება ხდებოდა როგორც ცალ-ცალკე, ისე კომბინირებულად. გამოთვლილია თესლის აღმოცენების პროცენტი და 5-6 კვირის აღმონაცენთა სიმაღლეები. მიღებული შედეგებიდან ცხადია, რომ: 1. ზანდურის თესლი ერთნაირად გამძლეა როგორც ქლორიდული, ისე სულფატური დამლაშებისადმი. მახას თესლი კი უფრო ქლორიდული დამლაშებისადმი გამძლე. 2. ზანდურის თესლის უი რადიაციის C უბნით დასხივებამ აღმოცენების დათრგუნვა გამოიწვია, ხოლო მახას თესლის ისეთივე სპექტრით დასხივებამ პირიქით, აღმოცენების ხარისხის მნიშვნელოვანი აქტივაცია გამოიწვია. დასხივების აღნიშნული ეფექტი ზრდა-განვითარების ეტაპზეც შენარჩუნდა. 3. მახას თესლის თესვისწინა დასხივებით გაბათილდა სუფრის მარილის დამთრგუნველი გავლენა თესლის აღმოცენების უნარზე; ხოლო გლაუბერის მარილთა და სუფრის+გლაუბერის მარილებით ერთობლივი ზემოქმედების ვარიანტების თესვისწინა დასხივებამ მასტიმულირებელი ეფექტიც კი იქონია თესლის გაღივების უნარზე, კონტროლთან შედარებით. 4. ქლორიდული და სულფატური დამლაშებისადმი თესლის გამძლეობის ამაღლების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მახას თესლის თესვისწინა უი დასხივება; ოღონდ უნდა შეირჩეს დასხივების ოპტიმალური დოზა.
3. მარცვლეული განიხილება, როგორც სტრატეგიული პროდუქტი ადამიანის ცხოვრებაში და მასზე მოთხოვნა იზრდება მსოფლიო მოსახლეობის ზრდასთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ხორბლის წარმოშობის ერთ-ერთ მთავარ ცენტრად ითვლება, საქართველო საკუთარი წარმოებით მარცვლეულზე მოთხოვნის მხოლოდ 15%-ს აკმაყოფილებს. ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ხორბლის წარმოების გაზრდა. პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზაა ახალი, ეკოლოგიურად და ეკონომიკურად მისაღები ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვა. ასეთ ტექნოლოგიებს მიეკუთვნება თესლის თესვის წინა დამუშავება ლაზერითა და ასოციაციური აზოტმაფიქსირებელი ბაქტერია - *Azospirillum brasilense*-თი. ექსპერიმენტი ხორციელდებოდა საქართველოში ყველაზე გავრცელებულ ხორბლის ადგილობრივ ჯიშებზე - დიკა (*Triticum carthlicum* Nevski) და ლომთაგორა (*Triticum aestivum* L. var. *Lutescens*).
- ექსპერიმენტებში გამოყენებული იყო უწყვეტი CO<sub>2</sub> ლაზერი 25-40 ვტ სიმძლავრით (მარცვლების დასხივების სიჩქარე 10 და 15 სმ/წმ). მარცვლები დასხივების შემდეგ მუშავდებოდა *A. brasilense* იზოლატით (10<sup>8</sup>-10<sup>9</sup> კწე/მლ), რომელიც იზოლირებული იყო ხორბლის რიზოსფეროდან. დაფიქსირდა, რომ ხორბლის გაღივებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია არც ლაზერულ და არც ბაქტერიულ დამუშავებას. ჩვენი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ კომბინირებულმა დამუშავებამ ლაზერით და *A. brasilense*-თი მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ხორბლის გაღივებაზე. ლომთაგორა 126-ის ჯიშის შემთხვევაში, მარცვლების დასხივებამ 10 სმ/წმ სიჩქარით მხოლოდ ოდნავ გააუმჯობესა 38-დღიანი აღმონაცენების ნაზრდი, ხოლო მარცვლების დასხივებისას 15 სმ/წმ სიჩქარით - 23%-ით. *A. brasilense*-ით თესლების



დამუშავება, როგორც დაუსხივებელ, ასევე დასხივებულ ვარიანტებში იწვევს აღმონაცენების ზრდის გაუმჯობესებას, მარტო *A. brasilense*-ით - 22%-ით, ხოლო მარცვლეულის კომბინირებული დამუშავება - 29%-ით. დიკას ჯიშის შემთხვევაში საკონტროლო ვარიანტთან შედარებით მხოლოდ დასხივებამ გამოიწვია ზრდა 8-9%-ით, ხოლო კომბინირებულმა დამუშავებამ - 10-15%-ით. საუკეთესო შედეგი ხორბლის სხვადასხვა ჯიშის აღმონაცენების ზრდაზე მიღწეული იქნა მარცვლის 15 სმ/წმ სიჩქარით ლაზერული დამუშავებისა (რადიაციული სიმძლავრე 30-40 ვტ) და აზოტმაფიქსირებელი ბაქტერია *A. brasilense*-თი დასხივების შემდგომი დამუშავების კომბინაციით. შესაბამისად, *A. brasilense*-ის, როგორც ბაქტერიული სასუქის გამოყენება მოლეკულური აზოტის ფიქსაციის უნარის გამო, ლაზერულ დასხივებასთან ერთად, მეტად პერსპექტიულია. სათანადო შტამის შერჩევა სასოფლო-სამეურნეო მცენარეების ფესვების კოლონიზაციის, აზოტის ფიქსაციისა და ფოსფორის მობილიზაციის მაღალი უნარით და თესვების დამუშავება ლაზერული დასხივებით, რაც ასტიმულირებს მცენარეთა უჯრედებში მიმდინარე ბუნებრივ პროცესებს, გაზრდის მოსავლიანობას.

4. არსებული პროგნოზებით, კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე მომდევნო ათწლეულებში მნიშვნელოვანი დათბობა, სეზონური ნალექების რაოდენობის ცვლილება და ძლიერი და ხშირი გვალვებია ნავარაუდები. გვალვაგამძლე მცენარეებს გადარჩენის მეტი შანსი აქვთ. მათი ბიოლოგიის შესწავლას ზემოხსენებული პროგნოზები დღეს აქტუალურს ხდის. განსაკუთრებულ ინტერესს ანტიოქსიდანტური სისტემის მახასიათებლები იმსახურებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს არულებს მცენარეთა სტრესისადმი, მათ შორის, გვალვისადმი გამძლეობაში; ამავე დროს ანტიოქსიდანტური ნაერთების უმეტესობა სამკურნალო თვისებებითაც ხასიათდება. საქართველოს არიდულ ტერიტორიებზე მოზარდი გვალვაგამძლე სახეობების ფიზიოლოგიურ-ბიოქიმიური მახასიათებლები თითქმის შეუსწავლელია. შესრულებული კვლევა მიზნად ისახავდა საქართველოს ერთ-ერთი არიდული რეგიონის - ივრის ზეგანის ტერიტორიაზე მდებარე სოფელ უდაბნოს გვალვაგამძლე სახეობების: რძიანას (*Euphorbia falcata* L.), შაჰროხას (*Lycopsis orientalis* L.), თრიმლის (*Cotinus coggygria* Scop.), ფშატის (*Elaeagnus angustifolia* L.) და ნუშის (*Amygdalus communis* L.) ფოთლების ანტიოქსიდანტური სისტემის მახასიათებლების შესწავლას. მასალა აღებულია ზღვის დონიდან 828მ სიმაღლეზე, ორ ვადაში - ივნისში (ყვავილობის ფაზაში) და ივლისში (ნაყოფმსხმოიარობის ფაზაში) - ამ მიდამოებისათვის დამახასიათებელ ყველაზე ცხელ პერიოდში. მიღებული შედეგებიდან ცხადია, რომ შესწავლილ სახეობებს სტრესისადმი ადაპტაციის მეტ-ნაკლებად განსხვავებული ბიოქიმიური მექანიზმები ახასიათებთ, რაც ანტიოქსიდანტური სისტემის კონკრეტულ ფერმენტულ და არაფერმენტულ კომპონენტებს მოიცავს. შაჰროხაში სტრესისადმი საპასუხოდ კატალაზას აქტივაცია და ასკორბატ-ტოკოფეროლისა და ანთოციანების სინთეზის გაძლიერება, აგრეთვე განსაკუთრებით დიდი რაოდენობით პროლინის დაგროვება აღინიშნა. რძიანას სტრესისადმი გამძლეობა ფენოლების, ანთოციანებისა და პროლინის მაღალი შემცველობით უნდა იყოს განპირობებული. ფშატის ფოთლებში ასკორბატ-ტოკოფეროლის, ანთოციანებისა და პროლინის მაღალ შემცველობასთან ერთად ფერმენტული ანტიოქსიდანტების - კატალაზასა და პეროქსიდაზას მაღალი აქტივობა და ხსნადი ნახშირწყლების ინტენსიური დაგროვება აღინიშნა. თრილში როგორც ასკორბატ-ტოკოფეროლის დაცვითი სისტემის მაღალი აქტივობა, ისე ფენოლური ნაერთების გაძლიერებული სინთეზი გამოვლინდა, ოსმოლიტებიდან მოიმატა

პროლინის შემცველობამ, ხოლო ნახშირწყლების რაოდენობა ისედაც ყველა შესწავლილ სახეობაზე მაღალი იყო. სტრესის საპასუხოდ კატალაზას გააქტივება აღინიშნა ნუშის ფოთლებში. აქ ასევე მომატებული იყო ასკორბატ-ტოკოფეროლის ფენოლური ნაერთებისა და ანთოციანების რაოდენობა; ოსმოლიტებიდან კი ნახშირწყლების შემცველობა იყო მაღალი. ყველა შესწავლილ სახეობაში სტრესის პირობებში კაროტინოიდების დაცვითი სისტემის სტაბილურობა სავარაუდოდ იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ საცდელი მცენარეები რადიაციული სტრესისადმი ნაკლებ მგრძობიარეა და მათთვის ძირითადი სტრეს-ფაქტორი წყლის დეფიციტია.

5; 6 იხ.განყ.6.3.(კრებულები).

7. ჩვეულებრივ ფიჭვს, რომლის ქვესახეობასაც დღეს წარადგენს კავკასიური ფიჭვი, მიუხედავად ფართო გავრცელებისა, კლიმატის გლობალური ცვლილებების ფონზე ემუქრება არეალის მნიშვნელოვანი შემცირება. მისი არეალს ძირითადად კავკასიის ეკორეგიონი წარმოადგენს, რომელიც ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვან ცხელ წერტილად არის მიჩნეული. ფიჭვნარები ამ რეგიონის ბიომრავალფეროვნების და ენდემიზმის მნიშვნელოვან რეზერვებს წარმოადგენენ. ჩვენს მიერ შესწავლილია ბიოგეოგრაფიული და დემოგრაფიული პროცესები, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ჩვეულებრივი ფიჭვის არსებული გენეტიკური მრავალფეროვნება კავკასიის ეკორეგიონში და მისი სავარაუდო სამომავლო გავრცელება კლიმატის ცვლილების სხვადასხვა სცენარების მიხედვით. დადგინდა, რომ ფიჭვის კავკასიური პოპულაციების მაღალი გენეტიკური ცვალებადობა ასახავს უკანასკნელი გამყინვარებისა და შემდგომი პერიოდის რთულ ისტორიას, რომლის ევოლუციური მიმართულებებიც უნიკალურია ევროპულ პოპულაციებთან შედარებით. დღეისათვის კავკასიაში ფიჭვის გავრცელება ხასიათდება ფართო კლიმატური სპექტრით, რაც მიანიშნებს წარსულში მის მაღალ ადაპტაციურ პოტენციალზე. თუმცა დღევანდელი გენეტიკური რესურსები განიცდიან კლიმატის ცვლილების მძიმე წნეხს. ჩვენი პროგნოზით კავკასიის ფიჭვნარების 90% შეიძლება დაიკარგოს უკვე ამ საუკუნეში. ტყის ეკოსისტემების სტაბილურობის მაღალი რისკი სერიოზულ გავლენას იქონიებს ეკორეგიონის ბიომრავალფეროვნებაზე. პოპულაციურ გენეტიკური კვლევების საფუძველზე განსაზღვრულია კონსერვაციული პრიორიტეტები.
8. სამკურნალო პრეპარატთა არსენალში მიუხედავად მაღალეფექტურ სინთეზურ საშუალებათა სიუხვისა, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ მცენარეული წარმოშობის სამკურნალო საშუალებებსა თუ ბიოლოგიურად აქტიურ საკვებ დანამატებს, მათი გამოყენების მასშტაბები განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში მთელ მსოფლიოში სწრაფად იზრდება. მათში წარმოდგენილია მთელი სპექტრი ფარმაკოლოგიურად ისეთი აქტიური ნივთიერებებისა, როგორცაა: ეთერზეთები, ნახშირწყლები, გლიკოზიდები, მთრიმლავი ნივთიერებები, ცილები, ალკოლოიდები, ვიტამინები და სხვა. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მხოლოდ ქიმიური სტრუქტურით, არამედ რაოდენობრივი და თვისობრივი შემცველობით, აქედან გამომდინარე, მათი ზეგავლენის ხასიათიც სხვადასხვაგვარია ცოცხალ ორგანიზმზე.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. გაგელიძე ნ.ა., ამირანაშვილი ლ.ლ., დანელია ი.მ., ბადრიძე გ.შ., მოდებაძე თ.ზ., სუხიშვილი ნ.ზ., ანდიაშვილი გ.ზ., კვიციანი ს.ნ., ბაქრაძე ნ.ვ.
2. გ. ალექსიძე, თ. ეპიტაშვილი, ს. კაზაროვი..
3. თ.გოგიშვილი, მ.ახვლედიანი
4. თ.გოგიშვილი, მ.ახვლედიანი
5. გ. გაგოშიძე, ნ. იორდანიშვილი, ვ.დოლიძე, ნ. მაჭავარიანი,
6. გ. გაგოშიძე, მ. სამადაშვილი, ნ. მაჭავარიანი, ვ. დოლიძე, ვ. ნაყოფია,
7. გ. ჯაფარიძე, გ. გაგოშიძე,
8. გ. გაგოშიძე, მ. სამადაშვილი, ნ. მაჭავარიანი,
9. გ. გაგოშიძე, დ. შევარდნაძე, ნ. ლომიძე,
10. გ. გაგოშიძე, ვ. დოლიძე, ნ. მაჭავარიანი, ო. ჯაფიაშვილი,
11. გ. ჯაფარიძე, გ. გაგოშიძე, ლ. დოლიძე, გ. ქავთარაძე,
12. გ. ჯაფარიძე, გ. გაგოშიძე, ლ. დოლიძე,
13. თ. კაჭარავა;

2) მოხსენების სათაური

1. ლაზერული დასხივებისა და *Azospirillum brasilense*-თი თესვისწინა დამუშავების გავლენა სიმინდის განვითარებაზე;
2. ლობიოს (*PHASEOLUS VULGARIS L*) გენეტიკური მრავალფეროვნება და მავნებელ - დაავადებები საქართველოში. PESTS AND DISEASES OF COMMON BEAN (*PHASEOLUS VULGARIS L.*) AND THEIR GENETIC DIVERSITY IN GEORGIA;
3. მავნე ორგანიზმების გავლენა ყურძენზე და მისგან მიღებულ ღვინის თვისებებზე;
4. მავნე ორგანიზმებისაგან დაზიანებული ვაზის ჯიშები და მისგან მიღებული ღვინოების შეფასება;
5. „საქართველოს მეფის, ერეკლე მეორის ისტორიული სამეფო რეზიდენციის მერქნიანი მცენარეების ფიტოსანიტარული მდგომარეობა და რეკონსტრუქციის ღონისძიებები“;
6. „ერეკლე მეორის სამეფო ტყეების ძირითადი მერქნიანი სახეობის-ქართული მუხის(*Q.iberica Stev.*) არეალი, კახეთის კავკასიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობებზე(ახმეტისა და თელავის მიდამოები)“;
7. „საქართველოში სატყეო მეურნეობის განვითარების პერსპექტივები(2021-2030წ.წ.)“;
8. „ქართული მუხის (*Quercus iberica stev.*) ნაყოფმსხმოიარობა შიდა კახეთის რეგიონში“;
9. „შიდა ქართლის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების და მცენარეთა გავრცელების თავისებურებები“;
10. „ციტრუსების ნარჩენებიდან დამზადებული კომპოსტის გავლენა ფუძე ნიადაგებზე“;
11. „მაღალი ანტივირუსული პოტენციალის მქონე მერქნიანების(კავკასიური ფიჭვი-*Pinus Sосnovskyi Nakai* და სხვა) ბუნებრივი განახლება სამცხე-ჯავახეთის რეგიონის რიგ ლოკაციაზე(ბორჯომი,ასპინძა,ახალციხე)-კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე“;
12. „კავკასიური ფიჭვის(*P.Sosnovskyi*) და ზოგიერთი მუქწიწვიანი მერქნიანის(აღმოსავლეთის ნაძვი-*P.orientalis*,კავკასიური სოჭი-*A.Nordmanniana*)ბუნებრივი განახლება ყალთაღებში-ბორჯომის ხეობის მაგალითზე“;
13. სასარგებლო მცენარეთა ბიომრავალფეროვნება საქართველოში;

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. პროფესორ გურამ ტყემალაძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: ინოვაციური კვლევის ასპექტები აგრარულ მეცნიერებებში

20-21 ნოემბერი, 2021, თბილისი, საქართველო

2. მე-12 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „მსოფლიო მეცნიერება: პრობლემები, პერსპექტივები და ინოვაციები“, 11-13 აგვისტო, 2021, ტორონტო, კანადა. გვ. 11-20. ISBN 978-1-4879-3793-5

3. საქართველოს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2021

4. სსმმ აკადემიის აკადემიკოს პროფესორ გურამ ტყემალაძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. თბილისი, 20.11. 2021

5. 2021წ., 26-28 მარტი, თბილისი-თელავი;

6. 2021წ., 26-28 მარტი, თბილისი-თელავი;

7. 2021წ., 05 ივნისი, თბილისი;

8. 2021წ., 05 ივნისი, თბილისი;

9. 2021წ., 05 ივნისი, თბილისი;

10. 2021წ., 20-21 ნოემბერი, თბილისი;

11. 2021წ., 20-21 ნოემბერი, თბილისი;

12. 2021წ., 20-21 ნოემბერი, თბილისი.

13. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ ცენტრში, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია- „საქართველოს ბუნებრივი რესურსები და საწარმოო ძალების მდგრადი განვითარების პერსპექტივები“ გაიმართა, რომელიც სტუ-ის 100 წლის იუბილესა და აკადემიკოს ი. ჟორდანიას დაბადებიდან 90 წლისთავს მიეძღვნა;

**მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)**

3. წიგნი წარმოადგენს კონცეპტის - სამყარო/ტექსტი - ინტერპრეტაციას, რომელიც მოიცავს თხრობითი ტექსტის, როგორც რეალობის ამსახველი მოცემულობის, ისტორიას არისტოტელეს „პოეტიკიდან“, ვიდრე თანამედროვე ელექტრონულ ტექსტამდე (მედიურ ლიტერატურამდე, ჰიპერტექსტამდე, მულტიმედია ტექსტამდე). ნაშრომში ხ.ლ. ბორხესის „ბაბილონის ბიბლიოთეკა“-ს, უ. ეკოს „ვარდის სახელი“-ს, უ.ს. ბეროუზის „შიშველი საუზმე“-სა და მ. პავიჩის „ხაზართა ლექსიკონი“-ს ტექსტების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზიდან გამომდინარე, გამოვლენილია ჟ. დელიოზისა და ფ. გვატარის რიზომას კონცეფცია, როგორც თანამედროვე სამყარო/ტექსტის მოდელი.

## 5.2. სახელმძღვანელოები

### 1) ავტორი/ავტორები

1. ასოც. პროფესორი ქ. გაფრინდაშვილი

2. ასოც. პროფ. ს. კვანტალიანი

3. პროფ. თ. ჯაგოდნიშვილი (პროფესორები: დომინიკ ვოლტონი, ჟილ ტუე, ტიერი კომ, დიანა ჭანკოტაძე, დავით გოცირიძე, ია მახარაძე)

### 2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. „კულტურის გლობალიზაცია“ (ISBN 978-9941-8-3558-2)

2. მედიაფილოსოფია

3. მედია, კომუნიკაცია და ევროპული მშენებლობა... საქართველოსთან ერთად (ISBN 978-9941-8-3715-9)

### 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, სტუ გამომცემლობა

2. თბილისი, სტუ გამომცემლობა

3. თბილისი, სტუ გამომცემლობა

### 4) გვერდების რაოდენობა

1. 138 გვერდი

2. 230 გვერდი

3. 489 გვერდი



### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1. წიგნში განხილულია თანამედროვეობის ურთულესი მოვლენის გლობალიზმის გავლენა ეროვნულ კულტურაზე და კულტურული თვისთავადობის შენარჩუნების პრობლემები. აღნიშნულია გლობალიზაციური პროცესების ფონზე მსოფლიო კულტურის საგანმურთან ქართული ეროვნული კულტურის ელემენტების მიმართულების საკითხები.

განსაკუთრებულია სპეციალისტებისა და გლობალიზმის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

2. სახელმძღვანელოს მიზანს წარმოადგენს ახალი მედიების გარშემო აღმოცენებული პრობლემატიკის საერთო თეორიული და ფილოსოფიური ანალიზი; სოციოკულტურული დეტერმინანტების აღმოცენებისა და განვითარების გამოვლენა ტექნიკის ფილოსოფიაში, როგორც ფილოსოფიური კვლევების სფეროში. სახელმძღვანელოს მიზანია, სტუდენტმა გაიაზროს ადამიანზე, მის მსოფლხედვაზე, სამყაროს სურათზე მედიის ზემოქმედების მექანიზმები, რათა შეძლოს ახსნას ინფორმაციული ლობიზმის მიზნები, მოახდინოს ინფორმაციის ე.წ. „თავისუფალი“ მიმოქცევის მარკეტინგულ ტექნოლოგიათა სისტემების დეკოდირება, შეძლოს დომინანტურსა და ინდივიდუალურად ღირებულ ინფორმაციას შორის განსხვავების პოვნა და მათი რეალიზაციის მექანიზმების გააზრება.

3. წიგნი გამოცემულია საფრანგეთის, ქალაქ რეიმსის ევროპული და საერთაშორისო კვლევების ინსტიტუტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მხარდაჭერით.

სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სოციალურ-პოლიტიკური და ჰუმანიტარული მიმართულებების სტუდენტებისთვის; მოიცავს ფრანგულ- ქართული მედიისა და კომუნიკაციების კვლევების ტრადიციულ და მოდერნიზებულ მიდგომებს; ფრანგი და ქართველი ავტორების მიერ წარმოდგენილ ნაშრომებს.

### **5.3. კრებულები**

#### **1) ავტორი/ავტორები**

- 1.
- 2.

#### **2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN**

- 1.
- 2.

#### **3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა**

- 1.
- 2.

#### **4) გვერდების რაოდენობა**

- 1.
- 2.

### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

- 1.
- 2.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

- 1.
- 2.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

- 1.
- 2.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

- 1.
- 2.

5) გვერდების რაოდენობა

- 1.
- 2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

**5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით**

**1) ავტორი/ავტორები**

1. თემურ ჯაგოდნიშვილი
2. ვაჟა პაპასკირი
3. ვაჟა პაპასკირი
4. ქეთევან გიორგობიანი
5. რუსუდან ლორთქიფანიძე/ქეთევან შენგელია
6. მამუკა შელეგია
7. თამარ შაიშმელაშვილი
8. ივანე ოსაძე
9. ივანე ოსაძე
10. ვაჟა პაპასკირი
11. ლია ქათამაძე
12. ქეთევან გაფრინდაშვილი
13. თამარ შაიშმელაშვილი
14. თამარ შაიშმელაშვილი
15. მარინე სურმავა
16. თემურ ჯაგოდნიშვილი/ვაჟა დანელია

**2) სტატიის სათაური, ISSN**

1. ქართული ხალხური დრამის ბუნებისათვის (ISSN- 2346-8300)
2. ზოგიერთი რამ ჟურნალისტური ფსიქოლოგიის შესახებ (ISSN- 2346-8300)
3. დარწმუნებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის გააზრებისათვის მასმედიაში (ISSN- 2346-8300)
4. აშშ-ს ტელემარუწყებლობა (ISSN- 2346-8300)
5. აფხაზ და რუს ბლოგერთა პოზიციები ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან მიმართებით (ISSN- 2346-8300)
6. მწერალი და რეკლამა (ISSN- 2346-8300)
7. „ცისა და ქვეყნის შემკვრელი“ - ფიქრები აკაკის ნემტთან (ISSN- 2346-8300)

8. ვახუშტი ბატონიშვილის კონცეფცია დავით სოსლანის გენეალოგიის შესახებ (ISSN- 2346-8300)
9. რასიზმი ნაცისტური გერმანიის დასავლეთევროპულ პოლიტიკაში (ISSN- 2346-8300)
10. ფსიქოლოგიური აღქმა მასმედიაში (ISSN- 2346-8300)
11. დასავლური სუბკულტურების რეპრეზენტაციული თავისებურებები ინტერნეტის სამყაროში (ISSN- 2346-8300)
12. „ცისფერყანწელთა“ მინიატურული პროზა (ISSN- 2346-8300)
13. ლევან გოთუას უცნობი ბარათი - ოჯახის მისია მწერლის პუბლიცისტიკის მიხედვით (ISSN- 2346-8300)
14. კრწანისის ომის გამოძახილ თანამედროვე ქართულზოგადში (XX საუკუნის დასასრული და XXI საუკუნე) (ISSN- 2346-8300)
15. კრიტიკული აზროვნების გააზრებისათვის (ISSN- 2346-8300)
16. იოსებ იმედაშვილის პუბლიცისტური ოსტატობის საკითხები: ი. იმედაშვილის პუბლიცისტიკის ენის თავისებურებანი (ISSN- 2346-8300)

### **3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი**

1. სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“ N2 (33)
2. სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“ N1 (32)
3. სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“ N1 (32)
4. სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“ N1 (32)
5. სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“ N1 (32)
6. სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“ N1 (32)
7. სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“ N1 (32)
8. სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“ N2 (33)
9. სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“ N2 (33)
10. სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“ N2 (33)
11. სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“ N2 (33)
12. სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“ N2 (33)
13. სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“ N2 (33)
14. სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“ N2 (33)
15. სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“ N2 (33)
16. სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“ N3 (34)

### **4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა**

1. თბილისი, გამომცემლობა „საარი“
2. თბილისი, გამომცემლობა „საარი“
3. თბილისი, გამომცემლობა „საარი“
4. თბილისი, გამომცემლობა „საარი“
5. თბილისი, გამომცემლობა „საარი“
6. თბილისი, გამომცემლობა „საარი“
7. თბილისი, გამომცემლობა „საარი“
8. თბილისი, გამომცემლობა „საარი“
9. თბილისი, გამომცემლობა „საარი“
10. თბილისი, გამომცემლობა „საარი“
11. თბილისი, გამომცემლობა „საარი“
12. თბილისი, გამომცემლობა „საარი“
13. თბილისი, გამომცემლობა „საარი“
14. თბილისი, გამომცემლობა „საარი“
15. თბილისი, გამომცემლობა „საარი“
16. თბილისი, გამომცემლობა „საარი“

## 5) გვერდების რაოდენობა

1. 71-74
2. 29-34
3. 35-39
4. 49-52
5. 53-54
6. 55-60
7. 103-105
8. 19-24
9. 228-232
10. 36-40
11. 41-44
12. 85-89
13. 90-92
14. 93-95
15. 114-115

### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. სტატიაში განხილულია ქართული ხალხური დრამის გვარსახეობრივი სპეციფიკის სა-კითხი. ტრადიციული ფოლკლორისტიკა ხალხურ თამაშობებს, თამაშობების „სასცენოდ“ გამიზნულობის გამო, ფოლკლორულ დრამად მოიაზრებს. ასეა გააზრებული ქართული ხალხური პროზის მრავალტომეულის ეგიდით გამოსაცემად მომზადებულ „ქართული ხალხური დრამის“ კრებულშიც. საფუძვლად მიჩნეულია ფოლკლორული თამაშობის პირველყოფილი სინკრეტიზმის პრინციპით აგება, ასევე თამაშობათა მონაწილეების (პერსონაჟების) მიერ კონკრეტული ფუნქციების (როლებს) შესრულება.

ტერმინი „დრამა“ ასეთი ტექსტების მიმართ პირობითად უნდა იქნას გამოყენებული, რადგან უზოგადესი გაგებით „დრამა“ ქმედებაა, მოქმედებაა დიალოგებით (არისტოტელე). დრამას არც ავტორი ჰყავს ერთი. ავტორებია რეჟისორიც, მსახიობიც, მხატვარიც, სცენოგრაფიც... ამ თვალსაზრისით დრამა პერფორმანსს უახლოვდება. პერფორმანსი სახეობრივად მოიცავს თავისუფალ თამაშს (play), თამაშს წინდაწინ დადგენილი წესით (game), სპორტულ თამაშს. მისი კვალი ჩანს რიტუალში, სადაც წინდაწინ განსაზღვრულია შემსრულებლის (მსახიობის) როლი – ტექსტი, ქცევა, მოქმედების საზღვრები...

პერფორმანსში კი ყველაფერი იმპროვიზებულია, განსაზღვრულია მხოლოდ ქარგა. სწორედ ამ ნიშნით არის ფოლკლორულ დრამად სახელდებული ხალხური თამაშობების „ტექსტები“. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დრამისაგან განსხვავებით, ხალხურ თამაშობებს ბუნებრივად არ გააჩნიათ ტექსტები. ტექსტუალურობას მათ „ჩამწერები“ – ფოლკლორისტები ანიჭებენ.

2. იმისათვის, რომ მივიღოთ ნებისმიერი პიროვ-ნების (ინტერვიუერის) სრული ფსიქოლოგიური პორტრეტი, აუცილებელია გამოვიყენოთ კორელა-ციის მეთოდი ანუ მასმედიის წარმომადგენლებმა ერთიან ჭრილში უნდა „განათავსონ“ და „შიესწავლონ“ მათთვის „საინტერესო“ პიროვნების (ინტერვიუერის) როგორც შინაგანი, სული-ერი აქტიუქტურა, ასევე მისი ზოგადი, გარეგანი ქცევები. ჟურნალისტური ანალიზისა და სრულ-ყოფილი ინფორმაციის საფუძველზე, შექმნან შეჯერებული ვერსია ამა თუ იმ ფაქტისა თუ პიროვნების შესახებ. ფსიქოლოგიური სახის სრულყოფისათვის მასმედიის მიერ გამოყენებულ უნდა იქნას ადამიანის კვლევის სისტემური და მიზანმიმართული მოტივები. სრულყოფილი სახის მისაღებად ასევე აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ პიროვნებისათვის დამახასიათებელი, ერთი შეხედვით, არცთუ მნიშვნელოვანი მახასიათებლები, როგორცაა: ზოგადი გამონათქვამები, სხვადასხვა სახისა და თემატიკის ხუმრობები ან ნახევრადხუმრობები, რადგან სწორედ მათში ყველაზე თვალსაჩინოდ კონცეტირდება პიროვნების ფსიქოლოგიური განწყობის უტყუარი დეტალები. განწყობის ამოცნობისაკენ მივითითებენ ინტერვიუერის ჟესტები, მიმიკები და სხვა არავერბალური მახასიათებლები, რომლებიც ასევე აუცილებელია სწორად იქნას აღქმული მასკომუნიკატორის მიერ, რათა კვლევის დასასრულს მივიღოთ

სრულყოფილი პორტეტი იმ მდგომარეობისა, რომელშიც აღნიშნული პირი იმყოფება. ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები, რა თქმა უნდა სხვადასხვა, ძალზედ მრავალფეროვან ხერხებს მოიცავს.

3. XXI საუკუნეში ჟურნალისტები, უფრო სწორად, ამ კორპუსის მნიშვნელოვანი ნაწილი დარწმუნების ფსიქოლოგიას ემსახურება. დღეს უკვე თვალ-საჩინოა ამ ფაქტის მასობრივი მცდელობები. ისეთი მნიშვნელოვანი კომუნიკაციის წყაროები, როგორცაა: ტელევიზია, რადიომაუწყებლობა, ინტერნეტი, ჟურნალი თუ გაზეთი ცდილობს ჩვენს დარწმუნებას, რომ შევიძინოთ ესა თუ ის პროდუქტი, ხმა მივცეთ ამა თუ იმ პოლიტიკოსს, დავისვენოთ აქ და არა იქ, ვისარგებლოთ მხოლოდ ამ სერვისებით, რადგან ის ყველაზე მობილურია; ეს უშნოა ის კი ლამაზი; ეს სასურველია ის კი მავნე და ა.შ., დაუსრულებრივ. აშკარაა, რომ ყოველივე ზემოჩამოთვლილს მიმზიდველი, სწორად შერჩეული ფსიქოლოგიური შეფუთვა სჭირდება. ისეთი, რომელიც ჩვენს ფსიქოლოგიაზე მეტად იმოქმედებს და, ამიტომაც იმართება გრძელი მართონი-თუ ვინ შეფუთავს უფრო ბრჭყვიალად ერთი და იმავე ნივთს. თითქოს მოდური გახდა მედიისადმი დამორჩილების და „კონკიას ფსიქოლოგიის“ დანერგვა, რომელიც „უკეთესის მოლოდინის“ ფსიქოლოგიას ქმნის, ამ სატყუარის ნათელი მაგალითებია ზოგიერთი ქვეყნების კინობროდუქცია, მავანნი თვლიან, რომ ჩვენი ქვეყნისთვის სწორედ ამ კატეგორიის კინოსერიალებია „შესაბამისი“. აღნიშნული კინო-სურათები მთავრობის მიერ მოხმობილია სპეციალური მიზნით, რადგანაც ქვეყანაში არსებული რეალობა ვერ კვებავს სასურველს, სამთავრობო სტრუქტურების გააზრებით, იმედი და მოლოდინი საზოგადოებაში არ უნდა დაიკარგოს, ანუ სეთურისეული ფსიქოლოგია არ უნდა გაქრეს, მერე რა, რომ დღეს არ არის სასურველი რამ - ხვალ აუცილებლად იქნება. ისინი ფიქრობენ, რომ ამგვარი ფსიქოლოგიის დანერგვა მაკურნებელ სალბუნად ედება საზოგადოების არც თუ ისე მცირე ნაწილს. ამიტომაც, ტრიალებენ ჩვენ თვალწინ: თურქი, უკრაინელი, ბრაზილიელი თუ არგენტინელი, ვენესუელელი თუ პანამელი პერსონაჟები. ნებისმიერი მათგანის(სერიალის) მსოფლმხედველობა და ფსიქოლოგიური დატვირთვა ემთხვევა ჩვენი პირადი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებსა თუ პრობლემებს. ისინი ნერგავენ ისეთ მოსაზრებებს, რომლებიც ნაბიჯ-ნაბიჯ აშენებენ მავანისათვის სასურველ ფსიქოლოგიურ გარემოს, თანაც, რაც უფრო მეტი სიხშირით, მით უფრო დამაჯერებლად. ერთი შეხედვით, იმას, რასაც ვითომ მხოლოდ გასართობი ღირებულება აქვს, სინამდვილეში დიდი, სასურველი ფსიქოლოგიური წნეხის გატარებაც შეუძლია, სადღელამისო სატელევიზიო არხებმა და ასეთივე რადიომაუწყებლობამ, ეს პროცესი უფრო და უფრო გააღრმავა. სამწუხაროდ, ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

4. ნაშრომში საუბარია იმის შესახებ, რომ აშშ სამართლიანად იკავებს პირველ ადგილს მსოფ-ლიოში ტელემაუწყებლობის განვითარების სფეროში, აშშ-ს უმძლავრეს საწარმოო ბაზას საშუალება აქვს მოამზადოს უამრავი ტელეპროგრამა და ტელეკრანებს მიაჯაჭვოს მილიონობით მაყურებელი; ყურადღება გამახვილებულია უმსხვილეს სამაუწყებლო ქსელებზე - NBC, CBS, ABC, FOX, CW, CNN; ასევე საუბარია ტელემაუწყებლობის პირველი ნაბიჯებისა და განვითარების ეტაპების, სათანამზავრო და საკაბელო ტელეარხების შესახებ, აგრეთვე იმ გამოწვევებსა და ტენდენციებზე, რომლებიც ბოლო პერიოდში შეიმჩნევა აშშ-ს ტელევიზიაში; აღნიშნულია, რომ ტელევიზია ერთ-დროულად არის კომუნიკაციის რთული საშუალებაც, ტექნიკაც და ეკონომიკური სისტემაც, რომელიც მოიცავს კომუნიკატორებს, სხვადასხვა პროგრამებს, რეკლამის შემქმნელებს და მრავალფეროვან აუდი-ტორიას. ამერიკელებისთვის ტელევიზია მასობრივი კომუნიკაციის მნიშვნელოვანი საშუალებაა, რომელიც უნდა პასუხობდეს მათ ინტერესებს და მოთხოვნებს, ინფორმაციითაც უზრუნველყოს და გაართოს კიდეც; ამასთანავე ეს ყველაფერი იმ ტექნიკური საშუალებებით უნდა მიეწოდებოდეთ, რაც მათთვის ხელმისაწვდომია და იმდენი ღირდეს, რამდენის გადახდასაც შეძლებენ.

5. დღესდღეობით ბლოგი ინტერნეტჟურნალის-ტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღია. განვითარებულ ქვეყნებში ბლოგერებს იგივე უფლება-მოსილებები და პასუხისმგებლობები ეკისრებათ, რაც ჟურნალისტებს. მიუხედავად იმისა, რომ ბლოგერთა მოსაზრებები გარდაუვლად სუბიექტურია, მათი გამოყენება კვლევისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ბლოგერები დღეს თანამედროვე მკვლევარის, თვალსაზრისის ლიდერის როლს ირგებენ.

აღნიშნული სტატიისთვის შესწავლილია 500-მდე ბლოგი, პოსტი და კომენტარი ინსტაგრამსა და ფეისბუქზე, ასევე იუთუბზე. შესწავლილია ასევე ამ მომხარებელთა პირადი ონლაინ სივრცე, საიდანაც დგინდება, რომ ისინი არიან რეალური პირები. ქვემოთ მოყვანილი ბლოგერების კატეგორია ძირითადად არის მოგზაური ბლოგერები, ჟურნალისტი ბლოგერები, რიგითი ადამიანები, რომლებსაც სამსახურეობრივი მოვალეობა აკავშირებთ საქარ-თველოსთან და აგრეთვე ის რიგითი ადამიანები რუსეთიდან, რომლებმაც მუდმივ საცხოვრებლად საქართველო აირჩიეს.

6. ნაშრომში საუბარია მწერლისა და რეკლამის ურთიერთობაზე, რომელიც განსაკუთრებით მჭიდრო გახდა იოჰან გუტენბერგის საბეჭდი დაზვის გამოგონების შემდეგ, რომელმაც ახალ, მასობრივი კომუნიკაციის ეპოქას დაუდო სათავე. სწორედ ბეჭდურმა მედიამ გახადა შესაძლებელი - რეკლამა ვაჭრობის (ეკონომიკის) განვითარების თანმდევი, აუცილებელი კომპონენტი გამხდარიყო. მრეწველობისა და ეკონომიკის განვითარება, თავის მხრივ, სარეკლამო საქმიანობის გააქტიურებას, ყველა ფენის მომხმარებლისათვის ადვილად გასა-გები, ცხადი და დამაჯერებელი ტექსტის შექმნას ითხოვდა. სწორედ ამ ვითარებამ „დაამეგობრა“ რეკლამა და მწერალი. სარეკლამო საქმიანობაში სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა მიმართულებისა და დაჯგუფების მწერლები მონაწილეობდნენ: ქმნიდნენ სლოგანებს, თხზავდნენ ტექსტებს, გეგმავდნენ სარეკლამო ღონისძიებებს. მწერლებისთვის ეს საქმიანობა არა მხოლოდ საარსებო საშუალება იყო, არამედ ის ლიტერატურულ საქმიანობაშიც ეხმარებოდა, აჩვენებდა დისციპლინას, დროის ფასს, სიუჟეტებითაც ამდიდრებდა მათ შემოქმედებას და რასაკვირველია, საკუთარი ნაწარმოებების გაყიდვაშიც ეხმარებოდა.

7. სტატიაში განხილულია აკაკი წერეთლის გარდაცვალებით დამწუხრებული ქართული საზოგადოების მიერ განცდილი და ნააზრევი. ახალი საუკუნის გარიჟრაჟზე, ილია ჭავჭავაძის სიკვდილიდან შვიდი წლის შემდეგ, ძვირფას ნეშტთან შეკრებილი ერი და ბერი აკაკი წერეთელს ემშვიდობება. ეს არის წიწამურის ტრაგედიაზე ჩაფიქრებული, სევდითა და მაინც სასოებით გაერთიანებული საქართველოს გამოსათხოვარი...

სტატიაში ამ ნაფიქრის ფონზე ნაჩვენებია თავად აკაკის პიროვნება, დიდი მგოსნისა და მამულიშვილისა, ცისა და ქვეყნის რჩეულისა... სწორედ ცისა და ქვეყნის შემამკობელს ეკისრებოდა ამ გრძნობის სიმაღლემდე ასვლა და მისი შეცნობა. პოეტის სიტყვას უნდა ეტვირთა დიდი მისია ერის გამოღვიძებისა და ღვთის რწმენის სიმტკიცისა.

8. ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ მოიცავს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან XVIII საუკუნის შუა წლებამდე. „საქართველოს ისტორიის“ ძველი პერიოდი ვახუშტიმ წარმოადგინა არსებული ნუსხების მიხედვით XIV საუკუნემდე. მეცნიერი თავის ნაშრომში არც თუ მცირე ადგილს უთმობს მეფეთ მეფე თამარის მეუღლის, დავით სოსლანის გენეალოგიის საკითხს. გამოკვლევაში გამოვლენილი გვაქვს საისტორიო წყაროები, რომლის საფუძველზეც ისტორიკოსი აყალიბებს თავის კონცეფციას დავით სოსლანის წარმომავლობის შესახებ. ამ თვალსაზრისით, ნაშრომში პუნქტობრივ არის განხილული მისი მსჯელობა თამარის ისტორიკოსებისა და ვახტანგ VI -ის ინიციატივით მოწვეული „სწავლულ კაცთა“ კომისიის მიერ შევსებულ „თამარის ცხოვრებაში“ მოტანილ ცნო-ბებთან მიმართებაში. გამოვლენილია სახელოვანი ისტორიკოსის მიერ გამოყენებული საისტორიო წყაროების არასწორი გაგების კონკრეტული მაგალითები, დავით სოსლანის გენეალოგიის ვახუშტისეული კონცეფციის მცდარი მხარეები და მისი გამომწვევი მიზეზები. კერძოდ: 1) ვახუშტის სიტყვები - „პოვეს ყრმა ეფრემის ძისაგან ოვსთა მეფისა, რომელი აღეზარდა რუსუდანს, მამიდასა თამარისასა“ - არის პერიფრაზი „თამარის ცხოვრების“ შევსებული რედაქციის „ისტორიანი და აზმანის“ ცნობისა: „იყო სახლსა შინა დედოფლისა რუსუდანისასა მოყმე ეფრემის ძეთაგანი, რომელ არიან ოვსნი...“ ვახუშტის არასწორად გაუგია ფრაზა „მოყმე ეფრემის ძეთაგანი, რომელ არიან ოვსნი“. ეფრემის ძეებად წყაროში იწოდებიან „ოვსნი“ და არა მხოლოდ ოსთა მეფე, როგორც იგი ფიქრობს. 2) ვახუშტის მოსაზრება, რომ „ესე დავით იყო მეფის გიორგის ძის დიმიტრისაგან“, არის გამეორება „თამარის ცხოვრების“ შევსებული რედაქციის ტექსტისა: „რამეთუ დიმიტრი, ძე გიორგი მეფისა, რომელიც დაშთა ოვსთა მეფის ქალისაგან, მის დიმიტრის მეექუსე ნათესავი იყო“. 3) ვახუშტი ბატონიშვილს მიაჩნია, რომ მეფე

თამარს ჰყავდა ორი მამიდა, ორთავ სახელით რუ-სუდანი. ეს მცდარი აზრი მომდინარეობს „ცხოვრება მეფეთ - მეფისა თამარის“, სათანადო ადგილის არასწორი გაგების შედეგად, რაც თვალსაჩინოდ არის დასაბუთებული სტატიაში. 4) საფუძვლიანი არგუმენტების მოხმობით დამტკიცებულია, რომ მეფე თამარის და დავით სოსლანის დედის ხაზით ნათესაობის შესახებ ვახუშტის მოსაზრება ფაქტების მცდარი გააზრების შედეგია და რეალობას არასახავს. გაუმართლებელია აგრეთვე, მეცნიერის მიერ არდონის ხეობაში მდებარე, ნუხალის მცირე ეკლესიის ფრესკებისა და წარწერების საფუძველზე დავით სოსლანის გენეალოგიის საკითხის გარკვევის მცდელობა. აღნიშნულია, რომ ნუხალის მცირე ეკლესიის ფრესკებისა და წარწერების თანმიმდევრობა არ ემთხვევა ვახუშტის მიერ მოტანილ სქემას. ნაშრომში სათანადო არგუმენტაციის საფუძველზე უარყოფილია პროფ. გიორგი თოგოშვილის მოსაზრება, თითქოს „ვახუშტის მიერ დავით სოსლანის მამის ხაზით ბაგრატიონად გამოცხადება ადვილად აიხსნება მისი დინასტიურ - პატრიოტული ინტერესებით“. ამასთან ერთად, ვახუშტი ბაგრატიონი მანამდელი მატიანეების ცნობებისაგან განსხვავებით საყურადღებო, ახალ ინფორმაციას გვაწვდის, ესაა ცნობა XI საუკუნეში დემეტრე ბაგრატიონის ვაჟისა და დედის ანაკოფიიდან ოსეთში გადასვლისა და დემეტრეს ვაჟის ოსეთში გამეფების თაობაზე. ინფორმაციის წყარო, ვფიქრობთ, XIX საუკუნის დასაწყისში არსებული გიორგი ოლთისელის თხზულება უნდა იყოს.

ბატონიშვილის კონცეფცია ოსეთში გამეფებულ ბაგრატიონთაგან დავით სოსლანის წარმომავლობის შესახებ წერილობით წყაროს ემყარება და ნდობას იმსახურებს.

9. აშკარაა, რომ განსხვავებული აზროვნების ადამიანებს ერთი და იმავე გზით ვერ დაარწმუნებ. ზოგს მეტი არგუმენტი სჭირდება დარწმუნებისათვის, ზოგსაც ნაკლები ფსიქოლოგიური განწყობა აქვს დამარწმუნებლის მიმართ. მასმედიის კორპუსის წარმომადგენელთაგან ნაწილი მოსალოდნელი საშიშროების ნებისმიერ სახეობას, პირდაპირი ფორმით აწვდის საზოგადოებას. საშიშროება ან არსებობს, ან არ არსებობს. ფაქტი თეთრია ან შავია. მეორე ნაწილი ჟურნალისტებისა, მეტწილად რეაგირებენ კარსმოდგარი ფაქტის არამხოლოდ მთავარ დეტალზე, არამედ ნიუანსებზე და ამით ქმნიან უფრო ლოგიკურ დასაბუთებასა და ძლიერ ფსიქოლოგიურ ემოციებს.

10. სუბკულტურები დომინანტური კულტურისგან პრინციპულად განსხვავებული ფენომენია, საზოგადოებისგან განცალკევებით მდგომი, მაგრამ ამავე დროს მისი ორგანული ნაწილი. ისინი არსებულ სოციოკულტურულ სურათს არათუ ასახავენ, არამედ გაბატონებული კულტურის მახასიათებლებადაც გამოდიან. სწორედ სუბკულტურების მეშვეობით ხდება საზოგადოების ცალკეული ნიშან-თვისებების რელიეფურად წარმოჩენა. სუბკულტურები საერთო კულტურას ფეხს არ უწყობენ. ამას შეიძლება ვუწოდოთ განსხვავებულობის პრინციპული მოთხოვნილება. ეთნიკური ან რასობრივი ნიშნით გამორჩეული სუბკულტურების არჩევანია ასიმილაციაზე უარის თქმა და საკუთარ კულტურაში ჩაკეტვა. თვითმყოფადობის შენარჩუნების მოტივაცია ასეთ ჯგუფებში ძალიან მაღალია. სხვაა, როდესაც ინდივიდი პირადი არჩევანის საფუძველზე, საკუთარი გატაცებების, ჩვევებისა და შეხედულებებიდან გამომდინარე, განსხვავებულობის ამა თუ იმ ნიშნით, ერთიანდება ჯგუფში. ეს განსხვავებულობა ასევე შესაძლოა მძაფრ სოციალურ პროტესტში ან საზოგადოების ფასეულობებთან დაპირისპირებაში გამოიხატოს.

სუბკულტურები ახალგაზრდულ მოძრაობად დასავლურ საზოგადოებაში მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ჩამოყალიბდა. საქართველოში სუბკულტურები მხოლოდ პოსტსაბჭოთა პერიოდში გაჩნდა. ფაქტობრივად, ეს იყო მოდური ტენდენცია, დასავლური კულტურის მექანიკური კოპირება. საზოგადოებაში არსებული შემფოთების მიუხედავად, მედიას განსაკუთრებული აქცენტი მათ არსებობაზე არ გაუკეთებია. თავიანთი უღიმღამო არსებობით სუბკულტურებს ქართულ ახალგაზრდულ კულტურაზე დიდი გავლენა არ მოუხდენიათ, მაგრამ ეს ზეგავლენა მსოფლიოშიც შესუსტდა. მთავარი მაინც ისაა, რომ 21-ე საუკუნეში მსოფლიოს ახალგაზრდულ სუბკულტურებში რაღაც შეიცვალა და ამის მიზეზი მედიატექნოლოგიებში უნდა ვეძებოთ.

სუბკულტურების შექმნას რეალური მიზეზები ჰქონდა - ეს იყო პროტესტი საზოგადოების, ხელი-სუფლების, მორალის, მშობლების ღირებულებების წინააღმდეგ. მედიამეინსტრიმი კი განასახიერებდა იმას, რასაც სუბკულტურები უპირისპირდებოდნენ - საზოგადოების ძირითად ორიენტირებს, სა-

ხელმძღვანელო პრინციპებს. ამიტომაც იყო, რომ სუბკულტურები ტრადიციული მედიებისგანაც ისევე დისტანცირებულები იყვნენ, როგორც საზოგადოებისგან.

ინტერნეტმა სუბკულტურებს გამოხატვის თავი-სუფლება და ტრიბუნა მისცა, რომ უფრო ბევრისთვის მიეწვდინათ თავისი ხმა და, რაც მთავარია, შეუზღუდავი სივრცე. არსებობდა მოლოდინი, რომ სუბკულტურებს კიბერსივრცის სახით გაუჩნდათ ადგილი, სადაც არაფერი არ კონტროლდება და ადამიანებს შეუძლიათ იყვნენ ისინი, ვინც უნდათ და ისეთები, როგორებიც უნდათ რომ იყვნენ. მაგრამ ინტერნეტსივრცეში სუბკულტურები ჩაიკარგა. კიბერსამყაროში მიზიდულობის ცენტრი ახალგაზრდულ კულტურას აღარ ჰქონდა. იზოლაციისა და ანტისაზოგადოებრივი დაჯგუფებისკენ სწრაფვა თანდათან შესუსტდა. ინ-ტერნეტმა სუბკულტურებს თავისუფალი პლატფორმა შეუქმნა, მათი პოპულარობა კი შემცირდა. ახალგაზრდებმა დაკარგეს ჯგუფებად გაერთიანებისა და პროტესტის გამოხატვის მუხტი, რადგან მათ ვირტუალურ სამყაროში მიიღეს ის, რისთვისაც იბრძოდნენ. თუმცა სუბკულტურები დღესაც განაგრძობენ არსებობას, მაგრამ ისინი უკვე აღარ გამოხატავენ ახალგაზრდულ ძლევამოსილ ძალას.

11. ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში მცირე პროზაული ჟანრებიდან ნაკლებადაა შესწავლილი მინიატურა. რამოდენიმე სტატიები გამოქვეყნდა მინიატურული ჟანრის წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებათა შესახებ, თუმცა განზოგადებული ხასიათის ნაშრომები არ გვაქვს. დღემდე სათანადოდ შეფასებული და შესწავლილი არაა ქართველ სიმბოლისტთა დეაწლი ამ ჟანრში, რომლებმაც დახვეწეს და თემატურად მრავალფეროვანი გახადეს ქართული მინიატურული პროზა. მათი ნაღვაწის გვერდის ავლით შეუძლებელია მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების თავისებურებათა მნიშვნელოვნად წარმოჩენა.

„ცისფერყანწელებმა“ ლიტერატურაში მოიტანეს არა მარტო ახალი თემატიკა, არამედ გაამდიდრეს იგი მხატვრული ხერხებითა და საშუალებებით. მათი ნიჭი ძირითადად პოეზიის სფეროში გამოვლინდა. შექმნეს მინიატურული პროზის საუკეთესო ნიმუშები. ამ მხრივ საყურადღებოა მინიატურები, რომლებშიც იგრძნობა როგორც წინა თაობის მწერალთა გამოძახილი, ისე მოდერნიზმისადმი ერთგულებაც. მათ ახალი სული შთაბერეს პროზაულ მინიატურას და დასავლური კულტურის აპოლოგენებად მოევიდნენ ქართულ მწერლობას.

„ცისფერყანწელი“ პოეტთა ცდებს მინიატურის ჟანრში გარკვეული წარმატება ჰქონდა. ისინი ერთგულად იცავდნენ სიმბოლოზმის დოქტრინას, სადაც ზოგჯერ თავს იჩენს ერთგვარი საბრძოლო ნოტიც, მაგრამ საბოლოოდ მაინც პასიური პროტესტის ფარგლებს ვერ სცილდება. მათი თქმით ცხოვრება ძველის ნგრევისა და ახლის შენების განუწყვეტელ პროცესშია, რომელიც ხშირად შეუგნებლად ხდება და ამას ცხოვრების ქმნადობად ასაღებენ. მკვლევართა დაკვირვებით, მინიატურა თავნება ჟანრია და არ ემორცილება ფორმის არავითარ კანონებს. „ჩვენ უნდა შევიყვაროთ მინიატურის ფორმა და ერთხელ კიდევ გავაკვიროთ ევროპა, როგორც ჩვენი წინაპრები აოცებდნენ მათი უჩვეულო მინანქრებით“.\_წერდა ცისფერყანწელი სანდრო ცირეკიმე. მინიატურის ჟანრული თავისებურებებიწააგავს ლექსს თავისი ლირიზმით და ესეის განსჯის სუბიექტურობით. მკვლევარები მინიატურას აისბერგს ამსგავსებენ, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილი ჩანს ზედაპირზე. მისი მთლიანი დანახვა კი მხოლოდ მკითხველის გონების სიღრმესა და სულიერ სიმდიდრეზეა დამკვიდრებული. მინიატურა განსაკუთრებით პოპულარული გახდა მეოცე საუკუნის დასაწყისს, როდესაც მოდერნისტული ძიებები დაიწყო. ხელოვანთა აზრით, სხვათაგან მკვეთრად განსხვავდება ქართული მინიატურა. იგი გამოირჩევა შესრულების უმაღლესი ოსტატობითა და დახვეწილი ტექნიკით. დეკორატიული კომპოზიციებით, ფერებით, რომ-ლებიც განსაკუთრებულ ლირიკულ განწყობილებას ქმნიან. ქართველმა მოდერნისტებმა არა მარტო გონების წყალობით, არამედ საკუთარი თვალებით შეისწავლეს ევროპა, თავიანთი ნიჭით მიღებული ცოდნა გარდაქმნეს და თავიანთი შემოქმედებისინოვაციური ექსპერიმენტებისთვის გამოიყენეს. ქართულმა მწერლობამ მოახერხა, რომ მინიატურას ღირსეული ადგილი დაემკვიდრებინა მწერლობასი, დღესაც ბევრი ქართველი თუ უცხოელი შემოქმედი წარმატებით იყენებს ამ ჟანრს თავისი სათქმელის გამოსახატავად.

12. ლევან გოთუა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ახალგაზრდობის სულიერი სიჯანსაღისა და ზნე-ობის საკითხებს. ამ მხრივ მის პუბლიცისტიკაში თვალსაჩინოდ არის წარმოსახული ის უმთავრესი



პოსტულატები, რომლებიც აუცილებელია ერის მომავლისთვის. ეს, უწინარესად, ოჯახია, რომლის გრძნობაც ერისა და სამშობლოს გრძნობისგან განუყოფელია. ოჯახს ადამიანობის პირველ უნივერსიტეტს უწოდებდა, ოჯახის დანგრევას კი ეროვნული ციხის დანგრევას ადარებდა.

ამ მხრივ საყურადღებოა ლევან გოთუას უცნობი ბარათი, რომელიც 1954 წლის 24 ოქტომბერს, ვორკუტაში დაწერა და ვორკუტულ ქორწილს გამოეხმაურა. ბარათში მწერალი ყურადღებას ამახვილებს სამშობლოს გრძნობაზე, რომელიც ყველა ადამიანს თან უნდა სდევდეს. ამ ქორწილს მწერალი ეროვნული თვალსაზრისით დიდად სანუგეშო მოვლენად მიიჩნევს, რადგან მხოლოდ ასეთი „საბუდრებიდან გადმოდინ სამშობლოს მოამაგენი და კეთილ-მოღვაწენი“ (ხუჭუების არქივი).

ამ ქორწილს ლევან გოთუა ბოროტებაზე და ვარამზე გამარჯვების ქორწილად მიიჩნევს, დიდი სიყვარულისა და ადამიანობის გამარჯვებას გესლზე და ყოველგვარ უკეთურებაზე.

ლევან გოთუას წერილები - სტატიები და მიმოხილვები ეროვნული მსოფლშეგნებითა და მორალურ-პუბლიცისტური პათოსით გამოირჩევა. თითქოს მისმა არაორდინარულმა ცხოვრებამ განაპირობა, სამშობლოსთვის მზრუნველ-მოამაგედ ჩამოყალიბებულიყო, თავისუფლებისმოყვარე ერის ბედის შემქმნელთა გვერდით ეღვაწა და შეექმნა საზოგადოებრივი აზრი, რომელიც მისი სამშობლოს უკეთეს მომავალს დასჭირდებოდა.

კეთილი მომავლის სათავეებთან ახალგაზრდობას მოიაზრებდა. საყურადღებოა ლევან გოთუას სტატია „ერისშვილობის პასუხისმგებლობა“. ვინაიდან ახალგაზრდობა ერის მომავალია, ყველაფერი, რაც მას ეხება, მთელ ერს ეხება, მთელ ჩვენს საზოგადოებასო.

მწერლის დასკვნით, ოჯახისა და ერის ბედნიერება უნდა ემთხვეოდეს, ხოლო „თუ შენი ოჯახი ბედნიერია და ერი კი არა, სადღაც არ ყოფილხარ უანგარო“ (გოთუა 1974:10).

საახალწლო მიმოხილვებში იგი, მწიგნობრობასთან და განათლებასთან ერთად, ახალგაზრდა თაობის საფუძვლიანი ესთეტიკურ ზნეობრივი აღზრდაგანათლების საჭიროებას ხედავდა.

შოთა რუსთაველის ირგვლივ სულიერი გაერ-თიანება და ამირანთან შეხმიანება („ყოველმა თაობამ თვითვე უნდა შვას და აუშვას ამირანი“) მისი წერილების კრედო იყო. ერის ბედნიერება კი მრავალშვილიან მტკიცე ოჯახს უნდა დაეგვირგვინებინა...

13. 2020 წლის 11 სექტემბერს კრწანისის ბრძოლის 225 წლისთავი აღინიშნა. 21-ე საუკუნის ქართულ პოეზიას კი ისევ ყაყაჩოს წვეთივით ატყვია ეს დღე. საბედისწერო მარცხი ტკივილითა და სევდით, მაგრამ ახალი განცდით შეგვახსენებს თავს თანამედროვე პოეტების შემოქმედებაში. მათთვის ძალიან ახლობელი და მწარე ტკივილია, თითქოს დროის ზღვარი წაშლილა და ისინიც იმ ტრაგიკული ომის თვითმხილველნი გამხდარან; გადარჩენილი სამასმეერთე არაგველის მრწამსით მომავლიდან ეხმიანებიან სამას არაგველს, მათ მაგივრად უნდა იომონ, მათი დაწყებული საქმე უნდა დაასრულონ...

ომი გრძელდება... ბედი ჩემი კრწანისიაო, - რეფრენად ისმის ქართველ პოეტთა შემოქმედებიდან... ამიტომაც მესამე ათასწლეულშიც ისევ არაგველებს თუ გამოიხმობს პოეტი, რადგან „გარშემო ურიცხვი მტერია“ და ყოფნაარყოფნის ჟამი დამდგარა. „ხელმოცარული ბღავის ჩემში მეფე ერეკლე“ - გენრი დოლიძის ეს სტრიქონი XXI საუკუნის პოეზიას წითელ ზოლად გასდევს, თუმცა იქვეა იმედიც, რომელიც მარცხმა ამოსვეტა და შვა ცოტნე, ილია... ყველაზე დიდი იმედი კი არაგველობაა, სამასი არაგველის კვალში ჩამდგარან ახალი არაგველები... სწორედ ეს სულისკვეთება გამოარჩევს XXI საუკუნის ქართულ პოეზიას.

კრწანისის ბრძოლიდან 225 წლის შემდეგ ახალი კრწანისი ახალი ტკივილებითა და იმედებით ასვეტილა - რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები, ქართული მიწების ნაწილ-ნაწილ მიტაცება, მცოცავი ოკუპაცია... თანამედროვე ქართული ლიტერატურის ძირითადი თემებია.

კრწანისის ბრძოლიდან 225 წელი გასულა და მისი გამოძახილი 21-ე საუკუნის ქართულ პოეზიას ისევ ყაყაჩოს წვეთივით ატყვია - „თავდადებულ სამას ვაჟკაცს დღესაც გლოვობს კრწანისი“ (ო. რურუა).

81 წლის წინ დაწერილი ლადო ასათიანის „კრწანისის ყაყაჩოები“ (1940 წ.) თავგანწირულ მებრძოლთა დაღვრილ სისხლზეა. მურმან ლეზანიძის „სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი“ (1971 წ.) კი „დასადვრელის ალბათ მაცნეა“, პოეტი ქვეტექსტური სათქმელით, „მინიშნებებით გვესაუბრება, ალუზიებით ამბობს, რომ „ახალი კრწანისი“ წინ არის“ (გ. კუჭუხიძე, „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“ - XIII. 2019, გვ. 381)... ეს ნაწინასწარმეტყველები ასრულდა ჯერ 1989 წლის 9 აპრილს, შემდეგ მას მოჰყვა ომები აფხაზეთსა და შიდა ქართლში.

აღსანიშნავია, რომ კრწანისთან შეხმიანებისას დიდი იმედი საკრალურ ხესთან - მუხასთან ასოცირდება, ხოლო პოეტის მიერ კრწანისზე დამიწების ნატვრა და ზურგზე მუხის აშრიალება უზარმაზარ ემოციურ მუხტთან ერთად შინაგანი ძლიერების გამოხატულებაცაა, რომელიც დიდ მარცხს არა მხოლოდ გადაწონის, სამომავლო გამარჯვების მძლავრ სურვილსაც გვიღვიძებს.

14. კრიტიკული აზროვნება – აზროვნებაა, რომელიც გამოხატავს ინტელექტუალური უნარებისა და ჩვევებისადმი ოსტატობას. რომელიც მიმართულია აზროვნების გაუმჯობესებაზე, რათა ის გახდეს უფრო საფუძვლიანი, მყარი, ნათელი და ზუსტი. კრიტიკული აზროვნება ეგოიზმისა და სოფისტიკის საპირისპიროა, ის გვიცავს საკუთარი თავის მოტყუებისა და შეცდომაში შეყვანისაგან, ბუნებრივი მიდრეკილებისაგან სასურველი ჭეშმარიტად გავასაღოთ. კრიტიკული აზროვნება შეიძლება განიმარტოს, როგორც ზრუნვა საკუთარ აზროვნებაზე, რაც მის გაუმჯობესებას, პოზიტიური მიზნებისაკენ მიმართვას გულისხმობს.

კრიტიკული აზროვნება – ეს დამოუკიდებელი აზროვნებაა, რაც გულისხმობს საკუთარი იდეების, შეფასებების, მრწამსის დამოუკიდებლად ფორმულირებას. ამ მხრივ კრიტიკული აზროვნება პიროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების წინამძღვარია. ვერავინ იფიქრებს და იაზროვნებს ჩვენს მაგივრად. აზროვნება კრიტიკულია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი პიროვნული ხასიათისაა.

კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანებს ახასიათებს: საკუთარი აზრის ჩარჩოს მიმართ დასვას სიღრმისეული შეკითხვები, გააცნობიეროს მისი სუსტი და ძლიერი მხარეები, ასევე ალტერნატიული თვალსაზრისისა და აზრთა წყობის სუსტი და ძლიერი მხარეები, ამგვარად მოაზროვნეს შეუძლია იმის გაცნობიერება, თუ რაზე დაფუძნებული საკუთარი აზრთა მიმდინარეობა და აცნობიერებს, რომ საჭიროა მათი მუდმივი გადახედვა, განხილვა და განახლება მათივე გაუმჯობესების მიზნით. ესაა საკუთარი ეგოცენტრიზმის დაძლევის უნარი ბაზისურ პრობლემებზე დიალოგის წარმართვის გზით. ადამიანი, რომელსაც ეს ჩვევები არ გააჩნია არ აქვს ინტელექტუალური უნარები – იგი მიაშიტი, გულუბრყვილოა და ადვილადაა გამზიარებელი სხვისი აზრისა და შემოთავაზებული ქცევის წესებისა, დოგმატურია, ბუნდოვანი, დახშული და ვიწრო ბუნების მატარებელია, შესაძლებელია მისი ადვილად მანიპულირება. არაკრიტიკული ადამიანი ვერასოდეს შესძლებს შეიცნოს და შეაფასოს საკუთარი თავი.

კრიტიკულად მოაზროვნობისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი გულისხმობს იმის გაცნობიერებას, რომ ჩვენ კრიტიკულნი ვართ.

ამგვარად, კრიტიკული აზროვნება საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. იგი მხოლოდ მწიგნობრობიდან, იყალთოს, გელათის აკადემიებიდან კი არ საზრდობდა, არამედ სახარება იყო მისი პირველწყარო. აზროვნების სიფხიზლე არ უნდა მოადუნო, მისი სინათლე არ უნდა ჩააქრო, არ უნდა ჩაგვეთვლიდნენ, არ უნდა გაიფანტო, ყურადღება არ უნდა გაგექცეს. თუ შენ ამგვარად იფხიზლებ, მაშინ ღმერთი ცოცხალია შენში. ამიტომ საჭიროა გააზრება, კრიტიკა, შეფასება, რომელიც ხელს შეგვიწყობს კრიტიკულ აზროვნებაში.

15. გერმანიის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ ნაცისტებმა დაიწყეს ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების მიზნით „არასრულფასოვანი“ ხალხების დაპყრობის, დამონებისა და განადგურების პროგრამის განხორციელება. რასისტული იდეებით ნასაზრდოები პოლიტიკის დასავლეთევროპული ვექტორი გარკვეულწილად განსხვავდებოდა აღმოსავლურისაგან. დაგეგმილი იყო დასავლეთევროპის მოსახლეობის დიდი ნაწილის გერმანიზაცია, ზოგი ხალხის „ბიოლოგიურად დასუსტება“ და სხვების განადგურება.

განზრახული იყო „ნორდული რასის“ წარმომადგენლების: ნორვეგიელების, დანიელების, ჰოლანდიელების, ფლამანდიელების ფაშიზაცია და გაგერმანელებაც. უნდა შექმნილიყო ეკონომიკურად, პოლიტიკურად და რასობრივად უნიფიცირებული „დიდი ევროპული სამეურნეო სივრცე“.

ნაცისტები ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ეს ხალხები მესამე რაიხთან მათი ინტერესებისა და მიზნების ერთიანობაში. მიზანმიმართული პროპაგანდა ეწეოდა ეკონომიკური, ისტორიული და კულტურული ნათესაობის იდეებს, „ნორდული ტომების“ ბედის ერთიანობას, რომ დაესაბუთებინათ მათი სრული ინტეგრაციის სასიცოცხლო საჭიროება ერთიან „გერმანულ საზოგადოებაში“.

ოკუპანტები აქტიურად ცდილობდნენ „გერმანული ცხოვრების წესის“ დანერგვას ნორვეგიის, ნიდერლანდების, ბელგიის ფლამანდიური პროვინციების მოსახლეობაში. გერმანიზაციის პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურად ვითარდებოდა გერმანელთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე: ელზასში, ლოტარინგიაში, ლუქსემბურგში, სამხრეთ ტიროლში, მალმედის, ნორის, პა - დე - კალეს ოლქებში. აქ ერთადერთი ოფიციალური ენა ხდებოდა გერმანული, ვრცელდებოდა რაიხის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა კანონი და წესი.

ნაცისტებმა აიღეს კურსი ნაციონალური თვითმყოფადობის მოსპობის, ევროპის მაღალგანვითარებული ერების ძირის გამოთხრის და ეროვნული ენების ლიკვიდაციისაკენ.

ლუქსემბურგში აკრძალული იყო როგორც ფრანგული, ისე მოზელ - ფრანგული დიალექტი, სამხრეთ ტიროლში - იტალიური. ბელგიაში, სადაც ოფიციალური ენებია: ფლამანდიური და ფრანგული, ყველა ცნობა რადიოთი გადაიცემოდა მხოლოდ გერმანულად. ქვეყანაში უამრავი გერმანელი კოლონისტი შემოვიდა, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით პრივილეგიებით სარგებლობდნენ და ენერგიულად უწყობდნენ ხელს ბელგიის გერმანიზაციას.

გერმანელი კოლონისტებით უნდა დაესახლებინათ ნორვეგიაც, რომელიც უნდა გადაქცეულიყო ელექტროენერჯის წარმოების ბაზად ევროპული ეკონომიკური სივრცისათვის.

ნაცისტები ფართოდ იყენებდნენ ხალხების გათიშვისა და ერთაშორის წინააღმდეგობის ხელოვნურად გამწვავების პოლიტიკას. ამ მიზნით იყენებდნენ ფლამანდიურ ბურჟუაზიულ ავტონომიზმს, ბრეტონულ რეაქციულ სეპარატიზმს, ვალონურ ნაციონალიზმს. ნიდერლანდებში ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებდნენ ჰოლანდიელებსა და ფრანკებს (სამხრეთში) და ფრიზებსა და საქსებს (ჩრდილოეთში).

„ბიოლოგიური დასუსტების“ რასისტულ პოლიტიკას ატარებდნენ არაგერმანელი ხალხების: ბერძნების, იტალიელების, ფრანგების და სხვების მიმართ.

ხალხთა იძულებითი ასიმილაციისა და განადგურების ნაცისტური პროგრამის შესასრულებლად ეფექტურად იყენებდნენ საკონცენტრაციო ბანაკებს. ამ მიზნით არაერთი ბანაკი იყო განთავსებული: გერმანიაში, ავსტრიაში, ნორვეგიაში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, ლუქსემბურგში, საფრანგეთში და ა.შ.

ნაცისტური გერმანიის დასავლეთევროპულ პოლიტიკაში რასიზმი გამოვლინდა უმთავრესად „კულტურული“ გენოციდის თავისებური ფორმით.

16. ოსებ იმედაშვილი XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის თვალსაჩინო მოღვაწეა – მწერალი, პოეტი, დრამატურგი, ლექსიკოლოგი, ლექსიკოგრაფი, თეატრალური მოღვაწე – რეჟისორი, მსახიობი, თეატრალური და ლიტერატურული კრიტიკოსი და რედაქტორ-გამომცემელი, საქართველოში სახალხო თეატრის მოამაგე, თვალსაჩინო პუბლიცისტი. მისი რედაქტორობით 1910-1925 წლებში გამომავალმა ჟურნალმა „თეატრი და ცხოვრებამ“ ეპოქა შექმნა ქართული ჟურნალისტიკის, კერძოდ, თეატრალური ჟურნალისტიკის ისტორიაში.

როგორც პუბლიცისტი, ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური სკოლის წარმომადგენელია. იგი შემოქმედებითად იყენებდა ამ სკოლის პუბლიცისტური ოსტატობის ხერხებსა და ტრადიციებს. მისი პუბლიცისტიკის ენა ხალხურ სასაუბრო მეტყველების ტრადიციებს ემყარება და შემოქმედებითად განვითარებას წარმოადგენს. ი. იმედაშვილის პუბლიცისტიკის ენის, იდეოსტილის თავისებურებებს ქმნის სიტყვაწარმოების საოცარი რეგისტრები, მეტაფორული პარაფრაზის, სინტაქსური პარალელიზმისა და სხვა ხერხების მიზნობრივი გამოყენება. მისი მწერლური ნიჭი მის პუბლიცისტურ ნაწერებს გამორჩეული მხატვრული სახეობრივი აზროვნების ელფერით აღბეჭდავს. ეს ტენდენცია გარკვეულად „დროის ნიშნით“ არის განპირობებული, რაც იმაში გამოიხატება, რომ თავისი დროის კატაკლიზმების უთავბოლოობაში საერთოდ სათქმელის და, კერძოდ, ეროვნული სატკივარის გამოხატვის ტრიზუნა საზოგადოებისათვის მწერლობა და მისი პუბლიცისტურობით გადაჯერებულობა გახდა.

## 6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

### 6.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები

- 1.
- 2.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

- 1.
- 2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

- 1.
- 2.

4) გვერდების რაოდენობა

- 1.
- 2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

6.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

- 1.
- 2.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

- 1.
- 2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

- 1.
- 2.

4) გვერდების რაოდენობა

- 1.
- 2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

6.3. კრებულები

1) ავტორები

- 1.
- 2.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

- 1.
- 2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

- 1.
- 2.

4) გვერდების რაოდენობა

- 1.
- 2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

- 1.
- 2.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

- 1.
- 2.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

- 1.
- 2.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

- 1.
- 2.

5) გვერდების რაოდენობა

- 1.
- 2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

**7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა**

**7.1. საქართველოში**

1. „ერეკლე მეორის დაბადებიდან 300 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია“

2. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ონლაინ სწავლება კოვიდ 19-ის პირობებში და განათლების სისტემა

3. VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათაშორისი დიალოგები“

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. თემურ ჯაგოდნიშვილი

ივანე ჯაგოდნიშვილი

ვაჟა პაპასკირი

ვაჟა პაპასკირი

ივანე ოსაძე

ქეთევან გაფრინდაშვილი

გურამ გვენეტაძე

თინათინ კილაძე

2. თემურ ჯაგოდნიშვილი

3. თემურ ჯაგოდნიშვილი

2) მოხსენების სათაური

1. „ერეკლე მეორე და ქართველი ხალხის მხატვრული ცნობიერება,,  
 „ მასობრივი კომუნიკაცია ინფორმაციულ საზოგადოებაში,,  
 „ მასმედიური მოღვაწეობის ფსიქოლოგიური ფაქტორი,,  
 „სხეულის ფსიქოლოგია“  
 „ერეკლე II ქრისტიანული მორალისა და ეროვნული ზნეობი დამცველი“  
 „სანდრო ცირეკიდის მინიატურული პროზა“  
 „საგანმანათლებლო-კულტურული ცხოვრება ერეკლე მეორის დროს“  
 „გერმანელთა დაინტერესება საქართველოთი და ქართველებით XVII-XIX სს“

2. „თანამედროვე საუნივერსიტეტო განათლების ზოგიერთი თავისებურებანი“
3. „პეტერბურგში დაცული ქართული ზეპირსიტყვიერი მასალის მნიშვნელობა“

**3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

1. თბილისი-თელავი, 2021 წლის 28 მარტი
2. თბილისი, 2021 წლის 20 ნოემბერი
3. თელავი, 2021, 29-30 ოქტომბერი

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*

**7.2. უცხოეთში**

**1) მომხსენებელი/მომხსენებლები**

- 1.
- 2.

**2) მოხსენების სათაური**

- 1.
- 2.

**3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი**

- 1.
- 2.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიშის ფორმა №2

**2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება** -----  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი -

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება** -----  
თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით** -----  
ხელმძღვანელი პროფესორი, მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

- 1.
- 2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

- 1.
- 2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

- 1.
- 2.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

- 1.
- 2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

- 1.
- 2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

- 1.
- 2.

*დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

- 1.
- 2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

- 1.
- 2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

- 1.
- 2.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

- 1.
- 2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

- 1.
- 2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

- 1.
- 2.

*დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

- 1.
- 2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

- 1.
- 2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

- 1.
- 2.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*



### 3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

- 1.
- 2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

- 1.
- 2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

- 1.
- 2.

**დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

### 4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

1) საპატენტო თემატიკის სათაური

- 1.
- 2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები

- 1.
- 2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

- 1.
- 2.

4.2. ეროვნული პატენტები

1) საპატენტო თემატიკის სათაური

- 1.
- 2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები

- 1.
- 2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

- 1.
- 2.

## 5. ბექდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

### 5.1. მონოგრაფიები/წიგნები

#### 1) ავტორი/ავტორები

1. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
- 2.

#### 2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია 10 ტომად.
- 2.

#### 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
- 2.

#### 4) გვერდების რაოდენობა

- 1.
- 2.

### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

**1–4 ტომი** უშუალოდ საქართველოს ეკლესიის ისტორიას ეხება.

ამ წიგნის, „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის“, დაწერა დაკავშირებულია ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ღვაწლთან.

მასში წმიდა მოციქულების ეპოქიდანვე სრულფასოვნად არის აღწერილი ჩვენი ეკლესიის ცხოვრება უამრავი წყაროსა და ლიტერატურის დართვით, ამასთან, მას წინ უძღვის ქართველთა წინაპრების სარწმუნოებრივი ცხოვრების მიმოხილვა და უფალი ღმერთის მიერ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მომზადება ქრისტიანობის მისაღებად.

მეუფე ბრძანებს – „1988 წლიდან, ვიდრე 2019 წლამდე როდესაც იწერებოდა ეს ტომეულები, თითქმის 40 წლის მანძილზე, შეიცვალა თვით ჩემი დამოკიდებულება ზოგიერთი საკითხის მიმართ, რადგანაც თვით ეკლესიის ინტერესები შეიცვალა.“

მაგალითად, 1990 წლამდე საქართველოს საპატრიარქოს ინტერესის სფეროს წარმოადგენდა ავტოკეფალიის საკითხების რკვევა, იმის შემდეგ რაც ეს პრობლემა გადაიჭრა, მალევე ეკლესიის წინაშე დადგა არანაკლებ მნიშვნელოვანი საეკლესიო იურისდიქციის საკითხი.

ეს, ანუ საეკლესიო იურისდიქციის საკითხი სადავოდ იქცა მას შემდეგ, რაც მტერმა მოახდინა საქართველოს ისტორიული ოლქების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე გამოჩნდნენ საეკლესიო საპარტისტების ძალები, რომელნიც იბრძვიან რათა საქართველოს ახლა უკვე ეკლესიურად ჩამოაშორონ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. ჩამოაყალიბეს სეპარატისტული, თვითმარქვია, განყენებული ე.წ. „აფხაზეთის ავტოკეფალური სამიტ-როპოლიტო“ და ცხინვალში ე.წ. „ალანიის თავისთავადი სამიტროპოლიტო“. ამისათვის საეკლესიო სეპარატისტები საგულდაგულოდ იკვლევენ ისტორიას და ცდილობენ მოიპოვონ თავიანთი ოლქებისათვის საქართველოს ეკლესიიდან დამოუკიდებლობის დამადასტურებელი საბუთები.

ამ სულისკვეთებით დაწერეს წიგნები, მათ, მაგალითად, კარგად გამოიყენეს ჩვენს მეცნიერებაში მტკიცედ დანერგილი თვალსაზრისი რომ მეათე საუკუნემდე თითქოსდა დასავლეთ საქართველო, (შესაბამისად აფხაზეთი) კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში იმყოფებოდა. ეს მტკიცებანი მათ მიიჩნიეს თავიანთთვის ძალზე სასარგებლოდ და წარადგინეს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში. საქართველოს ეკლესიის შესახებ იგივე თვალსაზრისი გამოაქვეყნა კიდევ მოსკოვში დაბეჭდილმა „პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში“, „თუმცა მე წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ მაინც თბილისიდან მასალები გაიგზავნა მოსკოვში დასაბეჭდად“ – ბრძანა მეუფემ და განაგრძო – „საქმე ისაა, რომ ჩემი წიგნის პირველი ტომების წერის დროს მეც ვიზიარებდი იმჟამად აბსოლუტურად დამკვიდრებულ თვალსაზრისს რომ დასავლეთ საქართველო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა მე-10

საუკუნემდე, ამიტომ, ამ თვალსაზრისითაა დაწერილი პირველი ოთხი ტომი, ასევე, საეკლესიო კანონების კრებული და დენაციონალიზაციის ტომები. დაახლოებით 2000 წლისათვის კი, ამბობს ის, მე მივხვდი და ეს იყო ურთულესი საქმე, რომ სინამდვილეში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია მოიცავდა არა დასავლეთ საქართველოს, არამედ ე. წ. სამხრეთ ლაზიკას, ანუ იმ მიწა-წყალს, რომელსაც ამჟამად „ლაზისტანი“ ეწოდება. დაახლოებით ტერიტორიას ტრაპეზუნტიდან ჭოროხამდე, რომელსაც ასევე სამხრეთ ეგრისს ვუწოდებ. ეს ძიება გრძელდებოდა წლები, ჩემთვისო, ამბობს ის, ეს იყო ურთულესი ძიება, მისი შედეგები ასახულია წიგნებში: „**ქალდეა, საეპისკოპოსოები ლაზიკაში**“, „**არიან-ქართლი, საეპისკოპოსოები ისტორიულ ივერიაში**“, „**იურისდიქცია ჩრდილოეთ კავკასიაში**“, ასევე „**საეკლესიო რუკების ატლასში**“.

### **მე-5 ტომის სახელია – „არიან-ქართლი, საეპისკოპოსოები ისტორიულ ივერიაში“**

ის შეეხება იმ ქართული საეპისკოპოსოების ისტორიას, რომელთა სამრევლოები მდებარეობდნენ ამჟამინდელი საქართველოს ფარგლებს გარეთ, ისტორიული ივერიის სამხრეთ ნაწილში მდინარე არაქსიდან ვიდრე კლარჯეთამდე. აქ მე-10 საუკუნისათვის არსებობდა ქართული ე.წ. „აღმოსავლეთის საკათალიკოსო“, ტაო მის ცენტრს წარმოადგენდა, თუმცა მის იურისდიქციაში შედიოდა ანისის, ვალაშკერტის, ყარსის (კარის), დადაშენის, არზრუმისა და სხვა ქართული საეპისკოპოსოები.

ჯერ კიდევ 1906 წელს რუსეთის სინოდში წარდგენილ მოხსენებაში კირიონ მეორე მიუთითებდა, რომ ეგრემ მცირესა და სხვათა ცნობები ივერიის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ ეხება არა მცხეთის ივერიის ეკლესიას, რომელიც მუდამ ავტოკეფალური იყო, არამედ „მეორე ივერიის“ ანუ „აღმოსავლის“ („აღმოსავლეთის“) საკათალიკოსოს. მან მე-8 საუკუნის შემდეგ ანტიოქიისაგან მოიპოვა ავტოკეფალია, ხოლო იერუსალიმის საპატრიარქოსაგან მირონის ადგილზე (ქართლში) კურთხევის უფლება, რადგანაც „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“. მირონთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მირონის კურთხევის უფლება ამ დროს მოიპოვა არა მცხეთის საკათალიკოსომ, არამედ „მეორე ივერიის“ ანუ „აღმოსავლის“ საკათალიკოსომ. მცხეთას ეს დასტური არ ესაჭიროებოდა, რადგანაც მე-4 საუკუნის დასაწყისიდან მირონი გადაჭრილი სვეტიცხოვლიდან გადმოედინებოდა, ხოლო მე-5 ს. ქართლის მეფე არჩილის დროს, წყაროს ცნობით, მცხეთის ქართლში ადგილზევე აკურთხებდნენ მირონს (არჩილ I – ქართლის მეფე V საუკუნის 20–30-იან წლებში).

2. ქართული ღვინის ექსპორტის დივერსიფიკაციის ამოცანის გადაჭრისათვის. DOI: 10.26399/meip.2(69).2020.10

1. სახელმწიფოს როლი ეკონომიკურ თავისუფლებაში

2. უძრავი ქონების გაყიდვები და კოვიდ პანდემია

3. მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის გაფართოებული კვლავწარმოება

სიმდიდრის ზრდის უმთავრესი წყარო.

4. DOI.org/10.36962/ecs104/1-2-47



3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. საერთაშორისო რეცენზირებადი ჟურნალი "Economics", № 10-12

2. ჟურნ. „ეკონომიკა და ფინანსები“, სპეც. გამოშვება, 2021.

[https://drive.google.com/file/d/1TFWBkDwcO4jk36khas2O\\_gvSSE\\_MpJtp/view;](https://drive.google.com/file/d/1TFWBkDwcO4jk36khas2O_gvSSE_MpJtp/view;)

1. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, 2021, #3-4

2. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, 2021, #1-2,

3. "ეკონომიკა"

4. ტ.104, N 1-2, 2021 წ.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი 2021

2. თბილისი, სეუ, ფინანსები 2021

3. თბილისი, 2021

4. თბილისი

5) გვერდების რაოდენობა

1. 12 გვ.

2. 1-9 გვ

3. 5 გვ

4. 5 გვ.

5. 10 გვ.

### ***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

- 1) რფ-ში 2020 წლის 1 იანვრიდან ღვინის აქციზი გაიზარდა. ამასთან, გარკვეული სახის ღვინოებზე სუბსიდირება მოხდება ისე, რომ რუსეთის შიგნით წარმოებული და იმპორტირებული ღვინოები დეკლარირებულად ერთნაირი განაკვეთით, მაგრამ რეალურად სხვადასხვა აქციზით, დაიბეგრებიან. ასევე, 3 წელში ე. ი. 2023 წლის 1 ივლისიდან, იკრძალება ღვინომასალების იმპორტი რუსეთში. ამ დრომდე იმპორტირებული ღვინომასალებით დამზადებული ღვინო და 2020 წლის 1 ივლისიდან რუსეთში მოყვანილი ყურძნით წარმოებული ღვინო გაიყიდება როგორც „რუსეთის ღვინო“. ის ისარგებლებს კანონით მინიჭებული სახელმწიფოს პროტექციონისტული (სუბსიდირებით, სატარიფო და არასატარიფო) შეღავათებით.

### ***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1. თავისუფლება მრავალგანზომილებიანი ცნებაა და ზოგჯერ სრულიად მოულოდნელი შინაარსი აქვს. ფილოსოფიაში თავისუფლება უპირისპირდება აუცილებლობას, ეთიკაში - პასუხისმგებლობას, პოლიტიკაში - წესრიგს. თავად შინაარსის ინტერპრეტაციას განსხვავებული ელფერი აქვს. ეს შეიძლება ასოცირდებოდეს სრულ

ეგოიზმთან, ასევე გაცნობიერებულ გადაწყვეტილებასთან და გააზრებულ აუცილებლობასთან. სწორია თუ არა ადამიანის ნების თავისუფლების აღება თვითშეგნების გამო? ჩვენი ღრმა რწმენით, თავისუფლება, როგორც ბევრს ჯერ კიდევ ჰგონია, არ არის ქმედება, რომელიც მიმართულია საკუთარი სურვილების განურჩევლად დაკმაყოფილებისკენ, არამედ მოქმედება, რომლისკენაც ზნეობა, ადამიანის სულიერი თვალი მიგვანიშნებს და გვიბიძგებს. ეკონომიკური თავისუფლება ეფუძნება პირადი საკუთრების კონცეფციას, რადგან ადამიანებს აქვთ უფლება თავად გადაწყვიტონ, როგორ გამოიყენონ პირადი დრო და მონაცემები. მეორე მხრივ, მათ არ აქვთ უფლება მითვისონ სხვისი ქონება, ზიანი მიაყენონ სხვა ადამიანებს პირადი სარგებლობისთვის და შელახონ მათი თავისუფლება. არაერთხელ დაისვა კითხვა, უნდა ჩაერიოს თუ არა სახელმწიფო ეკონომიკურ პროცესებში. თუ კი დასაშვებია, მაშინ რა დოზით და რა სიხშირით და თუ დაუშვებელია, მაშინ როგორ უნდა დალაგდეს ის საკითხები, რომლებსაც ბაზარი ვერ უმკლავდება დამოუკიდებლად? ის, რომ ეკონომიკური თავისუფლება ბევრად უფრო ადვილია სახელმწიფოს ზეწოლისა და ჩარევის გარეშე, არ ნიშნავს იმას, რომ მთავრობას არ აქვს განსაკუთრებული ფუნქცია. პირიქით, სახელმწიფომ უნდა აღმოფხვრას ბაზრის არასრულყოფილება, შექმნას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და მისი სწორად ინტერპრეტაცია, რათა დაიცვას თითოეული ადამიანის უფლებები.

ზემოაღნიშნულ კითხვებზე საუკეთესო პასუხია ის, რომ ეკონომიკური თავისუფლების ოპტიმალური დონე განსხვავდება ქვეყნიდან ქვეყანაში და დამოკიდებულია არა მხოლოდ ეკონომიკურ ფაქტორებზე, არამედ სოციალურ, პოლიტიკურ, გეოგრაფიულ და სხვა ფაქტორებზე. 2020 წელი ყველასთვის მოულოდნელი გამოდგა, რამაც მთელი მსოფლიო შეაჩერა და მრავალი წლით უკან დააბრუნა ქვეყნების ეკონომიკა. შეიზღუდა ტურიზმი, იმპორტი, ტრანსპორტი და ქვეყნებს შორის კავშირები. არც ერთი ქვეყანა არ იყო ამისთვის მზად. წარსულიდან არ არსებობდა მაგალითები მარტივი გამოსავლის საპოვნელად. ყოველი დღე ღრმავდებოდა ეკონომიკური კრიზისი. 2021 წელს გამოქვეყნდა Heritage Foundation-ის 2020 წლის ეკონომიკური ანგარიში და ძალიან მნიშვნელოვანია გავანალიზოთ, რა გამოწვევები აქვს საქართველოს და რის წინაშე ვდგავართ ჩვენ და მსოფლიო ამ მძიმე პერიოდში.

2. სტატია: „უძრავი ქონების გაყიდვები და კოვიდ პანდემია“ იხილავს თანამედროვე სამეცნიერო ეკონომიკურ ლიტერატურაში ერთ-ერთ ფართოდ განხილულ თემას, როგორცაა საცხოვრებელი უძრავი ქონების გაყიდვების დინამიკა კოვიდ პანდემიის ფონზე.

2019 - 2020 წლის ოფიციალური მონაცემებით, საცხოვრებელი უძრავი ქონების გაყიდვები მკვეთრად შემცირებულია. კერძოდ, 2020 წელს 2019-თან შედარებით, ახალი ბინების გაყიდვები შემცირდა 14%-ით, ხოლო ეგრეთ წოდებულ მეორად ბინებზე მოთხოვნა - 26% - ით. აღნიშნულმა საბაზრო რყევამ გავლენა გასაყიდ ფასებზეც მოახდინა. ახალ ბინებზე კვ. მ - ის ფასი შემცირდა დაახლოებით 5% - ით, ხოლო მეორად ბინებზე მხოლოდ 1% - ით.

უძრავი ქონების ბაზრის კონკრეტული სეგმენტები ხასიათდება ქონების გამოყენების ფორმით, ადგილმდებარეობით, მოგების პოტენციალით, გამჭირავებლის ტიპური დახასიათებით, ინვესტირების მოტივაციით და სხვა ნიშნებით, რომელიც აღიარებულია უძრავი ქონების გაცვლის პროცესში. თავის მხრივ უძრავი ქონების ბაზარი განიცდის სოციალური, ეკონომიკური, სახელმწიფო და ეკოლოგიური ხასიათის ზეგავლენას. აღნიშნული ბაზარი სეგმენტებად იყოფა.

უძრავი ქონების ბაზრის კვლევა მიმდინარეობს შემდეგი პარამეტრებით: ადგილმდებარეობა, კონკურენცია, მოთხოვნა და მიწოდება (რაც მიეკუთვნება უძრავი ქონების საერთო პირობებს). ბაზრის დაყოფა სხვადასხვა სეგმენტებად ხორციელდება ბაზრის მონაწილეთა მოთხოვნის, საინვესტიციო მოტივების, ადგილმდებარეობის, ფაქტიური ფუნქციონირების, დროის, ფიზიკური მახასიათებლების, დიზაინის მიხედვით და ა.შ.

2021 წელს წინა წელთან შედარებით როგორც იანვარში, ასევე თებერვალში შემცირებულია პირველადი რეგისტრაციის ტრანზაქციები. ანალოგიური სიტუაციაა მეორეულ რეგისტრაციაში იანვრის თვეში, თუმცა თებერვალში არაპირველადი რეგისტრაცია 2020 წლის მაჩვენებელთან შედარებით მატულობს.

### ***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

თანამედროვე ციფრული ეკონომიკის პირობებში მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის როლი სიმდიდრის წარმოების, დაგროვებისა და ზრდაში აშკარად ჩანს **მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის კვლავწარმოების საკითხის გარკვევისას, რომლის რიგი ასპექტი, შეუსწავლელია ან ახლებურ გაშუქებას საჭიროებს.**

კრეატიული ეკონომიკის, არასტანდარტული აზროვნების მოთხოვნებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიჩნეულია მეცნიერულ ტექნიკური ცოდნის კვლავწარმოების სამი ფორმის გამოყოფა, რომელთა პრაქტიკულ რეალიზაციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის კვლავწარმოების მესამე-გაფართოებული ფორმა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული თვისობრივ ცვლილებებთან, განვითარებასთან, რომელთა გარეშე სიმდიდრის წარმოება, დაგროვება, ზრდა წარმოუდგენელია. ამ მიმართულებით მოცემულია გარკვეული რეკომენდაციები, რომელთა რეალიზაცია, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

- 1) ავტორი/ავტორები
1. ჯანგავაძე ირაკლი
2. ზოიძე ვია
3. დალი სეხნიაშვილი
4. იური კოჩარაიანი
5. ლია ჭყონია
6. ნაზი ჭიკაიძე, სალომე ოლაძე
7. დემნა კვარაცხელია
8. თამარ აბუაშვილი, ნინო ბენდიანიშვილი
9. ნატო გეგენავა, თამარ აბუაშვილი
10. ზურაბ გარაყანიძე.
11. Зураб Гараканидзе, Ната Гараканидзе
12. ტარიელ კიკაძე
13. ბელა კუტიბაშვილი
14. თამარ აბუაშვილი, ნინო ბენდიანიშვილი.
15. ნინო ბენდიანიშვილი.
16. ალექსანდრე სიჭინავა
17. ნატო გეგენავა
18. მერი ჯანჯღავა
19. ალექსანდრე სიჭინავა
20. ანზორ მესხიშვილი
21. დალი სეხნიაშვილი
22. ნატო გეგენავა
23. თ. აბუაშვილი
24. ნატო გეგენავა
25. ალექსანდრე სიჭინავა, ანზორ მესხიშვილი, დალი სეხნიაშვილი
25. ირინა მამალაძე

2) სტატიის სათაური, ISSN

1. „ვენჩურული კაპიტალის გავლენა ქვეყნის ინოვაციურ განვითარებაზე“, ISSN 2587-50002.
2. სახელმწიფო ვალის გავლენა ეროვნული ეკონომიკის ზრდაზე, **ISSN 1512-0538**
3. ძალა ერთობაშია- საქართველო და საერთაშორისო პარტნიორები
4. უმუშევრობის შემცირების ძირითადი მიმართულებები საქართველოში. ISSN-2587-5000
5. ინფლაციის ტემპის ფულის მასის მიწოდების საფუძველზე რეგულირების მექანიზმი. **ISSN 1512-0538**
6. ციფრული ეკონომიკა და ევროკავშირის ინიციატივა სინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით, **ISSN 1512-0538**
7. ბიზნეს გარემო და სახელმწიფოს როლი სტარტაპის განვითარებისათვის, **ISSN 1512-0538**

8. ყარაბაღის გაკვეთილები საქართველოს ეკონომიკური „რეიზნიფიკაციისათვის“ <http://ekonomisti.tsu.ge/doc/ekon.pdf> p ISSN 1987-6890; e ISSN 2346-8432
9. «ОДИН ПОЯС - ОДИН ПУТЬ» (ОВОР) И ПЕРСПЕКТИВЫ ЮЖНОГО ГАЗОВОГО КОРИДОРА ЕС ПОСЛЕ ГЛОБАЛЬНОЙ ПАНДЕМИИ, ISSN 1512-0538
10. გენდერული თანასწორობა და მდგრადი განვითარება.
11. „ციფრული ეკონომიკა და ევროკავშირის ინიციატივა საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით“, ISSN 1512-0538.
12. „თანამედროვე საგადასახადო პოლიტიკა, როგორც საინვესტიციო ნაკადების მოზიდვის მნიშვნელოვანი საშუალება“, ISSN 1512-0538.
13. პატარა ქვეყნის მიწაზე კერძო საკუთრების ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ასპექტები
14. მე წარმე ოხა დ COVID-19 - ის გა მოწ ვე ვე ბისა ქართუ ელში
15. ბიზნეს-ინჟინერინგი სოფლის მეურნეობაში
16. სტარტაპებისა და ინოვაციური მეწარმეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში
17. საპენსიორუფორმის ძირითად მიზეზები და მიწნები საქარუელში
18. The Importance of Land Consolidation for The Development of The Agricultural Sector in Georgia (მიწის კონსოლიდაციის მნიშვნელობა საქარუელს სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისათვის)
19. COVID-19-ის გავლენა კომპანიების შერწყმისა და შექმნის პროცესებზე

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“,
2. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, 2021, # 3-4
3. ეკონომიკა და ფინანსები; 2021 წ. N 1
4. ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი: ბიზნეს-ინჟინერინგი, 2021წ., №1-2  
<https://drive.google.com/file/d/1AErUIuUWfCY0nlSMYmbUS6kg-Iq2qrNe/view>
5. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, 2021, # 1-2
6. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, 2021, # 1-2
7. ეკონომისტი N3, 2021. გვ. 70-89.
8. Business-Engineering N3-4; 2021. Стр. 93-98; <https://business-engineering.bpengi.com/home/2021/number> 3-ჟურნალ „ეკონომიკაში“2021
9. ბიზნეს-ინჟინერინგი, 1-2, 2021.
10. ბიზნეს-ინჟინერინგი, 3-4, 2021.
11. ბიზნეს-ინჟინერინგი, 1-2, 2021.
12. ბიზნეს-ინჟინერინგი, 1-2, 2021.
13. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, 2021, # 3-4
14. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, 2021, # 1-2
15. ბიზნეს-ინჟინერინგი, 3-4, 2021.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, გამომცემლობა „დანი“
2. თბილისი
3. ეკონომიკის კვლევისა და განვითარების ინსტიტუტი; სტუ; გამომც., „დანი“
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
5. თბილისი
6. თბილისი, BPENGY
7. თბილისი, ბიზნეს-ინჟინერინგი.
8. თბილისი, ბიზნეს-ინჟინერინგი.
9. თბილისი, ბიზნეს-ინჟინერინგი.
10. თბილისი, ბიზნეს-ინჟინერინგი.
11. თბილისი
12. კიევი
13. თბილისი, ბიზნეს-ინჟინერინგი.

5) გვერდების რაოდენობა

1. 11 გვ.
2. 4 გვ.
3. 6 გვ.
4. 41-48 გვ.
5. 7 გვ. (30-36)
6. 3 გვერდი
7. 5 გვერდი
8. 1-19 გვ
9. 2-5 გვ
10. 10-12 გვ.
11. 168 გვ.
12. 228 გვ.
13. 27-23 გვ.
14. 48-51 გვ.
15. 81-85 გვ.
16. 77-79 გვ.
17. 7-17 გვ.
18. 4 გვ.
19. 7 გვ.
20. 6 გვ.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

დღეს დღეობით, თანამედროვე საზოგადოება ქმედითნაბიჯებს დამსგლობა ლური ეკონომიკის განვითარების იმსტადისაკენ, რომელსაც

უწოდებენ „ცოდნის ეკონომიკას“. „ცოდნის ეკონომიკა“, თავის მხრივ, წარმოადგენს განვითარების უალტერნატივო გზას. ამდენად, მნიშვნელოვანია როგორც საკუთარ ცოდნაში ინვესტიციების დაბანდება, აგრეთვე, მისი გარდაქმნა წარმოების იარაღად. ინოვაციური ტექნოლოგიების, მრეწველობის უახლესი დარგებისა და „თანამედროვე ეკონომიკების“ დაფინანსების საფუძველს ვენჩურული (სარისკო) კაპიტალი წარმოადგენს. თანამედროვე პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში, ვენჩურული კაპიტალს გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე ძალზედ დიდაა. ფინანსური რესურსების მოძიება კი და მწყობრი საწარმოს ერთ-ერთი ყველზე მნიშვნელოვანი ამოცანაა, რაც საკმაოდ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამ მხრივ, საქართველოს აქვს უნიკალური შანსი გახდეს რეგიონის ფინანსური ცენტრი. აღნიშნული კი, პირველ რიგში, კაპიტალური ბაზრის განვითარებით არის შესაძლებელი. საქართველოში კაპიტალური ბაზარი თუ ეფექტურად დაიწყებს ფუნქციონირებას, ქვეყანა მიიღებს მრავალმხრივ პოზიტიურ სარგებელს, მათ შორის შეიძლება ვიგულისხმოთ: სავალუტო რისკების შემცირება, საექსპორტო დარგების განვითარება, ხელფასების ზრდა, ფინანსური ხარჯების მნიშვნელოვნად შემცირება და ა.შ. აღნიშნული პოლიტიკის გატარების შედეგად, მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მოისურვებს საქართველოში საკუთარი ფინანსური ინსტრუმენტების განთავსებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

### ***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

სტატიაში გამოკვლეულია საქართველოს სახელმწიფო საგარეო და საშინაო ვალის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. ემპირიული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საგარეო ვალი აფერხებს გრძელვადიან ზრდას, ხოლო მისი მოკლევადიანი ეფექტი არის ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი. შიდა ვალებმა მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა იქონიეს გრძელვადიან ზრდაზე, ხოლო მათი მოკლევადიანი ეფექტი უარყოფითი იყო. გრძელვადიან და მოკლევადიან პერსპექტივაში, ვალის მომსახურების ხარჯებმა გამოიწვია ეკონომიკური ზრდის შენელება, რამაც დაადასტურა ვალის გადახურების ეფექტი. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მთავრობამ უნდა გამოიყენოს ნასესხები სახსრები ეკონომიკის საწარმოო ბაზის დივერსიფიკაციისთვის. ეს გააუმჯობესებს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას, გააფართოვებს საშემოსავლო ბაზას და გაზრდის დავალიანების დროულად დაფარვის შესაძლებლობას. ავტორთა მოსაზრებით, მნიშვნელოვანია საქართველოში ფისკალური პოლიტიკის გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს შიდა რესურსების მობილიზაციას, ვალების მართვის ეფექტური სტრატეგიების ჩამოყალიბებას, სწორედ შიდა და არა გარე ვალის გამოყენება არის კრიტიკულად აუცილებელი ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისთვის.

### ***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

ძალა ერთობაშია-საქართველო და საერთაშორისო პარტნიორები

ანოტაცია

საქართველოს ღერბზე წარწერილია დევიზი: „ძალა ერთობაშია“. ეს წარწერა ქვეყნის ერთიანობისა და განვითარებისათვის არა მხოლოდ ქვეყნის მოქალაქეების ერთობის, ერთად

შრომისა და ერთად ბრძოლის დევიზია, არამედ საქართველოსა და მსოფლიო თანამეგობრობას შორის კავშირი და პარტნიორული ურთიერთობაა.

1992 წელს საბჭოთა მარწუხებიდან განთავისუფლებული საქართველო გაერო-ს (UNO) 179-ე წევრი ქვეყანა გახდა. რასაც მოჰყვა მსოფლიო ქვეყნების მიერ საქართველოს დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარება და პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ საზოგადოების განვითარების საკითხებში მრავალმხრივი თანადგომა.

1992 წლიდან საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წევრია. 1999 წლიდან საქართველო ევროსაბჭოს 41-ე წევრი ქვეყანა გახდა. 2000 წლიდან საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) 137-ე სრულუფლებიანი წევრია.

2016 წლის ივლისში ძალაში შევიდა ასოცირების შესახებ შეთანხმება რომლის მიზანი საქართველოსა და ევროკავშირს შორის პოლიტიკური ასოცირება და ეკონომიკური ინტეგრაციაა. ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ევროკავშირსა და საქართველოს შორის მოქმედებს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე, ხოლო 2017 წლის 28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეები სარგებლობენ შენგენის ზონაში უფიზოდ მიმოსვლის უფლებით.

1992 წლიდან იწყება ნატო-საქართველოს ურთიერთობები. ქვეყნის პრიორიტეტების გათვალისწინებით, ნატოს მხარესთან მჭიდრო თანამშრომლობით, განსაზღვრულია ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის სხვადასხვა პროექტი, რომლებიც ახალი ინსტიტუციების ჩამოყალიბებასთან ერთად, თავდაცვის შესაძლებლობების ამაღლების კუთხით, ცალკეული მიმართულებების განვითარებას მოიცავს. არსებითი პაკეტი ნატოს მხრიდან საქართველოსთან პარტნიორობის დემონსტრირებაა, რომელიც საქართველოს გაწევრიანებისთვის საჭირო მოთხოვნების მომზადებასა და მიღწევაში ეხმარება. საქართველო, როგორც ნატო-ს ასპირანტი ქვეყანა, ზედმიწევნით ასრულებს ალიანსის წინაშე აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს, რაც დადებითად ფასდება ნატო-ს წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლების მიერ და აისახება სხვადასხვა შეფასების დოკუმენტსა თუ განცხადებაში. საქართველო ითვლება ალიანსის უახლოეს პარტნიორ სახელმწიფოდ.

დიდია საქართველოსთვის მსოფლიო წამყვანი ქვეყნების, განსაკუთრებით ა.შ.შ ფინანსური დახმარების წილი. 1992 წლიდან დღემდე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) საქართველოსთვის 1.8 მლრდ. აშშ დოლარზე მეტი ოდენობის დახმარება გამოყო. USAID-ის პროგრამების განხორციელების არეალია: ეკონომიკა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, საჯარო სექტორის მხარდაჭერა, ჯანდაცვა, განათლება და სხვ. ა.შ.შ. “კონგრესის კვლევითი სამსახურის“ ანგარიშის მიხედვით, 1992 წლიდან დღემდე ჯამურად საქართველომ ა.შ.შ. -დან ფინანსური დახმარების სახით 4.5 მილიარდამდე ა.შ.შ დოლარი მიიღო. რომელიც ძირითადად მიმართული იყო ჯანდაცვის, განათლების, ინფრასტრუქტურის, სამხედრო, საზოგადოების განვითარების და ა.შ პროექტების განსახორციელებლად.

საქართველო დღეს მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის თუ გაერთიანების წევრია. ეს ორგანიზაციებია: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროპარლამენტი, ევროკომისია, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი; ევროპის საინვესტიციო ბანკი; ევროპის ცენტრალური ბანკი; ინტერ-ამერიკული განვითარების ბანკი; საერთაშორისო-საფინანსო კორპორაცია; აზიის განვითარების ბანკი; საერთაშორისო საანგარიშსწორებო ბანკი; მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია; ევროპის



თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია; ევროპის სტატისტიკის სამსახური; ევროპის საბჭო; ფონდი „ათასწლეულის გამოწვევა“...

მსოფლიო თანამეგობრობის თანადგომით საქართველო დაადგა განვითარების წარმატებულ გზას. მსოფლიო პანდემიამდე, 2019 წელს საქართველოში ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი 5.6 % იყო. საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 13 315.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტი გაიზარდა 12%-ით და 3 798.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა; იმპორტი გაიზარდა 2%-ით და 9 516.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა; 2019 წელს ნეგატიური სავაჭრო ბალანსი შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა...

ძალა ერთობაშია- საქართველომ საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით, გაიარა პოსტკომუნისტური, გარდამავალი პერიოდის ურთულესი გამოწვევების ეტაპი. იმედისმომცემია, რომ კვლავაც მსოფლიო თანამეგობრობის მხარდაჭერით საქართველო დაძლევეს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ პრობლემებს და ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს მსოფლიო განვითარებული ქვეყნების გვერდით.

### ***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

თანამედროვე სამყაროში, არსებული ეკონომიკური განვითარების ფონზე, მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიკური პოლიტიკის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების გაცნობა და განსაზღვრული ფუნქციების ჩამოყალიბება, რათა მაქსიმალური სიზუსტით მოხდეს მისი როლის შეფასება სახელმწიფოს ცხოვრებაში.

დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალურად აქტიური ადამიანის დამოუკიდებელ, რაციონალურ და ოპტიმალურ გადაწყვეტილებას. ამგვარი გადაწყვეტილებისთვის საჭიროა ეკონომიკური ცოდნა, რათა სწორად შევაფასოთ ეკონომიკური პოლიტიკის რეალურობა და პრაგმატულობა.

როდესაც საუბარია სახელმწიფოს როლსა და ფუნქციებზე ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში, უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს სწორი ეკონომიკური პოლიტიკა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცებაში, სოციალური პრობლემების მოგვარებასა და ზოგადად სახელმწიფოს გრძელვადიანი პერსპექტივების განსაზღვრაში.

### ***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

სტატიაში გაანალიზებულია ფულის მასის მიწოდებით ინფლაციის ტემპის რეგულირების მექანიზმი და მოცემულია შესაბამისი სქემა. შეფასებულია ფულის მასის მიწოდების ცვლილების მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგები. გაანალიზებულია ფულზე მოთხოვნის ცვალებადობის განმსაზღვრელი ფაქტორები, მათ შორის დოლარიზებულ ეკონომიკაში და განსაზღვრულია ფულზე მოთხოვნის ფუნქცია დოლარიზებულ ეკონომიკაში. შესაბამისად, დასაბუთებულია, რომ საქართველოს დოლარიზებულ ეკონომიკაში ინფლაციის გადაცემის მექანიზმში არსებით როლს ასრულებს დოლართან თანაფარდობაში ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის არასტაბილური ქცევა.

ასევე დასაბუთებულია, რომ ფულზე მოთხოვნის ცვალებადობის მიზეზების დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური ციკლებისა და კრიზისების ანალიზისას, მაგრამ მისი უგულვებელყოფა შესაძლებელია გრძელვადიანი განვითარების ანალიზისას, როდესაც ხორციელდება დროის ხანგრძლივი პერიოდისთვის დამახასიათებელი ძირითადი ტენდენციების შეფასება.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1. თანამედროვე პერიოდში დიდ მნიშვნელობას იძენს კრეატიული საქმიანობა, რაც დაკავშირებულია ციფრულ ეკონომიკასთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია შემოქმედებითი დისტანციური სახის მოღვაწეობა ორგანიზაციებსა თუ საერთაშორისო დონეზე. მაგალითად, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, განვითარდა და დაიხვეწა ელექტრონული ხელმოწერა, SMS კოდებით დისტანციური ხელმოწერა, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სხვადასხვა პროგრამა და სხვ. ნებისმიერ საკითხს ან საგანს შეიძლება მივუდგეთ კრეატიულად. ბოლო პერიოდში გაზრდილია დისტანციური წარმოებისა და მომსახურების სექტორები. რა თქმა უნდა, ციფრული ეკონომიკა ქმნის ეკონომიკურ სარგებელს. თუმცა, აგრეთვე უზრუნველყოფს არამატერიალურ ღირებულებებს და მდგრად განვითარებას, რომელიც ადამიანზე არის ორიენტირებული.

ბიზნესს ევროკავშირის ერთიან ბაზართან ვაჭრობა ესაჭიროება. ციფრული ბაზრების ჰარმონიზაცია არის ევროკავშირის ერთ-ერთი ძირითადი პოლიტიკური შედეგი. ევროკავშირის მხარდაჭერა ამ სფეროში ხორციელდება ინიციატივის EU4Digital საშუალებით. EU4Digital მიზანია ევროკავშირის ერთიანი ციფრული ბაზრის გაფართოება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. ეს ყოველივე ხორციელდება ციფრული ეკონომიკის და მეტი სამუშაო ადგილის შექმნის, ინვესტიციების და ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით.

2. ს ტ ა რ ტ ა პ ბ ი ზ ნ ე ს ე ბ ი ს ა რ ს ე ბ ო ბ ა და შ ე მ დ გ ო მ მ ა თ ი ზ რ და - გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ფ ა ქ ტ ო რ ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს ქ ვ ე ყ ნ ი ს ე კ ო ნ ო მ ი კ ი ს თ ვ ი ს . ს ტ ა რ ტ ა პ ე ბ ი ს ძ ი რ ი თ ა დ პ რ ო ბ ლ ე მ ა ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს და ფ ი ნ ა ს ე ბ ი ს მ ი უ წ ვ დ ო მ ლ ო ბ ა , რ ა დ გ ა ნ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ბ ა ზ ა რ ი გ ა მ ო რ ჩ ე ვ ა და ფ ი ნ ს ე ბ ი ს წ ყ ა რ ო ე ბ ი ს ს ი მ ც ი რ ი თ . ა ს ე ვ ე , მ ც ი რ ე ა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო პ რ ო გ რ ა მ ე ბ ი ს რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ც . ა მ ი ტ ო მ , ს ა ჭ ი რ ო ა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს რ ო ლ ი ს გ ა ზ რ და და ი ნ ვ ე ს ტ ო რ ე ბ ი ს მ ა ქ ს ი მ ა ლ უ რ ი ჩ ა რ თ უ ლ ო ბ ა , რ ა თ ა გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ დ ე ს მ ე ტ ი მ ხ ა რ და ჭ ე რ ა ს ტ ა რ ტ ა პ ე რ ე ბ ი ს თ ვ ი ს და მ ო ხ დ ე ს ი ნ ვ ე ს ტ ი ც ი ე ბ ი ს მ ო ზ ი დ ვ ა . ქ ვ ე ყ ნ ი ს თ ვ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი ა ს ტ ა რ ტ ა პ ე ბ ს მ ი ე ც ე თ მ ე ტ ი ს ტ ი მ უ ლ ი , რ ი ს თ ვ ი ს ა ც ს ა ჭ ი რ ო ა და მ წ ყ ე ბ ბ ი ზ ნ ე ს მ ე ნ ე ბ ს ჭ ი რ დ ე ბ ა თ შ ა ნ ს ი , ი დ ე ა ა ქ ც ი ო ნ რ ე ა ლ უ რ პ რ ო დ უ ქ ტ ა დ , გ ა ვ ი დ ნ ე ნ ბ ა ზ ა რ ზ ე და შ ე ქ მ ნ ა ნ კ ო ნ კ უ რ ე ნ ტ უ ნ ა რ ი ა ნ ი ბ ი ზ ნ ე ს გ ა რ ე მ ო .

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1) 2020 წელს საქართველომ ამბიციური მიზანი დაისახა - 2024 წლისთვის ქვეყანა ევროკავშირის წევრობაზე გააკეთებს განაცხადს. ამ დიადი მიზნის მისაღწევად მხოლოდ ქართული მხარის სურვილი არაა საკმარისი. საჭიროა ევროკავშირის მხრიდანაც გადმოიდგას შემხვედრი ნაბიჯები, რისთვისაც ბრიუსელი უნდა დაინტერესდეს იმ გეოეკონომიკური უპირატესობებით, რასაც საქართველო კავშირის წევრ სახელმწიფოებს მოუტანს.

ერთ-ერთი ასეთი უპირატესობაა აზერბაიჯანსა და საქართველოზე გამავალი „ევროკავშირის სამხრეთის გაზის დერეფნის“ (მეორენაირად მას „ევროპის მეოთხე დერეფანსაც“ უწოდებენ) გამოყენება ევროკავშირის ბუნებრივი აირის ბაზრის დემონოპოლიზაციისთვის. არანაკლებ აქტუალურია ასევე ყარაბაღის კონფლიქტის შედეგად ჩამოყალიბებული ახალი გეოპოლიტიკური რეალობის განხილვა და ზოგიერთი ექსპერტისა და მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი ბაქო - ნახჩევანის მარშრუტის, ანუ „თურანის ჭიშკარის“, საქართველო - ევროკავშირის კასპიის ნახშირწყალბადების დასავლური სატრანზიტო მარშრუტების ალტერნატივად შესაძლო გამოყენების შესახებ.

სტატიაში შევეცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ „თურანის ჭიშკარი“ უფრო თეორიული ფანტაზიის სფეროდანაა, ვიდრე თურქების გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური კოზირი. რეგიონალური ტრანსკასპიური პროექტების დაწყებამდე, სრულად დაუტვირთავი ბაქო - ახალქალაქი - ყარსის რკინიგზა თურქეთ - აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობისთვის, სრულიად საკმარისია. თუმცა, თურქეთში არიან ძალები, რომლებიც საქართველოს არასტაბილურ სატრანზიტო ქვეყნად მიიჩნევენ და ამ ძალებს უნდათ „თურანის ჭიშკარის“ სახით ახალი სატრანზიტო დერეფნის მიყვანა თურქეთის ქ. იგდირიდან ნახჩევანის და სომხეთის გავლით კასპიისპირეთამდე.

2) ეროვნული უშიშროების საბჭოს ახალი ფორმატით ჩამოყალიბება, - უკვე მერამდენედ, სხვადასხვა პოლიტიკური ძალების ურთიერთდაპირისპირების საგანია. ამჯერად ამ უწყებათაშორისო სათათბირო ორგანოს ზოგიერთ გეოეკონომიკურ ფუნქციაზე შევჭერდებით. ჩინეთის პრეზიდენტის სი ძინპინის მიერ 2013 წელს ინიცირებული პროექტის „ახალი აზრეშუმის გზა - ეკონომიკური სარტელი“ სახმელეთო მონაკვეთის საქართველოზე გავლა ქვეყანას სერიოზულ გეოეკონომიკურ სარგებელს „უქადის“. თუმცა, ამ ეტაპზე ეს პროექტი გარკვეული გამოწვევების წინაშე დგას, რაც განიხილა ჯერ კიდევ 2015 წლის ოქტომბერს ჩატარებულმა „თბილისის აზრეშუმის გზის ფორუმმა“. ამასთან, ინფრასტრუქტურული უსაფრთხოების ანალიზი, თავისი უწყებათაშორისი ბუნებიდან გამომდინარე, ეროვნული უშიშროების საბჭოს (ეუს) ეგიდით უნდა წარიმართოს. საკმარისია აღინიშნოს, რომ აშშ-ს, ევროკავშირის და დსთ-ს წევრი ქვეყნების ეროვნული უშიშროების საბჭოებში ყველაზე დიდი სტრუქტურული ქვედანაყოფები სწორედ არასამხედრო უსაფრთხოების სამსახურებია. საქართველოში ასეთი ფუნქცია არც ყოფილ „საპრეზიდენტო“ ეუს-ს და არც ყოფილ კრიზისების მართვის საბჭოს არ გააჩნია. საქართველოს გეოეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, წარმოდგენილ მასალაში საქართველოს მილსადენებისა და რკინიგზის ინფრასტრუქტურას და მათს უსაფრთხოებაში ეუს-ს აპარატის როლს განვიხილავთ.

### ***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

დემოკრატიული სახელმწიფო უნდა ეფუძნებოდეს არა მარტო პოლიტიკური და სოციალური, არამედ გენდერული თანასწორობის იდეასაც, რაც გულისმობს ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლება-მოვალეობების, პასუხისმგებლობისა და სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფას. გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების მე-5 მიზანს განეკუთვნება საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს ქვეყანაში 2030 წლისთვის ქალთა ეკონომიკური გაძლიერების და თანასწორი ეკონომიკური

შესაძლებლობების უზრუნველყოფისთვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში გენდერული ბალანსის დაცვის მიმართულებით. გლობალური კვლევების თანახმად, ქალის პოტენციალი მსოფლიოში ყველაზე ნაკლებად გამოყენებული ეკონომიკური რესურსია, პანდემია კი კიდევ უფრო ამძაფრებს ამ პრობლემას. მსოფლიო კვლევების თანახმად, გლობალურ დონეზე, პანდემიის შედეგად ქალებში სამუშაო ადგილების დაკარგვის მაჩვენებელი დაახლოებით 1.8-ჯერ აღემატება იგივე მაჩვენებელს მამაკაცებში.

გაეროს საქართველოს ოფისმა თანამშრომლობის 2021-2025 წლების ხელშეკრულების ფარგლებში დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულების მიზნით ჩამოაყალიბა გაფართოებული გენდერის თემატური ჯგუფი ( GTG) რომელსაც გაერთიანებულია გენდერის სფეროს ყველა საკონტაქტო პირი და აღნიშნული ჯგუფი მუშაობს ქვეყანაში გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერების მიმართულებით.

სტატიაში განხილულია გენდერული თანასწორობა, როგორც დემოკრატიული ღირებულებების შემადგენელი ნაწილი და გაანალიზებულია რისკფაქტორები მის მიღწევასთან მიმართებაში.

### **გრეელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

1) თანამედროვე პერიოდში დიდ მნიშვნელობას იძენს კრეატიული საქმიანობა, რაც დაკავშირებულია ციფრულ ეკონომიკასთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია შემოქმედებითი დისტანციური სახის მოდვაწეობა ორგანიზაციებსა თუ საერთაშორისო დონეზე. მაგალითად, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, განვითარდა და დაიხვეწა ელექტრონული ხელმოწერა, SMS კოდებით დისტანციური ხელმოწერა, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სხვადასხვა პროგრამა და სხვ. ნებისმიერ საკითხს ან საგანს შეიძლება მივუდგეთ კრეატიულად. ბოლო პერიოდში გაზრდილია დისტანციური წარმოებისა და მომსახურების სექტორები. რა თქმა უნდა, ციფრული ეკონომიკა ქმნის ეკონომიკურ სარგებელს. თუმცა, აგრეთვე უზრუნველყოფს არამატერიალურ ღირებულებებს და მდგრად განვითარებას, რომელიც ადამიანზე არის ორიენტირებული.

ბიზნესს ევროკავშირის ერთიან ბაზართან ვაჭრობა ესაჭიროება. ციფრული ბაზრების ჰარმონიზაცია არის ევროკავშირის ერთ-ერთი ძირითადი პოლიტიკური შედეგი. ევროკავშირის მხარდაჭერა ამ სფეროში ხორციელდება ინიციატივის EU4Digital საშუალებით. EU4Digital მიზანია ევროკავშირის ერთიანი ციფრული ბაზრის გაფართოება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. ეს ყოველივე ხორციელდება ციფრული ეკონომიკის და მეტი სამუშაო ადგილის შექმნის, ინვესტიციების და ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით.

2) მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის კვალდაკვალ საერთაშორისო დაბეგვრის საკითხები, მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა საინვესტიციო ნაკადების მსოფლიო დინამიკაში. იმ ქვეყნებს შორის, რომელთათვისაც პირდაპირ უცხოური ინვესტიციები ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი წყაროა, წარმოიშვა ერთგვარი კონკურენცია – ხელსაყრელი საგადასახადო გარემოს შეთავაზების მხრივ. რამაც თავისი ასახვა პოვა საერთაშორისო საგადასახადო შეთანხმებების მნიშვნელობისა და რიცხოვნობის ზრდაში. მკვლევარებსა და მეცნიერებს შორის წარმოიშვა დისკუსია იმის, თაობაზე თუ რამდენად ეფექტიანი იყოს ეს

შეღავათები უცხოურ ინვესტიციითა მოსაზიდად, რა წონა ენიჭებოდათ მათ სხვა საინვესტიციო ფაქტორებთან შედარებით.

ამჟამად მსოფლიოში არსებობს რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ე.წ. ტიპური ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები მათ შორის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოდელები. ამ მოდელებს სათავე დაუდო ერთა ლიგის მიერ შემუშავებულმა კონვენციამ; აგრეთვე, არსებობს აშშ-ს მოდელი.

### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

თანამედროვე ეპოქა გლობალიზაციის ეპოქაა. გლობალიზაცია სახელმწიფოთა ეკონომიკურ და პოლიტიკურსაზღვრებს უწინდელმნიშვნელობას უზარგავს და მხოლოდიდენფიკაციის მთავარ ფაქტორად პატარა ქვეყნებისათვის კულტურულ მემკვიდრეობა რჩება. საქარუელ პატარა ქვეყანაა. იგი მდებარეობს შავი და კასპიის ზღვებს შორის, დედამიწის ზედაპირის უნიკალური და მრავალფეროვანი ადგილებიდან ერთერთ თვალწარმტაცი და უხვია საქარუელს მიწა-წყალ. ისტორიულ და საქარუელ საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვან გზაჯვარედნს წარმოადგენდა და დღემდე ინარჩუნებს ამ პერსპექტივას. ამასთანავე საქარუელ დღეს ენერგომატარებლების ტრანზიტის ანგარიშგასაწევ დროუნს წარმოადგენს, რსაც ფრად ფსეულ როლ ენიჭება ევროპის ენერგო უჭაფრთხობის პოლიტიკაში. უნდა აღნიშნოს, რომ საქარუელსარწმუნობის შენარჩუნებისა და იმების შეჩერების თვალაზრისით ევროპას ფსდუფებელსამსახურს უწევდა, რადანაც მტერი მისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამოყენებით საღმქრუდ ევროპისაკენ საქარუელს გავლთ მიემარუბოდ. საქარუელში ხდებოდ ევროპისაკენ მიმავალ დმპყრუბლების განადფურება. ვფქრუბთრომ ევროპამ ეს ისტორია კარგადუნდა შეისწავლს და საქარუელს მეტუ პატუვი უნდა მიაგოს. დღეს ევროპისათვის ეს პატარა ქვეყანა უწინმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ კარიდრს წარმოადგენს. მიწის, როგორც ურუვი ქრების სოციალური როლ მოცავს ფოიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ინტელექტუალური და სხვა მოთხონილების დკმაცყოფილებას, რც სჭირდება ადმიანს გადრჩენისა და ღრსეულ ცხოვრებისათვის. ურუვი ქრების ფლბა საზოგადოებრუვ აზროვნებაში პრესტუჟულა და აუცილებელა საშუალცივილოზეულ სოციალური ფრჩებისათვის. უნდა აღნიშნოს, რომ მიწაზე საკურება ცვლს ადმიანის ფსიქოლოგიურ მდლომარუბას. იგი ხდება მესაკურე და გადდს სხვა სოციალურ ფრჩაში, ეუფუბა სიამაცის გრმნბა.

### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

საბაზრო ურთიერთობების პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას. მისასაღებელია ისეთ ღონისძიებების ჩატარება, რომელთაც ქვეყანას დაეხმარება კვლავაც იქნეს შენარჩუნებული მაკროეკონომიკური სტაბილურობა და მიღწეული იქნება ეკონომიკის სწრაფი გაჯანსაღება. კოვიდპანდემია, რომელიც უკიდურესი გამოწვევაა მთელ მსოფლიოსთვის და საქართველოსთვის, განვიხილავთ როგორც შესაძლებლობას მეწარმეებისათვის, რომ გახდეს უფრო ეფექტური, კონკურენტუნარიანი და ძლიერი. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სოციალურ პასუხისმგებლობას

***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

RESUME In Georgia the time has come when it is necessary to start working on land consolidation issues. Otherwise, it would be impossible to develop a highly efficient agricultural sector. Land consolidation is regarded as an important issue in land development process. It is being given increasing priority by the old and new members of European Union and also former Soviet Union Republics. Unfortunately, Georgia does not have any experience in land consolidation. Due to this fact it is impossible to work in this direction. It is essential to gain experience provided by international organizations which support to implement pilot project and assist to create relevant legislation and state program. Keywords: Land Consolidation, Agricultural Sector, Fragmented Settlement Structures.

***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

ეროვნული ეკონომიკის სუბიექტთა სახელმწიფო მეწარმეობისაკენ, თავადმეწარმე. სახელმწიფო მეწარმეთა საქმიანობას არეგულირებს მთელი ეკონომიკის მასშტაბით მეწარმე კი ეკონომიკური რესურსების ორგანიზებას ახდენს ფრმის ფრგლებში. მცირე და საშუალო მეწარმეობა საქართველოში ობიექტურად არსებობს და ვითარდება, როგორც თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის შედარებით დამოუკიდებელი სექტორი, ასრულებს მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ როლს, უზრუნველყოფს სოციალურ და პოლიტიკურ სტაბილურობას, აზილებს სტრუქტურულ ცვლელბათა შედეგებს. ეროვნული ანგარიშთა სისტემის ერთერთ მნიშვნელოვანეს ეკონომიკურ მაჩვენებელს წარმოადგენს მიღწეული შიდა პროდუქტი. სტატუსი არის დროებით ორგანიზაცია, რომელიც ეძებს მაღალ მოგების პოტენციალს მქონე ბიზნეს მოდელს და აქვს ექსპანდენტური ზრდის პოტენციალი. ინოვაციების გარეშე შეუძლებელია სამეწარმეოსექტორის არსებობა

***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

საპენსიო რეფორმის კონცეფცია არის მთავრობის გეგმა საპენსიო სისტემის გასაუქმებლად და ასახავს გრძელვადიან რისკებს და ითვალისწინებს ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ რეალბას. რეფორმის მიზანია არსებულ პენსიონერების უკეთ დაცვა სიღარიბისგან, ინდექსაციის მეშვეობით რაც გარანტირებულად უზრუნველყოფს პენსიონერს მსყიდველუნარიანობის დონის შენარჩუნებას; მომავალ თაობის პენსიონერების უფრო მაღალ საპენსიო შემოსავლათ უზრუნველყოფს პირდაპირი რეზერვით და კავშირებულ იქნება დასაქმების პერიოდში მიღებულ შემოსავალთან და საპენსიო ფონდს მოგებასთან. კერძო საპენსიო სისტემა საშუალებას მისცემს დასაქმებულ მოქალაქეებს უკეთ დაცვას საპენსიო ასაკი და არ იყვნენ დამოკიდებულ მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსებაზე და შეძლენ გარკვეულ თანხის მოხილვება საპენსიო ასაკის დადგომამდე. რეფორმის საჭიროება გამომდინარეობს ნეგატიური ფაქტორებიდან, როგორცაა: საპენსიო ასაკში მყოფი მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდა, შობადობის კოეფიციენტის შემცირება, სამუშაო ასაკში მყოფი მოსახლეობის კლება, მიგრაციულ პროცესები და ა.შ. არსებულ სისტემის ანალოგი გვაჩვენებს, რომ მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსების ხარჯზე საშუალო და ekonomika. tomi 104. 3-5. 2021. ECONOMICS. VOLUME 104, ISSUE 3-5. 2021. 8 გრძელვადიან პერსპექტივაში შეუძლებელია არსებულ ჩანაცვლების კოეფიციენტის შენარჩუნება ან გაუქმებულობა. კერძო დგროვებით მოხლს საპენსიო სისტემის დამატებით კომპონენტ იქნება, რომელც ხელ შეწყობს ჩანაცვლების კოეფიციენტს მნიშვნელოვან ზრდას. კერძო დგროვებით სისტემის არსებობა შესაძლებელ გახდის უკეთ განისაზღვროს სოციალური პენსიის ფუნდამენტური პრინციპი, რაც გულისხმობს საპენსიო ასაკში მყოფი მოსახლეობის სიღარიბისგან დაცვას. აღნიშნულ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია, სოციალური პენსია არჩამოუჯარებოლად საარსებო მინიმუმს და ასევე, პენსია გაიზარდოს მინიმუმ ინფლაციის პარალელურად და ინფლაციაზე მეტად მაღალ ეკონომიკური ზრდის შემთხვევაში.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

შერწყმისა და შესყიდვის ბაზრი მთელსოფლოში სწრაფ ტემპით ვითარდება, შედეგად სულ უფრო მატულობს მისი გავლენა ეკონომიკაზე. საწარმოთა გაერთიანებების სიმრავლე განპირობებულია ორი ან მეტი სამეურნეო სუბიექტის გაერთიანების შედეგად მიღებულ უპირატესობებით როგორცაა ბაზრის წილის ზრდა, სინერჯის ეფექტის მიღწევა და ა.შ. შერწყმისა და შესყიდვის გარეგნობებს აქტუალურება არ დაუბარგავს არც მსოფლოში მიმდინარე მსოფლოში მიმდინარე Covid-19 პანდემიის გამო, რომელმაც მართალია საკმაოდ დიდ გავლენა მოახდინა,

როგორც ცალკეულ ქვეყნების, ასევე, მსოფლიო ეკონომიკაზე. ამგვარი ვითარების გამო კომპანიები იძულებულნი გახდნენ გადასულიყვნენ ე.წ. „გადარჩენის“ რეჟიმში, შესაბამისად მსოფლიო ბაზარზე განვითარებულ მოვლენების გამო დაზარალებულ კომპანიებისთვის გამოსავლად სწორედ შერწყმისა და შესყიდვის გარეგნობები მოგვევლინა. ამდენად პანდემიის მიუხედავად 2021-2022 წლებში მისაღწეულია შერწყმისა და შესყიდვის ბაზარზე განხორციელებულ გარეგნობების რაოდენობის და მოცულობის გაზრდა. ვარაუდობთ, მათ შორის ეფუძნება იმ ფაქტს, რომ 2009 წლის გლობალური კრიზისის პარალელურად შერწყმისა და შესყიდვის ბაზარი მაინც განაგრძობდა განვითარებას. შესაბამისად შერწყმა და შესყიდვის ბაზრის კვლევა ყოველთვის წარმოადგენდა აქტუალურ საკითხს.

## 6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

### 6.1. მონოგრაფიები/წიგნები

#### 1) ავტორი/ავტორები

1. ალექსანდრე სიჭინავა, ანზორ მესხიშვილი, დალი სეხნიაშვილი
- 2.

#### 2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. კოლექტიური მონოგრაფია; 2 ტომად: Land Reform: From State Monopoly to a Variety of Forms of Ownership (მიწის რეფორმა: სახელმწიფო მონოპოლიდიან საკუთრების ფორმების მრავალფეროვანებად), ISBN 978-5-93424-863-6
- 2.

#### 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. სამარა: რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამარის ფედერალური კვლევითი ცენტრის გამომცემლობა, 2021. ინგლისურ ენაზე

2.

#### 4) გვერდების რაოდენობა

1. ტომი 2. 306 გვ.
- 2.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*



მონოგრაფიაში წარმოდგენილია მიწის რეფორმების არსის, შინაარსისა და შედეგების მახასიათებლები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, დასავლეთ და ცენტრალური აზიის სხვადასხვა ქვეყანაში, რომლებმაც გასული საუკუნის ბოლოს განახორციელდა გადასვლა ცენტრალიზებული დაგეგმიდან საბაზრო ეკონომიკაზე. მიწის პოლიტიკის საერთო მიზნებიდან გამომდინარე, თითოეულმა ქვეყანამ აირჩია რეფორმის საკუთარი გზა, მიწის ურთიერთობების განვითარების ისტორიული თავისებურებების გათვალისწინებით, განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომებით, მეთოდებით, ინსტრუმენტებით და მიღწეული შედეგებით. მონოგრაფიაში მონაწილეობა მიიღეს 13 ქვეყნის მეცნიერებმა და სპეციალისტებმა: აზერბაიჯანი, ბელორუსია, საქართველო, ყაზახეთი, ლატვია, ლიტვა, მოლდოვა, პოლონეთი, რუსეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, უკრაინა და ესტონეთი.

ავტორები წარმოადგენენ თავიანთ შეხედულებებს მიწის რეფორმების მეთოდოლოგიასა და შედეგებზე სხვადასხვა ქვეყანაში.

მონოგრაფია გამიზნულია იმ სპეციალისტებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მიწის ურთიერთობების ტრანსფორმირებით პოსტსოციალისტურ ქვეყნებში.

## 6.2. სახელმძღვანელოები

### 1) ავტორი/ავტორები

- 1.
- 2.

### 2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

- 1.
- 2.

### 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

- 1.
- 2.

### 4) გვერდების რაოდენობა

- 1.
- 2.

### *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

## 6.3. კრებულები

### 1) ავტორები

- 1.
- 2.

### 2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

- 1.
- 2.

### 3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

- 1.

2.

4) გვერდების რაოდენობა

1.

2.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. ალმა მაჩიულიტე-შნიუკიენე, დალი სეხნიაშვილი

2. დღ სეხნიაშვილი, შოთა ვეშაპიძე

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. The eco-innovation impact on economic and environmental performance of EU Member States (ეკონომიკის გავლენა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეკონომიკურ და გარემოსდაცვით ეფექტურობაზე). <https://doi.org/10.3846/bmee.2021.14497>

2. The Importance of Land Consolidation for the Development of the Agricultural Sector in Georgia (კაპიტალის ბაზრის განვითარების მნიშვნელობა საქართველოში საინვესტიციო ეკოსისტემის გაუმჯობესებისთვის)

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. Business, Management and Economics Engineering, ISSN: 2669-2481 / eISSN: 2669-249X 2021 Volume 19 Issue 2: 212–228 <https://doi.org/10.3846/bmee.2021.14497>

2. World Economy and International Economic Relations, International Scientific Collection, Volume 4, 202

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. ლიეტუვა, ვილნიუსის გედიმინასის ტექნიკური უნივერსიტეტი

2. კიევი

5) გვერდების რაოდენობა

1. 17 გვ.

2. 7 გვ.

**ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

ინოვაციების განვითარება აღიარებულია ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ყველაზე მძლავრ ინსტრუმენტად. თუმცა, მათი გავლენა გარემოს ხარისხზე ჯერ კიდევ განიხილება. მდგრადი განვითარების მისაღწევად, ეკო ინოვაცია მნიშვნელოვანი ხდება. ევროკავშირის ქვეყნები აფართოებენ ეკო-ინოვაციური საქმიანობას, მაგრამ გაუგებარია აღწევს თუ არა მისი განვითარება ეკონომიკური ზრდის მიზანს და აუმჯობესებს გარემოს ხარისხს.

**მიზანი** - წარმოადგინოს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ეკონომიკურ ზრდაში, გარემოსდაცვითი და ეკო-ინოვაციების განვითარებაში და შეაფასოს ეკო-ინოვაციების გავლენა ეკონომიკურ და გარემოსდაცვით მაჩვენებლებზე.

**კვლევის მეთოდოლოგია** - გამოყენებულია შემთხვევითი ეფექტის რეგრესია ეკო-ინოვაციას, ეკონომიკურ ზრდასა და გარემოსდაცვით ეფექტურობას შორის კავშირის შესასწავლად.

**დასკვნები** - ეკო-ინოვაციების განვითარება გავლენას ახდენს არა მხოლოდ ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე, არამედ დადებითად მოქმედებს გარემოსდაცვითი ეფექტურობაზე.

**კვლევის შეზღუდვები** - ეკო-ინოვაციების განვითარება და ეკონომიკური ზრდა შეიძლება იყოს ურთიერთდამოკიდებული, მაგრამ ეს კვლევა იკვლევს მხოლოდ ცალმხრივ დამოკიდებულებას. გრეინჯერის მიზეზობრიობის ტესტი შეიძლება გამოყენებულ იქნას ურთიერთობის შესაფასებლად მომავალში.

**პრაქტიკული შედეგები** - კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავებისთვის, ასევე ეკო-ინოვაციების დანერგვის ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკისთვის.

**ორიგინალობა/ღირებულება** – კვლევის შედეგებმა დაადასტურა წინა შეფასების შედეგები ეკო-ინოვაციებისა და ეკონომიკური ზრდის შესახებ და მოგვცა ახალი ცოდნა მათი გავლენის შესახებ გარემოსდაცვით მაჩვენებლებზე.

### **ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

2. ძლიერი და ეფექტური ეკონომიკის ჩამოყალიბება შესაძლებელია იქ, სადაც ბიზნეს საქმიანობა, საინვესტიციო ეკოსისტემა და მთავრობის საქმიანობა არსებითად აუმჯობესებს კაცობრიობის, სახელმწიფოს და თავად სამყაროს კეთილდღეობას. ინვესტიცია კაპიტალის ბაზარზე ფასიან ქაღალდებში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

სტატიაში ნაჩვენებია კაპიტალის ზრდის გავლენა, კერძოდ ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება საინვესტიციო ეკოსისტემის დონეზე, ასევე საქართველოში არსებული საინვესტიციო ეკოსისტემაში არსებული მდგომარეობა, ასახულია შესაბამისი პრობლემები და შემუშავებულია რეკომენდაციები.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ნატო ჩიკვილაძე, ელენე ბრეგვაძე;

2. ნატო ჩიკვილაძე, სანდრო ხუციშვილი.

3. დალი სეხნიაშვილი, ედუარდ კოჩარიანი

4. დალი სეხნიაშვილი

5. გვარუციძე აკაკი

6. წიკლაური თორნიკე

7. ნაზი ჭიკაიძე

8. ნაზი ჭიკაიძე

9. დემნა კვარაცხელია

10. თამარ აბუაშვილი, ნატო გეგენავა

11. ნინო ბენდიანიშვილი.

12. მენაბდე-ჯობაძე ე., კვარაცხელია დ.

13. მენაბდე-ჯობაძე ე., ჩუბინიძე ნ.
14. რევაზ შენგელია

2) მოხსენების სათაური

1. საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის განვითარების თეორიული საფუძვლები;
2. ადამიანური კაპიტალი, როგორც ეკონომიკური კატეგორია.
3. სახელმწიფო ვალის გავლენა ეროვნული ეკონომიკის ზრდაზე
4. ლიეტუვას ციფრული ეკონომიკის განვითარების გამოცდილების გამოყენება საქართველოში
5. გლობალიზაციის პროცესის გავლენა საქართველოზე
6. პანდემიის გავლენა უძრავი ქონების ბაზრის განვითარებაზე
7. კორნომიკა და ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები
8. ინფლაციის ტემპის ფულის მასის მიწოდების საფუძველზე რეგულირების მექანიზმი
9. სტარტაპის წარმატებაზე მოქმედი ფაქტორები
10. „თანამედროვე საგადასახადო პოლიტიკა, როგორც საინვესტიციო ნაკადების მოზიდვის მნიშვნელოვანი საშუალება“.
11. ინსტიტუციური მოწყობის თავისებურებები ლიეტუვასა და საქართველოში
12. უძრავი ქონების გაყიდვები და კოვიდ პანდემია
13. **Covid-19 პანდემია და ცვლილებები საინვესტიციო პოლიტიკაში**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. თბილისი, 2021 წლის 22 ოქტომბერი
2. 2021 წლის 22 ოქტომბერი, თბილისი, საქართველო
3. 8-9 ნოემბერი, 2021 წელი, თბილისი, საქართველო
4. 22 ოქტომბერი 2021 წელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საქართველოს საინჟინრო აკადემია
5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 1921წ.
6. 2021 წლის 22 ოქტომბერი, თბილისი, საქართველო
7. 22.10.2021, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
8. 2021 წლის 8-9 ნოემბერი, თბილისი, სტუ.
9. 2021 წლის 14 მაისი, თბილისი, სტუ.
10. 14 მაისი, 2021 წ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
11. 22 ოქტომბერი 2021 წ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
12. თბილისი, 2021 წ. 23 ოქტომბერი 3გვ.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*

*მოხსენების ანოტაცია*

1. სამეცნიერო სტატიაში განხილულია მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის აქტიური პროცესი და მისი გავლენა საქართველოზე. აღნიშნული პროცესი შეუქცევად ხასიათს ატარებს და თანამედროვე პიოზებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, როგორც მსოფლიო საზოგადოებისათვის, ისე ცალკეული ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული სფეროებისათვის. გლობალიზაციის პიოზებში, ერთის მხრივ, ეროვნულ ინტერესებს შორის წინააღმდეგობა მატულობს, ხოლო მეორეს მხრივ ქვეყნების ურთიერთ დამოკიდებულების ხაისხი იზრდება, რაც თავის მხრივ გარკვეულ რისკებს და საფრთხეებს შეიცავს. ყურადება მახვილდება იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს გლობალიზაცია საქართველოზე და აღნიშნული პროცესის მიმართ იმ რადიკალურ მიდგომებზე რომელიც დღეს ქართულ საზოგადოებაში არსებობს.
2. COVID-19-პანდემიის სოციალურ-ეკონომიკური შედეგების თავისებურებიდან და ახალი ციფრული ეკონომიკის გლობალური გამოწვევებიდან გამომდინარე, დგება საკითხი სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის განსხვავებულად გააზრების აუცილებლობისა და ახალი საინვესტიციო ქმედითი პოლიტიკის შემუშავების შესახებ. ამ მიმართულებით აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას მასტიმულირებელი ღონისძიებები, რის შედეგადაც გაიზრდება ინვესტიციების მოცულობა ციფრულ ინფრასტრუქტურებსა და ადამიანისეულ კაპიტალში, ციფრული ჯანდაცვისა და განათლების სისტემების შექმნაში, განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტის წასახალისებლად, რომლის როლი და ფუნქციები ჩართულობის თვალსაწიერით სწრაფად მატულობს ციფრულ ჯანდაცვასა და განათლებაში და ა.შ.

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ალმა მაჩიულიტე-შნიუკიენე, დალი სეხნიაშვილი

2. ალექსანდრე სიჭინავა, ანზორ მესხიშვილი, დალი სეხნიაშვილი

2) მოხსენების სათაური

1. „ეკო-ინოვაციის გავლენა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეკონომიკურ და გარემოსდაცვით ეფექტურობაზე“
2. საქართველოში გატარებული მიწის რეფორმა - სახელმწიფოს მონოპოლიდან კერძო საკუთრებამდე

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 13 – 14 მაისი, 2021, ვილნიუსის ტექნიკური უნივერსიტეტი, ვილნიუსი, ლიეტუვა
2. 2021 წლის 14 მაისი, ზუმი

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

## ანგარიშის ფორმა №2

**2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

